მიხეილ ზანდუკელი

თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში

ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
1928

შესავალი.

I

წინამდებარე გამოკვლევას მიზნად აქვს მკითხველს გააცნოს ჩვენი ახალი ლიტერატურის ისტორიის ორი თვალსაჩინო მოვლენა, რომელიც ჩვენი საზოგადოების ისტორიაში ცნობილია „თერგდალეულთა“ და „ხალხოსანთა“ სახელწოდებით. დასახელებულ მოვლენათა გაშუქებას წინამდებარე გამოკვლევაში ლიტერატურული ხასიათი უნდა ჰქონდეს: განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურული მასალის მიხედვით უნდა იქმნეს ხსენებული მოვლენები გაშლილი და შესწავლილი, ე. ი. თუ რამდენად აისახა ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში „თერგდალეულობა“ და „ხალხოსნობა“. პუბლიცისტური მასალაც, რასაკვირველია, აუცილებელივ გამოყენებული უნდა იყოს. მაგრამ ამ უკანასკნელი ხასიათის მასალით სარგებლობას იმდენად ექნება ადგილი, რამდენადაც ის საკითხის გამოკვლევის გაღრმავებაში და მისი თვისების შესწავლაში დაგვეხმარება.

სახელწოდება „თერგდალეული“, აგრეთვე მისი სინონიმი „რუსეთუმე“, როგორც აღმნიშნავი სახელი რუსეთში განათლებამიღებულ ქართველ ახალგაზრდისა, რომელიც ველარ შეეგუა დრომოჭმულ, პატრიარქალურ ბეჭედზე დამყარებულ, მოდუნებულ და დაძაბუნებულ ჩვენს ცხოვრებას, ჯერ კიდევ მე-XIX-ე საუკუნის 50-იანი წლების კარებშივე გვხვდება [1]. ხოლო 60-იანი წლების დასაწყისში ჩვენი ახალგაზრდა ინტელიგენცია ამ სახელწოდებით ჯგუფობრივ გამოდის სამოღვაწეო, სამწერლო და საბრძოლველ ასპარეზზე, როგორც გარკვეულ მისწრაფებათა მატარებელი მიმართულება, და ჩვენს ცხოვრებას თავის მძლავრ ბეჭედს ასვამს.

თერგდალეულის ფსევდონიმით გამოდის ამ დროს სხვადასხვა მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო ძოღვაწე ერთისა და იმავე პოზიციის განსამტკიცებლად. და ეს პოზიციაა ახალგაზრდობის, ძველი ცხოვრების საფუძვლების უარყოფის, ცხოვრების ახალი პრინციპების მიხედვით გარდაქმნისა. ასე რომ 60-იან წლებში ფსევდონიმი „თერგდალეული“ გადაიქცა ახალი მიმართულების ზოგად სახელად, და ამ

[1]) იხ. გ. ერისთავის „გაყრა“.

მიმართულებას ჩვენს ლიტერატურასა და საზოგადო აზროვნებაში გარკვეული სახე აქვს და მან გარკვეული ბეჭედიც დაასვა როგორც ჩვენს ლიტერატურას, ისე საზოგადო აზროვნებასაც.

გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი (გ. ზდანოვიჩი) ასე ახასიათებს ამ პერიოდს: „მხოლოდ 1860 წლიდამ სჩანან მოძრაობის ნიშნები ჩვენის მიბინარებულის ქვეყნისა, რომელიც არ „მომკვდარა, მხოლოდ სძინავს". იგი ნელ-ნელა იდგამს ფეხს, იფშვნეტავს თვალებს, შეშინებული იყურება აქეთ-იქით. გუშინდელი მკვდარი, რომელსაც ჯერ კიდევ სრულად არა სწამს თავის აღდგენა... მოდის მოძრაობაში, დგება ფეხზედ, უყურებს ქვეყანას და აღთქმას სდებს იმუშაოს დღე და ღამე, რომ დაეწიოს დაკარგულს დროს. სულის შემხუთავი ჰაერი, რომელიც გარს შემოერტყა, ნელ-ნელა ჰქრება ამომავალი მზის შუქზედ"... [1].

გ. მაიაშვილი ჩვენი განვითარების ისტორიის ამ საინტერესო მომენტს რომ ახასიათებს, აი როგორა ჰხსნის მის მიზეზებს: „ეს მოძრაობა იყო ხალხში ახალი ეკონომიური პირობების შემოტანის პასუხად. აზრმა გაიღვიძა, სამშობლოსთვის მოღვაწენი გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზედ. საზოგადო საჭიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა, იგინი გამოიწვია დრომ და არა იმათ დრო" [2].

და მართლაც, თუ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში ჩავიხედავთ, დავრწმუნდებით, რომ „თერგდალეულების" გამოსვლას სამოქმედო სარბიელზე წინ უსწრებდა ჩვენი ცხოვრების ღრმა სოციალ-ეკონომიურ პირობათა ცვლა.

უდაოა, რომ ხელოვნებაში და კერძოდ ლიტერატურაშიაც, როგორც ხელოვნების ერთ-ერთ დარგში, ასახულია საზოგადოებრივი ფსიქოლოგია. საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ხასიათი კი განისაზღვრება იმ ურთიერთობის თვისებებით, რომელიც საზოგადოების ნაწილთა შორისაა დამყარებული. ეს თვისებები კი განისაზღვრება და ირკვევა საწარმოო ძალთა განვითარების დონის მიხედვით. ყოველი შესამჩნევი ნაბიჯი საწარმოო ძალთა განვითარებისა ცვლილებას იწვევს ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ამასთანაა დაკავშირებული ცვლილება საზოგადოების ფსიქოლოგიაშიაც.

ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარში ღრმა სოციალ-ეკონომიურ გარდატეხას ვამჩნევთ. დაირღვა

---

[1]) გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ: „ივერია" 1882 წ. № VII—VIII. გვ. 164—165.

[2]) იქვე, გვ. 166.

ნატურალური მეურნეობა, ფეხს იკიდებს კაპიტალისტური წყობილება და საკმარისად ჩქარის ტემპით ვითარდება. როგორც ამის შედეგი, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი სოციალური ურთიერთობა იქმნება, ახალი სოციალური დაჯგუფება ხდება.

აი, ასეთი გარემოების, საკმარისად რთულის (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ), შედეგი იყო თერგდალეულთა ბანაკის გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე, როგორც საზოგადოებრივ სამოღვაწეო სარბიელზე, ისე ლიტერატურაშიაც.

იგივე უნდა ითქვას ჩვენი საზოგადო აზროვნების და ლიტერატურის ისტორიაში მეორე დიდმნიშვნელოვანი მოვლენის—„ხალხოსნების“ [1] სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის შესახებაც. ხალხოსნების

---

[1]) ხალხოსნური მიმართულება, რომელიც ჩვენი ლიტერატურის წიაღში თითქმის მთელი ნახევარსაუკუნის განმავლობაში ღვიოდა და რომელმაც გაიტაცა არა ერთი პირველ-და მეორეხარისხოვან ნიჭის მქონე მწერალი და ძალუმად თავის ჰანგებზე ამოღვაწევა, ჩვენი ლიტერატურის ისტორიებში და კრიტიკა-პუბლიცისტიკაშიაც, უმეტეს შემთხვევაში, ცნობილია „ტეტიათა მოტრფიალობის“ სახელწოდებით. ეს ტერმინი „ტეტიათა მოტრფიალენი“, თუ არა ვცდებით, პირველად იხმარა ჩვენმა ცნობილმა პუბლიცისტმა ხ ო მ ლ ე ლ მ ა (რ. ფანცხავამ) პოლემიკის დროს მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობის (ხალხოსნების) შეფასებაში. „მეტის-მეტად ძნელი გამოსარკვევია,—სწერს ხომლელი 80-იან წლების მოღვაწეთა შიმართულების შესახებ,—თუ რამ დაბადა ჩვენში, ჩვენს საქართველოში, ეს ტეტიების მოტრფიალენი! მაგრამ, ჩვენი ფიქრით, ამ გვარი აზრი ნაყოფი იყო ბრმა შიბაძვისა. რუსეთში ჯერ კიდევ მე-70 წლებში, ერთი თაობა, ეგრეთ წოდებული „ნაროდნიკობა“, რომელმაც ზურგი შეაქცია დასავლეთის ცივილიზაციასა და პოლიტიკურ ვითარებასა, დადგა იმ ნიადაგზე, რომელზედაც რუსეთის სლავიანოფილები იდგნენ სულ წინად. ხოლო სახელმძღვანელო აზრად აღსარებული ჰქონდა „ნაროდნიკობა“, ეგრეთ წოდებული უტოპისტურ პერიოდის სოციალისტთა ბუნდი მოძღვრება“ (ხ ო მ ლ ე ლ ი, ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა: „კვალი“, 1893 წ. № 20). და იქვე, რუსი „ნაროდნიკობის“ მოკლე და, უნდა ითქვას, ზერელე დახასიათების შემდეგ, ხომლელი ასეთს განაჩენს უყენებს ამ „ტეტიათა მოტრფიალეებს“:

„ჩვენში ცხოვრებამ უარჰყო და შორს ისროლა ბავშური და დღე-ნაკლული სურვილი ტეტიობის მოტრფიალისა, რომელსაც უნდა თავიდან აეცილებინა „გაევროპიელება“ ჩვენი ქვეყნისა და თვი თავისი წერილფეხა ვაჭართა, ჩარჩთა და გლეხთა ჭაობში შეეფარებინა“ (იქვე).

ხომლელს, რომელიც გამომხატველი იყო ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილისა, აი როგორ ესმის მთავარი არსი „ტეტიათა მრტრფიალეთა“ მიმართულებისა: „გარდა მიბაძვისა, ჩვენში ტეტიობის მოტრფიალენი ფეხს იკიდებენ თვით ჩვენი ცხოვრების ჩამორჩენილს სოფელთა წრეშიაც. მაგრამ ლიბერალებს (ხომლელს აქ 60-იანი წლების მოღვაწენი ჰყავს მხედველობაში—მ. ზ.) შემდეგ ჩვენს ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელო აზრი არ შეუმუშავებია... მხოლოდ გაკვ-

მოქმედებაც იმავე სოციალ-ეკონომიურ პირობათა ცელის მეტი გაღრმავებით იყო გამოწვეული.

მართალია, ხალხოსნები, თავიანთი მსოფლმხედველობით და მოღვაწეობის ხასიათით, ბუნებრივი გაგრძელებაა თერგდალეულებისა;

რით და ისიც მიბაძვით ოდნავ-ღა აღნიშნა ჩვენი გლეხობის გაღმერთება და ტრფიალი" (იქვე).

აი, თუ არა ვცდებით, აქიდან წარმოდგა დასაბამი ტერმინისა „ტეტიათა მოტრფიალენი". ხომლელისაგან, პოლემიკის დროს ნახმარი ტერმინი, გადაიღეს სხვა ლიტერატორებმაც და ასე უკრიტიკოდ, შეუცნობლად გავრცელდა და, ლამის არის, დამკვიდრდეს ეს ტერმინი ერთი დიდი და, გვგონია, საკმარისად რთული მოვლენის აღსანიშნავად ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების და ლიტერატურის ისტორიაში. ამ მოვლენას აი როგორ ახასიათებს ერთი მისი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი სოფ. მგალობლიშვილი: „ათას რვაას სამოცდა ათსა და ოთხმოციან წლებში სოფელ-სოფელ გამოჩდებოდნენ ხოლმე თითო-ოროლა „ერთობის" მქადაგებელნი; სთესავდნენ „თესლსა კეთილსა", თესლსა „ერთობისასა". ხალხის გული სალი კლდესავით შეჰხვდა ამ ერთობის მთესველებსა, არ იკარებდა თვისთა მოყვასთა სიტყვებსა და სდევნიდა კიდეცა. მაგრამ თითო-ოროლა ისეთიც იყო სოფლად, ვის გულსაც ღრმად ჩასწვდა კეთილი სიტყვა „ერთობა"-ს მქადაგებლებისა, იპოვა ამ ზოგიერთების გულში კეთილი ნიადაგი, ღრმად გაიდგა ფესვი, იზარდა იგი, იზარდა და შტო გამოიღო. ეს შტო ერთის გულიდან მეორეზე გადაიმყნო და ნელ-ნელა, ხალხის გული ერთობის ბაღად, წალკოტად გადაიქცა: იზარა, იფეთქა ხალხის გულში „ერთობის" ძალამ; ხელი ხელს მისცეს. პირი პირს, გული გულს შეაჭედეს და თამამად შესძახეს:

— „გაუმარჯოს ერთობას, თავისუფლებას!... სოფელი რად უნდა ემორჩილებოდეს ერთსა, ერთი ათასის ბატონი რად უნდა იყოს? თავისუფლება საერთოა: ყველას უნდა ათბობდეს იმისი სხივები, სიყვარული საერთოა, ყველა თანაბრად უნდა გვიყვარდეს; მიწა ყველასია, თითო-ოროლას ჩაუგდია ხელში და მთელ ხალხს ტეინსა სწოვენო.

მოედო ნელ-ნელა სოფელს ასეთი აზრები" (სოფ. მგალობლიშვილი, „ჯორ-ზაქარა": რჩეული მოთხრობები. ტფილისი, 1926, ტ. II, გვ. 154).

სანამდის სოფელს „ასეთი აზრები მოედებოდა", სანამდის „ერთობა" და „კეთილი თესლი" კეთილ ნიადაგს გამონახავდა და ხალხის გულს ერთობის ბაღად გადააქცევდა", საჭირო იყო კლდე-ღრიანი გზით ხანგრძლივი და თავგანწირული სიარული, საჭირო იყო დიდიხნის განმაელობაში ნარისა და ეკლის საკუთარი ხელით გლეჯა, და ასე ახალი ცხოვრებისათვის გზის გათელვა. ასეთი გზის თელვაში მხურვალე მონაწილე იყო ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ზოგიერთი ჩვენი ლიტერატორის წერილებში „ტეტიათა მოტრფიალეთა" სახელწოდებით არის ცნობილი.

ჩვენა გვგონია, რომ ჩვენი საზოგადოების ამ ნაწილის აზროვნების მიმართულება ვერ ამოიწურება იმ ტერმინით („ტეტიათა მოტრფიალობა"), რომელსაც ხომლელი ხმარობს და აგრეთვე იმ თვისებებით, რომელთაც ხომლელი იძლევა ხსენებულ წერილში. ჩვენა გვგონია, ამ მიმართულების წარმოშობის მიზეზები და

მართალია, ხალხისნები ჩვენი საზოგადოების განვითარების შემდეგი საფეხურია; მართალია ისიც, რომ მათ ბევრი რამ შეითვისეს თერგდალეულებისაგან, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც მეტად დიდი და თვალსაჩინოა. შეიძლება ითქვას, ეს მიმდინარეობა ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში ახალია, როგორც შინაარსით, ისე მიმართულების ხასიათითაც. ნ ი კ ო ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „იმედის“ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ხალხისნობის ძირითადი მიმართულების აღმომცენ მიზეზს აი რაში ჰხედავს: „ჩვენს სამშობლოში,—სწერს ის,—გლეხ-კაცი იზიდავს ეხლა სულს და გულს ყოველი პატიოსანი კაცისას. ევროპაშიაც მწერლობა დაბალ ხალხს, სოფელს კარგს ადგილზე აყენებს,

---

მის წარმომადგენელთა მსოფლმხედველობა გაცილებით ღრმა და ფართო იყო, ვიდრე ეს ხომლელს ზემოხსენებულ წერილში აქვს გამოთქმული. ამიტომ ტერმინი „ტეტიათა მოტრფიალობა“, ჩვენის აზრით, ვიწროა, ცალმხრივი და, შეიძლება ითქვას, ხელოვნურიც. არც შეეფერება იმ მიმართულებას, რომელსაც რუსეთის საზოგადო აზროვნების ისტორიაში ვიცნობთ „ხალხისნობის“ („народничество“) სახელწოდებითა და რომელმაც მართლაც ძლიერი გაელენა მოახდინა ჩვენს ხალხისნურ საზოგადო აზროვნებასა და ლიტერატურაზე.

თვით ამ მიმართულების შემქმნელნი ჩვენში თავიანთ მიმართულებას უწოდებენ „ხ ა ლ ხ ი ს ნ უ რ ს“. ჟურნალი „ი მ ე დ ი ს“ თანამშრომელნი, რომელნიც აშკარა გამომხატველნი არიან ჩვენში ხალხისნური მიმართულებისა, თავიანთ მიმართულების აღსანიშნავად გარკვეულად და ხაზგასმით ხმარობენ ტერმინს „ხ ა ლ ხ ი ს ნ უ რ ი“. ჟურნალი „ი მ ე დ ი ს“ ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და მისი მიმართულების მკვეთრი გამომხატველი ს ტ. კ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი 1881 წლის „იმედის“ პირველ ნომერში თავის წერილში—„ქართული მწერლობა“ მთელი ჯგუფის, ან, უფრო სწორე იქნება, მთელი დასის მიმართულებას და მწერლობაზე მის შეხედულებას ამეღავნებს. „მე მტკიცედა ვარ დარწმუნებული,—სწერს სტ. კრელაშვილი,—და იმედიცა მაქვს, ყოველი მკითხველი დამეთანხმება, რომ საზოგადოდ ჩვენში ჩამჭრალია მწერლობის ლამპარი და, მაშასადამე, სხვათაშორის, ჩვენს საზოგადოებას აკლია ერთი უშველებელთაგანი დედაბოძი ცხოვრების გაუმჯობესობისა... რომელსაც შეუძლია ხალხის ნამდვილი გაძლიერება, კეთილი სურვილის აღძერა მასში, ხ ა ლ ხ ი ს ნ ო ბ ი ს ი დ ე ა ლ ე ბ ი ს გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ა, შ ე მ უ შ ა ვ ე ბ ა დ ა მ უ დ მ ი თ ი მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა მ ა თ კ ე ნ“ („იმედი“ 1881 წ. № 1, გვ. 87—88).

ტერმინი „ხალხისნობა“ „იმედის“ თანამშრომლების მიერ გარკვეულად იხმარება იმ მიმართულების აღსანიშნავად, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში და ლიტერატურაში ცნობილია, როგორც დაბალი ხალხის, გლეხ-კაცობის, ცხოვრების შესწავლის, გაგების აუცილებლობის წამომყენები და შემდეგ ახალი ცხოვრების აშენებლობაში მისი (ხალხის) ცხოვრების ფორმების და მისი ინტერესების საფუძვლად დადებისა.

აღნიშნულ მოსაზრებათა და ცნობათა მიხედვით, უფრო სწორად, შესაფერად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინი „ტეტიათა მოტრფიალობის“ მაგიერ დაცულ იქნას ტერმინი „ხ ა ლ ხ ი ს ნ ო ბ ა“.

უქადის მას ნაყოფიერ და სასარგებლო მომავალს. რისთვის? მისთვის, რომ ევროპაში მაღალ-წოდება წვრილმანდება, უძლურდება. თვით განვითარებული მესამე წოდება, ბურჟუაზია, გაფუქსავატების გზას დაადგა. ნიშნები მისი გამოაშკარავდნენ... უკანასკნელ დროში ევროპაში დიდი ყურადღება მიაქციეს დაბალ ხალხის შესწავლას. ჩვენშიაც, ვგონებ, ანალოგიური მოვლენა იშვა, თუმცა ეს მოვლენა ჯერ ისე აშკარად არ გამოიხატა, როგორც ევროპაში: ჩვენშიაც მაღალი წოდება ნელ-ნელა ფუქსავატდება, უძლურდება, ოდესმე ძლიერი და ამაყი თავადობა დაძაბუნდა. ეს გახლავთ ნამდვილი ფაქტი, ყველასათვის ცხადი, ვინც კი ჩვენ ცხოვრებას აკვირდება, სწავლობს"... [1].

აქიდან ცხადია, ნიკო ხიზანაშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე გარკვეული მსოფლმხედველობით ხალხსნების გამოსვლას უკავშირებს ჩვენი ცხოვრების, ახალი დროის სოციალ-ეკონომიურ პირობებს. მართლადაც, ხალხსნობა თავისი მსოფლმხედველობით და პრაქტიკული მოღვაწეობით ერთგვარი გამოწვეული პასუხი იყო ჩვენი ცხოვრების ახალი პირობებისა. თვით ხალხსნების შემადგენლობაც ახალი იყო თავისი სოციალური წარმოშობით და მდგომარეობით.

ამ გარემოებამ, რასაკვირველია, თავისი დაღი დაასვა ხალხსანი მწერლების შემოქმედებასაც, და ამ მხრივადაც ისინი თვალსაჩინოდ გაასხვავა თერგდალეულთა შემოქმედებისაგან. ყველა ეს ქვევით, როდესაც თემის უშუალოდ გაცნობას შევუდგებით, შევეცდებით ფაქტების შემწეობით დავამტკიცოთ.

ვინაიდან ჩვენი ძველი ცხოვრების რღვევისა და ახალი პირობების შექმნის გათვალისწინებას ჩვენი თემის სწორი გაგებისა და განმარტებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ჩვენც შევეცდებით მისი გაშუქება და გაშლა ჩვენის ცხოვრების საერთო განვითარების პერსპექტივში დავაყენოთ. ამიტომ სანამდის თემის უშუალო გარკვევას შევუდგებოდეთ, საჭოროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც გავეცნოთ ჩვენი ცხოვრების იმ ღრმა სოციალ-ეკონომიურ პირობათა ცვლას, რომელმაც სამოქმედო ასპარეზზე გამოიწვია როგორც თერგდალეულნი, ისე ხალხსნები.

---

[1]) ნიკო ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში: „იმედი", 1882 წ. №№ 11—12, გვ. 24.

II

ჩვენი ცხოვრების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა 60-იანი წლებისათვის.

1.

მე-XIX-ე საუკუნის 40-იანი წლების პირველსავე ნახევარში ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში გარკვეულ გარდატეხას ვამჩნევთ როგორც პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ სფეროში, ისე, როგორც შედეგი ამისა, ფსიქოლოგიურშიაც. რუსეთთან შეერთება და საქართველოში მისი ძალა-უფლების განმტკიცება ჩვენი ახალი ისტორიის სინამდვილეში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. ამ გარემოებამ ღრმა გარდატეხის ბეჭედი დაასვა ჩვენს ცხოვრებას. ეს მოვლენა, შესაძლებელია, ჩვენის ცხოვრების მკვლევარისათვის ბუნებრივი და აუცილებელიც იყოს, მაგრამ თანამედროვეთათვის ის, გარდატეხის ჩქარი ტემპის გამო, რაღაც მოულოდნელ, შემაძრწუნებელ ფაქტად გადაიქცა.

რუსეთის დამკვიდრების ბარბაროსულმა ხასიათმა ქართველ ხალხში შეუთანხმებლობა და იმედგაცრუებულობა გამოიწვია.

მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში (დაახლოვებით 1845 წლამდის) ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდა განუწყვეტელ ამბოხებათა გრეხილს—ხან მეტად ფართოს და თვალსაჩინოს, ხან-კი მისუსტებულს. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოში თითქმის არც ერთი კუთხე, არც ერთი წელი არ არის მშვიდი. ეს ბრძოლა გამოწვეულია არა მარტო პოლიტიკური საკითხით (ეს უფრო მეორე ხარისხოვანია), არამედ უფრო სოციალ-ეკონომიური მდგომარეობით და ინტერესით. აქ ბრძოლაა, და სასტიკი ბრძოლაც, ორი კულტურისა, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ორი საზოგადოებრივი წყობილებისა: ერთის მხრითაა—ბიუროკრატიული რუსეთი თავისი სოციალ-ეკონომიური განვითარების კანონებით და წესებით, მეორეს მხრით—ფეოდალური, ჯერ კიდევ თითქმის ნატურალურ მეურნეობის საფეხურზე მყოფი, საქართველო. დაიწყო მათ შორის ბრძოლა. ამ ბრძოლაში, რა თქმა უნდა, ძლიერმა გაიმარჯვა. 40-იან წლების

ნახევრისათვის ორივე მხარემ იგრძნო, ვისკენაც იყო გამარჯვება. ამის შემდეგ ორივემ, როგორც ბიუროკრატიულმა რუსეთმა, ისე ფეოდალურმა საქართველომ, გადასწყვიტა უფრო დამშვიდებული, შეგუების გზით წასულიყო წინ, მომავლისაკენ.

ქართველი ხალხი, მთელ რიგ დამარცხებულ აჯანყებათა და შეთქმულებათა შემდეგ, ისედაც დაღლილი და ეკონომიურად გაძვალტყავებული, გატყდა, ფიზიკურად დასუსტდა, დაიქანცა; დაკარგა იმედი აჯანყების გზით თავისუფლების დაბრუნებისა და მშვიდი ცხოვრების მოპოებისა. ხალხმა იგრძნო, რომ ის გამოუვალ ჩიხშია მომწყვდეული. მისთვის აშკარა შეიქმნა, რომ სხვა საშუალება ცხოვრებისა და სიცოცხლისა, გარდა ახალ ცხოვრებასთან—რუსეთთან—შეგუებისა, აღარ იყო. ქართველ საზოგადოებას ცხოვრების ახალი გზა უნდა გამოენახა, ახალი გზით წასულიყო წინ. უპირველესად საჭირო იყო ზრუნვა ხალხის ფიზიკური გადარჩენისა და მისი კულტურული ცხოვრების პირობების შექმნისათვის. ასეთი ფსიქოლოგიური გარდატეხა ქართველი ხალხის ცხოვრებაში ხდება 40-იანი წლების დასაწყისშივე. მაგრამ გარეგნულად ეს გარემოება თითქმის შეუმჩნევლად რჩებოდა.

ამ ფსიქოლოგიური გარდატეხის ტკივილების გამომჟღავნება მეტად ნიჭიერადაა ასახული ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი შემოქმედებაში,—განსაკუთრებით პოემაში „ბედი-ქართლისა“ და ელეგიაში „მერანი“. ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიოსური ამოკვნესა:

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის
კვეთება!
და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც
დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუა-
დვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გა-
მოუქროლდეს!“—

აშკარა მაჩვენებელია ქართველი ხალხის შეგნებაში ახალი ცხოვრებისადმი გაღვიძებული სურვილის ატოკებისა.

ჩვენი ცხოვრების ასეთი მიდრეკილება, თუმცა ცოტა გვიან (1858 წელს), მაგრამ მკაფიოდ, მძლავრი გაგებით და სისწორით ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ გამოთქვა ლექსში: „ქართველის დედას“. პოეტი ასე მიჰმართავს თავის თანამედროვეებს:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დაკარგულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი.
ჩ ვ ე ნ უ ნ დ ა ვ ს დ ი ო თ ა ხ ლ ა ს ს ვ ა ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ს,
ჩ ვ ე ნ უ ნ დ ა ჩ ვ ე ნ ი ვ შ ვ ა თ მ ყ ო ო ფ ა დ ი,
ჩ ვ ე ნ უ ნ დ ა მ ი ვ ც ე თ მ ო მ ა ვ ა ლ ი ხ ა ლ ხ ს“.[1]

ამ ფორმულამ, მისი განხორციელების სურვილმა შემოიკრიბა და ძალუმად მიიზიდა მთელი ცოცხალი ძალა ჩვენი ცხოვრებისა და დღემდის ბრწყინვალე შუქურ-ვარსკვლავივით გვინათებს და მოგვიწოდებს მამაცად და მედგრად ვეკვეთნეთ ცხოვრებას, რომ განთიადს, ახალ ქვეყანას „მიჯაჭული კლიტით კარი“ გადავუხსნათ.

მაგრამ 40-იან წლებში ქართველი საზოგადოება, შეიძლება ითქვას, მთელი ქართველი ხალხი, იმდენად იყო აფორიაქებული, ეკონომიურად და პოლიტიკურად ისე დაძაბუნებული, რომ მისთვის ახალი ვარსკვლავის გამონახვა და ახალი გზით სიარული არც ისე ადვილი საქმე გახლდათ. ბატონ-ყმური ურთიერთობით გალატაკებულ, იარაღ-დაყრილ, დამონავებულ ხალხისათვის ადვილი საქმე არ იყო გამოენახა რუსეთთან საჭირო საერთო მოქმედების ასპარეზი, რომელსაც ესენი უნდა შეეერთებინა, და ამათ-კი საერთო ძალით ახალი ვარსკვლავის გამონახვისა და მის მიყოლის საშუალება მისცემოდათ.

ასეთი ასპარეზის გამონახვა, შეერთებული ძალებით კულტურული და ეკონომიური ცხოვრების გამაძლიერებელი სარბიელის შექმნა, რომლის მოთხოვნილებაც წამოიჭრა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში—დაიწყო 40-იან წლებში. ამ გარემოებას ხელი შეუწყო მთავარმართებელი ვორონცოვის პოლიტიკამაც. მის პოლიტიკას სათანადო ნიადაგი ჰქონდა ჩვენში შექმნილ პირობებით. „ვორონცოვის ხანა,—სწერს არჩ. ჯორჯაძე,—განსაკუთრებული ხანა იყო ჩვენში. არც წინად, არც შემდეგში მის მსგავს მოვლენას არა ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. ერთგულება და მჭიდრო კავშირი რ უსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ... ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცოცხლა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართველთა ეროვნული კულტურა რუ-

[1]) კურსივი ჩვენია.

სეთის მფარველობის ქვეშ—ეს ოცნება რეალობად იქცა და ფერმიხ-
დილი წადილი ბრეკვიალა ფერადებით შეიმოსა".[1]

თუმცა არჩილ ჯორჯაძის მიერ ვორონცოვის პოლიტიკის შეფა-
სება არ არის სწორი, ის, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილოა, მაგრამ
მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პერიოდი ჩვენი ცხოვრების ისტო-
რიაში მეტად მნიშვნელოვანია. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მკით-
ხველის ყურადღება გაკვრით მაინც შევაჩეროთ ვორონცოვის მარ-
თველობაზე.

40-იანი წლების ნახევრისათვის რუსეთმაც გარკვეულად დაი-
ნახა, რომ იგი გამარჯვებულია, საქართველოში მკვიდრად მოიკიდა
ფეხი, საჭირო ტერიტორია უკვე გააერთიანა, აღმოსავლეთთან დიდი
ხნიდანვე ნანატრი ხიდი უკვე გასდო. რუსეთმა იგრძნო, რომ ამ
მხრივ მას საფრთხე აღარ მოელოდა. მოინდომა შემდეგში თანდათან
ისე განმტკიცებულიყო, რომ ნაკლები ხარჯი, მსხვერპლი და დაბრ-
კოლებანი ჰქონოდა. ამიტომ რუსეთმა არჩია ძველი მთავარმართებ-
ლების უხეში, დაპყრობითი, სასტიკი რეპრესიების, დაუნდობელი და
დაუზოგველი, სისხლის მღვრელი პოლიტიკა უკუეგდო. მან აშკარად
იგრძნო, რომ ძველი გზა თვით რუსეთისათვის იყო მძიმე და დამ-
ღუპველი. დარწმუნდა, რომ ერმოლოვის, როზენის, ჰანის, გოლოვი-
ნის და ნეიდჰარტის პოლიტიკამ საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა
საქართველო, თვით რუსეთის მიზნების განხორციელების გზაც ნარითა
და ეკლით მოჰფინა. ამიტომ რუსეთმა საჭიროდ დაინახა მშვიდო-
ბიანი, წყნარი და უმტკივნეულო გზა ამოერჩია, რომ თავისი მისწრა-
ფებანი ცხოვრებაში მტკიცედ და სწორად გაეტარებინა.

პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობას ჰგრძნობს არა მარტო
მთავრობა, რუსეთის საზოგადოების არა მარტო ის ნაწილი, რო-
მელსაც აქ, საქართველოში, უხდება პოლიტიკის წარმოება და მისი
აუტანელი შედეგების მოწმედ ყოფნა, არამედ სატახტო ქალაქებში
მცხოვრებნი და მმართველი წრეებიც. ამიტომ სამსახურისათვის
თავის დანებების სურვილი ნეიდჰარტისა მთავრობის მიერ სიამოვ-
ნებით იქმნა მიღებული. რუსეთის საზოგადოების მაღალი წრეები
გაფაციცებით მოელოდებოდენ, ვინ იქნებოდა არჩეული „ამ მეტად
საპასუხისმგებლო და მძიმე თანამდებობაზე"[1]. ყველა გრძნობდა,
რომ იმ დროს ამიერ-კავკასიაში უნდა გამოეგზავნათ ისეთი კაცი,
რომელსაც ექნებოდა სათანადო გონიერება და გამჭრიახობა, რო-

[1]) არჩილ ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. V, გვ. 9.

[2]) И в а н о в к о, Гражд. управ. Закавказьем, გვ. 347.

გორც სამხედრო საქმიანობაში, ისე სამოქალაქო ცხოვრების მოწესრიგებაში.

როცა ამიერ-კავკასიაში ახალი პოლიტიკის გასატარებლად დანიშნულ იქმნა ცნობილი, ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი, ხერხიანი, რუსეთის მეფის ერთგული კარის-კაცი მ. ს. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი, რუსეთის მმართველი წრეები ამ არჩევანს დიდის აღფრთოვანებით მიეგებენ: „მთელი რუსეთი,—სწერს ივანენკო,—ტაშს უკრავდა ამ არჩევანს. პეტერბურგში მისვლის შემდეგ, თავადი (მ. ს. ვორონცოვი) საერთო პატივისცემის და აუარებელი ოვაციების საგნად შეიქმნა"[1].

აშკარაა, კავკასია იმ დროისათვის რუსეთის იმპერიალისტურ მისწრაფებათა განსახორციელებლად საჭირო და აუცილებელ ბაზად გადაიქცა. რუსეთისთვის აუცილებელი შეიქმნა აღმოსავლეთისაკენ გზის გაკაფვა, გამაგრება საზღვრებისა სპარსეთ-ოსმალეთთან და ამით ევროპისათვის მეტოქეობის გაწევა. საქართველო რუსეთისათვის ამ მიზნის განსახორციელებლად მეტად მარჯვე და ხელსაყრელი იყო. საქართველო რუსეთისათვის ხელსაყრელ ბაზას წარმოადგენდა მთელი კავკასიის დაპყრობის საქმეშიც. ამისათვის რუსეთს ქართველები უნდა დაეახლოვებინა; დაემშვიდებინა, მათი გული მოეგო. ვორონცოვის წინამმართველთა უხეში, უყურადღებო, უპატივცემელო მოპყრობის გზა საზარალო გამოდგა თვით რუსეთისათვისაც.

ვორონცოვი, როგორც ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და ნამდვილი რუსი მოხელე, მიხვდა, რომ ისეთი პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა, რომ ქართველთა გული მოეგო. ის ცდილობდა შეუმჩნევლად შეეყვარებინა რუსეთი და მისი კულტურა ქართველთათვის, როგორც თავიანთი საკუთარი. მან მიზნად დაისახა უმტკივნეულოდ განეხორციელებინა რუსეთის დიდი ხნის სურვილი: გადაეშენებინა ქართველი ისე, რომ „სხეული ყოფილიყო ქართველისა, ხოლო სული რუსისა" და ამ გზით მჭიდროდ შეედულებინა ქართველობა რუსობასთან.

ვორონცოვმა გარუსების სწრაფი და უხეში ძალდატანების გზა, როგორც ჭკვიანმა და დაკვირვებულმა მმართველმა, უარჰყო. ადგილობრივი ზნეჩვეულებების დროებითი შენახვით შეუმჩნეველად, უმტკივნეულოდ შემოაპარა რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობა. ამით მან უფრო ადრე და უკეთესად განახორციელა ბიუროკრატიული რუსეთის მისწრაფებანი—ადგილობრივი მოსახლეობის, და განსაკუთრებით ქართველების, ზიარება რუსულ კულტურასთან. ვორონცოვის

---

1) И в а н е н к о, Гражд. управ. Закавк., გვ.348.

მშვიდობიანი და თავ-შეკავებული პოლიტიკის მეოხებით რუსეთის მეფე და რუსული კულტურა ადგილობრივს კულტურას შეუმჩნეველადა სცელის.[1]

რომ ვორონცოვს, აშკარად ამოძრავებდა რუსეთის ბიუროკრატიული მისწრაფებანი და არა ადგილობრივი მოსახლეობის და კერძოდ ქართველების ბედ-იღბალი, ამას ადვილად დავინახავთ, თუ საკმარისი გულისყურით ჩაუკვირდებით მის პოლიტიკის ხასიათს და მიმართულებას. თუ ვორონცოვის პოლიტიკის გარეგნულ მხარეს იქით გადავალთ, და არსებითად გავეცნობით მის მოღვაწეობას, ადვილად გავარჩევთ მისი პოლიტიკის რუსულ ბიუროკრატიულ ბუნებას.

ერთ-ერთს თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ვორონცოვი აი რას მოახსენებს მეფე ნიკოლოზ I-ს: „ყოველი ცვლილება და ყოველი ახალი რეფორმა, რომელიც საუკუნეებით შექმნილ ჩვეულებებსა სცელის, ყველგან არაჩვეულებრივ სიძნელეს წარმოადგენს ცხოვრებაში გატარების დროს. მაგრამ განსაკუთრებით ამ მხარეშია (ამიერკავკასიაში) ამისათვის ამგვარ შემთხვევებში საჭირო დიდის სიფრთხილით მოქმედება. ძალდატანებითი ზომები არამც თუ სიკეთეს არ მოიტანს, არამედ, შეიძლება, მეტად მავნე შედეგიც-კი მოგვცეს“.[2]

ამიტომ ვორონცოვმა თავისი პოლიტიკა და მმართველობა ადგილობრივი მცხოვრებლების კეთილდღეობისათვის ზრუნვით დაიწყო. შეეცადა მათი სამოქალაქო ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. რუსებთან აქაურების დაახლოვების მიზნით მან ამ მხარეში სამი ათას ხუთასი რუსი, განსაკუთრებით მოლოკნებისა და დუხობორების, ოჯახი გადმოასახლა. მოაწყო შავი და კასპიის ზღვების პორტებში მიმოსვლა. გააუმჯობესა საქართ. სამხედრო გზა. საერთოდ, გზა-ტკეცილების გაყვანას და მთავარი პუნქტების ერთმანეთთან შეერთებას დიდი ყურადღება მიაქცია. გამოიწერა გამოცდილი ხელოსნები, საწარმოო იარაღები; გახსნა სანიმუშო სახელოსნოები, დააარსა სავაჭრო ბაზრები, სადაც მცხოვრებთ შესაძლებლობა ეძლეოდათ ნაწარმოების გამოტანისა და გასაღებისა; ხელი შეუწყო სასოფლო მეურნეობის განვითარებას, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღმოჩენას და გამოყენებას. აგრეთვე

---

[1]) იხ. Акты кав. арх. ком. т. X № 29—„Акт грузинского дворянства, 24 апреля 1848 г“; მიხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, გრ. ორბელიანის გამოუქვეყნებელი ლექსები: „მნათობი“—1926 წ. № 7; მ ი ს ი ვ ე, გრ. ორბელიანი და მისი შემოქმედება, „მნათობი“ 1926 წ. №№ 8—9.; ბარბარე ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ლექსი—„ვუძღვნი დროებას“—„ცისკარი“ 1866 წ. № 6.

[2]) И в а н е н к о, Гражданское упр. Закавказьем—გვ. 349.

ხელი შეუწყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, მოსკოვის და პეტერბურგის (აწ ლენინგრადის) ვაჭრები დაიყოლია გაეღოთ ტფილისში საწყობები, რის შემწეობითაც გააბა სავაჭრო კავშირი აღმოსავლეთთან (განსაკუთრებით სპარსეთთან). რის გატანაც-კი შესაძლებელი იყო საქართველოდან, როგორც მაგ. ნედლი მასალისა, გაიტანა[1].

რუსული ენის დანერგვისა და გავრცელების მიზნით ვორონცოვმა გახსნა სკოლები, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო. ეს გზა, ვორონცოვის აზრით, რუსეთს მისცემდა საშუალებას საუკეთესო ნაწილი ადგილობრივი მცხოვრებლებისა გამოეყენებინა რუს მოხელეებად. ამავე მიზნით ადგილობრივ მოსახლეობას, და განსაკუთრებით ქართველ ახალგაზრდობას, გზა გაუხსნა რუსეთის სასწავლებლებში (უმაღლესშიაც-კი) სწავლის მიღებისათვის. ყველა ზემოაღნიშნულით ვორონცოვი, რასაკვირველია, უპირველესად და უმთავრესად რუსეთის საქმეს აკეთებდა, ადგილობრივ მოსახლეობაში რუსეთისადმი კეთილგანწყობილების ნიადაგს აპოხიერებდა.

ვორონცოვმა, როგორც ჭკვიანმა და განათლებულმა ბიუროკრატმა, კარგად იცოდა, რომ რუსეთისადმი ერთგულებას ფართო მასებში ადვილად ვერ განამტკიცებდა; კარგად იცოდა, რომ ერთსულოვანი ერთგულება და თავდადება მასიურად ხალხში ადვილად ვერ გამომუშავდებოდა. კარგადვე ჰხედავდა, რომ მთავრობისათვის გაცილებით ძნელი იყო მცხოვრებთა ფართო მასებზე გავლენის მოხდენა თავის სასარგებლოდ, ვიდრე ამ ცხოვრებთა სხვა რომელსამე ნაწილზე. ვორონცოვი გარკვეულად გრძნობდა, რომ საჭირო იყო პოლიტიკის აღებული გეზის გატარებისათვის დასაყრდნობი ნიადაგი ენახა.

ამისთანა ნიადაგად ვორონცოვმა მიზანშეწონილად ადგილობრივი ერების მაღალი წოდება დაინახა: საქართველოში—თავად-აზნაურობა, აზერბეიჯანში—ბეგები და აღები, სომხეთში—მელიქები. ამის შესახებ ვორონცოვი აი რა საინტერესო აზრს მოახსენებს ნიკოლოზ I-ს. „ყველგან,—ნათქვამია ვორონცოვის მოხსენებაში,—სადაც კი ხალხი მოქალაქეობრიობის დაბალ საფეხურზედა დგას, მთავრობისათვის გაცილებით ძნელია გავლენის მოხდენა მთლიან მასებზე, ვიდრე რომელსამე წოდებაზე, უფრო განათლებულზე და, მაშასადამე, უფრო გავლენის მქონეზე. აქ-კი (ე. ი. ამიერ-კავკასიაში—მ. ზ.), ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, სიძნელე გაცილებით საგ-

[1]) იხ. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე: „მნათობი“, 1926 წ. № 2.

რძნობია; ამისათვის საჭიროა არამცთუ შეეეხოთ მაღალი წოდების უფლებას, არამედ ყოველგვარად შეეეცადოთ მ ი ს ი დ ა ც ვ ი ს ა და გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ი ს ა თ ვ ი ს[1]. ვინაიდან არისტოკრატიული დასაბამის საშუალებით შეიძლება დაძლეულ იქნეს დემოკრატიული მიმართულება, რომელიც განვითარებულია და ასე ღრმადა აქვს ძირი გადგმული დაღესტანში და რომლის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, აქამდის, იარაღის გარდა, არაფერი საშუალება არ არის გამოყენებული"[2].

ვორონცოვი, ამგვარად, ხელმძღვანელობდა აღნიშნული მოსაზრებით და წარადგინა ადგილობრივი არისტოკრატიისათვის პრივილეგიების მიმცემი პროექტი. მიუხედავად იმისა, რომ ვორონცოვის პროექტს ეწინააღმდეგებოდა სამი მინისტრი—პანინი, ბლუდოვი და, განსაკუთრებით, კისელიოვი, ის მაინც ენერგიულად თხოულობდა თავისი პროექტის დამტკიცებას. ვორონცოვის ამ შუამდგომლობას 1846 წ. 6 დეკემბერს შედეგად მოჰყვა რესკრიპტი, რომლის ძალითაც მუსლიმანთა ხანებს, ბეგებს, აღებს და სომხების მელიქებს ებოძათ ყველა პრივილეგიები მაღალი წოდებისა, დაუბრუნდათ ჩამორთმეული მამულები, მიეცათ მესაკუთრის ძალა-უფლება დაბრუნებულ მამულსა და მასზე დასახლებულ მცხოვრებლებზე. ამ რესკრიპტშივეა ერთი მუხლი, რომელიც დასახელებული წოდების წარმომადგენელთ კერძო საკუთრების სრულ უფლებას ანიჭებს, ხოლო ერთი შეზღუდვით-კი: დასახელებული მამული არ შეეძლოთ გადაეცათ ისეთი პირისათვის, ვინც არ ეკუთვნოდა მაღალ წოდებას, ან ვისაც არა ჰქონდა უფლება ყმების ყოლისა[3]. ამ გზით ვორონცოვმა, მართალია, მიაღწია თავისი მიზნის მხოლოდ ერთს ნაწილს—დაამყარა ერთგვარი სიწყნარე და სიმშვიდე მუსლიმანების მაღალ წოდებაში,—მაგრამ მიზნის მეორე ნაწილი, სახელდობრ,—შეექმნა მუსლიმანთა არისტოკრატია, რომელიც მომავალში რუსული კულტურის და გავლენის გამტარებელი იქნებოდა მასებში და გადაიქცეოდა მტკიცე სიმაგრედ რუსეთისადმი სპარსეთისა და ოსმალეთის მტრული გავლენის წინააღმდეგ,—მიუწდომელი დარჩა.

მით უმეტეს დიდი ყურადღების ღირსი გახდა ჩვენი თავად-აზნაურობა: მისი დაკმაყოფილება და დაწყნარება ერთი მთავარი საზრუნავთაგანი იყო ვორონცოვისათვის. მან დააარსა კომისია ჩვენი თავად-აზნაურების პრეტენზიათა საბუთიანობის გამოსარკვევად; შე-

---

[1]) კურსივი ჩვენია.

[2]) И в а н е н к о, Гражд. управд Закавказьеи, з з. 355.

[3]) იქვე, ვვ. 356.

ადგინა მაღალწოდებათა პერსონალური სიები და საერთოდ მათი უფლებების აღდგენას მეტად სათუთად ეპყრობოდა.

ჩვენი მაღალი წოდება, ეკონომიური განვითარების იმ ცვლებათა მიხედვით (ნატურალური მეურნეობის რღვევა, ვაჭრობა-მრეწველობის, ფულის ტრიალის დაწყება), რომელმაც ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში იწყო შემოჭრა და წინა პერიოდის ეკონომიურ პირობათა წალეკვას ლამობდა, უკვე თავის განწირულ მდგომარეობასა გრძნობდა. ახალი ცხოვრების სიომ გლეხ-კაცობაც გამოაფხიზლა. ამ ნიადაგზე ბატონსა და ყმას შორის მოუთავსებლობა და წინააღმდეგობა ფეხს იკიდებს და ჩქარის ტემპით ვითარდება.

თავად-აზნაურთა და გლეხკაცთა შორის უთანხმოება ვორონცოვის დროს საკმარისად მწვავედ იყო გამოხატული ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში. ვორონცოვის დანიშვნას წინ უძღოდა გურიის დიდი აჯანყება (1841 წ.), რომელიც ბატონისა და ყმის უთანხმოებაზე იყო აღმოცენებული. გლეხ-კაცთა წერილი ამბოხებანი ბატონების წინააღმდეგ ამ პერიოდში და მის წინაც მრავალია. ამ მდგომარეობას ჩვენში აღრმავებდა რუსების შემოსვლა და რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების დიდი გავლენა ჩვენსაზე. რუსეთშიაც ახალი ცხოვრების ეკონომიურმა ფორმებმა უპირველესად ბატონისა და ყმის ურთიერთობაზე მოახდინა გავლენა. რუსეთის ცხოვრებაშიაც, კაპიტალიზმის განვითარების გამო, ბატონ-ყმობის საკითხის რადიკალური გადაწყვეტის აუცილებლობა ყოველმხრივ ელინთავდა ატმოსფერას (მთელი რიგი აჯანყებათა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ; საზოგადო აზროვნება, დასავლეთ-ევროპის უტოპიურ სოციალიზმზე აღზრდილი და გავარვარებული; მხატვრულ მწერლობაში და პრესაში გამოდის მთელი რიგი უნიპერესად გამაშუქებელი და დამცველი ყმის თავისუფლებისა. რუსეთში. თავად-აზნაურთა ყრილობებზე ყმათგანთავისუფლების საკითხი არაერთხელ დასმულა. თვით ნიკოლოზ I-ი ურჩევდა (მაგ. ტვერის თავად-აზნაურობას) გლეხ-კაცის განთავისუფლების საქმე ზევიდან დაეწყოთ, თორემ თუ ძირიდან დაიწყებოდა ეს რეფორმა, მათთვის უფრო მტკივნეული შეიქნებოდა.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ვორონცოვმა, თავისი პოლიტიკით გატაცებულმა, რომ, რაც შეიძლება ჩქარა მოენახნა დასაყრდნობი ბაზა რუსეთის პოლიტიკის დასამკვიდრებლად საქართველოში და მით მთელ ამიერ-კავკასიაში, მოეგო გული თავად-აზნაურობისა, გადაებირებინა ის თავის მხარეს, გამოეყენებინა ეს თავად-აზ-

ნაურობა რუსეთის საერთო პოლიტიკის განმტკიცებისათვის ამ მხარეში,—ყმის მდგომარეობა შემსუბუქების. მაგიერ უფრო დაამძიმა, შეზღუდა [1].

სიმშვიდის დამყარებისა და ბატონსა და გლეხ-კაცს შორის დავიდარაბის მოსპობის მიზნით ვორონცოვმა გააუქმებინა 1849 წ. აგვისტოს 16-ს 1836 წლის კანონი, რომლის ძალითაც ყოველ გლეხ-კაცს, რომელზე ბატონობის შესახებ მემამულეს საჭირო საბუთები არა ჰქონდა, უფლება ეძლეოდა დაეწყო თავისუფლების ძიება სასამართლოს წესით. ამის სამაგიეროდ მან დაამტკიცებინა კავკასიის კომიტეტის აზრი, რომლის ძალითაც „საბატონო ყმას ნება ეძლევა ეძიოს ბატონისაგან განთავისუფლების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექნება საბუთები, რომ წინად ის, ან მისი მამა, ან პაპა თავისუფალი იყო. განთავისუფლებაზე საჩივარი არ შეიძლება მიღებული ყოფილიყო იმის გამო, რომ მებატონეს შესაფერი საბუთი არა ჰქონდა“. ხოლო უკანასკნელ მუხლში სწერია, რომ „სანამდის სასამართლო საქმის გამორკვევას გაათავებდეს, გლეხ-კაცი უნდა მებატონეს ემორჩილებოდეს“ [2]. აქედან ცხადია, გლეხ-კაცის მდგომარეობა ჩვენში ვორონცოვის მმართველობის დროს უფრო გაუარესდა.

სამაგიეროთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვორონცოვმა დიდი ყურადღება მიაქცია ქართველი თავად-აზნაურობის ლოიალობას. ალბად იგრძნო, რომ მისი პოლიტიკის წარმატებით გატარებისათვის ეს საუკეთესო ელემენტი იყო და მას მაგრათ ჩაებღაუჯა.

ვორონცოვი, როგორც გამოცდილი მმართველი, შეეცადა ჩვენი პროვინციები გაეწმინდა ყოველი არასაიმედო ელემენტისაგან, ვისაც კი შეეძლო ხალხში უკმაყოფილების თესლი გაეღვივებინა. ამისათვის მან ყოველი ღონე იხმარა თავად-აზნაურობა თავის ახლო მოემწყვდია და მოემადლიერებინა. ამ მიზნით, გარდა გამოთხოვილი პრივილეგიებისა, ვორონცოვმა თავად-აზნაურობას თავისი სასახლის კარები ფართოდ გაუღო. მართავდა წვეულებებს, ჰპატიჟობდა მათ და თვითონაც ხშირად ეწვეოდა ხოლმე. ამ გარემოებამ მეტად დაახლოვა ჩვენი მაღალი წოდება ვორონცოვთან. მაღალი წოდების საუკეთესო ნაწილი ჩინებისა და თანამდებობის მიცემით გადაიბირა. ჩინის მიღება ჩვენი ეკონომიურად ნიადაგ-გამოცლილი თავადაზნაურობისათვის ერთგვარ წასაბაძავ და შურის ამღძვრელ საგნად გადაიქცა.

[1]) Иваненко—Гражд. упр. Закавказьем. ст. 273.
[2]) Акты кав. арх. ком. т. X—№ 40 § 1, 2 და 4.

აი ამ მოვლენას რა შეფასებას აძლევს ვახტანგ თულაშვილი (ვ. თ.) „საქართველოს მოამბეში“:

„რუსებმა შემოიტანეს აქ ის დაწყობილება და ზოგიერთი კანონები, რომელიც იყენენ და სწარმოებდნენ თვით რუსეთშია. ცუდი იყო, თუ კარგი, მეტი არ ჰქონდა რა... სხვათა შორის დადებული იყო, რომ ვისაც არა ჰქონდა ჩინი, არ შეეძლო ხმა ამოეღო საზოგადოების კრებაში, სადაც, ვითომ, ზრუნავდენ სახალხო საჭიროებისათვის. ამ დაწყობილებამ მიიყვანა ხალხი იქამდინ, რომ ყველას ელანდებოდა მხოლოდ ისა, რომა მიეღო ჩინი და დაეწყო სამსახური, პირველად ამისათვის, როგორც კეთილშობილსა კეთილშობილთ კრებაში ხმა ჰქონოდა, მეორე იმისთვის, უფრო, რომა განთავისუფლებულიყო ყოველგვარ დაჩაგვრისაგან და უპატიურებისიგან, რომელსაც მიაყენებდა ხოლმე სამსახურს გარეშე მყოფელს კაცსა როგორც თვითონ საზოგადოება, ისე მთავრობაც. ვისაც არა ჰქონდა ჩინი, ყველგან სამჯავროებში და სხვა სასამართლოებში ექცეოდენ უპატიურად, ხან შეურაცყოფითაც, არსად არ უნდოდათ ეგდოთ ყური იმისათვის—თვით საზოგადოებაც კი ცდილობდა ყოველ ფეხის გადადგმაზედ ეგრძნობინებინა, რომა თუმცა ის აზნაურის ან თავადის შვილია, მაგრამ მომეტებულ პატივისცემისათვის, რომ ჩინიცა ჰქონდეს, კარგი იქნებოდა უფრო... ეს ყოველი ფეხის გადადგმაზედ ჩინოვნიკის გადამეტების გრძნობა და ჩვენება, რასაკვირველია, მიიყვანდა ხალხს იქამდინა, რომ თავადსაცა და აზნაურსაც მააშვლეპინებდა ქუდსა უბრალო დიამბეგის წინა და მოანდომინებდა, რომ თვითონაც მალე მიიღოს ჩინი, რათა თავის დროზედ სხვასაც ეგრე აშვლეპინოს თავის წინ ქუდი. ქუდის შვლეპას არ სჯერდებოდნენ. სჩაგრავდენ არამც მარტო ყოველთვის ხმაგაკმენდილს დაბალ ხალხსა, არამედ თავადებსაც, აზნაურებსაც... რასაკვირველია, ეს ყოფა ხალხს ანატრებდა ჩინოვნიკობას, რომლის სახელითაც, იმათ ფიქრით, კაცს შეეძლო დაუსჯელად დაეჩაგრა არამც თუ დაბალი ხალხი, ყოველთვის მაგ ყოფას შეჩვეული, არამედ იმის თავად-აზნაურობაც“[1].

ამ გარემოებამ, მართლაც, ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა. მრავალი ჩინის მაძიებელი თავად-აზნაური ქალაქში გადმოსახლდა. ამ მოვლენამ კი ჩვენი საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებას დიდი დაღი დაასვა.

ამ გვარისავე მოსაზრებით ეორონცოვმა ხელი შეუწყო ჟურნალი „ცისკრის“ და ქართული თეატრის დაარსებას. ყველა ამ საშუალე-

[1]) „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 1, გვ. 140 –141.

ბას, როგორც ზევითაც ამას აშკარად გავუსვით ხაზი, ვორონცოვმა მიმართა არა ქართველ ხალხის სიყვარულით, არამედ რუსეთის გაბატონების და განმტკიცების მიზნით, ქართველი ერის და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების დასაყუჩებლად, ქართველი საზოგადოების ყოველი ცოცხალი ძალის ადვილათ კონტროლის გასაწევად.

მართლადაც, ვორონცოვმა შესძლო ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს ცხოვრების დაწყნარება, ყოველ შემთხვევაში, მიყუჩება. ადგილობრივი ერების არისტოკრატიისადმი ალერსით, დაყვავებით, უპირატესობის და პრივილეგიების მინიჭებით საქმე წყნარი ტ მშვიდი გზით წარმართა. ვორონცოვის პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, მისი მოღვაწეობის სულ რამოდენიმე წლის შემდეგ, სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. რუსეთისათვის კავკასიაში სასურველი დამკვიდრება, მართლადაც, მოხდა. ჩამოვარდა სიმშვიდე, გაერთიანდა საერთო პოლიტიკით და მმართველობით მთელი კავკასია. 1848 წ. აპრილის 24-ს ვორონცოვის პოლიტიკის გამარჯვება დაგვირგვინდა ქართველი თავად-აზნაურობის მეტად აღფრთოვანებული ადრესით რუსთ მეფისადმი [1].

ჩვენს თავად-აზნაურობას ვორონცოვის ლოიალურმა პოლიტიკამ თავბრუ დაასხა. ახალი, ევროპული ცხოვრების გემო გაიღო. სოფელში გული აღარ უდგება, ვისაც კი შეუძლიან, გადმოდის, თუ ტფილისში არა, საერთოდ ქალაქად. სოფლის მეურნეობა, ისედაც მცირე და დაბალი კულტურისა, მებატონის გადმოსახლებით უფრო ეცემა. შემოსავალიც თანდათან კლებულობს. ახალი ცხოვრება კი მეტს ხარჯს თხოულობს. იმართება წვეულებანი, ყველა ცდილობს სხვისი თვალის მიგებას, სხვას არ ჩამორჩეს. და ყოველივე ეს სავსებით სცარავს ჩვენს მაღალ წოდებას. ჩინოვნიკის ჯამაგირი, რომელსაც ის, უკეთეს შემთხვევაში, იღებს, პირის ქარად არა ჰხვდება. ფული კი თანდათან უფრო სპირდება. და, რადგან მამულის შემოსავალი მცირდება, მებატონის ხარჯი, ახალი ცხოვრებით გამოწვეული, მთელი თავისი სიმძიმით კისერზე ყმას აწვება. „თავის მოხსენებაში, — სწერს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, — გენერალ-ადიუტანტს სტრეკოლოვს ზავალეისკი აღნიშნავს გლეხ-კაცობის მძიმე მდგომარეობას, მემამულეების მიერ მათს ექსპლოატაციას; ამისათვის, ამბობს ის, მართლადაც გლეხკაცობა არამც თუ კეთილად არ არის განწყობილი მემამულეებთან, არამედ ხშირად უარსაც კი ამბობენ მათს დამორჩილებაზე, განსაკუთრებით შეძლებული გლეხები. მემამულენი, რადგა-

[1]) Акты кав. арх. ком. т. X—№ 29.

ნაც მდიდარ გლეხებს ვერ იმორჩილებდნენ, გადასახადების, ბეგრისა და ხშირად თავიანთ თვითნებობის მთელი სიმძიმით ღარიბებს აწვებოდნენ... გლეხ-კაცობა მასიურად ცდილობდა ბატონყმობისაგან განთავისუფლებას"[1].

გლეხ-კაცის ასეთსავე მდგომარეობას ასახავს ილია ჭავჭავაძეც:

„როცა დიდი და პატარა
გაღარიბდა, გაღატაკდა,—
. . . . . .
თვით შევსხედით მაღლა თაროს,
დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით"-ო[2].

არც ყმის ნაოფლარი იყო უძირო ორმო და დაუშრეტელი წყარო! დარღვეულ მეურნეობის დროს, როცა თვით ყმას არაფერი ებადა, ბატონისათვის აბა რა უნდა მიეცა... ამიტომ უკანასკნელი იძულებული იყო ფული სესხად ახლად გაჩენილ ჩარჩ-ვაჭრებისაგან აეღო, ან დიდი სარგებლის გადახდით, ან მამულის დაგირავებით. ვალს ის ველარ იხდიდა. მისი შემოსავლის უმეტესი ნაწილი სარგებელს მიჰქონდა. ბოლოს, თვით მებატონის მამულიც მოვალეს ხელში გადადიოდა.

ამ რიგად, ნატურალურ მეურნეობის რღვევის პროცესში და ამავე ნიადაგზე ჩნდება მესამე სოციალური ფენა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა—ფულის მქონენი, რომელნიც ცხოვრების ასპარეზზე გამოდიოდენ ცარიელი ხელით, უარარაოდ, უსწავლელი, მაგრამ სამაგიეროდ ცხოვრების ცოდნითა და მაგარი, გამძლე ხერხემლითა.

მიკირტუმები („გაყრა"), კარაპეტები („ძუნწი"), მეჯღანუაშვილები („ს. ი. მეჯღანუაშვილი") სწორეთ ამ პერიოდში იღებენ ასე თუ ისე გარკვეულ სახეს. და ჩვენი ლიტერატურაც აქეთ იყურება, ამას აკვირდება, ამას ასახავს.

ვორონცოვის პოლიტიკამ, როგორც ხელი შეუწყო ჩვენი ბრწყინვალე წოდების ნატურალურ მეურნეობის სწრაფ და ძლიერ რღვევას, ისე უდაოდ ნიადაგი მოუმზადა ჩვენი სოციალური ცხოვრების მესამე ფენის გაძლიერებას და გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე. აქ, ამ პერიოდში, აშკარად დაიწყო ერთი-მეორისაგან გაყრა ძველმა და ახალმა საქართველომ.

---

[1]) ივ. ჯავახიშვილი,—Политическое и социальн. движение в Грузии в XIX—в— გვ. 23—29.

[2]) ილ. ჭავჭავაძე,—რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით.

მაგრამ მთავარი და ძლიერი მომენტი, ძველი და ახალი საქართველოს გაყრა და ახალი გზის გამონახვის აუცილებლობა რომ დაჩქარა,—გახლავსთ ბატონ-ყმობის გადავარდნა. მართალია, ამ რეფორმამ ხალხის მასებს სასურველი მდგომარეობა ვერ მიანიჭა, მართალია, ეს რეფორმა მეტად კუდ-მოკვეცილი და უძლური გამოდგა, მაგრამ ხალხის და სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში, სადაც, შეიძლება ითქვას, მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ხალხის უმეტესი ნაწილი ბატონ-ყმობის მონობის უღლისაგან განთავისუფლდა. ის თუმცა ეკონომიურად უზრუნველყოფილი არ შეიქმნა, თუმცა აღთქმის ქვეყანა მისთვის ჯერ კიდევ არამც თუ შორს, არამედ კვლავინდებურად შორიდანაც კი უხილავი რჩებოდა, მაგრამ ეს ფაქტი მაინც მეტად ძალუმია, ახალი ცხოვრების მძლავრი დასაწყისია. აქიდან ჩვენი ცხოვრების განვითარება აჩქარებულისა და მტკიცე ტემპით წავიდა წინმსვლელობის გზით.

ვინაიდან ამ დროისათვის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება უკვე მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან: — ჩვენი ცხოვრება ითქვიფება რუსეთის საერთო ცხოვრების მსვლელობაში, ჩვენი საზოგადოების აზროვნება რუსულ საზოგადო აზროვნებით საზრდოობს—ამიტომ, რათა საკითხში უკეთესად გავერკვიოთ, ზედმეტი არ იქნება მოკლეთ მაინც გავიცნოთ რუსეთის საზოგადო აზროვნების და ლიტერატურის ძირითადი მიმართულებანი 60-70-იან წლებში.

III

რუსეთის საზოგადო აზროვნების და ლიტერატურის ძირითადი მიმართულებანი 60—70 წლებში

60-ანი წლები რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში ძალების დიდი დაჭიმვისა და შემოქმედების, რღვევისა და ნგრევის, ახალის ძიებისა და შენების სურვილთა პერიოდია. ეს ხანა რადიკალური ზღვარია ახალსა და ძველს შორის. ეს მძლავრი გარდატეხის, გაყრის მომენტია ძველისა და ახალი რუსეთისა. ეს ხანაა ძველი რუსეთის ბატონ-ყმურ, პატრიარქალურ ბეჭეთა ნგრევისა, ამ ნიადაგზე ახალი სოციალური გადაჯგუფებისა, განახლებული რუსეთის არა მხოლოდ ლიბერალური, არამედ დემოკრატიულ-სოციალისტური მტკიცე საფუძვლების ჩაყრისა. ეს ხანაა მძლავრი ქროლვისა, რომელიც ძლიერდება ერთის მხრით (და უმთავრესად) მით, რომ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმარჯვებს ეკონომიური ცხოვრების ახალი ფორმა (კაპიტალიზმი) და ლამობს მის გარდაქმნას თავისი ბუნების კანონების მიხედვით, და მეორეს მხრით, იმითაც, რომ ამ დროიდან თანდათან უფრო მეტის ძლიერებით მოჰქრის დასავლეთ ევროპიდან განმანთავისუფლებელი იდეები და ადამიანური ცხოვრების დამყარების და მოპოების თესლი მოაქვს. ეს ის ხანაა, როდესაც რუსეთის მოწინავე საზოგადოება ირაზმება, გარკვეული სახის მიღებასა ცდილობს და მთავრობის და ბიუროკრატიული მმართველობის საწინააღმდეგოდ მტკიცე პოზიციას იჭერს ხალხის სასარგებლოდ.

60-იანი წლები ერთგვარი დაჯამებაა როგორც რუსეთის ცხოვრების ახალი ეკონომიური განვითარებისა, ისე ამ მოვლენაზე აღმოცენებული რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების განვითარებისა განსაკუთრებით მე-XVIII-ტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული მე-XIX-ტე საუკუნის 60-იან წლებამდის. რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში 60-იანი წლები საზღვარია, საიდანაც რუსის საზოგადოება გამოდის დამოუკიდებელ კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალისტურ გზაზედ და დიდის მსხვერპლის გაღე-

ბით ამ ნარ-ეკლიან გზით სიარულს იწყებს, გატაცებული იმ იმედით, რომ ამ ქვეყნად, აქ, მიწაზედ, ბედნიერებას დაამყარებს.

1.

60-იან წლებს რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აზროვნებაშიაც ჩვეულებრივ იწყებენ 1856 წლიდან, ყირიმის სამარცხვინო დამარცხებიდან, და აგრძელებენ 1866—1868 წლებამდის (კარაკოზოვის მიერ ალექსანდრე მე-II მოკვლის განზრახვით (1866 წელს) გამოწვეულ რეაქციის დაწყებამდის).

60-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნება რუსეთისა ორ პერიოდად იყოფა. პირველ პერიოდში რუს საზოგადოებას რეფორმების გატარების მოლოდინში საერთო გატაცება ეტყობა. თვით მთავრობაც ლიბერალურად არის განწყობილი. ისიც რეფორმების პროექტების დამუშავებაშია ჩაბმული. საზოგადოება მთავრობას ამ დროს ნდობით ეპყრობა. თვით ემიგრანტი გ ე რ ც ე ნ ი ც ყი გაიტაცა ამ ნდობის ტალღამ. მან თავის „Колоколъ"-ში მეფეს შემდეგი სიტყვებით მიჰმართა: „მეფევ, მიეცი თავისუფლება რუსულ სიტყვას; ჩვენი გონება შებოჭვილია; ჩვენს აზრს ფრთის გაშლა არ შეუძლია და შხამავს ჩვენს გულს; ეს აზრი ცენზურის ბორკილებში კვნესის, მოგვეცი უფლება თავისუფალი მსჯელობისა!.. ჩვენ ბევრი რამა გვაქვს სათქმელი კაცობრიობისადმიც და ჩვენებისადმიც! მიეცი გლეხ-კაცობას მიწა! ეს მიწა გლეხებს ისედაც ეკუთვნისთ. მოჰბანე რუსეთს დამცირების ლაქა—ბატონ-ყმობა; მოურჩინე ჩვენს ძმებს ზურგზე წყლული—ეს საშინელი კვალი ადამიანისადმი სიძულვილისა"[1].

60-იანი წლების პირველ პერიოდში მთავრობისადმი ნდობით იყო აღტურვილი ისეთი რადიკალი მოაზროვნეც კი, როგორიცაა ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი. მაგრამ მასაც მალე დაეტყო იმედ-გაცრუებულობა და მთავრობისადმი მტრული განწყობილება.

60-იანი წლების ორი შინაპერიოდის ზღვარად 1861 წელი ითვლება.

1861 წლის თებერვლის 19 უდიდესი და უბრწყინვალესი გამარჯვების დღეა რუსეთის ისტორიაში. ამ დღეს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი მონობის ბეჭენი ჩამოირღვა. ამ დღეს 60 მილიონი რუსი გლეხ-კაცი ადამიანად იქმნა ცნობილი. იგი ბატონ-ყმობის მონობისაგან განთავისუფლდა. იგი ახლა აღარ წარმოადგენდა სხვის კუთვნილებას. და რუსი ინტელიგენციის გამარჯვებაც სწორეთ ეს იყო.

[1]) В о т р и н с к и й—Литерат. и крит. движение 60-х годов.

მაგრამ გლეხ-კაცის განთავისუფლების პირობებმა ინტელიგენციის აღფრთოვანებას მალე ფრთები შეაკვეცა. ყმის უმიწოდ განთავისუფლებამ ვერ იხსნა ის ვერც მონობისაგან და ვერც სიღატაკისაგან. გლეხის მძიმე, აუტანელი მდგომარეობა მაინც გრძელდება. გლეხი ვერ სარგებლობს იურიდიული უფლებებით, ვინაიდან სიღარიბე და უკულტურობა მას ანადგურებს, სულს უხუთავს, გასაქანს არ აძლევს.

ძალა-უნებურად, თავის თავად რუს ინტელიგენციის წინაშე წამოიჭრა საკითხი: ხალხი განთავისუფლებულია, მაგრამ ბედნიერი კია ხალხი?

პასუხი, რასაკვირველია, მხოლოდ ერთი იყო და ისიც უარყოფითი. ამიტომ რუსმა ინტელიგენციამ გატაცებას და ნდობის ბურუსს მალე თავი დაახწია და დაუყოვნებლივ დაიწყო მძიმე და შეურიგებელი ბრძოლა ხალხის ინტერესების, ბედნიერების და, პირველ რიგში, მისი ეკონომიური კეთილდღეობისათვის. ინტელიგენცია მტკიცეთ განაგრძობს ბრძოლას ხალხის ნამდვილ განთავისუფლებისათვის. „სამოციან წლებიდან დაწყებული,—სწერს ივანოვ-რაზუმნიკი,—რუსეთის ინტელიგენციის უმრავლესობა სოციალისტურად იქმნება, და ამ რიგად, მე-XIX-ტე საუკუნის მეორე ნახევარში ბრძოლა ხალხის ინტერესებისათვის, მის განთავისუფლებისა და ბედნიერებისათვის სოციალიზმის დროშის ქვეშ სწარმოებდა"[1].

რუს ინტელიგენციის სოციალისტური სულიერი განწყობილება 60-იან წლებში მოულოდნელი არიყო. ჩერნიშევსკის, რუსეთის სოციალიზმის ამ შესანიშნავი წარმომადგენელის, გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე მომზადებული იყო წინა ეპოქის რუსი საზოგადოების აზროვნების მსვლელობით—ბელინსკის, გერცენის და სხვათა მოღვაწეობით.

60-იან წლებში ეს რადიკალური მიმართულება უფრო გამოირკვა და შედარებით მასიურ მოვლენად გადაიქცა. ახლა ინტელიგენცია თავისი საგრძნობი შემადგენლობით დემოკრატიული გახდა. ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ.

60-იან წლებში სოციალისტურად მოაზროვნე ინტელიგენციის რიგები ახალი, ცხოველმყოფელი, ნიადაგიანი ძალით—„რაზნოჩინეცით" გაიზარდა და შეივსო.

ამ პერიოდში რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების საკმარისად მძლავრად გამოცოცხლებამ ხელი შეუწყო ლიბერალურ ქროლვის

[1]) Иванов-Разумник—История руск. общ. мысли. ტ. II გვ. 3.

ზრდას, წოდებრივი ზღუდეების რღვევას, სასწავლებელთა რიცხვის გამრავლებას, უნივერსიტეტში შესვლის გაადვილებას. ამ გარემოებამ სამოღვაწეო და სალიტერატურო ასპარეზზე ახალი ფენა რუსეთის ხალხისა — „რაზნოჩინეცი“ წამოაზიდა.

„რაზნოჩინეცმა“ რუსი ინტელიგენციის აზროვნების გეზი რადიკალიზმისკენ საგრძნობლად მოაბრუნა. „რა მ ო ხ დ ა?“—კითხულობს ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და გამომხატველი ეპოქისა მ ი ხ ა ი ლ ო ვ ს კ ი, როდესაც ცდილობს ახსნას 60-იანი წლების ფიცხელი მუშაობა, მღელვარება, მოძრაობა, და თვითონვე ამბობს —„რაზნოჩინეცი მოვიდა“-ო!.

და მართლადაც, სამოღვაწეო ასპარეზზე ჯგუფობრივ გამოდის „რაზნოჩინეცი“, თან მოაქვს საღი გრძნობა, საღი, თუმცა ხანდისხან გაბოროტებული, ბოღმიანი, შურისმაძიებელი სულიერი განწყობილება. „ცხოვრების ჭაობიდან და ტევრიანი ხეებიდან,—ახასიათებს „რაზნოჩინეცს“ ანდრეევიჩი,—მოიტანა მან („რაზნოჩინეცმა“) შეუფერავი ამბები მასების ტანჯვისა, სიმშილისა, სიღატაკისა, უმეცრებისა; მოთხრობები ისეთივე მშრალი, როგორც სასამართლოს ანგარიშები, მაგრამ სამაგიეროდ სინამდვილის ფაქტებით გულშემზარავი. მაგრამ მან სთქვა, რომ აი ამ უფერულ მასას უნდა სიცოცხლე და ცხოვრება და ყოველის ღონისძიებით ეძებს გამოსავალ გზას თავისი ოცნებისათვის“[1]. აი სწორედ ამ დროიდან რუსი ინტელიგენცია გარდაიქცა გარეკლასობრივად და გარეწოდებრივად.

„რაზნოჩინეცი“ მთელი თავისი დაუკმაყოფილებელი სურვილით და მძლავრი ტემპერამენტით ცდილობს ცხოვრების სურვილი მოიკლას. ის ამ სურვილის განხორციელებისაკენ გაშმაგებით მიისწრაფვის. შესაფერი და სასურველი გზების გამონახვის პროცესში, გაბოროტებული ამსხვრევს და უარყოფს ძველს, ძველი თაობის კერპებს, ავტორიტეტებს, რომელთაც ხშირად განყენებული ხასიათი ჰქონდათ და მას („რაზნოჩინეცს“) ჯერ-ჯერობით არა სჭირდებოდა.

60-იანი წლების „ნიღილიზმი“ თავისი უარყოფით აღმოცენებულია ამ სულიერ განწყობილებაზე. ნიღილისტების შეხედულებით კულტურისა და პროგრესის ის მხარეები, რომელიც არ ემსახურება ცხოვრების მთავარ კითხვას:—„როგორ უნდა გავაძლოთ მშიერი ხალხი“—საჭირო არ არის. პისარევის თქმით, ნიღილისტების დევიზი და ტაქტიკა შემდეგია: „რის დამსხვრევაც შეიძლება, უნდა დაიმსხვრას; რაც გაუძლებს,—ის გამოდგება, რაც დაილეწება,—ის გამო-

[1]) Андреевич—„Опыт философ. русск. лит.“ გვ. 212—213.

უდეგარია; ყოველ შემთხვევაში, დაჰკა მარჯვნივ და მარცხნივ. ეს არ გვავნებს და არც შეიძლება გვავნოს"[1].

ასეთი შეხედულებით და სულიერი განწყობილებით აიხსნება 60-იანი წლების მოღვაწეობის უარყოფა ეთიკისა, ესთეტიკისა, თეორიისა და პრინციპებისა საერთოდ. 60-იანი წლების მოღვაწეებმა კერპად გადააქციეს პრინციპი სარგებლიანობისა. „ზნეობა", „სიკეთე", „სიმართლე"—ეს სიტყვები და ცნებები, მათის აზრით, ზედმეტი იყო, თუ შინაარს არ ახასიათებდა სარგებლიანობა. ხელოვნებას ჯ კერძოდ ლიტერატურასაც ისინი ასეთ მოთხოვნილებებს უყენებდნენ.

სიღარიბესა, სიბინძურეს და ნაკლებულობაში გამოზრდილმა „რაზნოჩინეცმა" გულისყური იმას მიაპყრო, რაც მას გამოიყვანდა ასეთი მდგომარეობიდან: „მეცნიერება,—სამართლიანად ახასიათებს „რაზნოჩინეცს" ანდრეევიჩი,—ცოდნა, როგორც საშუალება პრაქტიკულ ცხოვრებაზე საუკეთესო ზეგავლენისა,—აი რა ანიჭებდა მას გამარჯვებას. და მან ქედი მოიხარა ახალი, მაგრამ თავისი კერპის წინაშე... ქადაგებდა ბუნებისმეტყველებას და სტატისტიკას, რადგანაც მთავარი დასაბამი იმისი ფსიქოლოგიისა ცხოვრებაზე უფლების და მასზე ბატონობის მოპოების წყურვილი იყო"[2].

ასეთმა მიმართულებამ წარმოშვა უარყოფა 40-იანი წლების მოღვაწეებისა, „სიტყვის" ადამიანებისა, უნიადაგო, ზედმეტ პიროვნებათა («лишние люди»); უარყოფა პუშკინისაც კი. დამყარდა უტილიტარული შეხედულება ხელოვნებაზე. 60-იან წლებში ადამიანის მოქმედების ეთიურ ღირებულებას მისი სოციალური სარგებლიანობის მიხედვით ზომავდნენ.

ასეთი უტილიტარული შეხედულება ხელოვნებაზე მკაფიოდ გამოსთქვა ეპოქის საუკეთესო წარმომადგენელმა ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი მ თავის სადისერტაციო თხუზულებაში „Эстетические отношения искусства к действителности".. ჩერნიშევსკიმ ხელოვნების ჭეშმარიტი განმარტება წამოაყენა შემდეგი ფორმულის სახით: „მშვენიერება არის ცხოვრება" („прекрасное есть жизнь"). მშვენიერია ის საგანი, რაც გამოხატავს ცხოვრებას. ცხოვრების ასახვა, ჩერნიშევსკის შეხედულებით, ჯრსებითი თვისებაა ხელოვნებისა. აქედან გამომდინარეობს ჩერნიშევსკის მიერ უარყოფა თეორიისა—„ხელოვნება ხელოვნებისათვის", რომელიც, მისი აზრით, ისეთივე უცნაურია, როგორც „სიმდიდრე სიმდიდრისათვის", „მეცნიერება მეცნიერებისათვის"; ყველა-

[1]) П п с в р о в—Схоластика XIX века.

[2]) А н д р е е в и ч—Опыт философ. русск. лит. зз. 213.

ფერი, ჩერნიშევსკის შეხედულებით, უნდა ემსახურებოდეს ადამიანის ბედნიერებას. ასეთისავე აზრის იყო მეორე საუკეთესო წარმომადგენელი 60-იანი წლებისა დობროლიუბოვი. პისარევმა მათი უტალიტარიზმი უკიდურესობამდის განავითარა.

60-იანი წლების პირველსავე ნახევარში ჩერნიშევსკი და სხვებიც მებრძოლი სულიერი განწყობილების გამომხატველნი არიან. ისინი ოპოზიციონური „სიტყვით" აღარ კმაყოფილდებიან, არამედ რევოლუციონურ საქმეს ეძებენ, რევოლუციონურ მოქმედებას თხოულობენ. ასეთს სულიერ განწყობილებას დობროლიუბოვი ასე გამოსთქვამს:

«На труд и битву я готов,
Лишь бы начать в союзе нашем
Живое дело, вместо слов!..»

და მართლადაც, რუსეთის სინამდვილე და ამაზე აღმოცენებული სურვილი რუსეთის გარდაქმნისა და ხალხი ს ბედნიერების მოპოებისა თხოულობდა საქმეს, და ცოცხალ ენერგიულ საქმესაც.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, 1861 წლის მანიფესტმა მიზანს ვერ მიაღწია. ბატონ-ყმობის უღლისაგან თუმცა განთავისუფლებული' მაგრამ ძალმომრეობით, სიმშილით და უკულტურობით გაძვალტყავებული 60 მილიონიანი რუსი ხალხი განაგრძობდა მძიმე პირობებში ცხოვრებას. რა გზით უნდა მიახწიოს ამ ხალხმა ბედნიერებას?აი მთავარი და ღერძეული საკითხი რუსეთის ინტელიგენციისათვის. რუსეთი დასავლეთ-ევროპის განვითარებას უნდა მიჰყვეს, ისეთისავე გზით უნდა წავიდეს სოციალიზმის სამეფოსკენ, თუ მას განვითარების სხვა გზა აქვს, როგორც ამას ამტკიცებდნენ სლავიანოფილები და შემდეგ ცნობილი გერცენიც?

„მომავლის ადამიანი რუსეთში,—ამბობს გერცენი,—გლეხ-კაცია, როგორც საფრანგეთში—მუშაა... რუს გლეხ-კაცს არა აქვს ზნეობა, გარდა იმისა, რომელიც ინსტიქტურად და ბუნებრივად გამომდინარეობს იმისი კომუნიზმიდან; ეს ზნეობა ღრმა ხალხურია; მემამულეთა აშკარა უსამართლობა უფრო აახლოვებს და აკავშირებს მას (ე. ი. ხალხს—მ. ზ.) თემობრივ წყობილებასთან და იქიდან გამომდინარე მის უფლებებთან"[1]. გერცენის ეს შეხედულება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში რუსულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ აზროვნებაში ძირითად ლოზუნგად გადაიქცა. ამ შეხედულების გამეორებას, გაღრმავებას და განწმენდას ვხედავთ ჩერნიშევსკის, მიხაილოვის, ლავროვის, მიხაილოვსკის ‌ და სხვათა შეხედულებასა

[1]) Герцен—„Русский народ и социализм."

და წერილებში. ყველა ესენი რუსეთის თავისებური განვითარების გზას ამყარებდნენ სწორედ ამ „თემურ წყობილებაზე" („общинное устройство"), რომელიც რუსი მდაბიო ხალხის ცხოვრებას ისტორიულად საფუძვლად ედო.

თემური წყობილება, ჩერნიშევსკისა და მის თანამოაზრეთა შეხედულებით, რუსეთს არა მარტო იხსნის პროლეტარიზაციისაგან, რომელმაც დასავლეთ-ევროპას უბედურების მეტი არაფერი მოუტანა, არამედ შეიქმნება ხელსაყრელ გადასასვლელ საფეხურად სოციალიზმისაკენ, სადაც არ არის არც მდიდარი, არც ღარიბი, არც კერძო საკუთრება, აღარც ძალდატანება და ექსპლოატაცია.

ჩერნიშევსკი და მთლად იმ დროინდელი რუსი ინტელიგენცია დასავლეთ-ევროპის უტოპისტი სოციალისტების დიდ გავლენას განიცდიდნენ. ამ გავლენას ქვეშ მყოფი რუსი ინტელიგენცია „ობშჩინას" უცქეროდა, როგორც ფურიეს ფალანსტერიის მსგავსს ორგანიზაციას [1]. ჩერნიშევსკისა სწამდა, რომ „ობშჩინის" (თემური წყობილება) შემწეობით რუსეთს შეუძლიან თავიდან აიცილოს კაპიტალისტური წყობილების სტადია, რომელსაც პროლეტარიზაციასთან ერთად ხალხისათვის უბედურება და ტანჯვა მოაქვს.

ეს შეხედულება საფუძვლად უძევს რუსულ „ნაროდნიკობას" („ხალხოსნობას"). და ჩერნიეშევსკიც სამართლიანად ითვლება ამ მიმართულების მამათმთავრად. „ობშჩინის" განვითარება და გაღვივება, ჩერნიშევსკის აზრით, რუსეთს მიიყვანს სოციალიზმის სამეფოში, საითკენაც დასავლეთ-ევროპა მიდის კაპიტალიზმის გზით. „ობშჩინა" 60—80 წლებში ცენტრალურ საკითხად შეიქმნა. „ობშჩინა" რუსეთისა და ევროპის ისტორიულ განვითარების განმასხვავებელ პუნქტად გადაიქცა.

1861 წელს „ობშჩინის" მნიშვნელობას და რუსეთის განვითარების განსაკუთრებულ გზას ჩერნიშევსკის ახლო მეგობარი რევოლუციონერი მიხაილოვი აი როგორ ასაბუთებს: „რუსეთი უნდათ გადააქციონ ინგლისად და უნდათ ჩვენ ინგლისური მოწიფულობით გაგვეღინთონ. მაგრამ განა რუსეთს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, ნიადაგის პირობებით, მიწის რაოდენობით და თვისებით რაიმე საერთო აქვს ინგლისთან?

---

[1]) დამახასიათებელია ჩერნიშევსკის რომანი „Что делать?", რომელშიაც აშკარადაა გადმოცემული რუსი ინტელიგენციის გატაცება ფალანსტერიის მსგავსი არტელებით და ორგანიზაციებით, რომლებითაც, მათი შეხედულებით, მომავალში რუსეთი უნდა მოფენილიყო.

განა ინგლისელები რუსეთის ნიადაგზე ისეთივენი გამოვიდოდნენ, როგორებიც არიან თავიანთ კუნძულებზე? ჩვენ უკვე ვიყავით ინგლისელთა მაიმუნები (!). არა, არ გვინდა ინგლისელთა ეკონომიური მოწიფულობა. იმას რუსის კუპი ვერ მოინელებს.

არა, არა, ჩვენი გზა სხვაა
და ჯვარი [1]. ჩვენ არ უნდა ვატაროთ.
დეე, ის ატაროს ევროპამ.

„მართლადაც, ვის შეუძლიან დაამტკიცოს, რომ ჩვენ უნდა ევროპის გზით წავიდეთ, რომელიღაც საქსონიის, ინგლისის ან საფრანგეთის გზით, ვინ იღებს თავის-თავზე რუსეთის მომავლისათვის პასუხისმგებლობას? ვის შეუძლიან სთქვას, რომ ის ჰკვიანია 60-მილიონ ხალხზე, ჰკვიანია მთელი ქვეყნის მოსახლეობაზე, რომ მან იცის, რა ესაჭიროება მას (ამ ქვეყანას, ამ სამოც მილიონ ხალხს—მ. ზ.) რომ ის მიანიჭებს მას ბედნიერებას? სად არის ის მეცნიერება, რომელმაც მას ეს ასწავლა, რომელმაც მას უთხრა, რომ მისი შეხედულება შეუცთომელია?.. ჩვენ ვიცით, რომ გნეისტები, რობერტ მილები, რაუები, როშერები სანეხვე გროვაზე ლაპარაკობენ და წარსული საუკუნოების სიმყაყე უნდათ მომავლის კანონად გადააქციონ. დეე, ეს კანონი მათი კანონი იყოს, ჩ ვ ე ნ კ ი ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს შ ე ვ ე ც დ ე ბ ი თ მ ო ვ ძ ე ბ ნ ო თ სხ ვ ა... ჩვენ არამც თუ შეგვიძლიან, ჩვენ უნდა სხვა მოვძებნოთ. ჩ ვ ე ნ ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი ა რ ი ს ი ს ე თ ი დ ა ს ა ბ ა მ ი, (ე. ი. „თ ე მ ი“—მ. ზ.), რ ო მ ე ლ ი ც უ ც ნ ო ბ ი ა ე ვ რ ო პ ე ლ თ ა თ ვ ი ს. გერმანელები გვარწმუნებენ, რომ ჩვენც იქვე მივალთ, სადაც ევროპელები მივიდნენ. ეს სიცრუეა... ჩვენ შეგვიძლიან მივიდეთ სხვასთან, თუ გავაძლიერებთ იმ დასაბამს, რომელიც სცოცხლობს ჩვენს ხალხში.

„ჩ ვ ე ნ ჩ ა მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ი ხ ა ლ ხ ი ვ ა რ თ ა მ ა შ ი ა ჩ ვ ე ნ ი ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა ც. უნდა ვუმადლოთ ჩვენს ბედს, რომ ევროპის ცხოვრებით არა ვცხოვრობდით! იმისი უბედურება, იმისი გამოუვალი მდგომარეობა—გაკვეთილია ჩვენოვის. ჩვენ არ გვინდა იმისი პროლეტარიატი, იმისი არისტოკრატიზმი, იმისი სახელმწიფოებრივი დასაბამი. ჩვენ ახლად დასახლებულებს ვგევართ; ჩვენ არაფერი უნდა დავამსხვრიოთ. დავტოვოთ ჩვენი ხალხის მინდორი ისე, როგორც არის...“ [2].

---

[1]) ეს ჯვარი, რუსი ხალხოსნების შეხედულებით—ტანჯვის ჯვარია, კაპიტალისტური წყობილება. ევროპა იმყოფება კაპიტალისტური განვითარების სტადიაში, რამაც გამოიწვია პროლეტარიზაცია ტანჯვითა და მწუხარებით.

[2]) ვსარგებლობ ანდრეევიჩის წიგნიდან „Опыт философ. русск. лит.“ გვ. 243—244.

დასავლეთ-ევროპასთან რუსეთის ასეთს დაპირისპირებაში, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის ზრუნვაში, შეხედულებაში, რომ რუსეთი წინ უნდა წავიდეს არა ევროპის ხალხების, არამედ თავის ისტორიულ გზით, რომ რუსულ სოციალიზმს საფუძვლად „თემური წყობილება“ უნდა დაედვას; რომ ამ პირობებში რუსეთი შესძლებს თავიდა ნაიცდინოს კაპიტალისტური წყობილება,—უკვე 60-იან წლებიდან მუშავდება და ყალიბდება გარკვეული მსოფლმხედველობა, რომელიც რუსეთის საზოგადო-აზროვნებასა და ლიტერატურაში ცნობილია „ხალხოსნობის“ („Народничество“) სახელწოდებით. ეს მიმართულება თავისი რეალიზმით და უტილიტარიზმით თეორიაში, ხოლო რომანტიული გატაცებით პრაქტიკაში მძლავრი ნაკადივით შეიჭრა რუსეთის ცხოვრებაში, ღონივრად ᲦᲐ მძლავრად აამოძრავა იგი, მრავალი რუსი ინტელიგენტი აღაფრთოვანა და ჩააბა უღრან ტყეში, ნარეკლიან ადგილას გზის გაკრის საქმეში.

2.

ეს მიმართულება საფუძვლად დაედო რუსეთის ინტელიგენციის მოღვაწეობას 70-იან წლებშიც. მესამოცდაათიანე წლებმა ამ მიმართულებას უფრო გარკვეული და, მასთან ერთად, პრაქტიკული ხასიათი მისცა თავისი ლოზუნგით „ხალხში სიარული“ („хождение в народ“). ეს ლოზუნგი პირველად 1872 წელს ცნობილი ხალხოსანი და ბოლოს ანარქისტი ბაკუნინის მიერ იქმნა გადმოსროლილი. ვინაიდან ეს ლოზუნგი 60-იან წლების განმავლობაში ღვივდებოდა და ავსებდა რუს ინტილიგენციის შეგნებას, მისმა გადმოსროლამ ცხოვრების მორევში, როგორც გარკვეულად მომწიფებულმა იდეამ, ამფეთქებელი ნივთიერების როლი ითამაშა. „ხალხში სიარულის“ იდეამ გაიტაცა რუსეთის ინტელიგენციის ფართო წრეები. „ხალხში სიარული“ შეესაფერი გამოსავალი იყო რუს ინტელიგენციაში დაგუბებულ ენერგიისა და მოქმედების სურვილისა. ეს ერთგვარი რევოლუცია იყო რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებში. ეს იყო პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა „უმცროს ძმასთან“ დასაახლოვებლად, მის გასაცნობად, მისი ტკივილების და სურვილების გასაგებად და, ხშირად, გასაზიარებლადაც.

მაგრამ 70-იან წლების რუსული ხალხოსნობა რომ უფრო გასაგები შეიქმნეს, საჭიროა 60—70 წლებისათვის კიდევ ერთი დამახასიათებელი მოვლენა გავითვალისწინოთ. ეს გახლავთ სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა „მონანიე აზნაურისა“ („кающийся дво-

рянин“). უკანასკნელი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის 60-იან წლებში, თითქმის პარალელურად „რაზნოჩინეცისა“ [1].

„რაზნოჩინეცმა“ რუსეთის ინტელიგენციის ცხოვრებაში მოიტანა ტანჯვასა, დამცირებასა, გაჭირვებულ, მშიერ-მწყურვალ ცხოვრებაში მიღებული ცოდნა პრაქტიკული ცხოვრებისა, სიმართლისა, სიძულვილისა, უარყოფისა, ნგრევისა და წინმსვლელობის ძალუმი ნდომა. „რაზნოჩინეცის“ უარყოფითმა მიმართულებამ რუს საზოგადოების ამოძრავებული ცოცხალი ძალები ახალი ფორმების და გზების საძიებლად არაჩვეულებრივად და გაბედულად მიმართული წინმსვლელობის პროცესში, „ნიღილიზმის“ ჩიხში მოამწყვდია. მისი უკიდურესობა მალე თვალსაჩინო შეიქმნა. მობრუნება აუცილებელი გახდა.

თვით „რაზნოჩინეცი“ მოქმედების ასპარეზზე დიდხანს ვერ გამაგრდა. სუსტი, უწარსულო, ჯერ კიდევ თავად-აზნაურულ და ბატონ-ყმურ საზოგადოებაში უნიადაგო, ბავშობიდანვე დასნეულებული ან ჭლექით ან ალკოგოლიზმით, „რაზნოჩინეცი“ ლიტერატურული ასპარეზიდან მალე იხსნებოდა და ხშირად ლოთობაში იხრჩობოდა და იღუპებოდა. მაგრამ სანამ სცოცხლობდა, მასში სტიქიური პროტესტი ისმოდა ყოველივე მაღალ სიტყვების და მისწრაფებათა წინააღმდეგ, ვინაიდან ის მშვენივრად იცნობდა ცხოვრების ტლანქ და საშინელ სინამდვილეს. „რაზნოჩინეცი“ იღუპებოდა, იმტვრეოდა ცხოვრების ტალღებში, მაგრამ ამ ცხოვრებასთან შერიგება მაინც არ უნდოდა. ამაშია მისი ძალა და, თუ გნებავთ, მისი ისტორიული მნიშვნელობაც.

70-იან წლებში საზოგადოებრივი აზროვნება და ლიტერატურაც, თუმცა ძალუმად გადახალისებული და შევსებული „რაზნოჩინეცის“ მსოფლ-მხედველობით, თითქო ისევ აზნაურული (барская) ხდება. მთავარი როლი ისევ ბატონის წრეებიდან გამოსულის ხელში გადადის, მაგალითად: შ ჩ ედ რ ი ნ ი, გ ერ ც ენ ი, ლ. ტ ო ლ ს ტ ო ი, მ ი ხ ა ი ლ ო ვ ს კ ი დ ს ხვანი. ეს გარემოება თავისებურ ბეჭედს ასვამს 70-იანწლების აზროვნებას. 70-იანი წლების მოღვაწეების მსოფლმხედველობაში ერთგვარ რეაქციას ვამჩნევთ 60-იან წლების ნგრევისა დ რღვევის, „ნიღილიზმის“ მიმართ. 70-იან წლებში აღარ არის ისეთი უკიდურესი უარისყოფა თეორიისა. „ნიღილისტების“ ლოზუნგი— „ძირს თეორია და იდეალი“, 70-იანი წლების მოღვაწეთათვის უკვე მიუღებელია. მათი შეხედულებით, მტკიცე თეორეტულ ცოდნისა და

[1]) ორივე ტერმინი „რაზნოჩინეცი“ და „მონანიე აზნაური“ ეკუთვნის მიხაილოვსკის.

ნიადაგის გარეშე შეუძლებელია საქმის გაკეთება. მათი რწმენით, უპირველესად საჭიროა მთლიანი დამუშავებული მსოფლმხედველობა, რომელიც მათ პრაქტიკულ საქმიანობაში დაეხმარება. მაშასადამე, აუცილებელია მიზნის ქონა. ეს მიზანი-კი 70-იანი წლებისათვის იყო „ხალხის ბედნიერება". მართალია, „ხალხის ბედნიერება" 60-იან წლებსაც აღფრთოვანებდა, მაგრამ ასეთი შეხედულება მიზანსა და თეორიებზე „ნიღილიზმიდან" აშკარა უკანდახევა იყო.

ამასთან ერთად 70-იანი წლები 60-იან წლების ეთიკის და ესთეტიზმის უარყოფის წინააღმდეგაც ილაშქრებს. 70-იანი წლების მოღვაწეთათვის, ესთეტიურ ტრადიციებზე აღზრდილთათვის, საგრძნობი და გასაგები იყო, რომ ესთეტიკის უარყოფა პიროვნების, მის თავისუფალ და უშუალო შემოქმედებითი ნიჭის ჩახრჩობას, ვიწრო ფარგლებში მომწყვდევას გულისხმობდა. ეს კი, მათის განსჭვრეტით, საზოგადოების წინმსვლელობისათვის სრულიადაც არ იყო საჭირო და ხელსაყრელი. „განა არ შეიძლება ვემსახუროთ ჭეშმარიტებასა და სიმართლეს,—მიხაილოვსკის პირით 70-იანი წლების მოღვაწენი ეკამათებიან 60-იანისას,— და იმავე დროს ესტკბებოდეთ ვარსკლავთა და ყვავილთა სილამაზით, ვეძებდეთ ქალის აღერსსა?! დეე, ყოველი ცოცხალი ცოცხლობდეს და ძალუმადაც ცოცხლობდეს"[1].

ამ რიგად, ლოზუნგი 70-იანი წლებისა ასეთია: თეორიაც, ეთიკაც, ესთეტიზმიც საჭიროა, ხოლო ყველა ეს გამოყენებული უნდა იყოს ხალხის ბედნიერებისათვის. ასეთმა მსოფლ-მხედველობამ 70-იანი წლების მოღვაწეებში წარმოშვა იდეალიზაცია გლეხ-კაცისა, გააღრმავა სურვილი მისი ცხოვრების წიაღში გამონახული ყოფილიყო საფუძვლები მომავალი განახლებული ცხოვრებისა. ასეთი სურვილი გამომდინარეობდა სამოცდაათიანელების ფსიქოლოგიისაგან, უფრო კი „მონანიე აზნაურის" სულიერ განწყობილებისაგან, მისი გაღვიძებული და ავადმყოფური მგრძნობიარე სინიდისის ქენჯნისაგან. „მონანიე აზნაური" ჰგრძნობს თავის განსხვავებას მდაბიო ხალხისაგან. ჰგრძნობს, მასთან შედარებით, თავის სიმაღლეს: განათლებით, მდიდარი გემოვნებით, კულტურული მოსწრაფებებით, კეთილშობილური გრძნობებით და სურვილებით. მის წინაშე ძალაუნებურად მთელის სიაშკარავით ისმება დ დაჟინებით მოითხოვს მისგან პასუხს შემდეგი საკითხი: ეს ყველაფერი საიდანა აქვს მას? ამ კითხვაზე გამუდმებით და დაჟინებით ერთი დ იგივე პასუხი იყო:—იქიდან, ბატონ-ყმო-

[1]) Иванов-Разумник—История русской общест. мысли ч. II стр. 102.

ბიდან, რომლის სიმძიმის ქვეშ ხალხი საუკუნოებით ჰკენესოდა. ეს ხალხი კი უსიტყვოდ, ხანდისხან ერთგულებითაც კი, აკმევდა, აცმევდა, ინახავდა, უვლიდა მას და მის წინაპრებსა, რომელნიც ხშირად სამაგიეროს წკეპლებით და სხვა დამამცირებელი საშუალებით უხდიდნენ. ამიტომ მასა რცხვენიან, სტანჯავს მას აზნაურშვილური შთამომავლობა. „მონანიე აზნაურის“ გაღვიძებული სინიდისი ჰგრძნობს თავის მოვალეობას ხალხის წინაშე. ის მოვალედ ხდის თავის თავს თავისი და წინაპრების დანაშაული ხალხის მიმართ გამოისყიდოს. სინიდისის ასეთმა ქენჯნამ 70-იანელების ცხოვრებაში ჰპოვა თავისი შემამსუბუქებელი გამოსავალი ლოზუნგში—„ხალხში“. „საზოგადოება მოვალეა მიუზღოს ხალხს, გადაუხადოს თავისი ვალი“. ასეთი იყო „მონანიე აზნაურის“ გაღვიძებული სინიდისის მოთხოვნილება.

„გადახდის“ იდეა განვითარებული აქვს 70-იანი წლების თვალსაჩინო წარმომადგენელებს: ლავროვს, მიხაილოვსკის და სხვათა. „ძვირად დაუჯდა კაცობრიობას ის,— აღელვებული სწერს ლავროვი,— რომ რამოდენიმე მოაზროვნეს შეეძლოს თავის კაბინეთში ილაპარაკოს მის პროგრესზე... რომ გამოვიანგარიშოთ, რამდენი ადამიანის სიცოცხლეა დაღუპული და რამდენად ღირს ყოველი პიროვნება, რომელიც ახლა ადამიანურად სცხოვრობს,—ყველაფერი ეს რომ გამოვიანგარიშოთ, მრავალი ჩვენი თანამედროვე უსათუოდ შეშინდებოდა, როცა გაიგებდა, სისხლისა და შრომის რამოდენა კაპიტალია დახარჯული მათს განვითარებაზე... ჩვენ უნდა აღვიაროთ,—განაგრძობს ლავროვი,—რომ თანამედროვე ცივილიზაციის სარგო მიღებულია არა მარტო აუცილებელი ბოროტებით, არამედ აგრეთვე აურაცხავი, სრულებით უსაჭირო, ბოროტებით, რომლისათვის პასუხისმგებლობა წინათაობის განათლებულ უმცირესობას აწევს... ამ ბოროტების გასწორება წარსულში ჩვენ არ ძალგვიძს. შევიწროებული თაობები ისე დაიხოცნენ, რომ შრომისა და მდგომარეობის შემსუბუქებას ვერ მოესწრნენ. თანამედროვე თაობის განათლებული უმცირესობა საოგებლობს იმათი შრომით და ტანჯვით. ეს კიდევ ცოტაა: ეს განათლებული უმცირესობა სარგებლობს აუარებელ თანამედროვეთა შრომით და ტანჯვით და შეუძლიან გავლენა იქონიოს მათი შვილიშვილების შრომისა და ტანჯვის გადიდებაზე, ვინაიდგან ამ უკანასკნელი გარემოების ზნეობრივი პასუხისმგებლობა შთამომავლობას წინაშე ჩვენ გვაწევს. ამისათვის აღსრულებული პროგრესის ღირებულების ისტორიულ გამორკვევას შემდეგს საკითხთან მივყევართ: რა საშუალებანი აქვს თანამედროვე თაობას, რომ

თავისი პასუხისმგებლობა შეამციროს? რა უნდა გავაკეთოთ, რომ შთამამავლობის წინაშე პასუხი არ ვაგოთ კაცობრიობის ახალი ტანჯვისა გამო?"[1].

უფრო აღმოჩენილი ხმა გაღვიძებული სინიდისისა, რომელიც მწვავედ გრძნობს თავის მოვალეობას ხალხის წინაშე და თხოულობს უკვე შეუდგეს „ვალის" გადახდას, გვესმის მიხაილოვსკის პირით. „ჩვენ შევიგნეთ,—სწერს მიხაილოვსკი,—რომ ზოგად-კაცობრიული სიმართლის და ზოგად-კაცობრიული იდეალების შეგნება ჩვენ მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში ხალხის მიერ გაწეულ ტანჯვით მივიღეთ. ხალხის ამ ტანჯვაში ჩვენ არა ვართ დამნაშეენი. არც იმაში ვართ დამნაშავენი, რომ მის ხარჯზე აღვიზარდენით... მაგრამ... მომავალში ეს აღარ გვინდა...იდეათა ლოლიკური განვითარებით, თუ უშუალო გრძნობით, ხანგრძლივი ფიქრით თუ აზრის მოულოდნელი გამობრწყინებით, მაღალი ადამიანური გრძნობებიდან გამოემდინარეობთ, თუ პირდაპირი დაკვირვებიდან—ჩვენ შემდეგს აზრს დავადექით: ჩვენ მოვალენი ვართ ხალხისა. შესაძლებელია,—განაგრძნობს მიხაილოვსკი,—ხალხურ სიმართლეში ასეთი პარაგრაფი სრულებითაც არ იყოს; ალბად, არ არის. მაგრამ ასეთი შეხედულება, თუმცა ყოველთვის შეგნებულად არა, ჩვენი ცხოვრების და მოქმედების ქვაკუთხედად გავხადეთ. მოვალეობა აწევს ჩვენს სინიდისს და ჩვენა გვსურს ამ მოვალეობის გადახდა"[2].

70-იანი წლების რუსი ინტელიგენციის ამოცანა და შინაარსი განისაზღვრებოდა: ვალდებულობის ცნობით ხალხის წინაშე და აქიდან გამომდინარე საკითხები: როგორ უნდა მოწესრიგდეს ტიტველშიშველა ხალხის მდგომარეობა და როგორ უნდა მოიხადოს ინტელიგენციამ თავისი ვალი ხალხის წინაშე? რუსი ინტელიგენციის მდგომარეობას ის გარემოება ართულებდა, რომ მის შეგნებაში ხალხის წინაშე ეს ვალდებულება ისე დიდი და აუნაზღაურებელი იყო, რომ ცივილიზაციის წარმატებები და მეცნიერების და ხელოვნების აღმოჩენანი და მონაპოვარნი ვერ აუნაზღაურებდნენ ამ ვალდებულობის სარგებელსაც-კი. რუს-ინტელიგენციის სულიერ განწყობილებას ამასთან ერთად ის რწმენაც აღრმავებდა, რომ პროგრესი, ცივილიზაცია, მეცნიერება და ხელოვნება, რომელიც მოპოვებული ჰქონდა საზოგადოებას უნცროსი ძმის შრომით, ვერ მისცემდა ხალხს საჭირო ბედნიერებას, უზრუნველყოფილ ცხოვრებას. საჭირო იყო საზოგადოებრივი ცხოვრე-

1) П. Лавров—Исторические письма.

2) Андреевич—Опыт Философии руск. лит.,—ст. 276—277.

ბისათვის გამონახულიყო უფრო ხელსაყრელი, თავისუფლების და ბედნიერების მომნიჭებელი პირობები, რომელიც შეაერთებდა პირად ბედნიერებას საერთო საზოგადოებრივ ბედნიერებასთან. ასეთი საშუალება მესამოცდაათიანებმა, როგორც მესამოციანებმა, ხალხშივე ჰპოვეს, მის ისტორიულად გამომუშავებულ თემურ წყობილებაში („ობშჩინა"). თემური წყობილება, მათის შეხედულებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების და აგრეთვე ხალხის უფლებრივი მდგომარეობის შენახვის საშუალებას იძლეოდა. 70-იანი წლების ხალხოსნების შეხედულებით, თემური წყობილება პიროვნების და ხალხის ინტერესს ერთმანეთს აგუებდა და აერთებდა.

ასეთს აზრს ლავროვი გარკვეულად გამოსთქვამს თავის „Исторические письма"-ში. „რუსისათვის,—სწერს ლავროვი,—სპეციალური ნიადაგი, რომელზედაც რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობის მომავალი უნდა განვითარდეს, თანამედროვე ცხოვრების ამოცანების თანახმად,—არის გლეხ-კაცი თემური მიწისმფლობელობით (крестьянин с общинным землевладением). საჭიროა:—ჩვენი თემური წყობილების განვითარება მიწის საერთო დამუშავების და მის ნაწარმოების საერთო სარგებლობის მხრივ; მისი გადაქცევა რუსეთის საზოგადოებრივი წყობილების ძირითად ელემენტად; საზოგადოებრივ საკუთრებაში კერძო საკუთრების გათქვეფა; მიეცეს გლეხ-კაცს ის განათლება და ის შეგნება საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა, ურომლისოდაც ის ვერასოდეს ვერ შესძლებს ისარგებლოს თავისი ლეგალური უფლებებითაც-კი, რაც უნდა ფართო იყოს ისინი, ვერასოდეს ვერ დაიბეგვს თავს დაჩაგვრას. ეს არის რუსეთის სპეციალური ძიზანი, რომლის განხორციელებასაც ხელი უნდა შეუწყოს ყოველმა რუსმა, ვისაც თავისი სამშობლოს პროგრესი უნდა"[1].

70-იანი წლების ხალხოსნების რწმენით, თუ საზოგადოება შესძლებს განავითაროს და გააღრმაოს თემობრივი წყობილების პირობები, მაშინ ყოველი ადამიანი უზრუნველყოფილი იქნება სათემო მიწის თანაბარი სარგებლობის, წარმოების თანაბარი განაწილების, და, მასაშადამე, ბედნიერების მიღწევის მხრივ.

ამ რიგად, 70-იანი წლებისთვის უკვე მომწიფდა ის კულტი ხალხისა, გლეხ-კაცისა, რომელიც რუსეთის საზოგადო აზროვნებაში, დიდი ხანია, ფეხს იკიდებდა. 60-იანმა წლებმა ამ შეხედულების გარკვეულ ფორმაში ჩამოყალიბება საგრძნობლად ააჩქარა. 70-იან წლებში „ხალხი" ინტელიგენციის გულისყურისა და ფიქრის მთავარ

[1]) Лавров Исторические письма.

საგანს შეადგენს. მაშვრალი ხალხის უილაჯო, ხან მოთმინება-დაკარგული და აღშფოთებული, ძახილი რუსი ინტელიგენციისათვის ისე გასაგონი, საგრძნობი, გასაგები, ახლო, თავდავიწყებით გამტაცი არასოდეს ყოფილა, როგორც ამ დროს. ხალხისათვის, მის ბედნიერებისათვის მოქმედება, მსხვერპლის მიტანა, თავის განწირვა ამ დროს რუს ინტელიგენციას აღფრთოვანებდა.

60-იანი წლების საზოგადოებრივი აზრის თანდათანობითმა განვითარებამ 70-იანი წლებისათვის რუსი ინტელიგენცია მიიყვანა იმ დასკვნამდის, რომ ხალხისადმი ვალის გადახდისათვის, მისთვის ბედნიერების გამონახვისათვის საჭიროა „ხალხში სიარული". ეს სულისკვეთება რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში თანდათან მწიფდებოდა, ირკვეოდა და, როგორც უკვე ‹აღვნიშნეთ, მ. ბ ა კ უ ნ ი ნ მ ა 1872 წელს, როგორც საერთო დევიზი, გადმოისროლა ალელვებულ ცხოვრებაში.

მასიურად დაიძრა რუსი ინტელიგენცია ხალხისაკენ, დაიწყო გლეხ-კაცის ქოხში შესვლა, მისი ახლო გაცნობა, ინტელიგენციის ცხოვრების გასადავება, გლეხ-კაცის ცხოვრების მიბაძვა. რუს ინტელიგენციის მამოძრავებელი დევიზი ასეთი შეიქმნა: „ყველაფერი გასწიროს, თავის თავიც კი, ხალხის საკეთილდღეოდ: ხალხის თემობრივი წყობილება შეინახოს და გარდაქმნას ის კომუნად (ფურიესებურ ფალანსტერიად).

ეს ეს არის რუსული საზოგადოების განვითარების უმაღლესი საფეხური. ასეთს მოქმედებაში რუსმა საზოგადოებამ, მართლადაც, სთქვა თავისი სიტყვა და ეს სიტყვა იყო—„ხალხოსნობა". „ამ ლოზუნგმა,—სწერს ანდრეევიჩი,—რომელშიაც გამოიხატა ისტორიული ტრადიციის მთელი ძალა, რუსული მიწათმოქმედებითი კულტურის მთელი თავისებურობა, არსებითად შექმნა ჩვენი ხალხოსნობა, გარდააქცია ის მოძღვრებად, ლიტერატურად, რელიგიად" [1].

ასეთი სულიერი განწყობილებით გატაცებული ხალხოსნები ეცნობოდნენ რუსი გლეხ-კაცის ცხოვრებას, უკვირდებოდნენ მას და ჰხედავდნენ უმწეო, გამოუვალ მდგომარეობას ხალხისას, რომელიც, თუმცა ფორმალურად 1861 წლიდან განთავისუფლებული იყო, მაგრამ სინამდვილეში თავისუფლებასთან და ბედნიერებასთან კვლავინდებურად შორს იდგა. ხალხოსნები თავიანთ-და სამწუხაროდ რწმუნდებოდნენ, რომ ხალხის მასებში ბუნებრივი მდიდარი ძალა დიდი იყო, მაგრამ მისი გაუნათლებლობის, უკულტურობის, სიღატაკის

[1]) Андреевич—Опыт философ. русск. лит.

გამო ეს ნიკი და ძალა მასში გაუფურჩქვნელი და გაუნაყოფიერებელი რჩებოდა და იღუპებოდა.

როდესაც რუს ინტელიგენციის შეგნებაში თეორიული მსჯელობის, რეფორმებით გატაცების და იმედიანობის ხანამ (სამოციანი წლების პირველი ნახევარი) განვლო, და ინტელიგენციამ უშუალოდ ცხოვრების, გლეხის სინამდვილის ძირში ჩასვლა მოინდომა, ხალხის აუტანელ და მძიმე პირობებისაგან დახსნისათვის, მის წინ მთელი სიმწვავით პირველ პირობად წარმოსდგა—მისი (ხალხის) გონებრივი და ეკონომიური დონეს აწევის აუცილებლობა. აი, ამიტომ რუსმა ინტელიგენციამ მთავრობის 1866 წლის მაისის 13 რესკრიპტით გამოწვეევას (იწყება რეპრესიები) ძლიერი და ღირსეული პროტესტის პასუხი გასცა თავისი აღფრთოვანებული და გმირული მასიური „სიარულით ხალხში“. „ხალხოსნობაც“, ამ ცნების ნამდვილი და ფართო მნიშვნელობით, სწორედ აქედან იწყება.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ხალხში სიარული სხვადასხვანაირი მიმართულებით და მიდგომით ხდებოდა.

ხალხში მიდიოდნენ ცნობილი და უნიჭიერესი პროპაგანდისტის ბაკუნინის მიმდევრებიც, ე. წ. „ბაკუნისტები“: ესენი მიზნად ისახავდნენ ხალხში პროპაგანდის საშუალებით მასში ჩამარხული რევოლიუციონური სულიერი განწყობილება გაეღვივებინათ. აწყობდნენ მთელ რიგ ამბოხებებს. ამიტომ ხშირად მათ „ბუნტარებს“-აც უწოდებდნენ.

ხალხში მიდიოდა მეორე ფრთაც, ლავროვის მომხრეები, ე. წ. „ლავრისტები“. ესენი ნამდვილი კულტურტრეგერები იყვნენ. ესენი რევოლუციონური პროპაგანდით ხალხში მიდიოდნენ არა რევოლუციონური სულიერი განწყობილების გასაღრმავებლად (მათი პირველი მიზანი ეს არ ყოფილა), არამედ კულტურული მიზნებით, შეეტანათ ხალხში სწავლა-განათლება, სისუფთავე, ეზიარებინათ სიბინძურესა და სიღატაკეში მყოფი ხალხი კულტურის მონაპოვრებთან. და ამ გზით მოემზადებინათ სოფელი, შეექნათ იქ შეგნებულ მებრძოლთა გუნდი ნამდვილი განთავისუფლებისათვის.

უნდა კი ითქვას, რომ 70-იანი წლების პირველ ნახევარში, როგორც „ბაკუნისტებს“, ისე „ლავრისტებს“ ხალხში სიარულის საბოლოო მიზანი საერთო ჰქონდათ. ორისავე ფრთის რწმენით და შეხედულებით, ხალხის განთავისუფლება უნდა მოხდეს არა პოლიტიკურის, არამედ სოციალური გადატრიალების საშუალებით. „სოციალური პრინციპის უპირატესობა,—შენიშნავს ივანოვ-რაზუმნიკი,

—პოლიტიკურზე დამახასიათებელია 70-იანი წლების პირველი ნახევრისათვის (ხალხოსნებისათვის ვიწრო გაგებით), ხალხში სიარულის პერიოდისათვის»[1]. მაგრამ, როდესაც პრაქტიკაში, უშუალოდ ხალხში სამუშაოდ მიდიოონენ, „ბაკუნისტებსა“ და „ლავრისტებს“ შორის განსხვავება უკვე აღარ არსებობდა.

პრაქტიკულ მოღვაწეობაში „ბაკუნისტები“ ხშირად „ბუნტარები“ კი არ იყვნენ, არამედ პროპაგანდისტები—კულტურ-ტრეგერები; ხალხში ავრცელებდნენ ცოდნას, რევოლუციონურ ბროშურებს. ესენიც „ლავრისტებივით“ ცდილობდნენ ხალხის მასების გონებრივისა და ზნეობრივის დონეს ამაღლებას.

„ხალხოსნები“, როგორც „ბუნტარები“, ისე „პროპაგანდისტები“ ფიქრობდნენ, რომ საკმარისია ორი-სამი წელი, სულ დიდი—ხუთი-ექვსი, რომ ხალხი სოციალური რევოლუციისათვის მომზადდეს. ყოველ შემთხვევაში, მათის რწმენით, ორ-სამ წელიწადში შეიძლება მძლავრი რევოლუციონური რიგების მომზადება. „თუ ჩვენ წარმოვიდგენთ,—სწერს ლავროვი,—პატარა პერიოდის, ექვსი წლის შემდეგ, ხალხური მოძრაობის ათი ათასს შეგნებულ ხელმძღვანელს, რომელნიც... გარშემორტყმულნი არიან გაცილებით დიდრიცხოვანი განმზადებული რიგებით, რომელნიც მზად არიან ყოველ წუთში გაჰყვნენ მათ ძალაუფლების და კაპიტალის წარმომადგენელების დასამხობად, მაშინ ჩვენს წინ ისეთი საგრძნობი და საპატიო რევოლუციონური არმია წამოიჭრება, რომელსაც შეეძლება საჭირო მომენტში მართლადაც ისტორიული საქმე შეასრულოს“[2].

რუსულ ხალხოსნობაში მესამე მიმართულებაც იყო. ამ მიმართულების წარმომადგენელია—ლ ე ვ ტ ო ლ ს ტ ო ი. მისი შეხედულებით, ხალხში ჩამარხული სიმართლე იმდენად დიდია, რომ უკეთესია ინტელიგენცია ამ ხალხის დაბალ დონეზე დავიდეს, გაასადაოს თავისი ცხოვრება ხალხის ცხოვრების მიხედვით და მიბაძვით, მივიდეს ხალხთან, მისგან ისწავლოს, როგორ უნდა „სიმართლით“ ცხოვრება და მიწის დამუშავება. გაიცნოს მის ცხოვრებაში არსებული საზოგადოებრივი ხასიათის ჩვეულებანი და მისი ბუნების საღი ინსტინქტები: ქვრივ-ობლების შებრალება, დახმარება, სიწყნარე და გულკეთილობა. ამ მიმართულების მიმდევარნი იცავდნენ გლეხ-კაცის ტყაპუჭებს და მიდიოდნენ მასთან, რათა ესწავლათ მისგან და ესწავლებინათ მისთვის. ესენიც კულტურული მოღვაწეობით კმაყოფილ-

[1]) И в а н о в-Р а з у м н и к—Ист. русск. общест. мысли“, т. II, ст. 107.
[2]) Л а в р о в—Исторические письма.

დებოდნენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს სამი მიმართულება ხალხოსნობისა ერთმანეთში ითქვიფებოდა, ერთი-ერთმანეთისაგან ბევრს რასმე ითვისებდა.

1878 წლისათვის, მთელი რიგი უშედეგო აჯანყებების და პრაქტიკულ მოღვაწეობაში აუარებელ დაბრკოლებებთან შეხვედრის შემდეგ ხალხოსნები დარწმუნდნენ, რომ მარტო „ხალხში სიარულით", კულტურული აგიტაციის მიზნით, შეუძლებელია გამოწვეულ იქმნას სოციალური რევოლუცია. მალე ხალხოსნებისათვის აშკარა შეიქმნა, რომ საერთო მიზნის მისაღწევად, სოციალიზმის დასამყარებლად ჯერ პოლიტიკური თავისუფლებისათვის უნდა იყოს გაწეული ბრძოლა. ეს ნიადაგს შეუმზადებს სოციალურ განთავისუფლებას. თუ 70-იანი წლების პირველ ნახევარში ხალხოსნებს პოლიტიკური საკითხის წამოყენება არამც თუ არ აინტერესებდათ, არამედ უმნიშვნელოდაც კი მიაჩნდათ, 1878 წლის შემდეგ ხალხოსნები უკვე ჰგრძნობენ ბრძოლის ორი ფრონტის—პოლიტიკურის და სოციალურის—შეთანხმების აუცილებლობას. ახლა უკვე არსდება პოლიტიკური ორგანიზაციები. აღიარებულ იქმნა არამცთუ პოლიტიკური პრიმატის გათანასწორება, არამედ პირველ დროისთვის უპირატესობაც კი სოციალურთან.

1879 წელს ლიპეცკი-ვორონეჟის ყრილობის შემდეგ დაირღვა ორგანიზაცია „Земля и Воля". მის მაგიერ დაარსდა „Народная Воля", „Черный передел". „ნაროდოვოლცებმა" ახალი ლოზუნგი წამოაყენეს—„სოციალიზმისაკენ პოლიტიკის საშუალებით" (მიხაილოვსკი, ჟელიახოვი, დებაგორი-მოკრიეევიჩი და სხვანი). ამ დროს რუს საზოგადოების აზროვნებაში ირკვევა პოლიტიკური რეფორმებისათვის ბრძოლის საჭიროება. ამისათვის ინტელიგენციის ძალების ერთი ნაწილი მიმართული იყო პოლიტიკურ პრძოლისაკენ.

პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ხალხოსნებმა მიიჩნიეს ტერორი. 1878 წელს იანვრის 24 მოხდა პირველი ტერორისტული აქტი ზასულიჩისა (ვერა ზასულიჩიის მიერ). ხალხოსნების რევოლუციონური მოძრაობა 1881 წ. უმაღლეს წერტილს აღწევს მარტის 1-ლის ტერორისტული აქტით. ამ აქტს მოჰყვა საშინელი რეაქცია. 1883 წელს თითქმის ყველა ასე თუ ისე გამოჩენილი ხალხოსანი მთავრობას დატუსაღებული ჰყავდა.

ხალხოსნების ყოველმავე ცდამ, რომ მათი პოლიტიკური ორგანიზაცია „Народная Воля" აღდგენილი ყოფილიყო, უშედეგოდ

ჩაიარა. 80-იან წლების დასაწყისმა დაასრულა რუსული ხალხოსნობა თავისი დამახასიათებელი, სპეციფიკური თვისებებით.

გარდა საშინელი რეაქციისა, მძიმე ბორკილს რომ ადებდა, საშინლად რომ ზღუდავდა ტ არავითარ გასაქანს რომ აძლევდა ხალხოსნების გაღვიძებულ და აღშფოთებულ სინიდისის ქენჯნას, რომელიც დაჟინებით ყველას უხმობდა მოღვაწეობისა და ხალხისაკენ და მიჰყავდა კიდეც, ხალხოსნებისათვის უფრო დიდი დაბრკოლება, ხშირად სასოწარკვეთილებამდის მიმყვანი, იყო რუსი ხალხის გაუნათლებლობა და მათდამი უნდობლობა. „ხალხოსნობის გარეგნული ტრაღედია,— სწერს ივანოვ-რაზუმნიკი,—შესაძლებელია უფრო მძიმე იყო, ვიდრე შინაგანი: ეს იყო ხალხის მიერ სრული გაუგებრობა ინტელიგენციის ამოცანათა. ამის გამო გმირულმა „სიარულმა ხალხში" დიდი მსხვერპლი შეიწირა, არაერთ ათასეულ ახალგაზრდის სიცოცხლე ინაცვალა. რუსი ინტელიგენტის ტრაღედია ყოველთვის იმაში მდგომარეობდა, რომ მისდამი მტრულად იყო განწყობილი სწორეთ ის ხალხი, რომლის ბედნიერებასაც ეს ინტელიგენცია თავდავიწყებით სწირავდა მთელ თავის ძალასა და სიცოცხლეს" [1].

მართალია, ალექსანდრე მე-III-ის რეაქციამ დაშალა ხალხოსნების ორგანიზაციები. მართალია, ხალხოსნობა თავისი სპეციფიკური სახით 80-იან წლებში უკვე იხსნება სამოქმედო ასპარეზიდან, მაგრამ მისი იდეები, რასაკვირველია, საგრძნობი ვარიაციებით, გადმოდის შემდეგს პერიოდებშიაც და თავისებური ელფერი და გავლენა შეაქვს რუსეთის სოციალისტურ მოძრაობაში.

3.

ხალხოსანთა თეორეტიკოსების მიერ (ჩერნიშევსკის, ლავროვის, მიხალოვსკის და სხვათა) გამოთქმულმა იდეებმა თავისი განსახიერება და გამოძახილი მხატვრულ ლიტერატურაშიაც ჰპოვა. შეიქმნა ძლიერი ხალხოსნური მიმართულება რუსულ ლიტერატურაში, სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მთელი რიგი მწერლებისა უფრო „ხალხოსანი— ბელეტრისტების" სახელწოდებით, მაგალითად: გლ. უსპენსკი, ზლატოვრატსკი, ნაუმოვი და სხვანი. ამ მწერლებმა მიზნად დაისახეს არა მარტო ხალხისათვის წერა (რასაც ადგილი ჰქონდა რუსეთის საზოგადო აზროვნობის და ლიტერატურის ისტორიაში ამის წინადაც), არამედ წერა ხალხზე, მის ცხოვრებაზე, მის სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე, ბატონ-ყმობის ბოროტებაზე,

1) Иванов-Разумник—Ист. русск. общ. мысли, т. II, стр. 113.

შემდეგ გლეხისა და „სოფლის წურბელების“ („კულაკთა“) შორის ურთიერთობაზე, სოფელზე ქალაქისა და ქარხანა ფაბრიკის გავლენის შესახებ.

მაშინ როდესაც საკითხი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის, თემობრივი წყობილების, მისი გამოყენების, სათემო სასამართლოებში გლეხ-ყაცის მიზიდვის და გამოყენების შესახებ გაზეთებისა და სამეცნიერო ჟურნალის ფურცლებზე, ან სტატისტიკურ გამოკვლევებში ირკვეოდა, ამავე დროს, პარალელურად, ამავე საკითხებს რუსული ხალხოსნური მხატვრული ლიტერატურაც ცხოვრებიდან აღებული მხატვრული სახეების და ტიპების საშუალებით ანსახიერებდა. „არავითარ სპეციალურ გამოკვლევას,—სწერს გიორგი პლეხანოვი,—არ შეუძლიან მიგიერობა გასწიოს მათ (ხალხოსნების) მიერ ხალხის ცხოვრებიდან დახატული სურათისა. ჩვენი ხალხოსანი-ბელეტრისტების თხზულებები შესწავლილი უნდა იყოს ისეთისავე ყურადღებით, როგორც შეისწავლება ხოლმე სტატისტიკური გამოკვლევა რუსი ხალხის მეურნეობისა ან თხზულებები გლეხთა ადათ ჩვეულებების შესახებ. არც-ერთს საზოგადო მოღვაწეს, რომელ მიმართულებასაც უნდა ეკუთნოდეს ის, არ შეუძლიან სთქვას, რომ ასეთი შესწავლა მისთვის საავალდებულო არ იყვეს. ამის გამო, ვფიქრობთ, შესაძლებელია ხალხოსან-ბელეტრისტებს ეპატიოს მრავალი ნებსითი და უნებლიეთი შეცოდებანი ესთეტიკის წინაშე [1].

ამ ბელეტრისტ-ხალხოსნების მიმართულება, მთლიანად აღებული, წარმოადგენს რუსულ მწერლობის მძლავრს რეალისტურ სკოლას. „საერთოდ ჩვენს ხალხოსნურ ლიტერატურას,— სწერს იგივე გიორგი პლეხანოვი,—და კერძოდ ჩვენს ხალხოსნურ ბელეტრისტიკას აქვს დიდი ღირსებები, რომლებთანაც, როგორც ჩვეულებრივ, მჭიდროდ დაკავშირებულია მისი ნაკლიც. „რაზნოჩინეცს“, ყოველისავე გალამაზებისა და ხელოვნების მტერს, უნდა შეექმნა და შექმნა კიდეც ღრმა, სინამდვილესთან დაკავშირებული, მართალი ლიტერატურული მიმართულება. ამ შემთხვევაში ის ერთგული დარჩა რუსულლიტერატურის საუკეთესო იდეალების... ის გამოჰხატავს შეხედულებას და მისწრაფებას საზოგადოების იმ ნაწილისას, რომელიც სამი ათეული წლის განმავლობაში რუსეთის მოწინავე ნაწილად ითვლებოდა. ამაშია მთავარი ისტორიული დამსახურება ხსენებულ მიმართულებისა“ [2].

---

[1]) Г. Плеханов—Гл. Успенский—т. 7—ст. 15—16.

[2]) იქვე—т. X—стр. 15.

რომ მართლაც რუსეთის ცხოვრების ნამდვილი რეალიზმის ასახვაში ხალხოსნებმა უდიდესი და საპატიო ადგილი დაიჭირეს, ამას ადასტურებს ცნობილი რუსი მოაზროვნე კროპოტკინიც. „იმათ (ე.ი. ბელეტრისტ-ხალხოსნებმა) მოახდინეს,—სწერს პ. კროპოტკინი,—არაჩვეულებრივი გაბედული ცდა—თვით ცხოვრების ასახვისა, წვრილმანი მოვლენებით და ყოველდღიური მოსაწყენი უფერული მდგომარეობით. მოთხრობაში შეჰქონდათ მხოლოდ ის დრამატიული ელემენტი, რომელიც შედეგია დაუბოლოვებელი რიგის ცხოვრების მცირე და განმანადგურებელი წვრილმანებისა და უბრალო ჩვეულებრივი მოვლენებისა. და უნდა ითქვას, რომ გაბედულმა ნოვატორებმა ამ მათ მიერ შექმნილ ხელოვნების ახალ სფეროში, შესაძლებელია, ყველა დანარჩენ სფეროებში, უფრო ტრაღიკულში, დიდი წარმატება გამოიჩინეს“[1].

როდესაც ახალმა ქროლვამ, მეტად მძლავრად მოძრავმა, რუსეთის სინამდვილეში, რუს ინტელიგენციას რუსეთის ცხოვრების და მომავალის იდეალების შესახებ ახალი, მეტად ღრმა ამოცანები დაუსვა, აღმოჩნდა, რომ უდიდესი ნაკლი და დაბრკოლება იმაში მდგომარეობდა, რომ რუსმა ინტელიგენციამ, ხალხის ამ წინამძღოლმა, არ იცოდა რუსი მდაბიო ხალხის ცხოვრების სინამდვილე, მისი მდგომარეობა, მისი მისწრაფებანი. რუსულმა ლიტერატურამ იკისრა ამ დაჟინებითი მოთხოვნილების და ნაკლის შევსება. მან დიდი როლი ითამაშა ხალხის ცხოვრების გაცნობის საქმეში. მან გასცა პასუხი ყველა იმ საკითხს, რომელიც მე-XIX-ტე საუკუნის განმავლობაში, და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, სტანჯავდა რუს ინტელიგენციას.

ხალხოსნური მიმართულება რუსულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ აზროვნებაში იმდენად ძლიერი იყო, რომ 60-იან წლებიდან დაწყებული მე-XX საუკუნის კარამდის მძლავრ ლამპარივით ენთო რუსულ ლიტერატურაში და გაუნელებელი და შეუმცირებელი ინტერესით და გატაცებით ვრცელდებოდა რუს მკითხველ საზოგადოების ფართო წრეებში.

ეს ხალხოსნური მიმართულება, რუსი საზოგადოების აზროვნებაში და რუსულ ლიტერატურაში რომ ვრცელდებოდა, არა მარტო რუს საზოგადოებას იტაცებდა და იზიდავდა, არამედ ამ მიმართულების გავლენა გადავიდა რუსი ინტელიგენციის ცხოვრების ფარგ-

[1]) П. Кропоткин—Идеалы и действительность в русской литературе. стр. 240.

ლებს გარეშეც. გაიტაცა რუსეთის სახელმწიფოებრივ სამზღვრებში მოქცეული ერების ინტელიგენციაც, რომელიც, ისტორიულ პირობების გამო, რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების საბუდარში იჩეკებოდა და იზრდებოდა.

ეს ხალხოსნური მოძრაობა, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე საზოგადო აზროვნებაში, მეტად ხელსაყრელი და ნაყოფიერი გახდა ჩვენი ახალგაზრდობისათვისაც 60-იანი წლებიდან დაწყებული. საერთოდ რუსეთის საზოგადო აზროვნების უშუალო გავლენის ქვეშ, ხშირად უხეში მიბაძვის გზითაც, შეიქმნა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება მე-XIX-ტე საუკუნის მეორე ნახევარში. ორი მძლავრი მიმართულების წარმომადგენელნი ჩვენს ლიტერატურაში და საზოგადო აზროვნებაში, ე.წ. თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ნ ი დ ა ხ ა ლ ხ ო ს ნ ე ბ ი განვითარდნენ უშუალოდ რუსული საზოგადო აზროვნებისა და ლიტერატურის ზეგავლენის ქვეშ, რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების სინამდვილის პირობებში. როგორც რუსეთის საზოგადო აზროვნების და ლიტერატურის ისტორიაში 60-იანი და 70-იანი წლები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, ისე ჩვენს საზოგადო აზროვნების და ლიტერატურის ისტორიაშიაც თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ნ ი დ ა ხ ა ლ ხ ო ს ნ ე ბ ი უ შ უ ა ლ ო დ, მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან. მათს შორის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, განსხვავებაც, რასაკვირველია, მეტად თვალსაჩინო და რადიკალურია.

აი, სწორედ ჩვენი ახალი ლიტერატურის ისტორიის ამ მიმართულებათა გაცნობა-შესწავლას გვინდა შეეუდგეთ.

ნაწილი პირველი

თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ნ ი

I.

თერგდალეულნი 1861 წლამდის.

1.

60-იანი წლები ჩვენი ახალი ლიტერატურის ‌ და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაშიაც მეტად საგულისხმიერო გარდატეხის, ძალების დაპირისპირების, ძველის უარყოფის, ახალის ძიების და აღორძინების ხანაა. თუმცა კი უნდა აღინიშნოს, როგორც ამას არჩილ ჯორჯაძეც ამბობს, რომ „მესამოცე წლების ჩვენს მოძრაობას არც სირთულე, არც სიძლიერე რუსეთის მოძრაობისა არა ჰქონდა“. ეს, მართლაც, ასეა. მაგრამ ეს გარემოება მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ „ხალხის სამსახური იმ თავითვე თავად-აზნაურულ ინტელიგენციას დააწვა“, როგორც ამას არჩილ ჯორჯაძე ჰხსნის (ეს მხოლოდ ერთი მთავარ მიზეზთაგანია), არამედ იმიტომაც, რომ ჩვენი 60-იანი წლების მოძრაობა არ არის ორიგინალური, დამოუკიდებელი. იგი ჩვენი კულტურის და ისტორიული ცხოვრების დამოუკიდებელ ნიადაგზე არ არის აღმოცენებული. ჩვენი საზოგადოებრივი სოციალ-ეკონომიური ცხოვრება ჯერ კიდევ არ განიცდის ისეთს ღრმა რღვევას, როგორც რუსეთში. ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება ამ პერიოდში ხშირად გავლენით არის ნასაზრდოები. ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს და მწერლებს იდეათა და მისწრაფებათა თესლი, ხშირად მეთოდიც, მათი ცხოვრებაში დათესვის და გატარებისა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებიდან და ლიტერატურიდან გადმოაქვთ. იქ, რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების და ცხოვრების აფორიაქებულ ატმოსფეროში, იზრდებოდნენ და იწვრთებოდნენ ეგრეთ წოდებულნი თერგდალეულნი. რასაკვირველია, მარტო რუსეთიდან გადმონერგილი იდეებით ვერ ავხსნით თერგდალეულთა გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე. თერგდალეულნი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ვერ გაჩნდებოდნენ და განსაკუთრებით ვერ დაასვამდნენ ამოუფხვრელ დაღს ჩვენს ცხოვრებას, თუ თვით ჩვენი ცხოვრების წიაღში ადგილი არ ექნებოდა იმ ღრმა სოციალურ-ეკონომიურ გარდატეხას და ცვლილებას, რომელზედაც ჩვენ ზევით გვქონდა

საუბარი. დრომ და ჩვენი ცხოვრების ობიექტურმა პირობებმა წარმოშვეს ხელსაყრელი ნიადაგი თერგდალეულთათვის.

ძველი წყობილების რღვევამ, ახალი ცხოვრების პირობებმა, ახალმა სოციალურმა გადაჯგუფებამ, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში ამდროს თავს იჩენს, გამოიწვია ახალი შეხედულებანი ცხოვრებაზე. ჩვენი სინამდვილის ამ ახალმა პირობებმა ჩვენი ცხოვრების ატმოსფერო გაჟღინთა და წარმოშვა ის სურვილები და მოთხოვნილებები, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ქართულ ცხოვრებაში, მოდუნებულ და დაძაბუნებულში, მაგრამ საგრძნობლად ამღვრეულში, ამოიკითხა:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დაკარგულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მოშავალი ხალხს“.

ცხოვრების ძველი ფორმებით დაუკმაყოფილებლობა—აი, მთავარი, რაც ახასიათებს ახალთაობას.

მომავლის სახის და შინაარსის გამონახვა და შესაფერი მოქმედების გეგმის შემუშავება ადვილი საქმე არ იყო. ამისათვის როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად შესაფერი ცოდნითა და მომზადებით აღჭურვა იყო საჭირო. ამ მიზნისათვის ჩვენი ქვეყნის სინამდვილე, სამწუხაროდ, სასურველ ნიადაგს არ იძლეოდა. ახალ ცხოვრებას მოწყურებული ჩვენი ახალგაზრდობა ძიების სურვილის დასაკმაყოფილებლად, ახალი ცხოვრების გზის გამოსანახავად მიეშურება რუსეთს. ჩვენი მაშინდელი აგალგაზრდობის სულიერი განწყობილების მიზეზს და მიზანს რუსეთში წასვლისას ილია ჭავჭავაძე, ეს მთავარი მოქმედი და მამოძრავებელი ძარღვი 60-იანი წლებისა, ეს შემომკრები თავის გარშემო ჩვენი ცხოვრების ცოცხალ და მოქმედ ძალებისა, რუსეთში წასვლის წინ 1857 წელში დაწერილ ლექსში „ყვარელის მთებს“ ასე გამოსთქვამს:

„რა რიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის,
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთისოფლის,
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა,
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?!“...

ხოლო რუსეთიდან დაბრუნებისას იგივე ილია ჭავჭავაძე თავის „მგზავრის წერილებში“ ასე შეაფასებს რუსეთში გატარებულ ცხოვრების პერიოდს: „ოთხი წელიწადი იყო,—სწერს ილია,—რაც მე

რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელი-წადი!... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? პირველი რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჰკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს,—ჯეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკს ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კკირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო!" [1].

ილია ჭავჭავაძის ეს განცდა—განცდაა ჩვენი 60-იანი წლების ახალგაზრდობისა, მისი ეს სიტყვა—სიტყვაა ახალგაზრდახა იმ ჯგუფისა, რომელიც ჩვენი საზოგადოების ისტორიაში ცნობილია „თერგდალეულთა" სახელწოდებით.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან ზემორე-მოყვანილ ციტატებში გვეძლევა გასაღები ჩვენი 60-იანი წლების ახალგაზრდობის ძიების, მისწრაფების, ტკივილების, აღტაცების, გატაცების და შემოქმედებისა. „ვალი ამ წუთისოფლის" აშორებს ჭაბუკს პოეტს (და სხვებსაც) სამშობლოს, და ეს უდიდესი მსხვერპლია, თუმცა სამშობლოსავე საკეთილდღეოდ, პოეტისაგან შეწირული.

რომ მართლა ასეთი სულიერი განწყობილება, მომავლის მოვალეობის შეგნება მიერეკებოდა ჩრდილოეთისაკენ არა მარტო ილიას, არამედ საერთოდ ჩვენს ახალგაზრდობას, ამას სხვა „თერგდალეულებიც" ამოწმებენ. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი 60-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელის ნიკო ნიკოლაძეს „მოგონება სამოციან წლებზე". ეს „მოგონება" აშკარად გვიმოწმებს, რომ რუსეთში მყოფი ჩვენი ახალგაზრდობა ჩაბძული იყო იმ ცოცხალ იდეურ მუშაობასა და მოძრაობაში, რომელიც ესე მძაფრად ელინთავდა პეტერბურგის (ლენინგრადის) უნივერსიტეტს და საერთოდ რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის აზროვნებას. ქართველ ახალგაზრდობას, ნიკოლაძის მოწმობით, „კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა რუს და, განსაკუთრებით, პოლონელ სტუდენტობასთან". აი სხვა მრავალ საინტერესო ცნობებთან რა საინტერესო ცნობას გვაძლევს ნიკოლაძე თავის „მოგონებაში": „ჩვენს წრეში,—გადმოგ-

[1]) ილია ჭავჭავაძე—მგზავრის წერილები—ტ. II. გვ. 7.

ცემს ნიკოლაძე,—პოეტის ილია ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1861 წლის ზაფხულს უდაო გავლენა მოიპოვა ნიკო ღოღობერიძემ, რომელმაც ისტორიკო-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაასრულა... სექტემბრის 24-ს, ვისადილეთ მ. ი. სიმონოვის ქალთან... რომ სასადილოში შემოვიდნენ ორი ღოღობერიძე ნ. ბ. და ბ. ლ.... ღოღობერიძეებმა გადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენდობა... დემონსტრაციაზე გამოდისო და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობა. დემონსტრაცია კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ სტუდენტები თავს მოიყრიდენ ჯერ უნივერსიტეტში და მერე ნევის პროსპექტით და ვლადიმერის ქუჩით გაემართებოდენ, რათა პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის წარედგინათ მოთხოვნილება უნივერსიტეტში წესრიგის დაცვისა და მატრიკულის შემოღების წინაალმდეგ პროტესტი განეცხადებინათ... „შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენო“. „ამაზე კ ი რ ი ლ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ,—განაგრძობს ნიკოლაძე,—შენიშნა, რომ ქართველები სხვებს ვერ მიჰბაძავენ. რუსეთში, პოლონეთში, მალოროსიაში ბევრია ნასწავლი ხალხიო. ეს ქვეყნები უინტელიგენტოთ არ დარჩება, მათი ახლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგავონ პირისაგან დედამიწისა. ჩვენში კი საქმე სხვანაირია, ჩ ვ ე ნ ქ ა რ ვ ე ლ სტ უ დ ე ნ ტ ო ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ო ბ ა ვ ა რ თ[1]. ჩვენ რომ ახლა დავბრკოლდეთ, ქართველ მამებს შემდეგ ვერცკი გააგონებ, შვილები უნივერსიტეტში გაგზავნონ. ძველებურად საკადეტო კორპუსებში მიაბარებენ, რომ ეს უფრო ადვილი საქმეა და უფრო იაფიც ჯდებაო“. „ბევრი კამათის შემდეგ,—განაგრძობს ნიკოლაძე,—ნიკოლოზ ღოღობერიძემ წასვლისას სატყვა გვესროლა: ვინც მშიშარა ხართ, სახლში დარჩითო. ეს კი საკმაო იყო იმისათვის, რომ არა თუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზედაც შეგვეხეთქა“[2].

მართლადაც, როგორც ნ. ნიკოლაძე მოწმობს ამავე „მოგონებანი“-ში, ქართველმა სტუდენტობამ გაიზიარა რუსი სტუდენტების ბედი, აქტიური მონაწილეობა მიიღო დემონსტრაციაში და საკმარისად და საგრძნობლადაც დაისაჯა. ამას გარდა, ნიკოლაძის „მოგონებანი“ კიდევ იმითაც არის საინტერესო და საყურადღებო ჩვენთვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა რუსეთში სწავლისათვის გადასული და

---

[1]) კურსივი ჩვენია.

[2]) ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე—მოგონებანი სამოციან წლებზე—„კავკასიონი“ — 1924 წ. № 3—4.

საზოგადოებრივ მოძრაობაში ჩაბმული, მტკივნეულად ჰგრძნობს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე. გრძნობს, რომ ის „პირველი თაობაა სტუდენტობისა", ე. ი. ქართველი ინტელიგენციისა, ჰგრძნობს, რომ სამშობლოსათვის მათი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება. და ამას თავიანთის თავის გადიდებისათვის ან შიშით კი არ ამბობენ, არამედ სამშობლოსადმი მოვალეობის და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით. ამაშია ერთი უდიდესი განმასხვავებელი შტრიხი ჩვენი 60-იან წლების ახალთაობის მისწრაფებისა რუსეთთან შედარებით,—ეს ეროვნული გრძნობაა, რომელიც ახასიათებს და ამოძრავებს ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას და ლიტერატურასაც ამ პერიოდში.

ბუნებრივია და დამახასიათებელი ჩვენი განახლებული საზოგადოებრივი ცხოვრების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული პირველი დასისათვის, ე. წ. „თერგდალეულებისათვის" ის სულიერი განცდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავის „მგზავრის წერილებში" გვაძლევს.

ოთხი წლის გაყრის შემდეგ ილია ჭავჭავაძე მოუახლოვდა თუ არა სამშობლოს და მისი სიო იგრძნო, მძლავრი, ნაცნობი ფიქრები მას კვლავ მეტის სიცხადით და რეალობით წარმოუდგა: „როგორ შევეყრები,—ეკითხება პოეტი თავის თავს,—მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზე დარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინც და მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავისი დარდი, წუხილი, მხიარულება, იმედი, თუ უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევძლებ-კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით დავრდომილს აღდგომის იმედი მოვფინო, უნუგეშოს ნუგეში ვცე, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო და ის თვითეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველ კაცში არ ჟონავდეს, ერთათ შევაგროვო? შევიძლებ კი? შევიძლებ კი გასაგონის სიტყვის თქმას? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ, რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ... ჩემს

სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქ? —ვკითხე მე ჩემს თავს და გაეჩერდი. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი"[1].

ეს განცდა საერთო განცდაა ჩვენი ახალგაზრდობისათვის 60-იან წლებში.

„თერგდალეულებს" სამოღვაწეოდ შესაფერი ნიადაგი, მომზადებული წინა თაობის და პერიოდის მუშაობით, არ დახვდათ. „იმ დროინდელი ჩვენი „მამა",—სამართლიანად შენიშნავს არჩ. ჯორჯაძე,—არ ჰგავდა იმ „მამას", რომელსაც რუსეთში ებრძოდნენ „შვილები". ამ „მამას" არავითარი კავშირი არა ჰქონდა ლიტერატურასთან და კულტურასთან. იგი იყო მემამულე თავად-აზნაური, სამსახურის და პირად და ოჯახის კეთილდღეობის მაძიებელი"[2]. ეს გარემოება უფრო ართულებდა და აძნელებდა ახალგაზრდობისათვის მოქმედების გაშლას. მას არა ჰქონდა ბუნებრივი მტკიცე გარდამავალი საფეხური კულტურული ცხოვრების და საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუციაში. ეს გარემოებაც ერთ-ერთი მიზეზია ჩვენი 60-იანი წლების ცხოვრების სიმარტივისა, შეიძლება ითქვას, სიმჩატისაც (რასაკვირველია, შედარებით რუსეთის 60-იან წლებთან. 60-იან წლების თაობას, „თერგდალეულებს", თვითონვე უხდებოდათ ყოველმხრივ გზის გაკაფვა, ყოველი წვრილმანის შექმნა და მისი ბრძოლით მოპოება.

მართალია, 60-იანი წლების წინათაობას აღძრული ჰქონდა კულტურული მოღვაწეობის სურვილი, ⁄ ამის დასაკმაყოფილებლად დააარსა ჟურნალი „ცისკარიც". მაგრამ მისი ეს სურვილიც და ორგანოც მეტად პრიმიტიულია, უსუსური, მხოლოდ მთავრობის დახმარებით ფეხადგმული. ამ ჟურნალში არ გამოსჭვივის საზოგადოებრივი ცხოვრების ძლიერი მაჯის ცემა, საზოგადოებრივი ცოცხალი აზრის მძლავრი ტალღის ქცევა. „ცისკარის" ყოველი ნომრისათვის და 60-იანი წლების წინათაობისათვის დამახასიათებელი იყო მთავრობისადმი მორიდება, მოკრძალება, მადლობა და დიდი პატივისცემა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც გლეხკაცობა ისევ განაგრძობდა ბატონყმობის უღელს ქვეშ მონურ ცხოვრებას; ბურჟუაზია მხოლოდ აპირებდა ფეხის ადგმას, ჯერ არავითარი უფლება არ ჰქონდა.

[1]) ილია ჭავჭავაძე—მგზავრის წერილები—გვ. 8—9, ტ. II.
[2]) არჩ. ჯორჯაძე—თგზულებანი, წიგნი V. გვ. 80.

კულტურული ცხოვრების საქმე ისევ დარღვეულ თავად-აზნაურთ ჰქონ-დათ ხელთ.

ეაი როგორ უყურებს საუკეთესო წევრი „მამათა“ ბანაკი-სა, შედარებით ფხიზელი მოაზროვნე ალ. ორბელიანი „ცისკარს“ და მის დანიშნულებას: „ეს დრო,—სწერს ალ. ორბელიანი,—არის ნათელი დრო, როგორათაც უღრუბლო მზემ გააბრწყინოს ქვეყანა, ესე იგი სწავლის დრო და გონების განათლებისა. მაშასადამე, სადაც ესენი არიან, იქ ყველა კარგი და კეთილი უნდა იყოს. ღმერთმან ადღეგრძელოს ჩვენი განათლებული, ჩვენი დიდი ხელმწიფე! ის ზრუ-ნავს ჩვენთვის და ჩვენ კი არა ვართ ჩვენთვის. იმან ინება ჩვენი ქართული ჟურნალი გვქონდეს ჩვენ შესაქცევად, სა-სიამოვნოდ და დროს გასატარებლად“ [1]. გარდა ამისა, რადგანაც საისტორიო ძველი ქვეყანაც არის ეს ჩვენი ქვეყანა, ამ ჩვენის ქართულის ჟურნალით. ამ ჩვენს ქვეყანაში თავის დროზე მრავალი ძველი საგანი გამოჩნდება ისტორიისათვის და ბევრი სასარგებლო“ [2].

თანამედროვეობა, ყოველდღიური ცხოვრება, რომლის გამომ-ხატველი უნდა ყოფილიყო ჟურნალი, არც „ცისკრისა“ და არც მის თანამშრომელთათვის არ იყო მიზანი. თუ ასეთი შეხედულებისა იყო საუკეთესო წარმომადგენელი „მამებისა“, რა უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი მომაკვდავი!?..

რომ „მამები“ „ცისკარს“ უყურებდნენ, როგორც შესაქცევ, სასიამოვნო და დროის გასატარებელ საშუალებას, ეს „ცისკრის“ რედაქტორის ივ. კერესელიძის ზემორე-აღნიშნული სტატიის და-ბეჭდის ერთი წლის შემდეგ (1859 წ.) დაბეჭდილი განცხადებიდა-ნაცა ჩანს. როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ძალა-უფლების მქონე ნაწილმა „მოლაყბის“ წერილების გამო უკმაყოფილება გამოს-თქვა, „ცისკრის“ რედაქტორი აი როგორს განცხადებას ათავსებს: „გარწმუნებთ, რომ რასაცა სწერდა უ. მოლაყბე, ყოველივე იყო გა-მოსული კეთილი გულიდან, გულმტკივნეულობით. რა გაეწყობა! ჩვენი ჟურნალი არის საზოგადო, მაშასადამე, არის ხმა საზოგადოე-ბისა... უკეთუ მცირედი რამ ვპოვეთ საწყენოდ მკითხველთა, მაშინ-ვე მოვიხმარებთ ყოველსავე ღონისძიებას მიზეზის მოსპობისათვის. ამასთანავე ვუბრუნებთ უ. მოლაყბეს ბოდიშით თავის „სალაყბო ფურცლებს“ [3].

შესაძლებელია „ცისკრის“ ზოგიერთ თანამშრომელს შეგნებუ-ლი ჰქონდა, რომ ურიგო არ არის საზოგადოების ნაკლულევანებათა

[1]) კურსივი ჩვენია.
[2]) ალ. ორბელიანი „მე და ის—„ცისკარი“ 1859 № 7.
[3]) „ცისკარი“ 1859 წ 1859 № 1

მხილება. შესაძლებელია, ზოგიერთი მათგანი მათ სარგებლობასაც კი გრძნობდა (მაგ. ალ. ორბელიანი, თვით რედაქტორი ივ. კერესელიძე), მაგრამ მთლიანად რედაქცია იმდენად უსუსური იყო, იმდენად არა ჰქონდა შეგნება თავისი მოქალაქეობრივი უფლებებისა და მოვალეობისა, რომ ჟურნალი მონასავით ფეხთ ეგებოდა არა მარტო მთავრობას და მის აღებულ კურსს, არამედ საზოგადოების სხვა ჩვეულებრივს ძალის მქონე წევრსაც-კი. დასახასიათებლად მოვიყვანთ ალ. ორბელიანის 1859 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში მოთავსებული წერილიდან „სალაყბო ფურცელზე“. „ეს კი უნდა მოგახსენოთ,—მიჰმართავს ალ. ორბელიანი თავის მკითხველს,—რადა ვჯავრობთ, როდესაც ჩვენს ნაკლულებას გვეტყვიან რასმე?.. იქნება არ ვიცოდეთ, რომ ყოველი ადამიანი თავის თავზე დაბრმავებულია ყოველთვის და თავის ნაკლულებას ვერას ხედავს... არ ვიცი, თუ რად ვსჯავრობთ თქმასა ჩვენზე?—თუ გნებავთ, პირველათ ჩემგნით დაიწყეთ: მე დამგმეევით, მე გამლანძღეთ და, რაც უარესია, დასწერეთ ჩემზედ. დიდად მიამება. ვინ იცის, იქნება, მეც ბრმა ვიყო ჩემს თავზედ. მაშინ თუ თავს მართალსა ვგრძნობ, მოგახსენებთ, თუ არა და სიამოვნით დავჩუმდები, ჭეშმარიტად.“ ბოლოს ერთგვარი ირონიით გადმოგვცემს, რომ, როდესაც მოლაყბის წერილებით აღშფოთებულმა შეკრებილმა საზოგადოებამ ერთი თავადისაგან გაიგო, რომ „სალაყბო ფურცლის დამწერი „ესა და ეს თავადიშვილია და არა კერესელიძეო“, „ამ სიტყვაზე,—განაგრძობს ალ. ორბელიანი,—ცეცხლს რომ წყალი დაასხან, ისე განელდნენ ყოველნი და ერთმანეთს ცქერა დაუწყეს დამშვიდებულის სახით და ბოლოს ერთმა სთქვა სიამოვნით:—ჰო, ეგ კი! იმან რომ დასწეროს, შეეფერება და ამას იქით კიდეც მოვიწონებ მაგ „სალაყბო ფურცელსაო“.

ცხადია, რომ ამ დროს ჩვენს მოდუნებულ, ეკონომიურად და ამის გამო იდეოლოგიურადაც დარღვეულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული იყო ძალა-უფლების ლოლიკა და ფილოსოფია. წოდებრივი უფლებები და ტრადიციები კვლავინდებურად ძლევამოსილია. წოდებრივი ტრადიციები კვლავინდებურად ურყევი კედელივით ამართულა და არ უნდა გაეაუშვას ამოძრავებული ცხოვრების მკრთალი ტალღაც კი, არ მისცეს საშუალება აამღვრიოს წოდებრივი ცრუ თავმოყვარეობით დაკმაყოფილებული პრივილეგიური კლასის ცხოვრება, რომელიც, ილია ჭავჭავაძის თქმით, ამ დროს წარმოადგენდა „ხავსმოკიდებულ ბუდეს“, საიდანაც „მეტად ცუდი ოშხივარი ამოდიოდა: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს

ობი მოეკიდებოდა, მუხლი, წინ წასადგმელად მოცემული, დაეხუთებოდა... შიგ მეტად მრავალი ცხოველი მოჩანდა, მათ შორის ოთხფეხა ცხოველებიც იყვნენ, რომელთაც ჩვენში ადამიანებს ეძახიან. ამ ადამიანებში ნამდვილი კაცებიც მოჩანდნენ, მაგრამ ძალიან ცოტა... ამ წუმპეს ქართველები სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიან, როგორც იმ ორფეხა ცხოველებს, რომელნიც შიგა ლპებიან, ადამიანებსა"[1].

მართალია, მოლაყბეს გამოესარჩლა „თერთმეტი მებუკე": 1) მყვირალა, 2) გადარეული, 3) თავხედი, 4) ყბედი, 5) ავყია, 6) გიჟმაჟი, 7) ავგული, 8) ბრაზიანი, 9) დაუფერებელი, 10) რეტიანი და 11) მოლაყბე. მათ მკითხველს თამამად მიჰმართეს: „აქამდისინ,— აცხადებს თერთმეტი მებუკე,—საჭიროდ არა ვრაცხდით ჩვენი ვინაობა შეგეტყოთ. ახლა გვიცნობებია, რადგანაც მიზეზი რამ გამოხდა უკმაყოფილობისა. ამისათვის უცოდველნი ვიყვნეთ. გვინდა ჩვენი აზრი არმოვსთქოთ, გინდათ დაგვემდურენით, გინდათ, როგორც თქვენი ნება იყოს... ამას კი გეტყვით, ამ მოლაყბეს რომ მოჰკლავთ, მას უკან გადარეული დასწერს, უფრო უარესად და გარკვევით, ამასაც, რომ მოჰკლავთ, მეორე თავხედი, და ბოლომდისინ ისე ვივლით, მინამდისინ სულ ერთიანად არ გაგვწყვეტთ" [2]. მაგრამ ეს „გამოსარჩლება" „თერთმეტი მებუკისა", ლიბერალური კეთილ-განწყობილება ალ. ორბელიანისა და ზოგიერთი სხვისაც, თუმცა თავის დროზე საგულისხმიერო მოვლენა იყო, მაგრამ მეტად სუსტი და მხოლოდ გამღიზიანებელი. ეს გარემოება არამც თუ ვერა სცვლიდა, საგრძნობ კვალსაც კი ვერ ამჩნევდა საზოგადოების საერთო მოუმზადებლობის, ჩამორჩენილობის, გაბატონებული, დრომოქმული წოდებრივი ზნე-ჩვეულების ატმოსფეროს, რომელმაც მალე ჩააყრედინა ხმა მოლაყბესაც და სხვა მის თანამოაზრე მებუკეებსაც. უკანასკნელთა წინააღმდეგობა უკეთეს შემთხვევაში ხანმოკლე და განყენებულ „კეთილშობილურ" მღელვარებას არა სცილდებოდა. ერთი წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მოლაყბეს და მის მომხრეებს „ცისკრის" კარები ფართოდ გაუღეს, და „მამები" მათ დაეინებით იწვევდნენ (ალ. ორბელიანი), მათი ხმა ფერმკრთალია, კანტი-კუნტადღა ისმის და 60-იან წლებში თვით მოლაყბეც „მამების" ბანაკში მოექცა.

მოლაყბის და ცხრა მებუკეთა გამოჩენა საზოგადოებრივი მოქმედების ასპარეზზე მაჩვენებელი იყო მხოლოდ იმისა, რომ ჩვენი ცხოვ-

[1]) ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე—კაცია ადამიანი (მეოთხე ვარიანტი)—ტ. II გვ. 304.
[2]) „ცისკარი" 1859 წ. № 2—გამოსარჩლება.

რების სიღრმეში ხდებოდა რაღაც ცვლილება, რომელიც ჩვეულებრივი თვალისათვის შეუმჩნეველი იყო, მაგრამ რომელიც ძველი წყობილების კედელს ასკდებოდა, როგორც წინამორბედი 60-იანი წლების მძლავრი მოძრაობისა და ეკონომიური ცხოვრების ახალი ფორმების თანდათანობითი გამომეღავნებისა.

2.

ჩვენი 60-იანი წლების პერიოდი შეიძლება 1859 წლის დასასრულით დავიწყოთ. 1859 წელი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში გარდატეხის ხანაა. „ცისკრის" თვალის გადავლება დაგვარწმუნებს. რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ტალღის ცემა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში და აზროვნებაში თანდათან ძლიერდება. ეს უდაოდ იმის მაჩვენებელია, რომ თანდათან სოციალური ნიადაგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა ამ იდეების მისაღებად ამ დროისათვის უფრო ხელსაყრელი ხდება. რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში, როგორც ვიცით, ყირიმის კატასტროფის შემდეგ, 1856 წლიდან იწყება 60-იანი წლები—ეს sturm und drange periode რუსეთის ისტორიაში, საზოგადოებრივ აზროვნებაში და ლიტერატურის განვითარებაში, და ეს, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ძველი მსოფლმხედველობის ყირამალა დაყენების ხანაა.

მთავარი, ცენტრალური, მწვავე საკითხი, რომელიც რუსეთის ინტელიგენციის ყურადღებას და ენერგიას იზიდავდა, ბატონ-ყმობის, ყმის განთავისუფლების საკითხი იყო. ამ დროისათვის (1860 წლისათვის), როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროსაც ედება ბატონ-ყმობის საკითხის ძალა. ყმის განთავისუფლების საკითხი თითქოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ცის ტატნობზედაც გამოჩნდა და ტყვიის ფერი მძიმე ღრუბლებით სქელდავდა მას [1]. თითქოს ამ საკითხის მწვავედ დასმის მოლოდინითაა გამოწვეული ალ. ორბელიანის 1859 წლის „ცისკრის" მეთერთმეტე №-ში მოთავსებული სტატია: „ბატონ-ყმობა ძველს დროს საქართველოში". აი, სხვათა შორის, ალ. ორბელიანი რას ამბობს თავის წერილში: „უწინდელ დროში,—მოგვითხრობს ალ. ორბელიანი,—ჯარეშე კაცი იმას ეძებდა, მებატონე ვიშოვნო და ი[ს]ას შეეეხიზნოო. ამისათვის რომ მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს

[1]) ბატონ-ყმობის საკითხის დასმის სურვილს მოლაყბესაც ვამჩნევთ 1858 წელს „ცისკარში", მაგრამ მეტად გაუბედავად, იმდენად, რამდენადაც ამ საკითხს თვით მთავრობა სვამდა.

უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისათვის... ყმა,—განაგრძობს ძველის უპირატესობის აღმსარებელი ალ. ორბელიანი,—თავის მებატონესთან თამამად მიეიდოდა, ყოველს საქმეს დაუფერებით, უმკრთალოდ მოახსენებდა და როგორც ამხანაგი, ისე გაუგრძელებდა ლაპარაკს, მაგრამ დიახ პატივცემით... ყმასა მებატონე,—განაგრძობს ალ. ორბელიანი,—მამასავით უყვარდა, მამასავით შიში ჰქონდა, მამასავით პატივს სცემდა და ყოველთვის გაფრთხილებული იყო, „არა ვაწყენინო რაო“. ერთგულება ხომ რაღა უნდა ითქვას ყმებისაგან მებატონისა! ასეთი მაგალითები მომხდარა, რომ მებატონის ერთგულებისათვის სახლეულობით მსხვერპლად შეეწირებოდა მებატონეს... ვინიცობაა, თუ ობლები ანუ ობოლი დარჩებოდა და უფროსი პატრონი არ ეყოლებოდა, მაშინ მებატონე კაცებს დაუყენებდა და იმათი პატრონობით თვითონაც ყურს უგდებდა დიდის ყურადღებით, თუ სახლში არ გამოიყვანდნენ მოსამსახურედ, და თუ გამოიყვანდნენ, იმას ხომ შვილსავით აღზრდიდნენ თავის შვილებთან ერთად, თუმცა მოსამსახურედ, მაგრამ გრძნობით და სულით თავისუფლად“ [1].

ალ. ორბელიანის ეს წერილი მეტად საგულისხმიეროა. ეს პირველი დარაზმული გამოლაშქრებაა „მამების—„შვილების“ წინააღმდეგ, ძველისა-ახალის გასაბათილებლად. ალ. ორბელიანის ეს წერილი მკვეთრი და აშკარა გამოხატულებაა იმ ბატონ-ყმური შეხედულობის, რომელიც საუკუნეობით გამომუშავდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში და გლეხ-კაცი მონად გადააქცია. ალ. ორბელიანის მიერ გამოთქმული ეს აზრი—აზრია მთელი თაობისა, მკვეთრი გამომხატველია იმისი, თუ რამდენად გაუვალი იყო წოდებრივი კედელი და ის ურყევი რწმენა, რომ ბატონ-ყმობის ინსტიტუტი აუცილებელი ბურჯია სახელმწიფოს ბედნიერებისათვის. ბატონ-ყმობით ამართული კედლის ერთს მხარეს თავად-აზნაურნი, კმაყოფილნი თავიანთი გარეგნობებით, კედლის მეორე მხარეს გლეხ-კაცთა გმინვას და ტანჯვას ვერა ჰხედავდნენ და ვერა ჰგრძნობდნენ. ალ. ორბელიანის სახით პირველად ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ხდება ძველი იდეოლოგიის მომხრეთ შიშის გამოხატვა ეკონომიური კმაყოფილებით, ძალაუფლების დაკარგვის შიშით გამოწვეული. ალ. ორბელიანის სახით ძველი პრივილეგიური კლასი ცდილობს დაასაბუთოს თავისი პრივილეგიის და ძველი ცხოვრების ფორმების მიზან-შეწონილობა.

---

[1]) „ცისკარი, 1859 წ., № 11.

ბატონ-ყმობისათვის დიდ ღირსებად და სასიქადულოდ ალ. ორბელიანს მიაჩნია ის, რომ ყმას მებატონეებთან პირდაპირ მისვლა შეეძლო, საქმის გარემოება ეთქვა, თუმცა ყმის მხრით „პატივისცემით“.

ასეთი „ჰუმანიური“ მოპყრობა ხომ ბატონის გუნებაზე იყო დამოკიდებული! თუ ბატონი კარგს გუნებაზე იქნებოდა, შეიძლებოდა მას მოესმინა ყმის გარემოება, თუ არა და ხომ მას ახლოც არ მიუშვებდა! „დაუფერებით“ ყმის მხრივაც თავის გარემოების მოხსენება, როდესაც გარკვეულ უფლებაზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ ბატონის ხასიათზედ, რასაკვირველია, ანორმალური და შეუძლებელი იქნებოდა. ალ. ორბელიანს ბატონ-ყმობის ურყეობა და ბატონის ფსიქოლოგია იმდენადა აქვს შესისხლხორცებული, რომ ყმის შიშში და ძალით ქედის მოხრაში ის ხედავს ყმის მიერ ბატონის „მამასავით“ სიყვარულს, შიშის ქონას, როგორც „მამის წინაშე“. მას არ შეუძლიან გაიგოს, რომ დამონებულისაგან დამმონავებელის „მამასავით“ სიყვარული და „მამასავით შიში“ შეუძლებელია. მას ვერ შეუძლიან გაიგოს, რატომ იყო გლეხ კაცი ყოველთვის გაფრთხილებული—ბატონს „არა ვაწყენინორაო“. ალ. ორბელიანს ვერ გაუგია, რომ ყმის ერთგულება ბატონისადმი შეუძლებელია; რომ ნასუფრალით საზრდოობა, მოსამსახურეობა ობოლი ყმისა ბატონის სახლში, მას შვილივით თავისუფლად ვერ აზრდის; რომ ასეთი მდგომარეობა პიროვნების დამცირება იყო, მისი თავმოყვარეობის შელახვა, მისი ნიჭის შებოჭვა, ჩაკვლა, უარყოფითი მიმართულების მიცემა.

თუ ასეთი აზრისა და შეხედულებისა იყო საუკეთესო და ლიბერალური სულიერ განწყობილების მატარებელი ალ. ორბელიანი, რაღა მოეკითხება ანდუყაფარებს, ამირინდოებს, პავლეებს და სხვათა!?..

ამავე 1859 წლის ჟურნალი „ცისკრის“ შემდეგს ნომერში, თითქოს როგორც პროტესტი არაოფიციალურ ცხოვრებისა და აზროვნებისა, დაიბეჭდა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ პირველი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი 1860 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში. დანიელ-ჭონქაძის „სურამის ციხე“ მძლავრი ნასროლი იყო წყვდიადით მოცულ, უდიდეს ნაწილზე მცირე ნაწილის გაბატონების, ძალ-მომრეობის, ცხოვრების დაგუბების დროს. „სურამის ციხე“ მკვეთრი გადახსნა იყო ხალხის დამონავებული ნაწილის ცხოვრებისა და უტყუარი, შეუფერავი გამოაშკარავება იმ საშინელებისა, ბორო-

ტებისა, დამცირებისა, შეურაცყოფისა, რომელსაც განიცდიდა ეს მართლადაც „შვილისაკით“ საბრუნავი გლეხი, ეს მსაზღვრელი ძალა ბატონისა და სახელმწიფოსი, ეს დამცველი და შენახველი სახელმწიფოსი და ბატონის ცხოვრების მთლიანობისა და უბრუნველ-ყოფისა.

„სურამის ციხეში“ მოუსრიდებლივ არის ასახული ბატონის ფსიქოლოგიის გარყვნილება, დაცემა, უაზრო და დაძღუპველი თვით-ნებობა, დაუდევრობა, ყმის სიცოცხლის დაუფასებლობა. „სურამის ციხეში“ გამოყვანილი გალერეია ბატონების და გლეხებისა ცოცხალ სინამდვილიდან აღებული ტიპებია: აქ, „სურამის ციხეში“, პირველ-ლად აშკარად და დაურიდებლივ აღნიშნულია, რომ ბატონის შეუ-ბრალებელი, გარყვნილი გული და ხორცი გლეხს ისე უყურებდა, რო-გორც უბრალო ნიეთს, რომელიც გაჩენილია მხოლოდ მისი გუნების და ეინის დასაკმაყოფილებლად. ბატონი თავისი უმსგავსი და უდა-მიანო მოქცევით ურევს საწყალ გლეხ-კაცს ცხოვრების გზა-კვალს, არ აძლევს მას საშუალებას დამშვიდებულად იცხოვროს და ხრას ერთი ლუკმა-პური.

ვინ არის ოსმან-აღას (ნოდარის) ოგბო-უკვლოდ ხეტიალის და ბოროტმოქმედების ჩადენის მიზეზი? რასაკვირველია, მისი ბატონი, რომელმაც არ აკმარა მას მთელი რიგი უკაცური საქციელისა, აღარ მოუსვენა, თვით მის სულშიაც მოინდომა თავისი ჭუჭყიანი ხელით ფათური; ის ბატონი, რომელმაც მამის სიკვდილის შემდეგ უპატრო-ნოდ დარჩენილ ქვრივსა და ობლებს სახლი სრულებით გადაუბრუნა. „ბატონმა,—უამბობს ოსმან-აღა თავის თავ-გადასავლიდან დურმიშ-ხანს,—ჯერ წაგვართვა ვენახი, იმიტომ რო ვითომ აღარ შეგვეძლო მოელა, მერე თითო-თითოდ ხარკამეჩი და უკანასკნელად უბრძანა დედა-ჩემს, რო გადასახლებულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედა-ჩემი უნდა გენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რა გვარად არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა. „იტირებს, იტირებს და დაყუჩდებაო“,—აი აზრი მება-ტონეთა; იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ არა ვვაქვს გული, არ შეგვიძლიან გასჯა.

—„დედა-შვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენი ღვთის გულისთვის დამანებე თავი, დამანებე თავი,—ეხვეწ-ებოდა დედა-ჩემი,—რა მოსამსახურე უნდა ვიყო მე თქვენი ბატო

ნური ცხოვრებისა, არ ვიცი. ჩემი შვილები აქედგან უფრო გემსახურებიან. რასაც მოვიყვანთ, სულ შენ მოგართმევთ. ჩვენ ნაცარს ავფშრუკავთ და იმას ვჭაჭთ, ოლონდ ნუ მოგვიშლი ოჯახს. საწყალო ჩემო შვილებო! – და იმან მიგვიკრა გულზე იმ გვარად, თითქოს, ის იყო, გვდებდნენ სამარეში"[1]. აი სინამდვილეში, როგორ იხატებოდა ბატონის „მამაშვილური ზრუნვა" გლეხ-კაცისა და მის ცოლშვილისათვის! და, მართლადაც, განა ოჯახში სიკვდილი არ ერჩიენათ იმ აუტანელი ჯალათური ტანჯვის მოთმენას, რომელიც ოხერ ქვრივს და ობლებს გადაჰხდათ გულქვა ბატონის სახლში? განა სამარეში ჩადება შვილებისა უფრო ძნელი იყო, ვიდრე გადატანა იმ უადამიანო დაჩაგვრისა, დამცირებისა და გაწბილებისა, რომელიც ბატონის სახლში მის უსაზღვრო და უმსგავსი თვითნებობით გადაჰხდათ მათ თავს?!

ბატონი ხშირად დიდს ხვეწნასა და მუდარას, ძუძუდან საყვარელის, ერთად-ერთი ნუგეშის შვილის აგლეჯით და გაყიდვით გამოწვეულს, ანგარიშს არ უწევდა. აი როგორ აუწერს ოსმან-აღა დ ურ მ ი შ ხ ა ნ ს, როცა ბატონმა გამოუცხადა მის დედას მისი ქალვაჟის გაყიდვის შესახებ: „დედაჩემი... მხოლოდ შებარბაცდა ცოტათ, მე დამიჭირა თავი და გულზე მიმიკრა. ხელებზე შევატყე, რომ ჰქონდა ციები ყინულივით და უკანკალებდნენ. შემდგომ რამდენიმე წუთისა დედაჩემი დაემხო მიწაზე და დაუწყო ხვეწნა ბატონს ისე, როგორც შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოდ ართმევენ შვილსა. ბატონმა უბრძანა ბიჭებს, რომ გაეგდოთ ის კარში"[2].

და განა მარტო ზ ა ლ ი კ ა ს (ოსმან-აღას მამის სახელია) უპატრონოდ დარჩენილი ოჯახია ასე უწყალოდ, სულ უბრალოდ გაცამტვერებული? განა ასეთსავე უფლება-აყრილ მდგომარეობაში არ არის დურმიშხანი და მისი უხეშად და შეუბრალებლად გათელილი დედა, რომელსაც ყველაფერი, ყველა უფლება, თავდაუკვრელი ცხოვრება, ნამუსი და, ბოლოს ერთად-ერთი ნუგეში, უბედურებით და შეჩვენებით შეძენილი შვილიც-კი წაართვეს?! „საწყალი დედა ჩემი,— მოუთხრობს დურმიშხანი გულისვარდს,— უნდა გენახა, რანაირად იკლავდა თავს... მთელი ქვეყანა ზედ დაედო, მაგრამ ვერ დააყენეს... რა გამოვსცადე შემდგომ იმისა,—გულნაკლული,ნარ-ეკლიანი, დამცირების გზა-განვლილი დურმიშხანი ეუბნება გულისვარდს,—შენ ვერ წარმოიდგენ... და რა არ გამოვცადე: შიმშილი, წყურვილი, სიცივე, ცემა, დაცინება და სხვა ბევრი ამისთანა"...[3] და ბოლოლს ავტორი

[1]) დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ე – სურამის ციხე,—გვ. 18—19.

[2]) იქვე—გვ. 20.

[3]) იქვე—გვ. 4.

სრულიად სამართლიანად და მწარე ნაღველით დასძენს: „ისიც ისე გამოიზარდა, როგორათაც ეხლა იზრდებიან იმისი მსგავსი უპატრონო ბიქები, რომელთა ცხოვრებას სრულებით არავინ დასდევს“ [1].

მაშასადამე, დურმიშხანის, ნოდარის (შემდეგ ოსმან-აღასი), მათი დედების და დის ხვედრი—ეს თითქმის ჩვეულებრივი ხვედრი ყოფილა ყმისა. მძიმე ოდისეია ნ ო დ ა რ ი ს ა და დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი ს ა, ვ ა რ დ ო ს ი და ნ ა ტ ო ს ი და სხვათა მოქმედ პირთა საერთო ყოფილა ყმისათვის, როგორც ალმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთში. ნოდარი და მის გარშემო შემოკრებილნი მსხვერპლნი—ქართლში; დურმიშხანი და მისი დედა—იმერეთში. ამით ავტორს, ალბად, უნდოდა დაეხატნა ბატონ-ყმობის ბოროტების საერთო ხასიათი მთელს საქართველოში.

„სურამის ციხე“ გაბედული პასუხი იყო ალ. ორბელიანის წერილზე. აი როგორი „სითამამით“ მიდიოდა ყმა თავის ბატონთან, როგორ „დაუფერებით, უმკრთალოდ მოახსენებდა“ და როგორი „ამხანაგური“ განწყობილებით გაუგრძელებდა ლაპარაკს“!.. „სურამის ციხე“ მჭერმეტყველურად ღაღადებდა, რომ ბატონსა და ყმას არაფერი არ აერთებდა. მათს შორის ხიდი იყო ჩატეხილი. და თუ ბატონური მდგომარეობით დაბეცებული, გონება და გრძნობა დაჩლუნგებული ბატონი, მიუხედავად საშინელი უადამიანო ტანჯვისა და შეურაცხყოფის მიყენებისა ყმისადმი, შემდგომ მასში მაინც „ერთგულებას ეძებდა“ (როგორც ნოდარის ბატონი), ეს ხომ ბატონის ზნეობით და გონებით დაცემას, ბატონ-ყმობის განმანადგურებელ ტრადიციებით დაბრმავებას მოწმობდა და არა ნამდვილ საღ ურთიერთობას ბატონსა და ყმას შორის, როგორც ამის დამტკიცება უნდოდათ „მამებს“ ალ. ორბელიანის პირით.

ამის პასუხსაც გვაძლევს დანიელ ჭონქაძე თავის „სურამის ციხეში“. „გავიდა,—მოუთხრობს ნოდარი დურმიშხანს,—სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდეგ. ბატონიც შემირიგდა, ვგონებ იმიტომ, რომ ჰპოვა ჩემში სასარგებლო ნივთი. და რა უნდა მოგახსენოთ? ეძებდა ჩემში ერთგულებას და დარწმუნებულიც იყო, რომ მე ვიყავი იმისი ერთგული. ხა, ხა, ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში, საკვირველნი არიან, შენმა გაზრდამ, მაგგვარნი კაცნი![2]

---

[1]) დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ე—„სურამის ციხე“ გვ. 30—31.

[2]) იქვე გვ. 12.

ბატონმა ნოდარს მიყენებული დამცირება, შეურაცხყოფა, გაწბილება არ აკმარა. როდესაც სიცოცხლე-მოწყურებულ ნოდარს უნდა საშინელი ტკივილები დაიყუჩოს პირადი ბედნიერების მოპოებით, უპატრონო, ბატონისა და ქალბატონის ხელში ისეთისავე გაწბილებული ნატოს სიყვარულით და შერთვით, ბატონი აქაც გადაეღობება მას. ნოდარის თხოვნაზე „რა ვქნა შენი პირიმე, ეს (ნატუა) მომეწონა და“, ბატონი რაღაც ბრაზმორეული სიძულვილით და ზიზღით ეტყვის: „რაო? მოგეწონა? მომეწონა. თითქოს ბატონის შვილი იყოს? სხვა არა მოგეწონარა, მამა გიცხონდა?“ როდესაც ბატონი საშინელი უპატიოსნო საქციელით ნოდარს ამ ბედნიერების და ადამიანური განცდის მიღების საშუალებასაც მოუსპობს და მოუწამლავს, საშინელი ვერაგობით შეიწირავს ნატოს სიცოცხლესაც, მაშინ ისიც საშინელის გზით შურს იძიებს: მოჰკლავს ბატონს, ზედ დააკლავს მის ცოლსა და შვილს. „მე არ მესმოდა,—ეუბნება ოსმან-აღა დურმიშხანს,—იმათი ხვეწნა, სისხლისგან გაგიჟებულმა მე დავაკალი დედაშვილსა. გაბრაზებული სისხლისაგან გამოვარდი კარში, შევეჯექი ცხენზედ და გამოვიქეცი. საღამოზე დამეწია მდევარი და, რასაკვირველია, არა თუ იმათგანმა დამიჭირა ვინმემ და მოინდომა მოკვლა, არამედ თითონვე მასწავლეს, რომ გადავვარდნილიყავი ახალციხისკენ“[1].

აქედან აშკარაა, რომ მარტო ნოდარი არ იყო ასეთს მდგომარეობაში და ასეთს სულისკვეთებაში. ნოდარმა შესძლო ასეთს ცხოვრებასთან კავშირი გაეწყვიტნა. ბატონის ბინძურმა ხელმა ნოდარს ყველა ძაფი ამ ცხოვრებასთან შემაერთებელი ჩააწყვიტა. და მანაც, „თავზე ხელაღებულმა“, საშინელის შურისძიების აფექტში გაბედა ასეთი ნაბიჯის გადადგმა და ცხრა მთას იქით გადავარდნა. სხვებიკი ვერ ახერხებენ ამ ძაღლ-უმადურ ცხოვრებასთან კავშირის გაწყვეტას, თუმცა მათი თანაგრძნობა კი ნოდარის მხარეს არის, ყოველ შემთხვევაში წოდებრივი სხვადასხვაობა მწვავედაა უკვე შეგრძნობილი, შეურიგებელი ბრძოლა უკვე დაწყებულია. ეს ნაწარმოები გვაგრძნობინებს, რომ ბრძოლა უდაოდ სტიქიურად უნდა გაიშალოს და წალეკოს ძველი, ძალმომრეობის ფორმები.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ სულ სხვა კილოთი, სხვა ფერადებით, სულ სხვა სულიერი განწყობილებით არის დაწერილი, ვიდრე ალ. ორბელიანის „ბატონ-ყმობა ძველ საქართველოში“. დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“—წიგნია სისხლითა და ცრემლით

[1]) დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ე—„სურამის ციხე“—გვ. 36.

დაწერილი, იქით მხარის ქვეყანაში მცხოვრები, უფლება-აყრილი, მძიმე ტანჯვის და ძალმომრეობის უღელ-ქვეშ უსიტყვოდ მგმინავი ხალხისა. და ეს წიგნი შეუფერავი სინამდვილის ფერადებით გადმოწერილი ამ ხალხის გულიდან, ხალხის ცრემლსა და ნაღველში ამოვლებული კალმით აკინძული დიდის გამბედაობით და სიყვარულით იმ მხრის ხალხის ღვიძლმა შვილმა, პირველმა წმინდა წყლის და წარმოშობის „რაზნოჩინეცმა და“ პირველმა დიდი ნიჭით მოელვარე ცეცხლით აღსავსე თერგდალეულმა დანიელ ჭონქაძემ მოიტანა [1].

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ ნამდვილი პოლიტიკური პამფლეტი იყო. „სურამის ციხე“ მძლავრი ამონახეთქი იყო ხალხის გულში ჩაგუბებულ დამცირების, შეურაცხყოფის პროტესტისა და „თავდაუკვრელი“ ცხოვრების ძლიერი სურვილისა. მან აამღვრია აშმორებული ცხოვრების გუბე და ავტორის წინააღმდეგ საშინლად აამხედრა. საზოგადოებაში მღელვარება დაიწყო. „რამოდენიმე პირი,— მოგვითხრობს დ. ჭონქაძის ბიოგრაფი,—ისე გაბრაზდა ჭონქაძეზე, რომ მიუნდომეს კუკიის ხიდიდან გადაგდება, მაგრამ გაქცევით თავს უშველა. შემდეგ დაუპირეს კლუბში ცემა, მაგრამ ამასაც გაპაოვით თავი დაახწია“ [2].

3.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ მძლავრმა ძახილმა გამოხმაურება ჰპოვა მხოლოდ რუსეთში მყოფ „თერგდალეულების“ წრეში, მათ შორის ილია ჭავჭავაძეშიაც. ვინაიდან ილია ჭავჭავაძე ტიპიური და მეტად მკვეთრი გამომხატველია „თერგდალეულების“

[1]) დანიელ ჭონქაძე დუშეთის მაზრის, სოფ. ყვავილის, გლეხისშვილი იყო. დანიელი მალე დაობლდა. ცხრა წლამდის დანიელი ცხოვრობდა სოფელში თავისი კეთილი და ნიჭიერი დედის გავლენის ქვეშ. ცხრა წლისა დანიელი ბიძებს, მღვდლებს, წამოუყვანიათ სასწავლებლად. ჯერ სახლში უსწავლებიათ მისთვის წერა-კითხვა, შემდეგ მიუციათ კავკავის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო აქედან გადმოუყვანიათ ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1858 წელს დაუმთავრია. სემინარიის დამთავრების შემდეგ დანიელმა დაიწყო მასწავლებლობა ოსური ენისა (მან ეს ენა კარგად შეისწავლა ბავშობაშივე) ჯერ სტავროპოლში და შემდეგ ტფილისის სემინარიაში. 1859 წლიდან სინოდის კონტორაში (ტფილისში) დაინიშნა მაგიდის უფროსად. გაჭირვებაში და ნაკლებობაში აღზრდილი, ისედაც სუსტი აგებულების პატრონი დანიელ ჭონქაძე დასნეულდა (ჭლექით) და 1860 წელს 16 ივნისს გარდაიცვალა, 30 წლის აბალგაზრდა, ჯერ კიდევ გულ და ნიჭ-გადაუსნელი.

[2]) „სურამის ციხე“— გვ. IV,— გამოც. 1920 წლ.

მსოფლმხედველობისა, ამისათვის საჭიროა მეტის ყურადღებით შევისწავლოთ მისი შემოქმედება და განცდა. ფაქტიურადაც ის „თერგდალეულთა“ ცენტრშია. ილია ჭავჭავაძის შესწავლა ამ გარდატეხის პერიოდშიაც მეტად საინტერესოა და მრავალს საგულისხმიერო მასალას იძლევა საერთოდ ჩვენი ახალგაზრდობის ფსიქოლოგიის გასაგებად და შესასწავლად.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თუ იმ დატებს, რომელიც მის ხელნაწერებს (შავებს) აქვთ, მხედველობაში მივიღებთ, უნდა დავასკვნათ, რომ სწორედ 1857—1860 წ. წ. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში და შემოქმედებაშიაც ერთგვარი ძიების, მომზადების, დადუღების, თვითგამორკვევის და, განსაკუთრებით 1859 წელს, გარდატეხის ხანას ვამჩნევთ. 1857—1860 წ.წ. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში შეიძლება აღინიშნოს, როგორც პირველი პერიოდი მისი შემოქმედებისა. სწორედ ამ პირველ პერიოდში ილიას შემოქმედებაში იკვანძება კვირტი, რომელშიაც ჩათესლილია ახალი საქართველოს გამონახვით გამოწვეული ტკივილები.

აქაც-კი, რუსეთში, ილიას გული მამულის სიყვარულით არის ანთებული. მის გამახვილებულ ყურს, იქაც-კი ესმის „ქართვლის ძილში ტანჯვით ამოძახილი კვნესა“. ეს კვნესა ჭაბუკი პოეტის გულს აალებს და დაუძლეველი ნატვრით ათქმევინებს: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აჰყვავდებიო?“

სწორედ ამავე დროს პოეტის გულის ყურს იქცევს გლეხ-კაცის ცხოვრების მძიმე პირობები და აღშფოთებული ამბობს:

„როდემდის უნდა ჩვენ არ ვცნობდეთ სიცოცხლის ფასსა?
როდემდის არ ვცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თაყვანსა?“

(1858 წ. 1 აგვ.).

1857 წელს ილიამ თავის პირველ ლექსში „ყვარელის მთებს“ გამოჰხატა ძირითადი მიმართულება თავისი ბუნებისა და შემოქმედებისა. მისი შემოქმედების ისტორიაც აქედან უნდა დავიწყოთ.

ილია ჭავჭავაძეს მამულის წინაშე მოვალეობის შეგნება გაამგზავრებს რუსეთში. იქ ის ერთგვარი ძიების, მღელვარების, იმედიანი და იმედ-გაცრუებულობის ტალღებში დასცურავს. პირველ ხანებში უცხოეთში ის თავისი მტანჯველი მისწრაფებით მარტოობასა ჰგრძნობს.

„მარტო შევსცურავ ცხოვრების ზღვაში,—ნაღვლიანად ამბობს პოეტი,—

თითქოს უსურვოდ და უფიქრელად;
და ზღვის ღელვაში, გრიგალთ ქროლაში
არა-რა აქვს რა ჩემს გულს იმედად“ (1858 წ. 5 ნოემბერი).

პოეტი თუმცა ჰგრძნობს თავის ბუნებაში ძლიერ კინეტიურ ძალას, მაგრამ მაინც ცხოვრების ზღვის წინაშე ერთგვარ კრძალვას, შიშს განიცდის. ის გრძნობს ჯერ კიდევ თავის მოუმზადებლობას, უნიადაგობას. პოეტი ცხოვრების ზღვაში მცირე ნავით შეცურებული ეკითხება „წუთისოფლის ზვირთს“:

„რას შემამთხვევ, ვინ იცის
აზრი შენის ცივის წყლის?
აწმყო კეთილს არ ამბობს
და წარსულიც მას სთანხმობს.“ [1]

პოეტს ეშინიან, რომ მის ნავს წუთისოფლის ზვირთი ცხოვრების, „დიდი ზღვის“ მორევში შეიყვანს და აქ ჩაღუპავს. პოეტს, მართალია, ენატრება „დიდი ზღვის“ ტალღების მოძრაობის განცდა, მართალია, მას უნდა მომავლის უხილავი ვარსკვლავი იხილოს, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ვერა ჰგრძნობს შტკიცე ნიადაგს, რომ გაბედულად შეაცუროს თავისი ნავი. და ასე მიჰმართავს მდინარეს, რომლის ზედა ნაპირზედაც ის დასცურავს თავისი მცირე ნავით:

„ორსა ობლად მცურავსა,
მე და ჩემს მცირე ნავსა,
ჰოი, გვედრებ, მდინარეე,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრეე!“

პოეტი თანდათან დიდის სისწრაფით კაკდება, მისი ნებისყოფა მტკიცდება, დაბრკოლებათა გადალახვაში მისი ბუნება თანდათან ფოლადდება, მაგრამ ერთგვარი შიში მომავალი ცხოვრებისათვის ბრძოლისა, თავისი ძალების უიმედობისა პოეტს მაინც სტანჯავს ი როგორ გადმოგვცემს 1858 წლის დეკემბრის 26 დაწერილ ლექსში ილია თავის განცდას:

„ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის
ბევრიც სხვა ტანჯვა მომავალშია,
მაგრამ ეს არის მიზეზი ცრემლის,
რ ო მ ე ლ ი ც მ ა რ ა დ თ რ თ ი ს ჩ ე მ თ ვ ა ლ შ ი ა.
ყველას გაუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა

[1]) ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე—„სიმღერა,“ 1858 წ. 4 ივნისი.

არ ძალშიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება!“

ილიას ეს განცდა საერთო განცდაა ჩვენი თერგდალეულებისა, რომელნიც ჩვენი ეკონომიური ცხოვრების რღვევის ნიადაგზე აღმოცენდნენ. ამ დროს ჩვენი თავად-აზნაურობა აღარ წარმოადგენს მთლიანს კლასს, ჯგუფს. საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიური ცხოვრების ახალმა პირობებმა და მიმართულებამ პრივილეგიური კლასი დაშალა. მასში შეიქმნა შინა-ჯგუფები (დიდი შემძლებელი, საშუალო ქონების პატრონი, წვრილი და გაკოტრებული თავად-აზნაური). ამის და მიხედვით იწყება დიფერენციაცია ჩვენს მაღალ წოდებაშიც. ხდება ინტელიგენტური წრეების დეკლასიურობა. გაკოტრებული, წვრილი და, ზოგ შემთხვევაში, საშუალო შეძლების პატრონი არ კმაყოფილდებიან ძველი ცხოვრების ფორმებით და ტრადიციებით. მათი ინტერესები აღარ ეთანასწორება იმავე კლასის სხვა (უფრო შეძლებული) ჯგუფების ინტერესებს.

სწორედ ეს ნაწილი ეწაფება ახალ ცხოვრებას, უნდა ალღო აუღოს მას, და მომავლის ახალ ფორმებზე, თანახმად ცხოვრების ახალი მოთხოვნილებისა, მშენებლობაში ჩაებას. აი ასეთია სოციალური წარმოშობა ჩვენი თერგდალეულებისა.

ამ სოციალურმა მდგომარეობამ თერგდალეულებში პირველ ხანებში განავითარა ის გამოურკვეველობა, შიში, კრძალვა და მასთან ერთად მძლავრი სურვილი ცხოვრებისა, რომელიც ჩვენ ილიას ლექსებში დავინახეთ. ჩვენი თერგდალეულების ფსიქოლოგიის ზრდა იქ. პეტერბურგში (ლენინგრადში), ჩქარის ტემპით ვითარდება იმ რთული პირობების გამო (რასაკვირველია, შედარებით ჩვენს ცხოვრებასთან), რომელთა გავლენას ჩვენი თერგდალეულნი ხარბად ისუნთქავენ.

თუ 1858 წლის მიწურულებში პოეტის კრძალვა და შიში ცხოვრების „დიდი ზღვის“ წიხაშე სუსტდება, თუ ამ დროისთვის მას ბედთან ბრძოლა ველარ შეაშინებს და იმედოვნებს, რომ „ყველას გაუძლებს, როგორც კლდე ქვისა“, მხოლოდ მას „თავის არარაობა“ აღონებს. 1859 წლის დასაწყისშივე ჭაბუკი პოეტი ამ განცდაზედაც გაიმარჯვებს და ბედს, რომელმაც აქამდის სულ თავის ნებაზედ ათამაშა იგი, ბევრი კარგი ნუგეში მოუკლა, თვალები სისხლის ცრემლით დაუწვა და გულზედ თავისი ბრჭყალები დააჩნია, თამამად და დიდი შინაგანი ძალის შეგნებით შესძახებს: „გავსწორდეთ, ბედო.!“-ო:

„გეყო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი, გავსწორდეთ, ნუ მემალები,

წავიდნენ დღენი შენის უფლების,
დროა დავცვალოთ ჩვენ ადგილები...
შენს დუდუკზედა აქამდინ ვხტოდი,
ბევრჯელ და ბევრჯელ შენ მაძრუწუნე.
ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და—შენ კი იხტუნე"[1].

(1859 წ. 19 იანვარი.)

ილია ჭავჭავაძის ასეთს ზრდასა და განვითარებაში ჩვენ, შეიძლება ითქვას, მკვეთრად ვხედავთ ჩვენი „თერგდალეულების", ჩვენი საზოგადო აზროვნების ზრდას. ამასვე განიცდიან სხვა თერგდალეულნი: ნიკო ნიკოლაძე, გ. წერეთელი, აკაკი წერეთელი, პ. უმიკაშვილი და სხვანი.

როგორცა ვხედავთ, 1859 წლისათვის ილია ჭავჭავაძე უკვე გაბატონდა თავის გრძნობებზე, მას ნებისყოფა საკმარისად გაფოლადებული აქვს, ცხოვრებისა აღარ ეკრძალვის, როგორცა ჩანს, აღარც ეშინის. პირიქით, მას ერთგვარი მეტოქეობის გაწევის სურვილი და ჟინი ამოძრავებს.

სწორედ იქ, პეტერბურგში, ამ მომზადების და თვითგამორკვევის ხანაში, 1857-1859 წლებში, პოეტისათვის ირკვევა სურათი ახალი საქართველოსი. უკვე ამ პერიოდში ილიასათვის აშკარა შეიქმნა ის იარები, რომელიც აღუდუდებდა ქართველის ორგანიზმს. სწორედ ამ მომზადების ხანაში აქვს ილიას დაწერილი პოემა „აჩრდილის" პირველი ვარიანტი, რომლის წინასიტყვაობაც მეტად საგულისხმიეროა:

„მიიღეთ, ჩემო მეგობრებო, პირმშო ძე ჩემი,
ახლად შობილი, ნუგეშის და იმედ მომცემი!..
იგი მოგითხრობსთ ჩემსა ტანჯვას და ჩემსა ფიქრსა,
რა მამის ცრემლი ზედ ატყვია ლოყებზედ შვილსა.
მიიღეთ ძღვნადა თქვენ მეგობრის ლაღი ტირილი,
თამამად მოთქმა მის, რომელიც აშინებს სხვასა;
მიითვისეთ და შეიყვარეთ ჩემი „აჩრდილი",
ეგ მოგაგონებსთ, მეგობრებო, ჩემ გულის წვასა"[2].

იქ, რუსეთში, სამშობლოს დამაარსებელს ილიას წარმოუდგება საშინელი სურათი ქართველი ხალხისა მისი გაპარტახებული, გაწბილებული, შეგინებული მდგომარეობისა, სადაც მოსამართლე „თავის

[1]) კურსივი ჩვენია.

[1]) ილია ჭავჭავაძე ტ. I. გვ. 281.

სამართალს სწონავს და ჰყიდის ვერცხლისა ფასად, მდიდრისა მსხვერ-პლად ჰხდის ის მართალსა და ღარიბს ღუპავს მარად და მარად"; სადაც ვაჟარი „ცბიერ ღიმილით კაცსა ატყუებს, რა ჰყიდის ნიეთ-სა, და კაცი მოკვდეს თუნდა სიმშილით, უნაღელოდ განვლის ცხოვრების ხიდსა"; სადაც მღვდელნი, ხალხთა მამანი, რომელთ ღვთისაგან შთაბერებიათ ამა ხალხისა სულთა აღზრდანი, რა რიგ გულხელი დაუკრეფიათ!" ხალხის ცხოვრების ასეთი სურათით აღელ-ვებული პოეტი აღშფოთებით წამოიძახებს:

„სად არის სიტყვა მაღალ სწავლისა,
სიყვარულისა და სიმართლისა,
რომ მათ ბაგითგან არ მომდინარობს,
ოდეს დემონი კაცზედა ხარობს,
რომ ბოროტებას, ბიწსა, ცოდვასა
შესაზარელსა არ ასვამს დაღსა?"[1])

მაგრამ განსაკუთრებითი აღშფოთებითაა დახატული ბატონ-ყმობის, „უფლისა" და „მიწის" ურთიერთობით „წაწყმენდილი და შეგინებული ცხოვრება და ადამიანობა, სადაც ყმას დღე და ღამ უხდება „ტანჯვა და შრომა, დარში, აედარში მინდორში დგომა, ვაი-ვაგლახი, ჭირნახულობა, თმენა, სიმშილი და უძილობა!" ასეთი ცხოვრებით მოპოებული ჭირნახული მიაქვს მუქთა-ხორა ბატონს, რომელიც გესლიანი პარაზიტივით აზის მას ზურგზე. ბატონ-ყმო-ბის ქვეყანაში—ამბობს ილია,—„ყმაში კაცის გრძნობას არ ჰხედავენ, დედის ძუძუდან შვილსა აგლეჯენ, ვინ უწყის სით, სად გაჰყიდიან! შეუბრალებელ ხელითა სთხრიან დედისა გულში უკეთესს გრძნობას, ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას"[2]. თუ გლეხის ქალი ლამაზი და მოხდენილი იქნება, ეს მის მშობელს სიამოვნების მაგიერ მძიმე ტანჯვას მიაყენებს; უზნეო და აღვირ-ახსნილი, ჟინიანი ბატონები,—მიჰმართავს პოეტი გლეხ-კაცს:

„ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად;
უმანკო სულში ღვარძლს ჩაუსხმიან,
გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრეველად.
უმანკო პირზე შენს ტურფა ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა;
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,

[1]) ილია ჭავჭავაძე—აჩრდილი, გვ. 290.
[2]) იქვე.

ნამუსს წართმეულს და შეგინებულს!
პირს უკუ იქცევ, თვით შეშინდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექნება,
წყევით, ვაებით გამობრუნდები,
შენ შენი ქალი თვით შეგძულდება;
და მაშინ იტყვი: „ნეტავი გველად,
გველის წიწილად გამჩენოდი მე,
და არ გამხდოდი ქვეყნის სათრევლად,
ვაიმე, შვილო! ვაი, ვაიმე!“[1]

ასეთივე მძიმე სურათი გლეხ-კაცის ცხოვრებისა დახატულია „გუთნის დედაში“, რომელსაც „ზეცა“ (ადამიანური ცხოვრება) წაართვეს ძალით“, რომლის მდგომარეობაც არამც თუ არ განსხვავდება პირუტყვის მდგომარეობისაგან, შეიძლება უარესიც იყოს:

„შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!.. – ნაღვლიანად
ეუბნება გლეხი
ლაბას,—
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყვეს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?“

მართალია, გლეხი მეტყველია, მაგრამ მისი ჭირით, წუხილით, მისი კაცობის გულის დუღილით გამოწვეული სიტყვანი მხოლოდ იბადებიან და გულშივე გამოუთქმელად, „უხმოდ კედებიან“.

„შენ ვერ გაიგებ,—თითქოს შურით მიმართავს
ლაბას გლეხი,—მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!..
აქ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი“.[2]

ხალხის ასეთი მდგომარეობის განმვრეტამ ჭაბუკობიდანვე პოეტის გულისა და ფიქრის დაუნდობელი ღრნა და წვა გამოიწვია. იქ, შორს რუსეთშიაც კი, ვერ იცილებს თავიდან გაჭირვებული ხალხის შემაძრწუნებულ ლანდს. ეს სურათი მასში „ლალ ტირილს“ იწვევს და მით გამოწვეულ ნაღველს „აჩრდილში“ გადმოანთხევინებს. ერთი კია აღსანიშნავი: ახალგაზრდა, ხალხის მწუხარებით დაკოდილს გულს უიმედობა ვერ ერევა, წყვდიად ღამეში, მძიმედ ჩამოწოლილ

[1]) ილია ჭავჭავაძე—„აჩრდილი“ ტ. I გვ. 295.
[2]) იგივე—„გუთნის დედა“.

სქელ ნისლში პოეტი მაინც სჭვრეტდა „დამხსნელ ვარსკვლავს, ჩვენს მამულზედა შემდგარს.“[1]

ეს იმედია, რომ აფოლადებს მის (და საერთოდ თერგდალეულებ.ს) ნებისყოფას. ეს იმედია, რომელიც ილიას გამოიწვევს, მარტოკაც კი გაძოვიდეს ბრძოლის ასპარეზზე და მასში დაგუბებული ძალა უადამიანო ცხოვრებით გამოწვეულ შხამსა და ნაღველში გალესოს. ეს იმედი და ძალაა, ილიას რომ წამოათქმევინებს:

„ბნელო დემონო,[2] აღავსე გესლით
ამ დაღლილ ხალხის სუსტი არსება.
და ბოროტების ძლიერ მარჯვენით
პირველ შენ ჩარგე აქ ბოროტება“[3]

ილია ჭავჭავაძის გაკაკება და გარკვევა უკვე აშკარაა. „აჩრდილის“ დაბოლოება მოგვაგონებს ამავე 1859 წელს დაწერილ ლექსს: „გავსწორდეთ, ბედო“-ს, რომელშიაც ჭაბუკური კადნიერებით სავსე პოეტი ბედს ასე მიმართავს:

„შენს დუდუკზედა აქამდი ვხტოდი,
ბევრჯელ და ბევრჯელ შენ მაძრუწუნე.
ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და შენ კი იხტუნე“.

როგორც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მომზადების პერიოდის ზოგადი განხილვიდანაცა ჩანს, ის გამსჭვალულია იმ იდეებით და სულიერი განწყობილებით, რომლებიც რუსეთის ცხოვრების 60-იან წლებში ღვივდებოდა და ერცელდებოდა. ცხადია, და ამას ქვევით უფრო აშკარად დავინახავთ, დასავლეთ-ევროპის სოციალისტების მოძღვრებანი, უფრო კი უტოპისტი სოციალისტებისა, რომელთა გავლენის ქვეშ იზრდებოდა და მუშავდებოდა რუსეთის ინტელიგენციის აზროვნება, საკმარისად მძლავრად ითესლება ილია ჭავჭავაძეშიაც და სხვა თერგდალეულებშიაც. ეს თესლი და ამაზე აღმოცენებული გეგმა ილია ჭავჭავაძის მომავალი პრაქტიკული მუშაობისა პირველ პერიოდშივე მომწიფდა. და, ალბად, სწორედ იმიტომ, რომ ილიას ფიქრები მომწიფდა და მძიმე, მტეხავ იარად გადაექცა, მოქმედების და მოღვაწეობის გზა და მისი აუცილებლობა მისთვის უკვე მკაფიო და აშკარა შეიქმნა, მან ვეღარ შესძლო დარჩენა, სტოვებს უნივერსიტეტს (უკანასკნელ კურსზე იყო), აღარ ათავებს და მძლავრი შინაგანი დუღილით და მოწყურებული სურვილით სამშობლოსაკენ გამოეშურება მიღებული თესლის განსანაყოფიერებლად. ასეთივე ძლიერი განწყობილება ახასიათებს ამავე პერიოდში სხვა თერგდალეულებსაც.

---

[1]) ილია ჭავჭავაძე „აჩრდილი“ გვ. 305. ტ. I.

[2]) ამ სიტყვას ავტორის მიერ შავში ასეთი შენიშვნა აქვს: „ამ დემონს იცნობს ყოველი, ვისაც კი საქმე ესმის.“ ეს შენიშვნა მოწმობს ილიას შეგნებაში ამ დროს ბრძოლის ენის არსებობას.

[3]) იქვე გვ. 289 ტ. I.

II

„მამათა“ და „შვილთა“ მსოფლმხედველობა და მათი ბრძოლის ხასიათი.

1.

საქართველოში ილია ჭავჭავაძის დროიდან იწყება მისი შემოქმედების მეორე პერიოდი[1] და თერგდალეულების გამოსელაც ჩვენი ცხოვრების სარბიელზე, როგორც მთლიანი ახალი მიმართულების შემომტანი ელემენტისა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში.

ილია ჭავჭავაძის და სხვა თერგდალეულების მოღვაწეობა ტრიალებდა წემდეგი მთავარი საკითხების გარშემო: 1) გადმოტანა და დამყნობა ჩვენს ცხოვრებაზე იმ მოწინავე იდიეებისა, რომელიც მათ შეითვისეს რუსეთის მოწინავე აზროვნებიდან (აგრეთვე ლიტერატურაში დამყარება რეალიზმისა; 2) უარყოფა დრომოჭმული, პატრიარქალური ტრადიციებისა; 4) შეურიგებელი ბრძოლა ბატონყმობასთან; 4) მთლიანი ეროვნული შეგნების გამომუშავება საზოგადოებაში და მთლიანი, თავისუფალი ახალი ცხოვრების პრინციპებზე აშენებული საქართველოს იდეის სამსახური.

აი რას ეუბნება სფირიდონ ჩიტორელიძე[2] თაეის ბიძა თადეოზს: „დრო გვითხრობს ისწავლეთ და ჩვენცა ვსწავლობთ. ამ სწავ-

---

1) ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მეორე პერიოდი შეიძლება დავიწყოთ 1861 წლიდან და 1878 წლამდის მივიტანოთ. ამ პერიოდში (განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში) ილია ჭავჭავაძე ტიპიური თერგდალეულია. 1879 წლიდან ილიას შემოქმედებაში მესამე პერიოდი იწყება და გრძელდება ბოლომდის („ოთარაანთ ქვრივის“ დაბეჭვდით თავდება). შემოქმედების მესამე პერიოდში ილია ჭავჭავაძის პოეტური ნიჭი მახვილდება, თითქოს სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს და ზოგადკაცობრიულ საკითხების გადაწყვეტის სფეროში ეხვევა. ამ პერიოდში ილია, როგორც მხატვარი, იზრდება, მძლავრდება. მაგრამ ამ პერიოდს ჩვენ არ შეეხებით, რადგანაც მის განხილვა ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება.

2) როგორც ირკვევა, სფირიდონ ჩიტორელიძე მ. ყიფიანის ფსევდონიმი ყოფილა. ხოლო ამ ფსევდონიმით მოთავსებულ სტატიებს ილია ჭავჭავაძის ხელიც ატყვია, როგორც „საქართველოს მოამბის“ რედაქტორისა. ამის შესახებ იხ. „ილია ჭავჭავაძე“ ტ. V რედაქტორის პ. ი—ას შენიშვენები გვ. 280—290.

ლაში, ჩემო თადეოზ, სხვა-და-სხვა აზრები გვესმის სხვა და სხვა ენაზედა, შემდგომ გვსურს ის აზრი ქართულადა ვსთქვათ, ე. ი. გადმოვიტანოთ იმ ხალხში, რომელსაც ჯერ თავის სამშობლო ენაზე ნათქვამი ის აზრი არ გაუგონია. ამასობაში აღნაქვსი ქართული ენისა იცვლება და ამის და გვარადა უცხო ქვეყნის სიტყვები შემოდის ხმარებაში, უამისობა არ შეიძლება... მე კი იმას მოგახსენებ,— განაგრძობს სფირიდონი,—რომა ყოელის სიმართლითა სჯობს, რაც ჩვენთვის მიუცილებლად საჭიროარის, უნდა ვიხმაროთ. კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხის ნათქვამი ყოველისფერი ამორჩევით გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზე, დავაკვირდეთ, გავსინჯოთ, შევუფარდოთ ჩვენს აზრსა და ამ შეფარდებით გავიგოთ, რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი"[1].

ეს „უცხო ქვეყნის კარგი ამბავის" და „ჭკვიანი კაცის ნათქვამი კარგი აზრის შერჩევით" გადმონერგვის სურვილი იკვანძებოდა და განაყოფიერებას ცდილობდა ერთ მუჭა ახალგაზრდა ინტელიგენციაში, „თერგდალეულებში". პრაქტიკულ მოღვაწეობას მოწყურებული თერგდალეულნი რეალურ ცხოვრების მდინარის ძირში აპირებდენ ჩაყურყუმელავებას და იქიდან ამოკრეფას არა მარტო „მარგალიტისა, არამედ ლექისა და ლაფისა".

თერგდალეულების ასეთი სულიერი განწყობილება, მათი ასეთი განცდა და სახე მშვენივრად იხატება ილიას „მგზავრის წერილების" შემდეგს ლირიკულ ადგილებში: „ოთახიდან გარედ გამოვედი,—გადმოგვცემს ილია,—და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარს, რომელსაც ყაზბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდათა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთის მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალ შუბლსა, მის ყინვით შეეერცხლილს თავსა... მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს,—ერთის სიტყვით, მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულობით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავკარგი მის მაღალ შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი

[1]) „საქართველოს მოამბე"—1893 წ. № 5.—სფირიდონის და თადეოზის ბაასი.—კურსივი ჩვენია.

თუმცა დედამიწაზე უდგა, თავი ცას მიუბჯენია, განზე გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზე გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავი კლდის გულიდან გადმომსკდარი მოდის და მობღავის და აბღავლებს თავის გარემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხეილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლებული და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავების და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია როგორც უკვდავება და ჩუმია, როგორც განცხრომა[1]: არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილი, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს; მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდს გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადექ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო კარგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი"[2].

დიახ, ასეთია ილია ჭავჭავაძის და მასთან ერთად თერგდალეულების სულიერი განცდა, მათი შინაგანი დულილი. ილიას მღვრიე თერგი უფრო მოსწონს, რადგანაც ის სახეა ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა. მიტომ, რომ მის მღვრიე წყალში მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა ჩანს. პოეტს, როგორც „ქვეყნის შვილს", თერგის სახე უფრო უყვარს, რადგანაც მას სწამს, ბან იცის, რომ „ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულა, მაღლიდან კი შენობა არ დაწყებულა". არ უყვარს მყინვარი, რადგანაც მიუკარებლად მაღალია.

---

[1]) კურსივი ჩვენია.

[2]) ილია ჭავჭავაძე—„მგზავრის წერილები" —ტ. II გვ. 18—19.

არ უნდა ილიას მისი სიმაღლე, თუ ის მას ვერ ასწვდება და ის მას ვერ ჩამოსწვდება.

ეს იდეები და მისწრაფებანი ხომ დემოკრატიული, რადიკალური იდეებია, რომელიც 60-იან წლებში უხვად ინერგებოდა დასავლეთ-ევროპის უტოპისტი სოციალისტების გავლენით რუსეთის ინტელიგენციაზე და აგრეთვე ჩვენს ახალგაზრდობაზედაც. ილია და სხვა „თერგდალეულები“ უშუალოდ აღიზარდნენ ამ ატმოსფეროში, შეითვისეს ისინი და შეეცადნენ ცხოვრებაში მათს გატარებას.

ამავე ნაწყვეტში ილიამ გამოჰხატა მთავარი თვისება 60-იანი წლების მოძრაობისა: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა,—ამბობს ავტორი,—არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. ამიტომაა, რომ პოეტი წუხდება და ქვეყანა ცალიერად ეჩვენება, როდესაც ბინდი მოიცვამს გარემოს, როდესაც აღარ ისმის „ადამიანის მორჭმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, როდესაც ქვეყნის ტკივილი იძინებს და აღარა სჩანს მის გარშემო ადამიანი“. პოეტი სულშეხუთული, შეძრწუნებული წამოიძახებს: „არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა. ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე!.. შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, როცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!..“[1] ეს ადგილები არა მარტო როგორც ავტორისა და თერგდალეულთა ახალგაზრდული დუღილის მაჩვენებელია, არამედ აქ მრავალი ცნება ნახმარია ალეგორიულად, რომელშიაც მკაფიოდ იხატება თერგდალეულთა დემოკრატიული მსოფლმხედველობა.

2.

საქართველოში თერგდალეულებს საზოგადოებრივი ცხოვრების სიბნელე, სიბეცე, მოდუნებული მაჯის-ცემა, დაქვეითება, უზრუნველი, გამოურკვეველი ძილი და ტანჯული ხალხის გულიდან ამოძახილი კვნესა დაჰხვდათ. თერგდალეულებმა შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს ყველა იმას, რაც ქართველ ერს რაღაც გამოურკვეველ ალერსიან ძილსა ჰგვრიდა და გადაგვარებისა და მოსპობის უფსკრულისაკენ საშინელი სისწრაფით მიაქანებდა.

თერგდალეულები რუსეთით დაბრუნების უმალ ჰაბუკურის გატაცებითდა სავსე ენერგიით მოღვაწეობის და შემოქმედების სარბიელს ეძებენ.

---

[1]) ილია ჭავჭავაძე—„მგზავრის წერილები“, ტ. II, გვ. 18—19.

თავდაპირველად მუშაობის დაწყება მათ „ცისკრის“ გარშემო მოუხდათ. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ „ცისკრის“ თანამშრომლებსა და ახალი თაობის შორის შეთანხმებული მუშაობა შეუძლებელია, რადგანაც მათი მისწრაფება და ცხოვრების მოვლენათა გაგება დიამეტრალურად საწინააღმდეგოა.

ეკვს გარეშეა, ილია ჭავჭავაძე და სხვა თერგდალეულებიც მშვენივრადა გრძნობენ, რომ „ცისკარში“ შეთანხმებული მუშაობა შეუძლებელია, მაგრამ საჭირო იყო ცხოვრების გუბის ამოძრავება, ჯადოსნურ წერტილიდან ცხოვრების დაძვრა.

ახალმა თაობამ მოისურვა ცხოვრებისათვის ახალი სული ჩაებერა, ახალი გეზი მიეცა. მისი ნაკლი, მისი ძროსთან შეუფერებლობა და უაზრობა დაურიდებლივ ემხილებინა და დაენახვებინა.

საჭირო იყო ახალი საქმის დაწყება და აი 1861 წლის „ცისკრის“ აპრილის ნომერში ილია ჭავჭავაძე, ეს ბელადი თერგდალეულებისა, გამოდის კრიტიკული წერილით: „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედ“. ილია ჭავჭავაძე დაურიდებლივ აღნიშნავს თარგმანის სისუსტეს და უნიჭობას.

ამ სტატიას მარტო კრიტიკულ-ლიტერატურული ხასიათი კი არ აქვს, არამედ უფრო პუბლიცისტური. ილია ჭავჭავაძე მოხერხებულად სარგებლობს ამ სტატიით, რომ გზა-და-გზა საზოგადოებრივი ხასიათის კითხვებს შეეხოს. მაგ., იმ გარემოებას, რომ ერთისთვის თარგმანი, სუსტი და უნიჭო, მაინც დაბეჭდილია, ილია ხსნის მით, რომ რედაქტორი იძულებულია მოათავსოს, რადგანაც ჟურნალს არა აქვს „საკუთარი კაპიტალი“. „გინდა თუ არა,—მკვახედ სწერს ილია ჭავჭავაძე,—უნდა დამოკიდებული იყოს იმ კაცებზედ, რომელიც წინდაუხედავად, უთავბოლოდ, რაც მოხვდებათ და როგორც მოჰხვდებათ, ჰბლაჯნიან, რადგანაც იმედი აქვსთ, რომ საბრალო „ცისკარი“, მათგან ფულით დავალებული, ნებით თუ არა-ნებით ალაგს მისცემს თავის ფურცლებში იმათ გამოუსადეგ სტატიასა... კიდევ, მადლობა ღმერთსა, რომ „ცისკარი“ მაგ ყოფაშია და ორიოდე ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსებთან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს რა. სხვა ახალი პროზაიკები კი ღმერთმა შეინახოს... მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ახალი რითმების მორახუნეებს არავის ასეთი ენა არა ჰქონია, როგორც თავად ერისთავს აქვს... ისე ნაირად ჭრიჭინობენ თ. ერისთავის ლექსები, როგორც ბაუსაპნავი საპალნის ურმის თვლები“[1].

[1]) „ცისკარი“ 1861 წ. № 4 გვ. 17.

ილია ჭავჭავაძე მარჯვეთ სარგებლობს ამ სტატიით და უხვად ჩაურთავს თავის შეხედულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, უფრო ნაკლის მხილების მიზნით. „აი. მაგალითებრ, — დამშვიდებული, მაგრამ გესლიანი კილოთი სწერს ილია, — ყველაზე უმდარესი მწერალი უფ. ბერიევი, რომელიც გუთნის ტედას აძინებს ხოლმე და ანუგეშებს, რომ ძილზედ უკეთესი არ არის რა ქვეყანაშიო. ის კი არ აგონდება უფ. ბერიევს, რომ სულ მაგ ტკბილმა ძილმა დაგვლუპა ჩვენა"[1].

აი, უმთავრესი ეს „მამა-პაპური" ძილია, რომელსაც თერგდალეულებმა ბრძოლა გამოუცხადეს.

ენის საკითხი, 60-იან წლებში „მამათა" და „შვილთა" შორის ატეხილი, მხოლოდ საბაბი იყო, რომ სხვა საპირბოროტო საკითხები აეძრათ. სინამდვილეში მთავარი სწორედ საერთო მოდუნებული ცხოვრება და მისი გაღვიძების, გადახალისების, განახლების საკითხი იყო.

ილია ჭავჭავაძის პირველივე კრიტიკული წერილი, მაშინდელი ჩვენი საზოგადოებისათვის — „მამებისათვის", მათი ფეოდალური წყობილების ტრადიციებში გამოტანილი და დამუშავებული ეთიკისათვის უცნობი, უცნაური და ამაღელვებელი იყო.

ილია ჭავჭავაძე. თავის წერილში აღნიშნავს რა რევაზ ერისთავის თარგმანის სისუსტეს და ნაკლს, ასე ათავებს თავის „პირმოუფერებელ სტატიას": „ჩვენ ყველანი, — სწერს ილია, — ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთნაირად ასწეროს და დაგვანახოს... აბა ის იქნება ნამდვილი და საქებარი მამულის მოყვარდა არა ის, ვინც მეტის-მეტად დამეავებული სიყვარულის გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების ღიარება ნახევარი გასწორებაა."[2] „გასწორება", ე. ი. სხვა, ახალი ცხოვრების დაწყება. ამისათვის კი საჭიროა ჩვენი „სიმრუდის" ცოდნა. მაშასადამე, ღიარება და დანახვება ჩვენი ნაკლისა, ბოროტებისა აი ამაშია მოვალეობა და დანიშნულება ჩვენი თერგდალეულებისა, როგორც ეს გამოთქმულია მათი ბელადის პირით. მაგრამ ამას ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულნი პირველ ხანებში მხოლოდ გაკვრით აღნიშნავდნენ.

---

[1]) „ცისკარი" 1861 წ. № 4 გვ. 18.
[2]) იქვე — გვ. 30.

ჯერ ენის გარშემო ატყდა ბრძოლა. ორივე მიმართულება იცავს ენის საჭიროებას. ორივე ერთი-მეორეს უკიჟინებს მის უცოდინარობას, მის წარყვნას. ილია ჭავჭავაძეს ენის შენახვა და დაცვა ერთს უმთავრეს იარაღად მიაჩნია ახალი ცხოვრების მოპოების და განმტკიცების საქმეში. მართალია, ილია უარყოფს „მამათა" ენას, ანტონ კათალიკოზის „თეორიებს" და სხვას; ილია უარყოფს იმ ენას, იმ დრო-მოქმულ ფორმებს, რომელთაც ხმარობენ ჩვენი მწერლები და ლიტერატორები, ძველის ტრფიალებით დამთვრალნი[1]; უკიჟინებს ძველ თაობას რუსული სიტყვების (მაგ. ზადაჩა, ლინია, და სხვას) განურჩეველად შემოტანას.

თვითონ ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები საერთოდ სწერენ ახალი მწერლობისათვის უჩვეევი, ჩვეულებრივი სასაუბრო ენით. გიორგი ერისთავის მიერ დაწყებულ საქმეს თერგდალეულები, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, აგვირგვინებენ, და ახალს, ხალხის მასების ენას მწერლობაში აბატონებენ. საგულისხმიეროა ილია ჭავჭავაძის განცხადება ამ პირველსავე წერილში ახალი თაობის სახელით: „სხვისი არ ვიცით,—კატეგორიული ტონით სწერს ილია ჭავჭავაძე,—და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებასა. ენა სამღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრება. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს[2]". მეტად საგულისხმიეროა ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი" „მამებისადმი" თერგდალეულების სახელით. ენის

[1]) ძველის უარყოფამ ჩვენი ნიღილისტი (ამ პერიოდში) მწერალი ისე გაიტაცა, რომ ჩახრუხაძეც-კი უარჰყო. „ჩვენში, ქართველებში,—სწერს ბრძოლით გატაცებული ილია,—დიდი მწერლის ხმა აქვს ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით თავდება. რა ვაი-ვაგლახიდ და კისრის მტვრევით მოგოგავს დავარდნილს ცხენსავით მისი ორბარცელოვანი, ტყვიასავით მძიმე ლექსები!.. არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა! აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში, სადაც რუსთაველს, მაგ თითქმის გენიასა, ახსენებენ, იქ გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც, გვგონია, ფიქრადაც არა ჰქონია ამისთანა დიდების იმედები" („ცისკარი" 1861 წ. № 4 გვ. 9). ასეთი მცდარი შეხედულება ილიასი ჩახრუხაძეზე შეიძლება ავხსნათ მხოლოდ ძველის ყინიანი უარყოფის სურვილით, რომელიც ხშირათ ახასიათებს ძველისა და ახალის გაყრისა და დავის დროს ორივე მხარეს. ასეთი თვისება განსაკუთრებით დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო რუსეთის „ნიღილიზმის" ატმოსფერით ნასუნთქვისათვის, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე.

[2]) „ცისკარი" 1861 წ. № 4 გვ. 31.

შესახებ ძველი თაობის საპასუხოდ აი „თერგდალეულები“, ილიას პირით, რას და როგორ ამბობენ:

„ჩვენ ძუძუს ვწოვდით,
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც—გარეთ, თუ შინა.
ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთად?!
შიშით—არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.

. . . . . .

ენა მდიდარი,
თქვენს ხელში მკვდარი,
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად...

. . . . . .

თქვენგან გმობილი,
თქვენგნით ლტოლვილი
ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ;
კარგად, თუ ავად,
ჩვენ მას ვინახავთ
და მის სიკვდილით არ გაგახარებთ“.

„ცისკარში“ ილია ჭავჭავაძის მოთავსებული ზემოაღნიშნული წერილი წყვდიადით და სიჩუმით მოცული ჩვენი საზოგადოების თავდამვიწყე ალერსიან თვლემაში ძლიერი ნასროლი იყო. ჩვენი საზოგადოებისათვის ამ წერილის არც ახალი ენა, არც კადნიერი კილო, არც რადიკალური, ძველის უარმყოფი, მიმართულება მისაღები და მოსაწონი არ იყო.

აირია და აიმღვრა საზოგადოებრივი ცხოვრების ჭაობი, ძველმა თაობამ იგრძნო საფრთხე, დაირაზმა. „ცისკრის“ შემდეგსავე ნომერში სამი საწინააღმდეგო სტატია დაიბეჭდა. თუ რამდენად ძლიერი იყო საზოგადოების აღელვება და აღშფოთება, მშვენივრად ჩანს გ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს სტატიაში: „წერილი რედაქტორთან შესახებ ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“. „რვა წელიწადი,—სწერს გ. ბარათაშვილი,—ერთად ვხეხეთ გიმნაზიის შავი სკამეიკები და ჩვენი ცოდნა ქართულს ენაში ნაცვალ სახელს აღარ გადასცილდა; მაშასადამე, ძალიან ცოდვილნი გახლდებით ქართულ მწერლობაში. ეს იყო მი-

ზეზი, რომ აქამომდე ვერა ავასრულე თქვენი თხოვნა. მაგრამ იანვრის აქეთ ტფილისში იმდენი რამ მოხდა და დაიბეჭდა „ცისკარში“[1], რომ არ შემეძლო არ გამომეთქო, შეძლებისამებრ, რავდენიმე სიტყვა მაზედ, რაც დავინახე შესანიშნავად“[2].

თვით ილია ჭავჭავაძე აი როგორ ახასიათებს ბრძოლის ამ დასაწყისს:

„ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც ააღებინე,—სამართლიანად ეუბნება ილია თავის კალამს თავის წერილში „პასუხი“,—ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ ნათქვამი თავის დღეში არ გაუგონია, იმას მართლის თქმით გული აუმღვრიე; ვისაც „შინიდამ ფეხი კარში არ გამოედგა“[3] და რაღაც ამბანის თეორეტიკის მეტი არა უკითხავს რა, ისიც კი აალაპარაკე თეორეტიკის გარე საგანზედ. ბარაქალა, ბარაქალა! სამი სტატია ერთს სტატიაზე რა ანბავია? ეს ის ამბავია,—თითონვე აძლევს სამართლიანს პასუხს,—ჩემო კეთილო მკითხველო, რომ ამ ჩემ მოპირდაპირეთ რიცხვით ჯობნა სურვებიათ, და არა თავის სტატიების ღირსებითა“[4].

და მართლაც, ალერსიანი სიზმრიდან გამოღვიძებულმა „ძველმა“ თაობამ საჭიროდ დაინახა, თუ ღირსებითა და გონიერებით არა, რიცხვით მაინც გაეჩუმებინა თავხედი ახალგაზრდა კრიტიკოსი.

„მამების“ მიერ ძალთა მობილიზაცია და დარაზმვა თავისთავად საშინელის სისწრაფით მოხდა. ცხადია, მათ შიში იგრძნეს. ილია ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეთა წერილებიდან აშკარაა მათი სულიერი განწყობილება, მსოფლმხედველობა და მომზადება. მათი წერილებიდან უაზრო, დრომოჭმული ტრადიციების შენახვის სურვილი ისმის, მათში საშუალო საუკუნოებში შემუშავებული ეთიკეტის დაცვის აუცილებლობა მოჩანს: ისინი აშკარად გვაჩვენებენ, რა გაუვალი კედლით შემოუფარგლავთ „მამებს“ თავიანთი ვიწრო ასპარეზი ცხოვრებისა, უვიცობის კმაყოფილებაში იხრჩობიან და თავიანთ სამფლობელოში და შეგნებაში ახალ იდეას, ცხოვრებასთან შესაფერს არ აჭაჭანებენ. ეს წერილები აშკარად გვეუბნება, რომ „მამათა“ სმენას და შეხებას საღი სიოს მცირე მოძრაობაც კი აწუხებს და უსიამოვნოთ ეჩოთირება.

---

[1]) აქ, რასაკვირველია, გ. ბარათაშვილს ილია ჭავჭავაძის ხსენებული სტატია აქვს მხედველობაში.

[2]) „ცისკარი“ 1861 წ. № 5

[3]) ილია ჭავჭავაძის აქ ბარბარე ჯორჯაძისა ჰყავს მხედველობაში.

[4]) „ცისკარი“ 1861 წ. № 6 გვ. 32.

ამისათვის მათი პასუხი ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულებისადმი კრიტიკა კი არ არის, არამედ კინკლაობა, ნაცნობ ჩვეულებათა დაკარგვის შიშით გამოწვეული. ნიმუშისათვის მოვიტანოთ რამოდენიმე ნაწყვეტი „მამათა“ ბანაკის წარმომადგენელთა წერილებიდან: „თუ ლიტერატურაზე თავსა სდებს,—სწერს კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა,—რატომ ეს კი არ უნდა მოეხსენებოდეთ, რომ ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურ და დარბაისლურ ენას და არა უშვერებას. ის (ე. ი. ილია ჭავჭავაძე.—მ. ზ.) გვიწერს, რომ ვითომც ჩვენ ვახდენთ ენას, არც თუ ვაკეთებთ. თუ უკაცრავად არ ვიქნებით, მგონია თვითონ უფრო ახდენს. წახდენა არ არის, თქვენი ჭირიმეთ, პირველის შესავლის გვერდებზედ სხოლიოში რომ იძახის: უ, ტ, ჲ, ჳ, ჴ, სულ არ გვიხმარიაო... რასაკვირველია, სწავლას მიიღებდა, მაგრამ ეგ საკვირველი! უპირველესი საგანი არ შეუძინებია და ლიტერატორობს კი! თუ ნებას მოგვცემს, მოვახსენებთ, თუმცა კი მაღალ სასწავლებელში არ ეყოფილვართ, და არა თუ მაღალ სასწავლებელში, შინიდან გარეთ არ გამოვსულვართ, რომ ყოველის მწერლისათვის საჭიროა და აუცილებელი იცოდეს: თეორეტიკა ანუ სწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებისა. ეს რომ ყურადღებით წაეკითხა, უეჭველია არ იტყოდა უ, ტ, ჲ, ჳ, ჴ ხმარება საჭირო არ არისო. რატომ არ იცის თავად ილია ჭავჭავაძემ, რომ ბუნებით მომზადებულთა სიტყვათათვის ადრევე დადებულ არიან კანონნი, რომელნიცა არიან მართალნი და რომელთა გამოცვლა დიდი გმობა უნდა იყოს“[1].

მაშასადამე, „მამები“ ლიტერატურის შესწავლისათვის უნიშნავენ „თეორეტიკას“. ამის გარეშე ლიტერატურული შემოქმედების კანონი მათ არა სწამთ. ანტონ კათალიკოზის ცრუკლასიკურ თეორიებზე აღზრდილნი და განვითარებულნი ებრძვიან ილიას, როგორც ნოვატორს.

სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ილიას საწინააღმდეგო სტატიაში— „უსტარი ანტი-კრიტიკული“, ჩვენთვის აი რა საინტერესო შენიშვნას აკეთებს: „წრფელის გულით,—სწერს თავის აზრის ჭეშმარიტებაში დარწმუნებული სარდიონ მესხიშვილი,—მოგახსენებ, თავადო ილია, რომ გულმტკივნეულად წავიკითხე მე, ქართველმა, ამგვარი ქართული ენა განათლებულის და განვითარებულის ქართველისა, იმ ქართველისა, რომელიცა, ამაოდ დაღიღინებს საქართველოს მშვენიერის ლექსებით და სადაგსიტყვაობაში (პროზაში) კი ასე

[1]) „ცისკარი“ 1861 წ. № 6.

უწყალოდ ამახინჯებს და ამდაბლებს ქართულ სიტყვიერებას და ამასაც სად? ქართულის სიტყვიერების ჟურნალში! რასაკვირველია, კარგად იცით, რომ წერა არის სამგვარი: მაღალი, საშუალო და მდაბალი[1]. არ ვიცი, ამ სამში, რომელს მიეთვისება თქვენი კალამი? ჩვენში, სადაც იხმარება ნაცვალსახელი „იგი", ამ მაღალს სიტყვას ზმნისზედა შეეფერება „ოდეს" და არა სრულიად მდაბიო ლექსი „როცა", რომლითაც იწყება პირველი სიტყვა"...[2]

აქ ჩვენ აშკარა და გარკვეული დოკუმენტი გვაქვს ძველი თაობის ძველი გემოვნებისა, ძველი შეხედულებისა ენის ხმარების და პოეტური შემოქმედების შესახებ. ეს სამი გვარი წერა ხომ სამგვარი შტილია, ლომონოსოვის და ცრუკლასიკების მიერ შემოღებული, რომელიც უკვე დიდიხნის დრომოჭმული იყო დასავლეთ-ევროპაში და რუსეთშიაც.

აი ამიტომაა, რომ მარტო სარდიონ მესხიშვილის სმენა არ არის აღშფოთებული ასეთი არა-სასიამოვნო, საჩოთირო ენის შეტანით ჩვენს ლიტერატურაში. ამასვე უკიჟინებენ ილიას სხვა მოწინააღმდეგენიც: ბარბარე ჯორჯაძისა, გ. ბარათაშვილი, რევ. ერისთავი და სხვანი. „ბრძანებს თ. ილია ჭავჭავაძე,—ირონიით გადაჰკრავს ბარბარე ჯორჯაძისა ილიას, ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობთ ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებასო... თუ მშობელ მამასაც ზრ უთმენს ენის მორყვნას, და თუ ენას სახავს საღმრთოდ, როგორ შემოურევს ამ უშვერს, მორყვნილს და ბიჭბუჭების სიტყვებს: წირპლიანი, მორახუნეები, აგანგალა-განგალა და სხვა. აი კიდეე ეს სიტყვები: ასე ნაირად ჭრიჟინობენ თავად ერისთავის ლექსები, როგორც... მე მრცხვენია ამ საძაგელის ლექსის გამეორება, ლიტერატორი და ამგვარი სიტყვების შემოტანა ჩვენს მშვენიერ ენაში, რომელზედაც იძახის, არავის დაუთმობთ შეურაცხებასაო"?[3]

ესევე „უშვერი" სიტყვები აშფოთებენ სხვა მოკამათეებსაც. ყველა მოწინააღმდეგის მიერ სწორედ ერთი და იგივე სიტყვებია აღნიშნული. „მამების" ფრონტი გარკვეულად მთლიანია. სარდიონ მესხიშვილი დინჯი, დარბაისელი, თითქოს დამშვიდებული და მოსიყვარულე კილოთი, რომლითაც ცდილობს დაჰფაროს თავისი ამღვრეული გუნება, ილია ჭავჭავაძეს ასე მიჰმართავს: „ამით ცხადად ჰხედავთ, თავადო ჭავჭავაძე, რომ თქვენის თხზულების მრავალს ნა-

[1]) კურსივი ჩვენია

[2]) „ცისკარი" 1861 წ № 6.

[3]) „ცისკარი" 1861 წ. № 5.

კლულეევანებას თანაწარეხედ მე და იწროდ შემოვსაზღვრე ჩემი კალამი შესახებ ჩვენის სიტყვიერებისა, რომლისათვის დიდად თავგამოდებული ბრძანდებით და საშინლად იბრძვით ჩვენის საყვარლის დედა ენისათვის, რომელსაცა თქვენდა უნებურად და შეუგნებლად თქვენვე ფიზიკებრ ჰკოდავთ და ამახინჯებ და ზნეობრივად ჭრყვნით და აუძლურებთ. როგორც მსწავლულმა კაცმა, ს.-პეტერბურღის უნივერსიტეტის სტუდენტმა, რასაკვირველია, კარგად იცით, რო სიტყვების ასამაღლებლად საჭიროა დედა ენის ცოდნა. ცოდნისათვის ჩვენის ენისა უნდა ვიცოდეთ საზოგადო და განსხვავებითი იმისი ნიშატი. საზოგადოთ იმის ნიშატს გვასწავლის ღრამატიკა, და განსხვავებითთა თვისებათა ცნობისათვის საჭირონი არიან კანონნი აზრთა განწყობილებისათვის სხვასა და სხვას წესიერებაში, რომელთაცა გვასწავლის რიტორიკა. ამ ორთა საგანთაგან არცა ერთის ცოდნა სჩანს თქვენს თხზულებაში"[1].

მართალია, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ქართული ენის მიღებული გრამატიკის ცოდნას იჩენს; მართალია, ჭავჭავაძეს ამ მხრივ ზოგს შენიშვნას სწორს და მართალს უკეთებს, მაგრამ ის ვერა ჰგრძნობს, რომ ეს საკმარისი არ არის, რომ მიღებული რიტორიკა და გრამატიკა ცხოვრებას ჩამორჩა; ის ვერა ჰგრძნობს, რომ ენაც განვითარების პროცესშია, ენის ფორმები იცვლება, ერთს რიგს სცვლის მეორე. მესხიშვილი გაურჩევლად ყოველსაევე ახალს მტრულად უყურებს.

და არა მარტო ენის სხვადასხვაობა აკამათებს „მამათა" და „შვილთა", არამედ ლიტერატურული მიმართულებაც, საერთოდ ლიტერატურული გემოვნების სხვადასხვაობა. ძველი თაობა აღზრდილია ანტონ კათალიკოზის „თეორეთიკაზე" და „კათეღორიებზე", აღზრდილია ცრუკლასიციზმის დოგმებზე. ცრუკლასიციზმის მიერ გამომუშავებული წერის სამი სტილი ჩვენს „მამებს" ძალუმადა აქვთ შეთვისებული. უკეთესს შემთხვევაში ისინი სანტიმენტალიზმის გემოვნებით ტრაბახობენ და ზვიადი კილოთი ჩახრუხაძესთან ერთად კარამზინ-კოზლოვს იცავენ. ილია ჭავჭავაძის და „თერგდალეულების" რეალიზმი მხატვრულ მწერლობაში მათთვის საშინელი რევოლუცია იყო.

აი რას უწერს რევაზ ერისთავი ილია ჭავჭავაძეს საპასუხო წერილში—„პასუხი ჭავჭავაძის კრიტიკაზე": „საბრალო კარამზინი, კაზლოვი და ჩახრუხაძე,—დაცინვის კილოთი სწერს რევ. ერისთავი,—

[1]) „ცისკარი" 1861 წ. № 6.

ხომ რაღა საფლავიდან არიან ამოყრილნი. სხვა კიდევ ოჰ, კარამზინის. კი ხსე უპატიოდ ხსენება არ შეესაბამება. იმას იმისთანა უსაფუძ-ლო სიტყვებით ვერავინ მოუღებს თავისის შრომით, ჭკუით და გა-ნათლებით მოპოებულს და დამკვიდრებულს ღირსებას გამოჩენილს მწერლისას რუსეთში, იმისის ღვაწლის შერყევას უბრალოდ ნურავინ ეცდება“ [1].

საინტერესო და საგულისხმიეროა, რომ ასეთს აზრს გამოსთქვა-მენ ილიას სხვა მოწინააღმდეგენიც (ბარბარე ჯორჯაძისა, გ. ბარა-თაშვილი). მაშასადამე, მწერლობა და აზროვნება ძველი თაობის 60-იანი წლების დასაწყისში ისევე სანტიმენტალურ-რომანტიული გემოვნების და გაგების ატმოსფეროშია. ცრუკლასიკიზმსაც-კი, რო-გორც დავინახეთ, ჯერ არ დაუკარგავს თავისი გავლენა. შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რომ ილიას მოწინააღმდეგეებს მისი ზოგიერთი ლექსი და მეტად მკაფიოდ გამოთქმული აზრი მცთარად ესმისთ. ამის სანიმუშოდ შეიძლება მოვიტანოთ ორი ადგილი:

გ. ბარათაშვილი ხსენებულ საპოლემიკო სტატიაში ილიას ლე-ქსის „გაზაფხული“-ს შესახებ სწერს: „პოეტი სულით ნატრობს სა-ყვარელ მამულის აყვავებას, ნეტავი დაანახვა ეზლა,[2] საქართველო როგორ მწვანე ზურმუხტივით ბიბინებს“!..[3] აქ დაცინვა კი არ არის!. ასეთი გაგება ხსენებული ლექსისა ხომ ჩვილ ბავშვსაც კი არ მო-უვიდოდა!.

ან კიდევ: რევ. ერისთავს აი როგორ ესმის ილია ჭავჭავაძის განცხადება: „ჩვენ სულ მამაპაპურმა ტკბილმა ძილმა დაგვღუპაო.“— „იმაზედ კი, თუ ნებას მოგვცემს,—ურყევი ჭეშმარიტების გამომხა-ტველი ტონით სწერს რევ. ერისთავი,—ვერ დავეთანხმებით... თუ ჩვენს ისტორიას ჩავათვალიერებთ, დავრწმუნდებით, რომ არც ერთს დროს უქმად არ ყოფილან ჩვენნი წინაპარნი, ძილის დროსაც კი მართლა მოსვენებით არ სძინებიათ, ჩვენი აზრით, არა თუ კიცხვის,. დიდის დიდების და მადლობის ღირსნი არიან“ [4]

აშკარაა, „ძამათა“ და „შვილთა“ შორის სრული გაუგებრობაა, მსოფლმხედველობათა სრული სხვადასხვაობაა. ისინი თითქოს სხვა-დასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ!

---

[1]) გ. ბარათაშვილის ეს წერილი მაისშია დაწერილი.

[2]) „ცისკარი“ 1861 წ. № 5.

[3]) იქვე.

[4]) „ცისკარი“ 1861 წ. № 6.

ილია ჭავჭავაძემ ყველა თავის მოწინააღმდეგეს პასუხი ერთად გასცა. პუნქტობრივ დაარღვია მათი დებულებანი. და ეს პასუხი მგოსანმა თავისებური გესლიანი დაცინვის კილოთი დააფერადა. არც ერთი მოწინააღმდეგე, განსაკუთრებით-კი ბარბარე ჯორჯაძისა, არ დაინდო. მათი უვიცობა, თანამედროვე ცხოვრებასა და მოთხოვნილებათა ჩამორჩენილობა გამოაშკარავა. „პასუხ“-ში ილია გზა-და-გზა თავის შეხედულებებს გამოსთქვამს და ამით აღრმავებს ბრძოლას. მაგალ. „სადაც აზრი არ არის,—ჩაურთავს ილია,—იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე მე არსად არ გამიგონია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“[1].

აქ ილია ჭავჭავაძე პირმშო შვილია რუსეთის 60-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნებისა, რომლისათვისაც მთავარი იყო აზრი; იმ 60-იანი წლებისა, რომელთაც უარჰყვეს პუშკინის „ესთეტიკაც“-კი პისარევის წერილებში. ან კიდევ: „კაცის ენა,—სწერს ილია,—კერძო პირსაკით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველს კაცსა. მაშასადამე, თუ მიბრძანებთ, რომ რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულა, იმიტომ ეხლაც უნდა ვიხმაროთ ეგ ასო,—ეგ უსაფუძვლო ბრძანება იქნება, როგორც უსაფუძვლო იქნება რჩევა, რომ ანბანის თეორეტიკა უნდა ისწავლოთ ხელოვნებისათვის“[2].

აქაც აშკარად გამოსჭვივის 60-იანი წლების გატაცება პოზიტიური მეცნიერებით, კერძოდ ბუნების-მეტყველების დარგებით და სურვილი—ბუნების კანონები განავრცონ ჰუმანიურ საგნებზედაც. ენა, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ისევე ემორჩილება ბუნების კანონს, როგორც სხვა მოვლენა ბუნებაში. მაშინ, როდესაც „მამათა-თვის“ „ბუნებით მომზადებულთა სიტყვათათვის ადრევე დადებულ არიან კანონნი, რომელნიცა არიან მართალნი და რომელთაცა გამოცვლა დიდი გმობა უნდა იყოს“[3].

ილია ჭავჭავაძის მიერ ახალთაობის სახელით, მრავალ ცოცხალ აზრთა შორის, მკითხველის ყურადღებას იპყრობს შემდეგი აზრიც: „პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ

---

[1]) „ცისკარი“ 1861 წ. № 6.

[2]) იქვე.

[3]) ბ ა რ ბ ა რ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა—„ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ“. „ცი ს კარი“ 1861 წ. № 5.

საფუძვლით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო. ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავისი უკვდავების ძარღვი. მოამზადოს მასალა თავისი ცხოვრებითა და მერე თავის თავად, უთქვენბრძანებლოთ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებისა. თუნდ რომ იყვნენ ეხლა ჩვენში ბაირონის თანასწორნი ნიჭნი, ის ნიჭნი ბაირონის ოდენას თავის დღეში ვერ იქმოდნენ; ის ნიჭნი საზრდოს ვერ იპოვნიან ჩვენს ცხოვრებაში"[1].

ეს აზრიც — ხალხის მასების — ცხოვრების და პოეტის-ჰენიოსის შორის ურთიერთობა—იმ დროის ჩვენი საზოგადოებისათვის ახალი და მძლავრი აზრია. ეს შეხედულებაც 60-იან წლებში გაბატონებული პოზიტიური მეცნიერების კულტის ზეგავლენითაა გამოწვეული, და აშკარაა, 60-იან წლების რეალისტური მსოფლმხედველობისაგან გამომდინარეობს. ილია ჭავჭავაძისათვის ეს შეხედულებაც დამახასიათებელია, როგორც 60-იანი წლების ღვიძლი შვილისა მთელი თავისი შეგნებით და მიმართულებით.

აგრეთვე საგულისხმიეროა ილია ჭავჭავაძის მიერ ამ წერილში გამოთქმული გარკვეული გამიჯვნა ძველ მწერალთა ჯგუფისაგან. „დასასრულს,— სწერს ჩვეულებრივი მძლავრი გესლიანობით ილია,— ჩვენი მწერალი ქალი ეპატიჟება თავის მოძმეთა მწერალთა (?) და, სხვათა შორის, რევ. ერისთავსაც, რომ არ მოაკლონ თავიანთი ნიჭის სხივები დამზრალს „ცისკარს". მიბრძანდით, მიბრძანდით, ჩვენი მწერალი ქალის მოძმენო მწერალნო, და შეადგინეთ კვარტეტი კრილოვისა, თორემ ჩვენ მწერალ ქალს ეშინიან, რომ მარტოკა დარჩება რითმების მბეჭველთა რაზმში. მიბრძანდით, მიბრძანდით, ამ მწერალ ქალის, მოძმენო მწერალნო! თუ ნიჭი არა გაქვთ წერისა, ნუ გეშინიანთ, უნიჭოთაც გამოჩნდებით, როგორც გამოჩნდა თვით ჩვენი მწერალი ქალი; თუ ცოდნა არა გაქვთ, ნურც მაგისი გეშინიანთ, უცოდინრობითაც სახელს დაიგდებთ: ხომ ხედავთ, სწავლასაც დასცინიან, უნივერსიტეტსაც და შინიდგან გამოუსვლელობით და უსწავლელობით მოჰკვეხენ! თუ ხელოვნება არ იცი, მაგის წამალიც ხელთა აქვს ჩვენს მწერალ ქალს,—ანბანთ თეორეტიკა"[2].

აშკარაა, ბრძოლა შეურიგებელი პოზიციებით ვითარდება!

ასეთმა თამამმა და კადნიერმა „პასუხმა" ერთისამ ბრძოლის ველზე მთელი საზოგადოების წინააღმდეგ უფრო ააღელვა „მამათა"

[1]) „ცისკარი" 1861 წ. № 6.

[2]) იქვე.

ბანაკი. ილიას ამ წერილს მოჰყვა იმავე „ცისკრის“ № 6 ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული სტატია „უსტარი ანტიკრიტიკული“ სარდიონ ალექსი-მესხიშვილისა, შემდეგ ბარბარე ჯორჯაძისა „ცისკრის“ № 9, რომელშიაც მოწინააღმდეგის კადნიერებით გაბრაზებული კნეინა ძალათ თავ-შეკავებული, მაგრამ ნაღველ-ჩანთხეული ზრდილობიანობით ცდილობს ახალგაზრდა, თამამ და კადნიერ პუბლიცისტს უვიცობის ბეჭედი დაასვას და აი რას უწერს: „ენას, ჩვენს მამა-პაპათ დარბაისლურ ენას, არც ამაღლება ეპირვება, არც დამდაბლება. ჩვენი ენა დიდიხანია სისრულეშია მოყვანილი. მხოლოდ გზა აბნევია ამ ენას თქვენებრ მწერალთა წყალობით“[1].

კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას უნდა ილია ჭავჭავაძეს დასწამოს უყურადღებობა და წინდაუხედაობა, საქმის არგაცნობა და უსაფუძვლო დასკვნების გამოტანა და გადმოსროლა საზოგადოებაში. „როგორც ჩანს,—უკიჟინებს ბარბარე ჯორჯაძისა ილიას,—თქვენ არა ჰკითხულობთ („ცისკარს“—მ. ზ.) და სულ იმ განათლების გზას უნდებით ახალ-ახალის ჩრდილოეთის პოეზიის მოსატანათ. აბა სად მოიცლით!“[2] — ირონიით წააყვედრის პოეტესა.

კნეინა ბარბარე ჯორჯაძისამ, რომ ჩაუნისკარტოს და ვალი არ დარჩეს ამ გათავხედებულ ვიღაც „ვაჟ-ბატონისა“, რომელსაც თავი სწავლით მოაქვს და, რომელმაც ბოროტად ისარგებლა მისი „.თავმდაბლობით“ გამოწვეული განცხადებით--„შინიდან გარედაც არ გამოვსულვარო“, აი რა იგავს ჩაურთავს ამ ბრაზ-მორეულ, პოეტესას შეძლების და გვარად, შხამით აღსავსე სტატიას: „საკვირველია, ბ'კითხველო!—იძულებითი დაწყნარებული კილოთი, რომელშიაც მოისმის ბოღმითა და ნაღველით აღსავსე განცდა, სწერს ჩვენი პოეტესა,—რომ უნივერსიტეტით დიდათ თავს იწონებს და იქ გადასვლით და გადმოსვლით. ერთს მაგალითს მოვახსენებ, თუ არ იწყენს: საბუედან, ბატონებო, ერთს გლეხს-კაცს ერთი ქეციანი თხა გაეპარა. ეს ის დრო იყო, როდესაც ვრცელი ბუნების ბაღი იმოსებოდა მწვანით და მთელი დაღისტნის ხალხნი ემუქრებოდნენ საქართველოს, მაგრამ იმ თხამ მთელი დიდოს არემარე მიიარ-მოიარა და რამდენისამე ხნის შემდგომს ისევ ბატონს კარს მოადგა. მაგრამ აი უბედურება—ისევ ქეციანია! დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ იმ თხას იქ გადასვლა და გადმოსვლა არც გონიერებით მოსვლია და არც ძლიერებით. სირბილით სწავლა არ დამტკიცებულა და შინ

---

1) „ცისკარი“ 1861 წ. № 9.

2) იქვე.

ჯდომით უსწავლელობაო“ [1]—ასე ათავებს თავის წერილს მოთმინებიდან გამოყვანილი პოეტესა.

უდაოა, რომ კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა ნიჭიერი წარმომადგენელი და გამომხატველი იყო ძველი თაობის მსოფლ-მხედველობისა და ერთი უძლიერესი მოწინააღმდეგე თერგდალეულებისა. ამით აიხსნება, რომ ბარბარე ჯორჯაძის წერილს გამოეხმაურა არა მარტო ამერეთი, არამედ იმერეთიც—ზემოური იმერელის გორისელის—ევთიმე წერეთელის სახით.

ევთიმე წერეთელი აი როგორ გადმოგვცემს იმ აღრევას და აღშფოთებას, რომელიც გამოწვეული იყო ილიას კადნიერი კრიტიკით. „ოთხის დღის წინად,—სწერს ევთიმე წერეთელი,—ქუთაისშიდ ერთი პატივცემული მოხუცის სახლში შეეედი. იქ მისმა ნიჭიერმა მეუღლემ და იმის უნიჭიერესმა ძმისწულმა ყმაწვილმა ქალმა თქვეს, რომ განვლილის წლის „ცისკარში“ კაცს აღარ ჩაეხედებოდა და წელს ამისათვის აღარ ვაწერ ხელსაო. და სამწუხაროა ჩვენთვის, რომ ჩვენი სამშობლო ენა ლამის დაეცესო. ვიღაც ჭავჭავაძე აუტყდა და არა ცილდება იმ კახელს ჯორჯაძის კნეინასა, შეუსაბამო სიტყვებით იხსენიებს. რისთვის? სიმართლისათვის და მშვენიერი ლექსების წერისათვის? რომლითაც გაბედვით შემიძლიან ვსთქვა სასმენელს ატკბობენ და გულს ალხენდნენ. თუ კი მას გააჩნია ვინმე ქალი უკეთესი მწერალი, ეს დიდად ძვირფასი იქნებოდა ჩვენის ენისათვის, რომ კიდეე სხვა ქალსაც გამოეჩინა თავისის თხზულებით ნიჭიერება, როგორც ჯორჯაძისამ, თუ არა და რათ უკრძალავს და იხსენიებს ასე?“[2].

აშკარაა, ილია ჭავჭავაძის მიმართ იმერეთიც ისეთსავე მტრულს და შეურიგებელ პოზიციას იჭერს, როგორსაც ქართლ-კახეთი. ქუთაისი, როგორც ტფილისი, ძველ შემოქმედებაში ჰგრძნობს და ხედავს „სიმართლეს და მშვენიერებას“. მაშასადამე, იმერეთიც გამოდის ძველი ენისა და შემქმედების დამცველად. ამ დაცვაში გამჭვირვალედ მოჩანს სურვილი ძველი ტრადიციების და მთლიანად ძველი ბსოფლმხედველობის შენახვისა. ზემოური იმერელი გორისელი—ევთიმე წერეთლის აღნიშნული წერილი მით არის საყურადღებო, რომ იმერეთის და ამერეთის „მამათა“ ბანაკში სრული ერთსულოვნობაა. მთლიანი საწინააღმდეგო მოქმედების ფრონტის

---

[1]) „ცისკარი“ 1861 წ. № 9.

[2]) „ცისკარი“ 1862 წ. № 2.

გაერთიანების აუცილებლობა თითქოს სტიქიურად, თავისთავად ჩნდება და მყარდება.

ექვთიმე წერეთელი, როგორც ეტყობა, არანაკლებ აუღელვებია იმ ცნობასაც, რომ ახალი აზრების მოციქული ილია ჭავჭავაძე მომავალი 1863 წლიდან ცალკე ჟურნალის დაარსებასაც აპირებს. ევთიმე წერეთელი ალბად ჭგრძნობს ამაში დიდს საფრთხეს და მასთან ერთად „მამათა" უძლურებასაც ბრძოლისათვის და, მოწინააღმდეგე როგორმე რომ შეასუსტოს, ასეთი ირონიით ათავებს თავის წერილს: „შევიტყეთ ჭორად ქუთაისშიდ, რომ ვითომც ახლა უფ. ჭავჭავაძე აპირებს მეორეს ჟურნალის გამოცემას. უეჭველია, ის ჟურნალაც ისე ახალის ენისა იქნება, ოა ენისათვისაც გამობრძანდა მწერლობის ასპარეზზედ შარშან და იმედი ჰქონდეს, რომ ბევრს ხელის მომწერს ჰპოვებს. იმ ენით ლაპარაკს ჩვენი საზოგადოება დიდათ შორავს... ყოველს მამულიშვილს უნდა მიაჩნდეს დიდათ სამწუხაროდ და თვითონ მე... მეხივით მეცემა და სისხლს მირევს"[1].

3.

ზემოური იმერელის გორისელის—ეფთიმე წერეთელის ამ წერილმა საბრძოლველ ასპარეზზე ილია ჭავჭავაძის მომხრენიც გამოიწვია. ილიას მომხრენი სხვა თერგდალეულნი ჯერ კიდევ პეტერბურგში (ლენინგრადში) სცხოვრობდნენ, ჩვენი ცხოვრების ბრძოლის ატმოსფეროში უშუალოდ არ იყვნენ ჩაბმულნი. ისინი ამ დროს რუსეთის ახალ თაობასთან ერთად რუსეთის აქოთებულ ცხოვრების ზღვას ებრძოდენ. რუსეთში ამ დროს უაღრესად გაცხოველებული ოპოზიციონური მოძრაობა სწარმოებდა, იმართებოდა გრანდიოზული დემონსტრაციები სტუდენტების მიერ. ჩვენი ახალგაზრდობაც ფეხდა-ფეხ მისდევდა რუს ინტელიგენციას. ბევრი მათგანი დასჯილ იქმნა რუს ინტელიგენციასთან ერთად [2].

1862 წლისათვის, ალბად, როდესაც სტუდენტების მოძრაობის ქარტეხილი რუსეთში ცოტაოდენ შენელდა, როდესაც „ცისკრის" თებერვლის ნომერმა „ზემოური იმერელი გორისელი"-ს (ევთიმე წერეთელის) წერილიც მიუტანა, თერგდალეულნი, ს. პეტერბურგში მცხოვრებნი, სამშობლოსაკენ მოახედა. ერთსა და იმავე დღეს 1862 წლის 30 მარტს ქალ. ს. პეტერბურგიდან „ცისკარს" ოთხი წერილი

[1]) „ცისკარი" 1862 წ. № 2.

[2]) ნიკო ნიკოლაძე—„მოგონებანი სამოციან წლებზედ"—„კავკასიონი"—1924 წ. № 3—4; „ახალი კავკასიონი" 1925 წ. № 1—2.

მოსდის. სამი მოწერილია „თერგდალეულის“ ფსეედონომით, ხოლო მეოთხე ლექსად „პოემიდგან“ „რუსეთუმე“—„ფარისეველი“—აკაკი წერეთელისა. ეს წერილები იმავე „ცისკრის“ ფურცლებზე ზედიზედ მე-3, 4 და 5 №-შია მოთავსებული. გაჩაღდა დარაზმული ბრძოლა.

ეს წერილები თერგდალეულთა არა მარტო ევთიმე წერეთელის საპასუხოდ არის დაწერილი, არამედ გაკამათებაა მთელი ძველი თაობის და მის მიმართულების წინააღმდეგ. მასთან ერთად ამავე წერილებში თერგდალეულნი გარკვეულად პერსონალურადაც ჭავჭავაძის და მისი მიმართულების და პოზიციის დამცველებადაც გამოდიან.

„ილია ჭავჭავაძემ,—სწერს „თერგდალეული“ (შეიძლება ამას ეუწოდოთ პირველი) სტატიაში—„წიგნი მოწერილი რედაქტოთან ეფთიმე წერეთლისა“,—რომ „შეშლილის კრიტიკა დასწერა, მაშინ ხომ უფ. ერისთავი უნდა გაემართლებიათ, ე. ი. უფ. ჭავჭავაძის კრიტიკა გაეჩხრიკათ? მაგრამ კრიტიკოსებმა უფ. ჭავჭავაძის ლექსებს სტაცეს ხელი და არა მის კრიტიკას—გაღმა შეეცდებით, გამოღმა დაგვრჩებაო,.. რაღაც გაქეზებული ყოფილა ილია ჭავჭავაძეზედ[1].“ და ბოლოს, „თერგდალეული“ გარკვეულის მოთხოვნილებით აცხადებს ახალი თაობის გამიჯვნას ძველი თაობისაგან. „ჩვენ ეფიქრობთ,—სწერს თერგდალეული (პირველი),—რომ ახალს მოდგმას უფრო ნება აქვს, რომ მოითხოვოს, რა უფრო არის მისთვის საჭირო (ე. ი. ახალი მოდგმისათვის, ვინმე „საუკუნის მეორე ნახევრის ასაკსა მყოფი“ (უფ. ეფთიმე წერეთელის სიტყვებია—მ. ზ.). ჩვენ არ გვინდა არც წამლიანი, არც უწამლო დამძაღებული რიტორიკა უფ. მესხიევისა, (გიმნაზიაშიც თავი მოგვაძულა) და არც სიტყვების აწყობა ალ. სულხანოვისა[2].“

ასევე აშკარა და მკაფიო გამოსარჩლებას ეხედავთ ილიასა და „ახალი მოდგმის“ სასარგებლოდ „მეორე თერგდალეულის“ წერილში—„რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სიტყვებზედ“ მეორე თერგდალეული თავის საპოლემიკო სტატიას ეპიგრაფად უმძღვარებს პუშკინის ლექსიდან ამოღებულს მეტად საინტერესო ციტატას:

„Поэт, не дорожи любовью народной,
Восторженных похвал пройдет минутный шум“...

ასეთი ამაყი, თავისი ძალისა და ღირსების შემგნები გრძნობა შაჩვენებელია ახალი თაობის ძალუმი დუღილისა და ძლიერი გატა-

[1] „ცისკარი“ 1862 წ. № 3.
[2]) იქვე.

ცებისა. ამასთან ერთად ამ ეპიგრაფში იხატება გარკვეული დამოკიდებულება[1] თერგდალეულებისა ილია ჭავჭავაძისადმი: ამაყად გადმოცქერა იმ თაობაზე, რომელიც ასე აყაყანდა, აშფოთდა გაბედული სტუდენტის წინააღმდეგ და მოინდომა თუ ღირსებითი არა, რიცხვით მაინც დაეძლია ის. „ძალიან მიკვირს,—სწერს მეორე თერგდალეული, – უფ. გორისელი რომ ჭავჭავაძის ნიჭსა და სწავლას დასცინის. იმდენი ანდაზები სცოდნია, როგორც სჩანს მის სტატიიდგან, და, უეჭველია, რომ ესეც ეცოდინება: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომ საწველელს ავსებდესო“... დასამტკიცებლად იმისა,—ღვარძლიანად შენიშნავს მეორე თერგდალეული,—რომ ჭავჭავაძე უნივერსიტეტში გაზრდილია, გადაშალოს უფ. გორისელმა ის სტატიები, რომელიც იმან სამი დღე ღიჯნა და გაჭირებით ამოღიჯნა“[2].

გორისელი ეფთიმე წერეთელის იმ დაცინვაზე, რომ ჭავჭავაძის ჟურნალი ვერ იბოგინებს, ვერ იშოვის ხელისმომწერთ, რადგანაც ჭავჭავაძის ენას „საზოგადოება დიდათ შორავს“, მეორე თერგდალეული, გამარჯვებაში დარწმუნებული, სიამაყის გამომხატველი ტონით უპასუხებს: „დარწმუნდით, უფ. კრიტიკოსო, რომ ჭავჭავაძის ჟურნალი მოკლე დროში ძალიან კარგ წარმატებაში წავა. თქვენ ფიქრობთ,—განაგრძობს მეორე თერგდალეული,—ვითომც ორი ჟურნალი რომ იქნეს, ხელის მომწერი „ცისკარს“ მოაკლდებაო. მე ამაზე ვერ გეთანხმებით მისთვის, რომ, რაც უფრო მეტი ჟურნალი იქნება, ის უფრო სასარგებლოა ჩვენთვის, მისთვის რომ ხალხში სურვილს შეიყვანს კითხვისას და როცა კითხვა და სწავლა გავრცელდება ჩვენ სამშობლოში, მაშინ ძალიან ჟურნალის მოთხოვნილება იქნება“[3].

მაშასადამე, თერგდალეულებს „მამებთან“ არა მარტო უბრალო ბრძოლა აინტერესებთ, არამედ გარკვეული კულტურული აღორძინების მისწრაფებანი აქვთ და ჟურნალიც ამ აღორძინების იარაღად უნდათ გამოიყენონ.

---

[1]) ეს „თერგდალეული“, ჩვენის აზრით, გიორგი წერეთელი, ეფთიმე წერეთელის შვილი უნდა იყოს. ამას ამეღავნებს ავტორის ვინაობის და სახელის მაგიერ სტატიის ბოლოს მიწერილი ლექსი:

„ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი.
სამნივ თერგდალეულნი,
მე გახლავარ გორისელი,
ერთი ამ სამ ძმათაგანი.“ („ცისკარი“, 1861 წ. № 3).

[2]) „ცისკარი“ 1862 წ. № 3.

[3]) იქვე.

მეორე თერგდალეულის წერილს „ცისკრის“ მეოთხე ნომერში მესამე თერგდალეულის წერილიც მოჰყვა „ახირებული ფურცლის“ სახელწოდებით. ეს თერგდალეულიც ილია ჭავჭავაძეს და მის პოზიციას იცავს. ეკამათება „მოამბეს“, ჟურნალი „ცისკრის“ ფიზიონომიის გამოურკვევლობას აკრიტიკებს და ირონიით შენიშნავს: „როგორც მოგეხსენებათ, ეს ჩვენი ყმაწვილი „ჟურნალი“ მეექვსე წელიწადში ჩადგა, მაგრამ დღემდის არ ვიცოდი, სადაური ყმაწვილი იყო: რუსის თუ ქართვლის. ღმერთთან სწორი სჯობს, ზოგიერთი თვისება ქართველი ყმაწვილისა ჰქონდა. ყოველ თვეში თითო კაბას იცვლიდა, ხან წითელს იცვავდა, ხან ყვითელს და ლურჯს“[1]. „ახირებული ფურცლის“ ავტორი თერგდალეული, გააკრიტიკებს რა ძველი თაობის შეხედულებას და მიმართულებას, წერილს უმატებს მშვენიერ მესტვირულ ლექსს, რომელიც საკმარისად ცოცხლად ახასიათებს ჩვენი 60-იანი წლების, ძველისა და ახლის გამიჯვნის და ბრძოლის დროს:

„ზემოური იმერელი
კახელს შემოწყრაო,
ჰეე-ჰოო, ჰეე—-ჰოო!
სამს დღეს უღეჭა სტატია
და ძლივს გამოხრაო,
ცილს არ ვწამებთ, ბატონებო,
თვითონ მოგვითხრაო.
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰო!
მერე დაჯდა და რედაქტორს
წიგნი მისწერაო:
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
თქვენი ცისკრის გამოწერა,
თუმც მომენატრაო,
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰო!
მაგრამ კახელის სტატიამ
გულს ისარი მკრაო.
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
მაგ თერგისწყალდალეულმა
ეგ რა შეგვკადრაო!
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
ანტონსა და ჩახრუხაძეს
რას ჩაემტერაო?
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
ჟურნალი უნდა გამოსცეს,
სულ ქართლი შესძრაო.
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
ჩემ მაგიერად ურჩიე,
თუ დაიჯერაო,
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
ბევრი უნდა, რომ ეყოლოს
ხელმომწერი ცხრაო,
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
სხვებიც ბევრი რამ მინდოდა,
რომ მომეწერაო
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
მაგრამ თერგელის სტატიამ
ჭირათ მომასწრაო,
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
რაც აზრები მოვაგვარე
ჯავრით გამოსჭრაო,
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!
ეს ჩემი ბატის კალამიც
ნოემ გამოსჭრაო.
ეს მისწერა და მართლისთვის
აწ ჩვენც ვუთხრათ ბრავო—
ჰეუ-ჰოო, ჰეე-ჰოო![1].

[1]) „ცისკარი“ 1862 წ. № 4.

თერგდალეულთა ბრძოლის და პოზიციის ხასიათს ააშკარავებს იმავე წლის იმავე დღეს, იმავე ს.-პეტერბურგიდან გამოგზავნილი თერგდალეულის—აკაკი წერეთლის მიერ ლექსი—სატირა „პოემიდან (რუსეთუმე)—ფარისეველი". აკაკი წერეთელი საკმარისი კადნიერებით და სარკაზმით ამ ორი თაობის, „მამათა" და „შვილთა" შეხედულებათა, თვისებათა და განსხვავებას უფრო აღრმავებს „მამათა" დახასიათებას აკაკი მეტად მუქ ფერადებში გვაძლევს:

„შეხედეთ ფარისეველსა,
ლოცვითა ღამის მთეველსა,
ცხადათ ბოროტის დამგმობსა
ჩუმათ კი ცოდვის მდეველსა.
წამისწამ ახსენებს უფალს,
ამ თვალთ-მაქცობით გიხვევეთ თვალს,
მე უღმთო კაცსა მეძახის
და მიზეზს ადებს თერგის წყალს.
შეგტირისთ ჯვარითა და ღვთით.
თქვენც გაჯერებთ, ცუდ კაცად მხდით!
მაგრამ ჩვენშიდ სხვა რამ არის—
მიზეზს გეტყვით, თუ ვერ მიხვდით:
. . . . . .
ვსცანი გაიძვერა მე,
მისთვის მიწყრება თურმე.
ულთოობას მიტომ მწამებს
და მეძახის „რუსეთუმე"?[1].

„თერგდალეულების" ასეთმა გუნდობრივმა და გაბედულმა გამოსვლამ გამოიწვია „მამათა" ბანაკიდან სხვების წერილებიც. ქუთაისიც არ ჩამორჩა. გორისელ ეფთიმე წერეთელს მიემატა თომა მაჭავარიანის—„პასუხი მეორე თერგდალეულის პასუხისა"[2]. ბრძოლა თანდათან მწვავდებოდა, თანდათან უფრო შეურიგებელ ხასიათს იღებდა. ნამეტნავად ილია ჭავჭავაძე ძველი თაობის თვალში შეიქმნა l'enfant terrible. „მამათა" და „შვილთა" შორის საპოლემიკო სტატიები აშკარად გვიხატავს მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრების ატმოსფეროს და მათი ერთად მუშაობის შეუძლებლობას. აკი ილია ჭავჭავაძის საპასუხო წერილს სარდიონ მესხიშვილისადმი დაბეჭდა ვერ ეღირსა. 1861 წლის „ცისკრის" 10-№-ში რედაქციისაგან შემ-

[1]) „ცისკარი" 1862 წ. № 5.
[2]) „ცისკარი" 1862 წ. № 8.

დეგს განცხადებასა ვკითხულობთ: „თავად ილია ჭავჭავაძისაგან მივიღეთ სტატია“ „უფ. მესხიევის ანტიკრიტიკულ უსტარის პასუხად“, რომელისაც დაბეჭვდა ვერ მოვახერხეთ ამ ნომერში. შემდეგ წიგნში უეჭველად დაიბეჭდება.“—მაგრამ შემდეგში კი არა, სრულებით ვერ დაიბეჭდა. ილიასათვის „ცისკრის“ კარი დაიკეტა. ახალი თაობისათვის აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა, ახალი, თავისი საკუთარი ორგანოს დაარსება. ამ ორგანოს გარკვეულ იდეურ კალაპოტში უნდა ჩაეყენებინა საზოგადოებრივი აზროვნება, როგორც „მამების“, ისე „შვილებისაც“.

1882 წლის „ცისკრის“ 9-№-ში ერთ-ერთი თერგდალეული პავლოვსკიდან გამოგზავნილ წერილში; „ორიოდე სიტყვა“ „ცისკარზედ“ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ“—სრულიად სამართლიანად სწერს: „ცისკარს“ არა ჰქონია ერთი მიმართულება. და არც კარგი ყოფილა ყოველი მისგან გავრცელებული აზრები, ცოტას მეტი, რომელიც თითქმის არ სჩანდა სხვა სიცრუესთან. მასში იბეჭდებოდა ერთი-მეორის მოპირდაპირე სტატიები... ზოგს ჰქონდა სახეში ერთობა, ზოგს ერთმანეთის მტერობა: ერთი დეენიდა გამდელების და ძიძების ნალაპარაკევს, სისულელეს, მეორე ამტკიცებდა... რედაქცია უნდა გამტყუნდეს... ჭეშმარიტებამ არ უნდა დაუთმოს ადგილი არც საზოგადო აზრს, რამდენადაც შესაძლოა, და არც თვითეულის ჩვენთაგანის ინტერესს.. თორემ ახლა სრულიად არ ვიცით, რედაქცია მეოთხე საუკუნეში განისვენებს, თუ მეცხრამეტეში მოქმედობს?“[1]

ახალი თაობა ვერ ეგუებოდა ასეთს გაურკვევლობას, თუ გნებავთ, უპრინციპობას. ის ახალი იდეიებით და მისწრაფებით აღჭურვილი ცდილობს გარკვეული სახე და მიმართულება მიიღოს. ამისათვის საჭიროდ და მოთხოვნილებად მიაჩნდა ქართულ ენაზედ ორი ჟურნალი ყოფილიყო. „მეორე ჟურნალის ყოფნა,—სწერს ეს თერგდალეული პავლოვსკიდან, — გაანთავისულებდა „ცისკარს“ მოპირდაპირე სტატიებისაგან, რომელთა ენება აგრე ადვილად საგრძნობია... ცხადად ჩანს, რომ ამ მეორე ჟურნალის, „საქართველოს მოამბის“, ფეხზედ დაყენებას უნდა ეცდილობდეთ, მაგრამ ჩვენ არა თუ ეცდილობთ მეორე ჟურნალის კეთილდღეობას, ვგონებ, საფლავშიაც

---

[1]) „ცისკარი“ 1862 წ. № 9—ეს თერგდალეული შესაძლებლია ნიკო ნიკოლაძე იყოს. ამ თერგდალეულის წერილის ენა და საერთოდ წერილის მანერა ნიკო ნიკოლაძის ენას და წერის მანერას მოგვაგონებს.

ჩავდოთ დაბადებისთანავე, თუ ჩვენებურობა ვიხმარეთ. ჩვენებურობა რა არის? მკითხავს ვინმე. ჩვენებურობა ის არის, რომ ერთმანეთს თავს ვატეხთ, ათასნაირად დავყოფილვართ, ჯგუფ-ჯგუფად ვართ აქა-იქ გამდგარი, თითქოს ერთმანეთის დაუძინებელი მტრები. ერთს მხარეს გამდგარა ნამა, მეორეს შვილი, აქით—ეს, იქით—ის. თუ ჩვენი საკუთარი არ დაჩუმდება საზოგადო ინტერესის წინ, მაშინ ჩვენს გზასა და კვალსა ვერავინ გაიგებს"[1].

ეს სტატიაც მკვეთრად გვაგრძნობინებს ჩვენი 60-იანი წლების საზოგადოებრივ ცხოვრებას, „მამათა" და „შვილთა" გაყრას, მათს დაუძინებელ მტრობას და შეურიგებლობას. ახალი თაობის მისწრაფება და სულიერი განწყობილება აშკარაა: მას საზოგადო ცხოვრების, სადაც პირადი ინტერესი უნდა დაჩუმდეს საზოგადოს წინაშე,—განმტკიცება უნდა. ახალი ორგანოს არსებობაც ამ მიზნისათვის აქვს გათვალისწინებული.

---

[1]) „ცისკარი" 1862 წ. № 9.

III

თერგდალეულები „საქართველოს მოამბეში“.

ამ რიგად, ილია ჭავჭავაძე უკვე 1862 წელს ბრძოლის ველზე მარტო აღარ არის. მთელი გუნდი თერგდალეულებისა გარკვეულად იბრძვის მასთან ერთად და საერთო აღებული გეზით, ერთი მიმართულებით შემოკრებილნი, ახალი გზის გასაკაფად ირაზმებიან. 1862 წლის „ცისკრის“ 10—№-ში მოთავსებულია თერგდალეულთა განცხადება ახალი ჟურნალის — „საქართველოს მოამბის“ შესახებ.

გამოცხადებული პროგრამა ახალი ჟურნალისა ყურადღებას იქცევს თავისი შინაარსით და საერთო მიმართულებით. „მომავალი 1863 წ. იანვრის თვითგან,—ეკითხულობთ განცხადებაში,—გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. გამოცხადებულია, რომ ჟურნალი შესდგება რამდენიმე ნაწილისაგან: 1) წმინდა სალიტერატურო, 2) ისტორიული, 3) საპოლიტიკო და სოფლური ეკონომია („ეს საგნები,—განმარტებულია განცხადებაში,—იმდენად, რამდენადაც დრო და საჭიროება მოითხოვს“). 4) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, 5) სხვადასხვა ამბავი და 6) დამატება. „ამ პროგრამას,—აცხადებს მომავალი ჟურნალის რედაქტორი ილია ჭავჭავაძე,—ამჟამად აღარაფერს არ ვუმატებთ; რაც შეეხება ჟურნალის ხასიათს და მიმართულებასა, ამაზედ არაფერს ვიტყვით. ჩვენ ვარჩიეთ, რომ თვითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინასიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ. ამისათვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ქეშმარიტი[1]... ჩვენის მხრით, რასაც-კი შეგიძლებთ, არას დავზოგავთ, დანარჩენი თვით საზოგადოებაზე ჰკიდია“[2].

„საქართველოს მოამბის“ დაარსებით მოხდა გადაკრილი განცალკავება და გამიჯვნა ძველისა და ახალი თაობისა. ახალი თაო-

[1]) კურსივი ჩვენია.

[2]) „ცისკარი“ 1862 წ. № 10.

პის, ე. წ. თერგდალეულთა მრწამსი და მიმართულება, გატაცებით, ცხოვრების და მოქმედების ძლიერი მოწყურებით სავსე, წინმსვლელობით აღტყინებული, სავსებით და მთლიანად გამოიხატა „საქართველოს მოამბეში", რომელმაც ერთ წელიწადზე მეტს ვერ იბოგინა. თერგდალეულთა მსოფლმხედველობის და სულიერი განწყობილების გასაგებად მეტად საინტერესოა „საქართველოს მოამბეს" 1 №-ში მოთავსებული დეკლარაცია „საქართველოს მოამბეზედ". ეს დეკლარაცია ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, როგორც ჟურნალის რედაქტორს და მის მთავარ მამოძრავებელ ძარღვს.

თერგდალეულნი ჰხედავდნენ, რომ ცხოვრება ერთს გაყინულ წერტილზე არა დგას. ის მიდის წინ, იცვლება და თუ ადამიანს, საზოგადოებას სიცოცხლე უნდა, უნდა კიდეც ცხოვრების ასეთს ურყევ მიმდინარეობას მისდიოს. „ყოველი კაცი,—ეკითხულობთ აღნიშნულ წერილში,—რომელსაც კი თვალებზე წამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ, და მოაქვს განახლება. ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცთომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვიკვირს, ადრინდელს კაცს როგორ სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღეველ ჭეშმარიტებად"[1]. თერგდალეულნი თავის ასეთ შეხედულებათა გამოთქმით, რასაკვირველია, ეკამათებიან ძველ თაობას და ცდილობენ დაარღვიონ ძველი მსოფლ-მხედველობა.

თერგდალეულნი ცდილობენ არსებული ცხოვრების ცვლის აუცილებლობა დაამტკიცონ და ახსნან გარკვეული მეცნიერული საბუთიანობით. მათ სწამთ, რომ ცხოვრება ახლდება, იცვლება, განმრთელდება „ცოდნისა და მეცნიერების შემწეობით, რომელნიც თვითონვე ცხოვრების ნაყოფნი არიან"[2].

თერგდალეულთა ასეთს შეხედულებაში ვხედავთ იმ დიდს გავლენას და გატაცებას პოზიტიური მეცნიერებით, რომელიც განმტკიცდა ბუნების-მეტყველების დარგების განვითარებით და რომელიც დამახასიათებელი იყო 40-60 წლებში ევროპაში და აქედან მოგვიანებით—რუსეთში[3].

[1]) „საქართველოს მოამბე" 1863 წ. № 1, გვ. 111.

[2]) იქვე.

[3]) ჩვენს თერგდალეულებს ეს გავლენა უშუალოდ რუსეთიდან მოაქვთ. ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, პისარევი და მრავალი სხვა ჩვენი ახალგაზრდა ინტე-

ჩვენი თერგდალეულნი, რომ დაამტკიცონ ცხოვრების ცვლის და მისი განვითარების აუცილებლობა, იშველიებენ მეცნიერებას: „ცხოვრება,—ეკითხულობთ საპროგრამო წერილში,—როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი ენერგიული ცხოვრება[1], რომელიც ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედა, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა“[2]. ამით თერგდალეულები მტკიცედ და გამარჯვების ღრმა რწმენით ეუბნებიან „მამებს“—„ჩამოდექით, გზა მოგვეცით“-ო.

თერგდალეულთათვის განახლების, წინსვლის სურვილი და საჭიროება მეტად აშკარა და მწვავეა. ისინი კარგადა გრძნობენ, რომ აზრისა და მისწრაფებათა უქონლობა ადუნებს და აკნინებს ჩვენს ცხოვრებას, გამოურკვეველი ძილის ბურანში ახვევს მას. ამიტომ საჭიროა ცხოველი აზრის და მისწრაფების ქონა, რათა ცხოვრება ერთ წერტილზე არ გაიყინოს და არ ჩამორჩეს ყამთა მსვლელობას. „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება,—ეკითხულობრ იმავე საპროგრამო წერილში,—აზრისა კი თავის დღეში არა. მისი აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ

ლიგენციისათვის თითქოს ისეთივე სათაყვანებელნი იყვნენ, როგორც რუსებისათვის. განსაკუთრებით ჩერნიშევსკი უშუალოდ ნაცნობი იყო ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა (იხ. ნ. ნიკოლაძის „მოგონებანი სამოციან წლებზე“). დობროლიუბოვის კრიტიკული სტატიების გავლენაც, როგორც ნიკო ლომოურმა განაცხადა აკაკი წერეთლის სამოქალაქო პანაშვიდზე 1915 წელს წაკითხულ „მოგონებაში“, დიდი იყო. აქ, ტფილისის სასულიერო სემინარიაშიაც, მოწაფეებს ჩუმად, მალვით რადგანაც მათი კითხვა სასტიკად იყო აკრძალული, შექონდათ ბურსაში და ჯგუფობრივ კითხულობდნენ დიდის გატაცებით, რელიგიური სასოებით და ასე ხარბად დაწაფებულნი, მის იდეებზე იზრდებოდნენ. პისარევსაც ჰყავდა თავისი მიმდევარნი ჩვენს თერგდალეულებში. ანტონ ფურცელაძე თავისი „ნიღილიზმით“ ხშირად ბრმად განმეორებელია პისარევის იდეები-ა.

ამიტომაა, რომ ჩვენი 60-ნი წლების (შემდეგშიაც-კი) ახალი თაობა რუსეთის ინტელიგენციის მიერ ნასესხებს და გადამუშავებულ იდეოლოგიას სესხულობს და ცდილობს კვალდაკვალ მისდიოს მას. ერთი გარემოება კი უნდა აღინიშნოს: ჩვენი თერგდალეულნი რუსეთის საზოგადო აზროვნების უფრო პრაქტიკული მხარით არიან დაინტერესებულნი. თერგდალეულნი ცდილობენ გადმონერგონ ჩვენში რუსეთიდან ის, რაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებელი და გამოსადეგი იქნებოდა.

[1]) კურსივი ჩვენია.

[2]) „საქართველოს მოამბე“ 1663 წ. № 1, გვ. 112.

აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია: ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი. ამასთანაც დაუქცეველი, მარად-მყოფი სალაროცა აქვს: მეცნიერება და ხელოვნება (наука и искусство), სადაც ისინი ინახებიან. მაგ. ცხოველს იმედს, რომელიც განგებას მოუელინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა,—შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ, წინ წადეგ! ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაქრობია უკეთესობის ნდომა!''[1]...

მაშასადამე, აზრის მოქმედების აუცილებლობა და საჭიროება ცხოვრებისათვის, მეცნიერულად მისი დასაბუთება იმ მიზნით, რომ აზრის საჭიროება გააგებინოს ჩვენს ცხოვრებას და მისი შუქი შეიტანოს ჩვენს წყვდიადით მოცული ცხოვრებაში—ესეც ნაცნობი შტრიხია რუსეთის 60-ანი წლებისათვის.

თერგდალეულნი ცდილობენ ცხოვრებაში თავიანთი შეხედულების გასატანად გამონახონ, გარდა სკოლისა, ისეთი საშუალება, რომელიც შესძლებს კაცის ჭკუის ძვირფასი მარგალიტები გამოფინოს საქვეყნოდ, საყოველთაო მოსახმარებლად, რომ „მრავალთათვის მისაწდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა". ამ მიზნით ისინი ცდილობენ საქმე დაიჭირონ „თუ არა სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც''.. შეიქმნეს შუამავლად მეცნიერებისა, ერთის მხრით, და ხალხისა და ცხოვრებისა, მეორეს მხრით''[2]. ახალი თაობა ცდილობს მისცეს ხალხს შესაძლებლობა მისაწვდენი, პოპულიარული ლიტერატურის შემწეობით გაეცნოს და შეისწავლოს ის ცოდნა, რომელიც მეცნიერებამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დააგროვა. ეს უაღრესად დემოკრატიული მისწრაფება და გზა ახალი ცხოვრების აშენებისა რადიკალურია და ძლიერი თერგდალეულთა მსოფლ-მხედველობაში.

თერგდალეულთა სურვილი—„თუ არა სრულიად ხალხთან, (მის) მომეტებულ ნაწილთან მაინც'' საქმე დაიჭირონ—იმდენად ახალი, მძლავრი პოზიციაა, რომ გარდაუვალ და შეურიგებელ უფსკრულს აჩენს მათსა და ძველ თაობას შორის.

---

[1]) „საქართველოს მოამბე'' 1863 წ. № 1, გვ. 113.

[2]) კურსივი ჩვენია.

ხალხთან, მის მასებთან ხიდის გადების განხორციელების საქმეში მიზანშეწონილ საშუალებად თერგდალეულებს ჟურნალი მიაჩნიათ, „ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან „საზოგადო ჟურნალს"[1]. აი სწორედ ასეთი სამსახურისა და დანიშნულებისათვის ისინი აარსებენ „საქართველოს მოამბეს". „ჩვენი საქმე,—ეკითხულობთ ზემოაღნიშნულ წერილში,—*საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია*[2]... ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის სჯულსა და კანონსა,—მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის „მოამბის" უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრული წარმოებითა, სრულის ვითარებითა"[1]... აქედან აშკარაა თერგდალეულთა რეალისტური მსოფლმხედველობა და მიმართულება. მთავარი და არსებითი ჟურნალისთვის იყო—სინამდვილის გათვალისწინება, ყოველდღიურ ცხოვრების წრეში ჩადგომა, „მისგან ყრუდ ჩაძახილის—ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა"[3].

აქედან გამომდინარეობს მთელი მსოფლმხედველობა ჩვენი თერგდალეულთა და მათი მოღვაწეობის გეგმაც. სწორეთ ჟურნალი „საქართველოს მოამბის" მიზნის და დანიშნულების ასეთი განმარტებიდან აშკარაა, რომ ჩვენი თერგდალეულნიც, როგორც რუსეთის 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოება, რეალურ ცხოვრებას, სინამდვილეს კულტად აცხადებენ. თვით ხელოვნებას, როგორც ჩერნიშევსკი, პისარევი და სხვანი, ჩვენი თერგდალეულნიც იმდენად აფასებენ, რამდენადაც ხელოვნება გამომხატველია სინამდვილის, ცხოვრებისა. ჩერნიშევსკისათვის ხელოვნება და ცხოვრება თითქოს სინონიმებია. „Искусство—это жизнь,"—ამბობს ჩერნიშევსკი. ასევე უყურებს ჩვენი ახალი თაობაც. სფირიდონ ჩიტორელიძე თავის ბიძა თადეოზს აი როგორ განუმარტავს პოეზიას: „პოეზია,—ეუბნება სფირიდონი თადეოზს,—არის გამოხატვა სიცოცხლისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, პოეზია არის თვითონ სიცოცხლე... მრავალი მშვენიერებაა ცოცხალ სინამდვილეში (действительность) ანუ, უკეთ ვსთქვათ: ყოველი მშვენიე-

[1]) „საქართველოს მოამბე", 1863 წ. № 1.

[2]) კურსივი ჩვენია.

[3]) „საქართველოს მოამბე" 1863 წ. № 1.

რება არის მხოლოდ მასში, რაც არის და რაცა სცხოვრობს"[1]. ასეთი შეხედულებიდან გამომდინარეობს თერგდალეულების სურვილი თავიანთ მოღვაწეობას პრაქტიკული ხასიათი მისცენ. ეს სურვილი— ცოდნისა და სწავლის გავრცელება და გატანა ფართო მასებში—„საქართველოს მოამბეში" წითელი ზოლივით მოსჩანს.

აი, ამიტომ ჩვენც ჩვენი „ხალხოსნობის" სათავეს (რასაკვირველია, მხოლოდ ზოგიერთი ნიშნების სახით, ისიც მკრთალად) როგორც რუსეთის საზოგადო აზროვნებაში, სწორედ აქ 60-იან წლებში, თერგდალეულების მსოფლმხედველობასა და მოღვაწეობაში ვხედავთ.

ასეთსავე პრაქტიკულს, უტილიტარულ მიზანს თერგდალეულნი უსახავენ მეცნიერებას და ხელოვნებასაც. „მეცნიერებასა და ხელოვნებას,—ვკითხულობთ ზემოხსენებულ „საქართველოს მოამბის" საპროგრამო წერილში,—ჩვენ უყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... ჩვენ მეცნიერებასა და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა, ცხოვრებაში გამომცხვარს და მშიერთათვის მოსახმარსა და გამოსადეგსა[2]. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ქეშმარიტებით ცხოვრების ახსნა და გაგება. მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა. რაც-კი პირდაპირ მიუდგება ცხოვრების ვითარებასა, რაც-კი გადმოიღება ცხოვრებისათვის... ის იქნება საჭირო ჩვენი ჟურნალისათვის"[3]. ცხოვრების ასეთი მძლავრი ტალღის მიხეთქება მწერლობისა და მეცნიერებისადმი, რომელნიც აქამდის თითქო ხალხის ცხოვრების გარეშე ტრიალებდნენ და რომელთაც ცხოვრება ახლა მეტად მძლავრად ეძახდა თავისკენ, ყველაზე მეტად დამახასიათებელი და საგულისხმიეროა 60-იანი წლებისათვის როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც.

და არა მარტო მეცნიერებას და ჟურნალს უსახავენ ასეთი სარგებლობის მოტანის პირობას, არამედ წმინდა ხელოვნების დანიშნულებაც მათს გაგებაში ასეთივეა. „ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გადმოიცეს, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა (ხელოვნება) ჩავიდეს ცხოვრების მდინარის

---

[1]) „საქართველოს მოამბე" 1863 წ. № 8. სფირიდონის და თადეოზის ბაასი.

[2]) კურსივი ჩვენია.

[3]) „საქართველოს მოამბე" 1863 წ. № 1.

ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრს მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა, არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა"[1].

ეს ხომ გასაგები და დამახასიათებელი პრელუდიაა თერგდალეულთა პოეტური შემოქმედებისათვის და განსაკუთრებით „კაკო ყაჩაღის", „გლახის ნაამბობის" და „კაცია ადამიანის" ავტორისათვის.

ასეთივე აზრი გამოსთქვა არა მარტო ილია ჭავჭავაძემ, არამედ სხვებმაც. მაგ. გ.—თელმა (გ. წერეთელმა) თავის სტატიაში—„ცისკარს" რა აკაკანებდა". „მავნებელია,—სწერს გ.—თელი,—ლიტერატურა და პოეზია, როდესაც ისარ მსახურებს ხალხის ცხოვრებას, ატარებს დროებას ფუჭ დეკლამაციაში[2], როდესაც... მისი (ლიტერატურა-პოეზიის) გადმომღები ხელმძღვანელობს ერთი გარეგანი ბრკიალი სახით და ვერ სცნობს მის მართალს მნიშვნელობას, მის შინაგან აზრსა, ურომლისოდაც თვით ელვარე ფორმა ფუჭი და მავნებელია"[3].

აქიდან ცხადია უარყოფა მიმართულებისა—„ხელოვნება ხელოვნებისათვის".

აქ ჩვენ გარკვეულად უტილიტარულ-რეალისტურ მიმართულებას ვამჩნევთ, როგორც თვითონ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ჟურნალისტიკაში, ისე ხელოვნებაში. უტილიტარიზმი, წამოყენებული რუსეთში 60-იან წლებში, დამახასიათებელია ჩვენშიაც. არა მარტო ჟურნალის კრიტიკულ და პუბლიცისტურ სტატიებში გამოჰხატავენ თავიანთ უტილიტარულ შეხედულებას პოეზიაზე და პოეტის დანიშნულებაზე, არამედ თვით პოეტურ შემოქმედებაშიაც.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, თუმცა პოეტური ნიჭი არაჩვეულებრივია, ციური წარმოშობისაა, მაგრამ მას „ერი (ე. ი. ხალხი, ცხოვრება მ. ზ.) ზრდის მიწიერი ზეციერსა". მისთვის არის პოეტი დაჯილდოვებული არაჩვეულებრივი ნიჭით; დიდის ღმერთის საკურთხევლის ცეცხლი მისთვის ღვივის პოეტის გულში, რომ ის „წარუძღვეს წინა ერსა", რომ „ერისა მოძმედ იყოს ჭმუნვასა და სიხარულში".

---

[1]) კურსივი ჩვენია.

[2]) „საქართველოს მოამბე" 1863 წ. № 1.

[3]) „საქართველოს მოამბე" 1863 წ. № 5.

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,—ამბობს პოეტი,—
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...
მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა“.

ასეთსავე შეხედულებას გამოსთქვამს აკაკი წერეთელიც, ეს მეორე საუკეთესო წარმომადგენელი თერგდალეულებისა ჩვენს პოეზიაში, თავისს „პოეტში“. აკაკის შეხედულებით პოეტი შუა კაცია, „ არც მიწისაა, არც ცისა“, ან „ხან მიწისაა, ხან ცისა“. პოეტის გული „სარკედ ქცეული, ბუნების ნათავხედია, მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ, რასაც შიგ ჩაუხედია“. მეორე ლექსში „ჩონგური“, აკაკის შეხედულებით, პოეტს ჩონგური (ე. ი. პოეტური ნიჭი) მისთვის უნდა, რომ „სიმართლეს მსახურებდეს, განამტკიცოს აზრი წმინდა, გულს სიწმინდით ახურებდეს, რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით გულს ცრემლები ეშრობოდეს და მჩაგვრელს კი გულში ძგერით ისარივით ესვებოდეს“.

ასეთსავე აზრს გ.—თელი (გ. წერეთელი) გამოსთქვამს ზემორე-აღნიშნულ სტატიაში: „მწერალი,—სწერს ის,—არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლების კრებაც შეადგენს საზოგაოებას, ის არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანამგრძნობელი“ [1].

მაშასადამე, თერგდალეულები ვიზნად სინამდვილის—ცხოვრების სამსახურს ისახავენ. „ჩაღრმავდნენ სიცოცხლის მორევში“, ამოკრიფონ იქიდან როგორც მარგალიტი, ისე ლექი და ლაფი. ხალხის მასებთან დაიპირონ საქმე და მათ ემსახურონ, როგორც საქმით, ისე სიტყვით და კალმით, ჟურნალისტიკაში, თუ მხატვრულ შემოქმედებაში.

ასეთი უტილიტარული შეხედულება დამახასიათებელია როდესაც მწერალს, საზოგადო მოღვაწეს სწამს საზოგადოების განახლების, გადახალისების შესაძლებლობა. ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე მაშინ, როდესაც კლასი ან, მისი დიფერენციაციის დროს, მისი რო-

---

[1]) „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 5.

მელიმე ნაწილი თავის განვითარების აღმავალ ხაზს იწყებს. მწერლის სურვილი ცხოვრების ასახვისა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კლასი ან კლასის შინა ნაწილი, ჯგუფი, რომელსაც მწერალი ეკუთვნის და რომლის იდეოლოგიური გამომხატველია, თვითონ ცდილობს ცხოვრების მოწესრიგებას. ეს ჯგუფი ან კლასი ეპოქის მოწინავე, სისხლ სრული ნაწილია. მას იდეა, ცხოვრებაში გაბატონების, ხელში ხელმძღვანელის როლის ჩაგდების სურვილი იზიდავს. ამით აიხსნება უტილიტარიზმი ჩვენი თერგდალეულებისაც.

IV

ეროვნული საკითხი თერგდალეულთა შემოქმედებაში.

1.

თერგდალეულთა ამ საერთო სულიერ განწყობილებაზე აღმოცენებულ პოზიტიურ-უტილიტარულ მსოფლმხედველობას, საერთოდ ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვას, რაც საერთო იყო რუსულ საზოგადო აზროვნებასთან, ემატება მამულისადმი სიყვარული.

მამულისადმი სიყვარული ჩვენის ახალის თაობისა ზევითაც აღვნიშნეთ, როდესაც მათი რუსეთში გამგზავრების მიზეზებსა და მიზნებზე ვლაპარაკობდით. ვალი მამულისადმი მათ საყვარელ სამშობლოს აშორებდა.

თერგდალეულთათვის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეს გრძნობა და მისწრაფება ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალად გადაიქცა. ხალხის კეთილ-დღეობა, წინსვლა, მომაელისათვის ბრძოლა და შემოქმედება თერგდალეულთა მსოფლმხედველობაში მჭიდროთაა დაკავშირებული მამულისადმი სიყვარულთან, ეროვნულ-პოლიტიკურ თავისუფლების მოპოებასთან. ეს თვისება ჩვენს ახალთაობას ასხვავებს რუსის ახალთაობისაგან, რომლისთვისაც ეროვნული საკითხი, როგორც ასეთი, თითქმის არ არსებობდა. თუმცა უნდა კი აღინიშნოს, რომ რუსეთის ისტორიული გზის ერთგვარ დაპირისპირებაში დასავლეთ-ევროპის ერების განვითარების ისტორიულ გზასთან შეიძლება მოვნახოთ ეროვნული გრძნობა, მაგრამ ამ დაპირისპირებაში, ჩვენის გაგებით, უფრო ღრმა საერთაშორისო სოციალ-ეკონომიური პრინციპი ჰქონდა მას მხედველობაში, ვიდრე ვიწრო ეროვნული.

ჩვენი თერგდალეულების მსოფლმხედველობაში ეროვნული საკითხი აიხსნება შემდეგით: თერგდალეულნი გამოვიდნენ (დანიელ ჭონქაძის გამოკლებით) თავად-აზნაურთა წრიდან, რომლისათვისაც ,,დიდება ივერიისა'' მეფე ერეკლესთან ემარხა და ამიტომ წარსულზე ტირილითა და კვნესით ოცნებობდა. მართალია, თერგდალეულთ

სწორეთ იმ წრეს გამოუცხადეს მედგარი ბრძოლა, რომლიდანაც ისინი გამოვიდნენ, მაგრამ სავსებით ვერ განთავისუფლდნენ „მამათა“ მსოფლმხედველობისაგან. და ეს ბუნებრივიც არის. „როდესაც,— ამბობს პლეხანოვი.—ადამიანი, გაბატონებულ კლასს რომ ეკუთვნის, დამცირებულთა კლასის მხარეზე გადადის, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ის სავსებით განთავისუფლდა ამ კლასის გავლენისაგან, არამედ იმას, რომ ის გაბატონებული კლასის გავლენისაგან გამოდის და მეორე კლასის გავლენას განიცდის“ [1]. იგივე პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი თავის მეორე შრომაში სამართლიანად გვეუბნება, რომ იდეოლოგია ყოველ დროისა მჭიდრო დადებით თუ უარყოფით კავშირშია წინა დროის იდეოლოგიასთან. „გონებრივი მდგომარეობა,—ამბობს პლეხანოვი,— ყოველივე დროისა შეიძლება გავიგოთ მხოლოდ წინა ეპოქების გონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით“-ო [2]. ასეთსავე აზრს იცავს ლ. ტროცკი. „საერთოდ,—ამბობს ის,—ისტორიული ადამიანის შემოქმედება არის თანამედროვეობა. ყოველი ახალი აღმომავალი კლასი ეყრდნობა მხრებზე თავის წინამორბედებს“ [3].

ასევე მოუვიდა ჩვენს თერგდალეულებსაც. ისინი გამოეყენენ თავად-აზნაურთა კლასს, მას ბრძოლა გამოუცხადეს, მაგრამ მისგან ბევრიც შეინარჩუნეს, გადაიღეს. ეროვნული საკითხის წამოყენებაში წინა თაობის და ეპოქის გავლენა თერგდალეულთ უდაოთ ამჩნევიათ. მაგრამ განსხვავება მათ შორის ამ მხრივაც არსებითი და თვალსაჩინოა. თუ „მამები“-სათვის ივერიის დიდება ძველში მარხია, თუ „მამები“ ძველს დასტირიან, ძველის მოგონებით-ღა ჰპოულობენ შვებას, თერგდალეულნი, პირიქით, თავიანთ ბელადის პირით „მამებისაგან“ გარკვეულად ამ საკითხის გაგებაშიც იმიჯნებიან და მოღვაწეობის დასაწყისშივე შემდეგს ფორმულას წამოაყენებენ:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“

აქედან აშკარაა თერგდალეულთა მომავლისაკენ ყურება, მომავლის მოწესრიგება, ხალხისათვის ზრუნვა. მომავალი უნდათ ხალხისათვის და არა მეფეებისათვის და მაღალ წოდებისათვის, რო-

---

[1]) П л е х а н о в—„Герцен и крепостное право“.

[2]) Б е л ь т о в (Плеханов)—„К вопросу о разв. монист. взгляда на историю“.

[3]) Л. Т р о ц к и й—„Лит. и рево л“.

გორც ეს წინა პერიოდის მწერალთა შემოქმედებაშია მოცემული. ეროვნულ საკითხის გაგებაში თერგდალეულებს უდაოთ დემოკრატულობა შემოაქვთ.

უნდა აღინიშნოს, რომ თერგდალეულთ, თუმცა ბრძოლა და უარისყოფა გამოუცხადეს ძველ თაობას, ძველს პატრიარქალურ საქართველოს, მაგრამ კლასთა ბრძოლის და მათ შორის შეუთანხმებლობის პრინციპზე (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ) ვერ დადგნენ. ეს გარემოება თერგდალეულებს ეროვნული საკითხის პრაქტიკულად გადაჭრის მომენტში ხშირად უკიდურესობაში აგდებდა.

ზემოჩამოთვლილ მიზეზთა გარდა, ჩვენი თერგდალეულების მსოფლ-მხედველობაში ეროვნულ საკითხს აღრმავებდა და აღვივებდა აგრეთვე მცირე ეროვნებათა მდგომარეობის საკითხი, რომელიც მე-XIX-ტე საუკუნის მანძილზე მეტად მწვავედ იყო დასმული და ევროპის პოლიტიკურ ატმოსფერას თავისებურ ელფერს აძლევდა. მეტად მწვავედ იდგა საკითხი ეროვნული თავისუფლებისა ირლანდიისა, პოლონეთისა, იტალიისა და სხვათა. ეროვნული საკითხი მე-XIX-ტე საუკუნეში იმდენად რთული იყო, რომ სოციალისტური პარტიებისათვისაც ერთ-ერთ თავსატეხ საკითხად გარდაიქცა. კარლ მარქსი, ეს მე-XIX-ე საუკუნის აზროვნების ბუმბერაზი წარმომადგენელი და მისთვის მძლავრი გეზის მიმცემი, საჭიროდ სთვლიდა მცირე ერების განთავისუფლება და თვითგამორკვევა აღეარებინა. „საწინააღმდეგოდ პრუდონისტებისა,—სწერს ლენინი,—რომელნიც „სოციალური რევოლიუციის გულისათვის „უარყოფდნენ“ ეროვნულ საკითხს, მარქსმა მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის საკლასთაშორისო ბრძოლის ინტერესებისათვის წამოაყენა ძირითადი პრინციპი ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმისა: არ შეიძლება იყოს თავისუფალი ერი, რომელიც სხვა ერებს სჩაგრავს. სწორედ გერმანელ მუშათა რევოლუციონური მოძრაობის ინტერესების თვალთახედვით მარქსი 1848 წ. თხოულობდა, რომ გერმანიის ძლევამოსილ დემოკრატიას აღეარებინა და განეხორციელებინა გერმანელებისაგან დაპყრობილ ხალხთა თავისუფლება. სწორედ ინგლისელი მუშების რევოლუციონური ბრძოლის ინტერესების თვალთახედვით 1869 წ. მარქსი თხოულობდა ირლანდიის ჩამოშორებას ინგლისისაგან“ [1]. და ბოლოს ლენინი სამართლიანად განმარტავს: „სწორედ იმიტომ რომ მარქსი ასეთ მოთხოვნილებას აყენებდა, მართლაც სწრთვნიდა ინგლისელ მუშებს და მათში აღვივებდა ინტერნაციონალურ სულს“ [2].

[1]) Ленин—О национальном вопросе – გვ. 103.
[2]) იქვე—გვ. 103.

ამით ჩვენ ის კი არ გვინდა ვსთქვათ, რომ ჩვენს თერგდალეულებს სწორედ ისე ესმოდათ ეროვნული საკითხი, როგორც მარქსს. არა. ჩვენი თერგდალეულები ლიბერალურ-პროგრესიულ პოზიციას ვერ და არ გასცილდნენ. ჩვენ აქ ზემომოტანილი ციტატით იმისათვის ვისარგებლეთ, რომ მკითხველისათვის მოგვეგონებინა, თუ როგორ მწვავედ იდგა ეროვნული საკითხი მე-XIX-ე საუკუნეში, რომ ეროვნული განთავისუფლება ყოველთვის არ იყო რეაქციონური ნოვლენა, არამედ რევოლუციონური, რომელიც ამწვავებდა და აღრმავებდა ბრძოლას „ცარიზმთან“ და ამით რევოლუციონურ მოძრაობას ხელს უწყობდა.

ჩვენს თერგდალეულებს, თუმცა ხანდისხან (უფრო კი პრაქტიკული მოღვაწეობის დროს) ეროვნული საკითხის გარკვევა-გადაწყვეტის დროს უკიდურესობა ეტყობოდათ, მაგრამ მაინც ამ საკითხის წამოყენება - გაშლით ისინი ჩვენს ხალხში რევოლუციონურ-დემოკრატიულ იდეებსუდაოდ ავრცელებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ თერგდალეულთ ეროვნული საკითხი ვიწრო შოვინისტური გაგებით არა აქვთ წარმოდგენილი. როდესაც ვეცნობით თერგდალეულთ აზრს ამ საკითხის შესახებ, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ისინი თანადროულ მოძრაობის უცოდინარნი არ არიან. ისინი ინტერესით თვალყურს ადევნებენ ამ მოვლენის განვითარებას უცხოეთში, არ უნდათ ჩამორჩნენ მათ.

ეროვნულ გრძნობას აი სფირიდონ ჩიტორელიძე როგორ უხსნის თავის ბიძა თადეოზს: „სრულსა და კარგად მყოფ ბუნების კაცსა,—ეუბნება სფირიდონი თადეოზს,—მძიმედ აწევს გულსა სვე სამშობლო მამულისა. ყოველ კეთილშობილ ადამიანს ღრმად ესმის თავისიანობა, რომ ის არის სისხლით და ხორცით ნათესავი მამულისა, სისხლითა და ხორცით მიკავშირებული მამულთან“ [1].

მაგრამ ეს სამშობლოსთან მიკავშირება, მასთან ხორცითა და სისხლით ნათესაობა თერგდალეულებს ვიწრო შოვინისტურ, ზოოლოგიურ-ნაციონალისტურ ფარგლებში კი არ ამწყვდევს, რომელიც აბრმავებს „მამული-შვილს“, არ დაანახვებს თავისი ხალხის უარყოფითს მხარეებს, სიძულვილით აავსებს მათს გულს სხვა ერებისადმი, არამედ ეროვნული გრძნობა თერგდალეულთ აძლევს მამულისადმი ფართო და რეალურ (იმ დროისათვის) სიყვარულს, რომელიც ცდილობს თავისი სამშობლო ასწიოს, დაანათესაოს სხვა კულტურულ ერებს, დაუკავშიროს, აზიაროს ის საერთო-საკაცობრიო

[1]) „საქართველოს მოამბე“—1863 წ. № 7 სფირიდონი და თადეოზის ბაასი

განვითარებას. „სამშობლო ქვეყნის სიყვარული (патриотизм),— უხსნის თადეოზს სფირიდონი,—უნდა გამოდიოდეს კაცობრიობის სიყვარულიდან ისე, როგორათაც ნაწილი მრთელისაგან. სამშობლო მამულის სიყვარული არის ისა, რომა გულით გინდოდეს ნახო, რაც კაცობრიობას გონებაში გამოუხატამს. აღსრულებაში იყოს მოყვანილი და შენის ძალისა, შეძლებისა კვალად შველოდე მის აღსრულებასა“ [1].

ამასთან ერთად თერგდალეულნი, როგორც ყველა საკითხების გარკვევაში ცდილობენ ფხიზელი შეხედულება გაატარონ, ისე ეროვნულ საკითხშიაც სიფხიზლის, თვითკრიტიკის მომხრენი არიან. „შეიძლება,—უმარტავს კონკრეტულად სფირიდონი თადეოზს,— გძულდეს ღვიძლი ძმა, თუ ცუდი კაცია, მაგრამ არ შეიძლება არ გიყვარდეს სამშობლო ქვეყანა, როგორიც უნდა იყვეს: მხოლოდ ეს სიყვარული არ უნდა იყოს მკვდარი დაკმაყოფილება [2]. ცოცხალი სურვილი უნდა იყოს, რომ ყოველის ფერი მოვიდეს სისრულეში, უკეთესობაში: ერთის სიტყვით,—სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამომდინარეობდეს კაცობრიობის სიყვარულიდგან“ [3].

ასეთი ეროვნული გრძნობა, რუსეთის საზოგადო აზროვნებიდან ნასესხებ რევოლუციონურ-დემოკრატიულ იდეებში ჩაქსოვილი, თერგდალეულებში აღვიძებდა სურვილს ქართველი ხალხისადმი სამსახურისას, მისი ცხოვრების გაუმჯობესობისას. და ეს სამსახური ხომ, როგორც ისინი თვითონ სწერდნენ, მათი „პირველი და უკანასკნელი სურვილი“ იყო?! ამით აიხსნება, რომ ჩვენს ლიტერატურაში მათ მძლავრად შემოიტანეს და გააღვივეს ეროვნული გრძნობა. განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, რაფ. ერისთავმა, ჭალადიდელმა.

ასეთი სამსახურის აუცილობლობა და ვალდებულება ილიამ, თერგდალეულთა ბელადმა, მკვეთრად გამოსთქვა 1860 წელს დაწერილ ლექსში—„ქართველ სტუდენტების სიმღერა“ [4], რომელშიაც მკაფიოდ არის აღნუსხული თერგდალეულთა მოღვაწეობის რადიკალურ-დემოკრატიული პრინციპები, შეგუებული ეროვნულ გრძნობასთან. მოვიყვანოთ ნაწყვეტი მაინც:

---

[1]) „საქართველოს მოამბე“—1863 წ. № 7—სფირიდონის და თადეოზის ბაასი.

[2]) ამ სიტყვებს ასეთი შენიშვნა აქვს დართული ავტორისაგან: „ესე იგი, არ უნდა სთქვა, ოღონდ ქართული ჟურნალი კი იბეჭდებოდეს და როგორიც უნდა იყოს“-ო.

[3]) „საქართველოს მოამბე“—1863 წ. № 7.

[4]) საინტერესოა ამ ლექსის ბეჭდი ცენზორის კლანჭებში.—იხ. „ილია ჭავჭავაძის თხზულებანი“—ტ. I გვ. 379—380. რედაქტორის შენიშვნები.

,,დიდს არ გავექელვინებით
და მხარს მივცემთ პატარასა;
ძალას გულდაგულ დავხვდებით,
და თაყვანს ვსცემთ სამართალსა.

—

წინ წასელაში არ დავიხევთ,
არ გავწირავთ უკან რჩომილს:
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა
ულონოსა და. დავრდომილს.

—

უანგაროთ მივალთ წინა,
მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად,
რომ წინანი უკანასთვის
უნდა იქმნან გზად და ხიდად.

—

მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუკს სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა.

—

მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით
სხვას არც ჩვენ დავუარდებით;
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,
ახლაც კი გამოვადგებით''.

საქართველოს და ქართველი ხალხის წინმსელელობისათვის თერგდალეულნი აუცილებელ პირობად სახავდნენ საქართველოს პოლიტიკურად გაერთიანებას და განვითარებას. ეს იყო მთავარი ნიადაგი, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო ყოველი პირობა ადამიანის და ხალხის კეთილდღეობისა.

რა დაჰხვდა მათ ამ მხრივ?

დაპყრობილი, ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად განადგურებული საქართველო ბიუროკრატიულ ანგარებით შეპყრობილ მოხელეთა ხელში, რაღაც დაცინვის, დამცირების, ხელის მოსათბობ მხარედ იყო მიჩნეული. რუსის მოხელეები, ხშირად სიძულვილით აღვსილნი ადგილობრივ მცხოვრებთადმი, ,,აბრუნდებით'' და ,,გაბრუნდებით'' ყვლეფდნენ მას და თანაც ცინიკურად დასცინოდნენ. ამის გამო ეროვნულმა გრძნობამ ილიასა და სხვა

თერგდალეულთა შემოქმედებაში საერთო პროტესტის, დაჩაგრულთა, შეეიწროებულთა და შეურაცყოფილთა უფლების დაცვის ხასიათი და მიმართულება მიიღო. ამით აიხსნება, რომ თერგდალეულთა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაშიც ეროვნული მოტივი არ იკეტება ვიწრო ეროვნული ფარგლებით, არამედ საერთო თავისუფლების მოპოების განცდაშია ხშირად დაფერადებული.

თავისუფლება, ილიას გაგებით, როგორც პიროვნული, ისე ეროვნული, დასაბამია და უხვი წყარო ადამიანური ცხოვრების მოპოების დაუშრეტელი წყურვილისა. თავისუფლების მოპოების სურვილი მოხუცს, მომაკვდავს დედაკაცსაც კი თავისუფლებისადმი აი როგორს მშვენიერს, ზოგად-კაცობრიულის ხასიათის ოდას ათქმევინებს:

,,თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო.
რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხვება,
მსწრაფულ აღგიარეს, ჰოი ღმერთავ, თაყვანებითა.
მსწრაფულ მოგიპოვეს: ფარად მისცეს თვის უკდავება
და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნეტარებითა.
ეგრეთ ნაშოვნი, რად წაგვერთვი მოსავთა შენთა?
რაღად ჰღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩენდა,
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირსისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არის?..'' [1]

ძალუმი ღია ფერადებით არის გაგება ამ ამონახეთქი თავისუფლების გრძნობისა, მისი საჭიროების, მისი მშვიდობიანი ბუნების. პოეტის შემეცნებაში თავისუფლება და ,,მშვიდობის ღვთაება'' სინონიმები არიან. ამასთან ერთად სინამდვილეში-კი მის ,,პირსისხლიანობა''-სა ვხედავთ. ამიტომაცაა, რომ ილია ჭავჭავაძე ასეთი გატაცებით ეძებს საქართველოს და ქართველი ხალხის არა მარტო

[1]) ილია ჭავჭავაძე—დედა და შვილი ტ. I გვ. 138.

ეკონომიურ და უფლებრივ თავისუფლებას (ამაზე ქვემოთ), არამედ ამ მიზნის მისაღწევად, ადამიანის ადამიანად ქცევისათვის, რომ დაჩაგრულმა თვითონ აიწიოს, სხვა არ დასწიოს—საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებასაც. პოლიტიკურად თავისუფალი მთლიანი საქართველო ილიასათვის და სხვა თერგდალეულთათვის აუცილებელი პირობაა ქართველი ხალხის სამართლიანი მომავლის დამყარებისათვის. ამიტომაა, რომ ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულნი საერთოდ მთელი თავისი შემოქმედების და მოღვაწეობის განმავლობაში უანგაროდ და მტკიცედ ემსახურებოდნენ ამ იდეასაც. მის გაღვივებას ჩვენს ხალხში თერგდალეულნი თავიანთ დიდ მოვალეობად სთვლიდნენ.

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,—

როგორც შეყვარებული თავის
სატრფოს ეუბნება ილია,—

ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება“.

2.

აწმყო საქართველოისა თავისი დაკნინებული სინამდვილით თერგდალეულ მწერლებს სანუგეშებელ და მისაბაძავ მაგალითს და მასალას არ აძლევდა. ბიუროკრატიული ხელისუფლება ცენზურის საშუალებით თავისუფლების მთესავ აზრებს შთასახვისათანავე სპობდა. საჭირო იყო ნიღაბი, თვალთმაქცობა. ჩვენმა მწერლობამაც ასეთი გზა გაძონახა. ილიამ და აკაკიმაც ფართო მასებში ეროვნული გრძნობის გაძლიერებისათვის წარსული, ჩვენი წარსული გამოიყენა. წარსული ჩვენს მწერლებს და განსაკუთრებით თერგდალეულთ გამოყენებული აქვთ, როგორც ხერხიანი ნიღაბი. წარსულის ანალებში ამოკითხული და შემდეგ ასახული ჩვენი ისტორია თანადროული ცხოვრების სინამდვილეს გვიჩვენებდა. წარსულში გადატანილი უსამართლობა თანდროულისას ეღრმავებდა და არსებულ წყობილებასთან შეურიგებლობის თესლს ჩვენს მკითხველს საზოგადოებაში უხვადა სთესავდა.

თერგდალეულ მწერალთ ეროვნული თავისუფლების საჭიროება და აუცილებლობა უკეთესი მომავლის მოპოებისათვის მრავალ ნაწარმოებში აქვთ განსახიერებული.

რეალისტი ილიაც და აკაკიც თავისუფალი საქართველოს აღდგენის სურვილმა, თავდადებულ მამულიშვილთა ასახვამ—რომანტიულ იდეალიზაციაში გადასტყორცნა, რომანტიული ელფერი დაადო მათს შემოქმედებას. ეს რომანტიული ნაკადი ილიასა და აკაკის შემოქმედებაში შეიძლება აეხსნათ მხოლოდ იმ დროისთვის ეროვნული საკითხის ბრძოლის ხასიათით. ილია და აკაკი ამ ბრძოლაში ჩაბმულნი, ვით რომანტიკოსნი, წარსულის ლანდებს შორის გატაცებით დასცურავენ. საქართველოს წარსულიც ხომ საკმარისს მასალას აძლევდა მათ ამ მხრივ! ქართველი ხალხის ისტორია ხომ ქართველებისათვის ამ თავისუფლების ძალით დაკარგვისა და ბრძოლით, მსხვერპლით მოპოების ისტორიაა! და ამიტომ ილიაც და აკაკიც სურათებს ჩვენი წარსულიდან იღებენ. თერგდალეულნი ამ გრძნობის პოპულარიზაციას ემსახურებიან როგორც პუბლიცისტიკაში, ისე პოეტურ შემოქმედებაშიაც. უკანასკნელსაც ხომ თერგდალეულნი სარგებლობის თვალსაზრისით უყურებენ!

ეროვნული გრძნობის სიმტკიცეს, მისთვის ბრძოლას ილია უფრრ ხალხის გულში ანთებს და ხალხის გულიდანვე ამოჰკრებს ხოლმე. „დედა და შვილ"-ში მოხუცებული, სნეული, ლოგინში მწოლარე მომაკვდავი დედა გაიგებს, რომ ხალხი აღელდა, თავისუფლების მოპოებისათვის იბრძვის. დაუძლურებულ მოხუცსაც კი ასეთი ხმა სიამოვნებით ააღელვებს და, თუმცა მომაკვდავის ხმით, მაგრამ უსაზღვრო ბედნიერების განცდით ათქმევინებს:

„თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,
მაგრამ, ჰე ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი,
და აქამომდე არ მოჰკვეთე ჩემი ცხოვრება:
ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა
ფიქრობს,—
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება"! .

თერგდალეულთ და მათ ბელადს ილიას სწამს, რომ „დიდია ხალხი, როს ეს ფიქრი წინ წაუძღვება". იმდენად დიდია, რომ უმალ დაყენებული საკითხი: სამშობლოს თუ შვილის სიყვარულს მიეცეს უპირატესობა,—მხოლოდს ერთს და ისიც გადაჭრილ, კათეგორიულ პასუხს იძლევა თვით მოუძლურებული, უპატრონოდ დარჩენილი, მომაკვდავი დედის გულიც-კი, რომელსაც მიწის მიმყრელიც-კი არა რჩება,—სიყვარული მამულისადმი. ყოველსავე გრძნობას, დედის

შვილისადმი სიყვარულსაც-კი უკან აყენებს, ჰნთქავს, აქრობს, ყოველ შემთხვევაში, მამულისადმი გაბრწყინებულ სიყვარულის ლამპრის წინაშე აბუნდებს და მომაკვდავ დედას აი რას ათქმევინებს:

,,ის დღეა დღეს, რომ მამულს ეუძღვნა ძის სიყვარული..
ან ძეს შევწირო საყვარელი დიდი მამული...
ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულმა ვით გადიხადოს?
ძის სიყვარული, თუ მამულის,—რომელი დასთმოს?..
ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მიეეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი''..

თერგდალეულ მწერალთა შეხედულებით და განცდით აი ასე აფოლადებს, ალომკაცებს მამულის სიყვარული უძლურ დედაკაცსაც-კი!

ეროვნული გრძნობის ასეთი გამახვილება გამოწვეულია სინამდვილეში ქართველ საზოგადოებაში ეროვნული შეგნების დაკნინებითა, უკეთეს შემთხვევაში, ინდეფერენტიზმითა. უფრო კი მაღალი წოდება მიჰყვა, ერთგვარ იარაღადაც გადაიქცა ხელისუფლების ხელში, ქართველი ხალხის გადაგვარების საქმეში. ამიტომ ილიამ და სხვა თერგდალეულთ უკიდურესობამდის გააღრმავეს ეს გრძნობა და ამ გრძნობის მატარებელი გმირებიც წარმტაცი სახით დაგვიხატეს, რათა მეტი შთაბეჭდილება და გავლენა მოეხდინათ. რამდენადაც მეტი იყო დენაციონალიზაციის გატარების სურვილი ქართველ საზოგადოებაში ზევიდან, იმდენად ძლიერი იყო ნაციონალიზაციის სურვილის ასახვა თერგდალეულთა შემოქმედებაში.

ამიტომ ილია ჭავჭავაძის დედა (,,დედა და შვილი'') არც კი ირყევა, თუმცა კარგად ესმის თვისი გარემოება, იცის, რომ ,,იგია მისი სიცოცხლე და სიხარული, იმით უდგა უძლურს ტანში უძლური სული''. ხოლო, როდესაც განკითხვის დღე დგება, იგი დიდი ტკივილებით, მაგრამ მტკიცედ ეუბნება:

,,ჩემის სიბერის მისაყრდომად ის ლა მშთენია,—
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია''-ო.

დედა ცდილობს თავისი თავი შეიკაოს, თუნდაც ამას მისი სრული განადგურებაც-კი მოჰყვეს, ოღონდ კი შვილს ხელი არ შეუშალოს მამულისადმი ვალის მოხდაში. იკრებს ძალას, რომ შვილი არ შეაკრთოს თავისი უნუგეშო მდგომარეობით, ამხნევებს მას, ცდილობს უკანასკნელი ძალა მოიკრიფოს, სანამ შვილს ბრძოლის ველზე გაისტუმრებდეს. მომაკვდავს, სულისა და ხორცის გაყრის ამ საშინელ მომენტში, ომში შვილის სასიკვდილოდ გაგზავნის წამში, მაინც

უნდა დაინახოს „ქვეყნის მხსნელნი“, რომ დაიტკბოს მით მან უკანასკნელი დღენი თვისნი. დედა შვილს სცილდება, იტანჯება, კვდება, და სიკვდილის ჟამს მაინც შვილს ამხნევებს და მტკიცედ ეუბნება:

„მე ვწუხარ მარტო მასზედ, რომ ჩემს სიბერესა
სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი,
მე ვწუხარ მასზედ, რომ ჩემ მამულს ამ ნეტარ დღესა
მხოლოდ ღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი“.

და თავისუფლებისადმი მისწრაფება იმდენად ძლიერია, თავისუფლება ადამიანისათვის და ხალხისათვის იმდენად საჭიროა, რომ ამ დედაბერსაც-კი ყველაფერს და ყველას ავიწყებს. მომაკვდავი დედა მხოლოდ ერთს დარდობს:

„ვაი, რომ ჩემი სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის,
როცა ამოდის ჩემის ქვეყნის მზეი დიადი?..
ვაი, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიჭადის,
როს ჩემის ხალხის დიდებისა სჩანს განთიადი!“

ასეთივე მძლავრი, მამულისადმი ყველაფრის შემწირავი სიყვარული ანთია პოემა „დიმიტრი თავდადებულის“ მომქმედი პირების გულში. განა მამულისადმი ასეთივე სიყვარულით გაბრწყინებული ტანჯვის გვარგვინი არ ადგია მოხუცს, რომელიც ხანხალით და ცახცახით მიდის ქედმოსახრელად გამზადებულ მეფესთან, ურჩევს თავისუფლება დაიცვას ბრძოლით, წაიყვანოს მისი შვილებიც საბრძოლველად, აჩვენოს მტერს, თუ „რა ლომებს ზრდის ქართველის ბუდე“... უმრროდ ნუ დავმარცხდებით და, თუ ვერ ვძლებთ, დავიხოცნეთ სახელითა და დიდებით!.“ ასეთივეა მეფანდურე, რომელიც თავის ფანდურზე მწარედ აკვნესებს სამშობლოს სიყვარულით და განსაცდელში ყოფნით გამოწვეულ ტკივილებს. ასეთივეა, თუ გნებავთ, თვით მეფე დიმიტრიც, რომელიც ხალხთან ერთად სწყვეტს ხალხისავე ბედს და თვითონ მსხვერპლად ეწირება მის ბედნიერებას.

რომ მართლა ამ ეროვნული გრძნობის საფუძვლებს ილია ჭავჭავაძე უფრო მდაბიო ხალხის გულში ეძებს და პოულობს, ამის მშერმეტყველური საბუთია ილიას „მგზავრის წერილები“. ამ ნაწარმოებში უკვე მკაფიოდაა ილიას ეროვნული გრძნობა, რომელიც ასე გატაცებით იზიდავდა თერგდალეულთა. ეს ეროვნული გრძნობა ილიამ მოხევის პირით გაგვაგებინა. აწმყოთი პოეტი უკმაყოფილოა, წარსულში ეძებს ეროვნული გრძნობის საფუძვლებს და სახეს. ძველი სჯობია, რადგანაც „ადრიდა,—ეუბნება მოხევე ავტორს,—ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ.

ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ეაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდნით, ერთ-ერთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით... დაცემულ ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხოიშნიდნით და ესრად იყვის ბრძოლება კაცისა, ერთ-ურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთ-სულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის... წარხდა ქართველთა სახელია ქართველთა წესთ-წყობაი.. რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახევე?''[1]

ერა მარტო სოციალური ურთი-ერთობა იყო ძველად ,,ერობაში'' უფრო საღი და სამართლიანი, არამედ პოლიტიკური მმართველობის ფორმებიც იმ დროს თუმცა მარტივი, მაგრამ ხალხის სურვილის და ინტერესის ამსრულებელი იყო მუდამ. თანამგზავრი მოხევე ილიას აცნობს ხევის ცხოვრებას. სამების მონასტერს დაანახვებს და ეტყვის, რომ იქ იყო ,,განძთა საფარი, ერთა საბჭო''. ილიას კითხვაზე: ,,საბჭო რაღა არის?'' მოხევე გადაუშლის ძველი ცხოვრების პოლიტიკურ სახეს: ,,საბჭოი? აქაიდ არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაიც მძიმა საქმე ხევჩი ავარდის, მუნ იბჭობინდეს... როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქაიდ გამართვან, აირჩივან ბჭედა ბრძენ-ბერკაცნი, პეიტრობით სახელ დებულნი, დასხმონ მათ იმ სენაკჩი საბჭობად, რაიც მერე სამების სახელით, ხთისგან მათხავნილ მადლით იგნ ბჭენი სთქმიან, გადასჭრიდიან, არვინ შეშლიან, არვინ გადავლიან'' [2]).

ძველი წყობილების „ერობის'' ასეთი იდეალიზაცია უდაოდ გამოწვეულია რუსეთის საზოგადო-აზროვნების, ,,თემური წყობილებით'' გატაცების გავლენით (ამაზე ქვემოთ).

ასე სჭერეტს ეროვნულ საკითხს ილია ჭავჭავაძე, ასე უყურებენ მას საერთოდ თერგდალეულები.

აკაკი წერეთელიც, ეს მეორე დიდი წარმომადგენელი თერგდალეულთა ჩვენს ლიტერატურაში, მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში, რაღაც არაჩვეულებრივი სიყვარულით ემსახურებოდა სამშობლოს, რომლის პოეტური განსახიერება მან საო-

---

1) ილია ჭავჭავაძე—მგზავრის წერილები—გვ. 27-28 ტ II.

2 იქვე გვ. 25 ტ. II.

ცნებო, სათაყვანებელ სატრფოში ჰპოვა. და ეს სატრფო არა-ხორციელი, უსულო, მაგრამ ხორციელზე უფრო მგრძნობიარე, ძლიერი და საყვარელი, სულიერზე უფრო ძლავრი და მაღალი—ეს „მისი სატრფო უწინ ტურფა, დღეს კი ლეჩაქ-მოხდილი", „ვისაც (პოეტი) ეტრფის, ვინც უყვარს, ვისგანაც აწმყო გამწარებული აქვს, რადგან მას ჰხედავს აოხრებულსა"—ეს მისი სამშობლოა.

პოეტმაც აი სწორედ ამ სამშობლოს შეალია თავისი ნიჭი, ძალა, სიყვარული. ტყვედ და ველად გავარდნილი მისი აგზნებული ფანტაზია დაეძებს „სულიკოს", რომლის პოვნა მას „ენით გამოუთქმელი სიხარულით კვლავ გაუხსნის სიცოცხლეს". თავისი სამშობლო მგოსანმა გადააქცია სათაყვანებელ საგნად, თავისი გული მას დაუდგა ტახტად და ნიჭი—ჩაუქრობელ ლამპარად. აკაკის ნიჭი იმ უდროობის ხანაში არა პირადი ცხოვრების, არამედ გარემოს საყვირად გადაიქცა. მისი ჩანგი ბუკითა და ნაღარით შეხმატკბილებული გაჰკიოდა და ხარბად უძახოდა თანაზიართ შელახული, შეურაცყოფილი, ტყვედ ქცეული, მოტყუებული სატრფოს დასახსნელად. აკაკი თავდავიწყებით დასტრიალებს თავის დაავადებულ სამშობლოს და სასოწარკვეთილებიდან და იმედგაცრუებულობიდან გამომყვანი კილოთი გაიძახის: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, და კვლავ ისევ გაიღვიძებს"-ო. პოეტი მუდამ ეამს სამშობლოს ერთგულ რაინდად რჩება. გზა-გაბრუდებულ, გადაბირებულ და გადაგვარებულ მრავალ თანამოძმეებს ჩვენი მგოსანი მოუსვენრად აფრთხილებს:

„ნუ გგონია ეგ ია და ვარდები,
დამერწმუნე, რომ ჭინჭრებში ვარდები"-ო[1].

და დაუღალავი და დაუშრეტელი ენერგიით ყველას მოუწოდებს:

„დეე მისთვის გაეღარიბდეთ,
ზურგს მოვიდგათ საწყლის გუდა,
პატიოსან ღარიბს რით სჯობს
გამდიდრებული იუდა"[2].

ამიტომ აკაკი მოუწოდებს ქართველობას ერთობასა და თანხმობისაკენ.

„მწერიც კი ცხოვრობს თანხმობით,—
ფუტკარი, ჭიანჭველაო!..

---

[1]) აკაკი წერეთელი—აღმართ-აღმართ მივდიოდი...
[2]) აკაკი წერეთელი—ავადმყოფი.

და ჩვენ რათ ვმღერით ცალცალკე:
„ოდელა დელა-დელაო?!“

ყველა კუთხის თანხმობა, მთლიანი საქართველო საჭიროა ყველას საკეთილდღეოდ:

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის — სახრჩობელაო!..
მტრებს „ვაი-დედა“ ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ: „დელა, დელაო!“[1].

აი ამიტომაა, რომ აკაკის შეგნებით ეს ეროვნული. სამშობლოსადმი სიყვარული უდიდესი გრძნობაა. ამიტომაა, რომ მისთვის ყველაფერი უნდა იქმნას შეწირული. ამიტომაა, რომ აკაკის ბაგრატი ამაყად ამბობს: „კინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვიან მამულის შვილი“!..

თუმცა საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა თერგდალეულებს ვერ ანუგეშებდა, მაგრამ მათ რწმენა გამარჯვებისა, რწმენა უკეთესი მომავლისა გამუდმებით თან სდევდა და აფრთოვანებდა. ილია ღრმა რწმენით მიმართავს თავის სატრფო სამშობლოს:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგვშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?“[2].

თვით აკაკიც სევდა-ნაღველით მოცული გრძნობის სილრმეში მკვეთრ იმედს გამოხატავს, რომ „მომავლის ბედის წერა არ გამქრალა“.

„ჩვენ კი ჩვენდა თავად გეტყვით:
გულსა სწამს და ჭკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
მომავალი ბედის წერა!“[3].

ეს ეროვნული გრძნობა აძლევდა მასალას აგრეთვე აკაკის იგავ-არაკებს და სატირებსაც.

ილიასა და აკაკის ბუკისა და ნაღარის მძლავრმა ხმამ მრავალში ჰპოვა გამოძახილი და ამავე ჰანგებზე ააყღერა მათი ჩანგი. თერგდალეულების ასეთმა მიმართულებამ რაფ. ერისთავშიაც, რომე-

[1]) აკაკი წერეთელი — ნათელა.
[2]) ილია ჭავჭავაძე — ჩემო კარგო ქვეყანავ...
[3]) აკაკი წერეთელი — ავადმყოფი.

ლიც აქამდის მწველი ტრფობის, ეშხის და ქეიფის მომღერალ მწერალთა გუნდს. ეკუთნოდა, მოახდინა ღრმა გარდატეხა და, მრავალ სხვა ახალ მოტივებზე აღმოცენებულ ლექსთა შორის, ათქმევინა „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც ამ ეპოქის ჩვენს ლიტერატურაში თავისი სიმარტივით და სიძლიერით ერთ-ერთ მძლავრ და ნიჭიერ გამოძახილად უნდა ჩაითვალოს. მაშინ, როდესაც რუსეთის ბიუროკრატია ცდილობდა რუსიფიკაციის სისტემით ამოეფხვრა ქართველებში ყოველივე ქართველური, ყოველივე თავისებურობა და გადაგვარების საშუალებით გადაექცია ერთგულ შინაყმად; მაშინ, როდესაც ქართველნი, განსაკუთრებით მაღალი წოდების წარმომადგენელნი, მეტად ადვილად გაეპნენ მთავრობის მერ დაგებულ ქსელში, და, ჩინ მენდლებით და პატივმოყვარეობით დაბრმავებულნი, იარაღად გადაიქცნენ რუსეთის ბუიუროკრატიის ხელში,—რაფ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“, როგორც პროტესტი, საშინელი მტკივნეული მხილება ამ ვაებატონების უპრინციპობისა და ორგულობისა, დროულად და მოხდენილად გაისმა.

რაფ. ერისთავის ლექსში „სამშობლო ხევსურისა“ მეტად მძლავრადაა ასახული ადამიანის ინსტიქტური, ფიზიკური დაახლოება სამშობლოსთან. და ეს სტიქიურად, უშუალოდ ამოხეთქილი გრძნობის ხმა, რაღაც ტანჯვის გამომხატველ აკომპანიმენტზე აკინძული, ბუნების შვილის ხევსურის პირით გვესმის:

„სადაც ვშობილვარ, გავზდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეკულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ—ჩემი სამშობლო ის არი.
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა...“

აქ, მთაში, თავის სამშობლოში, ხევსურს „უჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც უნწარის“. ამისათვის ის სამშობლოს არავითარ დიდებაზე არ გასცვლის. რაფ. ერისთავი ხევსურს ამაყად ათქმევინებს:

„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა“.

რუსეთის ბიუროკრატიამ თავისი მიზნის განსახორციელებლად, ქართველების გადაგვარების მიზნით, უპირველესად ენის წართმევა მოინდომა, მოინდომა ენის განდევნა სკოლიდან, სასამართლოდან და სხვა ყველა დაწესებულებებიდან. მაღალი წოდების მოდუნებული

ნებისყოფა ადვილად გაჰყვა ასეთს ძალდატანებას და მალე დადგა გადაგვარების გზაზე. თერგდალეულებმა შეიგნეს, რომ ეროვნული თავისუფლების მოპოებისათვის საჭიროა დაცული და განმტკიცებული იყოს სამშობლო ენა, როგორც მძლავრი იარაღი ახალ ცხოვრებასთან ჩქარის ტემპით ზიარებისა. ამიტომ რაფ. ერისთავიც სხვა თერგდალეულებთან ერთად დედა-ენის მედგარ დამცველად გამოდის:

,,მიყვარს მე ენა ჩემის ნშობლისა,
რომლითაც ,,ნანას'' მეტყოდა ისა,
ალერსს მაგონებს დედისას ტკბილსა,
ჩემის ტოლების მღერა-ჟღივილსა!..
ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა,
მიყვარს სამშობლოს მე დედა-ენა''!—

მოურიდებლივ მტკიცეთ დასძახის რაფ. ერისთავი[1].

ასეთივე მძლავრი, რაღაც სასოებრივი სიყვარული აქვს სამშობლოსადმი ჭ ა ლ ა დ ი დ ე ლ ს ა ც, რომელიც აგრეთვე თერგდალეულთა გუნდს ეკუთვნის. მისი ,,მოგონება'' ხალხურ ლექსად გადაიქცა. ხალხის გულის სიღრმიდან ამოკითხული გრძნობები, მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მიერ უხერხულ, მძიმე ფორმის ლექსშია აკინძული, მაინც ხალხმა ის გაიტაცა და თავის სიმღერად, მეტად გავრცელებულ სიმღერად გადაიქცია, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ,,მოგონებაში'' ჭ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი (მ. ქოჩაქიძე), როგორც წრფელი თერგდალეული, საქართველოს ცხოვრების ახალ, ცოცხალ საფუძვლებზე გარდაქმნის მომხრეა, ისიც სწავლის აუცილებლობას და სარგებლობას უხატავს მკითხველს და ასე მიჰმართავს დედის პირით ბავშვს (ახალთაობას):

,,გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,
შრომა და ჯაფა ნუ გეზარება,
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა
სამშობლოს რადმე გამოადგება...
ეცადე ძლიერ და გქონდეს სმენა,—
კარგია, შვილო, სწავლის შეძენა,—
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო:
არ დაივიწყო სამშობლო ენა''.

[1]) რაფ. ერისთავი თავისი მიმართულებით უფრო თერგდალეულებს ეკუთვნის, იმათთან და მათ უმეტესო გავლენის ქვეშ ჰქმნიდა. მაგრამ თერგდალეულთა გავლენით მასში მომხდარ გარდატეხის შემდგომ მისი შემოქმედების ძირითადი მოტივი — გლების მდგომარეობის ასახვა—მას ჩვენი ინტელიგენციის მეორე დასსაც —,,ხალხსნებსაც' უახლოვებს.

ჭალადიდელი, სამშობლოს სიყვარულით დასერილი, გულგატეხილი საზოგადოების დიდი ნაწილისგან საშობლოსადმი ზურგის შექცევით, ეპუნვიანი, გულისტკივილით, მაგრამ მასთან სიხარულით და სიამოვნებით შეჰყურებს მერცხალს, რომელიც არ ივიწყებს „თავის მხარეს", და ამბობს:

„მაგრამ მაშინ კი გული მიკვდება,
როდესაც კაცი გამახსენდება,
რომელს პირუტყვის გრძნობა ბევრით სჯობს
მით, რომ საშობლო არ აგონდება"[1].

აი ამიტომაა, რომ გადახვეწილი პოეტი[2] სცხოვრობს სამშობლოს მოგონებით, მისი ხახვის სურვილით. „ოჰ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო, მალ-მალ გავფრინდებოდეო", ნატვრით-ლა იკლავს პოეტი დაუშრეტელ წყურვილს საშობლოს სიყვარულისას, და სასოებით ოცნებობს: „ღმერთო, ისე ნუ მოიკლავ, ძალა ძიურად არ ვრგებოდეო". ჭალადიდელისათვის, ამ წუთისოფლით გატანჯულისათვის, თვით სიკვდილიც ალარაფერია. მას არც სურს მისი სიკვდილი ვისმე ენაღვლებოდეს. პოეტი მაინც რაღაც ნაზი და მტკივნეული, დამშეული და დამაშვრილი გულით განგებასა სთხოვს:

„გამაცოცხლე, მანატრე,
თუნდ საფლავში ვდნებოდე,
აყვავებულ საშობლოს
თუ კი მოვესწრებოდე!"[3]

მაშასადამე, უდიდესი ნატვრა ჭალადიდელისაც იგივეა, რაც საერთოდ თერგდალეულებისა—საყვარელი მამულის აყვავება.

მამულის სიყვარული ჭალადიდელსაც ისე ესმის, როგორც საერთოდ თერგდალეულებს: მამულის განმტკიცება და აყვავება შედეგია ერთმანეთშორის ძმობა-ერთობა-თავისუფლების განმტკიცებისა, აი, ჭალადიდელი როგორ მიჰმართავს მოძმეს:

„ გეზარებოდეს ყველასთან შური,
და როცა შეგხვდეს ეკაცი უძლური.
იცოდე, რომ ის შენი ძმა არის"[4].

---

[1]) მ. ჭ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი—მერცხალი.

[2]) ჭალადიდელი სჭავლისა და შემდეგ სამსახურის გამო დიდი ხანი ცხოვრობდა რუსეთში.

[3]) მისივე—სიმღერა გადახვეწილისა.

[4]) მისივე—მოგონება.

ჭალადიდელი 60-იანი წლების ღვიძლი შვილია და, როგორც ასეთი, ადამიანის პიროვნების პატიოსნების მგალობელია. ის ადამიანის ღირსებას ზომავს არა სიღარიბე-სიმდიდრით, არამედ კაცური გრძნობით და ურყეველი პატიოსნებით. და ეს თვისებები კი თერგდალეულთა ეროვნულ გრძნობაზეა აღმოცენებული და გაშლილი. ამიტომ ჭალადიდელიც მოხუცს მიჰმართავს—ახალთაობას პატიოსნებისა და შრომის პატივიეისცემა ჩაუნერგოს:

„ მერწმუნე, ჩემო პატივცემულო,
ის შვილი მშობელს ვერ გაახარებს,
რომელიც მტრულობს, ძმებში ორგულობს
და მელასავით დროსა ატარებს".

ესეც ხომ საერთო თერგდალეულების ჰანგია, ქართველის გადაგვარებით გამოწვეული. ამ გარემოებამ აკი ასე მძლავრად აამოძრავა აკაკის სატირული ნიჭი და შეაქმნევინა,—მთელი რიგი საუკეთესო სატირებისა, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, ეროვნული ხასიათი აქვთ. ასეთსავე მოვლენას ვხედავთ ჭალადიდელის სატირებშიც: „სიზმარი—ანუ სატანიდან საჩუქარი" და „დახლიდარის ანგარიში". ერთი სიტყვით, პოეტური ნიჭი და შემოქმედება თერგდალეულთა მძლავრ იარაღად გამოიყენეს ეროვნული გრძნობის გასაღვივებლად და ეროვნული მთლიანობის და განთავისუფლებისათვის საბრძოლველად, არა მარტო 60--70 წლებში, არამედ შემდეგშიაც. მაგრამ თერგდალეულთა მოღვაწეობას ჩვენ მხოლოდ განსაზღვრულ პერიოდში (1876—1878 წლებამდის) ვიხილავთ.

მართალია, ეროვნული გრძნობა თერგდალეულებმა მეტად მწვავედ წამოაყენეს, დიდი ენერგია და სურვილი შესწირეს მის გაღვივებას, მაგრამ როგორც „საქართველოს მოამბის" ერთ-ერთ წერილიდან დავინახეთ, მათ ეს გრძნობა ვიწრო გაგებით არ ეხატებათ. „სამშობლო ქვეყნის სიყვარული, — ეუბნება სფირიდონი თადეოზს,—უნდა გამომდინარეობდეს კაცობრიობის სიყვარულიდანაო"[1]. ასეთსავე მიმართულებას და გაგებასა ვხედავთ მხატვრულ ლიტერატურაშიაც. მაგ. „აჩრდილ"-ში, სადაც იშლება მომავალი სახე საქართველოსი, პოეტი ასე მიჰმართავს მომავლის შემქმნელ შრომის შვილს:

„სხვას ძირს არ დასწვე, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ".

---

[1]) „საქართვალოს მოამბე"—1963 წ. № 7.

ასეთივე ფართე ზოგადკაცობრიული ხასიათი აქვს ილიას მიმართვას დედისადმი ლექსში —,,ქართლის დედას“:

,,აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,—
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს‘‘...

აი ასეთი ხასიათისა იყო ეროვნული გრძნობა., რომლის ქურუმებად თერგდალეულები მთელი ხანგრძლივი შემოქმედების მან ძილზე უცელელად დარჩნენ[1].

[1]) უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული გრძნობის გაშლა-განმარტებაში, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, პრაკტიკულ ცხოვრებაში თერგდალეულნი უკიდურესობაშიაც ვარდებოდენ ხოლმე. განსაკუთრებით, როცა შელახულის დამცველის როლში გამოდიოდენ ხოლმე.

V

თერგდალეულთა დამოკიდებულება ბატონყმობასთან.

1.

წინა თავებში აღნიშნულმა თერგდალეულთა შეხედულებამ და სიყვარულმა ხალხისა და მამულისადმი მათში გამოიწვია ჩვენი ცხოვრების ნაკლთა დანახვა და მხილება, რომელიც ასე უჩვევრად და მქუხარედ გაისმა ჩვენს წყნარს, ჩუმს და ძილით მოცულ, მოდუნებულ ცხოვრებაში. თერგდალეულთა მრწამსს და პოზიციას მშვენიერად გამოჰხატავს ილია ჭავჭავაძე თავის ცნობილ „პასუხის პასუხ"-ში, რომელიც თერგდალეულთა სახელით ღირსეული პასუხი იყო გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა"-სი. აი ამაყად და დაკმაყოფილებით რას ეუბნებიან თერგდალეულნი ილიას პირით „მამებს".

„ჩვენ ვვლეთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;
ჩვენი ქვეყანა
მკვდარი თქვეგანა
თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცელია.
ლიბერალობა,
პატრიოტობა
სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია;
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია.
ქვეყნისა ბედი,
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში მჩერად არ გაგვხდომია.
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.

. . . . . .

როს მოვედით ჩვენ,
მსწრაფლ გიცანით თქვენ,
შორს დავიპირეთ თქვენი ანბანი
რად ჰკვირობთ მასა,
რომ თქვენს ანბანსა
ვერ შეაჩვიეთ ვერვინ ჩვენგანი".

ილია ჭავჭავაძე რომ აღნიშნავს დაწვრილებით „მამათა უარყოფით და დრომოჭმულ თვისებებს, გაემიჯნება „მამათა" ბანაკს და „მამათა" და „შვილთა" ბანაკის მრწამსს შემდეგი სიტყვებით დაუპირისპირებს:

„ ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;
ღმერთი მზაკვრობის.
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.
ხოლო გვწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;
ყოველთა ძმობის,
თანასწორობის
მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთ დამბეელი,
უძლურთ ამხსნელი,
თქვენგვარ კაცთაგან გმობილ-დევნული;
ორგულობისა,
ორპირობისა
ძირსა დამცემი და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
სადუკეველთა
გამკიცხველი და გამნდევნელი".

ასეთი ღმერთი თერგდალეულთა სურთ იწამონ არა სიტ-ყვით, არამედ საქმით. ამ პასუხში თერგდალეულთა არა მარტო მრწამსია, არამედ მთელი ხასიათი „მამათა“ და „შვილთა“ და მათ შორის ატეხილი ბრძოლისა. და ეს ბრძოლა უნდა ძველის უარყო-ფით დაწყებულიყო.

მართლაც, გაჩაღდა კიდეც შეუბრალებელი და პირმოუფერე-ბელი მხილება ჩვენი ცხოვრების იარებისა, მავნე ზნე-ჩვეულებათა, რომლებიც ჩვენი ცხოვრების, ხალხის კეთილ-დღეობის, წინწაწევის საქმეს დაბრკოლებად ეღობებოდა.

თავიანთ ასეთს მიმართულებას თერგდალეულნი მოურიდებ-ლივ თავიანთ ორგანოს „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წე-რილში რედაქტორის ილია ჭავჭავაძის პირით თავიდანვე აცხადე-ბენ: „როდი უნდა იწყინოს ქართველმა,—ვკითხულობთ ხსენებულ წერილში,—რ ო ცა ჩ ვ ე ნ ი „მ ო ა მ ბ ე“ სხვათა შ ო რ ი ს ხ ე-ლ ო ვ ნ ე ბ ი ს შ ე მ წ ე ო ბ ი თ დ ა უ ნ დ ო ბ ლ ა დ გ ა მ ო ჰ ფ ე ნ ს ჩ ვ ე ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ჭ უ ჭ ყ ს ა ც ა. ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი უ ს ი-ყ ვ ა რ უ ლ ო ბ ა შ ი ნ უ ჩ ა მ ო გ ვ ა რ თ მ ე ვ ე ნ, რ ო ცა ჩ ვ ე-ნ ი ჟ ურ ნ ა ლ ი მ კ ა ფ ი ო დ, ს ა ქ ვ ე ყ ნ ო დ გ ა მ ო-ს თ ქ ვ ა მ ს მ ა ს, რ ა ც ქ ა რ თ ვ ე ლ შ ი ც უ დ ი ა დ ა ს ა ზ ი ზ-ღ ა რ ი[1]. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართვე-ლი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ე ს-კ ი უ ნ დ ა ვ ს თ ქ ვ ა თ, რ ო მ ჩ ვ ე ნ ქ ა რ თ ვ ე ლ შ ი გ ვ ი ყ ვ ა რ ს მ ხ ო ლ ო დ მ ი ს ი ს ი კ ე თ ე, ს ი ც რ უ ე-კ ი ყ ვ ე ლ გ ა ნ ს ა ზ ი ზ ღ ა რ ი ა, ქ ა რ თ-ვ ე ლ ი ი ქ ნ ე ბ ა მ ი ს ი მ ე ქ ო ნ ე თ უ ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი,[1] სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან“[2].

და მართლაც, თერგდალეულნი, ეს ჩვენი მომავლის საძირ-კველის დამდები ახალი თაობა ენერგიით, ჩვენი ცხოვრების გარ-დაქმნის, მომავლის, თუნდაც ბრძოლით, მოსოების სურვილით აღ-ტყინებული მტკიცედ შესდგა ჩვენი ცხოვრების მხილების, ცუდის გა-გამომჟღავნების გზაზე. მართალია, მათ, როგორც თვითონ ისინი აცხადებენ თავიანთი ჟურნალის მე-XI-ე №-ში, როდესაც ანგარიშს უკეთებენ თავიანთი ერთი წლის მუშაობას, გზა „გახიდული“ დაჰ-ხვდათ, მაგრამ თერგდალეულნი ღრმა რწმენით, რომ მომავალი

[1]) კურსივი ჩვენია.

[2]) „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 1.

მათია, რომ დაუზოგველად უნდა განვლონ ეს კლდე-ღრე გზა, სდიონ ახლა სხვა ეარსკვლავს, შვან მყოოფადი და მისცენ ხალხს მომავალი, —შეუპოვრად მიდიან წინ. მათს მოქმედებაში გამოიკვანძა ის კვირტი ცხოვრებისა, რომელშიაც ჩაისახა სახე ახალი საქართველოსი და მისი შინაარსის ძიების აუცილებლობა. მიუდგომლობა იქნება, თუ „საქართველოს მოამბის“ რედაქციის შემდეგს პირუთვნელ განცხადებას სრულიად დავეთანხმებით: „თუმცა გზა გახიდული გექონდა,—მძლავრი, შეუძლებელია ითქვას, რომ დაუკმაყოფილებელი კილოთი აცხადებდეს ავტორი მთელი ჯგუფის სახელით,—მაგრამ გულწრფელად და გაბედვით ვიტყვით, რომ სხვის მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატნია, სხვის მოსაფერებლად არც ერთი გრძნობა ჩვენი არ გაგვიყიდნია, რომელიმე ანგარიშისათვის ყალბი ვერცხლად არ გაგვიყვანია. ჩვენ დავჩუმებულვართ, მაგრამ სვინიდისისათვის არ გვიღალატნია. როგორც გონება ჩვენი სჭრიდა, როგორც გული გვითხრობდა—ისე ვლაპარაკობდით, საცა კი შეგვეძლო და კვლავაც ასე მოვიქცევით,—თუნდ რომ ამით ჩვენს ჟურნალს ბოლო მოეღოს“[1].

თერგდალეულთა ეს წრე, რომელმაც საკმარისად მძლავრად აამოძრავა და ააღელვა მაშინდელი დაძაბუნებული ჩვენი ცხოვრება, თვითონ უკმაყოფილოა თავისი მიზნისა და მოვალეობის შესრულებით. „ყველაზე დიდი ნაკლულოვანება,—აცხადებს რედაქცია,— ჩვენი ჟურნალისა ის იყო, რომ სხვათა შორის დროების ინტერესი არ ჰქონდა,—ეგ ინტერესია ყოველი ჟურნალის სული, ეგ აცხოველებს, ეგ აბრუნებინებს სულს. არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებს და რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა,[2] რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერ სცადა კიდეც, ხმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენო“. ამის გამო ჩვენს ჟურნალს ფერი დააკლდა, „მოამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლო გასასინჯი იყო... კვლავ იქნება ჩვენს ჟურნალს, —იმედიანად ათავებს რედაქტორი ჟურნალის ანგარიშს,—დრო დაუდგეს და კარგი ნაყოფი მოიტანოს. ამის იმედი მით უფრო არის, რომ ბევრმა აღგვითქვა გულმოდგინე შემწეობა“[3].

---

[1]) „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № XI—რედაქციისაგან.

[2]) აქ რედაქციას მხედველობაში აქვს ბატონ-ყმობის საკითხის დასმა.

[3]) „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № XI.

ეს ნაწყვეტი მრავალმხრივაა საინტერესო. მაგრამ აქ ჩვენ ორ გარემოებას გვინდა ხაზი გაუსვათ. პირველი ის, რომ რედაქციის იმედები მომავლითაა გამოწვეული, გარდა იმედიანი სულიერი განწყობილებისა, რომელიც დამახასიათებელია თერგდალეულთა თვის, განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაში (ილია, აკაკი), იმ გარემოებითაც, რომ ჟურნალის თანამშრომელთა რიგები თანდათან დიდდება. ,,კარგ ნაყოფს'' ,,საქართველოს მოამბე'' ,,ერა მარტო ,,დარის'' დადგომით მოელის, არამედ ,,მით უფრო, რომ ბევრმა აღგვითქვა გულმოდგინე შემწეობა''-ო. მეორე ისა, რომ თერგდალეულთა ასეთს თვითკრიტიკაში, ასეთ დაუკმაყოფილებაში ჩვენ ვგრძნობთ იმ დიდს, მძლავრს, აღელვებულ და ათქვიერებულ მაჯის ცემას, რომელიც 60-იან წლებს ასე ახასიათებს, რომელიც მძლავრი გაქანებით ახეთქებდა ახალთაობას ძველი ცხოვრების დრომოჭმული და მავნე ტალღების მაგარ ქვითკირს. ასეთი შინაგანი და დინამიური დუღილი ახალი თაობისა მასში იწვევდა სურვილს—დაემტვრია და დაემსხვრია ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც ასე საგრძნობლად ჰბორკავდა მის შემოქმედებას.

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ თერგდალეულთა თვითკრიტიკა ჟურნალის ფერმკრთალობის და დროების ინტერესის უქონლობის შესახებ გადაჭარბებულია. ეს თვითკრიტიკა თერგდალეულებისა, ჩვენის ფიქრით, დაუმსახურებელია.

მიუხედავად მართლადაც ,,უდროობისა'', რადგანაც, როგორც თვით რედაქცია შენიშნავს,,—დრონი მეფობენ'', ,,საქართველოს მოამბე'' მაინც ახერხებდა დროების ინტერესის ასახვას: თავის ფურცლებზე დროის მწვავე საკითხების გამოტანას, საერთოდ ძველი წყობილების კრიტიკას და მეტად დაურიდებელ კრიტიკასაც აწარმოებდა, ხან თუ პუბლიცისტური წერილების საშუალებით, ხანაც, უფრო კი მხატვრული შემოქმედების გზით. მხატვრული შემოქმედების შემწეობით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აზროვნებაში მეტად მკაფიოდ, მწვავედ და მკვეთრად გამოტანილ იქმნა ის უდიდესი მტკივნეული საკითხი, რომელიც ცენტრალური იყო რუსეთის-სინამდვილეში 40 წლებიდან განსაკუთრებით 60-იან წლებში, ,, აქედან ჩვენშიაც,—ეს იყო ბატონ-ყმობის საკითხი. ეს საკითხი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეშიაც მწვავე იყო. აკი ამისათვის ეს საკითხი 1859 წლის მიწურულებში დანიელ ჭონქაძის ,,სურამის ციხით'' სტიქიურად და აშკარად დაისვა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში და მხატვრულ ლიტერატურაშიც.

მართალია, 1863 წელს რუსეთში ბატონ-ყმობა უკვე გადავარდნილი იყო, მაგრამ ჩვენში ეს ინსტიტუტი მთელი თავისი პიროვნების შემლახავი და განმანადგურებელი მოპყრობით გლეხ-კაცისადმი კელავინდებურად მძვინვარებდა ფაქტიურადაც და ფორმალურადაც. ბატონ-ყმობის უარყოფაზე ლაპარაკი, როგორცა ჩანს, სასტიკად იყო აკრძალული. როგორც ზევით დავინახეთ, მთავრობაზე ნაკლებ საზოგადოება არ იყო მომხრე ბატონ-ყმობის ინსტიტუტის შენახვისა. ზევით უკვე დავინახეთ, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითს ლაბორატორიაში უკვე პეტერბურგის პერიოდში დაგროვილი იყო ბოლმა და შხამი, ადამიანის პიროვნების ამ საშინელი, შემაძრწუნებელი, შემლახავი მოვლენით გამოწვეული, და აგრეთვე მასთან ერთად საბრძოლველად აღელვებული გზნება პოეტისა. მაგრამ მას საშუალებას არ აძლევდნენ ეს ბოლმა საჯაროდ გადმოენთხია. ილიასა და სხვა თერგდალეულთა თავისუფალ და თამამ სიტყვას „ცისკარი" ადგილს არ უთმობდა. „ცისკრის" რედაქტორს ივ. კერესელიძეს დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის" დაბეჭვდისათვისაც ბევრი უსიამოვნება დაატყდა თავს.

მაგრამ „საქართველოს მოამბემ" ამ საკითხის სავსებით დაძლევა თუ ვერ შესძლო, მისი ნაწილობრივ გახმაურება და გადაშლა მაინც მოახერხა, ყრუდ არ დარჩა. „ყრუდ ჩაძახილი"—ამოიძახა, და, შეიძლება ითქვას, საგრძნობლად, განსაკუთრებით იმ დროისათვის, მქუხარედაც.

დ ა ვ ი თ ყ ი ფ ი ა ნ ი „საქართველოს მოამბის" მე-4-ე №-ის შიმოხილვაში „სხვა და სხვა ამბავის" სათაურით სწერს საერთო-საკაცობრიო პროგრესზე და ბოლოს საკმარისად მკაფიოდ ჩაურთავს შეხედულებას ბატონ-ყმობის შესახებაც: „საზოგადოებაში,—სწერს ის,—რომ ერთი ნაწილი სულ არ შრომობდეს და სხვის შრომით ირჩენდეს თავს და იმ შრომასაც რომ თავისუფლება არა ჰქონდეს, ე. ი. ურთიერთ ნება-ყოფაზე დამოკიდებული რომ არ იყოს, საზოგადოებისათვის ცუდია თუ არა?.. ეს მდგომარეობა ორივე ნაწილისათვის, მეტადრე მთელი საზოგადოებისათვის, სენია... ჯერ ისა, რომ მთელ საზოგადოებაში ყოველი კერძოობითი კაცი უნდა იყოს მშრომელი თავისუფლადა და, მაშასადამე, ნაყოფიერადაცა. და თუ საზოგადოებაში ყოველი იმისი წევრი ნაყოფიერადა შრომობს, საზოგადოებაც კეთილ-მდგომარეობაში შევა. საზოგადოების კეთილ-მდგომარეობას კერძოობითი პირების კეთილ-მდგომარეობაც უნდა მოჰყვეს თანა. სწორედ ისე, როგორათაც ერთს სახლობაში ყოველი წევრი რომ

ნაყოფიერად შრომობდეს, მთელი სახლობა კეთილ-მდგომარეობაში შევა, და ამ სახლობის კეთილ-მდგომარეობასა, რასაკვირველია, იმ სახლობის წევრების კეთილ-მდგომარეობაც თან მოჰყვება... ამ თავისუფალი შრომის ბოკვეთა ჩვენ საზოგადოებაში ასი ათას გლეხს მოსდიოდა და იმათ ბებატონეებსა, მრავალ თავადსა და აზნაურსა. ამას უთუოდა გრძნობდა ქართველების კეთილშობილი ნაწილი და გლეხებს თავისუფალ შრომაზე დაყენება ეძლევათ. დროების დედა-აზრი როგორ მოქმედობს ამ მაგალითში, მკითხველო, იმას ეხლა შენც ადვილად მიჰხვდები"[1]. ასე ათავებს თავის სწორ, მაგრამ დიდის კრძალვით გამოთქმულ აზრს დავით ყიფიანი.

რასაკვირველია, ამ სტატიის კილოში ვგრძნობთ, რომ პუბლიცისტს თავისუფალი გასაქანი არა აქვს; აშკარადა ვგრძნობთ, რომ ბატონ-ყმობაზე წერა სახიფათო, საშიში და აღკრძალული საქმე იყო. მაგრამ „საქართველოს მოამბის" გარშემო შემოკრებილ თერგდალეულთა წადილი მაინც ვერ იჩქმალება. იმ პირობებშიაც-კი თერგდალეულნი ახერხებენ ამ საკითხის დასმას.

მაგრამ ის, რაც თერგდალეულებმა პუბლიცისტიკის საშუალებით ვერ შესძლეს, მხატვრული შემოქმედების შეგწეობით მარჯვეთ მოახერხეს. „საქართველოს მოამბეში" პირველად დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის საუკეთესო ნაწარმოებნი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ: „კაცია ადამიანი?!" (მთლიანად), „გლახის ნაამბობი" (ხუთი თავი) და ნაწყვეტი „კაკო ყაჩაღიდან"—„ერთი მოთხრობის დასაწყის"-ს სათაურით. ეს მშვენიერი მხატვრული ტრილოგია იმ დროისათვის ძლიერი პოლიტიკური და სოციალური პამფლეტი იყო.

თავდაპირველად 1858—1859 წლებში ტყუილად და უაზროდ კი არ იკვანძებოდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ერთად ეს სამი ნაწარმოები მოთხრობა „კაკო"-ში. მაგრამ ერთმა ტილოს ვერ დაიტია ეს ცოცხალი მხატვრობა ჩვენი ცხოვრებისა, განსაკუთრებით მრავალფეროვანობა მისი ტკივილებისა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, როგორც უკვე ნათქვამი იყო, სწორედ ამ წლებში (1858—1860 წ.წ.) ხდება გარდატეხა, უფრო სწორი იქნება ვსთქვათ, გამორკვევა. მისმა შემოქმედებითმა ნიჭის მოძრაობამ ამ დროს უკვე შესძლო ჩვენი ბინდიან და უხანობის ცხოვრებაში გაბოენახნა გზა მომავალი შემოქმედებისა. მან შესძლო თავისი ნიჭით და შეძენილი ცოდნით გაეშუქებინა ის გზა, რომლითაც ამ წყვდიადში სიარულს აპირებდა. ამ დროისათვის (1860 წლ.)

[1]) „საქართველოს მოამბე"—1863 წ. № 4.

მან უკვე მოახერხა თავისი მძლავრი შემოქმედებითი ნიჭის შემწეობით გამოეხვავებინა აზრი წმინდა, მოწინავე და ცხოველი და აეგეგმა თავისი მომავალი ცხოვრება და მოქმედება. მთელი ბრძოლა, რომელიც ილიამ აწარმოვა ჯერ „ცისკრის" ფურცლებზე და შემდეგ „საქართველოს მოამბეში"—იყო ცხოვრებაში გატარება შეთვისებული პრინციპებისა და მათზე აღმოცენებული სამოღვაწეო გეგმისა. და ამ შემთხვევაშიც ი ლ ი ა მკვეთრი გამომხატველია თერგდალეულთა სულიერი განწყობილებისა.

ახალი საქართველოს საფუძვლების აგიტაციის მიზნით, რათა მძლავრი პოეტური სახეების შემწეობით გაეტანა ხალხის ფართო მასებში თავისი მისწრაფებანი, „საქართველოს მოამბე"-ში მოთავსებულ მხატვრულ ნაწარმოებში ილია ჭავჭავაძე მარტო ხალას ლოზუნგს-კი არ ისვრის ცხოვრების მორევში, არამედ ჩვენი სინამდვილის ნიადაგზე აღმოცენებულ და განვითარებულ ცოცხალ ტიპებს გვაძლევს. ამ ნაწარმოებთა გმირების ცხოვრებისა და თვისებათა გადაშლაში პოეტი მკვეთრად შლის ჩვენი ცხოვრების უარყოფით მხარეებსაც განსაკუთრებით ბატონ-ყმობისას.

2.

თერგდალეულთა მიერ ჩვენი ცხოვრების სინამდვილის დახატვაში ორი მთავარი მოტივია, ერთი-ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. ეს გახლავთ ეროვნული და სოციალ-ეკონომიური (უფრო კი ბატონ-ყმობის) საკითხი. ორივე ეს მოტივი, ასე მტკიცედ გადაჯაჭვანძილი თერგდალეულთა და განსაკუთრებით ილიას შემოქმედებაში, გამომდინარეობს მათი ყველაფრის შთანმთქავი მისწრაფებიდან—ახალი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს შ ე ქ მ ნ ი ს ს ურ ვ ი ლ ი დ ა ნ:

„მას.აქეთ, რა კი შენდამი ვცან მე სიყვარული,—ამბობს
პოეტი,—
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

—

დაეინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი,—მიხარიან, რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში".

ახალი საქართველო ილიას ღრმა რწმენით და შეგნებით უნდა აშენდეს თავისუფალ საქართველოს ფარგლებში პოლიტიკურადაც და სოციალურადაც. თავისუფალი ადამიანი და თავისუფალი შრომა აუცილებელია ხალხის თავისუფლებისათვის, მის მომავლისათვის. ხალხის წინმსვლელობისათვის და მის კეთილდღეობისათვის უპირველესად საჭირო იყო ხალხი განთავისუფლებულიყო იმ საშინელი მონობის უღლისაგან, რომელსაც ბატონყმობა ერქვა. ბატონყმობა ხალხის, მთელი ერის შემოქმედებითს ნიჭს ადუნებდა, არჩობდა, ანადგურებდა, ხალხის ბედნიერების და კეთილდღეობის მოპოების პროცესს აბრკოლებდა. აი სწორედ ამით აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძემ და საერთოდ თერგდალეულებმა თუმცა ეროვნული განთავისუფლების პრინციპი გამოაცხადეს მთავარ პრინციპად, მაგრამ უპირველესად, როგორც აუცილებელი საშუალება ამ მიზნის მისახწევად, ბატონ-ყმობის მოსპობა დაისახეს. ამიტომაც სასტიკი და შეურიგებელი, დაუნდობელი ბრძოლა გამოაცხადეს და აწარმოეს კიდეც მათ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. ბატონ-ყმობის ასახვას ილია ჭავჭავაძემ მოანდომა უმეტესი ნაწილი თავისი შემოქმედებისა. მისი საუკეთესო საზოგადოებრივი ხასიათის ნაწარმოებნი ამ ხანში დაიწერა. ესენი ხორცშესხმულ და, რამდენადაც პირობებმა ნება მისცა, გამოტანილ იქმნენ ფართო საზოგადოებაში სწორედ „საქართველოს მოამბის“ საშუალებით.

ზევითაც აღვნიშნეთ, რომ თავდაპირველად 1858—1859 წ.წ. ეს სამი ნაწარმოები ერთს ნაწარმოებში იკვანძებოდა. მხოლოდ შემდეგ სამს თავისთავად დამოუკიდებელ მოთხრობად ჩამოყალიბდა. მათი თანდათანობითი, ქრონოლოგიური დასრულება შესაძლებელია სწორი გასაღები იყოს ილიას ბატონ-ყმობის ასახვის გაგებაში. „კაკო ყაჩაღმა“ საბოლოო სახე მიიღო 11 დეკემბერს 1860 წ.; „გლახის ნაამბობმა“—1862 წ. დამლევს; ხოლო „კაცია ადამიანი?!“-ს საბოლოო რედაქცია ეკუთვნის 1863 წელს.

მაშასადამე, ჩვენც ილიას ბრძოლა მხატვრულ მწერლობის საშუალებით ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მისი შემოქმედების მეორე პერიოდში დავიწყოთ--„კაკო ყაჩაღით“.

პოემის გმირად ავტორს ორი გლეხ-კაცი—„ყაჩაღი“ ჰყავს. ყაჩაღად გავარდნა მათი იძულებითია. ამ პოემაში აშკარად და მკვეთრადაა გადაშლილი ის მიზეზები, რომელიც აიძულებდა გლეხს, მთელი თავისი არსებით მიკრულს მიწას, სახლ-კარს, ოჯახს, ყოველდღიურ შინაურ ცხოვრებას, დაეტოვებინა ყველა და ყველაფერი

და ყაჩაღად გავარდნილიყო. მათი ყაჩაღად გავარდნა გამოწვეული იყო ბატონის უსამართლო მოპყრობით, უადამიანო ძალმომრეობით ყმაზე, გლეხის სრული უუფლებო მდგომარეობით, რაც, როგორც მშვენივრად გვიხატავს ილია „აჩრდილშიაც", გლეხს ბატონის მონად, ჩვეულებრივ მობეზრებულ საგნად ჰხდიდა.

ბატონ-ყმობის ძალმომრეობით გამხეცებული ბატონის უდიერობამ და შეურაცხყოფამ მოთმინებიდან გამოსულთ კაკოსაცა და ზაქროსაც გადააწყვეტინა შური ეძიათ ბატონისადმი, გაეწყვიტათ კავშირი ცხოვრებასთან, ტყისათვის თავი შეეფარებინათ ერთგულ მეგობრებით—მარდი ცხენით, უმტყუნო თოფით და ხლმით.

თუმცა ასეთი ცხოვრება ძუნწია, სავსე ნაკლებულობით, შიშით, მარტოობით,

„მაგრამ აქ ყველა გვიადვილდება,—
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი"-ო,

სრული კმაყოფილებით და „მშვიდი" ცხოვრების დაკარგვის დაუნანებლივ ეუბნება მხედარს კაკო, გლეხისათვის თუ რამდენად წარმტაცი, მიმზიდველია ასეთი, თუნდაც ძუნწი თავისუფლების მოპოვება, თუმცა ის მეტად ძვირად დაუჯდება. ეს მშვენივრად ჩანს პოემის შემდეგი ძლიერი ადგილიდან. მხედარი ზაქრო, ცხოვრების უკეთესობას ვამოქცეული, მიეშურება კუდიგორის მთისაკენ. მას იქ თავისი მოძმე „ყაჩაღი კაკო" ეგულება. ის ალაზნის ჭალაში შეჰხვდება მეურმეს. მეურმე ზაქროს ასწავლის კუდიგორის გზას. თანაც გააფრთხილებს მხედარს, რომ იქ სცხოვრობს ყაჩაღი კაკო. მხედარი გლეხს უპასუხებს, რომ ის სწორედ მასთან მიდის და, რა გაიგებს კუდიგორის გზას, სიამოვნებით სწრაფ იქით გაქუსლავს. პოეტი მეურმე-გლეხის გულს, ამ შეხვედრით აღვსებულს ნაღვლით, შურით და ნეტარებით, დიდი ოსტატის ხელოვნებით მეტად ამაღელვებელი და მგრძნობიარე ფერადებით გადაგვიშლის:

„თითქოს შეჰნატრდა იმას მეურმე,
„ახ ნეტავი შენ!"—წაიდუდუნა
და გაიქნია რა თავი მერმე
შურით ხარს შოლტი გაუტყლაშუნა
და მერე ისევ უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დააღუღუნა."

დიახ, დიდია შეწუხებულ, შეურაცხყოფილ, გაწბილებულ გლეხ-კაცობაში თავისუფლების მოპოვების სურვილი! ბევრის გულს მწარედ აკვნესებს და მწარედ ახურებს მისი მოპოვების იმედი, თუ

გინდ დიდის მსხვერპლის შეწირვითაც. მაგრამ ძნელია კავშირის გაწყვეტა ცხოვრებასთან, შეზრდილ და შესისლხორცებულ, თუნდაც ისეთს გაჭირვებულ, ძაღლუმადურ ცხოვრებასთან. არამც თუ ყველას, ცოტას, ძალიან ცოტას შესწევს ძალა, ნებისყოფა (ან საიდან ექნება მასიურად ნებისყოფა ყმას—მონას!), გამბედაობა უსამართლობას გაექცეს და ირჩიოს:

,,უსახლკარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
ყურდღელსავითა ფხიზელი ძილი
და იარაღი დღედაღამ ხელში''

ამისთანა ძლიერი დუღილი და ნდომა ხვედრია მხოლოდ გამონაკლისებისა, მხოლოდ რჩეულთა, რომელნიც იქმნებიან, იკირებიან, გვირისტით იკერებიან ხალხის ცხოვრების დუღილში და ჭირ-ვარამში, რომელთაც დედის რძის მაგიერ ხალხის ნაღველი ასაზრდოვებდა, დედის ნანის მაგიერ, ხალხის კვნესა ზრდიდა. ეს რჩეულნი ხალხის მასების ცხოვრების მორევში, როგორც იდეალი, ცხოვრობდენ. მათი სახე, შარავანდედით მოცული, გლეხ-კაცს ბავშობიდანვე ,,ღვიძლ დედასავით ეთვისებოდა". მათი წამებული, მაგრამ მასთან ერთად მათი ვაჟკაცური ცხოვრების მოგონება გლეხ-კაცობის გულს ბავშობიდანვე ,,ბევრს რასმე ჩასძახოდა, ხან მოალხენდა, ხან აღონებდა''. მეტად საინტერესოა პოემა ,,კაკო ყაჩაღის'' ადგილი— ,,მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა"... იქ, სახლს მოტაცებული სოფლის პატარა გლეხის ბიჭების ცხოვრებასა და გართობაში ბუნების წიაღზე, ბატონის სახლს მოშორებით, ტყეში, ბატონის ნახირის მოვლის დროს, ამ ბიჭების გულში იქსოვება და ითელება. სიყვარული თავისუფლებისადმი, დახმარება დაჩაგრულთადმი. დაჩაგრულთა სიყვარულის და დახმარების ლეგენდალურ გმირად ხალხს ყაჩაღი ■ რ ს ე ნ ა გაუხდია:

,,მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,—
ე უ ბ ნ ე ბ ა მ ხ ე დ ა რ ს კ ა კ ო,—
გლეხ-კაცი, როგორც ძმა, ჰყვარებია,
გლეხ-კაცის ბედი, ჭირი და ლხენა
შვილსავით კალთით უტარებია.
აბა კაციცა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმავ, ჰხურებია!"

არსენას ამბავი გლეხ-კაცს ბავშობიდანვე ნათელი სხივივით ჩაჰშუქებია. მისი სახე და სახელი, ზღაპრად მოსული, ავსებდა მის ცხოვრებას:

„არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა—
ჩვენდამი, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული“—

აღტაცებით მოუთხრობს მხედარი კაკოს. ასე განიცდის ამ რჩეულთ გლეხ-კაცი და აი რატომაა, რომ კაკოს „გაცნობა არ არის ძნელი,—ეუბნება კაკოს ზაქრო,—შორს გავარდნილა შენი სახელი, ბავშვმაც-კი იცის, ვინ არის კაკო“.

რა არის მთავარი მიზეზი, რომ ეს რჩეული „ყაჩაღები“—კაკო, არსენა ხალხის გულში სათაყვანებელ საგნად არიან ჩასვენებულნი? მარტო იმიტომ, რომ თავისუფალნი არიან და გაწყვიტეს ყოველივე კავშირი ამ ძაღლუმადურ ცხოვრებასთან? თუ ამ თავისუფლებას და მის მოპოვებას გარკვეული საზოგადოებრივი ნიადაგი და მნიშვნელობა აქვს? მარტო თავისუფლება თავისუფლებისათვის რომ ყოფილიყო, ილიამ კარგად იცის, რომ გლეხ-კაცობა, ცხოვრების დუხჭირში გამოტარებული და მიტომ უაღრესი პრაქტიკოსი, ამ „ყაჩაღებს“ ასეთი გატაცებით და სასოებით არ ეთაყვანებოდა, მისაბაძავ იდეალად მათ არ გაიხდიდა. მართლადაც, აი რას ეუბნება კაკოს მხედარი, რომლის გულმა გული იცნო და მკლავმა—მკლავი, „კაკოს კითხვაზე, საიდან ემცნაურება ის მას და მასთან მისვლა მას რამ გააბედვინა:

„შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქებს;
შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილისშვილებს.
შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
გამოჭქცევიხარ უსამართლობას,
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხ-კაცი, —
ბარაქალა მაგ გულკეთილობას!..
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,—
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“

ასეთი იყო არსენა. მისმა ასეთმა მოქმედებამ აანთო კაკოს გულიც და გაიყოლია. მას მისდევს ზაქრო ⁂ ამგვარად იქმნება მძლავრი, მამაცი რაზმი უკმაყოფილოთა.

აშკარად ვხედავთ, რა განუყრელი, მჭიდრო კავშირია ამ „ყაჩაღთა“ და ხალხს შორის. ხალხს ასაზრდოვებენ ა რ ს ე ნ ა, კ ა კ ო, რადგანაც ისინი ხალხის ბედის გამზიარებელნი არიან; სამაგიეროდ, იმათაც ძალასა და მიმზიდველობას აძლევს ხალხი; ამ ძალასვე მათ აძლევს ზრუნვა „ბედისაგან დაჩაგრულ“ ხალხისათვის, რომლის ბედსაც ისინი „შვილსავით კალთით ატარებენ“.

აქ აშკარადა ვგრძნობთ, გვესმის დაბალ ფენებში ამოვარდნილი სიო თავისუფლების მოპოებისა; ვგრძნობთ, რომ ეს სიო შეუპოვარი ქარტეხილის წინამორბედია. თავისუფლების მოპოვების სურვილი არღვევს ყოველდღიური ცხოვრების ბორკილს, მსხვერპლად იწირავს მრავალს სიცოცხლეს. ხალხს წარმტაც გმირად გადაუქცევია ის, ვინც კავშირი გასწყვიტა მონობის ცხოვრებასთან, ვინც „ყაჩაღად“ გავარდა.

ცხადია, ილია ჭავჭავაძემ მხატვრული ლიტერატურა მშვენიერ საბრძოლველ იარაღად გამოიყენა. ვგონებთ, იშვიათი პუბლიცისტური სტატია შესძლებდა იმ დროს ისე მკვეთრად, გაბედულად, მქუხარედ დაეთრგუნა ბატონ-ყმობის უმსგავსობა, როგორც შესძლეს კაკოს, ზაქროს მხატვრულმა სახეებმა და, თითქოს შემთხვევით შემოტანილმა, ხალხის გულის და მხურვალე მაჯის ცემის ცოცხალმა ასახვამ არსენას სახით. განა იმ დროს სხვა გზით ამაზე მძლავრად შეეძლო კაცს გადმოესროლა ბატონ-ყმობის სქელი კედლით შემოზღუდულ ქვეყანაში ბატონ-ყმობის უარყოფა? განა შეიძლებოდა უფრო მკვეთრად და ღია ფერადებში გადმოეცათ გლეხ-კაცის უუფლებო, მონური დამოკიდებულება ბატონისაგან? გულნატკენი, შეურაცყოფილი ზაქრო ასე ათავებს თავის მძიმე ოდისეიას:

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შებრალებოდა.
რა გ ა ვ ა გ რ ძ ე ლ ო, თ ა ვ ა დ ი ს შ ვ ი ლ ი
კ ა რ გ ი რ ა ა რ ი ს, ა ვ ი რ ა ი ყ ო ს“-ო.

მაშასადამე, ის, რაც ვერ შესძლო „საქართველოს მოამბემ“, რომ პირდაპირ ეთქვა და აღენიშნა „თანამედროვეობის მტკივნეული საკითხი, „სწორედ შესძლო ამავე „საქართველოს მოამბეში“ მხატვრულმა ლიტერატურამ. მხატვრული გმირების სულის-კვეთების ასახვაში ძალუმად ჩართვა თანამედროვე ლოზუნგებისა არა-ნაკლები (ვფიქრობთ, უფრო ძლიერიც) გამოხმაურება იყო იმ მტკივნეული

საკითხისა (ბატონ-ყმობის დათრგუნვისა), რომლის პროპაგანდა და სამსახური ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო თერგდალეულებისათვის.

განა ასეთივე მძლავრი პროტესტი არ ისმის ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში", რომელიც ავტორმა დაამთავრა 1862 წელს, და რომლის ხუთი თავის დაბეჭვდა „საქართველოს მოამბემ" მოახერხა? ამ ნაწარმოებში ტილო სურათისა უფრო გაფართოვებულია, საკითხის გაღრმავება უფრო მკვეთრია. ბატონყმობის უარყოფითი გამათახსირებელი გავლენა აქ მარტო გლეხ-კაცებზე-კი არ არის ნაჩვენები, არამედ ბატონებზეც. მზა-მზარეული ცხოვრება სხვის (ყმის) ზურგზე და სხვისი (ყმის) ხარჯით ბატონის გონებას, ზნეობას, ნებისყოფას ადუნებს, აჩლუნგებს, ან ცალმხრივად ანვითარებს—მხოლოდ უხეშ-ენებიანობის მატარებელ ჭურჭლად გადააქცევს. ვინ არის დათიკო, თუ არა გაგულქვავებული და გამხეცებული, შესაძლებელია, ბუნებით არა-ურიგო, ბატონი? სწორედ ბატონის ფსიქოლოგია, რომ მან ყველაფერი, რასაც-კი მოინდომებს, უნდა შეისრულოს, სწორედ ის სადავე-მიშვებული, არაფრის შემზღუდავი აღზრდა, რომელიც ბატონიანთსა მეფობდა და რომელმაც ოჯახის კერას მოსწყვიტა ოჯახის მარჩენელი, კეთილი ბუნების გაბრო (და ათასი მისთანა სხვა) და ბატონიშვილს ქალაქში თანმხლებლად გამოატანა,—ღუპავდა ყმასაცა და ბატონსაც, არცერთს მათგანს ხეირს არ აყრიდა.

განა ბატონ-ყმობამ არ გადააქცია დათიკო ალვირ-ახსნილ, დაბალი ენების დამაკმაყოფილებელ მხეცად? განა ამ ბატონ-ყმობამ არ შეასხა ავადმყოფი ხორცი მის ცოდვილ სულს? განა ბატონის ფსიქოლოგიამ არ მოსწყვიტა დათიკო ყოველსავე შინაარსიან ცხოვრებას და ენებიანობის ქაოსში, გარყვნილი ცხოვრების მორევში, ბატონ-ყმობით განმტკიცებულში არ ჩააყურყუმელავა? განა ბატონ-ყმობამ არ განამტკიცა „დათიკოში შეხედულება, რომ ქალი ჟინის მოსაკლავად უნდა იყოს, რომ გლეხის ქალი ჯერ ბატონისაა და მერე ვისიც უნდა იყოს? განა ბატონ-ყმობამ არ მიიყვანა დათიკო იმ დაცემამდის, რომ გაბროსაც კი გადაეღობა პატარა ბედნიერების მოპოების გზაზედ. გაბროს საცოლეც კი არ დაინდო?

განა დათიკოს მიერ გაბრიელისადმი უსირცხვილოდ ნათქვამში „ქალი ჩემია და მზითევსაც იმიტომ გპირდები, რომ ჯერ ჩემი იქნება"—მაჩვენებელი არ არის, რომ დათიკოს დაჰკარგვია ყოველივე ნიშანი ადამიანობისა?

დათიკო გადაქცეულია ავთვისებიან ხორცმეტად, რომლის მოშორებაც აუცილებელია ცხოვრების გასაწმენდად, ვინაიდან ისა ჰრყვნის და მურდლავს არა ერთისა და ორის, არამედ მრავალის ცხოვრებას. და ბატონი ამ ბილწ, წუწკ საქმეს ხშირად გლეხკაცებისავე ხელით აწყობს, იმათაცა ჰრყვნის და თავისი უმსგავსი საქციელის მოზიარედ ჰხდის. რა არის, თუ არა უფრო ბილწი და გათახსირებული ხორც-მეტი, ბატონ-ყმობის გავლენით იმავე ხალხის ზურგზე ამოსული, გიტო—დათიკოს უმსგავსი ჟინიანობის საქმეში ხელის შემწყობი?

თუ ბატონ-ყმობა გლეხ-კაცს ანადგურებს, არა ნაკლებ მაენებელია ის ბატონებისათვისაც: ბატონ-ყმობა ბატონს უფრო აკარგვინებს ადამიანის სახეს. ვის შეუძლიან ისეთი გულქვაობა გამოიჩინოს საერთოდ ადამიანისადმი და განსაკუთრებით იმ ადამიანისადმი, რომელმაც მთელი თავისი ენერგია, სიყვარული, ერთგულება მას შეალია, თუ არა ენებიანობით გამძვინვარებულ პირუტყვს, ბატონობით გათავხედებულს, როგორიცაა დათიკო გაბროსადმი მოქცევაში!..

გაბრო მიჰხვდა, რომ დათიკოს ხელში მისი საცოლის ჩაგდება უნდა. მიჰხვდა, რომ ჟინიანობა მისი ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივ აღვირახსნილია. მოინდომა მისი დაოკება. ძალა არ უნდა იხმაროს, თუმცა მისი მოკვლის სურვილმა გაბროს ფიქრში ელვასავით გაურბინა. მაგრამ თავი დაიჭირა. მას უნდა დათიკოში ადამიანური გრძნობა გააღვიძოს; გული მოულბოს. ის თითქოს ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული, რომ „ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება". არ უნდა გაბროს, და შესაძლებელია, მისთვის ძნელიც იყოს, ცხოვრებასთან კავშირი გაწყვიტოს. მას დათიკოსადმი გულში კიდევ რაღაც გრძნობა ულვივის. და მათს შორის ასეთი დიალოგი გაიმართება:

— „დათიკო! სად მიგყევარ, ნუ გამწირავ, შემიბრალე შენი გაბრიელ!..

— წყალსაც წაუღიხარ.

— გოგოს მარტო მე უნდივარ, დათიკო! ღმერთთან ცოლქმრობის პირობა მიგვიცია...

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და თქვენი პირობაც.

— დათიკო! შენ შენს ბედისწერას აუტეხიხარ.

— დამეკარგე აქედან!

— დათიკო!.. არ გეცოდება იმისი დროული მამა? იმისი მეტი შვილი არა ჰყავს. ნუ დაასხავ თავზე ლაფს, ნუ დაეწყევლინები...

— აქედან გამეცალე-მეთქი,—შემომჭყიალა.

— დათიკო! არ გებრალება ის ღვთის სული, უცოდველი გოგო? ნუ წაართმევ ნამუსს! მე მაჩუქე იმის თავი.

— მერე შენ გაჩუქებ.

— მერე და არა ეხლა?... ფუ, მაგ ნამუსს და მაგ კაცობასა!..— შევძახე ესა იმედ-მოშორებულმა,—უამბობს გაბრო ავტორს,—გავიძერ ხანჯალი და გადავდგი ბიჯი თუ არა დათიკოსაკენ, მეორე ოთახიდან გამოცვივდნენ სამი დამალული ბიჭი, მომცვივდნენ უკანიდამ და გამაკავეს... თურმე ეს წინათვე განეზრახა დათიკოს, წინათვე ყველაფერი გაემზადებინა, რომ მე სამართალში მივცემოდი და ამით მე თავიდამ მოვეშორებინე. მე რა ვიცოდი?" [1].

განა ამაზე მეტი ზნეობრივი დაცემა და გათახსირება შეიძლება?!.. დაბალი გრძნობა დათიკოში ყველაფერსა ჰკლავს. ის მხოლოდ გამძვინვარებული მხეცია.

რა მდგომარეობაშია გლეხი? შეუძლიან მას ბრძოლა ასეთს ძალნომრეობასთან, თავის დაცვა, სამაგიეროს გადახდა? არა. ის უუფლებოა, უილაჯოა, ის მართლაც სათამაშო, დროის გასატარებელი ნივთია. და მით უფრო მძიმეა და აუტანელი მისი მდგომარეობა, რომ მას თვალი აქვს, ჰხედავს და—არ უნდა დაინახოს; ყური აქვს, ესმის და—არ უნდა გაიგონოს: გული აქვს, ჰგრძნობს და—არ უნდა იგრძნოს. „გლახის ნაამბობში" უხვადაა ძლიერი ადგილები, რომელნიც გულშემზარავი სინამდვილით გვისურათებენ ამ უილაჯო, შეურაცყოფილთა და შეურაცყოფისათვის მსხვერპლად განმზადებულ გლეხ-კაცთა.

როცა დათიკო ეკლესიის გალავანში წირვის გათავების შემდეგ პეპიას დაურიდებლივი ცინიზმით ეტყვის—„კაი საპროშტავი ყოფილა" შენი ქალიო, პეპია გამოურკვეველ, ნაღველითა და შხამით შეზავებულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდება. პეპია კარგად იცნობს, რა დაუნდობარი, „ცოდვის შვილია" დათიკო: ჰგრძნობს მოახლოვებული უბედურობის საფრთხეს, ჰგრძნობს თავის უილაჯობას, იტანჯება, და ამ ტანჯვისა და უილაჯობის გამოხატვა არამც თუ პეპიას, პოეტსაც უჭირდება. გამწარებული, უძლური მოახლოვებულ უბედურება - ძალმომრეობასთან საბრძოლველად, გაშმაგებული პეპია დაუზოგველად მუშტს-ღა იცემს გულში და მძიმე მწუხარებით გამოყენილი ცრემლი თვალებს უწვავს. თამროს დახსნის მიზნით პეპიასთან მისული გაბრო აი როგორი სურათის მოწმე შეიქმნა: „მე,—აგვიწერს

[1]) ილია ჭავჭავაძე—გლახის ნამბობი—ტ. II.გვ. 116—117.

გაბრო,—პეპიას შევასწარ თვალი სახლის დერეფანში. ის საწყალი დაჩოქილიყო და ლოცულობდა. მე ფეხაკრეფით მივეპარე და აქეთ ბოძს ავეტუზე. კარგა ხანს ბუტბუტებდა და გულში ხელს იცემდა ის უბედური მამა, ბოლოს თითქოს თავი დაივიწყაო, გულამომჯდარმა მაღლა ხმით შეჰბღავლა უფალსა:—შენთვის მომიბარებია ჩემი უცოდველი თამრო!.. ნუ გაუმრუდებ გზას!.. ღმერთო, მფარველო მართლისაო, ნუ დამანახვებ ჩემი შვილის მიწასთან გასწორებას!..

,,ადგა ის საცოდავი ადამიანის შვილი, ხელი თვალებზედ მოისო, თითქო ცრემლს იწმენდსო, ერთი კიდევ ჩაიკრა გულში ხელი და გაემართა სახლში შესასვლელად"[1].

როდესაც პეპიას გაბრო გაუმხელს, რომ ის მასთან საშველად, თავიდან უბედურების ასაცდენად მივიდა, სასტიკი სინამდვილის კარგად მცოდნე, ვაი-ვაგლახში გამოვლილი პეპია გაბროს უნდობლობით შეჰხვდება და ვით ეშმაკს, ისე გაურბის: ,,აი ხომ ჰხედავ,—ეუბნება პეპია გაბროს,—უილაჯო ვარ. ჩემი პირდაპირი მორევნა დიაღ ადვილია, მაგრამ მოტყუება-კი ძნელია. დაანებე მაგ გატკბილებულის ენით ჩემს ცდუნებასა, ჩემს საცოდავობაში მევე ნუ შემარევინებ ხელს. მე რაღა ცდუნება მინდა? თქვენ რაღა ოსტატობა გინდათ? მე რა შემიძლიან თქვენთან, ქვეყანა თქვენკენ არის. პირდაპირ ზოდით და მოწამლული ისარი მკარით გულში. რაღა ეშმაკობა გინდათ? რაც გინდათ, ისა ჰქენით. მე ღმერთს მივანდე ჩემი გულის წყურვილი,—ეუბნება უილაჯო პეპია,—იმას გაეცით პასუხი?.."[2]

მაგრამ გაბროს სახის-გამომეტყველებამ, მისმა გულწრფელმა ლაპარაკმა ამ უნდო ადამიანის გულშიც ნდობის შუქი შეიტანა. პეპია, ეტვითა და შინაგანი ბრძოლით მოქანცული, გაბროსაკენ მობრუნდება. უილაჯო, სასოწარკვეთილი პეპია ინსტინქტურად მძლავრად მოჰხვევს გაბროს ხელს და მკერდზე ზედ-დაკვდომით, ქვითინით ეტყვის: ,,შენს ღმერთს აპატივე, შენს ღმერთს!..—ბღაოდა საცოდავად პეპია,—ღმერთი ხომ მოწამეა, შენგან ავი არა გამიგია რა, მაგრამ რა ვქნა? რა ვქნა მე უბედურის დღისამ? შვილი მეღუპება, შვილი!.. ჩემი სისხლი, ჩემი ხორცი!.. ერთად-ერთი შვილი ცოცხალი მემარხება!.. გესმის ეს, ჩემო გაბრიელ! შვილს ვკარგავ, შვილს, მოდი და უნდო ნუ ვიქნები! შემინდევ! შენს ღმერთს აპატივე, თუ გაწყინა რამე ბებერმა, ჭკვა დაკარგულმა, უბედურმა მამამა. რა ვქნა? ჩემი შვილია, ჩემი გულ-ღვიძლია, ჩემო გაბრიელ! ვის მივენდო,

[1]) ილია ჭავჭავაძე—ბლახის ნაამბობი—ტ. II გვ. 101.
[2]) იქვე გვ. 102—103.

ვის, ამ ცოდვით სავსე ადამიანის შვილებში? ძმას არ ვენდობი, ძმას მაგ საქმეში... მაგრამ მაცდუნებ თუ არ მაცდუნებ, შენ კი უნდა მოგენდო. აჰა ჩემი საბელი ყელისაკ.. შენ იცი!.. გინდა, გველივით გამსრესე, გინდა—დამიხსენ წაწყმენდისაგან!.. შენ იცი და შენმა ყმაწვილ-კაცობის მადლიანობამ. მე არა შემიძლიან რა, ხო ჰხედავ!“ [1]

აი მძლავრი სურათი, ადამიანის გონებისა და გრძნობის ამფორიაქებელი, მტკივნეული სიმკვეთრით მაჩვენებელი გლეხ-კაცის ადამიანის უფლება-აყრილობისა!

პეპიას წინადგრძნობა და სჯა, ცხოვრების ვაი-ვაგლახში გამობრძმედილი, გამართლდა. გაბრო ვერ იხსნის პეპიას და მის ქალს. გაბრო დათიკოს მიერ არა მარტო ვერაგულად, უანგარიშოდაც განიწირა, რა წამსაც-კი მათი ინტერესი ერთი-ერთმანეთს შეეჯახნენ ცხოვრების გზაზე. მუხთლად დაიჭერენ გაბროს, მას მიაყოლებენ პეპიასაც. დათიკოს საზიზღარი მოქმედებისათვის გზას გასწმენდენ. ყველა ბატონის მომხრეა, ანგარებით აღჭურვილი ყველა ბატონის მორჩილია, ყველა მისი დამჭაშია: გლეხი გიტო, დიამბეგი, მოსამართლე მაზრისა თუ გუბერნიის მმართველი, ციხის ზედამხედველიც-კი. ყველა განურჩევლად უპატრონო, უუფლებო, უდანაშაულო გლეხს ერევა, სტანჯავს, სჩაგრავს.

საკმარისად მძლავრ ღია ფერადებში გადაშლის ავტორი უდანაშაულოდ დასჯილ, უფლება-აყრილ გლეხ-კაცთა განცდას „გლახის ნაამბობში“.

„პირველ ხანებში, რომ მომგონებია—მოგვითხრობს გაბრო,—ჩემი უბრალობა და ის ტანჯვა, რომელსაც მე მიმცეს, დაცემულვარ იატაკზედ და უილაჯობით მიწა მიღრღნია, კბილით ხორცი მიგლეჯნია, თითებიდამ ჩემი სისხლი მიწოვნია. ასეთი დღე დამდგომია. დრო ყოფილა, რომ შხამს გამოვაჟენთებდი, შხამს, ჩემის დაშხამულის გულიდამ და წვეთ-წვეთად ჩავაწურებდი ჩემს დამღუპველსა, რომ იქ შემხვედროდა... ღმერთო მაღალო, ნურა ქრისტიან კაცს, ნურა ადამიანს ნუ მიაყენებ იმ დღეს, რაც მე ხანდისხან იმ სატუსაღოში დამდგომია!.. შენი ჯოჯოხეთი იმასთან სამოთხეა“ [2].

---

[1]) ილია ჭავჭავაძე—გლახის ნაამბობი გვ. 103—104.

[2]) იქვე—გვ. 119.

მძლავრი და სწორია შეფასება ბატონ-ყმობის ძალმომრეობის ქვეყნისა!

მკვეთრია და ნამდვილი, თუმცა შემზარავი, ამ ქვეყანაში გამეფებულ გლეხ-კაცობის ტანჯვათა ასახვა! მძიმეა განცდა პეპიასიც, რომელსაც ასე ვერაგულად ააგლიჯეს მამის-ერთა ქალი, ნუგეში, იმედი. მძიმეა, სულის შემზარავი გმინვა ჯალათებს გაქცეული, მომაკვდავი პეპიასი ულრან ტყეში. ,,ვაი, ნეტავი ეხლა ჩემი თამრო დამანახვა,—მოჰყვა ისევ პეპია,—ნეტავი ერთი კიდევ თვალით მაჩვენა, რომ სული ტკბილად დამელია! ჩემო კარგო შვილო, ჩემო მამის-ერთავ, თამრო! სადა ხარ ეხლა? რატომ შენს საცოდავს მამას თვალებს არ დაუხუჭავ? რა შევცოდე სამაგიერო ღმერთს? მაგრამ, ღმერთო, კიდევ შენ გეხვეწები, უცოდველად ამყოფე ჩემი ობოლი გოგო!..“[1]

ასეთი თავბრუდამსხმელია მათი მდგომარეობა. სამართლიანია და ავტორისა და თერგდალეულთათვის დამახასიათებელი, შემაძრწუნებელი, სინამდვილის ხილვით და აღწერით მოწოლილი ბოლმის გამოძახილი პოეტისა: ,,ღმერთო! რამდენი ამისთანა ცრემლი იღვრება ამ შენგან გაჩენილ დედამიწის ზურგზედ, მაგრამ სიავე ადამიანისა აქამდის არ ჩაირეცხა“-ო.[2]

ი ლ ი ა ს ყურადღებას არ გამოეპარება ერთი მეტად საინტერესო გარემოება გლეხ-კაცის ფსიქიკაში. ეს მოვლენა იყო შედეგი ხანგრძლივი, საუკუნოების განმავლობაში გლეხის მიერ ბატონ-ყმობის მონობის უღლის ტარებისა. აი რატომაა, რომ, მიუხედავად ასეთი წარმოუდგენელი ტანჯვისა, დამცირებისა, ამ ,,უბედურთა“ გულში ჯერ კიდევ არა ჩანს ის ,,ბოროტება“, რომლის ჩანერგვასაც ხალხის გულში ილია მოითხოვდა დემონისაგან. ეს ,,ბოროტება“ მართლადაც საჭირო იყო ბატონ-ყმობის, ხშირად საარაკო, ძალმომრეობის ამოსაფხვრელად. ,,ბოროტება“ იყო საჭირო, რომ ამ ,,უბედურთა“ გულში მას შურისძიება გაეღვიძებინა. უამისოდ ადამიანური უფლების მოპოება უფლება-აყრილთათვის შეუძლებელი იყო. ტყუილად-კი არ უკეთებს ,,აჩრდილში“ (პირველ ვარიანტში) ილია შენიშვნას სიტყვებს ,,დემონს და ბოროტებას“—,,ეს ყველას ესმის, ვინც საქმეშია ჩახედებული“-ო.

ავტორთან ერთად გული გტკივათ, როდესაც გესმისთ პეპიას სიტყვები ღალადებისა გამძვინვარებულ მხეცთა ცხოვრებასა შინა.

[1]) ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე—გლახის ნაამბობი—გვ. 127.

[2]) იქვე—გვ. 104.

„გაბრიელ!—კიდევ რაღაც იმედით ეუბნება სულთმობრძავი პეპია,—ქვეყანაც დამილოცნია, თუ იმის ზურგზედ ჩემი თამრო უცოდველად დადის... თუ არა და წაწყმდეს ეს ადრე და მალე წასაწყმედი, მურტალის ადამიანის მურტალი სამყოფელი! მშვიდობით, გაბრიელ! შვილისაგან დაუტირებელი ვკვდები!.. უზიარებელი და მოუნანებელი მივდივარ სააქაოდან!.. მაგრამ მაინც კიდევ თუ შენს ბატონს ჩემი გოგოს ნამუსი შეუნახავს, უთხარი, რომ, როცა პეპია კვდებოდა-თქო, შენა გლოცავდა-თქო“.

აი ასეთი იყო ის ტანჯვის გოლგოთა, რომელიც ბატონ-ყმობამ ამართა და რომელზეც, უხმოდ, გულში სურვილ და ბოღმა ჩაკლული მწუხარებით იქლიტებოდა ცხრა მეათედი ხალხისა!

განა ადამიანის გულის შემაძრწუნებელი, ასე მძლავრად გადაშლილი სურათი, ბატონ-ყმობის ცხოვრებიდან ამოგლეჯილი, დიდი და ძლიერი პროტესტი არ იყო იმ თანადროულობისა, რომელსაც თავისი ბეჭედი უნდა დაესვა „საქართველოს მოამბისათვის“ და უდაოდ დაასვა კიდეც? თუნდაც მიუხედავად იმისა, რომ „გლახის ნაამბობი“ ცენზურამ მთლიანად არ გაუშვა, და „საქართველოს მოამბეში“ მისი ბეჭედა მეექვსე თავზე შეჩერდა.

განა ასეთივე მძლავრი, მოურიდებელი პროტესტივე არ არის ბატონ-ყმობის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის მესამე ნაწარმოები—„კაცია ადამიანი?!“, რომელიც გამოქვეყნებული იყო იმავე „საქართველოს მოამბე“-ში? განა ლუარსაბ თათქარიძე და მისი ბრწყინვალე კნეინა დარეჯანი, რომელნიც მოძრავ ლეშად გადაქცეულან, უძლიერესი დაგმობა და უარყოფა არ არის ბატონყმობისა, არა მარტო გლეხ-კაცის სასარგებლოდ, არამედ თვით ბატონებისაც? ბატონყმობა უნდა მოისპოს, რომ კაცმა ადამიანის სახე შეინარჩუნოს!—აი ძახილი, რომელიც აღშფოთებულად, გაბედულად, დასაბუთებლად ისმის ი ლ ი ა ს „კაცია-ადამიანში?!“.

ბატონ-ყმობა თავისი ძალმომრეობის პრინციპებით გლეხ-კაცებს ანადგურებს, უაზრო მანქანად, თუთიყუშად, მრავალ შემთხვევაში—გაშინაურებულ, ბატონის ერთგულ პირუტყვად გადააქცევს, როგორც მაგალითად ლამაზისეულს. საკმარისია გაიცნოთ ლამაზისეულის გარეგნული აღწერა, რომ დარწმუნდეთ ზემორე-გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში. „სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისეული,— აგვიწერს ილია ჭავჭავაძე,—ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი; ტანზედ ეცვა ხამის ჩითის კაბა, ჭუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა—

[1]) ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე—გლახის ნაამბობი—გვ. 128.

რა ფერისა იყო; კალთები აქა-იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან, ბოლოები სულ მომპალი და შემოფხრეწილი ჰქონდა; დახეულებიდამ გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალის საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშემო ჩამოკიდებული, მითომ და იუბკაა... თავზედ ეკრა შიგა-და-შიგ ამოფლეთილი ჩითმერდინი, ქალბატონის გამონაცვალი. იმ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვლილი, შავი,—უკაცრავოდ არ ვიყო,—წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭა-მუჭად ამოშვეროდა. ქუსლები—დახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წენგოსაგან შეღებილი ხელები, ცხვირპირი ქვაბების მურით მოთხუპნილი. აი ამ გვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისეულს“ ეძახდა და რომელიც გულხელდაკრებილი დაჰყურებდა ბალან-გაცვივნულ ხალიჩასა“[1].

აი ცოცხალი, მშვენიერი ნიმუში იმისი, თუ რა მდგომარეობამდის მიდიოდა გლეხი ბატონის ხელში! ჭეშმარიტად ცხოველია! მხოლოდ შესაძლებელია, უფრო ხშირად, ჩვეულებრივ შინაურ ცხოველთან შედარებით, უფრო დაჩაგრული და დაჩლუნგებული ინსტინქტით. აღარ არის საჭირო მოვიგონოთ ლამაზისეულის მდგომარეობა სხვა და სხვა მომენტში: საწერ-კალმის მოტანის დროს, მკითხავის მოყვანის ჟამს და სხვა. სურათი ადამიანის გაპირუტყვებისა შეტად ძლიერია და არამც თუ ბევრის, თითქმის ყველაფრის მთქმელია. საკმარისია მკითხველი გაეცნოს ლამაზისეულის მხოლოდ გარეგნულ აღწერასაც კი, რომ მკვეთრად იგრძნოს ბატონ-ყმობის გამათახსირებელი გავლენა და შეურიგებელი ზიზღით აღიჭურვოს ამ ინსიტუტისადმი.

მართალია, ზოგიერთს გლეხკაცს ბატონ-ყმობის უღელი საესებით ვერა სპობს. ბატონ-ყმობის ძალმომრეობა, თვითნებობა და გაჭირვებული ცხოვრება მათში ან აღძრავს სურვილს მათთან ბრძოლისას, შეურიგებლობისას, როგორც კაკო, ზაქრო, გაბრო, ან არა და ეშმაკობას ანვითარებს, განსაკუთრებით, როცა გლეხს გრძნობა-და გონება-დაჩლუნგებულ, დაძაბუნებულ ბატონთან აქვს საქმე, მაგ. დათო—თ. ლუარსაბ თათქარიძის „ერთგული ყმა“. მაგრამ ესენიც ფრთაჩამოყრილი, არაფრის გამკეთნი არ არიან. ახერხებენ მხოლოდ ცბიერებით მოიგონ გული ბატონისა. რასაკვირველია, ესენიც მონები არიან. მათ არ ძალუძთ გასწყვიტონ მონურ ცხოვრებასთან კავშირი.

მაგრამ ბატონ-ყმობა, ილია ჭავჭავაძის შეხედულობით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით ბატონებისათვისაც არ არის ხელსაყრელი,

[1]) ილია ჭავჭავაძე—„კაცია ადამიანი?!“—გვ. 174—175. ტ. II.

მათთვისაც განმანადგურებელია. მართლადაც, განა დიდი განსხვავებაა ლამაზისეულსა და მის ქალბატონ დარეჯანს შორის? არა. ისინი ორივე ერთისა და იმავე გარემოების შვილნი არიან. არც დარეჯანს უყვარს დიდი სისუფთავე. მისი ტანსაცმელი გნებავთ, თუ სახლი თავისი მოწყობილობით მშვენივრად მოწმობს დიასახლისის სიფაქიზეს. მთელი პირველი თავი ამ მხრივ მართლაც რომ chef d'oeuvre-ია.

თავად ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის აღწერა მშვენივრად ახასიათებს მის მფლობელთ „ერთსულიან და ერთხორციან“ ცოლ-ქმარს. რა გნებავთ აღინიშნოს? ძველი, გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი ჩალური; ძველი, ზოგან გადაქცეული ტყრუშული ღობე; დაღრეჯილად გადმოკიდებული ჭიისკარები; ძველი, „ჩინოვნიკის გულსავით უწმინდური ეზო“; ბნელი, დაუგველი საცხოვრებელი ოთახი. თუ იმისი აგურებ-ამოვარდნილი ფილაქანი; ფანჯრები, გაქონილი ქაღალდით გაკრული, თუ ფანჯრის გაქონილი ქაღალდი, ნემსით დაჩხვლეტილი, ზედ ხან გამოყვანილი გულით, ხან ჯვარით და ხან წარწერითაც ამის მაგვარი: „დათვი ხეზე როგორ გავა, იავნანიაო“! ან იქნება „ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა“, რომელიც კნეინას ადგომაზე, ყოველ „მის ბრწყინვალების, ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა“? თუ „კბილებ-ჩამტვრეული ბებერი დედაკაცის დაღებული პირსავით ერთი ამოუვარტლური, მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი?“ ან იქნება იმათი ოთახის სამკაული, აქა-იქ გაფანტული ოთახში, თითქოს პატრონთ თავის მოსაწონად, მაგალითებრ: „ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალ-ბალახა, ზურგიელის ნაპერი და სხვა ამ გვარი?

ეოთის სიტყვით, სახლ-კარის მდგომარეობა უკვე მეტერმეტყველურად მოწმობდა „ერთსულიანი და ერთხორციანი“ ცოლქმრის გონებრივ სიზანტეს, უინტერესობას, მათს გონებრივ და ზნეობრივ დაჩლუნგებას, მათს ხრწნას, როგორც ხორციელად, ისე ფსიქიურადაც.

მართლადაც, ამას თვით თავადი ლუარსაბ თათქარიძის და მისი კნეინა დარეჯანის გარეგნული შეხედულებაც მოწმობს. „თავადი ლუარსაბ თათქარიძე.—აგვიწერს ავტორი,—გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი,—უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ,—როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალებასა: თავი ისეთი მსხვილი,

რომ თითქოს იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსული, ტრფიალების ამღგზნები ფაფუკი ლაბები; დიდ-რონი თვალები, ყოველთვის დასისხლებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო! გაბერილი, მეტად განიერად გადმოგდებული, დიაღ პატივსაცემი და პატივცემული ღიპი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი მსხვილი ფეხები—ესე ყოველი ერთად და თვითეული ცალკე,—გესლიანად დაასკვნის ავტორი,— გაბლდათ თავად ლუარსაბის ,,ცით მონაბერის სულის'' ღირსეული სამკაული. ის ,,მონაბერი სული'' არსად ჩანდა, თითქო ჩამკვდარაო, ისე გა-შლილიყო მის ბრწყინვალების ქონშია''[1].

ასეთივე გახლდათ მისი კნეინა დარეჯანიც: ,,იგივე სიმრგვლე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარე პირი და იგივე სისულელე'' [2].

ამ ,,ერთსულიანი და ერთხორციანი'' ცოლ-ქმრის ცხოვრება მიმდინარეობს ასე: დღეევანდელი დღე ჰგავს გუშინდელს და ხვალინ-დელი-კი—დღეევანდელს. ,,ბედნიერი ცოლ-ქმარი'' სწორეთ ამით არიან კმაყოფილნი და ბედნიერნი. ყოველი ახალი ცხოვრებაში მათ აღელვებს, აჯავრებს, აწუხებს, შიშის ზარსა სცემს. სწორედ ასეთმა მზა-მზარეულმა ცხოვრებამ ყმის ხარჯზე და ხეტრგზე გამოიმუშავა ლუარსაბის და-მისი კნეინა დარეჯანის ზნე-ჩვეულებანი და მთელი მათი ეიწროდ შემოფარგლული უძარღვო მსოფლმხედველობა.

ლუარსაბის აზრით, ,,კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რო-მელსაც დღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდეე მაინც ვერ აავსო. მისი ბრწყინვალება,—ჩვეულებრივი შხამიანი დაცინვით შენიშნავს ავტორი,—თავის თავზედ ჰხედავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნიშვნელობას კაცი უსწავ-ლელადაც კარგად ასრულებს, ნამეტნავად ჯოგისა და ყმის პატრონი, ყ მ ი ს ა, რ ო მ ე ლ ს ა ც ჯ ო გ შ ი დ ი დ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ა რ ა ა ქ ვ ს'' [3].

ლუარსაბს იმდენადა აქვს შესისხლ-ხორცებული ბატონ-ყმობით შექმნილი მუქთა-ხორა ცხოვრება, რომ მას ბატონ-ყმობის გადა-ვარდნა ვერც კი წარმოუდგენია, თუმცა კი ახალი ცხოვრების ქროლვა, რომელიც მის აშმორებულ, ხავსმოკიდებულ, მაგრამ მიყუდროებულ ცხოვრებასაც ჰხვდება, მასშიაც რაღაც შიშის ინ-

---

[1] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე—,,კაცია ადამიანი?! ტ. II. გვ. 150—

[2] იქვე—გვ. 152.

[3] იქვე—გვ. 151—კურსივი ჩვენია.

სტინკტს აღვიძებს. ზეტად მხატვრულია ცოლქმრის და მათი რძლის ელისაბედის ბაასი ბატონ-ყმობის გადავარდნის შესახებ. მშვენიერად, ძლიერ მხატრულადაა გადმოცემული ბრძოლა მათში, ერთის მხრით რწმენის, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნა შეუძლებელია,—ასეა დაწესებული იმ თავითვე მამა-პაპით და მისი შეცვლა შეუძლებელია. „მე ვიცი, თათქარიძობას წამართმევენ!—გაჯავრებით ამბობს ლუარსაბი,—შარშან კი არ იძახდნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიცვლებიანო, ყმები—ბატონებადაო,—ვენაცვალე ღვთის მადლსა, იქაც ისე არიანო ბატონი ბატონადა, ყმა ყმადაო, როგორც აქა“[1]. კნეინა დარეჯანიც ამასვე ადასტურებს, რომ„ ბატონ-ყმობა ღმერთს დაუწესებია და თითონვე ღმერთი რად მოშლისო?“ მეორეს მხრით, მიუხედავად ასეთი რწმენისა, ელისაბედის ცნობა, რომ „ხმა გავარდნილა, ყმები უნდა ჩამოგვერთოსო“, ლუარსაბში რაღაც გამოურკვეველ შიშსა ჰქმნის, იქნება მართლა მოხდესო. „რა არ მომხდარა,—ცოტა დანაღვლიანებული და ჩაფიქრებული ეუბნება ლუარსაბი დარეჯანს,—ცოდვილ ქვეყანაზედ ჩვენის ცოდვებისაგან? ეგეც შეიძლება, რომ] მოხდეს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივდებაო, ნათქვამია; ხმა გავაგდოთ, რომ ტყუილია.“[2] შეშინებული ლუარსაბი მაშინვე დაუძახებს თავის ერთგულ შინა-ყმას დათას და დარიგებას აძლევს, ყველას უთხრას, რომ „ყმები ჩამოგვერთმევაო“ რომ ამბობენ, ტყუილია... ხელმწიფეს მოუწერია,—მოიტყუებს კიდეც ლუარსაბი,—რომ დავარჩობ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო“[3]. გაიმართება მშვენიერი დიალოგი. ავტორი ნიჭიერად გადაჰშლის დათას ჭკიან და ცბიერ ბუნებას,[4] რომელსაც ლუარსაბი და მისი კნეინა დარეჯანი ვერც-კი ჰხვდებიან.

ლუარსაბი ყველაფერს, რასაც კი ცელილება შეაქვს მის ცხოვრებაში, მტრულად ექცევა. ამიტომ სწავლასაც ის უყურებს, როგორც „ახლანდელ ჭირს“. ლუარსაბი ყოველთვის, როცა კი სწავლაზე მოუხდება ლაპარაკი, ყოველთვის წყენით და გულისტკენით ამბობს ხოლმე: „რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენ შვილებსა და... ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან?“[5] და ლუარსაბმა რომ დაამტკი-

---

[1]) ილია ჭავჭავაძე—კაცია ადამიანი—გვ. 183.
[2]) იქვე—გვ. 184.
[3]) იქვე—გვ. 185.
[4]) იქვე—გვ. 185—188.
[5]) იქვე—გვ. 151.

ცოს, რომ მართლა სწავლა ჭირია და უიმისოდ ცხოვრება არამც თუ შესაძლებელია, უკეთესიც არის, თავმოწონებით ასე ასაბუთებს: „მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარა ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაქკაცის ხელობაა,—ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!... კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი.“[1] აი ჩვეულებრივი, საუკუნოებით გამომუშავებული, იდეალი ბატონისა.

ლუარსაბის ცხოვრება „ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებული“, თითქოს ცხოვრების გარეშე იმყოფებოდეს. ის არა ფიქრობს ცხოვრებაზე და ცხოვრება არ ამჩნევს მას. ლუარსაბი განაგრძობს ცხოვრებას ინერციით. სცხოვრობს ისე, როგორც მისი მამა-პაპა. სხვანაირად მას არც უნდა. ის სრული კმაყოფილია. ღვთის მადლით ყველაფერი ბევრი აქვს: დოში, ბოზბაში, ჩიხირთმა, ორაგული, მოთალი, ცხვრის კანჭი, ღვინო, კაი პური და კარგი ყველი. ამაზე მეტიც მას არაფერი უნდა. მისი საუკეთესო დროის გატარებაა ცოლთან კამათი, თუ რომელი საპმელია უკეთესი. მათი ზრუნვა და ფიქრი მხოლოდ სმა-ჭამის გარშემოა[2]. დილიდანვე,[3] რა წამს გაიღვიძებდნენ ბედნიერნი ცოლ-ქმარნი, მაშინვე ჭამას დაიწყებდნენ და მთელი დღე მათი საზრუნავი და სალაპარაკო—სადილი და ვახშამი იყო.

დღემუდამ მზამზარეულად დამზადებული ჭამისათვის ზრუნვამ ლუარსაბი იმდენად დააძაბუნა, რომ მთელ დღეს ტახტზე გორაობაში ატარებდა. არამც თუ ჩაცმას, ადგომასაც-კი ვერ ახერხებდა. ასეთმა მდგომარეობამ, უზრუნველობამ და უფიქრო-უდარდელმა ცხოვრებამ დააჩლუნგა ლუარსაბის გონება. ბედნიერი ცოლ-ქმრის დროის გატარება, გარდა სმა-ჭამაზე მასლაათისა და კამათისა, ჭორების მოსმენა და ჭორაობაა (მე-IV-ხე თავი), მტრობა და შუღლი ძმისადმი, ცრუმორწმუნეობა, მკითხავის რჩევით ხატში სიარული და ცრუ თავმოყვარეობით გამოწვეული ტრაბახი (მეოთხე თავი). აგრეთვე საინტერესოა და დამახასიათებელი ლუარსაბის ალერსიანი ხუმრობა და გართობა ცოლთან (ჭერში ბუზების თვლა და მრავალი საალერსო ეპიტეტები). ყველაფერი ეს მეტად მკვეთრად ამჟღავნებს, რა მდგომარეობამდის მიიყვანა ბატონები ბატონ-ყმურმა

[1]) ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე—კაცია ადამიანი?!—თავი V, გვ. 151.
[2]) იქვე—გვ 151.
[3]) იქავე—გვ. 188.

მუქთახორაობამ; უზრუნველმა, მზა-მზარეულმა ცხოვრებამ ისინიც, როგორც ლამაზისეული, ცხოველად გადააქცია. ლუარსაბის და მისი კნეინა დარეჯანის ბუნებაში არც ერთი ძარღვი ცოცხალი ინტერესით არა ტოკავდა.

„მოკვდა ლუარსაბიცა,—ათავებს ლუარსაბის ცხოვრების აღწერას ავტორი,—ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენთაგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ... ნუ თუ ნახევარი საუკუნე იმისათვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიქვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზედ წაიწერონ, რომ „ჩუ“ წლამდინ თავადი ლუარსაბი თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილანო?“ სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ“.[1]—შეუბრალებლად ამთავრებს ილია.

ასეთია ბოლო ლუარსაბ თათქარიძისა და მისი ბრწყინვალე კნეინასი. ამ გმირების ცხოვრება და ხვედრი—ერთ-ერთი ნიმუშია ჩვენი თავად-აზნაურობის ხვედრისა და ცხოვრებისა. ბატონ-ყმობამ, ბატონის ძალმომრეობამ ყმაზე, ყმის უფლების აყრამ, ყმა, მართალია, შებორკა, არ მისცა გასაქანი მის ნიჭსა და შემოქმედებას, ხშირად უხმოდ ჩაჭლა ყმის კაცური „გულის დუღილი“, მაგრამ ბატონის ცხოვრებაც სრულს გახრწნილებამდის, განადგურებამდის მიიყვანა.

„კაცია-ადამიანი?!“ მშვენიერი ეპოპეიაა ჩვენი ცხოვრებისა. აქ ნაპოვნია და მოცემული მიზეზი ჩვენი ცხოვრების იმ მოდუნების, დაძაბუნების, დამჩატების, რომელიც თერგდალეულთ დაჰხვდათ რუსეთიდან დაბრუნებისას. ეს იყო ბატონ-ყმობა, რომელიც „მამა-პაპურ“ ძილში და წყვდიადში ახვევდა მთელ ჩვენს ცხოვრებას. მომავლის მაჩვენებელ ვარსკვლავს გამოურკვეველ წყვდიადში ჰფარავდა და ცხოვრებას წინ არ უშვებდა.

ამ ტრილოგიის დედა-აზრი აშკარად ასეთია—სანამდის ბატონ-ყმობა არ მოისპობა, ჩვენი ცხოვრების გადახალისება, ახალი საქართველოს შინაარსის ძიება შეუძლებელია. ამ დედა-აზრის განვითარება ილიას შემოქმედებაში სქემატურად ასეთია: „კაკო ყაჩაღში“ დაპირისპირებაა ბატონისა და ყმისა. იქმნება ორი მოწინააღმდეგე ბანაკი: ყველაფრის შემძლებელისა, ძალმომრე და თვითნება ბატონებისა და უუფლებო, ასეთს ცხოვრებას შეურიგებელი, პროტესტანტი ყაჩაღი-გლეხისა. „გლახის ნაამბობში“ სწავლაც ვერ აჯანსაღებს

1) ილია ჭავჭავაძე—კაცია ადამიანი?! —გვ.—257—258.

დათიკოს, ის, როცა კი სრულუფლებიანი მებატონე ხდება, გამძვინვარებულ ჩვეულებრივ მხეცად იქცევა. გლეხიც განაგრძობს ბრძოლას უფლებებისათვის. „კაცია-ადამიანი?!“-თ ილია გვაძლევს ბატონ-ყმობის განვითარების უკანასკნელ შედეგს—მზა-მზარეულმა ცხოვრებამ დააჩლუნგა ბატონის გონებაც, ნებისყოფაც და ზნეობაც. „კაცია-ადამინი?!“-თ ილია ჭავჭავაძემ საბოლოოდ ანდერძი აუგო არა მარტო ლუარსაბ და დარეჯან თათქარიძეებს, არამედ მთელს ჩვენს ბრწყინვალე წოდებას, როგორც ასეთს. ბუნებრიობა და დამახასიათებლობა თათქარიძისა და მთელი მისი ოჯახისა იმდენად ძლიერია, რომ მის ტიპიურობას ყოველი მკითხველი ჰგრძნობს. ლუარსაბ თათქარიძე ნამდვილი განსახიერებაა ბატონ-ყმობის ნიადაგზე დასნეულებული და დაკნინებული ჩვენი თავად-აზნაურობის ცხოვრებისა და ფსიქოლოგიისა.

რომ ლუარსაბ თათქარიძე აქ შემკრებითი ცნებაა, რომ ის ტიპია, და რომ მასასე უყურებდა თვით ავტორიც, ამას თვით ნაწარმოებში აქა-იქ გაფანტული ლირიკული ადგილებიც მოწმობს. მაგალითად: „იმდენი დღეგრძელობა ამის დამწერს ჰქონდეს, რამდენი იმის ტოლი თავადიშვილი იმის (ე. ი. ლუარსაბ თათქარიძის—მ. ზ.) ცხოვრებას შეჰნატროდა“[1], და სხვანი. მაგრამ ლუარსაბ თათქარიძე რომ ნამდვილი მხატვრული ტიპია, ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების მორევიდან ამოღებული, რომ „კაცია-ადამიან“-ში დახატული ცხოვრების ჭაობი საერთოა არა მარტო თათქარიძისათვის, არამედ მრავალთათვის, ამას ყველაზე უკეთესად და აშკარად გვიმოწმებს „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობა, რომელიც ოთხი რედაქციით არის შენახული[2]. ვინაიდან ეს წინასიტყვაობა მეტად საგულისხმიერო ა დასმული საკითხის გასაშუქებლად, ამისათვის ამონაწერი რომ ძალიან დიდი არ გამოგვივიდეს, მოვიტანთ მხოლოდ იმის ნაწყვეტს.

ილია ჭავჭავაძეს ჩვენი ცხოვრება ეჩვენება „ხავს მოკიდებულ გუბედ“, საიდანაც მეტად ცუდი ოშხივარი ამოდიოდა: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი მოეკიდებოდა, მუხლი, წინ წასადგომად მოცემული, დაეხუთებოდა... შიგ მეტად მრავალი ცხოველი მოჩანდა,—ამბობს ილია,—მათ შორის ორფეხა ცხოველებიც იყვნენ, რომელთაც ჩვენში ადამიანებს ეძახიან. ამ ადამიანებში ნამდვილი კაცებიც მოჩანდნენ, მაგრამ ძალიან ცოტა... ამ წუმპეს ქართველები სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიან, როგორც იმ ორფეხა ცხო-

[1]) ილია ჭავჭავაძე—კაცია ადამიანი? – გვ. 153—ტ. II.
[2]) ილია ჭავჭავაძე—ტ. II.—გვ. 293—309.

ველებს, რომელნიც შიგა ლპებიან, ადამიანებს". ავტორი მიუახლოვდა ამ გუბეს, შიგაც შეცურდა. სუნმა შეაწუხა. გამოსელა დააპირა, მაგრამ მოინდომა იქიდან რამდენიმე ცხოველის გამოყვანა. რომ „სიარულს ტყუიალად არ ჩაევლო", წაავლო ერთს მათგანს ყურზე ხელი და „ვაი-ვაის" და „მეტკინას" ძახილით ნაპირზე გამოათრია. მათ შორის იმართება საინტერესო დიალოგი:

— „ვინა ხარ?—ეკითხე მე,—რა სულიერი ხარ?

— კაცი ვარ, ადამიანი,—მომიგო იმან.

— რომ არ გეთქო, ღმერთი, რჯული, ვერ მივხვდებოდი. მართლა კაცი ხარ?

— თავი არ მამიკვდება! კაცი ვარ ადამის ტომისა, ყმისა და მამულის პატრონი; ლუარსაბ თათქარიძეს მეძახიან.

— თუ ადამიანი ხარ, მაგ დამპალ გუბეში ბაყაყებთან და ჭიაყელებთან რა გინდა?

— ბიჭოს!... მაშ სად უნდა ვიყო?

— კაცებთან, თუ კაცი ხარ.

— კაცები არ არიან, რომ აქ არიან? ათასია ჩემისთანა და ათასზედ მეტიც [1]. ბრმა ყოფილხარ.

— ეგ ჯერ ვინ იცის, მე ვარ ბრმა, თუ შენა. შენ ერთი ეს მითხარ, მაგ გუბეში არიან ისინიცა?

— გუბეში რას ჰქვიან, გიჟი ხომ არა ხარ? ჩვენი ცხოვრებაა ეგა.

— ზედაც გეტყობა.

— როგორც სხვას ეტყობა ზედა, ისეც მე...

— მაშ კაი ნიმუში ხარ შენ, ჩემო ლუარსაბ, თუ ეგრეა...

— რაღა მე წამავლე, შე უღმერთოვ, ხელი, ათასია სხვა ჩემისთანა.

— აბა უფრო მაგისათვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰგეგხარ და ათასი შენა! რაც ბევრს ეგვანები, უფრო კარგია. აქეთ მობძანდი, აქეთ, შენ ძვირფასი მარგალიტი ხარ.

წავავლე ყურზედ ხელი და გამოვსწიე. ლუარსაბი უგემურად დაიღმიჭა... და დამიყვირა... ლუარსაბის ყვირილზედ გამოცვივდა გუბიდამ ადამიანების ხროვა და ერთის ხმით დამიჭყივლეს.

---

[1]) კურსივი ყველგან ჩვენია.

— შენ ეი, რა გინდა მაგისაგან? გაუშვი, ეგ ჩვენი ძმა კაცია. არავინ არ შეასწროს თვალი, თორემ არ ვიცით, რასა ვიქთ.

— თქვენ რა, რომ ეს დაინახოს ვინმემ, აბა თქვენ რა?

— როგორ თუ ჩვენ რა? ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. ყველამ იცის, რომ დაბადების დღიფვე ეგ ჩვენთან იყო დაბმული, ვინც მაგასა ნახავს — მითომ ჩვენც უნახვივართ. ყველა იტყვის, ვისთან ეს ყოფილა — ყველა ამისთანა იქნებაო. ეს ჩვენ არ გვინდა, გესმის თუ არა?

— კარგად შემატყობინეთ, არ მესმის.

— აი ღმერთმა ნუ გაგაგონოს! როგორ არ გესმის? ჩვენი ლაფი მაგას აცხია და მაგისი ჩვენა, გაიგე?... მაგის შერცხვენა ჩვენი შერცხვენაა. ამოდენა ხანია, ვიმალებით ამ ოხერს ადგილას და ჩვენი სახელისათვის გუბიდამ თავი ვერ ამოგვიყვია, უცხომ არ დაგვინახოსო. დღეს კი შენ მოსულხარ, ქვეყანას უნდა გაჩვენოთო..

— მეც ეგ მიხარიან, რომ თქვენ ესა გგავთ და თქვენ მასა. იმისათვის მეძნელება ამის თავის დანებება, რომ კაი ნიმუშია.[1]

ამ წინასიტყვაობაში, რომელსაც თითქოს მაშინდელი აყაყანებული საზოგადოებისადმი პასუხის ხასიათიცა აქვს, მშვენიერად არის გადმოცემული ავტორის აზრი ლუარსაბ თათქარიძის პიროვნების და ცხოვრების ტიპიურობის შესახებ.

და განა „კაცია-ადამიანისთანა“ მძლავრი სატირა და აღშფოთება ბევრი დაწერილა და გამოთქმულა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ? განა ასე მკვეთრად ჩვენს მწერლობაში, პუბლიცისტური იქნებოდა, თუ მხატვრული, დანიელ ჭონქაძის გარდა, ვისმე უჩვენებია, რა საშინელებამდის მიიყვანა ბატონ-ყმობამ „კაცი ადამის ტომისა და მამულის პატრონი?“ და ეს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ უნიჭიერესი გვრგვინვა განა „საქართველოს მოამბეში“ არ გაისმა? და განა ეს არ იყო თანამედროების უძლიერესი გამოძახილი, რომელმაც ფერიცა და ხორციც ძლიერი, მიმზიდველი, ცხოველი და ძარღვიანი მისცა „საქართველოს მოამბეს?“ ამაზე მეტი განა შესაძლებელი იყო იმ ცენზურის და საერთოდ იმ უხანობის პირობებში?

ამისათვის სამართლიანად არ მიგვაჩნია თვითკრიტიკა „საქართველოს მოამბის“ რედაქციისა (ე. ი. „თერგდალეულთა“) — „ყველაზე დიდი ნაკლულოვანება ჩვენი ჟურნალისა ის იყო, რომ სხვათა შორის დროების ინტერესი არა ჰქონდა... არც ერთი ჩვენი ცხოვ-

[1] ილია ჭავჭავაძე — ტ. II — გვ. 307—308.

რების შინაგანი გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებს და რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერ კი სცადაო"...[1].

„საქართველოს მოამბე" სწორედ იმისათვის აღარ გამოვიდა შემდეგი წლიდან, რომ მან არამც თუ სცადა ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება (ე. ი. ბატონ-ყმობის შესახებ თავისი აზრის გამოთქმა), არამედ იგი საშინელი სინამდვილის გატიტვლებით, დაურიდებლივ, მკვეთრად გამოაჩინა მხატვრული შემოქმედების შემწეობით.

---

[1]) „საქართველოს მოამბე"—1863 წ. № XI.

VI

ხალხოსნური მიმართულების ელემენტები თერგდალეულთა შემოქმედებაში.

ჩვენი 60-იანი წლების ახალგაზრდობის, ე. წ. თერგდალეულების მოღვაწეობას და მსოფლმხედველობას ზევით რომ ვარკვევდით, აღენიშნეთ, რომ „ცისკარსა“ და განსაკუთრებით „საქართველოს მოამბეში“ მათ მიერ გამოთქმულ სურვილებსა და მისწრაფებაში და აგრეთვე ამ პერიოდის ლიტერატურულ შემოქმედებაში, შესაძლებელია მოვნახოთ დასაწყისი ჩვენი ხალხოსნობისა.

ილიას „მგზავრის წერილებში“ უკვე დავინახეთ ხალხოსნური ტენდენცია მოხევის მიერ ძველი თემური წყობილების უპირატესობის აღიარებით ახალთან შედარებით.

ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ გზა-„გახიდული“, ჯერ კიდევ ფეხ-გაუმაგრებელი ჩვენი თერგდალეულთა შემოქმედება ამ მხრივ საგულისხმიერო მასალას გვაწვდის. ზევითაც აღვნიშნეთ მათი სურვილი: „საჭიროა სკოლების გარდა,—აცხადებენ თერგდალეულნი „საქარ. მოამბის“ საპროგრამო წერილში,—ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალებაც, რომელმაც... გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკუის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა. ის საშუალება, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, თუ არა სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქნას შუამავალი მეცნიერებისა, ერთის მხრით, და ხალხისა და ცხოვრებისა, მეორეს მხრით[1]. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა... რა წამსაც მიხვდნენ, რომ... ხალხს მისი (ე. ი. ლიტერატურის—მ. ზ.) გაგება ეძნელება, მაშინვე

[1]) კურსივი ჩვენია.

გამოჩნდა საჭიროება იმგვარი ლიტერატურისა, რომელიც როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულ შუამავლობასა მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის. მაგგვარ ლიტერატურას ჰქვიან „პოპულარული ლიტერატურა"... იმიტომ რომ... მისი მიზანია... ძნელი მისახვედრი ცნობები საყოველთაო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცოდნები ხალხშია... ორმაგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენ „საქართველოს მოამბესაც" [1].

ან კიდევ: „ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით,—ვკითხულობთ იქვე,—იმის მეტსა, რომ აწინდელი ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის—ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა... აწინდელი ცხოვრების ვითარება,—აცხადებენ თერგდალეულნი,—არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვის თესლი ურევია, როგორც წარსულში ერევა აწმყოსათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელი ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვის" [2] ან კიდევ: „ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას,—აცხადებენ ხალხის სასარგებლო მოღვაწეობისაკენ გადახრილი თერგდალეულნი,—მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარს და მშიერთათვის მოსახმარსა და გამოსადეგსა" [3].

ამგვარი ციტატების მოტანა „საქართველოს მოამბიდან" კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვგონებთ, ესეც საკმარისია დასკვნისათვის, რომ ხალხსნობის იდეოლოგიის ელემენტები ჩვენ თერგდალეულთა მისწრაფებათა გრეხილშიაცაა ჩაქსოვილი.

ხალხსნური სიმპატია და სულიერი განწყობილება ჩვენი თერგდალეულებისა (ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს, ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი ს, რ ა ფ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს, ჭ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი ს და სხვათა) მხატვრულ შემოქმედებაშიაც მოსჩანს. და ეს ხალხსნური სიმპატიები გამოტანილი იქნა თერგდალეულების მიერ არა მარტო შემდეგ 70—80 წლებ-

---

[1]) „საქართველოს მოამბე"—1863 წ. № 1—საქართველოს მოამბეზედ. გვ. 119 — 120.

[2]) იქვე —გვ. 122.

[3]) „საქართველოს მოამბე" № 4 გვ. 124.

ში, როცა მათ დაკარგეს თავისებური სპეციფიკური ხასიათი, არამედ 60-იან წლებშივე „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზედაც-კი.

„გ ლ ა ხ ი ს ნ ა ა მ ბ ო ბ ი“ საინტერესოა არა მარტო, როგორც გადამხსნელი ბატონ-ყმობის განმანადგურებელი გავლენისა და მნიშვნელობისა, არა მარტო ბატონთა და ყმათათვის, არამედ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის,—აგრეთვე იმითაც, რომ „გლახის ნაამბობში“ ჩვენა გვაქვს მხატვრულ შემოქმედებაში მოცემული „ხალხისანის“ პირველი ტიპი—მღვდლის სახით.

როდესაც „გლახის ნაამბობში“ გამოყვანილი მღვდლის ტიპზე გვაქვს ბაასი, ჩვენს ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე თავის პოემაში „აჩრდილი“, რომლის პირველი ვარიანტი დაწერილი ჰქონდა 1858—1859 წ. წ., ხოლო მასზე მუშაობას ავტორი განაგრძობდა და უკანასკნელი რედაქცია დაამთავრა 1872 წ., მღვდელს გლეხის შემავიწროებელთა გუნდში (ბატონთან და ვაჭართან ერთად) აფავსებს:

„აგერა მღვდელნიც—ერთა მამანი—,
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა-რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ!
სად არის სიტყვა დიდი სწავლისა,
სიყვარულის და სამართალისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?“.

აქ კი, „გლახის ნაამბობში“, ხალხისათვის თავდადებული მოღვაწეობის გმირად სწორედ მღვდელია დასახული. რითი უნდა აიხსნას ეს გარემოება? ილია ჭავჭავაძის კლერიკალიზმით? ვფიქრობთ, არა. პირიქით, როგორც დავინახეთ, ილია ჭავჭავაძე სამღვდელოებას კარგად არ ახასიათებს. თვით „გლახის ნაამბობის“ მღვდლის უანგარო მოქმედება და პროგრესიული შეხედულებანი სავსებით ეწინააღმდეგება მის მიერვე დახატული სამღვდელოების ანგარიან და ანგარიშიან მოქმედებას.

აი რას ეუბნება გ ლ ა ხ უ კ ა გ ა ბ რ ო ს, როცა ის უფულობის გამო ვერ ბედავს მღვდელთან სწავლისათვის მისვლას: „შენ ხომ ამბობ—ფულიო,—აღტაცებით ეუბნება გლახუკა გაბროს,—ფული კი არა, სანთლით ეძებს შენისთანა მოწადინესა, რომ წიგნი ასწავლოს. ვი-

საც არ უნდა, იმდენს ეჩიჩენება, იმდენს ეჩიჩინება, რომ ძალად ანდომებს. მეც ასე მნახა აქ ქუჩაში... დამიწყო ლაპარაკი... ისე მოინადირა ჩემი გული ტკბილის სიტყვით... ბოლოს სწავლებაც დამიწყო. რა მე?... ათიოდ პატარა ბიჭები, ამ ჩვენს უბანში მოგროვილები, იმასთან დადიან და სწავლობენ. როგორც შენ, ისე იმან, იმათგან გროში არ იცის"...[1]

ერთხელ გლახუკას ჯამაგირი რომ აეღო, მოენდომებინა მღვდლისათვის ორი მანეთის მიცემა. მღვდელს გლახუკასათვის ერჩია ეს ფული თავის დედისათვის გაეგზავნა. როცა გლახუკას ეთქვა მისთვის, რომ მან დედას თავისი წილი გაუგზავნა და ეს გადაანარჩუნა, რომ მღვდელმა ის „ლოცვაში მოიხსენიოს", მღვდელს აი რა ეპასუხნა: „ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება"-ო... „ღმერთი, ჩემო ძმაო, მარტო კარგი საქმით იდიდება და არა ფულითო".

როცა გლახუკა თურმე არ მოეშვა, მღდელს ერჩივა: „შენთვის შეინახე: თუ მეტია შენთვის, იმას მიეცი, ვინც მე და შენზე ღარიბია, მაგას უფრო მოგიწონებს ღმერთი. აგერ, ამ თქვენი ქუჩის ბოლოს, ერთი ღარიბი სახლობა არის, პურის შოვნის ილაჯი არა აქვთ, მე და შენ კი ყოველ დღე მაძღრები ვართ"...

„ეს ისეთნაირად მითხრა,—განაგრძობს გლახუკა,—რომ არ დაიჯერებ, მაშინვე გამოვტრიალდი, ვიპოვე ის სახლობა და იმისთვის გადადებული ორი მანეთი იმათ მივართვი". ბოლოს გლახუკა ასე ათავებს მღვდლის დახასიათებას: „ნეტავი თვითონ ჰქონდეს რამე მაინც! ღვთის განაჩენი არა აბადია-რა. დღე-დღეურად ძლივს ცხოვრობს"[2].

ცხადია, „აჩრდილის" ავტორი მღვდელს ასეთ ფერადებში არ დაგვიხატავდა. ამ გარემოების ახსნა მე ასე მეხატება.

1) შესაძლებელია, ღვდლისა და რელიგიის სამოსელი ილიასათვის აუცილებელი იყო, რომ მას გამოეტანა ცხოვრებაში თერგდალეულთა მიერ აღიარებული ხალხის საკეთილდღეო მრწამსი. სხვაგზით მაშინდელი პირობების გამო ეს ძალიან ძნელი იყო.

2) მაგრამ ამასთან ერთად შემდეგი გარემოებაც, ალბად, ხელს უწყობდა: რუსეთის საზოგადო აზროვნებაში და ცხოვრებაშიც, როგორც თავის ადგილზე გვქონდა აღნიშნული, ამ დროს უკვე ირკვევა ტიპი ხალხში მოსიარულისა. ლოზუნგი—„ხალხში", რუსეთის საზო-

[1]) ილია ჭავჭავაძე,—გლახის ნაამბობი—ტ. II გვ. 51.
[2]) იქვე — გვ. 52.

გადოებაში, თუმცა ჯერ არ არის გადმოსროლილი, მაგრამ ეს ლოზუნგი საზოგადოების აზროვნებაში ეულკანურად ვითარდება. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ რუსეთის საზოგადოების სამოღვაწეო ასპარეზზე ამ დროისათვის მძლავრად წამოზვირთდა „რაზნოჩინეცი". ამან თავისებური რადიკალურ-დემოკრატიული დაღი დაასვა რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებასაც და შემადგენლობასაც.

ჩვენში კი იმდროინდელი ინტელიგენცია, ე. წ. თერგდალეულნი მხოლოდ თავად-აზნაურულია (დანიელ ჭონქაძე გამონაკლისია). ეს გარემოება, როგორც ზევითაც გვქონდა ნათქვამი, ერთი უდიდესი მიზეზი იყო ჩვენი 60-იანი წლების მოქმედების სიმჩატისა და სიდუნისა, შედარებით რუსეთის საზოგადო-აზროვნებასთან. თერგდალეულებს ახასიათებს კეთილშობილური დუღილი, გაღვივებული რუსეთის მოწინავე საზოგადოების აზროვნებით და, მის საშუალებით, დასავლეთ ევროპის უტოპიური სოციალიზმით. ასეთი სულიერი განწყობილება თერგდალეულთ კარგა ხანს შერჩათ, დაშლის შემდეგაც, რომელიც, ჩვენის აზრით, დაიწყო 1866—1867 წ.წ. მაგრამ უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თერგდალეულნი, აღზრდისა და ცხოვრების სოციალურ პირობათა გამო, მშრომელ მასებისაგან შორს იდგნენ, მათთან კავშირი არა ჰქონდათ და არც უნარი შესწევდათ დაკავშირებოდენ მას. ქართველი ინტელიგენტის მოღვაწეობას მასებში იმ დროს სრულებით ნიადაგი არა ჰქონდა მომზადებული. ჩვენ თერგდალეულთ ამ მხვრივ წინამორბედი არა ჰყავდათ.

ვინ უნდა აეღო ხალხისნურ მსოფლმხედველობას ნაზიარებ ილიას ხალხისნურ იდეების გასატარებლად ჩვენში? ინტელიგენტი? — არ გამოდგებოდა, რადგან ის თავად-აზნაურთა წრიდან იყო გამოსული. მას ხალხი ნდობით ვერ მოეპყრობოდა. ხალხის ცხოვრებას ის არ იცნობდა. მასთან მისვლა მას არ შეეძლო. „რაზნოჩინეცი" ინტელიგენტი, როგორც ტიპი, არ იყო. მიჰმართა მღვდელს, რომელიც სინამდვილეში ხალხთან ახლო იდგა. თუ სინიდისს არ უღალატებდა, იმას უფრო ადვილად შეეძლო ხალხთან მისვლა (უმეტეს შემთხვევაში, სოფლის მღვდელი ხალხის წრიდან იყო გამოსული). მართლადაც, „რაზნოჩინეცი"—სოციალისტურ მოძღვრების მიმდევარი ჩვენს სინამდვილეში სამოღვაწეო ასპარეზზე უფრო ამ წოდებიდან გამოდის 80—90 წლებში. სხვა გზა არ იყო. აკი პირველ „ხალხისნებს" და სოციალისტებსაც დაცინვის კილოთი „მღვდლისა"

და „დიაკვნის“ შვილებს ეძახდნენ სწორედ იმიტომ, რომ მათი უმეტესი ნაწილი სასულიერო წოდებიდან და სასულიერო სემენარიებიდან გამოვიდნენ.

ასეა თუ ისე, „გლახის ნაამბობში“ მღვდლის სახით ილია ჭავჭავაძე გვაძლევს, თუმცა მკრთალს, მაგრამ, ჩვენის შეხედულებით, მაინც ხალხოსანს.[1]

ამიტომ გვჯონია, ინტერესს მოკლებული არ იქნება, ჩვენი ყურადღება შევაყენოთ და უფრო ახლო გავიცნოთ, როგორაა „ხალხოსნური“ მისწრაფებანი მღვდლის პიროვნებაში მოცემული. აღვნიშნოთ მთავარი:

ხალხოსნობის ძირითადი მისწრაფება იყო—ხალხში გასვლა, „თუ არა სრულიად ხალხთან,—როგორც ჩვენს თერგდალეულებსაც აქვთ განზრახული,—მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, „შეიქმნეს შუამავალი მეცნიერებისა, ერთის მხრით, და ხალხისა და ცხოვრებისა, მეორეს მხრით, ძნელი მისახვედრი ცნობები საყოველთაო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცოდნა ხალხშია“.

აი სწორედ ხალხში „საქართველოს მოამბის“ ამ პრინციპების გამოსატანად და გასანაყოფიერებლად ილიას „გლახის ნაამბობში“ მღვდელი გამოჰყავს. მღვდელიც ხალხში მიდის, მისი ეკონომიური და სულიერი ცხოვრების (გლეხთა ერთმანეთში მორიგება მის შემ-

---

[1]) მღვდლის ტიპი მკრთალად არის დახატული. ამის მიზეზი შემოქმედების ტექნიკაში უნდა ვეძიოთ. მღვდლის შესახებ ცნობებს გაბროს ნალაპარაკევის წყალობით ვტყობილობთ. თვით უშუალო განვითარება მღვდლის მოქმედებისა მოთხრობაში არ არის. ეს, რასაკვირველია, სისუსტეა. გმირის მოქმედება მკითხველს უნდა იტაცებდეს. მკითხველი უშუალოდ უნდა იყოს მოწმე მომქმედი პირის მოძრაობისა. გადმოცემა სხვისი პირით, თუნდაც ავტორისა, გმირის მოღვაწეობის შესახებ, შთაბეჭდილებას ასუსტებს.

რით უნდა აეხსნათ ეს გარემოება? ნუ თუ ილია არ გრძნობდა ამასვ? ჩვენის ფიქრით, ილია ამას კარგადა გრძნობდა, მაგრამ ეს ხელოვნებაზე შეხედულების უტილიტარულმა მიმართულებამ წარმოშვა. ილია ამ პერიოდში, უფრო მეტად ვიდრე სხვა დროს, გატაცებულია ახალი, მოწინავე იდეებით. მისი მძლავრი სურვილია ჩვენში დაამყაროს რუსეთიდან გადმოტანილი ხალხოსნური იდეები. ხალხოსანის ტიპს ჩვენი ცხოვრების სინამდვილე ჯერ არ იძლეოდა. ეს ტიპი შექმნილი იყო უფრო პოეტის შემოქმედების ფანტაზიაში. ასეთი ტიპის უშუალოდ მოქმედებაში ასახვა ხელოვნური გამოვიდოდა, ამიტომ ავტორმა ამჯობინა მასზედ თხრობა. აკი პირველ ვარიანტში, სადაც მღვდელი არ არის გამოყვანილი, მოთხრობა მოქმედებაში მიმდინარეობს. ალბად, თვით ავტორმაც იგრძნო ეს უხერხულობა და უკანასკნელი სახე ამჯობინა.

წეობით) მასწავლებელია.[1] ის, მართლაც, პოპულარიზატორია, შუამავალია მეცნიერებისა, ერთის მხრით, და ხალხისა და ცხოვრებისა მეორეს მხრით. დავიმოწმოთ თვით ნაწარმოები.

გლახუკამ გაბროში აანთო ცეცხლი წიგნის სწავლისა. მღვდლის პიროვნებით და მის გაცნობის სურვილით გაბრო ძალიან დააინტერესა. გლახუკამ გაბრო წაიყვანა მღვდლის გასაცნობად, და აი გაბრომ რა ნახა იქ: ეკლესიის გალავანში მღვდელი ხალხ-გარშემორტყმული სწავლის საპიროებაზე ბაასობს. მღვდელი უკმაყოფილოა გლეხი პეტრეთი, რომელიც შვილს სასწავლებლად არ გზავნის. ხალხიც თითქოს პეტრეს შეხედულებას იზიარებს:

— „რას მიბრძანებთ?—ხალხის ხმით გულგაკეთებული პეტრე ეუბნება მღვდელს.—წელში ვერ გავსწორებულვართ, პირუტყვისავით მაღლა ვერ აგვიხედნია, სულ დედა-მიწას დავყურებთ, თითქოს ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო! ვინ ჩვენა და ვინ წიგნი!.., ჩვენი კალამი—დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ—გულ-ღვიძლიდან გამოწურული ოფლია!..

— მე მესმის, ჭკვიანო პეტრე, შენი გულის ვითარება,—უბრძანა დაღონებით მღვდელმა და მოხერხებულად სარგებლობს შემთხვევით ხალხს შთაagონოს სწავლის უპირატესობა და აუცილებლობა ხალხის ეკონომიური კეთილდღეობისათვის,—მე მოზიარე ვარ შენი გულის ტკივილისა. შენ გუთანი გირჩევნია წიგნსა, იმიტომ რომ შენი გუთანი დღეს პურს გაჭმევს... ეხლა ერთი ეს მითხარი: რომ არა გცოდნოდა, რომ ცეცხლში რკინა რბილდებოდა, საიდამ გააკეთებდი ბარ-საკვეთს, ცულსა, ეჩოსა, რომლითაც გუთნის ხესა სთლი? რომ არ გცოდნოდა, რომ ეგრე უნდა გამოყვანა გუთანსა, რით მოხნავდი მიწასა? რომ არა გცოდნოდა, რომელ მიწას როგორ უნდა მოხვნა,—ღრმად ჩაშვება ბარ-საკვეთისა, თუ თხლად,—რა გეშველებოდა?

— შენი მტერი იქნებოდა, მე ვიქნებოდი.

— საიდამ იცი ეს ყველაფერი?

---

[1]) მღვდელი ქალაქში ცხოვრობს, ქალაქის ეკლესიაში მოღვაწეობს. სცენა-კი წირვის გამოსვლის შემდეგაა, (გლეხ-კაცთა ყაყანი, ლაპარაკი, მღვდლის გარშემო მათი შეკრება, მღვდლის საუბარი მათთან სწავლის საპიროებაზე, სწავლა-განათლების მნიშვნელობაზე, გლეხკაცის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, გლეხ-კაცთა აზრი გუთნისა და ხვნათესვის მნიშვნელობაზე მათთვის)—სოფელში უნდა ხდებოდეს. ასეთი მდგომარეობა, მღვდლის ქალაქში ყოფნა, არ არის ბუნებრივი. ეს მხატვრული lapsus-ი უნდა იყოს.

— როგორ თუ საიდამ?.. მამა-პაპით, შენი ჭირიმე! მადლობა ღმერთს, თვალი მქონია—მინახავს, ყური მქონია—მსმენია, გულისყური მქონია—მივხვედრივარ, ხსოვნა მქონია—გონებაში ჩამრჩენია...

— კუჭს გიძღობს ეგ შენი ცოდნა?

— მაგას რაღა პასუხი უნდა, შენი კვნესამე! თითონ შენ კარგად იცი, რომ უმაგისოდ წყალში გადასაგდები ვიქნებოდი.

— ერთი ეს მითხარი კიდევ: რამდენი შენზე უფრო მცოდნე კაცია ქვეყანაზედ?

— რა ვიცი, შე დალოცვილო? მგონი, თავზე იმოდენა ბალანი არა მქონდეს: მჯობს მჯობი არ დაელევა.

— იმ მცოდნე კაცების ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა რომ შენსას ზედ დაემატოს,—კარგი არ იქნება? უფრო ადვილად არ გაიძღობ კუჭს, უფრო ცოტა ოფლით ბევრს არ მოიმკი?

— ღვთის წყალობა გქონდეთ, რომ კარგი ის იქნებოდა, მაგრამ ხათაბალა ეს არის, რომ თვალი იმათამდინ არ მიმიწვდება და ყური... ამოდენა დედამიწის ზურგზედ სად ვეძებო მე ისინი, რომ გამოვკითხო რამე?

— მე რომ გაჩვენო იმისთანა რამ, რომ მთელის ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიან კაცების ნაცადი, ცოდნა, თუ მოინდომებ, სულ მუდამ ხელთა გქონდეს, ერთი სიტყვით, რომელ ჭკვიან კაცთანაც გინდა, შორიდანვე გალაპარაკო,—რას იტყვი?

— იმას ვიტყვი, რასაც მთელი ქვეყანა ლაპარაკობს: ეგ ხომ მისნობა იქნება.

აბა მაგისთანა მისანია წიგნი"[1].

ასე დააბოლოვებს გამარჯვებული მღვდელი და შემოკრებილ გლეხ-კაცებსაც შეაგნებინებს სწავლის და წიგნის მნიშვნელობას თავისი პოპულარული გასაგონი ენითა და მაგალითებით.

თუმცა ციტატა დიდი გამოგვივიდა, მაგრამ ეს ადგილი მეტად საინტერესოა მღვდლის დასახასიათებლად, როგორც ხალხში ცოდნის გამტანის, ხალხთან და მის ცხოვრებასთან ახლო მისულისა. მღვდელს, როგორც ბევრს ხალხოსანს, პირადი ცხოვრება დაუვიწყნია (მარტო დედა ჰყავს?), ხალხის ბედნიერებისათვის იწვის. თვითონ საინთლით ეძებს, ვისაც სწავლა უნდა. იმ უბნის ბავშვები შეკრებილი ჰყავს და გულმოდგინეთ ასწავლის. არა მარტო ბავშვებს ასწავლის, არამედ როგორც ვხედავთ, ხალხში გასულა, ხალხის ცხოვრებისა და გაჭირების ცოდნით და თავისი პირწყლიანი მადლიანი ლაპარაკით ხალხში სწავლის აუცილებლობის შეგნება და სიყვარული შეაქვს.

---

[1]) ილია ჭავჭავაძე,—გლახის ნაამბობი—ტ. II გვ. გვ. 54, 55, 56.

სწავლებაში მღვდელი არამც თუ სასყიდელს არა სთხოვს, პირიქით, როცა ამას გაუხსენებენ და შესთავაზებენ, ის უხერხულობას გრძნობს. უარს ამბობს გასამჯელოზე და ცდილობს მასთან ცოდნისა და ნამდვილი ცხოვრების დასაწაფებლად ახლად მოსულს ჩაუნერგოს, რომ ერთი-ერთმანეთისადმი დახმარება ყოველის მოვალეობაა. „ეგრეა ყველაფერი, ჩემო ძმაო,—ეუბნება მღვდელი გაოცებულ გაბროს,—დიდი თუ პატარა ერთი-ერთმანეთისათვის საჭირონი ვართ, თუ დღეს არა, ხვალ მაინცა. არა შემიძლიან რაო?.. კაი კაცობა არ შეგიძლიან?.. ბაშ რაღა კაცი ჰყოფილხარ?.. მე შენ დამიჯერე, წადილი იყოს, თორემ შეძლება ყოველთვის იქნება. აი, ვთქვათ, შენ ხომ წიგნს ისწავლი,—შენც მონახე შენისთანა კაი ბიჭები და იმათაც ასწავლე, ვალს მაგითი მოიშორებ; ვითომ იმათთვისაც მე მისწავლებია და მე მიქნია სიკეთე. მეტი რა მინდა“...[1] ასეთი გზა მოქმედებისა ხომ ხალხისნების ნამდვილი მისწრაფება იყო. ხომ იმათაც ასეთი გზით უნდოდათ ახალი ცხოვრების მშედელთა რაზმების გადიდება და რამოდენიმე წლის შემდეგ (სულ ხუთი ექვსისა)მძლავრი რაზმის შედგენა.

მღვდელი, როდესაც გაიგებს, რომ გაბრო ყმაა, „უგემურად გაიქნევს თავს“, და მით უფრო ხალისით დაიწყებს მასთან მუშაობას. ჯერ კიდევ გამოუცდელი გაბრო „ვეფხის ტყაოსნის“ კითხვის დროს ავთანდილის და შერმადინის ამბავს რომ წაიკითხავს, აღტაცებით წამოიძახებს: „ვენაცვალე შენს დამწერსა! აი ბატონ-ყმობა თუ იყოს, ამისთანა“-ო. მღვდელი დაფიქრებული ეტყვის გაბროს: „მართალი ხარ! უარესს ეგა სჯობია—მაგრამ იმას კი არა შეედრება რა, როცა ცა ქუდათ გაქვს და დედა-მიწა ქალამნადა“. ამას მისდევს მშვენიერი დიალოგი, სადაც მღვდელს მიზნად აქვს გაბროს შეაგნებინოს ყმის უმწეო მდგომარეობა ხელზე გაგეშილ მიმინოს მდგომარეობის დახატვით პატრონის ხელში[2].

ამასთან ერთად მღვდელი ძმა და მეგობარია უბედურთა, დავრდომილთა და დამცირებულთა. მისი კეთილი მოპყრობა მათდამი მოწმეთ რაღაც საგონებელში აგდებდა. „ბატონი რომ,—მწარედ იგონებს გაბრო,—სადილიდან ჩამორჩომილ ნესვის ქერქს მომიგდებდა, მაშინვე მუხლებზე საკოცნელად კინწისკვრით წამაბარბაცებდნენ. ამან კი ობოლს, ოხერს ძმობა დამიპირა, ყმასთან არ ითაკილა ძმო-

[1]) ილია ჭავჭავაძე—გლახის ნაამბობი—გვ. 65. ტ. II.—კურსივი ჩვენია.
[2]) მისივე — თავი VI—გვ. 81—86.

ბა, ყმასთანა, რომელსაც, როცა კი ბატონი მოიწადინებს, ქოფაკს ძაღლზედაც გასცვლის"[1].

თვით ღარიბი, არაფრის მქონე, ღარიბებს, ქვრივ-ობლებს, ავადმყოფებს არა მარტო რჩევას, დარიგებას, არამედ წამალს და სხვა მატერიალურ დახმარებასაც-კი უწევს. საგულისხმიეროა სცენა დაბეჩავებული, ღარიბი, ავადმყოფი ქმრის მყოლ დედაკაცთან, რომელსაც ნუგეში სცა თავისი რჩევით, დახმარებით და უფრო კი ადამიანური მოპყრობით, და როცა მღვდლისაგან ნუგეშცემული დედაკაცი გავიდა, ცოცხალ მაგალითზე და განცდის ქვეშ მღვდელი გაბროს ეტყვის: „კაი კაცი იყო მაგისი ქმარი. მართალია, გამოწურულ ოფლში ამოვლებულ ლუკმასა სჭამდა, მაგრამ კაი კაცობაც მაგაშია; მაგით რჩებოდა ის და არჩენდა თავის ცოლ-შვილსა, ეხლა რა ეშველება"[2]. თითქოს ამით უნდოდა შეუმჩნეველად გადაება თავისი ნიჭიერი მოწაფის გული გაჭირებული ხალხის გულთან.

აი კიდევ ერთი შემთხვევა მღვდლის თავ-დადებული მოქმედებისა. გაბროსთან მღვდელი მეცადინობს. ქუჩიდან ხმაურობა შემოესმის. მღვდელი საჩქაროდ გარეულ გავა. ხედავს, აღელვებულ მდინარეში კაცი ირჩობა. ხალხი შეკრებილა და შეწუხებული უცქერის მსხვერპლს. მშველელი არავინ არის. მღვდელი დაუყონებლივ შეცურდება მდინარეში. დიდის ბრძოლით და თავის გამწირავი მოქმედებით გადაარჩენს კაცს, გამოიყვანს ნაპირზე და სანამდის არ დააბინავებს, არ წავა სახლში, მიუხედავად იმისა, რომ სველია და თრთის. ამის შემდეგ მღვდელი მძიმედ გახდება ავად. როცა მღვდელი ცოტა გამორჩება, გაბრო ეტყვის: „მეტის მეტი თავ-გამომეტებული ყოფილხარ. თუ შენი თავი არ გებრალებოდა, დედაშენს მაინც შეიბრალებდი. უფრო ცოდვა არ იქნებოდა, რომ მოხუცებული დედა უპატრონოდ დაგეგდო ამ ტრიალ ქვეყანაზედ?"-ო— „ცოდვა ეგ კი არ არის,—უპასუხებს დასუსტებული მღვდელი,— ცოდვა ის არის, ჩემო ძმაო, როცა შვილი დედის ჭირნახულს ყვავილებს არ გამოატანინებს, როცა დრო მოუვა... ღმერთმა შეძლება მომცა და ინება ჩემის ცოდვილის ხელით იმ კაცის მორჩენა. თუნდ ეგ არ იყოს დამეციქ თავი გამეფუჭებინა, რა ცუდ საქმეზედ გავიფუჭებდი თავსა! ხომ უნდა მოვკვდე დღესა თუ ხვალე, ის არა სჯობია ღვთისა და... გეტყვი ეხლა

---

1) ილ. ჭავჭავაძე—გლახის ნაამბობი—გვ. 84—86.
2) იქვე—გვ. 63—64.

კი, კაცის სამსახურში (აქ მღვდელი გაწითლდა) ამომივიდეს სული...[1] სიცოცხლე, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა"[2].

ასეთია, შეიძლება მკრალი, მაგრამ საყურადღებო სახე პირველი ხალხოსანისა ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში. ერთი კი ცხადია. ეს ის, რომ „ხალხოსანი" თავის ბედს მუდამ გადააბამს ხალხის მასების, მის მდაბიო ნაწილის და უბედურთა ბედს. ასეთი სულიერი განწყობილება დაცულია შემდეგი ჩვენი ხალხოსანი მწერლების ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის, ეკ. გაბაშვილის და სხვათა შემოქმედებაშიაც.

2

თუ თერგდალეულთა შემოქმედებაში ხალხოსნური მიმართულება აშკარად და მთლიანად არ არის გატარებული, სამაგიეროდ გარკვეულად შეგვიძლიან ესთქვათ, რომ ხალხოსნური იდეოლოგიის საფუძვლები ჩაქსოვილია მათს ნაწარმოებში. ამის დამამტკიცებელია ის დემოკრატიული ნაკადი, რომელიც თვალსაჩინოდ აფერადებს მათს შემოქმედებას.

დაჩაგრულისათვის ზრუნვა, შეხედულება, რომ მომავალი დაჩაგრულთ ეკუთვნის, მათი მომავლისათვის მომზადება, მათი ცხოვრების ასახვა, მათი უმწეო ცხოვრების გაუმჯობესობისათვის თანამოზიარეთა რაზმის გადიდება—ეს ხომ მთავარ დევიზად დაისახა რუსმა ინტელიგენციამ 60-იანი წლებიდან. ხომ ამასვე ემსახურებოდნენ ჩვენი თერგდალეულნიც!..

აკაკი წერეთელიც ამ მხრივ ღვიძლი შვილია თავისი დროისა. ხალხის უმწეო მდგომარეობის ამსახველი სურათები მის ნაზ და მდიდარ ლირიკაში უხვადაა მიმობნეული.

„ივერულ ნანინას" აკაკი ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ახალ-შობილს შვილებს უძღვნის. ცხოვრებას ახალს, თავისუფალს, ადამიანურს ულოცავს მათ. დამცირებასა და ნაკლებობაში გამოცდილ დედას შვილისადმი შემდეგს ათქმევინებს: „მამიშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო! შენი ვარსკვლავი სხვა არის!—ბედმა გიცინაო!" ბატონ-ყმობის გადავარდნით ბედნიერი დედა აი მომავლის როგორ სურათს უშლის თავის ჩვილს:

„გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო;
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც გაგტეხს ვალიო;

---

[1]) კურსივი ჩვენია.

[2]) ილია ჭავჭავაძე—გლახის ნაამბობი, გვ. 81, 83. ტ. II.

შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო;
პ ი რ ი ს ა დ ა თ ვ ა ლ ი ს ა გ ან გ ი ხ ს ნ ი ს უ ფ ა ლ ი ო!
დიდი კაცის შვილს სკოლაში გვერდთ მოუჯდებიო,
აბა შენ იცი, ბიჭოჯან, როგორ ეცდებიო;
ძველ ბატონის შვილს სწავლაში ნუ ჩამორჩებიო.
გლეხსა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო!..
შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო“ და სხვა.

ა კ ა კ ი გლეხის დედის პირით არა მარტო ბატონების ჩაგერას აღნიშნავს, არა მარტო მათი მონობისა და უადამიანობის უღლიდგან განთავისუფლებას ხარობს, არამედ სხვა, მეორე ბატონის, უფრო უდიერის, „ჩინოვნიკის“ მტარვალობიდანაც. „ჩინოვნიკი“ ხშირად აორ-და-ასამკეცებდა გლეხის უმწეო და უბედურ მდგომარეობას. ამისათვის დედა ამ „ნანაში“ შვილს დარიგების დროს არამც თუ მათ უდიერ მოპყრობას ივიწყებს, არამედ მათდამიც უნდობლობას და სიძულვილს უწვეთებს შვილს გულში;

„ჩინოვნიკებიც არიან ჩვენი გამწვალეო:
ჩვენ საქმეზე როცა მივალთ, გვეტყვიან: „ხვალეო“,
და ჩვენ როცა დაგვსაქმებენ, მაშინ კი—„მალეო“
ამას შენ ვეღარ გეტყვიან, შენ გენაცვალეო.
შენ ვეღარ დაგიბრიყვებენ, თუ რომ თავი სცანო!“

ასეთი დიდი ისტორიული აქტით [გამხნევებული და იმედმოცემული პოეტი დედას შვილისადმი სიმბოლიურად ათქმევინებს: „მაშ ნუ გძინავს! გაიღვიძე! იცან ქვეყანაო!“.

აკაკი წერეთელმა გლეხის უმწეო მდგომარეობა კარგად იცის. ის ბავშობისას ძიძის ოჯახში, გლეხ-კაცის ცხოვრების სინამდვილეში ექვსი წლის განმავლობაში ტრიალებდა. ეს ცხოვრება პოეტს შეგნებასა და მეხსიერებაში მეტად მკვეთრად ჩაეტეედა. მეიდროდ გაება კავშირი პოეტსა და გლეხის შორის, ეს კავშირი ხალხისა და პოეტს შორის არასოდეს არ გაწყვეტილა. ხალხის ცხოვრების მაჯის ცემა პოეტისათვის ნაცნობი იყო. ხალხის გაჭირვებული ცხოვრებით გამოწვეული კვნესა პოეტის ჩანგზე ხშირად მკვეთრ გამოძახილს პოულობდა. ამიტომ აკაკის ლირიკაში საკმარისად მკაფიოდაა ასახული გლეხ-კაცის უმწეო მდგომარეობა.

პოეტის შეხედულობით, ამ ცხოვრებაში ყველა ფარისევლობს, ყველა ერთმანეთსა სჩაგრავს თავისი პირადი კეთილ-დღეობისათვის. ერთგვარი შეჯიბრებაც-კი გაუმართნიათ სხვის უბედურებაზე პირადი ბედნიერების აშენებისათვის:

„მხოლოდ საწყალ მიწის მუშას
არავინ ჰყავს გამკითხავი,
მისის ოფლით თავს იკვებენ,
ქურქად მიდის მისი ტყავი!“[1].

მიუხედავად ცხოვრების ასეთი მძიმე პირობებისა, გლეხში მორალური სიმძლავრე და გამბედაობა შენახულია. ის არ შეჰნატრის ზოგიერთს, რომელიც „საწყალ კაცს ჯიბეს აჭრის, ურცხვად ივსებს ქისასა“... რომელსაც „არ უნდა სხვას მოსტაცოს, არ უნდა „სიხარბით თვალები დაიბნელოს“. ის შეჰხარის გუთანს, სახნისს, ხერხსა, ხელეჩოსა, სატეხსა, ნაჯახ-ცულსა. მას, რაც მისი „ურმის არ არის, სახლში არ შეუტანია“, მას არ უნდა ის, „რაც მას თავისი ოფლით არ გაუბანია“[2] ის მუშაა, ამით მას თავი მოაქვს. მამლის ყივილისას უნდა სამუშაოდ წამოდგეს, მეტს ძილს ერიდოს, როგორც ჭირსა და სნებასა. ფხიზელ დარაჯად უნდა ედგას თავის თავს, თორემ, როგორც თვითონვე გამოუცდია და უნახავს გლეხ-კაცის ცხოვრებაში—„თუ თავი წაართვა, დააბეჩავებს ტიალი“.

ყველა ეს გლეხისათვის სასიამოვნო, ცხოვრების შინაარსის და კმაყოფილების განცდის მიმცემია. შრომა მას-კი არ აშინებს, როგორც ფუფუნებასა და უზრუნველობაში აღზრდილთ, არამედ ამხნევებს, ძალას აძლევს.

ზოგიერთი ლექსი აკაკი წერეთლისა იმდენად ძლიერია გლეხ-კაცის ცხოვრების სინამდვილის ასახვით, ლამაზია გარეგნული ფორმით და მუსიკალურია წყობით, რომ ხალხმა, მათი დაბეჭვდის უმალ, ისინი გაიტაცა თავის წიაღში, თავის სიმღერად გადააქცია და მღერის, თითქოს მისი ტანჯვისა და უბედობის ჰიმნი იყოს. ასეთია „მუშური“ აკაკისა, ეს გლეხის მძიმე ეკონომიურ და უფლებრივ პირობებში შექმნილი ვაი-ვაგლახის მწუხარე სიმფონიაა.

„სიმინდსა თოხნა დაეუწყოთ,
ერთხმად დავძახოთ მუშური;
ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს,
რომ გლეხნი ვართ უბედური!

—

მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისაც გვმართებს სამსახური,
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი
უპატრონო, უბედური!

---

1) აკაკი წერეთელი—ახალი გზა.
2) მისივე—მუშის ნატვრა.

ყველა თავში გვიჩაჩქუნებს
გარეშე და შინაური;
ცხელსა მიწას უხვად ალბობს
ოფლი ჩვენგან მონაწური.

———

ჩვენი ჯაფით მონაყვანი
სხვასთან მიდის საზრდო პური,
შიხ ცოლ-შვილს სიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?

———

მათსა საზრდოს სხვა იტაცებს,
სტირის ცოლი მეძუძური,
შიმშილისგან რძე უშრება,
წივის შვილი უსუსური.

———

ღმერთს ბატონად მოუცია
ჩვენთვის ერთი აზნაური,
მისთვის სუყველა ჩვენა ვართ—
მებეგრეცა და მსახური".

მიუხედავად ბატონის ასეთი მოქმედებისა, გლეხ-კაცი ყოველ-მხრივ ცხოვრებაში იმდენადაა შეეიწროებული, იმდენად უუფლებოა, რომ უბატონო ყოფნაც თითქოს არ უნდა, რადგანაც „მაშინ ყველა მისი ბატონია" და ბედგომარეობა მისი უფრო გაუარესდება. მაშინ „გამკითხავი სადღა არის!".. მაგრამ ასეთი უკულმართი ცხოვრების სქელ ნისლში მყოფი გლეხ-კაცი გრძნობს, რომ მშრომელი კაცის ასეთი პირუტყვივით დამონება შეუძლებელია. მას უკეთესი ცხოვრების იმედი ესახება. მის მოლოდინში მას „შავი ბედი" ველარ ერევა, საოცრად ჰფარავს ჭირსა და უსაყვედუროდ დადის. საერთოდ იმედი უკეთესი მომავლისა დამახასიათებელია თერგდალეულთათვის.

ჭ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი ს შემოქმედებასაც ასეთი მისწრაფებათა ბეჭედი აზის. მისი სიმპატია და გულისყური მშრომელისაკენაა მიმართული:

„ვინც მუდამ მიწასა სჩეჩავს,
ან ჩაქუჩით ქვას ამტვრევს,
ვინც კალოზე პურსა ლეწავს
და ლუკმა პურს თავს აკმევს,—

. . . . . .

ვინც გუთანს მისდევს ოფლით
და მუშურს აღიღინებს,
ვინც ტვირთითა და ოხერით
ცოლშვილს ძლივს ღა აპურებს",—

ჭალადიდელი ამათ უგალობს, ამათ შეჰხარის, ამათ აქებს და ადიდებს. პოეტი გადამდები ხალისით და პატივისცემით შესძახებს:

„აფერუმ მისსა შრომას,
ქება იმისს ოფლის წვეთს,
ქება მუშის მუშურ ხმას
და მის მარტოხელა ბედს!"[1]

ამიტომაა, რომ ჭალადიდელის მუზა გლეხს-მშრომელს და მის „მთა-კორტოხზე წამოდგმულ უფიცრო და უყავარო, წვრილის წკნელით ჩახლართულს" ფაცხას, ვით ფარვანა სანთელს, დასტრიალებს. პოეტი ადარებს „არ მორთულ" ფაცხას მოკაზმულს—გალაქული „პოლით" სახლს. მას პირველი „ღარიბული, არ მორთული" ფაცხა უფრო მოსწონს, ვინაიდან „მორთულ სახლში" მცხოვრები „ჭრელია და ორგული", ფაცხაში კი—„კეთილი".[2]

ამ ლექსში პოეტი ერთიერთმანეთს უპირისპირებს ორ წრეს—შეძლებულებს და ღარიბებს. პირველთ მდიდრული, კმაყოფილი და მხიარული ცხოვრება მას არ იზიდავს, ღარიბთა სადა ცხოვრება-კი მას იტაცებს. აქ, ღარიბთა ცხოვრებაში, პოეტი ჰხედავს საღს ნაკადს ცხოვრებისას და მას სწამს, რომ „მამულ-დედულის და შრომის მოყვარული" სწორედ ამ ფაცხაში ცხოვრობს და იქიდან გამოვა.

ნათქვამიდან აშკარაა, რომ თერგდალეულთა გულისყური და სიმპატია მშრომელი ხალხისაკენაა მიმართული. მომავლის ინედს (და ეს იმედი მათ სწამთ) თერგდალეულნი მშრომელის შრომასა და შემოქმედებაზე ამყარებენ.

---

1) ჭ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი—ქება შრომას—„დროება" 1869 წ. №40
2) მისივე—ფაცხა—„დროება", 1870 წ. № 10

VII

თერგდალეულთა მსოფლ-მხედველობის ჩღვევა და მისი მიზეზები.

1.

თერგდალეულნი საქართველოში დაბრუნების პირველ დღიდანვე ლამობენ კავშირი გასწყვიტონ ძველს, სიზმრიან და ბურუსიან, პატრიარქალურ საქართველოსთან და შესდგნენ რეალისტური შემოქმედების და მოქმედების გზაზე, მისდიონ „ახლა სხვა ვარსკვლავს", რათა შვან მათ მყოფადი და ხალხს მისცენ მომავალი. ამ მისწრაფებათა და გეზის დაცვა თერგდალეულთა მთელ თავის ცხოვრების და მოქმედების მანძილზე შერჩათ. ეს უფრო გარკვევით ასე შეიძლება გამოვსთქვათ: სამი საკითხი:—დ რ ო მ ო ქ მ უ ლ ი, პ ა ტ რ ი ა რ ქ ა ლ უ რ ი ტ რ ა დ ი ც ი ე ბ ი ს ა გ ა ნ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა ჯ ა ნ ს ა ღ ე ბ ა, ბ ა ტ ო ნ-ყ მ ო ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ა დ ა ე რ ო ვ ნ უ ლ ა დ მ თ ლ ი ა ნ ი, თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს შ ე ქ მ ნ ა. თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ თ ა თ ვ ი ს ღ ი რ ს ე უ ლ ბ რ ძ ო ლ ი ს დ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს (თ ვ ი თ პ ო ე ტ უ რ ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს) მ თ ა ვ ა რ ს ა კ ი თ ხ ა დ გ ა დ ა ი ქ ც ა. ეს საკითხები მათს შემოქმედებას და მიმართულებას ქვაკუთხედად დაედო. თერგდალეულთა მოღვაწეობის აზრიც, შინაარსიც, ცეცხლიც და გასაქანიც იკვანძებოდა, იშლებოდა და იწვოდა ამ სამი მთავარი საკითხის გარშემო.

ამით აიხსნება, რომ ბუნებით და ძირითადი მიმართულებით რეალისტები, პირმშო შვილნი 60-იანი წლების უტილიტარული მიმართულებისა, თერგდალეულნი-მწერალნი ი ლ ი ა და ა კ ა კ ი ბ ა ტ ო ნ-ყ მ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ რ ძ ო ლ ა მ, მ ი ს ი დ ა მ ხ ო ბ ი ს ს უ რ ვ ი ლ მ ა, ე რ ო ვ ნ უ ლ ი გ რ ძ ნ ო ბ ი ს გ ა ღ ვ ი ძ ე ბ ი ს წ ა დ ი ლ მ ა, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ღ დ გ ე ნ ი ს მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა მ, წ ა რ ს უ ლ ი ს ა დ ა გ ლ ე ხ-კ ა ც ი ს ი დ ე ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ა კ ე ნ გ ა დ ა ხ ა რ ა. მ ა თ ს შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი გ ლ ე ხ-კ ა ც ი დ ა მ ა მ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს (ხ შ ი რ ა დ ს ა ზ ო გ ა დ ო ინ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს) თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი ე კ ლ ი ს, მ ა გ რ ა მ გ ა ბ რ წ ყ ი ნ ე ბ უ ლ ი, გ მ ი რ უ ლ ი ვ ა ე კ ა ც ო ბ ი ს დ ა ა დ ა მ ი ა ნ ო ბ ი ს გ ვ ი რ-გ ვ ი ნ ი თ ა ა შ ე მ კ უ ლ ი. დ ა ე ს ი დ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა ი ლ ი ა ს ა დ ა ა კ ა კ ი ს შ ე მ ო-

ქმედებაში მათი ბუნების რომანტიული მიდრეკილებით კი არ აიხსნება (ილია და, შეიძლება ითქვას, აკაკიც მთელი თავიანთი ბუნებით რეალისტები არიან), არამედ იმით, რომ ხანა იყო ბრძოლისა, ნგრევისა, მონობის ჭაპნის გაწყვეტისა. და თერგდალეული მწერლებიც. განსაკუთრებით ილია და აკაკი, ამ ბრძოლაში ჩაბმულნი, რეალურ საზღვრებს სცილდებოდნენ. ძველის უარყოფა, ბატონ-ყმობის დათრგუნვის აუცილებლობა, ბატონში, კარგშიაც-კი, უკაცურობის, გულქვაობის, უნიადაგობის, გახრწნილების მეტს ვერაფერს აჩვენებდა, გლეხში კი—თითქოს მხოლოდ სინიდისს, ადამიანური ცხოვრების დაუშრეტელ წყურვილს, მონობის უღელთან შეურიგებელ ბრძოლას გადაუშლიდა.

ამ სამი საკითხის წამოყენება და გაშლა თერგდალეულთ ეკუთვნის. ამ საკითხთა გარკვევა-განვითარებაში თერგდალეულნი არამც თუ გულწრფელნი, არამედ მტკიცე და ენერგიულ მებრძოლებად მოსჩანან ჩვენი ცხოვრების სინამდვილის ისტორიაში.

თერგდალეულთა მოღვაწეობის განვითარების პროცესში კულმინაციურ საფეხურს ჩვენ ვხედავთ „საქართველოს მოამბეში“. აქ თერგდალეულნი სამსავე პოზიციაზე საკმარისად მძლავრნი არიან. მათ კარგადა აქვთ გათვალისწინებული ბრძოლის საგანი. ამიტომ „საქართველოს მოამბე“ და მისი ხმა ერთი უდიდესი და უძლიერესი მნიშვნელობის მომენტია ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარების გრეხილში და კერძოდ თერგდალეულთა ცხოვრება-მოღვაწეობაში.

აი როგორ აფასებს „საქართველოს მოამბის“ მნიშვნელობას ჟურნალი „მნათობი“: „დაუვიწყარია ჩვენთვის ის წელიწადი, როდესაც „საქართველოს მოამბე“ გამოვიდა... ჩვენ მაშინ პირველად ვსცანით, რა ძალა და მნიშვნელობა აქვს ქართველებისათვის რიგიანს ჟურნალს, პირველად ვიწყეთ სჯა ჩვენს ცხოვრებაზე“.[1]

ერთს წელიწადზე მეტი ვერ იბოგინა „საქართველოს მოამბემ“. ძალით დაიკეტა.

1864 წელს ამერეთში, ხოლო 1865 წელს—იმერეთში და 1866 წელს სამეგრელოში ბატონყმობაც, როგორც სახელმწიფოებრივი იურიდიული ინსტიტუტი, მოისპო.

ბატონ-ყმობის გადავარდნამ მეტად დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშა არა მარტო ჩვენი საზოგადოებრივი, სოციალური და

---

[1]) „მნათობი“—1869 წ. № 1.

ეკონომიური ცხოვრების განვითარებაში, არამედ თერგდალეულთა ცხოვრებაშიაც.

ბატონ-ყმობის გადავარდნით, ერთის (მცირე ნაწილის) მეორეზე (უდიდეს ნაწილზე) განუსაზღვრელი ბატონობის მოსპობით, თითქოს გადაიკრა თერგდალეულთა მისიის ერთი უდიდესი ნაწილი. მოისპო პიროვნების დამმონავებელი პირობები. პიროვნება განთავისუფლდა. გლეხში ცნობილ იქმნა ადამიანი. ამიტომ თერგდალეულთა მოღვაწეობა ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ თან და თან ბრძოლის მწვავე ხასიათსა ჰკარგავს, თერგდალეულთა მოქმედებას ისეთი ბრძოლის ცეცხლი აღარ ახლავს. დადგა ახალი ხანა გამოღვიძებული ცხოვრებისა, ცხოვრების მოწესრიგებისა.

აი როგორ ახასიათებს ამ პერიოდს „დროების“ რედაქტორი სერგი მესხი: „ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენმა ხალხმა ცოტათი დაიწყო თავის ძველი ცხოვრების წესისა და ხასიათის მიტოვება, და ახალს, თანამედროვე ცხოვრებას შეუდგა. ეს ის დრო იყო, რომელსაც განათლებული ახალგაზრდა ქართველები გაჩნდნენ ჩვენში, რომელთაც, ცოტა არ იყოს, შეანძრიეს თითქო გაქვავებული და დამქავებული ჩვენი ცხოვრება. ხალხი გრძნობდა ახალ დროს, ახალ ცხოვრების მოახლოებას. თვალები და გონება რომ არა ჰქონოდა მაშინდელ ქართველს, მარტო ყნოსვითაც კი შეატყობდა, რომ რაღაც სხვა დრო და სხვა მოთხოვნილება გაჩნდა.“[1]

2

რა იყო მიზეზი, რომელმაც ასე მკვეთრად აყნოსვინა ქართველ საზოგადოებას ეს „სხვა დროის და სხვა მოთხოვნილების გაჩენა“?

ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ, რომ უკვე 50-იან წლებში თვალსაჩინოდ ეტყობა ჩვენს ცხოვრებას სოციალ-ეკონომიური გარდატეხა. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს პოლიტიკამ ხელი შეუწყო ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის გაღვივებას. თვით ჩვენმა მემამულეებმა იგრძნეს და დაინახეს, რომ ნატურალური მეურნეობის ჩქარი და მძლავრი რღვევაა, დაიწყეს ევროპულ ყაიდაზე მეურნეობის მოწყობა. იწყება თვალსაჩინოდ კაპიტალიზაციის პროცესი. დატრიალდა ფული. გაჩნდენ „რამოდენიმე ფულის მქონებელი პირი მრავალის შრომით და მოღვაწეობით“. ეს პროცესი დააჩქარა რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიური კავშირის თანდათანობითმა განმტკიცებამ. საქართველოს ეკონომიური ცხოვრება ძალაუნებურად გაჰყვა რუსეთის ცხოვრე-

[1]) „დროება“—1876 წ. 4 მარტი,

ბას, და რუსეთის კაპიტალის გავლენა და მნიშვნელობა ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისათვის მეტად თვალსაჩინო შეიქმნა.

60-იანი წლების დასაწყისში ეს ეკონომიური გარდატეხა უკვე აშკარაა. ამ დროს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ფაქტია ფაბრიკა-ქარხნების არსებობაც-კი[1]. აქედან ცხადია, ამ დროს უკვე არსებობს ფაბრიკა-ქარხნების ატრიბუტი—დაქირავებული შრომა. ამ დროს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში გვხვდება მუშა, თუმცა, რასაკვირველია, ამ დროს რაზმი მუშებისა მეტად მცირეა.[2]

კაპიტალიზაციის პროცესის გაძლიერება და მუშათა რაზმების გადიდება თვალსაჩინოდ ვითარდება ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ. ეს გარემოება გამოწვეულია ჯერ იმით, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნის აქტი მეტად კუდ-მოკვეცილი გამოდგა. მან ვერ შესძლო ეკონომიურად გაძვალტყავებული მასების ოდნავ მაინც უზრუნველყოფა. ამ აქტმა გლეხს მხოლოდ პირადი თავისუფლება მიანიჭა და უთხრა: რაც გინდა, ის გააკეთე, და როგორც გინდა, ისე მოიქეციო. მამული გლეხს არა ჰქონდა, დარღვეული ნატურალური მეურნეობა მას ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა. ის იძულებული იყო მშიერ-ტიტველს „ოხვრით, ქვითინით გამოეკიტა ტანჯვის ბუდედ გადაქცეული ტიალი ქოხი“ და ეული გასდგომოდა ახალს, „დუხჭირ ყოფნის გზას“.[3]

მეორე მიზეზია ის, რომ 70-იანი წლებისათვის ჩვენი სოციალ-ეკონომიური ცხოვრება არსებითად შეიცვალა. ვაჭრობა-მრეწველობა საგრძნობლად განვითარდა. 80-90-იან წლებში ჩვენი ცხოვრება, როგორც სტატისტიკური ცნობები გვიმოწმებენ, უფრო ჩქარის ტემპით მიდის კაპიტალისტური წყობილების გზით. ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: 1871 წელს გაყვანილი იქნა ტფილისფოთის რკინის გზა. 1878 წელს ბათომის ნავთსადგური იქმნა შემოერთებული. ამას გარდა, ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების განვითარებაზე დიდი გავლენა ჰქონდა ნავთის წარმოებას, რომელმაც ხარბად მოიზიდა რუსეთის და ევროპის კაპიტალისტები. 1879 წლიდან დაიწყეს ჭიათურის მარგანეცის ამოღება და აგრეთვე ტყიბულის ქვანახშირის წარმოება. ამ წარმოე-

---

[1]) რასაკვირველია, ეს ფაბრიკა-ქარხნები მეტად პრიმიტიული სახისაა.

[2]) Гулишамбаров—„Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии“. ფ. მახარაძე—„საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში“—„მნათობი“ 1926 წ. №№ 2, 3, ს. ხუნდაძე—სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, 1927 წ. I-II ტ.ტ.

[3]) ნ. ჩხიკვაძე—ბოგანო.

ბებმაც ხარბად ჩაბა, ერთის მხრით, შინაური და უფრო გარეული კაპიტალი. მაგრამ ამავე გარემოებამ მასთან ერთად აგრეთვე ჩაითრია ჩვენი გაღატაკებული გლეხობა, გააზრავლა რაზმი მუშებისა. ააჩქარა პროლეტარიზაციის პროცესი. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ცხოვრების მაჯის-ცემა სხვა-ნაირი შეიქმნა. ბატონ-ყმობის გადავარდნამ გააადვილა ფაბრიკა-ქარხნების ფართო ამუშავება, გადიდდა პროლეტართა რაზმიც. ადვილი შეიქმნა მრეწველობისათვის მუშა-ხელის მონახვა.

როდესაც ბატონ-ყმობის მოსპობამ თავად-აზნაურობას მოუსპო საშუალება სხვისი ოფლით ცხოვრებისა, აი, გ. წერეთლის შეხედულებით, როგორი გარემოება შეიქმნა: „გაფუჭებული და ღონე-გამოლეული ჩვენი თავად-აზნაურობა დარჩა ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში: შრომა იმას არ შეუძლია, სწავლა და მოხერხება არა აქვს. ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშუალება ხელიდან ეცლება და თანდათან ჰქრება იმისი სახელწოდებაც. ამ გარემოებაში მოგებული დარჩა ის უმთავრესი ნაწილი ხალხისა, რომელიც ძველთაგანვე გაჭირვებაში და შრომაში იყო გაწაფული. ძველთაგანვე დაბალ წრეში ჩავარდნილი, გონიერი, სამართლიანი, მაგრამ უსამართლობით დაჩაგრული ჩვენი მუშა ხალხი, როგორც კი შეიქნა თავისუფალი, სულიც მალე მოიდგა. ამ ჟამად მხოლოდ ის შრომობს, ის იგებს, მას გაუდის თავის ღონის და გონების ძალა; მომავალიც ამ ჯანით ღონიერს ხალხზე ტრიალებს და იმდენი ბუნებითი კარგი თვისებაც აქვს, რომ მოუცილებლად ბურთი და მოედანი იმათ დარჩება... ჩვენი თავად-აზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინწამოწევა,—აი ერთი დიდათ სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროებისა.“[1]

ჩვენი ცხოვრების სიღრმეში მომხდარ ასეთს ღრმა ეკონომიურ გარდატეხას უნდა შესაფერი გარდატეხავე მოეხდინა ჩვენი ინტელიგენციის მსოფლმხედველობაში.

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ჩვენი ინტელიგენციის წინაშე მთელი სიცხადით დაისვა საკითხი: ხალხი განთავისუფლებულია, მაგრამ ის ბედნიერი არარის. ის მშიერია, ის ტიტველია! როგორ უნდა მიეცეს ხალხს, ამ ახლად გამოსულ მშრომელთა რაზმს, ბედნიერება? როგორ უნდა გაძღეს და გათბეს ის? როგორ უნდა დაირაზმოს ხალხი, რომ კეთილდღეობა თავისი განახორცი-

[1]) გ. წერეთელი. ამ დროების მოძრაობა, „კრებული“ 1873 წ. № 3.

ელ ო ს? აი საკითხები, რომლებიც წამოჭრილი იყო კაცობრიობის ცხოვრებაში და კაცობრიობის მოწინავე მოაზროვნე საზოგადოებას სტანჯავდა. ჩვენმა ცხოვრებამაც წამოაყენა ესეევე საკითხები.

3.

როგორ შეხვდნენ ამ საკითხებს ჩვენი თერგდალეულები? შეეძლოთ, თუ არა მათ განეგრძოთ ისეთივე ბრძოლა, როგორც ბატონ-ყმობის, ძველი პატრიარქალური ტრადიციების წინააღმდეგ და ეროვნული, მთლიანი საქართველოს იდეის სასარგებლოდ? სამწუხაროდ, ვერა. უკვე ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, თერგდალეულთა მოღვაწეობაში, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, განელებას ვამჩნევთ. რა იყო ამის მიზეზი?

აქ ერთი უმთავრესი მიზეზი იმაშია, რომ ჩვენი ცხოვრება აითრია დიდი რუსეთის ცხოვრებამ. ჩვენი ჩამორჩენილი ცხოვრება ახლა შედარებით მეტად აჩქარებული ტემპით წავიდა კაპიტალიზაციის გზით. ცხოვრების მაჯის ცემა მეტად ჩქარი შეიქმნა. ცხოვრება ისეთის ჩქარის ტემპით მიდიოდა წინ, რომ ჩვენი ინტელიგენცია ვეღარ ასწრებდა დამშვიდებული გზით განვითარებას და წინსვლას, უკან რჩებოდა. მეორეც ისა, რომ ჩვენშიაც დადგა ხანა დემოკრატიზაციისა, მშრომელი ხალხი და მისთვის ზრუნვა—მთავარ და მწვავე საკითხად გადაიქცა ჩვენს ცხოვრებაშიც.

თერგდალეულნი, მართალია, მაღალი მისწრაფებებით იყვნენ გატაცებულნი, გულწრფელად ებრძოდნენ ბატონ-ყმობას, ძველ, დრომოჭმულ ტრადიციებს, ახალისაკენ ახალგაზრდული გაქანებით მიისწრაფვოდნენ, მაგრამ შთამომავლობის, აღზრდის და ცხოვრების პირობები (თავად-აზნაურთა წრე) მათ დიდს ბეჭედს ასვამდა და მათ გარკვეულ მიჯნას არ აცილებდა. ამას გარდა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ნიკო ნიკოლაძე,—„ჩვენში 1861 წლის თაობას ისეთი წევრები სჭირდებოდა, რომელნიც დამზადებული და გაჩვეული უნდა ყოფილიყვნენ მაშინდელი საზოგადო საქმეების მართვაში. საუბედუროთ ეს თაობა ჩვენ ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა, იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა და არც თეორია, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. მას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა და გონების იარაღად იმას მარტო ორიოდე მეტნაკლებად ნათელი აზრი მიუძღოდა: გლეხების განთავისუფლების

სამართლიანობა, ბატონ-ყმობის უვარგისობა, მამულის სამსახური"...[1]

მართალია, ნ. ნიკოლაძის დახასიათება თერგდალეულთა, ცოტა არ იყოს, მკაცრია, მაგრამ სიმართლესთან-კი მაინც ძალიან ახლოა.

აი, ყველა აღნიშნული მიზეზების გამო თერგდალეულთ ახალ ცხოვრებას ვერ აართვეს თავი. ვერ შესძლეს სათავეში ჩასდგომოდნენ იმ მშრომელ მასას, რომელიც მძლავრად ირაზმებოდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში. ამიტომ თერგდალეულთა მთლიანი მოღვაწეობის პერიოდად უფრო სამართლიანი იქნება განვსაზღვროთ 1861—1865 წ. წ. შემდეგი წლიდან, ჩვენის შეხედულებით, იწყება თერგდალეულთა მთლიანი ბანაკის და სახის რღვევა.

მართალია, შემდეგ „დროება"—„კრებული", „მნათობი" და სხვა პერიოდული გამოცემანი განაგრძობენ „საქართველოს მოამბის" დაწყებულ საქმეს—ახალი საქართველოს სახის და შინაარსის ძიებას. მართალია, ამ პერიოდულ გამოცემებში მომუშავენი თითქმის სუყველა თერგდალეულთა ბანაკიდან არიან გამოსულნი, მაგრამ, ცხადია, მათ დაკარგული აქვთ სპეციფიკური სახე თერგდალეულებისა.

ახლა მათ აღარ ახასიათებს ბრძოლის ის სიმკაცრე და მოურიგებლობა, და, თუ გნებავთ, ის გარკვეულობა, რომელიც მათ 1861—1866 წლამდის ჰქონდათ. ცხოვრებამ თერგდალეულებს წინ გაუსწრო. ისინი უკვე ვეღარ ახერხებენ ცხოვრების „ყრუდ ჩაძახილი—ამოიძახონ", „ცხოვრების წრეში ჩადგნენ", „თუ არა სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაეპირონ საქმე". ისინი უდაოდ იმ დროინდელ ცხოვრების წრის გარეშე დარჩნენ, ხალხის ახალ მასებთან კავშირის დაპერა ვერ მოახერხეს. ერთის სიტყვით, ისინი ვერ გადაიქცნენ იმ წრედ, იმ დასად, რომელიც უფრო გარკვეულობას შეიტანდა თანამედროვე ცხოვრების პირობების და მოთხოვნილებების ახსნა-გადაწყვეტაში.

პერიოდი 1866 წლიდან დაახლოვებით 1876 წლამდის შეიძლება დავახასიათოთ, როგორც. თერგდალეულთა მსოფლმხედველობის დაშლისა და ახალი იდეოლოგიის აღმოცენების, გამომუშავების პერიოდად. ეს პერიოდი ჩვენი საზოგადოებრივი აზრისათვის თანადროულ სოციალ-ეკონომიურ პირობებში გარკვევის და მის მოთხოვნილებების შესაფერი ახალი იდეოლოგიის დამუშავების პერიოდია.

[1]) ნიკო ნიკოლაძე, „ახალი ახალგაზრდობა"—„კრებული" 1873 წ. № 1.

ამით ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ ვითომც თერგდალეულთათვის სრულებით უცხო ყოფილიყო მშრომელის და მისი მდგომარეობის საკითხი. პირიქით, მათს შემოქმედებაში უხვადა გვაქვს მასალები, რომელიც მჭერმეტყველურად გვიმტკიცებს, რომ ამ საკითხთა თესლიც პირველად თერგდალეულებმა გამოიტანეს ჩვენი ცხოვრების ხნულში.

ჩვენი ცხოვრების მოქმედების სარბიელზე თერგდალეულნი გამოვიდნენ ახალი პროგრესიული მისწრაფებით, კეთილი სურვილით გამსჭვალულნი. ამასთან ერთად, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ნათს მოღვაწეობას ბრძოლის ჟინი და სურვილიც ახასიათებს. თერგდალეულთა ასეთს სულიერ-განწყობილებას მკვეთრად გამოჭხატავს ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“: „ჩემს ტვინში, — გადმოგვცემს სამოქმედოდ გამზადებული თერგდალეულთა ბელადი, —სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა მილაგებულნი—ძირსა. სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია დაწყნარების სათავეა. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაიაროს და მერე დაწმნდება ხოლმე“.[1]

ცხადია, ასე სულიერად-განწყობილ თერგდალეულთა შემოქმედებაში მუშის, მშრომელის და შრომის მდგომარეობაც უნდა ასახულიყო. და ეს ასეც მოხდა. ამის შესახებ ნაწილობრივ უკვე ვილაპარაკეთ, როდესაც თერგდალეულთა შემოქმედებაში ხალხოსნურ ტენდენციებს და ელემენტებს ვარკვევდით. ტ, მართლადაც, პირველად ჩვენს ლიტერატურაში და საზოგადო აზროვნებაში თერგდალეულნი შეეხნენ არა მარტო გლეხ-კაცსა და მშრომელს, არამედ მუშის საკითხსაც. ჯერ კიდევ 1860 წელს ილიას მოესმა მუშის „ნაღვლიან ხმაში“ მისი ცხოვრება, „დღიურ ლუკმისათვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება“. პირველად ჩვენს მწერლობაში ილიას შემოქმედებაში გაისმა მუხთალი ბედით გადმოტყორცნილი მუშისადმი ძმური თანაგრძნობის ხმა ლექსში „მუშა“.

„ვინა ხარ შენა,—მიმართავს ილია მუშას.—
ჩემო ძმაო? სიდან მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა,
მინდორს, მამეულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?
აქ რად მოსულხარ?“..

ასეთი მიმართვის შემდეგ ილია ჭავჭავაძე მუქ-რეალურ ფერადებში ასწერს ლუკმა-პურისათვის მუშის ყოველდღიურ საშინელ

[1]) ილია ჭავჭავაძე—მგზავრის წერილები—გვ. 8; ტ. II.

ბრძოლას, მძიმე, აუტანელ პირობებში მის ცხოვრებას. ცოცხლად დგას მკითხველის წინაშე ორად მოზნეული, ოფლის ხვითქ-მომდინარე მუშა, რომლის ცხოვრების განაჩენიც პოეტის თქმით ასეთია:

„შენს სიცოცხლესა დააღამებ ესრეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა...
მერე ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოთ მოსულსა სენსა.
მარტო ეგდები და ლეიბად გექნება ნამჯა
და სახურავად, თუ კი მოგყვა, რუსის ფარაჯა!
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოჰკვდები!
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მდულარე ცრემლსა,
ვერ დაგტირებენ, საბრალონი შენი შვილები,
ამაოდ მათკენ სიკვდილის ჟამს გაიწვდი ხელსა“.

მართალია, საკმარისად ღია ფერადებშია გადმოცემული მუშის მდგომარეობა, პოეტის მხრით საკმარის სითბოსა ვგრძნობთ მუშისადმი თანაგრძნობის მომართვაში. მაგრამ ეს მაინც არ არის ის მუშა, რომელიც ირაზმებოდა ქარხანა-ფაბრიკებში. აქ არ არის კლასიური თვალსაზრისი დაცული. აქ პოეტი გამოდის პიროვნების და შრომის განთავისუფლების პრინციპიდან. ილიას მსოფლმხედველობაში, როგორც საერთოდ თერგდალეულთა მსოფლ-მხედველობაში, სხვადასხვა ვარიაციებით გადაიხლართა ლიბერალურ-ბურჟუაზიულ-რადიკალ-დემოკრატული იდეოლოგია. ილიასათვის და საერთოდ თერგდალეულთათვის მუშის საკითხი გარკვეულად წამოიჭრა. ხშირად მათ მიერ მუშის საკითხის გაშლას და გადაწყვეტას რადიკალური ხასიათი აქვს; ხშირად მათ გაგებაში სოციალისტური ელემენტებიცაა მკვეთრად ჩართული. მაგრამ ეს ყველაფერი, როგორღაც უსისხლოა, უძარღვო. ჰგრძნობთ, რომ ამას თეორეტიული და არა რეალური, ცხოვრების მორევში შეჭრის ხასიათი აქვს. ჯერ კიდევ არ არის გარკვეული პოზიცია და შეხედულება.

„დროება“-„კრებულის“ თანამშრომლები საკმარის ყურადღებას აქცევენ და თვალყურსაც ადევნებენ ამ ახალი მოვლენის მიმართულებას, სიამოვნებით და კმაყოფილებით უყურებენ ფაბრიკა-ქარხნების განვითარებას. „დროება“-„კრებულის“ თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი ქარხანა-ფაბრიკების არსებობაში ხედავდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კეთილდღეობისაკენ წინ-წაწევის მიზეზს. დაინტერესებული იყო მუშის სამუშაო დღის და ჯამაგირის რაოდენობით, მის მუშაობის ჰიგიენური პირობებით და სხვა. მაგრამ ღრმა, სერიოზული შე-

ფასება ამ მოვლენისა მაინც თერგდალეულებს არა აქვთ. მათის შეხედულებით, ეს ფაბრიკა-ქარხნები აძლევს საზრდოს მრავალ უსახლკარო მუშას და ამიტომ „ჩვენის მხრით—სწერს „დროება"—მირზოევის ფაბრიკისათვის ვისურვებთ წარმატებასა, რადგანაც როგორც გვესმის, ღარიბების შემწეობისათვის გაუმართავსო".[1]

ასეთს გულუბრყვილო შეხედულებასთან ამ მოვლენის საკმარისად სერიოზული გაგებაც გვხვდება. იმავე დროების 1871 წლის 27 №-ში მოთავსებულია სტატია: „რა მოსპობს სიღარიბეს?" და აი რასა ეკითხულობთ: „სიღარიბის, როგორც სხვა ყოველგვარი კაცობრიობის უბედურების, მიზეზი ქვეყანაზე არის ქონებისა და ცოდნის უთანასწოროდ გავრცელება. იმ დროს, როდესაც ერთი ისე მდიდარია, რომ არ იცის, როგორ მოიხმაროს თავისი სიმდიდრე, ათასი სხვა უსახლკარობისა და შიმშილისაგან კვდება; იმ დროს, როდესაც ერთი სწავლული და მცოდნეა და ამით პოულობს საცხოვრებელს ღონისძიებას, ათი-ათასი სხვა უბედურებაში და ცრუმორწმუნოებაშია ჩავარდნილი!... ქალაქის მუშა დილიდან საღამომდე რომელსამე ფაბრიკაზე მუშაობს და იმის შრომით სარგებლობს ფაბრიკის პატრონი, რომელიც ამ რიგად სხვისი შრომით მდიდრდება. ცოტათ თუ ბევრად ყველგან ამნაირადაა ახლანდელ დროში განწყობილი ადამიანის ცხოვრება და რა გასაკვირია, რომ ქვეყანაზე ღარიბები მოიპოვებიან".[2]

ასევე ღრმად ესმის ეს მოვლენა „გუთნის დედის" თანამშრომელსაც, ანტონ ფურცელაძეს: „ყოველი უბედურება წარმოსდგება იქიდამ, რომ ხალხს, ნამდვილს ხალხს არ ეპირა არასოდეს უფლება ხელში და ხალხი აძლევდა თავის თავსა და თავის ქონებაზედ უფლებას თითო-ოროლათა, რომელთაც ძალაც ხელში ეპირათ ხალხისა და სამართალიც; მაშასადამე, არც არაფერს შეეპუებოდნენ ხალხის სურვილს და არც შეასრულებდნენ ხალხის საჭიროებას, რადგან ხალხის სურვილისა და საჭიროების შესრულება იყო მათი საზარალო და საავნებელი.

„რაკი ეს სცნეს მეცნიერთა, რაკი ეს სცნეს გამოკვლევით ხალხისათვის თავგამოდებულთა, მაშინვე დაუწყეს ამისი ხალხს შეგონება. იმათ პირდაპირ დაუწყეს ამისი ხალხს ქადაგება, რომ მანამ შენი საქმეები, შენი თავი, შენი ჯანი და შენი ქონება არ იქნება

[1]) „რამოდენიმე უკანასკნელი ამბავი უფ. მირზოევის ფაბრიკაში"—„დროება". 1872 წ. № 15.

[2]) „დროება"—1871 წ. № 27.

შენს ხელთა, მანამ სახალხო გამგეობა და ხალხის ძალა არ გეპყრობა შენა, მანამ არ მოგელის არავითარი კეთილი, მანამ იქნები შენ შემ-ძლე და ძლიერთ კაცთ ხელთ პირუტყვზედ უხმო და უსულო მაშინასავით სახმარი; მანამ შენცა და შენი შთამომავალიც იქნებით ნიადაგ მშიერ-მწყურვალი და მოგელით ტანითა და გონებით გაწრიო-კება და ბოლოს გიწერია სრული ჭკუით და სხეულით... მოსპობა".[1]

აქ უკვე თითქოს მეცნიერული სოციალიზმის დასაყრდნობსა ვხე-დავთ: დაპირისპირებას შეძლებულისა და ღარიბისას, მაძღრისა და მშიერისასა; ერთი შრომობს, მეორე-კი სხვისი ნაშრომით ცხოვრობს. მაგრამ აქაც-კი თერგდალეულნი უტოპიური სოციალისტების, უშუა-ლოდ, თუ რუსეთის გზით, გავლენის რკალს მაინც ვერ სცილდებიან.

არსებული უსამართლობის მოსპობის საშუალებად „დროების" ფურცლებზე არა ერთხელ აღნიშნულა ამხანაგობების, ასოციაციე-ბის დაარსების აუცილებლობა. ასეთი შეხედულება ევროპაში და რუსეთშიც უტოპიური სოციალისტების გავლენის ქვეშ იყო იმ დროს გავრცელებული. „უკანასკნელ დრომდე,—სწერს ეოთ-ერთი ენერგიული დამცველი ასოციაციებისა დ. ბაქრაძე—ამხანაგობის პრინციპი არ უცდიათ საზოგადოდ იქ, სადაც უფრო საჭირო იყო, ესე იგი, ღაბალი ხალხის შრომაში. ეს ნაკლულოვანება უნდა შეავ-სოს კოოპერაციამ, იმან უნდა აღადგინოს შრომის სიმართლე, გა-ანთავისუფლოს იმ უღლისაგან, რომელიც იმისათვის დაუდვია კაპი-ტალს; უნდა შესცვალოს ნივთიერებითი და ზნეობითი მდგომარეო-ბა. თუ მუშა კაცს სურს იშრომოს, ჯერ მან ინსტრუმენტები ან იარაღი უნდა მოიპოვოს: იქონიოს მასალა; ამისათვის საჭიროა ადგილი, მაშინები; საჭიროა ღონისძიება იმისის და იმის სახლო-ბის გამოსაკვებათ: ის ყოველივე მუშას უნდა ჰქონდეს, ვიდრე იმის შრომა სარგებელს მოიგდებს. ერთი სიტყვით, მუშას უნდა კაპიტა-ლი. უკაპიტალოთ ეს ვერას გაარიგებს. რომელ მუშასაც კაპიტალი არა აქვს, ის კაპიტალისტზედ არის დამოკიდებული. ჩვენ დროს კა-პიტალისტებს სრულებით ხელში უპირავთ ყოველივე საქმე, ყოვე-ლივე შრომა. კაპიტალისტი მტერია მუშა ხალხისა. ეს არ უნდა იყოს. როდესაც მუშა ასოციაციის შუამავლობას მიმართავს, მაშინ კაპიტალი დაჰკარგავს თავის ძალას, შრომა მონობისაგან გამოვა, თავისუფალი გახდება და თვითონვე შეიძენს კაპიტალს".[2] ამის შემ-

---

1) ანტ. ფურცელაძე—მამულის საერთო მფლობელობა—გვ. 13—14.

2) დ. ბ ა ქ რ ა ძ ე—ისტორიული მოძრაობა განათლებისა—„დროება" 1866 წ. № 17.

დეგ დ. ბაქრაძე აღწერს ასოციაციური მოძრაობის განვითარებას ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში.[1] ასოციაციის პრინციპს იცავენ სხვებიც: პეტრიაშვილი, ს. მესხი, თარხან-მოურავი.

მიუხედავად იმისა, რომ ესენი კარგად ჰხედავენ კლასთა არსებობას, მათ შორის ბრძოლას, ერთის გაბატონებას მეორეზე, ერთის ბედნიერებას მეორის უბედურებაზე აშენებულს, მათ მაინც ვერ გაუგიათ სისწორით, რა მნიშვნელობა აქვს კლასთა შორის ბრძოლას საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნის საქმეში; მათ ვერ გაუთვალისწინებიათ ის რევოლუციონური როლი, რომელიც პროლეტარიატს უნდა ეთამაშნა სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში. აქ გარკვეული მსოფლმხედველობის დაცვას ადგილი არა აქვს. ისინი განაგრძობენ უტოპისტი სოციალისტების დიდი გავლენის ქვეშ ყოფნას. ხშირად ეს გავლენა მათში რუსეთის ნაროდნიკულ იდეოლოგიაშია არეული—ნ. ნიკოლაძე, ანტ. ფურცელაძე, მომავალი ცხოვრება მათ წარმოდგენილი აქვთ უკლასო საზოგადოებრივ წყობილებად. ამიტომ ისინი ამ ასოციაციებში, რომელიც პანაცეიადა აქვთ წარმოდგენილი, იღებენ განურჩევლად ყოველს: მებატონეს, ყმას, კაპიტალისტს, პროლეტარს. ყველას მათ მოუწოდებენ შეთანხმებული მუშაობისათვის. „ასოციაციის წევრად—სწერს გრ. თარხან-მოურავი, —უნდა მიიღებოდეს ყველა კაცი, როგორც გლეხ-კაცობა, ისე თავად-აზნაურობა... უამისოდ ჩვენს ხალხში იქნება ისევ ის განწყობილება, რომელიც არსებობს ეხლაც ამ ორს მხარეს შუა. როდესაც ასოციაციაში მიიღებიან ერთიცა და მეორეც, მაშინ იმათ შუა გავრცელდება ერთობა, ნდობა, რომელნიც საჭირონი არიან ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის“.[2]

აშკარაა, „დროება“,-„კრებულის“ თანამშრომელთათვის სოციალიზმი, ყოველ შემთხვევაში, სოციალისტური ელემენტები, უცნობი და მიუღებელი რამ არ არის. მათ მეტად ფართო ბედნიერების მომნიჭებელი მომავალი ეხატებათ. მაგრამ ისინი ამ მოძავლისაკენ მიდიან არა რევოლუციონურის (რევოლუცონერობას თერგდალეულნი მხოლოდ ბატონ-ყმობასთან ბრძოლაში იჩენენ) და კლასთა შორის ბრძოლის გაღრმავება-გამწვავების გზით, არამედ შე-

---

[1]) დ. ბაქრაძე, „ისტორიული მოძრაობა განათლებისა“—„დროება“—1861 წ. №№ 19, 20.

[2]) „დროება“, 1869 წ. № 21.

თანხმების. ეს მომავალი ხშირად მათი კეთილის სურვილებით არის მხოლოდ გამთბარი და დაფერადებული.

ასეთივე სურათი იშლება თერგდალეულ მწერალთა მხატვრულ შემოქმედებაშიც[1]. თერგდალეულნი ხელოვნებას (პოეზიას), როგორც ზევითაც გავარკვიეთ, მოთხოვნილებას უყენებენ: ხალხს „პური არსებობის" მოკოებაში დაეხმაროს. ამ მიზნით ისინი მხატვრული შემოქმედების საშუალებით ჩვენი ცხოვრების უარყოფით მხარეების გამოაშკარავებას ცდილობენ, რათა მათი დანახვით მკითხველში აღიძრას სურვილი მათი უარყოფისა, და ამ გზით ნიადაგი შეემზადებინათ ახალი პროგრესიული ცხოვრებისათვის, რომელიც მათი შეხედულებითაც ძლევა-მოსილი მოდის. ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება საგულისხმიერო და ნოყიერ მასალას იძლევა.

„შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებულა.
შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძლევა-მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ვეღარ გაუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას.
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების".[2]

პოეტი აქაც, ასეთი რადიკალური აზრის გამოთქმის დროს, არა სცილდება პიროვნების და შრომის განთავისუფლების პრინციპს. ებრძვის ძველ „ქვეყანას" იმდენად, რამდენადაც მის ბორკილებში

[1]) ჩვენ ვხელმძღვანელობთ ილიასა და საერთოდ თერგდალეულთა იმ ნაწარმოებებით, რომელიც დაწერილია არა უგვიანეს 1878 წლისა. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მომავლის ასეთი სურათი, რასაკვირველია, თუმცა შენელებული, თერგდალეულთ, განსაკუთრებით ილიასა და აკაკის, შერჩათ ბოლომდის. იხ. ილიას „ოთარაანთ ქვრივი" და სხვა. აკაკის—„საქართველოს დღევანდელი სახე", „მოხუცის გრძნობა" და სხვა.

[2]) ილია ჭავჭავაძე—აჩრდილი, ტ. I გვ. 125

იძარცვება და ილახება ტყვე-ქმნილი, როგორც პიროვნება, ისე შრომა. პოეტსა სწამს, რომ ძველი, ადამიანის შემლახველი პირობები ცხოვრებისა უნდა დაინგრეს, სწამს, რომ ძველის ნანგრევებზე აღმოცენდება ახალი ქვეყანა. ეს ახალი ქვეყანა იქნება „შრომის სუფევა", თანასწორადა ნიჭთა მფენელი, ორომელიც დაარღვევს „ძველი ქვეყნის" პრინციპს მძარცველობისას და მჩაგვრელობისას და ეშმარიტად განამტკიცებს „ძმობა-ერთობა-თავისუფლებას".

ალლო აიღო ქვეყანამ ძველმა,— ამ ბ ო ბ ს ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე,—
რომ დღე და დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ"[1].

აქაც ჩვენ ვხედავთ იმავე უწოდებრივო საზოგადოებრივ წყობილების იდეას, რომელიც მეთაურობს. შეათანხმებს საერთო ცხოვრებაში „ცხვარსა და მგელსა", სრულ გაძარჯვებას მოუპოვებს მშრომელსა და შრომას. ეს იდეა იტაცებს ჩვენს ინტელიგენციას, რომელიც გატაცებულია რადიკალ-დემოკრატიული მისწრაფებით. სხვათა შორის, საინტერესოა ის არაჩვეულებრივი გამოძახილი (რასაკვირველია, იმ დროისათვის და იმ პირობებისათვის), რომელიც ჰპოვა 1871 წელს „პარიზის აჯანყებამ" ჩვენს ჟურნალისტიკაში, „დროება"-„კრებულში" და ლიტერატურაშიაც. როგორცა ჩანს, თავდავიწყებითსი და სამაგალითო ბრძოლას, რომელიც აწარმოვა პარიზის კომუნამ ძველი ქვეყნის დასამხობად, ჩვენი ინტელიგენციაც გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს და მის მიმართ დიდის სიმპატიებით იყო აღვსილი. გარდა საინტერესო წერილებისა, რომელთაც ცენზურის გამო საინფორმაციო ხასიათი უფრო აქვთ, ჩვენი ინტელიგენციის სულიერი განწყობილების დასახასიათებლად, გვაქვს ილია ჭავჭავაძის ლექსი „პარიზი", დაწერილი კომუნის დაცემის მეორე დღესვე, 1871 წ. 29 მაისს. ეს ლექსი მშვენივრად მოწმობს იმას, თუ პარიზის რევოლუცია ავტორის და თერგდალეულთა ყურადღებას რამდენად მძლავრად იპყრობდა:

ტვირთ მძიმე და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...

[1]) ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე—აჩრდილი გვ. 126—ტ. I.

კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.
კვლავ ეწამა მოყვასთათვის
საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.
კვლავ ქვეყნისთვის დაილვარა
წმინდა სისხლი წამებულის,
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელის სიყვარულის.
კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება,
ქვეყნის ხსნად მოვლინებილი,
რომლისთვისა თითონ ღმერთი
იყო ტანჯულ და ჯვარცმული.
კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი''.

ცხადია, ჩვენი ინტელიგენციის სიმპატიები საკმარისად რადიკალურია, მისი სიმპატია იმისკენ იხრება, რაც მომავალ ცხოვრებაში ,,შრომის სუფევას'' დაამყარებს, შრომის შვილს მიანიჭებს მოქმედების და შემოქმედების პოზიციას, რომელზედაც მაშვრალი ,,წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებს, განკაცდება, სხვას ძირს არ დასწვევს, თვით ამაღლდება. არც ვის ემონვის და არც იმონებს''.

მიუხედავად ასეთი რადიკალური სიმპატიებისა, უნდა გარკვეულად აღინიშნოს, რომ თერგდალეულთა ცხოვრებაში სწორედ 1866 წლიდან, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მათს მოქმედებას უფრო მოდუნება ემჩნევა. თერგდალეულნი ისეთს მებრძოლს მოქმედებას, როგორ. საკბატონ-ყმობის გადავარდნამდე იჩენდნენ, ახლა ვეღარ იჩენენ. აღარ არის ის მთლიანი მიმართულება, რომელიც მათ ასე აერთებდა ,,საქართველოს „მოამბის" ფურცლებზე. ბატონ-ყმობის გადავარდნით გამოწვეული ჩვენი სოციალ-ეკონომიური ცხოვრების გაღრმავება ვეღარ ჩაეტია თერგდალეულთა ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ჩარჩოებში და დაუწყო მას დაშლა. დაშლა თერგდალეულებისა სწორედ სოციალ-ეკონომიურ საკითხების გაგება-გადაწყვეტაში მეღავნდება. ამ დროს, 70-იან წლებში (1866-1876 წ.), თერგდალეულებს აღარა აქვთ გარკვეული სამოქმედო პროგრამა, მათ მსოფლ-მხედველობაში

არეულია როგორც ლიბერალურ-ბურჟუაზიული, ისე უტოპიური და ხალხოსნური სოციალიზმის ელემენტები.

ჩვენი თერგდალეულების დეკადანსს თუმცა მკაცრად, მაგრამ მშვენივრად ახასიათებს ნ. ინაშვილი: „ჩვენი ლიტერატორები, სწერს ნ. ინაშვილი 1870 წელს ნიკო ნიკოლაძეს,—სწორედ თვალებ-ახვეულები არიან და საზოგადო საქმისა, როგორც' არ მომკლავ, არა გაეგებათ რა.

,,ეგენი არიან ბრმა წინამძღვარნი უბედური ხალხისა. რა ძალა აქვთ მაგათ სიტყვას? რამდენად ღრმა არის მაგათი აზრი? რამდენათ შორს და პირისპირათ გასჭრის საზოგადო საგნების შინაარსს მაგათი ანალიზი, მაგათი კრიტიკა? რამდენათ ცხოველი და ნაყოფიერია მაგათი მოქმედება? რა საზოგადო იდეალი აქვთ მაგათ დახატული თავში? რა პროგრამა აქვთ მოქმედებისა? ვითარია მაგათი პოლიტიკური მიზანი? ვითარი საზოგადო ცვლილება ჰსურთ მაგათ?

,,შენ თითონ მითხარი. მეტყვიან თუ არა ეგენი ამაზე პასუხს? ხეირიანად მაგ საქმეზე არცერთი იმათგანი არ მომზადებულა... აი ვინ არიან წარმომადგენლები ჩვენი სახალხო აზრისა, აი ვისში გამოიხატება ჩვენი გონებითი მოძრაობა! მდგომარეობა მეტად სამწუხარო და საგრძნობელია. პატიოსან და მოაზრე კაცს ვალი აქვს მიაქციოს ამაზე ყურადღება, ვალი აქვს გვიჩვენოს ახალი გზა და ახალი ნათელი შეიტანოს ჩვენ ბნელ ცხოვრებაში'...[1]

ნ. ინაშვილის გრძნობა ახალი გზის გამონახვისა და ახალი ნათელის შემოტანისა ჩვენს ბნელ ცხოვრებაში მაჩვენებელია ჩვენი ინტელიგენციის აზროვნებაში და ლიტერატურაში სხვა ახალი ერას დასაწყისისა. იწყება თაობათა ახალი გაყრა, რომლის სახეც 80-ანი წლებისათვის გამოირკვა. თერგდალეულთა დასი შესცვალა მეორე დასმა—ხალხოსნებმა.

---

1) სიმონ ხუნდაძე—სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში—ტ. I, გვ. 36-37.

ნაწილი მეოთხე

ხალხოსნები

I

ხალხოსანთა გამიჯვნა თეორეტიკოსებისაგან

1.

რა გზით უნდა წავიდეს ჩვენი ცხოვრება მომავლისაკენ? როგორი გზით უნდა დაიწყოს ჩვენი ცხოვრების გარდაქმნა, რომ გაძვალტყავებული ხალხის მასები გათბნენ და გაძლიერდნენ? ეს საკითხები საშინელის სიმძიმით და სიმწვავით მოსწოლოდნენ ჩვენი ცხოვრების ჭიშკარს და დამსხვრევას უქადდნენ. ამავე საკითხებმა 70-იანი წლებისათვის გამოიწვიეს ჩვენი ინტელიგენციის აზროვნებაში დიფერენციაცია. ერთი ნაწილი—ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, გრ. თარხან-მოურავი, პ. უმიკაშვილი თავს იყრის „დროება"-„კრებულის" გარშემო. მართალია, მათ შორისაც არის ინდივიდუალური განსხვავება ზემორეალნიშნული საკითხების გაგება-გადაწყვეტაში: ზოგი მარჯვნივ იწევს, ზოგი მარცხნივ.—მაგრამ ესენი, როგორც ნიკო ნიკოლაძე გვიმოწმებს, მაინც თითქოს ერთს საერთო პოზიციაზე იდგნენ. „განა ამ სტრიქონების დამწერი,—გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე,—ყველაფერში ეთანხმება გ. წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს ან ს. მესხის? ან განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვადასხვა აზრისანი ვართ. მაგრამ ჩვენი საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვქონდეს. ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულად ვემსახურებით" [1].

და მართლადაც, „დროება"-„კრებულის" თანამშრომელთ, მიუხედავად ინდივიდუალური მსოფლმხედველობის სხვადასხვაობისა, საერთო მიზანიც ჰქონდათ. და ეს მიზანი იყო—ეროვნული სა-

[1]) ნიკო სკანდელი (ნ. ნიკოლაძე)—ახალი ახალგაზრდობა—„კრებული" 1873 წ. № 1.

კითხი. „მხოლოდ 1860 წლიდამ,—სწერს გ. მაიაშვილი,—სჩანს მოძრაობის ნიშნები ჩვენის მიძინარებულის ქვეყნისა... ეს მოძრაობა იყო ხალხში ახალი ეკონომიურის პირობების შეტანის პასუხად. აზრმა გაიღვიძა, სამშობლოსათვის მოღვაწენი გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზედ. საზოგადო საპიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა... მე უარს არა ეყოფ მათს გავლენას ჩვენი ქვეყნის საქმეების მიმდინარეობაზედ. არა, ინათ მისცეს მიმართულება და ასახე მოძრაობას... მათის მოღვაწეობის წყალობით, მათის დაუღალავის და კეთილშობილურის მუშაკობის მეოხებით მოძრაობას ფერი დაედო, მაგრამ... გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ, ცოტა არ იყოს, იმათვე მოქმედების წყალობით მოძრაობამ მიიღო ერთგვარი ხასიათი, მეტისმეტი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ,—კულტურული და მხოლოდ მცირედ ხალხოსნური"[1].

და მართლადაც „დროება"-„კრებულის" თანამშრომელნი უფრო ეროვნულ საკითხს აძლევდნენ უპირატესობას. ეს ჯგუფი ეროვნულ-კულტურული მუშაობისაკენაა გადახრილი. „დროების" თანამშრომელთა ასეთი მოღვაწეობის შეფასება მშვენივრადა ჩანს „დროების" რედაქტორის ს. მესხის „დროების" ათი წლის (1876 წ.) დღესასწაულზე წარმოთქმული სიტყვებიდანაც: „ძალიან კარგად მესმის,—მიჰმართავს დამსწრე საზოგადოებას ს. მესხი,—რომ კერძოთ მე კი არ მიცხადებთ ამ თანაგრძნობასა, არამედ უცხადებთ იმ დროშას, რომლის ქვეშ დღეს ყველანი შეკრებილნი ვართ აქ.

„ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსამე მიმართულებას ანუ თაობას კი არ წარმოადგენს! ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა,—ეს არის დროშა ქართული ლიტერატურისა (ე. ი. ქართული აზროვნების, ქართული ეროვნული საქმისა—მ. ზ.).

„შესაძლებელია,—და არა თუ შესაძლებელი, უეჭველიცაა, რომ ზოგს თქვენგანს არ აკმაყოფილებს „დროება" და იმის მიმართულება! ზოგი თქვენგანი ახალს მოდგმას, ახალს თაობას ეკუთვნის და ზოგი ძველსა.

„მაგრამ, როდესაც ჩვენს საზოგადო ქართულს ლიტერატურაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ ამგვარი გარჩევა აღარ უნდა იყოს, მაშინ ჩვენ ერთის მიწის შვილნი, ენისა და ლიტერატურის მოყვარენი ვართ"-ო[2].

---

[1]) გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, —წერილი ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა მიმართ,—„ივერია" 1882 წ. №№ VII—VIII გვ. 166.

[2]) ს. მ ე ს ხ ი,—ნაწერები—ტ. I, გვ. 343.

ჩვენი ინტელიგენციის (თერგდალეულების) ამ ნაწილის მუშაობა, თვით სოციალისტური იდეების წამოყენებაც-კი, რომელთაც ხშირად განყენებული ხასიათი ჰქონდა, ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობის თვისებების საქმეში ითქვიფებოდა. ჩვენი საზოგადოების ეს ნაწილი ასოციაციების და ამხანაგობების თეორიებითაც ხშირად სარგებლობდა ეროვნულ-კულტურული ხასიათის მიზნით, რომ ხალხში ფართოდ გაეტანა შეგნება გაერთიანებისა.

„იცხოვრეთ ძმურად, თანხმობით, ნუ იქონიებთ ერთმანეთშორის შურსა და უკმაყოფილებასა და მტერი, ხუთჯერ თქვენზე ძლიერიც რომ იყოს, ვერ მოგერევათ თქვენ". რა კარგი იქნება,— განმარტავს ამ აზრს ს. მესხი,—რომ ეს ბრძნული სიტყვები მუდამ გვახსოვდეს ჩვენ და ამ დარიგებისა თანახმად ვიქცეოდეთ! რა კარგი იქნება, რომ ჩვენ ერთმანეთში უფრო მეტი თანხმობა და ძმური სიყვარული გვქონდეს" [1].

ამასვე დამღერის ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი ც პოემა „ნ ა თ ე ლ ა შ ი" ნათელას სიმღერით „ჩონგურს სიმები გაუბათ"...

თერგდალეულნი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ეროვნულ-კულტურულ მუშაობაში ჩაებმიანისინი ლიბერალ-პროგრესისტებად რჩებიან. გატაცებულნი არიან ევროპის ქვეყნების პროგრესით, რომელიც ჩქარის ტემპით მიდის წინ წარმოების და მრეწველობის განვითარების გამო. ცდილობენ მათ ცხოვრებას თვალ-ყური ადევნონ, გააცნონ მკითხველს, აუხსნან და მიუთითონ მათი ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებებს და ერთგვარ აგიტაციას ეწევიან ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში მათის გადმონერგვის სასარგებლოდ. ამ ჯგუფს აღარა აქვს ის ბრძოლის ჟინი, რომელიც თერგდალეულთ ახასიათებდა 1861—1865 წ.წ. ამ ჯგუფის უმრავლესობაში ხდება თანდათანობითი გადახრა ვიწრო ეროვნულ-ლიბერალურ-ბურჟუაზიულ მოქმედებისაკენ. განსაკუთრებით ეს ხდება 80-იანი წლებისათვის, როდესაც „დ რ ო ე ბ ა" და „ი ვ ე რ ი ა" ერთმანეთს ხელს უწვდიან და, ბოლოს, შეერთდებიან კიდეც.

ჩვენი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის ასეთი ეროვნულ-კულტურული გზით თანდათანობითი წინმსვლელობის სურვილი არ აკმაყოფილებდა მეორე ნაწილს, შეიძლება უფრო მცირეს, მაგრამ უფრო რადიკალურად განწყობილს. სწორედ 70-იანი წლების უღელტეხილზე, 1869 წელს, ჩნდება ახალი ორგანო „მ ნ ა თ ო ბ ი". თავის მოწინავე წერილში „მნათობის" რედაქცია აცხადებს, რომ „ს ა ქ ა რ თ-

[1]) ს. მ ე ს ხ ი,—მეყველეთა ამხანაგობა — „ნაწერები" ტ. I, გვ. 6.

ველოს მოამბის“ შემდეგ ქართველ საზოგადოებას ჯერ კიდევ არა აქვს დამაკმაყოფილებელი ჟურნალი, რომლის საშუალებითაც შეეძლოს ფართოდ გაიტანოს ხალხში მისთვის სასარგებლო იდეები. „მნათობი“ თავის დევიზად აცხადებს ხალხისა და მის გალვითცნობიერების სამსახურს. „ჩვენი დრო,—საპროგრამო წერილში აცხადებს ნ. ინაშვილი,—არის კრიტიკული დრო; ჩვენ ვცხოვრობთ ძველსა და ახალს შუა. ძველი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, მაგრამ ახალი გზა კი ჯერ არ გაგვიკვლევია. ჩვენ უნდა ვეცადოთ გაუნათლოთ ხალხს მსელელობის გზა გონებითი, ზნეობითი და ნივთიერებითი წარმატებისათვის... ამისთვის არის კიდეც საჭირო ჟურნალი, რომ იმან შეიყვანოს ხალხი თავის ცნობაში, ახსნას და შეიმუშაოს ის კითხვანი, რომელნიც ყველაზე მომეტებულად შეეხებიან ხალხის ცხოვრებას, მის კეთილდღეობას და სხვა“[1].

მართლადაც, მნათობის გარშემო შემოკრებილი იყო იმ დროისთვის რადიკალურად, უფრო თავისუფლად მოაზროვნე ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, როგორიც იყვნენ: ნ. ინაშვილი, მ. ქიქოძე, ან. ფურცელაძე და სხვანი (ეს ჟურნალი არ გამოდგა ხანგრძლივი 1869—1872 წ. წ.). ჟურნალ „მნათობის“ წერილებიდან აშკარადა ჩანს, რომ მას სურვილი აქვს ხალხთან ახლოს მივიდეს, მის ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეს ემსახუროს, ეცადოს ასწიოს ხალხის კულტურული და ეკონომიური დონე. „ბუნების მეცნიერების ნაწილში,—სწერს ნ. ინაშვილი რედაქციის სახელით,—იქნება ბუნების მოვლენების აღწერა, მათი მიზეზები, მნიშვნელობა, ხალხზედ გავლენა და საზოგადოდ იმ გვარი სტატიები, რომელნიც ჰფხვრიან ხალხში ცრუ და ამაო მორწმუნებასა. აქვე დაებეჭდავთ გიგიენურ სტატიებს, ანუ იმგვარ სტატიებსა, რომელთაც საგნად ექნებათ კაცის კარგა-მყოფობა და ხანგრძლივი სიცოცხლე... სხვადასხვა საგნის შესახები სტატიების ნაწილში ისეთს სტატიებს დაებეჭდავთ, რომელთაც საგნათ ექნებათ: ჩვენი ცხოვრების აწმყო მდგომარეობა და მიმართულება და მისი გაუმჯობესებისათვის საჭირო მოთხოვნილებანი“[2]. და მართლადაც „მნათობში“ მოთავსებული იყო ამ მიმართულების მთელი რიგი სტატიებისა.

მართალია, მოსჩანს განმასხვავებელი ხაზი „მნათობსა“ და „დროება“-„კრებულს“ შორის, მაგრამ განსხვავება მათ მსოფლ-მხედველობათა შორის მცირეა, თვით მსოფლ-მხედველობა მერყეევია,

[1]) „მნათობი“—1869 წ. № 2.—გვ. 5.

[2]) იქვე—1869 წ. № 1.

არ არის ჯერ მტკიცე. „დროება"-„კრებულის" მიმართულება და თანამშრომელთა ბანაკი უფრო ძლიერი გამოდგა. და „მნათობი" მალე შეწყდა, „დროება"-„კრებულის" მიმართულებაში გაითქვიფა. მიუხედავად ნ. ინაშვილის განცხადებისა, რომ „მნათობის რედაქცია თავის ჩასახვიდგან აქამომდე ჰგრძნობს ძალიან უხერხო გარემოებას, მაგრამ მაინც მტკიცედ არის თავის საქმეზედ. ერთი-ორის სულით მახინჯის აზრი და წინააღმდეგობა ისე შეიმუსრება იმის სიმტკიცეზედ, როგორც ზვირთები შეიმუსრებიან ხოლმე კლდეზედ"-ო [1].

„მ ნ ა თ ო ბ ი ს" დაწყებული საქმე: ხალხთან ახლო მისვლა, მათ აწმყო ცხოვრებისათვის ზრუნვა, ხალხის კულტურული და ეკონომიური ცხოვრების გაცნობა-შესწავლა და მისი მომავლის მოწყობა, უფრო გარკ-ეულ მსოფლ-მხედველობაში ყალიბდება 80-ანი წლების დასაწყისშიეე.

„თქვენი მოქმედება, ბატონებო,—მიჰმართავდა „დროება"-„ივერიის" თანამშრომლებს გ ი ო რ გ ი მ ა ი ა შ ვ ი ლ ი,—ძლიერ პატივსაცემია, თქვენი ღვაწლი ყველასათვის ცხადია. ჩვენც თანაუგრძნობთ მას. მაგრამ ამასთანავე ჩვენის მხრით დიდი უზრდელობა იქნებოდა თქვენის წმინდა განზრახვათა წინაშე—დაგვემალა თქვენთვის, რომ ის კითხვები და საგნები, რომელთაც თქვენ ეხლა სულით და გულით მისცემიხართ, ჩვენ უსაჭიროეს და არსებით საგნებათ არ მიგვაჩნია. ღაღადება სკოლებში ქართული ენის შემოღებაზედ, სახალხო სკოლების დაფუძნებაზედ, ქართულის თეატრის გამართვაზედ, სასარგებლო წიგნების გამოცემაზედ, ჩვენის ენის განვითარებასა და გამშვენიერებაზედ და სხვადასხვა. და ყოველივე ესენი ძლიერ საჭირონი და თანაგრძნობის ღირსნი საგნები არიან. მაგრამ ამ საგნებზედ გაჩერება, მათ გარშემო ტრიალი და მასთანავე კმაყოფილებით ძახილი, რომ მხოლოდ ამაებზე არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერებაო, იმასა ნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არა გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზე დამყარებული. ეს მიუტოვებელი ცოდვა გახლავთ თქვენთვის. არც ერთს წრეს ხალხის ბელადთა, რომელსაც-კი სურს შეიქმნეს ქეშმარიტი გამომეტყველი და წარმომადგენელი თავის ქვეყნის ინტერესებისა, არ ექნება მომავალი, თუ რომ იგი განზრახ ან გაუგებრობით უქცევს გზას ეკონომიურის საგნების ახსნას და გადაწყვეტას, რომლების გამოსარკვევლადაც იბრძვის ეხლა ყველა თანამედროვე პარტიები, მთელი კაცობრიობა" [2].

---

[1]) „მნათობი"—1869, № 2, გვ. 5–6.

[2]) გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი—წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ—„ივერია" 1882 წ. №№ VII—VIII გვ.—99—100.

გ. მაიაშვილი კარგად იცნობს „ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა“ მოქმედებას და მიმართულებას, იცის, რომ იმათ მსოფლ-მხედველობაშიაც არის ჩაქსოვილი მთელი კაცობრიობის ახლანდელი ბრძოლის საპირბოროტო საკითხები; მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ ამ საკითხთა გადაწყვეტას მათ თავი ვერ აართვეს.—გ. მაიაშვილი ცდილობს უჩვენოს მათ ჭეშმარიტი დასარყდნობი ბაზა, რომელსაც თერგდალეულებმა ვერ მიაგნეს. „არ შეიძლება რეფორმა მოახდინო რომელისამე საზოგადოების ცხოვრების ნაწილისა, თუ იგი უცნობია და გამოურკვეველი. ამისათვის არის საპირო სეინდიდისიერი და ყოველმხრივი შესწავლა ხალხის ეკონომიურის ცხოვრების ყოველ მხარეთა. მხოლოდ ამგვარ შესწავლაზე დამყარებით შეიძლება დაასკვნა ესა თუ ის დიდი აზრი, გამოიკვლიო ხელმძღვანელი პრინციპი და გზის მაჩვენებელი ნათელი ჭეშმარიტი, რომლის შემწეობით შეაძლებელი იქნება მოიპოვოს კაცმა ზომანი და ღონისძიებანი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, დამაშვრალ და ტანჯულ მშრომელთა გაჭირების და უილაჯობის ცრემლების მოსაწმენდად. მართლაც, ვიცით განა ცოტა მაინც წესიერად ეხლანდელი მდგომარეობა ხალხისა? შეგვიძლიან ვუჩვენოთ უახლოესნი მიზეზნი ხალხის წუხილისა, გაჭირვებისა და გაღარიბებისა? მეტის მეტად უსასოობაა ჩვენში შესახებ ამ გვარ წყაროთა და მასალათა“[1].

გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი თავის მეტად საგულისხმიერო სტატიაში, გამონახავს რა მომავალი ცხოვრების მშენებლობისათვის სწორ დასაყრდნობ ნიადაგს, საჭიროდ სთვლის დაწვრილებით იქნას შესწავლილი ჩვენი ხალხის ეკონომიური ცხოვრება და მისი ზნე-ჩვეულებანი (ხალხის ოჯახური და საზოგადოებრივი (თემური) ცხოვრება, მის წევრთა იურიდიული მდგომარეობა და უფლება). ამის შემდეგ ის იძლევა „შემოქმედების პროგრამასაც“, რომელსაც უმთავრესად ეკონომიური საკითხების გამორკვევის ხასიათი აქვს—შესახებ მდგომარეობისა—გლეხის, ვაჭრის, ამქრის, ბოგანო-პროლეტარისა. და ბოლოს ასეთი მოწოდებით მიჰმართავს: „შევაწყოთ და შევუთანხმოთ ჩვენი ნაწერების ხასიათი და მიმართულება ხალხის ინტერესებს და მოთხოვნილებათა, ვისწავლოთ და განვითარდეთ ხალხთან ერთად, მასთან ერთადვე შევიმუშავოთ საზოგადოებრივი იდეალები, რომელნიც მხოლოდ ხალხის მიერ მიიღებენ უალრესს ძალას და შეიძლებენ ყოველგვარ ბრძოლის და დევნის ატანას“[2].

[1]) გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი—წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ—„ივერია“ 1882 წ. № № VII—VIII—გვ. 101—102.

[2]) იქვე, გვ. 123.

აი სწორედ ეს „ხალხოსნური“ მიმართულებაა საფუძველი იმ ახალგაზრდა ჯგუფისა, რომელმაც თავი შემოიკრიბა ჟურნალი „ი მ ე დ ი ს“ გარშემო და მოინდომა მათგან გამიჯვნა. „მათი (ე. ი. აზნაურული პერიოდის (1860-1881) მწერლებისა. მ. ზ.) დიდი ნაკლულევანება,—სწერს „იმედის“ ერთი საუკეთესო თანამშრომელი ს ტ. ქ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი „იმედის“ საპროგრამო წერილში,—იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთ ნიჭიერებასთან და სწავლასთან სრულებით ავიწყდებოდათ დროება, გარემოება და ადგილი... მთელი ხალხი სწყდებოდა შიმშილითა და უმოსავლობით, ამ დროს ჩვენი მწერლები გაცხარებული ბაასობდნენ ტიერზე და გიზოზე; ხალხს ავიწროებდა და სტანჯავდა ათასნაირი გაცხარებული უსამართლობა მოსამართლეებისაგან,—მწერლები აღტაცებულნი მოგვითხრობდნენ ლუი ბლანზე, როშფორებზე და გამბეტაებზე; ხალხი იწვებოდა და იდაგებოდა უთვალავი ხარჯისა და ბეგარებისაგან,— მწერლები კი ბოკლსა და დარვინის თეორიების მეტს ვერას პოულობდენ სალაპარაკოდ; ხალხს უჭირდა დაწყებითი სწავლის მიღება, ჩვენ მწერლებს კი სრულებით დავიწყებოდა ესა და ელაპარაკებოდნენ ქართველს მკითხველებს მეცნიერებისა და ცხოვრების უკანასკნელ სიტყვაზე“[1].

აი სწორედ ამ ჯგუფისაგან გამიჯვნა და მასთან წინააღმდეგობა გამოაცხადა „იმედის“ ჯგუფმა. დაიწყო ბრძოლა „ი მ ე დ ს ა“ და „ ი ვ ე რ ი ა“-„დ რ ო ე ბ ა ს“ შორის.

„რატომ უკვირს უფ. აკაკის,—ეკამათება მიხ. გურგენიძე ძველ თაობას,—რომ „მღვდლის შვილები“—„დიაკვნები“ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსულან? ეს ხომ უეჭველად ასე ჯნდა ყოფილიყო. მაშ ვის შეეძლო აკაკისა და მის ამხანაგების ანდერძის აგება. ყოველივე წესის აგება მხოლოდ მღვდელ-დიაკვნებს შეუძლიანთ, და ბედის წერამაც საქმე ისე მოიყვანა, რომ „იმედში“,— რომლის დანიშნულებაც არის—დასთრგუნოს ყოველგვარი გონებითი, ზნეობითი და მოქმედებითი მახინჯობა, მაშასადამე მწერლობისაც,—მიიღებენ მონაწილეობას „დროება“-„ივერიისაგან“ მოძულებული დიაკვნები“[2].

„ი მ ე დ ს ი“ მ ო ხ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ ჯ გ უ ფ ო ბ რ ი ვ ი გ ა მ ო ს ვ ლ ა ს ა მ ო ღ ვ ა წ ე ო ა ს პ ა რ ე ზ ზ ე ჩ ვ ე ნ ი „რ ა ზ ნ ო ჩ ი ნ ე ც ი ს ა“. „იმედის“ თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ე ბ ი თავიანთ ვინაობას და სო-

[1]) ს ტ. ქ რ—შ ვ ი ლ ი—ქართული მწერლობა—„იმედი“ 1881 წ. № 1. გვ. 17

[2]) მ ი ხ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე,—ერთი ჩვენი მწერლობის სენი,—„იმედი“ № 2, გვ. 100.

ციალურ მდგომარეობას აშკარად ამელავნებენ ჟურნალის პირველ-სავე ნომერში[1]:

„არ გახლავართ მდიდრის შვილი,
არც თავადი, აზნაური,
ამის მეტად ჯერედ ხელში
არც მჭერია მე ჩონგური!..
მამა მყვანდა მიწის მუშა,
დედას მე არ მოვსწრებივარ!..
დაბრიყვებას, სისაწყლესა
თ ვ ი ს უ ბ ე შ ი გ ა ა უ ზ დ ი ვ ა რ.
ვისაც ვსთხოვე ხელის მოწვდა,
„წადი იქით, რეგვენოო!
სოფლის ლხინში არ გაქვს წილი,
უნდა იყო უენოო!“[2]

და ამ „უენომ, დაბრიყვებულმა“, სისაწყლეში გამოზრდილმა მიწის მუშის შვილმა ტანჯვასა და კვნესაში შეიგნო ჭეშმარიტება და გაემიჯნა იმათ, ვისაც გულით უნდათ „თვალ-მარგალიტი, ჩინ-აპელატი, მაზედ დადგმული ბედნიერება“; ის იქით არ მიისწრაფ-ვის, რადგანაც: „სადაც თქვენა (ე. ი. შეძლებულნი--მ. ზ.) გრძნობთ თავს ბედნიერად, იქ ჩემი სული ამოიხრჩვება“[3]. ეს თაობა თერგ-დალეულებისაგანაც კარგად გრძნობს თავის განსხვავებას, როგორც სოციალურს, ისე ფსიქოლოგიურსაც. აი რასა სწერს „სტუდენტი“, ახალი თაობის მისწრაფებათა გამომხატველი, პეტერბურღიდან:

„ის ჭია, რაიც თერგის ნაპირზედ
ილიას „მგზავრსა“ გულს ულირღნიდა,
ეხლა სრულიად მე არ მაწუხებს,
ი ს დ რ ო ჩ ე მ თ ვ ი ს ა მ ა ნ დ ვ ე წ ა ვ ი დ ა.
მე ეს კითხვები კარგა ხანია
დამიძლევია, გამომიხსნია!..
ჩემ გულის ბოღმა, თქვენთან საკითხი,
სიტყვა სრულებით სხვანაირია:

---

[1]) ჟურნალი „ი მ ე დ ი ს“ გამოცემა ჯგუფს სდომებია 1879 წლიდან, მაგ-რამ ვერ მოუხერხებია. მრავალი სტატია, დაბეჭდილი შემდეგ „იმედში“, კერძოდ მ. ა ს ა თ ი ა ნ ი ს ა, როგორც წერილების თარიღები გვიჩვენებს, ეკუთვნის 1879 წ. „იმედის“ ჯგუფის აქტიური მუშაობა დაწყებულა 1878 წელშივე.

[2]) მ. ა ს ა თ ი ა ნ ი,—შიკრიკი,- „იმედი“ 1881 წ. № 1.

[3]) მისივე,—შეუპოვარი—„იმედი“ 1891 წ. № VI.

მექნება ნება ლაპარაკისა?
ხალხთან საუბრათ მე მიმიშვებენ?
სწორედ სიტყვასა სამართლიანსა
განა მე მისთვის მათქმევინებენ?"[1].

აი ასეთია რეალური მიდრეკილებანი და მისწრაფებანი ახალი თაობისა, რომელიც ლამობს გზა ჩამოართვას წინათაობას, თერგდალეულთ, და ჩაუდგნენ ცხოვრებას წრეში. „იმედის" გარშემო შემოკრებილ ახალ თაობას, „მართალია, არც ხანში შესული და არც მოხუცებული არა სძაგდა განუსაზღვრელი სიძულვილით, ძლიერ ბევრს იმათში პატივსაცა სცემდა", მაგრამ სწამდა (და ამას ცხოვრების საერთო მსვლელობაც უმტკიცებდა), „რომ საქმის სისიყვარული, საქმით გატაცება დავიწყებამდის, საქმის დაწყება და ბოლომდის გატანა შეუძლიან ახალგაზრდობას, ოღონდ-კი იმან მოიწადინოს"[2]. ამიტომ მ. იმედაშვილი (მ. ასათიანი) აღტაცებით მოუწოდებს პეტერბურღელ სტუდენტს:

„სამკალი გვაქვს მეტად დიდი,
მომკლები კი არ გვიჩანან,—
თუმც მოსულან ორიოდნი,
გულ-ხელ დაკრებილნი დგანან!
ავდრიან დღის ეშინიანთ,
უცდიან მზის გამოსვლასა.
ამ ლოდინში დროც წაუვათ,
წაახდენენ მრთლად ყანასა.
ვისაც გერჯით, მართლა, გული
სამუშაოთ მოდით აქა!..
წინ დაგხვდებით, შამოგძახებთ:
გამარჯობა და ბარაქა!
კარგ ნამგლებთან წამოიღეთ
ტარიანი მჭრელი ცელი:
ყანას ნარი ძოსევია
არ დაგიჭრათ, რომ მან ხელი!"[3]

და მართლაც, ჩვენი ცხოვრების ყანის სამკალად გამოვიდა ეს თაობა, რომელიც კარგად იცნობდა ჩვენს ცხოვრებაში მორეულ ნარ-ეკალს, კარგად იცნობდა მისი წარმოშობის მიზეზს. საერთოდ

[1]) მიხ. ასათიანი, შიკრიკი „იმედი" 1881 წ. № 2; გვ. 54. კურსივი ჩვენია.
[2]) იქვე, გვ. 55.
[3]) იქვე — გვ. 56-57.

ხალხის ტანჯული ცხოვრების წიაღიდგან გამოსვლა, მისი პირობების ახლო ცოდნა, გატაცებით ჩაბმა ჩვენი ხალხის ახალი ცხოვრების გზის გაკაფვაში, —აი რა ახასიათებდა ჩვენს ხალხოსნებს.

ჩვენი ხალხოსნები, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, აღნიშნავდენ, რომ ისინი სამოქმედო სარბიელზე ახალი მიმართულების, ცხოვრების და მოღვაწეობის ახალი გზის გამონახვისათვის გამოდიან. ჟურნალი „იმედის" გარშემო შემოკრებილი ხალხოსანთა ჯგუფი არაერთხელ აღნიშნავს თავის ორგანოს ფურცლებზე, რომ ის ახალი ცხოვრების მქადაგებელია, ცხოვრების ახალი ფორმების მაძიებელია. ეს ჯგუფი ამაში ჰხედავს ერთ-ერთს მთავარ განსხვავებას თავისსა და „ივერიის"-„დროებას" შორის. როდესაც 1881 წელს ტფილისში მოწყობილმა არქეოლოგიურმა ყრილობამ ქართულ ჟურნალ-გაზეთობასა და მის წარმომადგენელთადმი სათანადო ყურადღება არ გამოიჩინა, „იმედი" სარგებლობს ამ შემთხვევით და აი რასა სწერს: „ახალს ჟურნალსა და გაზეთს—„იმედს" და „შრომას" თავი დავანებოთ, თუ გნებავთ, რადგანაც ესენი მაინც და მაინც ძველს მაგდენათ არა სწყალობენ და ქადაგებენ, რომ საქმე სისხლშია და არა ძვალშია, სიცოცხლეში და არა სიკვდილშია, აწმყო მომავალში და არა წარსულშია; მაგრამ „დროებამ" და „ივერიამ" რაღა დაუშავეს იმათ, რომ ჩირათაც არ ჩააგდეს. ნუ თუ ამ ჟურნალ-გაზეთის თანამშრომელები, რომლებიც იმდენად „ყოველივე ძველის" თაყვანისმცემლები არიან, რომ სურთ კიდეც ხელი მიაფარონ მას და დაიხსნან ის ახალი თაობის ავი თვალისა და ენისაგან, ღირსნი არ იყენენ არხეოლოგებისაგან კეთილ მოხსენებისა?!". ეს წერილი ვინმე ეკალაძისა მთავრდება ლექსითა, რომელშიც აშკარადაა გაძოთქმული „იმედის" ახლისკენ მისწრაფება: „მათ" (ე. ი. „დროება"-„ივერიას" მ. ზ.) ვეხებით ამ უსტარით".

ვიწვევთ ყველას დაგვეხმაროთ,
ვსდევნოთ იგინი „ისარით".
მით მომავლისკენ გზა ვკაფოთ." [1]

„იმედის" თანამშრომლებს კარგად ესმით, რომ „ახალი ჩვეულება, რომელმაც უნდა განაგდოს ძველი, ვერ მოთავსდება ძველ ჭურჭელში". ეს გარემოება აუცილებლივ იწვევს ბრძოლას ძველსა და ახალს შორის. „იმედის" თანამშრომლებს კარგად ესმით, რომ „ეს ბრძოლაც არ არის ადვილი საქმე, როდესაც მაგის გარდა,—სწერს სტ. ჭრელაშვილი,—საბრძოლი ბევრი სხვა რამა გვაქვს, მაგალითად ლუკმა-ჰურის შოვნა, კაცური ღირსების დაცვა და სხვანი-.[2]

---

1) ეკალაძე—ისარი—„იმედი" 1881 წ. № 9 გვ. 34-37.
2) სტ. ჭრ-შვილი—მამულის შვილი—„იმედი" 1881 წ. №№ 10—11—12; გვ. 74.

II

ხალხოსანთა მისწრაფებანი.

1.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ხალხოსნები რუსეთის ხალხოსანთა იდეოლოგიის დიდი გავლენის ქვეშ აღიზარდნენ და განვითარდნენ კიდეც. როგორც სხვადასხვა ცნობებითგან ვრწმუნდებით, მათ რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებთან გარკვეული კავშირი ჰქონიათ. „გამოდიოდნენ რა იმ დებულებიდან,—სწერს შ. დავითაშვილი,—რომ საქართველო მჭიდროთ არის დაკავშირებული რუსეთთან და რომ ქართველი ხალხის ხსნა სავსებით დამოკიდებულია რუსეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილების დამხობაზე (მეფის რეჟიმისაგან დაჩაგრული რუსეთის ხალხის განთავისუფლებისათვის), ქართველი რევოლუციონერები ფიქრობდნენ, რომ, ემსახურებიან რა რუსეთის რევოლიუციის საქმეს ცენტრში, ამით ისინი ემსახურებიან ქართველი ხალხის ინტერესებსაც“.[1]

რუსეთის ხალხოსანთა მოძრაობით და მოქმედებით გატაცებულნი, ჩვენი ხალხოსნებიც ცდილობენ ხალხში გასვლას. 70-იანი წლების დასაწყისში ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ადგილი აქვს ხალხში სიარულის დასაწყისს. ეს სიარული ზოგან, შეიძლება ითქვას, ორგანიზაციულია. „ტფილისში მე კვლავ შევუდექი,—სწერს შ. დავითაშვილი,—რევოლიუციური ლიტერატურის გავრცელებას, ხოლო სასწავლებლების დახურვის დროს ზაფხულზე გადავწყვიტე „ხალხში გასვლა“.

წავედი ქ. გორში აუარებელი არა-ლეგალური ლიტერატურით და ვესტუმრე მასწავლებელ სოფრომ მგალობლიშვილს, რომელმაც გამაცნო მათე კერესელიძე და ივანე ხიმშიაშვილი. რამოდენიმე დღის შემდეგ გავსწიე სამოგზაუროდ ქართლის სოფლებში, მაგრამ საზაფხულო თვეების უდიდესი ნაწილი დავეყავი სოფ. ტყვიავში.

---

[1]) შ. დავიდოვი—მოგონებანი—„რევოლიუციის მატიანე“ 1923 წ. № 3 გვ. 204.

„ტყვიავში მოვიდნენ მშობლებთან კოლია ფაველენიშვილი, ტიფლისიდან და სტუდენტი რომან ფაველენიშვილი, რომელსაც მოჰყვა თავისი ამხანაგი გიგო გაბაევი (მედიკი). სტუმარმოყვარეობით სახელგანთქმულ ფაველენიშვილებს ესტუმრენ აგრეთვე სოფრომ მგალო ბლიშვილი, ვანო ხიმშიაშვილი, ანტონ ფურცელაძე, დავით ფურცელაძე, ილიკო მაჭავარიანი, ვასო დეკანოზოვი (რევოლიუციური ბროშურების მთარგმნელი) და სხვ.

„დაარსდა პატარა რევოლიუციური წრე ადგილობრივი მღვდელის—ვასო სამადოვის აქტიური მონაწილეობით. წრეს მიემხრენ ადგილობრივი წვრილი მემამულენიც—მიხეილ და ლუარსაბ ერისთაველები, დები—კესო და ნატო გაბუნიები და ბაბო კორინთელი (ბოლოს ქართული სცენის არტისტები). რევოლუციური ლიტერატურა ხელიდან ხელში გადადიოდა, რევოლიუციური სიტყვები და სიმღერები თავისუფლად გაისმოდა.

„როგორც ტყვიავის, ისე სხვა სოფლების გლეხობაში რევოლიუციური აზრი იწვევდა ცოცხალ ინტერესს, მაგრამ მათ ვერ წამოაყენეს აქტიური მომუშავენი: გლეხები მეტის მეტად დატვირთულნი იყვნენ მუშაობით საარსებო პურისათვის".[1] ამათ გარდა შ. დავითაშვილი და სხვანი ასახელებენ კიდევ მრავალთ, რომელნიც ამ დროს გატაცებულნი იყვნენ ხალხში რევოლუციონური მოძრაობის გაღვივების მისწრაფებით. იქიდანვე გვაქვს ცნობები ამ ორგანიზაციათა კავშირის შესახებ რუსეთის ანალოგიური რევოლუციონურ ორგანიზაციებთან. როგორც მაშინდელ მოღვაწეთა მოგონებანი გვაუწყებენ, ისინი ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ რუსი ხალხოსნების მოძრაობას.

,,1876 წელს შემოდგომის გასულს საქართველოში მოხდა მრავალი გაჩხრეკა (ეს ალბად დაკავშირებული იყო რუსეთში მომხდარ გლეხ-კაცთა აჯანყებებთან და რუსეთის ,,რევოლუციონერთა'' მიმართ მიღებულ რეპრესიებთან). ამ გაჩხრეკას მოჰყვა მრავალი რევოლუციონერის დატუსაღება: ტფილისში დაატუსაღეს ეგნატე იოსელიანი და სტამბის მეპატრონე არსენ კალანდაძე, გორში—ვასო დეკანოზოვი, სოფ. მერეთში—დავით ფურცელაძე, სოფ. ტყვიავში—მღვდელი ვასო სამადოვი, სოფ. ქვიშხეთში—მიხ. ყიფიანი, ქუთაისში—ვარლამ გაბიჩვაძე და პოლიეევქტ კვიცარიძე და სხვანი.“ [2]

---

[1]) შ. დავიდრვი—მოგონებანი—„რევოლიუციის მატიანე'', 1923 წ. № 3 გვ. 201.

[2]) იქვე.

ამ პირველმა რევოლუციონურმა ორგანიზაციამ გორში გაშალა მოღვაწეობის ფრთა. იქ ის უფრო კულტურულ მოღვაწეობას მისდევს: წარმოდგენების გამართვას ხალხისათვის, კითხვების და საუბრების მოწყობას, თუმცა ეს ორგანიზაცია ხალხში რევოლუციონური ჟინის გაძლიერებასაც ცდილობს.

1878 წლის გაზაფხულზე მთავრობა კიდევ დაესხა თავს ამ ჯგუფს. ორენბურგის გუბერნიაში გადაასახლა ეგნატე იოსელიანი და მიშა ყიფიანი. „ზოგიერთი ამხანაგი,—გადმოგვცემს შ. დავითაშვილი,—და, სხვათაშორის, სოფ. მგალობლიშვილი და ვანო ხიმშიევი დატუსაღებულ იქნენ განუსაზღვრელი ვადით“. ვასო დეკანოზიშვილი და რომან ფავლენიშვილი ციხეში დასნეულდნენ ჭლექით და მალე დაიღუპნენ.

ამის შემდეგ რევოლუციონერთა რიგები თანდათან დიდდებოდა, რევოლუციონური მოძრაობა თანდათან ღრმავდებოდა და ჩვენი ხალხოსნების მოღვაწეობაც თავის კეთილ კვალს სტოვებდა დიადი საქმის, ხალხის განთავისუფლების და ბედნიერების მოპოვების მიხწევაში, ხალხის მასების გაღვიძებაში თვით ხალხის მასების ამ დიადი საქმის გამარჯვების პროცესში ჩაბმით. ხალხოსანთა მოღვაწეობა ერთი საუკეთესო და საინტერესო ფურცელთაგანია ჩვენი ხალხის განმანთავისუფლებელი მოძრაობისა.

2.

სანამდის თვით ჩვენი თემის—ხალხოსნები ჩვენს ლიტერატურაში—გადაშლას შევუდგებოდეთ, გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთს გარემოებას. ზევით აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ხალხოსნობა რუსეთის დიდი გავლენის ქვეშ განვითარდა. გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ხშირად შეუცნობლადაც-კი მიდიოდნენ იმ გზით, რომელსაც რუსულ ჟურნალ-გაზეთების საშუალებით გაეცნობოდნენ ხოლმე. მაგრამ მიუხედავად ასეთი გავლენისა, ჩვენს ხალხოსნობას თავისებურობა მაინც ატყვია. არის მათ შორის განსხვავება და ეს განსხვავება, შეიძლება ითქვას, თვალსაჩინოა. მაშინ როდესაც რუსი ხალხოსნების უმეტესი ნაწილი რუსეთს და მის განვითარების გზას უპირისპირებს დასავლეთ-ევროპას, აღნიშნავს რუსეთის სხვაობას, მის უპირატესობას დასავლეთ-ევროპასთან შედარებით; ამტკიცებს, რომ რუსეთმა დასავლეთ-ევროპისაგან არაფერი არ უნდა გადმოიღოს, რადგანაც, რუსი ხალხოსნების შეხედულებით (ეს შეხედულება ხალხოსნებმა რუსი

სლოვიანოფილებისაგან შეითვისეს), დასავლეთ-ევროპა უკვე ძალა-გამოლეულია, იხრწნება. რუსი ხალხოსნების რწმენით, რუსეთი უნდა წავიდეს არა დასავლეთ-ევროპის განვითარების გეზით, არამედ ახალი, თავისი ისტორიული გზით, რომ შესძლოს ნამდვილი წინმსვლელობის გზა გამონახოს.[1]

ჩვენი ხალხოსნები-კი ასე მტრულად არ უყურებენ დასავლეთ-ევროპას. პირიქით, ისინი ცდილობენ მისი ცხოვრების გაკვეთილებით ისარგებლონ. „ჩვენ,—სწერს სტ. ჭრელაშვილი, „იმედის" საპროგრამო წერილში,—არც ევროპიულ მეცნიერებაზედ და ცხოვრებაზედ ავიღებთ ხელსა, რადგანაც მხოლოდ მასში ვხედავთ კაცობრიობის გაუმჯობესობის და მაღლა აწევის ძალას. მხოლოდ ამაზედ გვაქვს დამყარებული იმედი ჩვენი ძაღლ-უმადლო ცხოვრების განათლებისა და ამაღლებისა".[2] მაგრამ ახალი ცხოვრების დამყარებას საფუძვლად ჩვენი ხალხოსნებიც თხოულობენ თვით ჩვენი ხალხის ცხოვრების სინამდვილე და მოთხოვნილება დაუდვან. „არ შეიძლება,—სწერს გ. მაიაშვილი,—რეფორმა მოახდინო რომელიმე საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილისა, თუ იგი უცნობია და გამოუკვლეველი. ამისათვის არის საჭირო—სვინიდისიერი და ყოველმხრივი შესწავლა ხალხის ეკონომიური ცხოვრებისა ყოველ მხარეთა. მხოლოდ ამ გვარ შესწავლაზე დამყარებით შეიძლება დაასკვნა ესა თუ ის დედა აზრი, გამოიკვლიო ხელმძღვანელი პრინციპი და გზის მაჩვენებელი ნათელი ჭეშმარიტი, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქნება მოიპოვოს კაცმა ზომანი და ღონისძიებანი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, და მაშვრალ და ტანჯულ მშრომელთა გაჭირების და უილაჯობის ცრემლების მოსაწმენდათ. მართლაც, ვიცით განა, ცოტად მაინც წესიერად ეხლანდელი მდგომარეობა ხალხისა? შეგვიძლიან ვუჩვენოთ უახლოესნი მიზეზნი ხალხის წუხილისა, გაჭირვებისა და გაღარიბებისა? მეტის-მეტად უსასოებაა ჩვენში შესახებ ამ გვარ წყაროთა და მასალათა." [3]

გ. მაიაშვილის ეს შენიშვნა, როგორც სტატიის სათაურიდანაც ჩანს, დაწერილია ჩვენი მოღვაწეების მიმართ, რომელნიც ხში-

---

[1]) მიუხედავად ასეთი შეხედულებისა, რუსი ხალხოსნების მსოფლ-მხედველობა არ არის დამუშავებული ევროპის გავლენის გარეშე. ისინი გარკვეულად განიცდიან ევროპის უტოპიური სოციალიზმის და იდეალისტური ფილოსოფიის გავლენას.

[2]) სტ. ჭრ-შვილი—ქართული მწერლობა, „იმედი —1881 წ. № 1. გვ. 100

[3]) გ. მაიაშვილი—წერილი ჩვენი საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ —„ივერია" 1882 წ. № 9, გვ. 101—102.

რად ოცნების მაღალ ფარდებში დანავარდობდნენ, ხოლო ფაქტიურად მათი სურვილებისა და სინამდვილის, შესაძლებლობის შორის დიდი და გარდაუვალი უფსკრული არსებობდა.

ასეთსავე აზრს გამოსთქვამს „იმედის“ თანამშრომელი გრ. ყიფშიძეც. მისი სამართლიანი აზრით, ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობა ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყვეს; მას ან სწავლა-განათლება აკლია და მეცნიერების იარაღით არ არის შეკურვილი, ან, თუ აქვს განათლება, იგი ისე ვრცელი და ფილოსოფიურია, რომ სრულიად ვერ გამოუყენებია ხალხისა და ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის. „საჭიროა,—სწერს ის,—ჩვენი ქვეყნის შესწავლა და დამყარება ისტორიული, ეტნოგრაფიული და ეკონომიური მეცნიერებისა ჩვენში... ესევე არის პირდაპირი მოვალეობა იმ ახალგაზრდობისა, რომელიც უმაღლეს განათლებას იღებს რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში“.[1]

რუსი-ხალხოსნების ერთი დამახასიათებელი თვისება კიდევ ის იყო, რომ ისინი უარყოფითად უყურებდნენ კაპიტალისტურ წყობილებას, რომელმაც წარმოშვა პროლეტარიზაცია საშინელი ტანჯვითა და მწუხარებითა. მათი მიზანი იყო, ხალხი წაეყვანა ისეთი განვითარების გზით, რომ ეს განვითარების სტადია თავიდან აეცილებინათ. ასეთმა შეხედულებამ წარმოშვა კულტი თემობრივი წყობილებისა, რომლის საფუძვლების განვითარება, ხალხოსნების რწმენით, მისცემდა ხალხს საშუალებას უშუალოდ სოციალიზმში გადასულიყო.

ჩვენი ხალხოსანი-მწერლების მსოფლ-მხედველობაში, ზოგიერთისაში მაინც, თემობრივი წყობილების კულტს, მართალია, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს (ამას ქვევით დავინახავთ), მაგრამ კაპიტალისადმი ასეთი მტრული შეხედულება-კი მათ არ ეტყობათ. ყოველ შემთხვევაში, ისინი თითქოს კაპიტალის ძალის არსებობას ურიგდებოდნენ. „დღეს ყველა თვალხილულისათვის,—სწერს „იმედის“ თანამშრომელი დ. აბდუშელიშვილი,—ცხადია, რომ მეცნიერებით დაიარაღებული კაპიტალი, რომელმაც ხალხს ხელიდან გამოაცალა ძიწა და ხელფეხის მეტი არა დაუგდო რა, დღეს თუ ხვალ ჩვენც გვესტუმრება, და აბა რას გვირჩევს ჩვენი ლიტერატურა?—ხმასაც არ იღებს, ყურსაც არ ანძრევს... თითქოს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდგან იწერებიან სიღარიბეს და სიღატაკეს გლეხისას, რომელიც ღმერთს თაყვანსა სცემს, თუ კი დღიური ლუკმა-პური არ შემოაკლდა, ტანზე ძველი შალის ჩოხა და ფეხზე ქალამანი მაინც არ შემოაცვდა... ყო-

[1]) გრ ყიფშიძე—თავიდან თუ ბოლოდან (შენიშვნა ჩვენი სტუდენტების მიმართულებაზე)—„იმედი“, 1881 წ. № 5, გვ. 105.

ველივე ეს კარგად ვიცით და კარგად ვხედავთ, რომ, მებატონის გადასახადს გარდა, ჩვენ გლეხს საზოგადო და სახელმწიფო გადასახადიც არ აკლია; მაგრამ ჩვენი ახლანდელი ლიტერატურა, ნაცვლად მისა, რომ... გლეხობის ნამდვილი ეკონომიური მდგომარეობა დაენახვებინა, გვარწმუნებს, რომ ჩვენებური გლეხი ბევრად უფრო მდიდრათა ცხოვრობს, ვინამ გგონიათო“ [1].

და აი „იმედის“ ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელთაგანი და ჩვენი ხალხოსნობის ერთ-ერთი ნიჭიერი გამომხატველი სტ. ჭრელაშვილი ჟურნალი „იმედის“ შემდეგს ნომერში, თითქოს დ. აბდუშელიშვილის აღნიშნული წერილის საპასუხოდ, არჩევს არდაზიანის მოთხრობას „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“ და შემდეგს საგულისხმიერო შეხედულებას გამოსთქვამს: „ერთი სიტყვით,—სწერს ის,—მეჯღანუაშვილი და კიდევ მეჯღანუაშვილი. ეს არის თავი და ბოლო ჩვენი ცხოვრების ბორბალისა. ეს ამშვენებს და აძლევს სპეტაკ ფერს დღევანდელ ჩვენ უფერულობას. ყველანი გულწრფელად ვიტყვით, რომ უამისოთ ჩვენ ჩალათაც არ ვეღირებოდით. ამიტომაც მეჯღანუაშვილს შეუძლიან ამპყათ და გულდაგულ შეჰყუროს ქვეყანას, რომლის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს—დაუთმოს ყველგან უპირველესი ადგილი... რომ მოკლეთა ვსთქვათ, მეჯღანუაშვილი გახლავთ ყველაფერში მოწინავე პირი ჩვენი ცხოვრებისა, ნამდვილი იდეალი მთელი ხალხისა.

„რის წყალობით დაუჭერია,—განაგრძობს აზრის განმარტებას სტ. ჭრელაშვილი,—ჩვენს გმირს ასეთი მაღალი ადგილი, რით გამხდარა ასეთ მოწინავე პირათ?—ჯერ პირველათ იმითი, რომ იმას ზურგზე აკრამს ვეებერთელა ტოპრაკი, პირამდის გაჭედილი თითქმის ერთი მთლიანი თეთრი ფულით; მეორე კიდევ იმიტომ არის იგი ძვირფასი, რომ ეს ამოტელა ფული იმას უშოვნია თავის საკუთარი ოფლით, თავის მეცადინეობით“.[2]

სტ. ჭრელაშვილი ცხადლივ ხედავს, რომ ეს მოვლენა ჩვენი ცხოვრების ბუნებრივი და აუცილებელი გზაა. ეს მოვლენა „ჩვენი ცხოვრების ნამდვილი ყვავილია“. „საქმე არც სოლომონის პიროვნებაზეა,—სწერს კათეგორიულის ტონით სტ. ჭრელაშვილი,—ის არ იქნება, სხვა იქნება... საქმე თითონ იმ საზოგადოებაზეა, იმ ცხოვრებაზეა, სადაც ამისთანა პირები თამამად დაიარებიან, სადაც ცხოვ-

---

[1]) დ. აბდუშელიშვილი — ბიბილიოგრაფია — „იმედი“ 1881 წ. № 1 გვ. 105.

[2]) სტ. ჭრელაშვილი—ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი—„იმედი“—1882 წ. № 2, გვ. 59-60.

რება თითით გვაჩვენებს მათზე და თავმომწონეთ გვეუბნება: „აჰათ, ესე არს ძვალი ძვალთა ჩემთაგან და ხორცი ხორცთა ჩემთაგან! ამაშია ჩემი დიდება და სასოება. ეს არის ჩემი ძალა და ღონე. აბა ვის შეგიძლიანთ ხმა გაგვცეთ ან სოლომონაებს ან მე. სოლომონი გავამდიდრე, ავაყვავე... მაგივრათ, ათასი სოლომონისთანა ობოლი შემოვინარცხე და ვინაცვალე". სტეფანე ჭრელაშვილი ქვევით უფრო გარკვევით აღნიშნავს მეჯღანუაშვილთა წარმოშობის აუცილებლობას: „მეჯღანუაშვილი კი არა, თვით უცუდესი ქვეყნის გამომწუწნავი რომ ერთს დღეზე ამოაგდოთ დედამიწის ზურგიდგან, მაინც ხვალე თქვენი გაშტერებული თვალები დაინახავენ, რომ იმათი ადგილები სხვებს დაუჭერიათ, მათ სკამზე სხვები გამოჭიმულან. იმიტომ რომ... ყველა ჩვენთაგანში ცხოვრების უარაქათობამ ღრმად ჩანერგა ფულის მოყვარეობა... ყველას ფული მიგვაჩნია უღონიერეს იარაღად ნეტარების და სიამის მოსაპოებლადა". და რომ მეჯღანუაშვილს და გაფულიანების მოელენას სტ. ჭრელაშვილი უარყოფითად არ უყურებს, რომ მეჯღანუაშვილების და დაბალი ხალხის შორის ერთგვარ ნათესაობასაც-კი ჰხედავს, ამას ის იქვე გამოსთქვამს: „ისა (ე. ი. მეჯღანუაშვილი—ჭ. ზ.) და ათასი იმისთანა სულყველა უბრალო, დაბალი ჩამომავლობისანი არიან. მათ მამა-პაპებს ჩვენსავით შავი სისხლი უდუღდათ ძარღვებში"[1]. ავტორს მეჯღანუაშვილის უხეშობის გამარილებაც უნდა, ამ თვისების განვითარების მიზეზს მის გარემო აუტანელ ცხოვრებაში ჰხედავს: „ცხოვრებამ,—სწერს იქვე სტ. ჭრელაშვილი,—ქვეყნის ეკონომიურმა მდგომარეობამ გაუჭირა იმას (მეჯღანუაშვილს) საქმე იქამდის, რომ მარტო ტალახში დაინახა მან სიცოცხლის წყარო".[2]

ასეთი შეხედულობით აიხსნება, რომ „იმედის" თანამშრომლები დიდს ყურადღებას აქცევენ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. აკი „იმედის" თანამშრომელს ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობისათვის საჭიროდ მიაჩნია ბაზრის გაჩენა. „ხეირიანად მეურნეობის წაყვანა,—სწერს ვინმე***,—რამდენადაც პატრონის ცოდნაზე, იმდენად ხეირიან მაზანდაზედაც და ნაწარმოების გასაღებაზედ არის დამოკიდებული". ამიტომ, მისი შეხედულებით, საჭიროა სასოფლო ბაზარი: „ერთი უმთავრესი მუწუკი,—ამბობს ის,—ჩვენი მეურნულ

---

[1]) სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი—ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი—„იმედი" 1881 წ. № 3-4 გვ. 25.

[2]) იქვე—გვ. 26.

ცხოვრებისა არის ისეთის ადგილის უქონლობა, საცა ყოველ მემამულეს შეეძლოს ჭირნახულის რიგიანად გასაღება“ [1]).

ამ აზრს უფრო გარკვევით ანვითარებს ნ. ხ—ი „ივერიის“ ეკონომისტს რომ აკრიტიკებს: „ჩვენ ვამტკიცებთ მხოლოდ იმ აზრს, —სწერს ნ. ხ—ი, — რომეკონომიურ ცხოვრებაში მიწის მუშაობა თანდათან ნელ-ნელა ჰკარგავს უწინდელს თავისდიდს მნიშვნელობას და საპატიო ნაწილს მფლობელობისას უნებლიედ უთმობს სხვა ეკონომიურ ფაქტორებს. მაგ. ქარხნულ მრეწველობას, ვაჭრობას და სხვ. ამას ცხადად ამტკიცებს ეკონომიურიისტორიაო“[2].

რუს ხალხსნებთან შედარებით ჩვენი ხალხსნების მსოფლ-მხედველობა განსხვავდება ეროვნული საკითხის გადაჭრითაც. მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მეტად უმწეო იყო. მთელი ხალხი დამონებული იყო პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც და სრულს განადგურების გზაზე იდგა. ჩვენი თავად-აზნაურობა, ეკონომიურად დარღვეული და გაკოტრებული, ადვილად შეიქმნა მოსყიდული რუსეთის მთავრობის შიერ და თავ-დავიწყებით დაიწყო აცოცება ჩინოვნიკურ და ბიუროკრატულ კიბეზე. ისინი ცხოვრებას ისე უყურებდნენ, როგორც სოფ. მგალობლიშვილის მიერ დახატული გმირი ღეჭიაშვილი. „ბევრი ადამიანი ასეა:—გადუშლის ღეჭიაშვილი ცოლს თავისებური გაგებით ცხოვრების ფილოსოფიას,—ბევრი მოხვდება ცხოვრებაში: ზოგან ქიმუნჯს წაჰკვრენ, ზოგან წკიპურტს, იქნება სახრეც მოჰხვდეს, მაგრამ აწინდელ ცხოვრებას მაინც არ უნდა ჩამორჩე. უნდა იწიო მაღლა-მაღლა და ახვიდე სამსახურის კიბის ზემო საფეხურზე“[3]. ხალხი კი, თუმცა თითქოს უფლება მინიჭებული იყო (ბატონ-ყმობა მოსპობილი იყო), მაგრამ სიღატაკე და უკულტურობა მას თავს მაღლა ვერ აღებინებდა. ქვეყნის პოლიტიკური შეეიწროებაც საშინელ მძიმე უღლად აწვებოდა სწორედ მას, ხალხს.

ამ გარემოებას არ შეიძლებოდა ჩვენს ხალხსნებზე თავისი მწვავე დაღი არ დაესვა, ნაციონალური საკითხი არ ჩაემატებინა და მტკიცედ არ ჩაეწნა. მათს მსოფლ-მხედველობაში. „დღეს, ვინც უყუ-

---

[1])—„რამოდენიმე სიტყვა ჩვენს მეურნეობაზე‘,—„იმედი“ 1881 წ. № 1 გვ. 59—60.

[2]) ნ. ხ—ი—„ივერიის“ ეკონომისტი—„იმედი“ 1882 წ. №№ 9—10; გვ. 82

[3]) სოფ. მგალობლიშვილი—წითელი სარჩული—გვ. 48. ტ. II.

რებს ჩვენს ცხოვრებას,—სწერს სტ. ჭრელაშვილი,—ქართველი კაცია, თუ უცხო ქვეყნელი, ყველას უკვირთ, რომ მთელი ჩვენი სამშობლოს შინაგანი, თუ გარეგანი არსებობის აქტი ხდება სხვა ქვეყნელების ხელით:—ვაჭრობა გინდა—სხვის ხელშია, გამგეობა ჩვენი ბედისა სულაც არ გვეკითხება ჩვენა, მისვლა-მოსვლაში სხვას შევყურებთ. ერთი სიტყვით, დაგვწოლია კისერზედ ცხრათავიანი დევი და ჩოველ ჩვენ საქმეს იგი ასრულებს, რასაკვირველია, ჩვენდა საზარალებლად, იგი სუნთქავს ჩვენს მაგივრად, იგი ფიქრობს ჩვენი ტვინის საფიქრებელზედა და სხვანი. ეს დევი გახლავთ ჩვენი დაწყევლილი ბედი, ჩვენი ცხოვრების გარემოებანი"[1].

აი სწორედ ამ გარემოებამ მისცა ნიჭიერ ხალხოსან-მწერალს სოფ. მგალობლიშვილს მასალა ასეთი გესლით და დაუნდობლობით დაეხატნა ჩინ-მენდლებისათვის გამყიდველი ქართველი ინტელიგენტი ღეჭიაშვილის სახით, მოთხრობაში „წითელი სარჩული".

ღეჭიაშვილებს, რომელთაც სამშობლოს სალაროში ხელუკულმა თავიანთი წვლილი შეჰქონდათ, მასების ბედის გამზიარებელი ხალხოსნების შეხედულებას სოფ. მგალობლიშვილი აპოლოს პირით ეტყვის: „ისტორიის კვლევა სხვა არის, კაცური კაცობა კიდევ სხვაა, შუა დიდი ზღვარი უდევთ. რად გვინდა შენი ისტორიკოსობა, თუ დღევანდელ დღეს პირნათლად არ ემსახურები, თუ შენ ახალ თაობას ჩაჰკლავ, ენას მოჰკლავ, ენას მოჰგლეჯ და წმიდათა-წმიდას შეუგინებ"[2].

ასეთია შეხედულება ჩვენი ხალხოსნებისა. ეროვნული გრძნობა ჩვენს ხალხოსნებში უდაოდ მძლავრი და საზრუნავი საკითხია. მაგრამ დაბრმავებული პატრიოტიზმი, შოვინიზმი მათ არ ეპიტნავებათ. ხალხოსნები თვით ცხოვრების წიაღიდან არიან გამოსულნი, მათ გამოიარეს ხალხის ცხოვრების სიდუხჭირე, განიცადეს ხალხის ტკივილი. ამ გარემოებამ მათი ფიქრი და მისწრაფება ცხოვრების სინამდვილეს მიაჯაჭვა და მათ მიმართულებას რეალური ხასიათი მისცა. აკი საუკეთესო რეალისტ-მწერლებად ჩვენს ლიტერატურაში (ასევეა რუსეთშიაც) ხალხოსნები უნდა ჩაითვალნენ. ხ ა ლ ხ ო ს ნ ე ბ ს უ კ რ ი ტ ი კ ო დ, ხ ა ლ ხ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე ა რ ა ფ ე რ ი ს წ ა მ თ. ა რ ც პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ ი, მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ უ რ ი გ რ ძ ნ ო ბ ა უ ნ დ ა თ ა ღ ნ ი შ ნ უ ლ პ ი რ ო ბ ებ ს გ ა რ ე შ ე. მათ არ მოსწონთ გადაქარ-

---

[1]) ს ტ. ჭ რ - შ ვ ი ლ ი, — ძვირფასი მხარე ჩვენი წარსული ცხოვრებისა, „იმედი"—1882 №№ წ. 7—8 გვ. 38—39.

[2]) ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—წითელი სარჩული გვ. 61.

ბებული, უსაფუძვლო ლაპარაკი ქართველი საზოგადოების გზა-დაფანტული წევრებისა, რომელთაც პატრიოტობა პირადი სარგებლობის და სახელის მოხვეჭის მიზნისათვის უნდათ. ამ პატრიოტებს, ხალხისნების შეხედულებით, ნამდვილი არსი ამ გრძნობისა არა აქვთ შეთვისებული და გათვალისწინებული. „ვინც კერძო საქმეს ადგა,—გესლიანად სწერს სტ. ჭრელაშვილი,—და აკეთებს რასმე საშშობლოს სახელით, იმას შეუძლიან ერთი თვალის დახამხამებაზე უდიდესი სახელი დაიმსახუროს მამულის მხსნელებ შუა, და ვისაც განსაზღვრული სახელი არა აქვს, ან არ შეუძლიან, არც ის არის სამუდამოდ იმედმიხდილი, რომ მამულისადმი არ მიუძღვოდეს რამე ღვაწლი: იმას ნება აქვს მინიჭებული, რომ თავისი მდიდარი სუფრიდან თითო-ოროლა ნაღირღნი ლუკმა, რომელიც ძაღლს უნდა რგებოდა, გადაუგდოს საწყალ ლაზარე-საქართველოს, ან თუ ფული ვერ გაუშეტებია, აქოს და ადიდოს ჩვენი პატრიოტები, სადაც კი შეჰხვდება, თეატრში უყვიროს ჩვენ აქტიორებს და მეტადრე აქტრისებს „ბრაო“ და „ბისი“, შეერთებული ხმამაღლა ტაშის კვრასთან, და მეტიც საჭირო არ არის, მისი სახელიც პანთეონში გამოიჭიმება. ამიტომაც ვხედავთ, რომ ჩვენი პატრიოტების რაზმს შეადგენს ჩვენი თავად-აზნაურობა. გლეხობა ამ მაიმუნობას ვერც გაიგებს და არც მონაწილეობას მიიღებს. იმას უჩვენე ნამდვილი საქმე და ჭკვიანი აზრი[1]. მაშინ სრულებით სხვა მოთხოვნილებებს წაუყენებენ იმათ, ვინც მოინდომებდა ნამდვილ პატრიოტებში ფეხის შედგმას, მაშინ თვითონ ეროვნული კითხვები სხვა ნიადაგზე აშენდებოდნენ“[2].

ამიტომ ჩვენ, ხალხისნებს, რათა ცრუ პატრიოტების ყვირილს ფასი დაუკარგონ, პატრიოტულ გრძნობაზე ლაპარაკი ზედმეტადაცკი მიაჩნიათ. „თითქოს ქვეყანაზე,—გესლიანი კილოთი სწერს სტ. ჭრელაშვილი,—გარდა ათასში ერთი მახინჯისა, მოიძებნებოდეს საღი კაცი, რომელსაც ან თავისი სამშობლო არ უყვარდეს და მისი ენა... თითქო (ვისმე) შეეძლოს, რომ წაგვართვას, გამოგვწუწნოს ისა, რაც ჩვენ სხეულს შეუთვისებია და ბუნებათ გადაუქცევია“.[3]

ჩვენი ხალხისნების შეხედულებით, ეროვნული გრძნობა ჩვეულებრივი, ბუნებრივი გრძნობაა საღი ადამიანისათვის. და ამ ეროვნულ

---

[1]) კურსივი ჩვენია.

[2]) სტ. ჭ რ—შ ვ ი ლ ი—მამულის 'შვილი—„იმედი“ 1881 წ. №№ 10—11—12, გვ. 94.

[3]) მისივე — ქართული მწერლობა—„იმედი“—№ 1, გვ. 92.

გრძნობის ღირებულება, მათი გაგებით, იმდენადაა ღირებულების მატარებელი, რამდენადაც ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. „ერთი და იგივე მამულის შვილი, — სწერს სტ. ჭრელაშვილი, - განირჩევიან ერთმანეთისაგან არა მამულის სიყვარულით, არამედ იმითი, თუ რომელი მათგანი მომეტებულ სამსახურს გაუწევს თავის სამშობლოს. მაშასადამე, — დაასკვნის აკტორი, — ჩ ვ ე ნ ი პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ა ა მ ო ვ ი კ ვ ლ ი ო თ ჩ ვ ე ნ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა, მ ი ს ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა ნ ი, ტ რ ა დ ი ც ი ე ბ ი, მ ი ს ი ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა ნ ი, მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი გ ა რ ე მ ო ე ბ ა ნ ი, მ ი ს ი ა ვ ი დ ა კ ა რ გ ი, მ ო კ ე თ ე დ ა მ ტ ე რ ი, ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ი თ, მ თ ე ლ ი მ ი ს ი ა ვ ა ნ - ჩ ა ვ ა ნ ი.[1] რომ ამით წარმოდგენილი გექონდეს მისი ფიზიონომია და, შეძლებისა და გვარად, მივცეთ მას ხელი, ვაჩვენოთ გაუმჯობესების საღსარი და შეუდგეთ იმ გზას, რომელიც დააყენებს წარმატებისაკენ“.[2] აქაც გარკვეულად და მძლავრად გვესმის ხალხის საკეთილდღეოდ მთელი ენერგიის მიმართვის აუცილებლობა, რომელიც წითელი ზოლივითაა გატარებული ჩვენს ხალხოსნურ ლიტერატურაში და რომელიც თავისებურ გეზს აძლევდა ჩვენი ხალხოსნების მოღვაწეობას ყოველ სფეროში.

ხალხოსნები არა მარტო ასეთს კულტურულ მიზანს და დანიშნულებას უყენებენ ეროვნულ გრძნობას და პატრიოტს, არამედ ისინი უფრო მეტის გარკვევით, და იმ დროისათვის გაბედულად, გამოსთქვამენ თავიანთ ეროვნულ სურვილებს. „ყ ო ვ ე ლ ი ს ტ ო რ ი უ ლ ს დ კ უ ლ ტ უ რ უ ლ ს ე რ ს, — სწერს ნიკო ხიზანაშვილი, — ბ უ ნ ებ რ ი ვ ი უ ფ ლ ე ბ ა ა ქ ვ ს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი, დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა, ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დ ა ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ხ ი ს, პ ი რ ი ს დ ა ც ვ ი ს ა... ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ამ ცდეაზრის დასარღვევად არც ერთი მტერი კაცობრიობისა და, ცალკე ხალხის წარმატებისა ვერ წარმოადგენს არა რაიმე შესაწყნარებელ საბუთს, გარდა რომელიმე პოლიტიკური მოსაზრებისა. და ეს უკანასკნელი ხომ მეცნიერებაზე არ არის დამყარებული, მას ხომ დროებითი მნიშვნელობა აქვს“.[3]

---

1) კურსივი ჩვენია.

2) ს ტ. ჭ რ — შ ვ ი ლ ი — მამულის შვილი — „იმედი“ — 1881 წ. №№ 10—11—12 გვ. 77.

3) ნ — ო ხ — ი. — მცირედი რაიმე ჩვენს „მამულის შვილობაზე“ — „იმედი“ 1882 წ. №№ 11—12 გვ. 51.

ჩვენი ხალხისნები, როგორც ცხოვრების დულილის მორევში გამოსულნი, აწმყოსი და მომავლის შვილები არიან. მათი მთელი გულისყური აწმყოს გაუმჯობესების და უკეთესი მომავლის გამოჭედვისაკენაა მიმართული. ამიტომ ვერ ეგუებიან იმ პატრიოტებს, რომელთათვისაც „დიდება ივერიისა“ წარსულში იყო დამარხული და წარსულის დიდებით თავი დიდათ მოჰქონდათ და კმაყოფილების ალერსით ითვრებოდნენ. „არ შეიძლება,—სწერს ნიკო ხიზანაშვილი,—წარსული აღიარებული იქნას ცხოვრების დასაბამად და დასაწყისად, რადგანაც ეს წინააღმდეგი იქნებოდა საზოგადო წარმატების კანონისა [1]... ეს უკანასკნელი (ბედნიერი მომავალი) უნდა იყოს მიზანი ხალხისათვის მოღვაწე პირთა. ამისათვისაც საჭიროა წინ ცქერა და არა უკან ხედვა, გოდვა ტ ტირილი კი არა წარსულზედ, მხიარული სიმღერა კეთილ მომავალზედ... თუ აწმყო შავითა და ბნელით მოცულია, ეს კიდევ იმას კი არ ამტკიცებს, რომ წარსული ელვარებდა წმინდა ნათელით; თუ კიდევ აწმყო ქვეეით სდგას წარსულზედ, აქედან ის დასკვნა არ გამოდის, რომ წარსული უნდა შეადგენდეს ჩვენს „წმინდათა-წმინდათასა“ [2]

ჩვენს ხალხისნებს ეროვნული გრძნობის გაგებაც არა აქვთ ვიწრო პატრიოტული, რომელსაც კაცი ზოოლოგიურ შოვინიზმამდის მიჰყავს: მომეტებულად აყვარებს თავისს ყველაფერს, ხოლო სხვისას, ავი იქნება, თუ კარგი, განუსაზღვრელად გულითა და სულით აჯავრებს. „იმედის“ თანამშრომელნი ხერხიანად სარგებლობენ ამ ცნების განმარტებით, რომ თავიანთი რადიკალურ-რევოლიუციონურ-დემოკრატიული მისწრაფებანი გამოსთქვან და გაჰფანტონ მკითხველ მასებში. „მე, როგორც ნამდვილი პატრიოტი (!),—გაკვირვებული და აღშფოთებული მოკამათის ტონით მიჰმართავს პატრიოტებს ტ ა ტ ა ლ ა [3], — უნდა მიყვარდეს ჩემი სახელმწიფოისა ყველაფერი და ამ ყველაფერში უნდა იგულისხმებოდეს მთელი ის უწესოებაც... რომელიც ხდება გარეშე ჩემისა: მიყვარს ის სახრჩობელა, რომელმაც მოუსწრო დღენი მშვენიერ ახალგაზრდას... მიყვარს ის უშველებელი ციხეებიც, რომლებშიც აგერ სული ხდებათ იმოტელა

---

[1]) აქ ნიკო ხიზანიშვილს და „იმედს“ მხედველობაში ჰყავსთ „დროება-ივერიის“ თანამშრომელნი და მათ მიერ ეროვნული გრძნობის შესახებ გამოთქმული აზრი.

[2]) ნ—ო ხ—ი.—„მცირედი რაიმე ჩვენ „მამულის შვილობაზე“—„იმედი“ 1882 წ. №№ 11—12 გვ. 53.

[3]) „იმედის“ ერთ-ერთი ნიჭიერი თანამშრომლის ფსევდონიმია.

ხალხს, ბრალიანს და უბრალოს, სამართლის მოლოდინითა და განუსაზღვრელი უსაქმურობით. მიყვარს აგრეთვე ისა, რომ ჩვენში გამართლებას იპოვის ფულით, გინდა უშველებელი დამნაშავე იყოს... უნდა მეჯავრებოდეს,—განაგრძობს ტატალა თავის პოლიტიკურ-სოციალური მსოფლმხედველობის გადაშლას,—ხალხთა თვითმპყრობელობის აზრი, რომელიც ქადაგებს, რომ ხალხი... არა ჰგავს ცხვრის ფარას, ანუ ცხენის ჯოგს, ამიტომ იმას უნდა ჰქონდეს სრული უფლება თავისი ბედ-იღბლის მომართვისა სურვილისამებრ თვისაო".[1]

და ტატალამ რომ უფრო გამოამზეოს თავისი შეხედულებანი, მეტად გაბედულად გაშლის თავის აზრების ფრჩხილებს: „რათ უნდა მეჯავრებოდეს?—კითხულობს ტატალა და თვითონვე არა ორაზროვნად უპასუხებს:—რათა და იმათა, რომ... ხალხი ჩვენს თვალში მართლა და მარტო ცხვრის ფარაა, რომელსაც ჰკრეჟენ მოხერხებული მწყემსები... ვემტერებოდე იმ აზრს, რომელიც თხოულობს შემდეგ სამართლიან წესიერებას: რადგანაც ყოველი სარჩო მოიპოვება მხოლოდ შრომით, რადგანაც ყოველი ნივთი გაკეთებულია მხოლოდ მუშის ხელით, ამიტომ ყველაფერი უნდა შეადგენდეს იმის საკუთრებას, ვისაც ის გაუკეთებია.[2] მანამდის ასეთ გვარად არ იცვლის ყველაფერი ფერს, მანამ უბედურება კაცობრიობისა კი არ იკლებს, დღითი დღე იმატებს... მე, როგორც ნამდვილმა პატრიოტმა, უნდა ყოველი ღონისძიება ვიხმარო ამ აზრის დანერგვისათვის... იმიტომ რომ ჩვენში სარჩოს მოპოება ცარცვა-გლეჯაზეა აშენებული და ზემოთ მოყვანილი საშიში აზრი ჩვენ მიწა-წყალზე არ დაბადებულა".[3]

.აქიდან ხალხოსნების რადიკალური და ფართო შეხედულებანი ეროვნულ საკითხში ცხადია.

ჩვენი ხალხოსნები არამც თუ ეროვნულ შეხედულებას ვიწროდ არ ჰფარგლავენ, პირიქით, მათი ღრმა რწმენით, რაც ბევრი ჰკუა შეერთდება ერთად, ბევრი ხელი და ფეხი, ზურგი და წელი მიეცემა ერთს საყოველთაო შრომას, რაც უფრო დიდათ ეყვარება ყველას ერთმანეთი, მით უფრო ბევრი საქმე გაკეთდება, მით უფრო მომეტებული დღეგრძელობა ჩამოვარდება კაცობრიობაში. „ვისაც მართლა თავისი ხალხი უყვარს,—სწერს ტატალა:—იმას იმავე სიყვარულით უნდა უყვარდეს მთელი ქვეყნიერებაც, რადგან მისი

---

[1]) ტ ა ტ ა ლ ა—პოლიტიკა—„იმედი" 1881 წ. № 2 გვ. 157—159.

[2]) კურისივი ჩვენია.

[3]) ტ ა ტ ა ლ ა—პოლიტიკა,—„იმედი", 1881 წ. № 2 გვ. 159—160.

ხალხისათვის საჭიროა ქვეყნიერების დახმარება და ქვეყნიერებისათვის კიდევ იმისი ხალხისა[1]. აი ნამდვილი პატრიოტობაც და მამულის სიყვარულიც ეს არის"[2]. ცხადია, ჩვენი ხალხოსნების შეხედულებაში ეროვნული გრძნობა უფრო ფართე ფარგლებში იშლება. ცხადია, ამ მხრივ, ხალხოსნები ეროვნულ საკითხს სულ სხვა ფართე გეზით სვამენ. აკი ჩვენი ხალხოსნები პრაქტიკულ მოღვაწეობაშიაც ასეთს გეზს ატარებდენ. ადგილობრივი რევოლუციონური ჯგუფი ჩვენი ხალხოსნებისა მიზნად ისახავდა მოემზადებინა „მთელი კავკასიის მოსახლეობა, განურჩევლად ეროვნებისა, საერთო აჯანყებისათვის, იმ მომენტში, როდესაც შიდა რუსეთში დაჰკრავდა ბრძოლის საათი"[3].

ყველა აღნიშნულიდან უდაოა, რომ ჩვენი ხალხოსნებისათვის ეროვნულ საკითხს და გრძნობას, მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობით გამახვილებულს, არ დაუკარგავს სიმწვავე და სიმკვეთრე. ეროვნული საკითხი ჩვენი ხალხოსნებისათვისაც მტკივნეული და საჭირბოროტო საკითხია, მაგრამ ეს საკითხი არა ჰნთქავს მთელ მათს შემოქმედებითს ნიჭს და უნარს, როგორც ამას თერგდალეულების მოღვაწეობაში აქვს ადგილი. მათ პრიორიტეტი ხალხის (გლეხკაცობის) სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის საკითხს მიანიჭეს და ამ საკითხის გადაჭრადაუდეს საფუძვლად მომავალ ქვეყანას, სადაც ადამიანური ცხოვრება უნდა დამყარებულიყო (ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, შაქრო, ტატალა და სხვანი).

3.

80-იანი წლებისთვის ჩვენი ხალხოსნები პოლიტიკაში გულუბრყვილო ოცნების მიმყოლნი აღარ არიან. პოლიტიკაშიც სიფხიზლეს იჩენენ. ყოველსავე მოვლენას ზომავენ ხალხის და კაცობრიობის კეთილდღეობის თვალსაზრისით. როდესაც ეცნობით „იმედს", გაგაკვირვებსთ და სასიამოვნოდ განგაცვიფრებსთ მის თანამშრომლების აზრის გამოთქმის სითამამე და გაბედულება. შეიძლება ითქვას, იმ დროინდელი რუსეთის პრესა ხშირად „იმედის"-თანა გაბედულებას ვერც კი იჩენდა. ამ გაბედულებასა და სითამა-

---

[1]) კურსივი ჩვენია.

[2]) ტ ა ტ ა ლ ა – პოლიტიკა—„იმედი" 1881 წ. № 2, გვ. 161.

[3]) შ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი—მოგონებანი—„რევოლუციის მატიანე", 1923 წ. № 3, გვ. 204.

მესთან ერთად ჟურნალ „იმედის“ თანამშრომელთა შორის ბევრია საკმარისად დაჯილდოვებული პუბლიცისტური ნიჭით და პოეტურითაც. ამიტომ „იმედი“, როგორც მგრძნობიარე ბარომეტრი, ისე აღნიშნავს ხოლმე ყოველსავე საზოგადოებრივ საჭირბოროტო მოვლენას. ყოველ შემთხვევაში, ამა თუ იმ მოვლენას თუ საკითხს შეძლებისა დაგვარად მოურიდებლივ ხალხის მასების საკეთილდღეოდ აშუქებს და სწყვეტს ხოლმე.

იგივე ტ ა ტ ა ლ ა თავის პოლიტიკურ მიმოხილვაში იხილავს ომის ჯ მის მნიშვნელობის საკითხს ჯ საკმარისად თამამად გამოსთქვამს ხოლმე სწორს, მოწინავე, დემოკრატიულ შეხედულებას: „კაცი, რო ღრმად იყურებოდეს ქვეყნიერების ცხოვრებაში და არა ჰქონდეს გარშემო გასართობი, სწორეთ რომ ჭკუაზე უნდა შესცდეს: რა ნაირი სისაძაგლე გინდა, რომ იქ არა ტრიალებდეს! მაგრამ ამაზე უშველებელი და წარმოუდგენელი სისაძაგლე კი არ იქნება, როგორიც არის საზოგადოდ ომიანობა, კაცთა ჟლეტვა და მუსვრა. მერე ისიც... დამყარებული სამხედრო მეცნიერებებზე!“ [1].

ტატალა, გონება-მახვილობით აღნიშნავს რა კაცის მკვლელობის წინააღმდეგობას ადამიანის ბუნებასთან ჯ ხალხის ეკონომიურ ცხოვრების ინტერესებთან, ბოლოს დაასკვნის: „კიდევ ჯანი გავარდნოდა, რომ ომიანობას მარტო ხალხის დროებითი გამუსვრა და ხანგრძლივი ეკონომიური სიჯანდაგე მოსდევდეს,—ძნელი ის არის, რომ ამ უშველებელ ეაი-ვაგლახთან ერთი ისეთი თვისება სჭირს, რომელიც ყოველ სხვა ზარალს აღემატება და ყველაზე ძლიერ სწვევს უკან მთელი კაცობრიობის გონებითა და ზნეობით ამაღლებას... ეს თვისება არის ხალხთა შორის სიძულვილი, ნაციონალური მტრობა, ისეთი ჭირი, რომელსაც ცალი და ბადალი არ გამოუჩნდება ქვეყნის უბედურებაში და რომელიც სრული შედეგია ომიანობისა“ [2]. აქედანაც ცხადია ინტერნაციონალური მიდრეკილება ჩვენი ხალხოსნებისა.

ამასთან ერთად „ი მ ე დ ს“ და მის თანამშრომლებს მთლიანად რევოლუციონური მოძრაობის ჟინი ეღინთავს. ისინი ხალხში რევოლუციონური იდეების გაღვივებას მიზნად ისახავენ. არც ერთს მოვლენას, რომელიც მათ აძლევდა შესაძლებლობას ხალხის საკეთილდღეო მისწრაფებანი გამოეტანათ ცხოვრებაში, არა სტოვებდნენ უპასუხოდ და აუნიშნავად. ცენზურა, რომელიც რუსეთის განმანთავისუფლებელ საზოგადო აზროვნებას რკინის ბეჭალებში ხუთავდა,

[1]) ტ ა ტ ა ლ ა—პოლიტიკა –„იმედი“ 1881 წ. № 2, გვ. 148.

[2]) იქვე—გვ. 157.

აქ, ჩვენში, თითქოს რაღაც დაუდეგრობას იჩენდა. მაგ. მიხ. გურგენიძე, „იმედის“ რედაქტორი, მოგვითხრობს ალექსანდრე II მოკვლის ამბავს, მის მზადებას, ე. ი. რევოლუციონურ მოძრაობის პროცესს და აგრეთვე ახალი იმპერატორის ალექსანდრე III მუქარას. ყველა ამას, რასაკვირველია, აგიტაციის მიზანი აქვს. მაგრამ გურგენიძე ისეთს ეპიურ ფორმას აძლევს, რომ მის საწინააღმდეგოდ ალბად ვერაფრის თქმა ვერ მოახერხეს, და ბოლოს იგავის ხერხიანობით დასძენს; „რუსეთის ლიტერატურა-კი ჩვეულებრივ ან უცხადებს რევოლუციონერებს თავის უკმაყოფილებას, ან კიდეე ურჩევს სამეფო სასახლეს მოსკოვში გადასახლდეს. როდემდის უნდა ვატყუოთ ასე ან სხვა, ან ჩვენი თავი. ამგვარი საშუალებები ბევრი დაიხარჯა, მაგრამ ყველა ამაო გამოდგა. რევოლუციონერები მაინც თავისას არ იშლიან. ვერც ამ საშუალებამ, რომელსაც აქამდის მართებლობა ხმარობდა რევოლუციონერთა მოსასპობათ, გააწყო რამე, როგორც ვხედავთ, დრო არის გაიღვიძოს ლიტერატურამ, გამოიფშვნიტოს თვალები და შეუდგეს თავის წმინდა მოვალეობას—ამ შემაძრუწუნებელი მიზეზის გამოკვლევას და იმის ძირში ამომფხერელი საშუალებების ჩვენებას!“[1].

ჩვენი ხალხოსნები და მათი ორგანო „იმედი“ იმ დროისათვის, რასაკვირველია, საკმარისად მკაფიოდ, ღრმად და სერიოზულად ერკვევიან საერთო სოციალ-ეკონომიურ საკითხებში; საკმარისად სწორი გაგება აქვთ რევოლუციონურ მოძრაობის მოვლენების და მათი გამომწვევი მიზეზებისა. ამას მშვენივრად ამტკიცებს ჟურნალი „იმედის“ თანამშრომელთა და სხვა ხალხოსანთა სტატიები. მოვიტან ციტატას სტ. ჭრელაშვილის პოლემიკიდან „ივერიასთან“. სტ. ჭრელაშვილი „ივერიას“ უკიჟინებს, რომ მისი აზრით „აქამდის გამოგდებული შეგირდები იყვნენ არეულობის უსტაბაშებად ტოლსტოის მეოხებით, ეხლა კიდეე ჩინოვნიკების ტყუილა ცილისწამებამ, სიცრუემ და გარყვნილებამ მოიგონა ვიღაც სოციალისტები, მართებლობის წინააღმდეგნი, რომლებიც ტყუილ-უბრალოდ დაღუპეს ციმბირში!“ „თავი არ უნდა ამისთანა სიბრძნის გამოთქმას!..—შხამიანად შენიშნავს ჭრელაშვილი,—მე იქნება მომატებული ზიზღით ვუყურებდე საზოგადოდ ყოველგვარ ბიუროკრატიას, ვიდრე გ. თ-მ-ი. მაგრამ საქმე აქ ჩვენს გრძნობაზე კი არ არის, საქმე იმაშია, თუ რამდენად ჩინოვნიკობაა პირველი და უკანასკნელი მიზეზი არეულობისა“. „რუსეთის ახლანდელი მოძრაობა,—განაგრძობს ის,—თითო

[1]) მ. გურგენიძე—შინაური მიმოხილვა—„იმედი“ №№ 2; გვ. 142.

რამე წვრილმანით არ აიხსნება: ამ მოძრაობას აქვს თავისი ნიადაგი, სადაც მას გაუდგამს ფესვები და იკვებება ათასნაირი ნაყოფიერი საზრდოთი. ჩვენ იმასა ვკითხულობთ, თუ ვინ ამზადებს ასე უხვად ამ საზრდოს?.. ტოლსტოი დიდი დამნაშავეა ამ საქმეში, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, ტოლსტოესა ჰქონდა ამოდენა შეძლება, რომ მარტო თითონ ეკვებნა ეს უშველებელი ვეშაპი, რევოლუცია?—შეუძლებელია, რომ ერთმა კაცმა, ისიც სწავლა-განათლების სისტემით, მოახდინოს „სოციალური არეულობა“... უმანკო ანგელოზები რომა ყოფილიყვნენ ჩვენი ჩინოვნიკები, რუსეთი სრულებით დაწყნარებული იქნებოდა? რევოლუციონერები აღარ გაჩნდებოდნენ?.. ჩინოვნიკობასაც ბევრი დანაშაული აქვს ამ მოძრაობაში, იმანაც კაი საზრდო მისცა რევოლუციონერებს... მაგრამ მარტო ჩინოვნიკობას არ შეუძლიან ამოტელა მოძრაობის აღძვრა, სოციალური არეულობის მარტო თავისი ჯიბიდგან მიტანა... თუ მართლა არ შეიძლება ამ საგანზე ლაპარაკი,—მკვახეთ უწერს სტ. ჭრელაშვილი,—მაშ რათ ლაპარაკობთ? და თუ შეიძლება კიდე და ამნაირათ არა, ჩემო ბატონო. ეს მართლა ბავშური ლიტერატურაა, როგორც სამართლიანად გაწყენინა უ. აბდუშელიშვილმა“[1].

მართალია, ჩინოვნიკების უკულმართი და უსინიდისო საქციელი ერთ მთავარს გაკიცხვის ტ დაგმობის საგნად ტ მოვლენადგადა იქაც ხალხოსანი-მწერლებისათვის—ნიკო ლ ო მ ო უ რ ი ს, სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი-შ ვ ი ლ ი ს, შ ა ქ რ ო ს ი ტ სხვათათვის, მაგრამ ისინი თითოეული ცალკე და ყველა ერთად კარგად ხედავდენ, რომ ჩინოვნიკობა, როგორც ასეთი, არაფერ შუაშია. მათ კარგად ესმოდათ, რომ საერთო ხელსაყრელი მდგომარეობაა საჭირო და მაშინ ჩინოვნიკები თავიანთი მოვალეობის ჭეშმარიტი შემსრულებელნი იქნებიან. „ჩვენ ვხედავთ,—სწერს ტატალა,—სხვა სახელმწიფოებს... სადაც ხალხს ვეღარ უყურებენ მგლის თვალებით, სადაც თითონ ხალხი ნებას არ აძლევს თავის დაჩაგვრისას, სადაც პოლიტიკა ძალაუნებურად ემსახურება ხალხის პირდაპირ მოთხოვნილებათა, სადაც ზრუნვენ მთელი სახელმწიფოების ამაღლებას, განათლებას, სადაც ჩინოვნიკები ბატონებათ კი არ მიიჩნიათ, არამედ ხალხის წყნარ მოსამსახურეებათ ითვლებიან“[2].

ცხადია და მკაფიო ხალხოსნების მისწრაფება—ცხოვრების მთლიანი გარდაქმნა ახალს საფუძვლეზე. უმთავრესი, რაც იპყრობს

[1]) სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი—ბიბლიოგრაფია („ივერიის“ IV ნომერი)—„იმედი“ 1881 წ. №№ 3—4—გვ. 61—63.

[2]) ტ ა ტ ა ლ ა—პოლიტიკის მაგიერ„—„იმედი“, 1881 წ. № 1; გვ 151.

მათს ყურადღებას, არის ხალხის ცხოვრების ეკონომიური მოუწესრიგებლობა. ამისათვის პირველ რიგში ხალხის ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესების პრობლემა აქვთ მათ დასახული. ხალხის მდგომარეობის ეკონომიური უზრუნველყოფა, ხალხოსნების სამართლიანი შეხედულებით, ძირითადი საწინდარია ხალხის ბედნიერების და ამისთვის ადამიანური ცხოვრების პირობების მოპოებისა. მაგრამ ისინი, როგორც ცხოვრების უშუალოდ მცოდნენი, მისი წიაღიდან გამოსულნი, კარგადა ჰგრძნობდნენ, რომ სოციალურ-ეკონომიური კეთილდღეობის მოპოებისათვის ხალხი უნდა შეეცადოს პოლიტიკური თავისუფლების მოპოებასა. „ამ ჟამად,—სწერს არადელი,—თითქმის მთელ ევროპაში მცნებად არის აღიარებული... და ცხოვრებაში განხორციელებული ერთი აუცილებელი პირობათაგანი საზოგადოებრივი ცხოვრების კანონიერი, სამართლიანი და მართებულ მიმდინარეობისათვის. ეს პირობა გახლავთ თვით ხალხის, ერის მიერ მონაწილეობის მიღება საზოგადო, სახელმწიფო საქმეთა მსვლელობაში. ხალხი თუ ერი დას-დასებად, თემებად თუ სოფლებად დაყოფილი, ირჩევს თავის წარმომადგენლებს... ეს წარმომადგენელნი ხალხის აზრისა და გრძნობისა, მოთხოვნილებათა და სურვილთა, ერთად შეკრებილნი, შეადგენენ ერთს უზენაეს სახელმწიფო დაწესებულებას, ხელმწიფობითი აგებულობის მთავარ ორგანოს“[1].

აქ აშკარადაა გამოთქმული რესპუბლიკანური მიმართულება ჩვენი ხალხოსნებისა: ძალა-უფლება უნდა ხალხის ხელში იყოს; სახელმწიფოს და ხალხის ცხოვრების სრულ-უფლებიანი გამგებელი უნდა თვით ხალხი იყოს.

მაგრამ ხალხოსნები მარტო პოლიტიკური თავისუფლებით არა კმაყოფილდებიან. ისინი სოციალიზმისაკენ მიისწრაფვიან და ასეთ შეხედულებას ააშკარავებენ „იმედის“ ფურცლებზე.

„ბურჟუამ თავისუფლების ძალით,—სწერს ნიკო ხიზანაშვილი,—ტყავი გააძრო მუშა ხალხს. თუ რა შეუძლიან მარტო პოლიტიკურ თავისუფლებას, სჩანს იმ ფაქტიდან, რომ დიდი რევოლუციის შემდეგ ბურჟუა სულ ლიბერალობს, სულ თავისუფლებას ღაღადებს, სულ ეწინააღმდეგება სახელმწიფო მზრუნველობას და არა მარტო პოლიტიკურ სფეროში, არამედ ეკონომიურშიაც. ნაყოფი ამ ღაღადებისა იშვა, მას ყველა ჰხედავს, იგი ბევრს მოსვენებას არ აძლევს, მისი მრავალთა ეშინიათ. ეს ნაყოფი არის ბურჟუას უკანონო შვი-

[1]) არადელი—პოლიტიკა—„იმედი“—№№ 7—8; გვ. 162.

ლი, რომელიც ითხოვს უფლებასა და რომელიც ქვეყანაზედ გააჩინა მუდამ ჟამს თავისუფლების ღაღადებამ და ამ თავისუფლების, ძალით მეტად თავისუფლად დაბალ ხალხის ყვლეფამ, გლეჯამ. ამ ნორჩ არსებას ჰქვიან სახელად სოციალიზმი"[1].

და ვინ უნდა იყოს, ხალხსნების რწმენით და განსჭვრეტით, ამ მომავლის, ხალხის ბედნიერების, სოციალიზმის დამყარების ბურჯად? ვინ უნდა შესძლოს განვლა ამ ძაღლ-უმადური ცხოვრების ნარ-იკლიანი გზისა? ვინ უნდა შეიყვანოს ხალხი აღთქმის ქვეყანაში? ვისი შემწეობით უნდა მოხდეს სოციალიზმის განხორციელება? ვის გამოიყვანს სამოქმედო ასპარეზზე მომავალი?

აი საკითხები, რომლებიც ამ დროს კაცობრიობის ცხოვრების ატმოსფეროს ელინთავდა. ჩვენი ხალხოსნები ამ საკითხებს სწყვეტდნენ ისე, როგორც რუსი ხალხოსნები. „მაინც უნდა ითქვას,—სწერს ნიკო ხიზანაშვილი,—რომ ჩვენში მომავალი გლეხ-კაცობას განავითარებს. დაბალი წოდება უნდა შეიქმნას კეთილ-ცხოვრების ბურჯად[2]. ამას გრძნობს ყველა, ამას ღაღადებს თვით ჩვენი მწერლობაც[3]. და არა მარტო გლეხ-კაცი უნდა შეიქმნეს მომავლის ბურჯად, არამედ თვით გლეხ-კაცის ცხოვრება და მისი წყობილება უნდა დაედვას საფუძვლად მომავლის შენებას. „საჭიროა,— სწერს ნიკო ხაზანაშვილი,—ჩვენი გლეხ-კაცობის წარსული უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, საჭიროა მით უფრო, რომ მხოლოდ ამ შესწავლის შემდეგ შევიტყობთ, თუ რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი მწერლობა, რა მიმართულება უნდა მიეცეს ჩვენ შეერთებულ ღვაწლს"[4].

გლეხ-კაცის ცხოვრების შეფასებში „იმედის" თანამშრომელნი არ იზიარებენ „დროება"-„ივერიის" მიერ ჩვენი ხალხის ცხოვრების წარსულის გადიდებას, გაიდეალებას, მის „გუნდრუკის კმევას". ასეთი გზა „იმედს" დამახინჯებად მიაჩნია. მისი სამართლიანი შეხედულებით, ეს არც საჭიროა და არც სარგებლობა მოაქვს. „ჩვენ ვიწყუეთ,—აცხადებს ნიკო ხიზანაშვილი,—ვიწყუეთ მით, რომ ვამბობთ: ჩვენი გლეხი იურიდიულად იყო ყოველ მხრივ დაჩაგრული არსება"[5].

---

[1]) ნიკო ხიზანაშილი,—საფუძველი სიხალხო განათლებისა—„იმედი" 1882 წ. №№ 9—10; გვ. 35.

[2]) კურსივი ჩვენია.

[3]) ნიკო ხიზანაშვილი—უფლება და კანონი ძველ საქართველოში,—„იმედი" 1882 წ. №№ 11—12; გვ. 25.

[4]) —იქვე - კურსივი ჩვენია.

[5]) იქვე.

გლეხ-კაცი, რომელიც, ხალხოსნების შეხედულებით, მომავლის ბურჯად უნდა შეიქნეს, ყოველ დროს დაჩაგრული არსება იყო. ახლაც, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგაც, დაჩაგრული დარჩა. მართალია, ამ აქტს შემდეგ თითქოს მან პირადი (პიროვნების) თავისუფლება მოიპოვა, თითქოს ის ადამიანად იქმნა აღიარებული და ცნობილი, მაგრამ უფლებას ხომ მოპოება, შენახვა და დაცვა უნდა. ამას-კი ეკონომიურად გამაგრებული წელი ესაჭიროება, რაც ჩვენს გლეხს აკლდა. ამიტომ მონობის უღელი მას კვლავინდებურად კისერზე მძიმედ ედგა. აი სოფ. მგალობლიშვილი როგორ გვიხატავს გლეხ-კაცის მდგომარეობას ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ: „რაც დღე გადიოდა, სოფელი უკან-უკან მიდიოდა, ღარიბ-ღატაკდებოდა; ვისიც ოჯახში ხალხი მრავალი იყო, იმას კიდევ არა უშავდარა; ვინც მარტოხელი იყო, მისი საქმე მთლად დაღუპული იყო: სული გაუნთავისუფლდა ხალხს, ხორცი კი ბატონს დარჩა; სულის ძალა ჯანის სიმრთელეზეა დამყარებული, თუ ხორცი უძლურია, სულიც უძალოა, მაგრამ ბოლოს ტ ბოლოს ხალხის სულიც ბრეყალებში ჩაიჭირეს და მისი სულის თავისუფლება გალიაში ჩამწყვდეულ ბულბულის ყოფაში ჩავარდა. ყოველ მხრივ შეეზღუდა თავისუფლება; საითაც კი გაიწევდა, მაგარ კედელს აწყდებოდა, როგორც გალიაში ჩიტი-ბულბული".[1]

და აი ამ დაჩაგრული არსების ვინაობის და მისწრაფებათა გამოსამჟღავნებლად, მისი ინტერესების დასაცავად სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდნენ ჩვენი ხალხოსნები. აკი თავიანთ ორგანოს „იმედის" პირველ ნომრის პირველსავე წერილში გვაცნობენ მას: „ის კაცი (ე. ი. ტეტიკაშვილი—ხალხის შვილი—მ. ზ.),--სწერს მ. ასათიანი,—მართლა ბედისაგან ძლიერ დატანჯული ვინმეა ტ, თუ მართლა მოახერხა როგორმე და ჩამოვიდა აქა, ბევრს ყურადღების ღირსს და თავ-ზარ დამცემ ამბავს გიამბობთო".[2]

აკი გიორგი ჭრელაშვილიც, ერთ-ერთი თანამშრომელი „იმედისა", ამ ხალხის სახელით აღფრთოვანებით და იმედით მიჰმართავს „იმედის" ჯგუფს:

„ყველა მოგვხვარსლა უსამართლობამ..,
მხსნელად გამოჩნდი... მაშ აჰა ხელი!
შალავათს, ძმობას, პატიოსნებას
ეხლა კი მტკიცედ შენგან მოველი.

1) სოფ. მგალობლიშვილი—ჯორ-ზაქარა—გვ. 155 ტ. II.
2) მ. ასათიანი—შიკრიკი—„იმედი"—1881 წ. № 1, გვ. 7.

წინასწარ მთქმელად, გინდ იყო ერთი,
ნუ შეშინდები—ახსენე ღმერთი!
ბევრი ისურვებს შენსა დაჩაგვრას...
მაგრა დაუხედი,—ვერ დაგძლევს ავი,
იყავ ტანჯულთა მომხრე, ერთგული,
სიმართლეს დაბლა დაუკარ თავი!
წინასწარ.....
ხალხს ჩააგონე სიტყვა მართალი,
მაღალ აზრს მიეც გზა რიგიანი,—
გულში ჰკარ მტერსა მწვეტი ისარი
და იყავ მუდამ პატიოსანი!
წინასწარ.....“ [1]

მართლაც, გამოდის „იმედის“ მთელი ჯგუფი—ხალხის შვილთა, მისი ცხოვრების მცოდნე და, მართლაც, გამოაქვთ საზოგადოებაში ბევრი ყურადღების ღირსი და თავზარ-დამცემი ამბავი ტანჯული ხალხის ცხოვრებისა. სწორედ ამ ჯგუფმა მიზნად დაისახა საზოგადოებისათვის გაეცნო ამ ხალხის მძიმე მდგომარეობა: მისი კულტურულად დაქვეითება, მისი ეკონომიური უილაჯობა, მისი სულიერი ტკივილები—თუ რა ჰლუპავს და რა ჰნთქავს მას, რა ანადგურებს მის სიცოცხლეს. ამასთან ერთად ეს ჯგუფი შეეცადა ეჩვენებინა ხალხის ბუნების და ცხოვრების დადებითი მხარეებიც, რომელთაც შეუნახეს და არ მოუსპეს მას (ხალხს) ცხოველმყოფელი ძალა. შეეცადა ღრმად ჩაეხედნა ხალხის ხშირად ცხოვრებისგან შევიწროებულ და გატეხილ გულში და ამოეკითხნა მისი მისწრაფებანი. და, უნდა ითქვას, ჩვენი ხალხოსნები გატაცებით წავიდნენ აღებული გეზით და მტკიცედ შეებრძოლნენ დაბრკოლებებს არჩეულ ნარ-ეკლიან გზაზე.

ჩვენი ხალხოსნების მოღვაწეობა მხატვრულ ლიტერატურაშიაც ორ შტოდ მიმდინარეობს: ერთია გზა კულტურული მოღვაწეობისა—ნიკო ლომოური, ყაზბეგი[2], ეკ. გაბაშვილისა და სხვანი;

[1]) გიორგი ჭრელაშვილი,—*** ლექსი, -„იმედი“ 1881 წ. № 2.

[2]) აქაც და შემდეგაც წინამდებარე გამოკვლევაში, სადაც კი ვიხსენიებთ ყაზბეგს, ყველგან ვგულისხმობთ დიმიტრი ყაზბეგს, რომლის პრაქტიკული მოღვაწეობა და ლიტერატურული შემოქმედებაც ნიჭიერი გამოხატველია კულტურ-ტრეგერული ხალხოსნობისა ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაში. ეს საკითხი დაწვრილებით განხილულია ჩვენს გამოკვლევებში: „ალ. ყაზბეგის ორიგინალობა და დიმ. ყაზბეგი“, „ალ. თუ დიმ. ყაზბეგი?“ აგრეთვე საინტერესო ცნობებს იძლევა ამ მხრივ გ. ნათაძის სტატია „ალ. ყაზბეგის ბიოგრაფია“—„მოამბე“ 1904 წ. № 10.

მეორე გზა-კი—ხალხში რევოლუციონურ მისწრაფებათა გაღვივებას ლამობს—სოფ. მგალობლიშვილი, მ. ასათიანი, შაქრო და სხვანი. თუმცა უნდა აღინიშნოს-კი, რომ ხალხოსანმწერლების უმეტეს ნაწილში ორივე ეს მიმართულება ერთმანეთში მუდამოდ იკვანძება. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს მათგანთათვის გზა კულტურტრეგერული მოღვაწეობისა,—ეკონომიურად და კულტურულად ხალხის დაცემული და დაკნინებული ცხოვრების გაუმჯობესებისა, მთავარია და უფრო დამახასიათებელი. მდაბიო ხალხის ცხოვრებასთან ახლო მისვლა, შესწავლა და აღნიშვნა დაბალი ხალხის ცხოვრების იმ თვისებათა და მოვლენათა, რომელიც გაუმაძღარი წურბელასავით მოჰკიდებია ხალხის ორგანიზმს და მას გაჯანსაღების საშუალებას უსპობს. ეს ხალხის „მოკეთეები“ აგრეთვე ცდილობდნენ გამოეძებნათ და დაენახვებინათ ის საშუალებანი, რომელნიც საჭირო იყო მისი ცხოვრების გამოფხიზლებისათვის, ამოქმედებისათვის, გადახალისებისათვის.

აკი ამ მიზნით გატაცებული ჩვენი ხალხოსნების ჯერ მცირე, შემდეგ-კი კარგა მოზრდილი ჯგუფი,70—80 წლების უღელტეხილზე, გადის ხალხში, როგორც თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით, ისე თავისი ლიტერატურული შემოქმედებით, ყველასათვის და უპირველესად მშრომელთათვის ახალი, ადამიანური ცხოვრების მქადაგებლად.

ხალხოსანთა სულისკვეთების და მისწრაფებათა გამომწვევ მიზეზებს მშვენივრად გვისურათებს ნიკო ლომოური თავის მოთხრობა „გიგო ღრუბელაშვილ“-ში.

გიგო ღრუბელაშვილი ტიპია გატაცებული ხალხოსნისა, რომლის ფიქრი და გონება ხალხის ბედს მჭიდროთ გადაჰკიდებია და მის ჭირისუფლად შექმნილა. „მას წარმოუდგა,—გადმოგვცემს გიგოს სულისკვეთებას ავტორი,—საცოდავი ქოხმახები, რომლებშიაც მცხოვრებნი ამ სოფლებისა წვა და დაგვით ათრევდნენ თავიანთი სიცოცხლის მწარე დღეებსა. ის ცხადად ხედავდა გლეხ-კაცის განუზომელ სიღარიბეს, მის დავრდომილობას, მისი აზრისა, გრძნობისა და გონების დაუძლურებას. ხედავდა მის გამუდმებულ მძიმე ჯაფასა, რომლისაგან იგი ჯანითა და აგებულობით სუსტდებოდა, წრიოკდებოდა და გადაშენების საზარელ უფსკრულს უახლოვდებოდა. შემდეგ მას გადაეშალა წინ საზიზღარი სურათი იმ ავაზაკთა კრებისა, რომელნიც მთელი თავიანთი მეცადინეობით ხელს უწყობენ მუშაკაცის უბედურობასა, მის დაჩაგვრას და

მიწასთან გასწორებასა. ბოლოს, მას წარმოუდგა ის შაებნელი გარეგმოებანი, რომელთაც დაჰბადეს ქვეყნად ერთის მხრივ ეხლანდელი მშიერ-მწყურვალი გლეხკაცი, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი ოფლისა და სისხლის მსმელი, მისი მჭამელა ორფეხა ნადირი...

„არა, არა.—დაიძახა გიგომ ხმამაღლა:—საქმე ძლიერ ცუდად მიდის. ასე რომ გაგრძელდეს კიდევ ოციოდე წელიწადს, ხალხი სრულიად დაეცემა, სასოებას დაჰკარგავს; სიღარიბე და უსამართლობა სამუდამოდ ბოლოს მოუღებენ მას. დაე, რაც მოსახდენია, მოხდეს. მე უნდა მივეშველო ხალხსა, ძმურად გვერდში ამოვუდგე და მის ფეხზე წამოყენებას შევწირო მთელი ჩემი სიცოცხლე. მე შევისწავლი სამკურნალო მეცნიერებას და თანაც გულდადებით ვიკითხავ პედაგოგიურ თხზულებათა. საჭიროა აგრეთვე ცოდნა სამართლის კანონებისა, რომ მათის დახმარებით გლეხკაცი არავის არ დავაჩაგვრინო. შევისწავლი ყველა ამას, მოვალ ჩვენს სოფელში, გავხსნი შკოლას და ვასწავლი დიდებსაცა და პატარეებსაცა. თავისუფალ დროს ვივლი სოფლიდან-სოფლად და სადაც კი შევხვდები ღარიბ ავადმყოფსა, უსათუოდ ვუწამლებ. ეჭვი არ უნდა, მალე სხვებიც დაადგებიან ჩემს გზასა და ოცი, ორმოცი წლის ამგვარი მოღვაწეობით ხალხის მდგომარეობას, თუ სრულიად არა, ბევრნაირად მაინც გავაუმჯობესებთ. მერმე შეიძლება რაიმე დიდმა შემთხვევამ აწინდელი საერთო ვითარება ძირიან-ფესვიანათ შესძრას, შეარყიოს. მაშინ ჩვენც გავიბერტყავთ მშვიდობიანობის მტვერსა და თავგანწირული მამულისშვილებათ გამოვალთ ბრძოლის ველზე. აბა, მობრძანდით მაშინ, მტარვალებო, და თქვენის ცოცხალის თავით დაგვიდექით წინა. გიჩვენებთ მაშინ თქვენ სეირსა, თქვე შეჩვენებულებო, თქვენა...“[1]

ამ ნაწყვეტში ნიკო ლომოური მეტად მკვეთრად იძლევა არა მარტო ჩვენი ხალხოსნური მიმართულების გამომწვევ მიზეზს, მის მიზანს და სამოქმედო გეგმასა, არამედ საერთოდ ხალხოსნობისასაც. ხალხოსანთა ამ დეკლარაციას თავისუფლად ხელს მოაწერდნენ არა მარტო ჩვენი, არამედ რუსეთის ხალხოსნებიც.

ასეთი მიზნისა და გეგმის განხორციელებისათვის ხალხოსნებმა გამოიყენეს ხალხში სიარული, ჟურნალიც და მხატვრული შემოქმედებაც.

---

[1]) ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი—გიგო ღრუბელ-შვილი—გვ. 138-139.

III

ხალხოსნების შეხედულება ლიტერატურაზე.

გარდა ხალხში გასვლისა, მასთან დაახლოებისა, მისი ცხოვრების შესწავლისა და მასთან და მისთვის პრაქტიკული მუშაობისა, ხალხოსნებს თავისი მიზნის განსახორციელებლად საჭირო და სასარგებლო იარაღად მიაჩნდათ მწერლობა. ხალხოსნები მწერლობის მნიშვნელობისა და დანიშნულების გაგებაში პირმშო შვილები არიან თერგდალეულებისა, უკეთ რომ ვსთქვათ, რუსეთის 60-იანი წლების საზოგადო აზროვნებისა. ისინი ლიტერატურას უტილიტარულ მიზნებს უსახავდენ. ლიტერატურა, ხალხოსნების შეხედულებით, როგორც თერგდალეულებისაც, იარაღია, რომლითაც ისინი უნდა ებრძოდენ ძველი, დრომოჭმული ცხოვრების შემფერხებელ პირობებს.

როგორც თავის ადგილზე დავინახეთ, უტილიტარული შეხედულება ლიტერატურულ შემოქმედებაზე პირველად თერგდალეულებმა შემოიტანეს ჩვენს მწერლობაში. თერგდალეულნიც შეეცადნენ თავიანთი პოეტური ნიჭი გამოეყენებინათ მოძმის საკეთილდღეოდ, რომ მათს ჩანგურს ორ-ხმოვანად ეჟღერნა: მათ ჩანგურის ჟღერა მისთვის უნდოდათ,—„რომ დაჩაგრულს მის სიმღერით თვალს ცრემლები ეშრობოდეს, და მჩაგვრელს კი გულში ძგერით ისარივით ესობოდეს“.

მაგრამ ასეთი უტილიტარული შეხედულება თერგდალეულ მწერალთა შემოქმედებაში თავისი შემბორკავი შედეგებით ისეთი თვალსაჩინო არ იყო, როგორც ხალხოსან-მწერლებში. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნებოდეს იმ გარემოებით, რომ თერგდალეულთა წარმომადგენელნი ლიტერატურაში, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი (სხვებზე ეს არ ითქმის), დიდი პოეტური ნიჭით იყვნენ დაჯილდოვებულნი, ვიდრე ხალხოსნები. მიუხედავად იმისა, რომ სარგებლიანობის და აზრის უპირატესობის პრინციპი ჟღინთავს ილიასა და აკაკის შემოქმედებას, მაინც მათი შემოქმედება ხშირად მძლავრი და ფართო მხატვრულ სახეების საშუალებით იწლება მკითხველის წინ და ეს გარემოება ანელებს იმ უტილიტარიზმს, რომელიც მათ პოეტურ მო-

ღვაწეობაშიაც მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მაგალითისათვის მოვიტანოთ რამდენიმე ნაწყვეტი:

„ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ,
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი...“

. . . . . .

შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!...
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება....
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?

. . . . . .

მე ჩემის პირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!...
აქ მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი“.[1]

ილიას ეს ლექსი თითქმის მთლიანად მხოლოდ სარგებლიანობის პრინციპზეა აგებული. პოეტს მიზნადა აქვს მასში მძლავრი პროტესტი და გლეხ-კაცის ადამიანური ცხოვრების გავარვარებული ნდომა გამოხატოს. აქ ყოველი სიტყვა, ყოველი სახე წინასწარი განზრახული მიზნით და აზრითაა გამოწვეული. მაგრამ პოეტის დიდმა მხატვრულმა ინტუიციამ თავისი პოეტური გასაქანით გაანელა და დაიცვა თავისი შემოქმედება უტილიტარიზმის უკიდურესობისაგან. ასეთი მხატვრული სახეებითაა აღბეჭდილი ილიას „მგზავრის წერილები“, „განდეგილი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია ადამიანი?!“ ილიას ნაწარმოებთაგან წინა თაებში მოტანილი ადგილებიც მშვენივრად ადასტურებს ჩვენ მიერ გამოთქმულ შეხედულებას, ამიტომ ახალი მაგალითების მოტანით საკითხს აღარ გავაგრძელებთ.

მართალია, ილია, ხანდისხან, აზრისა და სარგებლიანობისადმი სამსახურით გატაცებული, ამძიმებს, და ზომაზე მეტადაც ამძიმებს, თავის პოეტურ შემოქმედებას; ალაგ-ალაგ მის შემოქმედებას ნაძალადეობაც ემჩნევა და... ძალიანაც ემჩნევა; მაგრამ დიდი ნიჭი პოე-

[1]) ილია ჭავჭავაძე—გუთნის დედა—ტ. I, გვ. 33-34.

ტისა თავს ართმევს უტილიტარული შეხედულებით გამოწვეულ ტენდენციას, პოეტური ილუზიის ქვეყანაში აჰყავს მკითხველი, თუმცაკი მიწას არასოდეს არც თვითონ შორდება და არც მკითხველს აშორებს.

ესევე უნდა ითქვას აკაკი წერეთელზედაც. მასში პოეტური ცეცხლი და ალმაფრენა უდაოდ ძლიერია; ენა და ლექსი მისი მკვირცხლია და მსუბუქი.

„ამაღლდით, გრძნობავ, გონებავ!...
ასცილდით მზე და მთვარესა!...
შეუკავშირდით ვარსკვლავებს,
მოციმციმ-მოელვარესა!
შეიტყვეთ საიდუმლობა
ზეციურ ტკბილი ხმებისა
და შეისწავლეთ კანონი
იმათი შეთანხმებისა!
მე მაშინ მხოლოდ გავბედავ,
ხელი შევახო ჩანგურსა
და მწარე ზარი ამ ქვეყნის
შევრთო იმ ქვეყნის ზევსურსა.
რომ მეც გალობით, გედივით,
დავაგდო ქვეყნის საზღვარი,
ჩავდნე ჩემსავე ჰანგებში
და გავქრე, როგორც ლამპარი“...[1]

პოეტს მისთვის უნდა პოეტური ალმაფრენა, იმისათვის ეტრფის ამას, რომ ასცილდეს მზესა ტ მთვარეს, ტ შეუკავშირდეს ვარსკვლავებს, რომ შეიტყოს საიდუმლოება „ზეციურ ტკბილი ხმებისა“, შეისწავლოს კანონი „იმათი შეთანხმებისა“. და ყველა ეს მას მისთვის უნდა, რომ მაშინ აიღოს ჩანგური და „მწარე ზარი ამ ქვეყნისა შეუერთოს იმ ქვეყნის ზევსურსა“..., მარტო ტკბილ ხმათათვის პოეტი არ ააქცერებს თავის ჩანგურის სიმთ.

საკმარისია მოვიგონოთ აკაკის „სულიკო“, „თავო ჩემო“, „ალმართ, ალმართ“... და მრავალი სხვა მისი ლირიკული ლექსი, რომელნიც ხალხმა თავის საყვარელ სიმღერებად გადააქცია, რომ დავრწმუნდეთ ზემო-გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში.

თუ თერგდალეულ-მწერალთა საუკეთესო წარმომადგენლებმა მაინც დაახწიეს თავი მათ მიერვე წამოყენებული უტილიტარიზმის

1) აკაკი წერეთელი—ნათელა—ტ. II. გვ. 253.

პრინციპს, და მხატვრებად (დიდ მხატვრებადაც, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი დიდი მნიშვნელობა და მიმზიდველობა) შეიქმნენ ჩვენს ლიტერატურაში, ამისივე თქმა არ შეგვიძლიან ხალხისან-მწერლების შესახებ. მათს შემოქმედებაში უტილიტარიზმმა უფრო მძლავრად გაიდგა ფესვი.[1]

ხალხისნების შეხედულებით „მწერლობა არის ექიმობა მთელი ხალხის ავადმყოფობისა, როგორც მედიცინა კაცის ავადმყოფობისა".[2]

ჟურნალი „იმედიც" მთლიანად, თავიდან ბოლომდის ასეთი შეხედულებით არის გაჟღენთილი და გატაცებული. „ყოველი მწერლობის დანიშნულება,—სწერს „იმედის" საპროგრამო წერილში სტ. ჭრელაშვილი,—იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ იგი თვალებ-გაფაციცებული ჩაიყურებოდეს ცხოვრებაში, სულ-განაბული ყურს უგდებდეს იმის ჩარხის ტრიალს, ეფარებოდეს და ესარჩლებოდეს ყველა საკეთილო ფეხის გადადგმას, დაუღალავად ებრძოდეს ტ წიხლსა ჰკრავდეს ყოველ სიბოროტეს და მავნე შეცთომილებას. მწერლობა, რომელიც დაუძინებლივ არა წინამძღვრობს ასეთი შეხედულობით თავის ძოვალეობაზედ, არის უმნიშვნელო, ფუჭი და ჭიანი".[3] ასეთსავე შეხედულებას გამოსთქვამენ „იმედის" სხვა თანამშრომელნიც, რომელთა შეხედულებით ლიტერატურა ხალხის კეთილდღეობის, სარგებლობის მომტანი საშუალებაა. „მწერლობამ,—სწერს ჟურნალი „იმედის" რედაქტორი მიხ. გურგენიძე,—უნდა გაუსწოროს ხალხს ხასიათი, უჩვენოს მას მისი ნაკლულევანებები და მათგან განმათავისუფლებელი საშუალებები"[4].

ასეთივე აზრი გამოსთქვა ჩვენი ხალხისნების ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა გ. მაიაშვილმა, რომელიც, გაუგებარია, რატომ გამოვიდა მეტად საგულისხმიერო, შეიძლება ითქვას, ჩვენი

[1]) ეს გარემოება, გარდა ზემორეაღნიშნული მოსაზრებისა, შეიძლება აიხსნებოდეს კიდევ შემდეგი მოსაზრებით. ხალხისნების უმეტესი ნაწილი თავისი სოციალური წარმოშობით „რაზნოჩინეცია", ხალხის ცხოვრების ნაცარ-ტუტაში, სიღარიბესა და სიბინძურეში აღზრდილი და გამოტარებული. მან მუდამ ადამიანური ცხოვრების წრის გარეგ მყოფმა, დამცირებულმა, სხვისი ნასუფრალით მცხოვრებმა, ახალი ცხოვრების პირობებით და ოფიზიზლებულმა მოინდომა ცხოვრება და ყველაფერი უკუაგდო, რაც უშუალოდ ასეთი ცხოვრების მოპოებას არ ემსახურებოდა. თერგდალეულების სოციალური წარმოშობა-კი (თავად-აზნაურთა წრიდან გამოსულები) ასეთს ნდომას სიმჭეავეს აკლებდა. აი რატომაა, რომ ხალხისნები უტილიტარიზმ ს უკიდურესობაში უფრო ჩავარდნენ.

[2]) სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი – ქართული მწერლობა – „იმედი" – 1881 წ. № 1, გვ. 99.

[3]) იქვე—გვ. 84.

[4]) მ ი ხ. გ ურ გ ე ნ ი ძ ე – ერთი ჩვენი მწერლების სენი,—„იმედი" 1881 წ. № 2. გვ. 89.

ხალხოსანთა საპროგრამო სტატიით „ივერია“-ში და არა „იმედში“. ეს გარემოება მით უმეტეს გვაკვირვებს, რომ გ. მაიაშვილი ამ სტატიაში—„წერილი ჩვენი საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“—თუმცა რბილს და მორიდებულს, მაგრამ მაინც კრიტიკას უკეთებს „ივერიის“ მესვეურთა მოღვაწეობას. „ლიტერატურა—სწერს ის,—უნდა შეიქმნეს უპირველეს ყოვლისა სახალხო ლიტერატურად, უკეთუ გვსურს, რომ მას ჰქონდეს გავლენა, ძლიერება, ფასი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის საქმეების და საგნების გადაწყვეტის დროს. მხოლოდ ეს მაშინ მოხდება, როცა ლიტერატურა ერთად-ერთს ნამდვილს გზას და ჰეშმარიტს მიმართულებას დაადგება, როცა იგი მიიღებს პატივ-დებაში ხალხის სურვილს და, რაც უფრო პირველია, დაიცავს მის ინტერესებს, ე. ი. როცა ლიტერატურის მიერ ხშირად და უმთავრესად წამოყენებული იქნება საასპარეზოდ ხალხის გულის მომგები საგნები—ეკონომიური და საზოგადოებრივი საქმეები“[1].

ასეთს გარკვეულს და, შეიძლება ითქვას, განსაზღვრულ დანიშნულებას და მიზანს უყენებენ ხალხოსნები მხატვრულ ლიტერატურას. და მართლადაც ლიტერატურა და თავიანთი ლიტერატურული ნიჭი ხალხოსნებმა გამოიყენეს როგორც ბრძოლის საშუალება, რათა შეეტანათ სხივი და ნდომა ცოდნისა, განათლებისა, წინმსვლელობისა, ცხოვრების და პატიოსნებისა წყვდიადით მოცული, დაჩაგრული, დამონებული ხალხის მოდუნებულ და ჩამორჩენილ ცხოვრებაში. ხალხოსანთა მხატვრული შემოქმედება ბუნებრივი გაგრძელება იყო მათი პრაქტიკული და იდეოლოგიური ბრძოლისა და მოქმედებისა. ასე უყურებდნენ ხალხოსნები თავიანთ ლიტერატურულ მოღვაწეობას. ასეთი მნიშვნელობაც ჰქონდა მას სინამდვილეში. რასაც ხალხოსნები პრაქტიკული და პუბლიცისტური მოღვაწეობის შემწეობით ვერ ახერხებდნენ, იმის შეესებას და განმტკიცებას ცდილობდნენ მხატვრული მწერლობის დახმარებით.

ხალხოსნების სულიერმა განწყობილებამ და მხატვრულ შემოქმედებაზე შეხედულებამ თავისებური დაღი დაასვა მათს ლიტერატურულ მოღვაწეობასაც.

ხალხოსანი მწერლები ლიტერატურაში ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველები არიან. გატაცებულნი ხალხის კეთილ-დღეობის იდეით, თავიანთ მხატვრულ შემოქმედებას ისინი ხშირად ისე უდგებიან, როგორც პუბლიცისტები. მხატვრული სახეები მათ შემოქმე-

[1]) გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი—წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ,—„ივერია“ 1882 წ. № 9—გვ. 124.

დებაში ხშირად ახსნა-განმარტებებით არის დაძენძილი. ეს გარემოება, რასაკვირველია, ხალხოსან-მწერალთა შემოქმედებას მხატვრულობის მხრით ამდარებს. მათი შემოქმედების ეს თვისება გამოწვეულია მით, რომ ხალხოსან-მწერლობის ნაწარმოებში მოქალაქეობრივი ინტერესი სჭარბობს მხატვრულს. ეს კიდევ აიხსნება მით, რომ თვით ავტორი უშუალოდ ჩათრეულია ცხოვრების მორევში, უშუალო მონაწილეა ცხოვრების პროცესისა. ის უპირველესად დაინტერესებულია გაერკვიოს თვითონ და მკითხველსაც გაურკვიოს ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა. ამიტომაა, რომ ხალხოსანი-მწერლის პოეტური ასახვა შერეულია სოციალური ხასიათის პუბლიცისტურ მსჯელობაში. ხალხოსან მწერალში მოაზროვნე ხშირად სჩრდილავს მხატვარს, ხალხოსანი-მწერლის შემოქმედებაში მხატვრული სახეები, კი არ ირევიან, არამედ უფრო ხალხის ცხოვრების მტკივნეული საკითხები.

ამ გარემოებამ გამოიწვია მათს შემოქმედებაში მხატვრობის მხრივ დაუმუშავებლობა: მშვენიერი, მაღალი პოეტური ნიჭით და ალმაფრენით დაჯილდოებულ ალაგებთან ერთად გვხვდება მეტად მოსაწყენი, პუბლიცისტური ხასიათის მსჯელობა, რომელიც მჯარე პოეტური სახეებით არის შეფერადებული. ხალხოსანი-მწერლისათვის ფორმა მეორეხარისხოვანია, მთავარია—შინაარსი. ისინი არა ცდილობენ ენა დახვეწონ, თავიანთი მხატვრული სახეები ლამაზ და ლიტერატურულ ფორმებში ჩამოაყალიბონ. საერთოდ მათს შემოქმედებას მხატვრულობის მხრივ დაუდევრობა ეტყობა. ეს გარემოება ხალხოსან-მწერალთა შემოქმედებაში მეტად საგრძნობია. ასეთსავე მოვლენასა ვხედავთ რუსეთის ლიტერატურის ისტორიაშიც. ამ გარემოებას ხშირად დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ხალხოსანი-მწერალი მეორე ხარისხოვან მწერალთა ბანაკში გადმოჰყავს—ფორმისა და საერთოდ მხატვრული კომპოზიციის თვალსაზრისით.

ეს აიხსნება მათი სოციალური მდგომარეობით. ისინი ხალხის ცხოვრების დუხჭირში გამოსული ხალხის შვილები იყვნენ. მათი გაღვიძებული შემოქმედების უდიდესი და უმტკივნეულესი სურვილი, ნდომა და მისწრაფება გამოიხატებოდა შემდეგს საკითხებში: როგორ უნდა მოტრიალდეს ცხოვრების ჩარხი, რომ ხალხმა აუცილებელი მოთხოვნილებანი ადამიანური ცხოვრებისა მაინც დაიკმაყოფილოს. და ხალხოსანი-მწერლები, ახლო მცოდნენი ხალხის ცხოვრების ჭირ-ვარამისა, უნდობლობით და მტრულის თვალით უყურებდნენ ყველა მას, რაც ამ ჭირ-ვარამიან ცხოვრებას უშუალოდ არ ემსახურებოდა,

რაც მას აცილებდა. აქიდან წარმოსდგა მათი სურვილი: მხატვრულ აღ-მაფრენასაც ცხოვრების ჭირ-ვარამით მოქსოვილი ლაგამი ამოსდონ, არ მიჰყენენ რეალურ ცხოვრების დუღილის გარეშე მომქმედ ოცნე-ბის დაუსრულებელ სრბოლას, რადგანაც მას ის ხშირად რეალურ ცხოვრების რკალს იქით გადაჰყავს. ირ ოდიონ ევდოშვილივით ხალ-ხოსან-მწერლებსაც თავისუფლად შეეძლოთ ეთქვათ:

„ნუ... ნუ იწვევ სულსა აჰყვავებულ ოცნების მხარეს,
სადაც ადგილი არ აქვს ურვას, არც სიმწუხარეს!
აბა რათ მინდა ოცნებითა ერთ წუთს ვსტკებოდე
და მერე ისევ ცხარე ცრემლათ დავიღვრებოდე?
აბა რად მინდა შენს ჰანგებში შთავინთქებოდე,
რა შესწყდე—კვალად შავ ფიქრთ ზღვაში შევცურდებოდე?
ნუ... ნუ იწვევ სულს მიუწდომელს სერაბიმთ მთაზე.
ჰხედავ: მე ვსტირი—შენც დაუკარ გლოვისა ხმაზე!..“[1]

და მართლადაც, ხალხოსანი - მწერლები, როგორც ირ ოდიონ ევდოშვილიც, მიწის შვილები არიან. ისინი მთელი არსებით მიჯა-ჭულნი არიან ცხოვრების ვაი-ვაკლახს და მასგან განმანთავისუფლე-ბელ მისწრაფებას. მათ თავიანთი ჩანგი ხალხის გასაღვიძებელ, ასამოქმედებელ, დასარაზმავ მძლავრ საყვირად გადააქციეს; მათ, ცხოვ-რების ნაცარ-ტუტას ღეელფში გამოვლილთ, ყოველისაევ მორთულო-ბისა და ხელოვნურობის უცნობთ და მტერთ, უნდა შეექმნათ, და სინამდვილეში შექმნეს კიდეცა, მართალი და სამართლიანი ლიტერა-ტურული მიმართულება, რომელშიაც აღფრთოვანებით და მდაბიო ხალხის შვილის სტიქიური ბუნების გატაცებით ჩააწნეს ხანგრძლივი პერიოდის საუკეთესო მოქალაქობრივი მისწრაფებანი. ამაშია ხალ-ხოსნური ლიტერატურის ძალა და მნიშვნელობა. მხატვრული ლიტე-რატურის საშუალებით ხალხოსნებმა მოახერხეს გამოეტანათ ფართო მასებში ის, რის გამოტანაც მათ სხვა გზით ვერ შესძლეს ტ ვერც შესძლე-ბდნენ იმ ობიექტურ პირობებში, რომლებშიც ისინი ცხოვრობდენ.

---

1) ირ ოდიონ ევდოშვილი—მუსიკას.

IV

ხალხოსნების მიერ ლიტერატურის გამოყენება, როგორც საბრძოლველი იარაღისა თავიანთ მისწრაფებათა პროპაგანდისათვის.

1.

ხალხოსნებმა მხატვრული შემქმედების საშუალებით დაიწყეს ხალხის ცხოვრების აქიმობა. უპირველესად მათ ყურადღება ტანჯული ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას მიაქციეს. ამას ხალხოსნები აღნიშნავენ თავიანთ ჟურნალშიაც: „თითქმის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან იწერებიან სიღარიბეს და სიღატაკეს ჩვენი გლეხობისას, რომელიც ღმერთს თაყვანსა სცემს, თუ კი დღიური ლუკმა-პური არ შემოაკლდა, ტანზე ძველი შალის ჩოხა და ფეხზე ქალამანი მაინც არ, შემოაცვდა“.[1]

ეს გლეხობა შველას თხოულობდა. ხალხოსნებსაც მტკივნეულად ესმოდათ ხალხის ძახილი. ამიტომ ხალხოსნები მწერლობასაც ხომ საზოგადო სამსახურის მიზანს უსახავენ! მართლადაც, მხატვრული ლიტერატურა საუკეთესო და ხელსაყრელ იარაღად გადაიქცა ხალხოსანთა მისწრაფებათა გამომჟღავნებისათვის, ტანჯული ხალხის ცხოვრების მკვეთრად გადაშლისათვის და მკითხველთა ფართო მასებში მის გატანისა და პოპულარიზაციისათვის. ხალხოსანთა მწერლების შემოქმედება სააგიტაციო ლიტერატურად გადაიქცა.

სოფრომ მგალობლიშვილი თავისს თხუზულებებში ცოცხალ სურათს გვაძლევს ჩვენი გლეხ-კაცის ცხოვრების ეკონომიურად დაქვეითებისას. მაგ. მოთხრობა „დ ე დ ა - მ ა ი ა“ მთლიანად გლეხ-კაცის ტანჯვის ცხოვრების ჩვეულებრივი, მძიმე და სწორი ოდისეიაა. ქვრივს მაია ღარიბაშვილს ვაი-ვაგლახით, წვითა და დაგვით, ქვრივოხრობით ორი ვაჟიშვილი გამოუზრდია: სოლომონა—27 წლისა და სანდალა—17-სა. წელებზე ფეხს იდგამენ დედა-შვილნი, დაუზოგველად

[1]) დ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი,—ბიბლიოგრაფია—„იმედი“, 1881 წ. № 1 გვ. 105.

მუშაობენ, ღამეებსაც კი შრომაში ატარებენ, მაგრამ ვერა და ვერ იქნა, წელი ვერ გაისწორეს. სილატაკეს და შეეიწროებას ვერ ამოუ-ვიდნენ. ისიც ვერ მოახერხეს, რომ სოლომონას როგორმე ცოლი შერთონ და ჯაფისაგან გატეხილ მაიას ოჯახში მაინც გვერდში ამოუყენონ. აი, წამოიზარდა სანდალაც, ორივემ დაიწყეს გამგელე-ბული მუშაობა. ორივე ებრძვის ცხოვრებას ლუკმა-პურისათვის. სან-დალაც ღამის მეხრეა. ოჯახის ეზეზე დაყენების ოცნებით გატაცე-ბული მაია და მისი შვილები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ. მაგრამ სანდალა ღამის-მეხრეობაში გაცივდა. ერთს დილას რომ ადგა, „წელი ვეღარ აიტანა, ტანში საშინლად შეაზმორა, ცხვირში წაუქირა და ხელ-ფეხი შეუმციენა. სანდალა მიჰხედა, რომ რაღაც უბედურებაა მის თავს, სახლში წასვლაც დააპირა, მაგრამ ვერ „უღალატა გუთანს. დაეძალა თავს“. სულ სხვა ფიქრებს გაატანა თავი, რომ ავადმყოფობა დაეეიწყა. ებრძვის თავის თავს სანდალა, მაგრამ ავადმყოფობამ უმატა, ვეღარ დასძლია მას და ვიშ-ვიშით ბედისაგან დაჩაგრული წაფრატუნდა სახლში. სანდალას გულს მხო-ლოდ ის უღელვებს და უწუხებს, რომ ამ ავადმყოფობის გამო ერთი დღის ალო დააკლდება. სანდალამ ძლივს მიახწია სახლს. და აი შინ რა დაჰხვდა მას: „შინ სულიერი არსება,—აგვიწერს სოფ. მგალობლი-შვილი,— არ მოიპოვება, რომ სანდალას მოუაროს. შევა სახლში, კენესით, უძახის დედას... იმედ-გაწყვეტილი დერეფანში მზის გულზე, რომელიც დერეფნის ბანში სვეტად ჩამომდგარა, წაეგდება. გდია სანდალა ცალიერ მიწაზე უქვეშაგებოდ, მაზარაში გახვეული; სახე მაგრა დაბღუჯული და გულში მიხუტული უქირავს. ამ დერეფანში შინაურ პირუტყვის ბაკის კარია გამოღებული, საიდანაც გამოდის საშინელი დამახრჩობელი სუნი. დერეფანშივე აქა-იქ, თითქო განგებ ამოუთხრიათო, საქონლის ეზეისაგან ამოჩიჩქნილია ორმოები; შიგ ჩაგუბებულია საქონლის შარდი და ქათმებისაგან ნეხვია ჩაყრილი: ეს ორმოები ბაყაყის ბუდის ფერია. მთელს დერეფანში ქათმებისა და გოჟებისაგან გაქექილი და მოლავებულია ნეხვი და ამ ნეხვს ზედ ზაფხულის მწვავე მზის სხივები ადგია; ადუღებს გუბეებს, აყროლებს ნეხვს და ადენს შესაზარს სუნს. ამ სიმყრალეს სიხარულით ეხვევიან, დასტრიალებენ ცელქი ბუზები; დაბერილან წუმპის წოვნით და ფი-რუზის ფერი დასდებიათ, სწორედ ის ფერი, რა ფერისაც თითონ წუმპეა. ბუზის ხრომ მიაგნო სანდალას, დაუწყო იმას წოვნა, მწარე კბენა და თავ-ბედი აწყევლინა“.[1]

1) სოფ. მგალობლიშვილი,- დედა-მაია, –გვ. 5—6. ტ. I.

აი ცოცხალი სურათი ჩვენი გლეხ-კაცის ცხოვრების პირობებისა! გდია ასეთ პირობებში ავადმყოფი სანდალა უპატრონოდ, გულ-გაღეღილი, ქარს მიშვერილი; ელის დაღამებას, რომ საიდანმე დედა გაჩნდეს. საღამოსჟამს მოვიდა მუშაობით ჯან-გამოცლილი, მუშაობით წელში გაწყვეტილი მისი დედა მაია. ასეთი უბედურობის დანახვა მაიას ათასს ერთი-ერთმანეთზე მტკივნეულ ფიქრს აურევს თავში და აუდუღებს ისედაც სიცხისა და ჯაფისაგან ადუღებულს ტვინს. მაიას ყველაზე მეტად ის გარემოება აღელვებს, რომ შვილი ცუდს—მკისა და კალოობის, დროს გაუხდა ავად. დაქანცული, უილაჯო მაია მეზობლებს მიატანს: გაიგოს და სთხოვოს რაიმე წამალი. მეზობლების მდგომარეობაც, თუმცა გაკვრითაა აწერილი, მაგრამ, მოცემული რამოდენიმე შტრიხი, ცხადად გვაგრძნობინებს, რომ ისეთივე უნუგეშოა, როგორც ღარიბაშვილებისა. ბევრი საუბრისა და რჩევის შემდეგ მაია ძლივს-ძლიობით იშოვის ერთს კვნიწს შაბს და წამოიღებს შვილის საწამლებლად. ამასობაში-კი სანდალას ჭირი, მიწაზე უსახურაოდ გდებით, უფრო და უფრო უძნელდება, ტანში უფრო უჯდება. რა ქნას! მაია უღონობისა და ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდა წამლისათვის თითონ წასულიყო და „კვდარი კაცისათვის“ თავი დაენებებინა. მაიამ მოტანის უმალ მომზადა შაბ-წყალი და ალერსით მიჰმართა თავის შვილს—სახლში შესულიყო წამლის მისაღებად. „ააყენებს და კრუსუნით შეიყვანს. დარბაზში აგია ჭილობის ნაგლეჯი, იმაზე გადაფენილია გაცვეთილი ფარდაგი, მაიას მზითვისა. სახურავად მოუტანა საბანი ისეთი ჭუჭყიანი და გაჭვარტლიანებული, რომ კაცი ვერ მიხვდებოდა, პირველში რა ფერისა უნდა ყოფილიყო. საბანს ჭუჭყის გამო ზინტლის სუნი ასდიოდა. მაია თავით მოუდგამს ხის მუთაქას—სასთუმალს, ზედ ჩოხას გადააფარებს...“

აი ნამდვილი, შეუფერავი სურათი, ამოგლეჯილი ხალხის ცხოვრებიდან და რეალური ფერადებით გადმოტანილი მხატვრულ ნაწარმოებში! რამდენი გაჭირვება, რამდენი მოულოდნელი და მოსალოდნელი უბედურება აქვს გლეხ-კაცს თავს დატეხილი! მაგრამ მას ხშირად უბედურობით გამოწვეული მწარე ფიქრი ჩააქინდვრინებს თავს და უმალ ახალი უბედურება და გაჭირვება ხელში სახრეს, ან ბარ-თოხს ააღებინებს და მუშაობაზე დააყენებს, როგორც „ყოველი მხრიდან“ დაბეჩავებულს სანდალას ძმას სოლომანს. ასეა. გლეხ-კაცი თავ-აუღებლივ, ხშირად ანგარიშ-მიუცემლადაც კი პირუტყვივით

დაჰყურებს მიწას, რადგანაც „ზეცა წაართვეს ძალით“ და გულში მუდამჟამს იკლავს „კაცური გრძნობის დუღილს“.

ასეთსავე საშინელ, აღმაშფოთებელ სურათს გლეხ-კაცის გაჭირვებული ცხოვრებისას შლის მთელ რიგ ნაწარმოებში შაქრო (ზაქარია გულისაშვილი). მისი მოთხრობებიდან: „მარტიაანთ პაპა“, „მეტივე“, „ბედნიერი კუნჭული“ ხალხის განუწყვეტელი, გულის გამომღადრავი კვნესა ისმის. მიუხედავად იმისა, რომ შაქროს მოთხრობები არა ბრწყინავენ დიდი მხატვრული ღირსებითა, მაინც, ვინც კი წაიკითხავს მის „მარტიაანთ პაპას“, ცოცხლად წარმოუდგება პაპას ცხოვრების უკულმართობით და ძალმომრეობით გარინდებული სახე, რომელშიაც კაცის უსამართლობამ ჩაჰკლა ადამიანური გრძნობის დუღილი და ცხოვრების ნდომა; ყოველ შემთხვევაში, მის გულის სიღრმეში გამოუნახა პატარა კუნჭული და შიგ ეს ნდომა და დუღილი მძიმედ ჩაამარხვინა; გამოხატვის, გამოჩენის საშუალება მოუსპო და ამიტომ დაბრიყვებულ-დაბეჩავებულ პირუტყვად გადააქცია.

ჩვენი გლეხ-კაცის გაჭირვებულ მდგომარეობას ნიჭიერად გვიხატავს რაფ. ერისთავი. ის, თუმცა ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელია, თუმცა თავისი შემოქმედების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სიყვარულს და მხიარულ დროისტარებას შესტრფოდა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის პროვინციების კარგად გაცნობამ, ხალხის მდგომარეობის შესწავლამ, ცხოვრების ახალმა პირობებმა რაფ. ერისთავსაც 80-იანი წლებისათვის ქედი მოახრევინა და თავი დააკვრევინა ხალხის ცხოვრების წინაშე.

რაფ. ერისთავმა მთელს რიგს ლექსებში ნიჭიერად შესძლო შესულიყო გლეხ-კაცის კანში, განეცადა მისი ჭირ-ვარამი, ლხინ-სიხარული და მისივე ენით საზოგადოებისათვის ემცნო, თუმცა ცალმხრივად, მისი გაჭირვებული მდგომარეობა. რაფ. ერისთავმა მხატვრის ოსტატობით გადაშალა ჩვენი გლეხ-კაცის ოჯახური ცხოვრება, რომლის წარმატება დამოკიდებულია ოჯახის წევრთა ფიზიკურ ჯანმრთელობაზე და რომელიც სრულებით არ არის დაზღვეული არცერთ უბედურ შემთხვევისაგან.

ცხოვრების ასეთი სინამდვილე მშვენივრად იშლება „სნეულ ოჯახში“:

„ოხრავს გოგონა ნინუა,—გვიხატავს ხალხის ენითა და კილოთი პოეტი,—ქმარიც ავად ჰყავს, შვილიცა.
რა ქნას მარტოკამ, უკვნესის მოხუცი დედამთილიცა“...

ტრიალებს გლეხის ოჯახში საწყალი, გამოუცდელი დედაკაცი. ზოგს ძმარს უსვამს, ზოგს ჭარხლის ფოთოლს ადებს, ხან თავის მომზადებულს თხლის შეჭამანდს ჰპირდება. მაგრამ უძნელდება ერთს ამოდენა საქმის გაძღოლა. თუმცა ნინუა არ უტყდება შრომასა და მწუხარებას, მაგრამ „დღისით მაშვრალს, ღამე-ნატეხსა გამოელია ღონეა“. არავინა ჰყავს საწყალს ქალს არც წყლის მომტანი, არც მჭადის გამომცხობელი. დაიქანცა:

„ქვნესის ბეჩავი ნინუა, არსაით უჩანს მკურნალი,
სიცხით ეწვება ქმარშვილი და ეხოცება მწყურვალი!..“

ასეთსავე გაჭირვების შავ-ფიქრებს შეუბოჭავს სესიაც, რომელიც ხნავს, სთესავს, ებრძვის შავს მიწას, მაგრამ ეს აუტანელი შრომა მისთვის მაინც ფუჭია, რადგანაც:

„ვერ გადვირჩინე წლის სარჩო, ვერ გამოვიძღე კუჭია...
მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჯინჭველაც ჩემი მტერია,
მოხელე, მღვდელი და ერი—ყველა მე შემომცქერია“...[1]

გლეხი უყურებს ცხოვრებას, აკვირდება გარემოს. ხედავს, რომ ის გამუდმებით შრომობს, ძალ-ღონეს არა ზოგავს, დღესა და ღამეს ასწორებს, მაგრამ მაინც მშიერია. უყურებს ცხოვრების ტრიალს და ვერ მიჰხვედრია ქვეყნის განაჩენს. მიწა, რომელზედაც გლეხი მიწებებულია, რომელიც მას აცხოვრებს და რომელსაც ის თავისი სისხლით და ოფლით ერთგულად აპოხიერებს—სხვისაა, ქირაობს. თუ კარგი მოსავალია, მაშინ კიდევ არა უშავსრა, გაუძღვება მტერსაც და მოყვარესაც. მაგრამ როცა ბუნებაც უმუხთლებს და ჭირნახულს გააფუჭებს, მაშინ რაღა ქნას, რით გაისტუმროს ღალა და სხვა ათასი გადასახადი, რომელიც მას არ ასცილდება? და დატანჯული გულიდან ბერუას ამოსკდება:

„ე შავი მიწა მაინც რომ სასყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარემდინ—რა ვიცი—მე რაღა დამაღონებდა?“[2]

ასეთისავე მუქი ფერადით ჰხატავს გლეხის უმწეო მდგომარეობას ხალხის შვილი იოსებ დავითაშვილი ლექსში „შემოდგომა“ „ი. გლეხის“ ფსევდონომით. მართალია, მისი ლექსი მეტად მარტივია, სადა, პრიმიტიული, როგორც ფორმის მხრივ, ისე იდეიურადაც. სამაგიეროდ ლექსის შინაარსი ხალხის გულის ზედ-ნადებია, სინამდვილით და სისწორით ამოკითხული და ასახული.

---

[1]) რაფ. ერისთავი,—სესიას ფიქრები—გვ. 189

[2]) მისივე—ბერუას ჩაფიქრება,—გვ. 189.

დადგება შემოდგომა. გლეხ-კაცობა სიამოვნებით შეუდგება წლის ნაწვავ-ნადაგის შეკრებას მინდორ-ველზე, ბაღ-ვენახში, მაგრამ რა ქნას საბრალომ:

„ღალას აძლევენ თავადებს,
მასზე მეტსა მოვალესა—
და, თუ გადარჩა მცირე რამ,
იგიცა მიაქვთ სხვებსაო“.

გლეხი ჭაჭასა და თხლესაც-კი ვერ იყენებს თავის საჭიროებისათვის. ყველაფერი მიაქვთ მისგან „ყოველი მხრიდან“ მისეულ მის მტერ-მოყვარეებს.

„წლით სარჩოს დაინარჩუნებს
სიმინდსა ანუ ფეტვსაო.
ამისთვის წვალობს საწყალი,
წელიწ-ად თორმეტ თვესაო!!!“[1]

ასეთია მთელი პროზა და პოეზია გლეხ-კაცის ცხოვრებისა. ი. დავითაშვილმა კარგად იცის გლეხის ცხოვრების სინამდვილე, მისი ტანჯვა და სიხარული და ამიტომ გულუბრყვილოდ, თუმცა შეუფერადებლად, ჰხატავს თავის ლექსებში.

ხალხის საშინელი, დაბეჩავებული ცხოვრების ცოცხალი სინამდვილით სავსე სურათს გვიშლის ნ ი კ ო ლ ო მ ო ს ი ც ხალხის საკეთილდღეო მოღვაწეობით გატაცებული გიგო ღრუბელაშვილის და მისი თანამგზავრი ახალგაზრდა ქალის სოფელ-სოფელ სიარულის დროს.

გიგო ღრუბელაშვილმა და მისმა თანამგზავრმა ქალმა გაიგეს, რომ ერთს სოფელში ხოლერა გაჩენილა და საშინელი მძვინვარებით ჟლეტავს უპატრონოდ დატოვებულ ხალხსა. მგზავრებმა მიაშურეს იმ სოფელს. „...აგერ მათ წინ გამოჩნდა უბედური სოფელიცა. პირველად მათ დაინახეს საბძლები და ოთხ ბოძზე შეყუტული ცარიელი ძარები და შემდეგ თვით საცოდავი ქოხმახებიცა, რომლებშიაც ვითომდა ცხოვრობდნენ აქაური გლეხები. კაცს ეგონებოდა—ეს ქოხმახები განგებ აურ-დაურევიათ, განზრახ დაუდგამთ ასე უსწორ-მასწორადო...

„სადგომის შემდეგ თქვენ ყურადღებას მიიქცევდა უსათუოდ მათ წინ დიდრონ ზვინებად დაყრილი საქონლის პატივი, რომელსაც, როგორც მუდამ, ისე ახლა, შემოხვეოდნენ შინაური ფრინველები, ფეხ-ნისკარტით სთხრიდნენ, სჩიჩქნიდნენ და აქეთ-იქით აღიავებდნენ.

[1]) ი. გ ლ ე ხ ი – შემოდგომა—„იმედი“—1882 წ. № 3.

ზოგიერთ ამგვარ ადგილებზე წვიმის წყალი შეტბორებულიყო და შიგ ჩამპალი პატივისაგან საზიზღარი მოშავო ფერი მიეღო. ამ წუმპეებს ზემოდან დაყურებდა მკათათვის გახურებული მზე და მთელ სოფელში იდგა საზარელი სუნი, რომლისგან ჩვენს ნაცნობ ახალგაზრდებს ჯერ ისევ ორღობეშივე ეკმინდებოდით სული. სახლების წინ შემოწნული ბაკები, კარმიდამო და სოფლის დახლაკნილი გზები აგრეთვე ნაგვითა და სხვადასხვა გვარის უსუფთაობით იყვნენ მოფენილნი. ამასთანავე საითკენაც კი უნდა მიეხედნა ადამიანს ამ სოფელში, ყველგან შენიშნავდა საშინელ ლიღატაკეს.“[1]

მართლაც, მ შ ვ ე ნ ი ე რ ი კ ო ნ ტ ურ ი ა ი მ მ ი ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ა, რ ო მ ე ლ ი ც, ს ი ღ ა ტ ა კ ი თ დ ა ს ი ბ ი ნ ძ ურ ი თ დ ა რ ე ტ ი ა ნ ე ბ უ ლ ი, გ ა მ ო ურ კ ვ ე ვ ე ლ ბ ურ ა ხ შ ი ი ყ ო. გარეგანი აღწერილობა უკვე ამზადებს მკითხველს შინაგანი ცხოვრების საშინელი სურათის დანახვისათვის. მკითხველი გრძნობს, რომ ცხოვრების მძიმე პირობები უნდა გაიცნოს, მაგრამ სინამდვილის ნახვა ყოველსავე სევდიან მოლოდინს გადააჭარბებს. მართლაც, რომ მნახველმა შეიძლება ჯოჯოხეთი სამოთხედ მიიჩნიოს ამის შემდეგ.

ილუსტრაციისათვის მოვიტანთ ორს ნაწყვეტს: „ამათ გაუარეს წინ ერთ მიწურ სახლს; უნდოდათ გზის გაგრძელება, მაგრამ ამ ადგილზედ მათ იგრძნეს რაღაც ცუდი, საეჭვო სუნი. გიგო ღრუბელაშვილი ავიდა სახლის ბანზე, ნელი-ნელა აიფაფხა დარბაზის გვირგვინზე და, როდესაც თავი წინ წაიღო ერდოში ჩასახედავად, ის მიხვდა, რისაც იყო ეს სუნი. ჩაიხედა ერდოში და იმავე წამს გველ-ნაკბენივით გამოვარდა უკან.

— „ოხ, რა უბედურება დავინახე, რა უბედურება.—წამოიძახა მან ქალის გვერდზე და აჩქარებით გასწია ამ სახლის დერეფნისაკენ. მხვრელის მსგავსი დერეფანი ფეხების ფრატუნით და ხელების ცაცუნით ჩაიარეს და მიაწვნენ დარბაზის მძიმე კარებსა... კერას ახლო, დედაბოძთან, მათ დაინახეს ორი მიწაზედ გაშოტვილი, გაშეშებული ადამიანი. ერთსა ეცვა კაცურად, მეორეს ქალურად, ორივენი ახალგაზრდები იყვნენ. საზარელი სუნი, რომელიც აქა ტრიალებდა, ცხადი ნიშანი იყო, რომ ესენი სამი-ოთხი დღის გარდაცვალებულნი იყვნენ. ლეში მათი უკვე იხრწნებოდა, კაცი პირქვე ეგდო, ქალი გულ-აღმა და თავი ცოტა მაღლა ჰქონდა წამოწეული. ტუჩებს ხრწნა დაეწყოთ, ზევით-ქვევით აწეულ-დაწეულიყვნენ და დახრჩენილი კბილები თავ-ზარ დამცემი სიცილით გამოიყურებოდნენ. ამ

1) ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი—გიგო ღრუბელაშვილი—გვ. 145—146.

სანახავმა თავზე თმები აუბურძგნა ჩვენს ახალგაზრდებს. ფერმიხდილნი იდგნენ ერთ ადგილას და მუნჯებივით გასცქეროდნენ უსულდგმულო ლეშის ჯოჯოხეთურ ღრეჭას... უცებ ამ გლოვისა და მწუხარების სამფლობელოში, ამ ძლევამოსილი სიკვდილის შაებნელ სამეფოში გაისმა ხმა, მაღალი, გატაცებული ხარხარი, კისკისი. ამ ხმამ ისეთი გავლენა მოახდინა ჩვენს ახალგაზრდებზე, თითქო ამოღებული ხანჯალი ჩაეკრა ეისმე მათთვის გულში. ერთი შეჰკივლეს და თავზარ დაცემულნი გამოცვივდნენ კარზედა. იმაე წამს დარბაზიდან გამოვარდა სრულიად დედიშობილა, თმა-გაბურძგნული მოხუცებული დედა-კაცი. ვენახის ეკლიან ღობეზე შეხტა და წელანდებური კისკისით გადაერია ვაზებსა“ [1].

აი ასეთი შემაძრწუნებელი პანორამა გადაეშლება გიგოს და მასთან ერთად მკითხველსაც ჩვენი უპატრონოდ დატოვებული, სიღატაკესა და სიბინძურეში ჩამხვრჩალი სოფლისა.

2.

უმიწა-წყლოდ დარჩენილი გლეხის ისედაც უნუგეშო მატერიალურ მდგომარეობას საბოლოოდ ანიავებდა და განადგურების ნიადაგზე აყენებდა ხალხის მეტად დაბალი კულტურული დონე. ეს გარემოება ჰოხიერ ნიადგსა ჰქმნიდა ხალხის შეგნებაში. ცრუმორწმუნოების და გაიძვერა მკითხავების რწმენის განმტკიცებისათვის ეს მოვლენა-კი უდიდესი და უსაშინელესი სენი იყო ჩვენი გლეხკაცობის ცხოვრებაში. ეს რწმენა დაუნდობლად სცარავდა ისედაც დაცემული და გაღატაკებული გლეხკაცის ოჯახს. ან დამღუპველ მოვლენას ხალხოსნები შეებრძოლნენ როგორც სიტყვით, ისე საქმითა და კალმით. ხალხოსნები კარგადა გრძნობდნენ, რომ ბედნიერების მოპოებისათვის, წინმსვლელობისათვის საჭიროა ამ სენისაგან ხალხის განთავისუფლება, ამიტომ ამ სენის აქიმობაც დაიწყეს. ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი ერთი საუკეთესო წარმომადგენელია ჩვენს ლიტერატურაში ჩვენი ხალხის ამ მავნე თვისებასთან ბრძოლისა მხატვრული შემოქმედების საშუალებით. თუ რა მ ა ვ ნ ებელი მნიშვნელობა აქვს ცრუმორწმუნეობას ხალხისათვის, ნიკო ლომოური მშვენივრად გვიხატავს თავის მოთხრობაში „ა ლ ი“.

ხალხში გავრცელებული ცრუმორწმუნეობა წარუშლელ დაღს ასვამს გლეხკაცს ბავშობიდან. ბავშობიდანვე გაუნათლებლობის გამო ცრუმორწმუნეობა თავისი არა-ბუნებრივი ძალებით: ეშმაკით, ალით,

[1]) ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი—გიგო ღრუბელაშვილი, გვ. 150—152.

ქაჯით და სხვა ავი და კეთილი სულებით ავსებს მის შეგნებას. თუ როგორ იზრდება გლეხკაცი ამ თქმულებათა ზეგავლენით, როგორ უმზადდება ფსიქოლოგიურად მას ნიადაგი ავი სულების რწმენისათვის, მშვენიერად ხატავს ნიკო ლომოური „ალში"-აც და „ქაჯანა"-შიაც.

„გააბეს ალზე[1] ლაპარაკი,—მოგვითხრობს სიმონა,—და თითო რამე ალის ამბავი თითქმის ყველამა სთქვა... სიცილი, ხუმრობა ამ დროს სრულიად გაჰქრა. მათი ალაგი ხშირმა პირჯვრის წერამ და წმინდის გიორგის სახელის მოწოდებამ დაიპირა. ხალხი არა ხუმრობდა! ამან ძალიან, ძალიან შემაფიქრიანა. ველარც ვახშამი ვჭამე ხეირიანად და მთელი ღამეც მამლის ყივილამდე არ დამძინებია. ვფიქრობდი ალზე. თვალწინ მეხატებოდა ტყე. ამის შუა ალაგას ვითომ მოჩანდა პატარა, ანკარა, მოჩქრიალე მდინარე, რომელშიაც ერთს მოფარებულ ალაგას, დიდ-თმა გაშლილი იჯდა მშვენიერი მზეთუნახავი ქალი—ალი. ალი თავის ჟუჟუნა შავი თვალებით იცქირებოდა აქეთ-იქით. უნდა დაინახოს ვინმე ადამიანი, მივარდეს და დაახრჩოს... ამგვარი წარმოდგენანი მეხვეოდნენ გარშემო მთელი ის ღამე. პირველ მამლის ყივილის შემდეგ. ჩამეძინა, მაგრამ ვაი იმ ჩაძინებას! სიზმარში ვნახე ალი და გულგახეთქილმა გავაპყიტე თვალები. ტყე და ალი ახლა ერთმანეთთან მკვიდრად შეთვისებულ საგნათ გარდაიქცნენ ჩემთვის. ერთის ნახვა მენატრებოდა, მეორესი მეშინოდა" [1].

ასეთი გაღიზიანებული, დაშინებული ფსიქოლოგიით და ფანტაზიით მეორე დღეს სიმონა ტყეში წაიყვანეს. დასტოვეს ის წყლის პირას. მამა-ბიძები ცოტა მოშორებით შეშის მზადებას შეუდგნენ. ალზე ლაპარაკით აფორიაქებულ სიმონას ფანტაზიას წყალში მოპრილი კუნძი ალად მოეჩვენება. შეშინებული დაიწყებს ისტერიულ ყვირილს. უფროსებიც, ასეთსავე ატმოსფეროში აღზრდილნი, დაიჯერებენ. დაიწყებენ კუნძის ჭრას. კუნძის მოპრის დროს ერთს ძმას ცულის პირი ტარიდან გაუვარდება, სიმონას მამას მოჰხვდება თავში და მოჰკლავს. შეშის მაგივრათ შინ უფროსს ძმას მკვდარს მოიტანენ. მთელი სოფელი ამ შემთხვევას ალის ძალ-მოქმედებით ახსნის. ყველას და განსაკუთრებით კი სიმონაანთ დიდს ოჯახს ეს გარემოება რაღაც შიშის ზარს სცემდა.

აიწეწა არაშენდაანთ ოჯახი სულიერადაც და ეკონომიურადაც. „დავმარხეთ მამაჩემი,—მოგვითხრობს დაობლებული, უცნაური

[1]) ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი--ალი, გვ. 11—12.

მოელენით აფორიაქებული სიმონა,—მაგრამ ამის შემდეგაც არ ჩამოგვეხსნა ის წყეული ალი. ჯერ სასაფლაოზე ენახათ ის ვიღაც მგზავრებს. შემდეგ გავარდა ხმა,--ვითომც მამაჩემი ალს ამოელოს საფლავიდამ და წაელოს ტყეში. ეს ამბები ჩვენ შეგვატყობინა ზაქარია დიაკვანმა და გვირჩია, რომ მიცვალებულის სულისათვის გვეწირვებინა, საფლავი გვეკურთხებინა და შემდეგ საზოგადო წირვა გადაგვეხადა. ყველა ესენი სრულიად აღასრულეს ჩვენებმა" [1].

მაგრამ ვერც ამ გარემოებამ უშველა. ხალხში მაგრათა ზის ცრუმორწმუნოების ფესვები. მასთან ბრძოლა არც ეგრე ადვილია. თვით ოფიციალური სარწმუნოებაც-კი უძლური გამოდგა. არაშენდაანთ და სოფელს ვერც საფლავის კურთხევამ, ვერც მღვდლის წირვამ და ვერც საზოგადო წირვამ ვერ უშველა. უბედურება ხომ უარესად ართმევს უკულტურო ხალხს აზრს. ასე მოუვიდა არაშენდაანთ ოჯახს და მთელ სოფელს.

არაშენდაანთ ასეთი აფორიაქებული მდგომარეობით უნდა ისარგებლოს აზნაურმა დიაკვანმა ზაქარიამ. ის ოცნებობს—არაშენდაანთ სახლკარი და ნაფუზარი ხელთ იგდოს. ამიტომ არაშენდაანი უნდა მკვიდრი ბინიდან როგორმე აჰყაროს. აი ერთხელ გათენებისას არაშენდაანთ დარბაზში შუა ბანიდან ვეებერთელა ქვა ჩაუვარდათ და რახა-რუხით დაეცა საკიდელსა და კერასა. არაშენდაანთ ოჯახს თავ-ზარი დაეცა. როცა ერთ-ერთმა ძმამ შესძახა: „ვინა ხარ, ვინა, შე ოჯახ და სახლ-კარ დაქცეულო?"-ო, იქიდან გარჩევით და ქალურის ხმით მოისმა:—„მე ვარ ალი, გამოგზავნილი წმიდის გიორგისაგან, აიყარენით, აიყარენით, თორემ სულ ერთიანად ამოგხოცავთ!"-ო[2].

წარმოსადგენია, რა შიშის ზარი უნდა დასცემოდა მთელს ოჯახს! ეს შემთხვევა მეორე დღეს, სანამდე არაშენდაანი იტყოდნენ რასმე, თურმე მთელმა სოფელმა იცოდა. დაზარალებულმა ოჯახმა და მთელმა სოფელმაც გადასწყვიტეს, რომ ალი ახლა არაშენდაანთ სახლში ეწვია.

მთელს სოფელს ეს ხმა საშინელის სისწრაფით მოედო. ცრუმორწმუნე სოფელში წარმოუდგენელი, პირდაპირ ზღაპრული ჭორის მაგვარი მითქმა-მოთქმა გაჩნდა. არაშენდაანთ უბედურების მიზეზად ხალხის შეუგნებელმა ფანტაზიამ ოჯახის მოხუცი დიასახლისი, სიმონას დიდედა, მაია დასახა. რას არ იგონებდა სოფელი საწყალი

[1]) ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი—ალი, გვ. 17.

[2]) იქავე— გვ. 18.

მოხუცის დამოკიდებულებაზე ავ სულებთან!.. ზოგი ამბობდა, რომ მაია თანაზიარად გაუხდია ალს შვილების ამოწყვეტაშიო, ზოგიც— მაია კუდიანიაო. „ბევრი ამ გვარი და ბევრიც ამაზე უარესები ისმოდა იმ დღესვე. ამ უკანასკნელს ახლო აღარავინ ეკარებოდა. მიმავალი რომ დაენახათ, გარბოდნენ იმისაგან, როგორც გიჟისა, ან საოფლიანი ავადმყოფისაგან“[1].

ამ საშინელი ხმების და სოფლის ასეთი დამოკიდებულების გაგებამ საწყალი დედაბერი გამოუთქმელ სატანჯველში ჩააგდო. იმ ღამესვე რაღაც ცახცახმა აიტანა. საშინელ სიცხეში და ალის მოახლოების ბოდვაში მეორე დღესვე სული განუტევა. ალმა იმსხვერპლა არა მარტო ორი წევრი, არამედ, შეიძლება ითქვას, არაშენდაანთ ოჯახი მთლიანად: არაშენდაანი შიშით გადასახლდნენ იმავე სოფელში. ახალმა გამოუმშრალებელმა და დაუმთავრებელმა სახლმა გააცივა ისინი. შეუდგათ ოჯახში რაღაც ავადმყოფობა (ალბად საოფლე). სიცხეში ავადმყოფებს ალი მუდამ თან სდევდა და შიშის ზარსა სცემდა ყველას. ასეთს მდგომარეობაში მალე გარდაიცვალა ერთი ბიძა, მეორე გაგიჟდა, მესამე-კი, ზაქარია დიაკვნისაგან გაბრიყვებული (მკითხავის დახმარებით), ალის შიშით მთელი ოჯახით გადასახლდება ყარაიაზე. იქ ის თითქმის სრულებით ამოსწყდება, მისი ორი ობოლი დარჩენილი შვილი ქალაქში ქუჩა-ქუჩა დარბიან.

ცრუმორწმუნეობა, როგორც ერთი უდიდესი სენი ხალხის ცხოვრებისა, ნიკო ლომოურს მეორე მოთხრობაშიაც („ქაჯანაში“) აქვს დახატული. ავი სულების რწმენამ ხალხში განადგურებამდის მიიყვანა კიკოლას ოჯახი. ამ გარემოებამ დაცარა კიკოლა და მწუხარების ზეწარი გადააფარა მთელს მისს ოჯახს.

3.

მაგრამ საშინელება, მეტად საავალალო ის არის, რომ ყოველივე უბედურებისა და მარცხისაგან—ავადმყოფობა იქნება, სიკვდილი, საქონლის ჭირი, თუ სხვა რაიმე მოვლენა, ხსნის საშუალებას გლეხ-კაცი ეძებს არა ექიმის დახმარებაში, განათლების შეძენაში, ჰიგიენურად ცხოვრების მოწყობაში, არამედ მკითხავის რჩევაში. მკითხავი გლეხ-კაცის უბედურობის ტალ-კვესია. ამიტომ მკითხავისათვის ღატაკს გლეხს ფულიც მოენახება და დროცა. მკითხავიც თავისი ცბიერებით, გაიძვერობით, დაუნდობელი ცარცვა-გლეჯით ტყავს აძრობს ისედაც „ყოველი მხრიდან“ გატყავებულ გლეხს.

[1]) ნ. ლომოური—ალი,—გვ. 19.

ხალხის ცრუმორწმუნოებით და მკითხავისადმი ასეთი ნდობით სარგებლობს ისედაც ხელებ-გახსნილი ხალხის მტერი „სოფლის წურბელა“ და კავშირს იქერს მკითხავთან ხალხის საზარალოდ. მკითხავი, როდესაც ცბიერებით ვერ მოახერხებს საქმის ვითარება გაიგოს, მიიშველიებს ხოლმე ღმერთისა და ხატების ძალას, მათი განრისხებით ხსნის გლეხის უბედურებას, ისედაც შეშინებულ გლეხ-კაცობაში აძლიერებს არაბუნებრივი ძალების შიშს. განრისხებული წმინდანების გულის მოსაგებად (რაც გაუნათლებელ გლეხს მეტად სწამს) ხატებთან სალოცავად ჰგზავნის ხოლმე გლეხს და ისედაც დაცარულს ოჯახს ზედ-მეტი ხარჯით ანიავებინებს.

ასევე სარგებლობს მკითხავით ზაქარია დიაკვანი. ვერა და ვერ მოახერხა მან არაშენდაანთ საბოლოოდ აყრა და მათი სახლ-კარის და ნაფუზრის ჩაგდება ხელში. მართალია, გლეხ-კაცისათვის შიში ალის მავნე ძალისა და რისხვისა დიდია, ძნელია გამკლავება ალის მუქარისა:—„თუ არ აიყრებით და არ გადასახლდებით, სუყველას გაგწყვეტთო“. მართალია, სული ტკბილია, მაგრამ არა ნაკლებად ტკბილია გლეხობისათვის მიწა, რომელსაც ის გამუდმებით ანთხევს თავის სისხლს და ძალას, ძნელია მამა-პაპით გაკეთებული საბუღრიდან აყრა და ცხრა მთას იქით, როგორც ხალხი ამბობს, გადავარდნა.

გლეხ-კაცი თავისი განსაზღვრული ცხოვრების პირობების გამო შინ მოკალათებულია. ნახევრად მშიერი და ნახევრად ტიტველი ცხოვრების შენარჩუნებაც-კი მისთვის იმდენად ძნელია, რომ ალარა რჩება დრო სხვა რისთვისმე ფიქრისა და ზრუნვისა. ეს გარემოება მეტად ვიწროდ ჰფარგლავს მის მსოფლ-მხედველობას, გასაქანს არ აძლევს. ეშინიან, რომ ხმელი ლუკმა-პურიც არ დაკარგოს და პრიმიტიული ინსტინქტით ებღაუქება ძველს თუნდაც მავნე ჩვეულებებს, სულიერი და მატერიალური ხასიათის ტრადიციებს. ეს გარემოება მას ჰქმნის საშინელ კონსერვატორად. აი რატომაა, რომ ასე ძნელია მისთვის დაანებოს თავი მამა-პაპურ ჩვეულებას, გასწყვიტოს მასთან კავშირი, დასტოვოს მამა-პაპური ქოხი. ასეთი ნაბიჯის გადადგმას გლეხი გაბედავს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ცხოვრება სრულებით გაანიავებს და ხელცარიელს დასვამს, როგორც არაშენდაანთ დათუას დაემართა.

ამით ისარგებლა ზაქარია დიაკვანმა. შეურჩია დრო. ერთხელ, როდესაც ჯან-გამოცლილი დათუა გაპარტახებული ოჯახის წინ იჯდა და მძიმე, გამოურკვეველ ფიქრს მისცემოდა,—ვერ დაეძლია ამ ფიქრს ვერც თავი და ვერც ბოლო, ზაქარია დიაკვანი მას თავზე

წაადგა და „ფლიდური ჯავრიანის კილოთი“ უთხრა: „რა ამბავია, კაცო, თქვენს თავს?... ვფიქრობ და ვერა მომიფიქრია რა: რა არი და როგორ არი თქვენი საქმე“? დაღონებული დათუა შესტირებს მეზობელს ოჯახის დაღუპვას და ამის მიზეზს ალის ბოროტ ძალას მიაწერს. „ჩვენი უბედურება ალის გამოჩენიდამ იწყო, — ეუბნება ზაქარია დიაკვანს დათუა, — ი წყეული ახლა უჩინარადა გვდევნის!“-ო. ზაქარიასაც ეს უნდოდა. სარგებლობს დათუას ასეთი სულიერი განცდით და ურჩევს მკითხავს მიჰმართოს, სოფელ ეშმაკეულში რომ არის. დათუამ ზაქარია დიაკვანის რჩევით მკითხავთან ცოლის გაგზავნა გადასწყვიტა. დიაკვანი დაბრუნდა შინ, ფაცა-ფუცით შეკაზმა ცხენი და კარგა ხშირს ბინდისას დაადგა სოფელ ეშმაკეულისაკენ მიმავალ გზას.

მეორე დღეს დათუას ცოლიც გაუდგება მკითხავის გზას. მკითხავის ეზოში ხალხი ზიმზიმებს. მკითხავი თითონ გამოიძახებს არაშენდაანთ დათუას ცოლს. ეს გარემოება ყველას, და განსაკუთრებით დათუას ცოლს, გააკვირვებს. შემდეგ მკითხავი არაშენდაანთ ოჯახის თავგადასავალს დაწვრილებით ეტყვის. უწინასწარმეტყველებს გადასახლების აუცილებლობას და ახალ ადგილზე კეთილს ბედს.

მძიმე და უკუღმართი ცხოვრებისა და „ალის დევნისაგან“ გატანჯული დათუა მოწყურებული თუნდაც ნახევრად მშიერ და ტიტველ, დამშვიდებულ ცხოვრებას, თუმცა საშინელ სულიერ ტკივილებითაა შეპყრობილი, მაგრამ მაინც გადასწყვეტავს გადასახლდეს ცოლშვილით. მართლაც, გადასახლდება და იქ უნუგეშოდ დაიღუპება. ასეთია გაელენა და შედეგი მკითხავთან ხალხის დამოკიდებულებისა.

მკითხავის ოინები მშვენივრადა აქვს ასახული ნიკო ლომოურს „ქაჯანა“-შიაც, სადაც ეკონომიურად დაბეჩავებული და უბედურებისაგან გულ-გატეხილი კიკოლა მკითხავის რჩევით ხატში წასული თითქმის მაიხოვრად გადაიქცევა. კიდევ კარგი, რომ თხოვნისაგან გაჯერებული სოფლის ბავშვების გონება-მახვილმა სიცელქემ გადაარჩინა სრულ განადგურებას ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი კიკოლას ოჯახი.

უფრო მძიმე სურათსა ჰშლის სოფ. მგალობლიშვილი მოთხრობაში „დედა მაია“. ბეჩავს მაიას ვერ უპოვნია მიზეზი, თუ რამ მიიყვანა მისი ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე სანდალა სიკვდილის პირს. აზრ-დაბნეული, იმედ-დაკარგული, რადგანაც სოფლური საშუალებანი ვერასა შველოდნენ, თავზე მოულოდნელად დატეხილი უბედურების მიზეზს ეძებს. გადასწყვეტს, რომ უთუოდ და უთუოდ

იმის შვილს რომელისამე ხატის—წმინდანის მიზეზი აქვს. რომ გაიგოს, რომელმა ხატმა დაჰმიზეზა მის სანდალას, როგორც სხვა მისი მეზობლები, მაია მკითხავს გამოჰნახავს. მკითხავი ხომ მათთვის უკანასკნელი მისამართი ღონისძიებაა, რომელიც „რეცეპტებს" (ბარათს) მიუწერს ხოლმე ხატებთან". მკითხავის მოგონებაზე მაიას სახე გაუბრწყინდა. დარდები გადაეყარა.

მაიამ მოინდომა ჯერ შინაური მკითხავით, ფთილების ჩამომსხმელით, გასულიყო იოლად. მაგრამ ფთილების ჩამოსხმამ მაიას უბედურებას ვერაფერი უშველა. სანდალას მდგომარეობა თანდათან უფრო გაუარესდა. მაია ჰგრძნობს, რომ ის დაუძლეველი უბედურების წინაშეა, გრძნობს, რომ ის უსახსროა, უძლურია. მეზობლების რჩევათაც არაფერი სარგებლობა არ მოაქვს. მაიასათვის, როგორც სხვა მის მეზობლებისათვის, ერთი გზაა—მკითხავს უნდა მიჰმართოს. მეზობელმა ფეფელამ მაია ზერტელ მკითხავთან მიასწავლა. მაიას მთელი არსება მკითხავისაკენ იწევს. მაგრამ როგორ მოახერხოს: არც ურემი აქვს და აღარც გამყოლი ჰყავს. უფროს შვილსაც ვერ მოაცდენს; ზაფხულის დღეა, ჭირ-ნახული კარზე აქვს მომდგარი. პატრონობა უნდა.

მაია მალე იშოვის თავისავით უბედურს დარეჯანს თანამგზავრად.—რის გაჭირვებით ისესხებენ ისინი მკითხავისათვის ფულს და გაემგზავრებიან:—„ვაი ჩემი ბრალი!—ამოიკვნესებს მაია. სახლში რომ დაბრუნდება,—სიყრმით, დაბადებიდანვე კი ვერა გავიხარე რა, და! ჩემი დღენი, მე უბედური დღისამა, წვა და დაგვაში გავატარე. რა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული?" (ეს კვნესა ხომ ჩვეულებრივი კვნესაა გლეხის დედა-კაცისა!)[1].

უილაჯო მაია „ულირსს შვილს", მომაკვდავს სანდალას, უპატრონოდ, მოუვლელად დასტოვებს. წავა მკითხავთან. ბევრს ტანჯვასა და დაგვას გამოივლის (მშვენიერია მაიას მწვავე განცდები გზაში!). გაჭირვებით ნასესხებ ფულს მკითხავს მისცემს, თვითონ და საქონელი მოცდება. ხოლო ძისი შვილი სანდალა საშინელ ტანჯვაში (წყლის მიმწოდებელი, ხმის გამცემიც კი არა ჰყავს), მოუვლელი, სანამდის დედა დაბრუნდება, გადაიცვლება. ასეთია მავნე მნიშვნელობა მკითხავისა ჩვენი ხალხის ისედაც შავ-დღიან ცხოვრებაში.

4

ამ სენს, ჩვენი ხალხის ცხოვრების დამაქვეითებელს და გამანადგურებელს ფიზიკურად და მატერიალურად, მოსდევს სხვა მავნე და

[1]) სოფ. მგალობლიშვილი—დედა მაია—გვ. 26. ტ. I.

საზარალო ჩვეულებანი. მკითხავის „რეცეპტები“ ავადმყოფს კი არ არჩენს ხოლმე, ხშირად სიკვდილს უახლოებს ტ თავზე ვალს მოახვევს. მკვდარს დასაფლავება უნდა, და გლეხმა, აქვს, თუ არა აქვს (მას თითქმის არასოდეს არა აქვს), ქელეხი უნდა გადაიხადოს. ეს არის მეორე და დიდი სენი, რომელიც ჩვენი ხალხის ზურგს მეამელასავით ღრღნიდა ტ მის ყოველსავე ძალას სრუტავდა. ჩვენს ხალხს ამ დრომოჭმული ტრადიციების—ნათლობის, ქორწილის, ხატობის, ქელეხის--შენახვა უმძიმეს ტვირთად აწვა კისერზე. „ი მ ე დ ი ს“ თანამშრომელნი, რომელნიც გამოდიან ხალხის ცხოვრებაში ჭეშმარიტი, მის საკეთილდღეო აზრების შესატანად, და ჟურნალიც ამ მიზნისათვის უნდათ გამოიყენონ, ჟურნალის პირველივე ნომრიდან ცხოვრების ამ მოვლენას სასტიკად შეებრძოლნენ. „ქართველი ხალხის სიღარიბის მიზეზები,—სწერს მ. გურგენიძე,—ბევრი არიან, მაგრამ ზოგზედ ლაპარაკი არ შეიძლება, ზოგზედ უდროვოა, ზოგზედ კიდევ ძალიან საჩოთიროა. ჩვენ ამ დროებით შეგვიძლიან და გვინდა ვილაპარაკოთ მხოლოდ ერთს მიზეზზედ, რომლის მოსპობას შეუძლიან ქართველი ხალხი სიღარიბიდგან სიმდიდრისაკენ გამოაბრუნოს. ეს მიზეზი არის უთავბოლო, უზომო, შეუსაბამო, ტყუილი ხარჯი ნათლობაზედ, ქორწილზედ, დღეობაზედ და მკვდრის დამარხვაზედ. თვით დაბადებიდგან კაცისა სიკვდილამდინ—იმის ცხოვრება ისე არის დაყენებული ჩვენ ქვეყანაში, რომ თითქო ეს ცხოვრება დამღუპავი ჩვეულებისათვის არის გაჩენილი“[1].

მართლადაც, სადა აქვს იმდენი შეძლება ჩვენს „ყოველ მხრიდან“ შეევიწროვებულს, გაძვალტყავებულს გლეხ-კაცს, რომ ეს ხარჯი გასწიოს! ის იძულებულია მიმართოს ჩარჩს, მოვახშეს, რომელიც უსინიდისოდ სარგებლობს გლეხის გაჭირვებული მდგომარეობით და დაუზოგველად ტყავს აძრობს (ხშირად ორჯელაც და, შეიძლება, მეტჯერაც-კი ერთსა და იმავე ვალში), ისედაც დაბეჩავებულს გლეხის ოჯახს. „ის, —სწერს მ. გურგენიძე,—ვინც (რომელიც იხდის ნათლობას, ქორწილს, ქელეხს.—მ. ზ.) იღებს ვალს, თვეში თუმანზედ ათი შაურიდამ მანეთამდის სარგებელს იწერს... ნათლობა გათავდა, თამაშობაც ბევრი იყო, სმაც და ჭამაც, მაგრამ ვალს კი გადახდა უნდა—და ხშირად ამ გვარი მსესხველები გამოეთხოვებიან ხოლმე ან თავის საზრდოს მიმცემს მიწას, ან ვენახს, ან ბეღელს, ან ცხენს, ან კამეჩს, ან სხვას, ან კიდევ თვით

[1]) მ. გ ურ გ ე ნ ი ძ ე—ერთი ჩვენი სიღარიბის მიზეზი—„იმედი“, 1881 წ. № 1, გვ. 66.

სახლს"[1]. ამ მოვლენასაც შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს ხალ-ხოსნებმა. ამიტომ ეს მოვლენაც დიდის სიმკვეთრითაა ასახული ჩვენს ხალხოსნურს ლიტერატურაში.

აკი რაფ. ერისთავის ბერუაც მწარედ ჩივის: ,,ფული მემართა ვაჭრისა ,,რიგისთვის" აღებულია, თავნში პურ-ღვინოს დამ-ჯერდა, ეახშში მივეცი ფულია"[2].

ხშირად გაუმაძღარნი მოვახშენი ამასაც არა სჯერდებოდნენ, ხელახლა წამოუელიდნენ გლეხს და სულით ხორცამდის გაჰყიდიდ-დნენ:

,,არ შემარჩინეს ზედაშე,—ჩივის ბერუა,—გოკი, ქათამი,
წიწილა,
არც საბუდარში კვერცხები,—გამომილია სინსილა!..
გეო ვაჭარი ჩემს სახლში ნავარდობს, როგორც ქორია,
გზირიც, არყისგან გამტყვრალი, გორაობს, როგორც ღორია!..
რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, რით მოვიცილო ჭირია!..
ყველა მე ჩამომეკიდა,—სოფლის მოხელე, გზირია"[3].

ასეთი ხარჯის გაწევით დაცემულ გლეხის ოჯახს უფრო რეალურ ფერადებში შლის ნიკოლომური. ,,დავმარხეთ მამაჩემი—მოგვითხრობს სიმონა,—მაგრამ ამის შემდეგაც არ ჩამოგვეხსნა ის წყეული ალი... გავარდა ხმა—ვითომც მამა ჩემი ალს ამოეღოს საფლავიდამ და წაეღოს ტყეში. ეს ამბავი ჩვენ შეგვატყობინა ზაქარია დიაკვანმა და გვირჩია, რომ მიცვალებულის სულისათვის გვეწვირვინებინა, საფლავი გვეკურთხებინა და შემდეგ საზოგადო წირვა გადაგვეხადა. ყველა ესენი სრულად აღასრულეს ჩვენებმა; მაგრამ ვაი ამ აღსრულებას! ამან საშინელი დაღი დაასვა მთლად ჩვენს ოჯახს და მის მომავალ ბედს. აქამომდე უვალო ოჯახს ამ წირვებისა და კურთხევის მეოხებით ათ თუმანზე მეტი ვალი დაგვედო. ეს ვალი შემდეგ გადიდდა, გარდაიქცა ორმოცათ, სამოც თუმნათ. გავხდით ჩვენ დედა-ბუდიანად ერთი ურიის მონებათ და ყმებათ"[4].

ვინ იყო ეს ურია, რომლის მონად და ყმად გადაიქცა არაშენდაანთ უვალო ოჯახი? იქნება, ეს უბედურება მოულოდნელია გლეხისათვის? იქნება გამოუცდელობით მოსდის მას? საქმეც ის არის, რომ გლეხს ყველაფერი საშიშროება სხვებზე უკვე გამოცდილი აქვს,

---

[1]) მ. გურგენიძე—ერთი ჩვენი სიღარიბის მიზეზი—,,იმედი" 1881 წ. № 1, გვ. 67-68.

[2]) რაფ. ერისთავი,—ბერუას ჩივილი.

[3]) ნიკოლომური—ალი, გვ. 17.

[4]) მისივე—იქვე

მაგრამ მავნე ჩვეულება (ქელეხი, ხატობა, ქორწილი, ნათლობა და სხვა) ისეთს მოთხოვნილებადაა გადაქცეული, რომ ის თვალღია მიდის ამ უბედურებისაკენ. ,,ყველამ კარგად ვიცოდით, - მოგვითხრობს სიმონა,—მისი (ხახამ გაბრიელას) უღმერთობა; ყველას გაგვეგონა, თუ სამი ლიტრა მარილის ფასი ხუთ წელიწადს როგორ გარდუქცია ოცდაათ თუმნად ერთ გლეხსა! შემდეგ უჩივლა, წაართვა ვენახი, ნაფუძარი და ღვთის ამარა გაუშვა მათი საცოდაავი პატრონი. ვიცოდით ყველა ესენი, კიდეე ბევრი სხვა რამე, მაგრამ რა გვექნა?.. გაპირვების დროს მაინც ისევ მას მივმართავდით ხოლმე, რადგანაც კარგად ვხედავდით, რომ მის მეტი გზა ჩვენს ბედობაზე სხვა არ იყო გაჩენილი. მივმართეთ კიდეც, როდესაც გაპირვება დაგვადგა! ათი თუმანი თავნი ვალი ხუთი წლის განმავლობაში სამოც თუმნად გაგვიხადა. დაგვაწერინა სამოცი თუმნის თამასუქი და შემდეგ წაგვიპირა ხელი''[1]. და ბოლოს, მართლადაც, ხახამ გაბრიელამ დაამთავრა არაშენდაანთ ოჯახის დამხობა.

ასეთივე მყვლეფავია არუთინა და შამუელი (,,ყოველი მხრიდან''). ესენიც ანდრია გლეხს მიადგებიან მოსაელის მოკრების წინ თავიანთ ,,თეთრი აბაზების'' გასანაღდებლად. ანდრიას მორჩილ პასუხზე:—,,გავლეწავ, შვილოსან, და ჩემი ფეხით მოგიტან ფულსაცა და პურსაცაო'', არუთინა, მისთვის დამახასიათებელ უკმაყოფილობით დაიღრიალებს:—,,არა, ძმაოჯან, არა!.. შენი არწყული და მოტანილი რა თავში ვიხლი! როცა კალო შეაბა, შემატყობინე: მე მოვალ, ჩანახსა და ტომარას მოვიტან და სულ წმინდათ კალოზე ჩამაბარე''. აღელვებული ანდრია არუთინას ასეთი უხეში და უსამართლო მოთხოვნილებით, ინსტინქტურად უკმაყოფილების კილოთი ეტყვის:—,,რას, ამბობ, კაცო? მე შენი ჩანახით როდისა ვარ გარიგებული? ექვს აბაზათ კოდი პური მოგცე და ისიც შენი უძირო ჩანახითა! ღმერთი აღარ არის შენში''[2]. გრძნობს ანდრია არუთინას უსამართლობას, ხედავს მის უსამართლობას, მაგრამ რა გაეწყობა, მისი სული არუთინას ხელშია და ისიც იძულებულია დასთანხმდეს.

ანდრიას ასეთისავე თხოვნით მიჰმართავს მღვდელიც, რომლისგანაც ის დავალიანდა იმავე უბედური შემთხვევის გამო.

— ,,აბა, შვილო,—მიჰმართავს შენდობის მისაღებად მისულ ანდრიას მღვდელი,—რას ამბობ?.. განა დრო არ არის, რომ ი შენი

---

[1]) ნიკო ლომოური—ალი გვ. 27-28.

[2]) მისივე—ყოველი მხრიდან, გვ. 342.

შვილის სამკვდრო მომცე?.. აგერ წელიწადი სრულდება, ანდრია, და შენ კი ჯერაც არა მოგიცია რა!“ [1]

მღვდელიც კი იმასა ცდილობს, რომ გლეხს საწირავის გადასახადის სარგებელში ერთი ბურვაკი მაინც გამოჰგლიჯოს. გლეხიც იძულებულია მისცეს.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბეჩავს გლეხ-კაცს ბედი ხშირად უმტყუნებს ხოლმე: წამოუშენს ნიაღვარი და სეტყვა, და მის ჭირნახულს, დიდის წვითა და დაგვით მოვლილს, სწორედ აღების წინ გაანადგურებს ხოლმე. ამ უბედურების შემდეგ მწარეთ დაღონებულმა გლეხმა არ იცის, რა ქნას, რით გამოკვებოს ცოლ-შვილი, ან რით გაუსწორდეს „ყოველის მხრიდან“ მოსეულ მჭამელებს.

განა ისევე არ ავიწროვებს და არ ანიავებს ყაზარა მიკირტუმოვი ხარაზი დემეტრე ასკილაძის ოჯახს. დემეტრემ დაცოლშვილიანების შემდეგ დაიწყო ხარაზობა. მოინდომა შეემატებინა „ცოტა რამ შეშუტი დუქნისათვის. მაგრამ იმდენი ღონეც არ ჰქონდა. როგორც იყო, იშოვა ვალად ყაზარა მიკირტუმოვისაგან ხუთი თუმანი ფული, მაგრამ რაც მოიტანა, ისიც სულ ყაზარას სარგებელსა და „ნეუსტოიკებს“ მოუნდა. ჩაიფლო ლაფში და ვეღარ ამოვიდა“[2].

ყაზარას ვალის გადახდამ და მისმა დავიდარაბამ გადაიტანა დემეტრე. ყაზარამ დემეტრეს ოხრად დარჩენილი ოჯახის სრული განადგურება მოინდომა არა მარტო ეკონომიურად, არამედ ზნეობრივადაც. ყოველივე უდიერობა და აუტანელი შეურაცყოფა მიაყენა წურბელა ყაზარამ დემეტრეს უარარაოდ დატოვებულ ცოლშვილს. მთელს ნაწარმოებში საშინელი შემაძრწუნებელი ხითხითი ისმის სხვისი უბედურებით გაბედნიერებული და კმაყოფილი ყაზარასი.

განა სრულ განადგურებამდის არ მივიდა არაშენდაანთ ოჯახი ხახამ გაბრიელას გადამკიდე?

არაშენდაანთ ოჯახი ალის გაჩენის და მასზე მოყოლილ უბედურებათა შემდეგ ვეღარა და ვეღარ ამოვიდა ხახამ გაბრიელას ვალიდან. თითქმის მთელი შემოსავალი არაშენდაანთი გაბრიელას ათი თუმნის ვალში მიდიოდა. მაინც ვერა და ვერ გადაწყვიტეს მისი ვალი. ბევრი ლანძღვა-გინება და მუქარა მიიღო არაშენდაანთ ოჯახმა გაბრიელასაგან. და, დასასრულს, ერთ კვირა დღეს მამასახლისმა დაუძახა დათუას საყდრის კარებთან გასულიყო. დათუა მა-

---

[1]) ნიკო ლომოური—ყოველი მხრიდან—გვ. 341.

[2]) სოფ. მგალობლიშვილი—დემეტრეს სახლობა, გვ. 7.

შინვე ადგა და წავიდა. გავიდა კარგა ხანი. დერეფნიდან მოესმათ რამდენიმე კაცის ხმა და ლაპარაკი. ცოტა ხანს უკან გაიღო კარები ტ დარბაზში შემოვიდა დათუა; მას შემოჰყვნენ მამასახლისი, ორი მისი თანაშემწე, ხახამ გაბრიელა და ერთი ვიღაც რუსულად ჩაცმული, სასამართლოს ბოქაული. „ათასი წელიწადი რომ ვიცოცხლო,—გადმოგვცემს სიმონა, — ეგონებ, მაინც არ დამავიწყდეს ბიძაჩემი დათუას მაშინდელი სახის გამომეტყველება! სახისა კი არა მარტო, მთლად მისი არსების მდგომარეობა. ამ ნახევარ დღეს, ის, ოცდახუთმეტი წლის კაცი, სამოცი წლის მოხუცებულს დამსგავსებოდა. წელში საცოდავად ზოკაკულს, გაყვითლებულს, თვალებ მიცივებულს, დამპალ ხესავებ გაჰქონდა ძანძარი. წინაპირველად ის თითქო ვერაფერსა ჰხედავდა: იჩერჩეტა, იჩერჩეტა და კინალამ კერას გადააწყდა. დედაჩემმა მათ შემოსვლის დროს ერთი ღრმად ამოიკვნესა და მიჯდა თაროსთან“[1]. საწყალი თავბრუ-დასხმული დათუა ცოლის ხმამ-ღა გამოარკვია. მიიხედ-მოიხედა და დაგლეჯილი დათვივით შეჰღრიალა: „ვენახი გაგვიყიდეს, ვენახი, ვენახი... ვაი ცოლო და შვილო! ნაფუძარი გაგვ...“ ამის გაგონებამ მთელი ოჯახის წევრებში აღძრა ერთი საშინელი ტირილი და წიოკი. „კაცს ეგონებოდა, ამ ხალხს ცხედარი უდევთ წინაო“. ა ი გ ლ ე ხ-კ ა ც ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს უ ტ ყ უ ა რ ი ს ურ ა თ ი.

ასეთია შედეგები ნათლობა-ქორწილისა და წირვა-ხატობისა, რომელსაც გლეხის ოჯახს მოვახშის ხელში ყმად გახდომა მოსდევს. და ამიტომაა, რომ ასეთი სიმწვავით ტ მუქ ფერადებში ასახეს ხალხოსანმა-მწერლებმა ჩვენი ხალხის ეს შავ-ბნელი მხარეც.

5

მაგრამ არა მარტო ხალხის მტერი და სისხლის მწოვი ჩარჩები ავიწროვებენ გლეხ-კაცს და სარგებლობენ მის უილაჯობით და დაბეჩავებულობით, არამედ ადმინისტრაციაც, რომლის დანიშნულება ხალხის კეთილდღეობის და მის ცხოვრების უზრუნველყოფელობის სამსახური უნდა იყოს. პირიქით, ისიც თითქოს საწყალი გლეხის შესავიწროებლად არის დაარსებული. სამსახურს და თავის მოვალეობას ის ისე უყურებს, როგორც თავის პირადი კეთილდღეობის განმტკიცების საშუალებას გაძვალტყავებულის და დაბეჩავებულის ზურგზე და ხარჯზე.

---

1) ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი—ალი, გვ. 30

სოფლისა და მაზრის ადმინისტრაციაც ერთ-ერთი უმწვავესი მუწუკია ჩვენი გლეხკაცის ზურგზე.

ადმინისტრაციის თვითნებობას და ძალმომრეობას სწორედ ღარიბი გლეხის მიმართ მშვენივრად გადაგვიშლიან ჩვენი ხალხოსანი მწერლები: ნიკო ლომოური, სოფ. მგალობლიშვილი, ყაზბეგი; შაქრო (ზ. გულისაშვილი) და სხვანი. მაგ. ნიკო ლომოურის „ქრისტიანი ლეკები" მშვენიერ სურათს გვაძლევს გლეხკაცობის შევიწროებისას ადმინისტრაციის მიერ.

ღარიბ სოფელ ნიკრეულაში ყველაზე ღარიბად და ხელმოკლედ სცხოვრობს სვიმონა ლუკაშვილი—„მარტოხელა კაცი, წვრილ-შვილის და მცირე მამულის პატრონი. მართალია, ის ჯერ კიდევ ყმაწვილი ბიჭია, მაგრამ, როგორღაც მოხუცი, დაძაბუნებული კაციერით გამოიყურება: სიარულის დროს მუდამ მიწაზე დაიცქირება, თითქო დაუკარგავს რამე და იმის ძებნაში არის გართულიო"[1]. სვიმონას გარეგნული შეხედულებაც-კი, მის გაღატაკებულ სახლშიაც რომ არ შევიდეთ და მისი მშიერ-ტიტველი ცოლშვილიც არ გავიცნოთ, საშინელი დაბეჩავებულის შთაბეჭდილებასა სტოვებს. „თქვენი-კი არ ვიცი, მკითხველო,—სვიმონას მეტად სწორ დახასიათებას გვაძლევს ნიკო ლომოური,—და მე კი, როცა სვიმონა ლუკაშვილს წარმოვიდგენ ხოლმე, მაშინათვე თვალ-წინ ამეყუდება უზარ-მაზარი სურათი ას-თავიანი დევისა, რომლის ტლანქ წიხლებ ქვეშ მიწაზე განართხული გდია სვიმონა; მდევი სჭეჭყავს მას, ჰქელავს უსულდგმულო ნაბადივითა. სვიმონა მაინც არა კვდება, ცოცხალია, მაგრამ ვაი ამისთანა სიცოცხლესა"[2]. სვიმონას ასეთ დახასიათებაში ხალხოსანი ნიკო ლომოური იძლევა დახასიათებას მთელი მშრომელი ხალხისას, რომელიც გაჭირების უღელ ქვეშ იზნიქებოდა, და სიცოცხლეს მაინც ებრძოდა.

ამ სვიმონა ლუკაშვილის ოჯახიც ახალწელიწად ღამეს მხიარულ გუნებაზეა. გამუდმებული შევიწროებული ცხოვრებით შენახული და დამზადებული ხორაგით უნდა დაჰხვდეს ახალ წელს, რომ სიღარიბე აღარ დაეკვეთოს.

სვიმონას სიმამრიც სწვევია და გამხიარულებული ოჯახი სამზადისშია.—მოულოდნელად სვიმონას გარედან გზირის ხმა მოესმა. მან სვიმონას შეატყობინა: მამასახლისი მოვიდა, ცუდ გუნებაზეა და შენ გიბარებსო. სვიმონას გუნება მწარედ შეეცვალა. „ეგ პირის კომლ

[1]) ნიკო ლ ო მ ო უ რ ი,—ქრისტიანი ლეკები, გვ. 181.

[2]) იქავე—გვ. 182.

ამოსახუთი,—სთქვა მან,—მე ვიცი ხეირს არ დამაყრის. იმ დღეს ი ხუთი მანეთი რო ემართა ი კაცსა, ის ფული ამირთვა და გასამჯელოში ნახევარი მთხოვა; მე, როგორც იყო, ხელთ ვიგდე ფული და ერთი მანეთის მეტი არ მივეცი. გიჟი მოზვერივით დამიბრიალა თვალები და ბითხრა: დაიცა, შვილოსან, ჩამივარდები როდისმე ხელში და მე გიჩვენებ მაშინ შენ სეირსო"[1]. სთქვა ეს და მწუხარებით, თავის გაქნევით გაჰყვა გზირს.

. სვიმონას წინათგრძნობა გამართლდა. გზირი ზურაბა ლექსიშვილის სახლის წინ სვიმონამ დაინახა ოთხი ცხენოსანი: მამასახლისი და სამი მხლებელი ჩაფარი. ჩვეულების თანახმად, რომელ სოფელსაც-კი მამასახლისი თავის მხლებლებით თავის მისელით გააბედნიერებდა, ის სოფელი ვალდებული იყო უსასყიდლოთ გამასპინძლებოდა ამ დაუპატიჟებელ სტუმრებსაც და მათ ცხენებსაც. მამასახლისმა მოისურვა სვიმონასათვის ეჩვენებინა თავისი ძალა. როდესაც სვიმონა მძიმე თავის დაკვრით მიესალმა მამასახლისს, მან ბრძანებით უთხრა მას: „წაიყვანე ემ წამში ეს ოთხივე ცხენები, თბილ ბოსელში დააბი და ქერი და ბზე არ მოაკლო".

„სვიმონამ თავი ძირს ჩაღუნა, ვგონებ, სრულიად უგრძნობლად, ქედი მოიხარა; თავი, კისერი ძალზე მოიჩეჩა: შემდეგ ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და დაღრეჯით წარმოსთქვა:

— „ერთი ნამცეცი ბოსელი მაქვს, ჩემი საქონელიც ძლივს ეტევა; არც ქერი მაქვს, ღმერთმა ხო იცის... ამიტომ გთხოვთ, მამასახლისო, სხვასთან ვისთანმე დააბმევინო შენი ცხენები.

— „შენები გამორეკე ბოსლიდამ და იმათი ადგილი მიეცი ჩვენ ცხენებს... ქერსაც მალე გაშოვნინებენ ჩემი ჩაფრები.

— „შე დალოცვილო—და, რო გამოვრეკო ამ თოვლსა და სიცივეში, ხომ სულ ერთიანად გამიწყდება ისედაც შიმშილისაგან დალასლასებული საქონელი. და, აბა, მაშინ რაღა შავი ქვით და ნაცარი ცხელით გავცე პასუხი ან ღმერთსა და ან ხელმწიფესა.

„მამასახლისმა წარბი შეიკრა, გრძელ წვერზე დიდკაცურად ჩამოისვა ხელი და მრისხანებით შეუძახა:

— „ჩაფრებო, აბა ერთი კარგა გაბერტყეთ ეგა"[2].

მამასახლისის ბრძანება მისმა ერთგულმა დამქაშებმა პირნათლად შეასრულეს. სამივენი მისცვივდნენ სვიმონას და შეუბრალებლად სტყეპეს ბეჩავი სვიმონა, „რომელიც ამ დროს ხან გველივით იხლა-

[1]) ნიკო ლ ო მ ო უ რ ი—ქრისტიანი ლეკები—გვ. 187.

[2]) იქვე—გვ. 188.

კნებრდა, ხან ძირსა ცუცქდებოდა, თითქო კინტოურსა თამაშობსო, ხანაც ფეხებს აქეთ-იქით იქნევდა და ჯამბაზივითა ხტოდა". სვიმონას ეს მდგომარეობა ამხიარულებდა მის ჯალათებს. ძლივს ცოცხალ-მკვდარი გააგდებინეს ჩაფრებს.

განთავისუფლებულმა სვიმონამ მწუხარებით და აჩქარებით გასწია შინისაკენ. სახლში რომ მივიდა, ქვითინით გადასცა ცოლ-შვილს გამოვლილი უბედურება და მთელი ოჯახი რაღაც გამოურკვეველ მწუხარებას მიეცა.

მაგრამ ეს არ აკმარა მამასახლისმა ბეჩავ სვიმონას. დათეთქვილმა, შეურაცყოფილმა სვიმონამ ვერც კი მოახერხა გამორკვევა, რომ კარი გაიღო და მის სახლში შევიდა მამასახლისის მიერ გაგზავნილი ორი ჩაფარი. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა მოურიდებლივ, ცინიკურად მიმართეს სვიმონას: „აბა, მამასახლისისათვის ვახშამი მზად არის, თუ არა?"-ო. მოსთხოვეს ინდოურები. უილაჯო სვიმონამ ხელი მიუღო საახალწლო სამზადისზე და უთხრა წაეღოთ, ხოლო ინდოურებზე, რადგანაც არა ჰყავდა, უარი განაცხადა. ჩაფრებმა ყველაფერი წაიღეს, რაც საღირველი დაინახეს. სვიმონაც თან წაიყვანეს, ალბად მამასახლისისაგან ასე იყვნენ დარიგებულნი. მიიყვანეს ის მამასახლისთან და მოახსენეს, რომ „სვიმონა ლუკაშვილმა ინდოური არ მოგვცაო". განრისხებული მამასახლისი წამოვარდა და შეჰღრიალა: „ჩქარა თოკი!" როდესაც თოკი მიუტანეს, მრისხანედ დაიძახა: „მოიყვანეთ ეგ ღორი, ეგ ლობიო-ჭამია ტეტია და მაგრა მიაკარით ბოძზე"... ჩაფრებმა მყის შეასრულეს სურვილი ძლევა-მოსილი მამასახლისისა და მაგრად მიაკრეს თოკით ბოძზე. მამასახლისი არ დაკმაყოფილდა. „თავი ძირს აქვს დაღუნული მაგ ღორსა,—ბძანა მამასახლისმა,—აუკარით თავიც მაღლა: მე მინდა, რომ ჩემ წინ გამოჭიმული იდგეს სალდათივითა"[1]. ყველა ეს დაუყოვნებლივ იქმნა სისრულეში მოყვანილი. საშინელ, საზარელ სურათს წარმოადგენდა საბრალო სვიმონა: „ფერ-მიხდილი, უძრავად გაშეშებული,—აგვიწერს ავტორი,—ის უფრო ბოძზე აკრულ უსულდგმულო ცხედარსა ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანსა. თოკ-მოქერილ მკვლავებიდან სისხლი ძირს დაშვებულ ხელებში ჩამოჰგუბებოდა; ამის გამო განზე გაპარჭყული თითები რუმბებივით დაბერილიყვნენ და ორთავე ხელები ნახშირივით დაშავებოდა." ასეთ მდგომარეობაში სვიმონამ ორი-სამი საათი გაატარა და კიდე, შესაძლებელია, დიდი ხანი იქნებოდა, რომ შეუბრალებელი, ბეჩავი სვიმონა გზირს არ შებრალე-

[1]) ნიკო ლ ო მ ო ურ ი—ქრისტიანი ლეკები—გვ. 192.

ბოდა და ცრემლითა და ვედრებით არ გაენთავისუფლებინა ჯალათების ხელიდან.

ასე დაოსებული, გამწარებული და გაწბილებული სვიმონა, უფრო მკვდარი, ვიდრე ცოცხალი, დაუბრუნდა თავის დაწიოკებულ ოჯახს. სვიმონა სრულებით უძლურია დაიცვას თავისი უფლებანი, თავისი ოჯახი განადგურებისაგან. ავტორმა, სვიმონას მდგომარეობა რომ უფრო გასაგები გახადოს, მეტად მშვენიერი შედარება მოგვცა: „მე მინახავს ძროხა, რომელიც დასაკლავად მიჰყავდათ. ის თითქო ცხადადა გრძნობდა თავის მომავალს უბედურებას... საცოდავის ხმით ზმუოდა, ფეხები უკანა რჩებოდა, მთვრალი კაციკით ბარბაცებდა. სწორედ იმ ძროხასა ჰგავდა იმ წამში ჩვენი საბრალო სვიმონა“[1], —ათავებს ხალხის უბედური ბედის მტკივნეულად შემგრძნობი ნიკოლომოური.

ასეთსავე სურათს გლეხ-კაცის შევიწროებისას ჰშლის შაქრო თავის მოთხრობებში, რომლებშიაც ცხოვრებასთან საბრძოლველად გამომწვევი კილო გვესმის. ავტორი ბაცაკა მეტივეს ავადმყოფობის დროს, სიცხეში ბოდვის საშუალებით, გადააშლევინებს მძიმე სურათს გაჭირვებული ცხოვრებისას. „—ე, მიყვარს ჩვენი ცელქი თეძამი,—ბოდავს მეტივე,—დიდიხნისაა, ბევრიც იცის, ბევრიც უნახამს... რამდენ გულ-საკვლავ ამბებს გვეტყვი უწინდელს და ეხლანდელს?! ბევრჯელ გამოვარდნილა ბატონის სახლიდგან ბატონისგანვე ნამუსშერცხვენილი მოახლე და უღვრია შენ ნაპირებზედ მწარე ცრემლები... რამდენჯერ მოუბანია შენის წყლით ბატონისაგან ან იმის მოურავისაგან ნაცემ ყმას სისხლიანი თავ-პირი! თითონ ბატონის სახლიდგან რამდენი კვნესა და ავი ამბები გსმენია?!.. ეხლანდელი იასაულებისაგან; გლეხების დაწიოკების ხმაც ხომ გსმენია?... ჩინოვნიკებისაგან მათრახის შლაპაშლუპის ხმა; გლეხისაგან ბედის წყევლა, როდესაც წასულა ის სამართლის საპოებლად სასამართლოში, დაბრუნებულა, ჩამომჯდარა დაღონებული. შენ ნაპირებზე ხმელა ჰურის წყალში ამოსასველებლათ! ჰე, რამდენი სხვა... ახ, ნეტავ ლაპარაკი შეგეძლოს, უთხრა ყველას“...[2] და ასე ამ რიგად მეტივეს შაქრო გადააშლევინებს ხალხის მძიმე და უკულმართი ცხოვრების ოდისეიას.

არა ნაკლები მუქი ფერადებით აგვიწერს შაქრო მოსამართლის უსამართლობას მეორე მოთხრობაში—„ბ ე დ ნ ი ე რ ი კ უ ნ ტ უ-

1) ნ ი კ ო ლ ო მ ო ს ი—ქრისტიანი ლეკები—გვ. 187.

2) შ ა ქ რ ო—მეტივე—„იმედი“, 1881 წ. № 3, გვ. 29—30.

ლი". „ეხლა ერთი აცხელი კაცის ვენახი მქონდა დაგირავებული ოცდახუთ თუმანში, მინამ გადაწყდებოდა, კოკა ორ მანეთათ ტკბილი უნდა მეზიდა. ოცი კოკა წაღებული მქონდა, მეორე წელს, კოკა ტკბილი თუმანი გახდა. გლეხი მოვიდა ჩემთან და ფულები მომიტანა და ვენახის დახსნას მთხოვდა. მე უარი ვუყავ.—ან რა გიჟი ვიყავ დამეთმო, ნატარიუსში უსლოვია მქონდა დაწერილი. გლეხმა მაინც ტკბილი არ დამანება და ფულები ნატარიუსს მიუტანა.—მე ნატარიუსთან არ მიველ და როცა გლეხი შინ წავიდა, ნატარიუსი ჩემსკენ დავიყოლიე. იქვე, მიროვი სუდში მივიყვანე და ვათქმევინე, რომ გლეხი არც ფულს მაძლევდა და არც ტკბილს, თავის ნებით—უსლოვიას არღვევს. სუდმა ორმოცდაათი თუმანის ლისტი პრედვორიტელნი ვზისკანიით მომცა და ორ კვირას უკან პრისტავით აცხაში მიველ გლეხის ქონების ასაწერათ. ოცი კოკაც ჩაუფაქე, რადგან კანდრახტის გვერდზე კვიტანცია არ იყო"[1]. ასეა ყველა—მამასახლისიც, „პრისტავიც", ნოტარიუსიც, მოსამართლეც და სხვაც გლეხ-კაცის გამქელავი და შემავიწროებელი იყო.

6

ხალხოსანი-მწერლები უფრო ღრმად მიდიან ხალხის ცხოვრების წიაღში. რაც ღრმად და შორს მიდიან, ისინი მით უფრო მეტ ტკივილებს და იარებს პოულობენ მის ცხოვრებაში. გარდა გაუმაძღარი ჩარჩისა, უზრუნველი, უდიერი ბატონისა, ანგარებით აღსავსე მღვდლისა, მხეცი, დაუნდობელი მამასახლისისა, გზირისა და საერთოდ ადმინისტრაციისა, გლეხს მეტად ავიწროებს სოფლის ახალი ბატონი,—გლეხ-კაცობის წრიდან გამოსული, თანამოძმეთა ზურგზე ამოსული ავთვისებიანი ხორცმეტი, ეგრედ-წოდებული „თავი კაცები". ესენი გამდიდრებულნი არიან უმეტეს შემთხვევაში. მემამულესთან დაახლოვებით ან მოურაობით, ან სხვა რომელიმე უზნეო გზით. მოურავის უარყოფითი ტიპის დახატვა გავრცელებული თემაა ჩვენს ხალხოსნურ ლიტერატურაში.

გლეხთა წრდიდან გამოსული მოურავი, მოწყურებული ძალაუფლებას, შეპყრობილი დაუძლეველი სურვილით—დაახწიოს როგორმე თავი საუკუნოებით მასზე გაბატონებულ სიღარიბეს, სრულებით ჰკარგავს ადამიანურ გრძნობას და მთლად მტაცებელ პირუტყვად გადაიქცევა.

[1]) შ ა ქ რ ო—ბედნიერი კუნკული—„იმედი" 1881 წ. № 9, გვ. 15.

მოურავი ხშირად ბოროტად სარგებლობს თავისი მდგომარეობით. ბატონის სახელით საშინლად ავიწროებს მოძმე გლეხებს. მას შემდეგი ანგარიში ამოძრავებს: თუ ბატონს ერგება და გულს მოუგებს, მის ნდობას დაიმსახურებს, მით არა-ნაკლები სარგებლობა იქნება მისთვის. ამიტომ მოურავი ბატონს გლეხ-კაცობის შევიწროებაში არამც თუ ერთგულად ემსახურება, აჭარბებს კიდეც ბატონის მოლოდინს და სურვილებს. ესეც ერთ-ერთი მტკივნეული იარა იყო გლეხკაცის გაძვალტყავებულ ზურგზე.

მოურავის დახმარებით ბატონი გლეხებს დიდ ღალებს აწერს. სადაც ერთი დღისა აქვს გლეხს, იქ ორი დღისასა სწერს![1] „ყოველი მხრიდან" შევიწროებული ანდრია, როდესაც მოიშორებს კარზე-მომდგარ თავის მჭამელებს—მღვდელს, ჩარჩ არუთინას და შამუელს, თავის ქნევით იტყვის: „წუხელის ბატონის მოურავიც ეგდო აქა. ძაან დაგვემუქრა: სულ ნაკარ-ტუტას აგადენთ, თუ ყველა მოსავალი დროზე არ მოგირთმევიან ბატონისათვისაო. სამიოდ-ოთხი თუმანი ჯიბეში ჩაიქისა: მოსავალში გამოგიბრითო. ეგა მდიდრდება და ი ჩვენი დოღრიალა ბატონი კი მიწასთანა სწორდება"[2].

მოურავის მკვეთრს სახეს, მართლაც რეალურ ფერადებში დასურათებულს, შიგ ნიჭიერად ხალხის ბოლმა-სიძულვილით ჩაწნულს, გვაძლევს სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი „ჯორ-ზაქარა"-ში თავ-ესტატე მარუშაძის მოურავის, სოსიკას, დახატვით.

ახალი დრო დაიწყო. ქალაქმა, საცა ევროპული ცხოვრება იკიდებდა ფეხს, ყველა მიიზიდა: ერთი—ფუფუნებისათვის, მეორე ლუკმა-პურის შოვნისათვის. თავ. ესტატე მარუშაძეც გადასახლდა ქალაქში. მამულის მოვლა-კი ჩააბარა გლეხს სოსიკას, რომელიც, როგორც მარუშაძეები სიამოვნებით აღნიშნავდნენ ხოლმე, „ღორის ტილივით დაძვრებოდა". სოსიკამ დიდი უნარი გამოიჩინა. დიდი კაცი გახდა. „სამოურაოში რო წავიდოდა,—აგვიწერს სოფრომ მგალობლიშვილი,—შორი-ახლო მისდევდა ბიჭი ცხენითა; თითონაც, რასაკვირველია, სანაქებო ცხენზე იჯდა. იმ დროს სოსიკა ბატონიც იყო, პატრონიც და ერთიც კიდევ ზედ-მეტი რაღაცა. ეხლა თავადი ესტატეც და ხალხიც სოსიკას აღარ ეძახდნენ, ეხლა ის ყველასათვის „იოსებ პაატიჩი" გახდა, და ვაი იმის დედას, ვისაც სოფელში წამოსცდებოდა „სოსიკა", სულ მათრახით გააჭრელებდა ხოლმე და თან დააყოლებდა: „შე მამაძაღლო, მე შენი რა სოსიკა ვარ, ჰა!!"[3].

---

[1]) ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—დედა მაია—გვ 8-9.
[2]) ნ ი კ ო ლ ო მ ო ს ო ს ი—ყოველი მხრიდან—გვ. 343.
[3]) ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—ჯორ-ზაქარა—გვ. 152, ტ. II.

რამ აიყვანა სოსიკა, ერთს დროს „ღორის ტილივით“ მძრომელი, ასეთ სიმაღლეზე? რამ გაასუქა ის ასე? რატომ მოექცა ყველა გლეხებს თავს? რით დაიმსახურა თავადი ესტატესი და მისი კნეინას ასეთი პატივისცემა და ნდობა? რასაკვირველია, ყველა ეს შედეგი იყო სოსიკას „ერთგულებისა“. „სოსიკაც,—გვიხსნის ავტორი,—აფასებდა ბატონის სიყვარულსა: ტყავიდან ძვრებოდა, ოღონდ კი ბატონისათვის ესიამოვნებინა, შეემატნა რამე იმის ქონებისათვის, გაემდიდრებინა იმისი სახლი. რა კი თითონაც გემო გაიღო სიმდიდრისა, თითონაც ფეხი ჩადგა ბატონობაში, რაკი ისე დააყენა ყველგან საქმე, რომ „ბატონ მოურავს ვახლავართ, ბატონი-მოურავი ადღეგრძელა ღმერთმა“—სულ ეს ესმოდა გლეხებისაგან, უფრო და უფრო უმატა მხნეობას: გლეხების ყვლეფასა. შებრალება და შეწყნარება ვისიმე, ტკბილად და ძმურად მოპყრობა, ქვრივ-ობლის გაკითხვა იმის დროშაზე არ ეწერა. მხოლოდ, როგორც ზემოთაც ვთქვით, თითო სოფელში კაცი ჰყავდა გააზატებული, ნათლი-მამად მოკიდებული, რომ მყუდრო ბინა ჰქონიყო. ეს ნათლიმამაც იმ სოფელში ერთ რამეს ნიშნავდა: სოფელი ეფერებოდა და ხანდახან ხიდად ხმარობდა მოურავთან საქმის გასაკეთებლად“ [1]. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ნათლიმამებთან „მოფერება“ და მათი „ხიდად“ გამოყენება სოფელს იაფად არ დაუჯდებოდა. თუ სოსიკას „თავად ესტატეზე ნაკლები შეძლება არა ჰქონდა“, სოსიკას ნათლი-მამებიც, ალბად, კარგად მოითბობდნენ ხელს გლეხის ცხოვრების ცეცხლზე და ისინიც კარგად გასუქდებოდნენ. წყალოკი მხოლოდ ერთი იყო—ისედაც გაღატაკებული, შეევიწროებული გლეხ-კაცის ცხოვრება.

მოურავის ასეთსავე გაიძვერა ტიპს არტემას სახით შ ა ქ რ ო ც გვაძლევს მოთხრობაში „ბ ე დ ნ ი ე რ ი კ უ ნ ჭ უ ლ ი“. „შენთან რა დავმალო,—მოუყვება არტემა თავის თავგადასავალს ავტორს,—და მე, ეს ოცი წელია, რაც ყარაბაღიდგან მოველ კუნჭულში. როგორც გინდა სთქვი, ნიფხავი არ მეცო! ერთი ყისინის ჩოხაში გახვეული, რვა ხარი მოვიყვანე გასასყიდათ. ს. აცხაში დავყიდე და ილბალიც იქ ვიპოვე... მე ისეთი გონება და შნო მაქვს, რომ ყველგან ბედს ვიშოვიდი. აცხაში ბედზე მიველ ცხონებულ თავად თალიაძესთან... თავი დაბლა დავუკარ, ცოტა—ბევრი, დღეს—ხვალ, კნეინასაც და კნიაზსაც ცოტა გულში ჩაუვარდი; ან რატომ არ ჩაუვარდებოდი?—

---

[1]) ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—ჯორ-ზაქარა—გვ. 153: ტ. II.

როცა დამიძახებდნენ, სალდათივით გამოვიპიმებოდი ხოლმე და, თუ დამსაქმებდნენ, თავ-გადაგლეჯილი გავრბოდი. რბილი ენა, თანაც მორცხობა, სიამოვნება—ეს სულ ისე მივმართე, რომ კნეინა იტყოდა ხოლმე: ,,ეგ ჩვენი ოჯახიდან მოსაშორებელი არ არისო". ,,ფეი, რა მომაშორებინებს, ეაეო", ეტყოდა კნიაზიც! მერე მე ყმების, ბიჭების და მოურავების ბეზღება დავიწყე და ისე მოვიგე ბატონის გული, რომ მოურაობა მე დამრჩა. მოურაობაში კარგი გროშები ვიშოვე. ეს სოფელიც კარგად გავიცან—ბევრი დავინათლიავე და ერთ მშვენიერ დღეს კნიაზს ეუთხარი: დამითხოვე სამსახურიდან, ბატონო, მე დუქანი მემარჯვება და აცხაში დუქანს გავმართავ.—ოღონდ კაი დუქანი გამართე, თართის დოშები, ხიზილალა მოიტა და მე თითონ მოგიმართამ ხელსაო, მიპასუხა კნიაზმა... ნელნელა, ნელ-ნელა და ეხლა ისე მომიმართა ღმერთმა ხელი, რომ მთელი უეზდის ვენახები, მიწები მე მაქვს დაგირავებული"[1]. აი ჩვეულებრივი გზა, რომელსაც სთელავდნენ ეს ,,სოფლის წურბელები".

მოურავებს გარდა სოფელს აწუხებენ, მის ზურგზე საზრდოობენ, როგორც მძლავრი ავი პარაზიტები,—ცბიერობით, უსინიდისობით, უპატიოსნო საქმეებით გასუქებულნი. მათ ხელში უპირავთ მთელი სოფელი, რადგანაც ისინი მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან და უდიერად სარგებლობენ გლეხ-კაცის უილაჯო და უპატრონო მდგომარეობით. მათთან ბრძოლა სხვას, ჩვეულებრივ გლეხკაცს ცალკე და ერთადაც-კი არ შეუძლიათ. ასეთი ,,წურბელელების" ტიპს მშვენიერად გვიხატავს სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ,,ღამის მეხრე ცეცოში', ფიდუა ეშმაკურაშვილის და ისაკა ბღუნძელაშვილის სახით. ისაკა ბღუნძელაშვილი შეუჩნდა ბერძენ ბერებს, რომელნიც წინად ძაღლის-ხევას მფლობელობდნენ. დაიმსახურა მათი ნდობა და გლეხთა ,,ნაგლეჯ-ნაცარცვით" მშვენივრად მოაწყო თავისი ოჯახი. ,,სახლკარი წამოიპიმა, კურატივით გასუქდა. შვილებს მამულ-ადგილი დაუნაწილა". ისაკას თავისი მოხერხებით და ცბიერებით სოფლის ზოგიერთა ,,ავყია" ხალხი გადაბირებული ჰყავს. მათ ის სიკეთეს ჰპირდება ტ დანარჩენებისათვის სრულებითაც არა ზრუნავს. პირიქით, ,,ხო ჩვენი კაცია,—სამართლიანად ეუბნება გაბრაზებული ძაღლის-ხეველ გლეხკაცობას ცეცო გოდერძიშვილი,—ჩვენი სოფლის შვილია, ჩვენი მეზობელიც არი, მაგრამ ჩვენი სისხლის მწოველი კია, ჩვენი სისხლით გასუქებული კია!" ამიტომ ხმა, რომ ძაღლის-ხევა ისევ ბერძენ ბერებს დაუბრუნდებათ. გლეხობას

[1]) შ ა ქ რ ო—ბედნიერი კუნჭული—,,იმედი" 1881 წ. № IX, გვ. 13-14.

მწუხარებით აფიქრებს, შიშის ზარსა სცემს. ეშინიათ, ისაკა ბლუნძელაშვილი კიდევ არ გახდეს სოფლის უდიერი ბატონიო. თავისუფლების მოტრფიალე ახალგაზრდა გლეხ-კაცი ცეცო ცდილობს შეაგნებინოს სოფელს ისაკას მავნებლობა და ურჩევს მის წინააღმდეგ წავიდეს საერთო ყრილობაზე.

მაგრამ სანამ ბერძენი ბერები მოვიდოდნენ, მანამდისაც აქვს სოფელს საფიქრებელი, „ე უპრავლიაუჩი“ უკირებთ მათ საქმეს.

— „ის არ გვიკირებს,—უპასუხებს მონობასთან შეურიგებელი ცეცო,—თუ მკითხამ, ჩვენივე მეზობელი გვიკირვებს საქმეს, ჩვენი! აძაღლებული ფიდუა ეშმაკურაშვილი ჩვენის ხელით ანწუხზეა ასაგები, ანწუხზე!.. უპრავლიაუჩმა რა იცის, ვის რამდენი დღისა აქვს ნახნავი, დღიური რამოდენაა, რა ალაგას და რა მიწას რა ფასი ადევს; სულ ჩვენებით ვიღუპებით, სულ და სულ! ხიდად ეგენი ედებიან და იმასაც რა ენაღვლება“ [1].

აი ასეთი იყო ჩვენი გლეხკაცის მდგომარეობა: „საითაც გაიქცეოდა, იქით წაიქცეოდა“, ვისაც მიმართავდა, ისა სჩაგრავდა, იბრიყვებდა, არბევდა, მის უბედურებაზე თავის ბედნიერებასა ჰქმნიდა.

7.

ცხოვრების უკუღმა ტრიალმა, უსამართლობამ გლეხ-კაცი იმდენად შეაძრწუნა და გული გაუტეხა, რომ ის უნდობლად და ურწმუნოდ გადააქცია. მას არა სწამს, რომ მისთვის ვინმე იზრუნებს, რომ ვისაც კი შეუძლიან, მას არა სცარცვავდეს, არ ავიწროებდეს, არა სთელავდეს მის პიროვნებას. გლეხ-კაცის ასეთს განცდას ნ ი კ ო ლ ო მ ო ‍ ‍ ‍

შეიმოსოს: მოკეთეს სიყვარულით მოეხვიოს და მტერს ბოროტ გულში გაალმასებული მახვილი ჩასცეს“ [1].

ასეთი მიმართვა გლეხისადმი, ასეთი შეხედულება და მისწრაფება წმინდა ხალხოსნურია. ასეთი ეკლიანი გზა და ბედიც ხომ ხალხოსნურია, როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიც.

მიუხედავად ასეთი ძმური და ნუგეშიანი მიმართვისა, ავადმყოფი გლეხი მაინც „თვალებ-დაჭყეტილი, გაშტერებული შესცქეროდა მოლაპარაკეს და, როდესაც ის გაჩუმდა, მან კიდევ უკან დაიწია, ცოტა გაიღიმა და დიცინვით წამოსთქვა:—„ჰეი, ჰეი! როგორ გაგილესია ეგ ენა და! ღმერთო შენი თავდები, შენ ან ადუკატი იქნები, ან მწერალი“...[2] გლეხი გადაბრუნდა მეორე გვერდზე, პირი კედლისკენ მიიქცია, და ვეღარ გადმოაბრუნეს აქეთ, ისე მაგრად მიეკრა კედელს. დაღონებულმა მგზავრებმა კარგად დაინახეს, რომ გლეხს იოტის ოდენა ნდობა არა ჰქონდა მათდამი, და განაგრძეს გზა საშველი გულითა და ხელით გაშლილი.

მაგრამ ასეთივე უნდობლობით ჰხვდება ხოლერით დაზარალებული ნამტირალევი მოხუცი დედაკაცი ჩვენს ხალხის ბედის ახალგაზრდა გამზიარებელთ. მათ მოისურვეს ხოლერით დაზარალებულ სოფლის უპირველესად უსუფთაობისაგან გაწმენდა და ნამტირალევ დედაბერს ჰკითხეს, სად არიან კაცები, რათა მიეშველნენ სოფლის დასუფთავებაში, რადგანაც „აი ამ წუნწუხებმა,—უხსნის გიგო ღრუბელაშვილი,—აი საშინელმა უსუფთაობამ იცის ხოლერის გაჩენა“-ო. ამის გაგონებაზე „დედაბერმა,—გადმოგვცემს ავტორი,—გაოცებით შემოხედა, მწარედ გაიღიმა და უთხრა:

— „თუ ამისგან არის, მაშ შარშან და იმაზე წინაც რატომ არ იყო ხოლერა. ეს უსუფთაობა ხომ მაშინაც აქ იყო.

ამაზე გიგოს რაღაც უნდა ეთქვა,—განმარტავს ავტორი,—მაგრამ დედა-კაცმა აღარ დააცალა, გატრიალდა და უკანიდან ბუზღუნით მოაძახა:

— „ნეტა ერთი რას დაეხეტებით, მასხარობთ. ამ მეორეთ მოსვლის დროს ვისა სცალიან თქვენთვისა...“[3]

აი ასეთი უმადურობა და უნდობლობა დახვდათ ისედაც ეკლიან გზაზე ხალხოსნებს. ჩვენი ცხოვრების სინამდვილის ცოდნამ არა ერთხელ აღანიშნინა ეს გარემოება ჩვენს მეორე საუკეთესო ხალხოსან-მწერალს სოფრომ მგალობლიშვილს. „ათას რვაას სამოცდა

---

[1]) ნიკო ლ ო მ ო უ რ ი—გიგო ღრუბელაშვილი—გვ. 149.
[2]) იქვე—გვ. 150.
[3]) იქვე—გვ. 148.

ათსა და ოთხმოციან წლებში—სოფელ-სოფელ გამოჩნდებოდნენ ხოლმე თითო-ოროლა „ერთობის“ მქადაგებელნი; სთესავდნენ „თესლსა კეთილსა“, თესლსა „ერთობისა“. ხალხის გული სალი კლდესავით შეხვდა ამ ერთობის მთესველებსა, არ იკარებდა თვისთა მოყვასთა სიტყვებსა და სდევნიდა კიდეცა“ [1]. სოფ. მგალობლიშვილი ასეთსავე აზრს გამოათქმევინებს გლეხებს ყრილობაზე მოთხრობაში „წითელი სარჩული“.

აი ასეთია ჩვენი გლეხის ცხოვრება სინამდვილეში და სინამდვილით და ხშირად ობიექტური სისწორით ასახული ჩვენს ლიტერატურაში. აი ხალხის სენთაგან მოქსოვილი მძიპე, თავზარ-დამცემი ქსელი, გაუვალი წყვდიადი, ნისლივით რომ გადაჰფარებოდა ჩვენს ცხოვრებას და შიგ არც მზის შუქს და არც მაცოცხლებელ სიოს არ უშვებდა. ხალხი, გაუვალ ჩიხში მომწყვდეული, უადამიანო პირობებში წყდებოდა, იჟლიტებოდა. მისი კვნესა და გმინვა გამუდმებით ესმოდა ყველას, ვინცკი ხალხის ცხოვრებასთან მისვლას მოისურვებდა. აკი ნიკო ლომოურის გრიგოლ ღრუბელაშვილმა უმალ იგრძნო, დაინახა და განიცადა ხალხის უმწეო მდგომარეობა!

ბუნებრივია და გასაგები გიგოს სულიერი განცდა, გამოწვეული ჩვენი სოფლის ნამდვილი და შესაზარავი სახის დანახვით. „შავი ფიქრებით მოცული მისი გონება,—გადმოგვცემს ავტორი,—მხოლოდ ერთს საგანს ჩასციებოდა, მხოლოდ ერთს საგანს ჰხედავდა. მას თვალწინ ედგა დიდი უზარ-მაზარი საფლავი, რომელსაც ყოველის მხრიდან შემოხვეოდნენ სხვადასხვა ხორცშესხმული ბოროტებანი: უსამართლობა, მტარვალობა, ძარცვა-გლეჯა. ამათის ბრძანებით ათასობით მოჰყავდათ დამხდარ-დაყვითლებული, ჯაფისაგან წელში გამწყდარი ხალხი, შეუბრალებლათ ჰყრიდნენ ამ საფლავში და საზიზღარი სიცილ-ხარხარით ცოცხლებსავე აყრიდნენ ზემოდან მიწასა. ირგვლივ ისმოდა საშინელი კვნესა, გმინვა, წყევლა, შეჩვენება. და ყოველივე ეს გახურებული შამფურებივით უვლიდა მთელს ტანში გიგო ღრუბელაშვილსა, უვლიდა და თანაც თვალებიდან მდუღარე ცრემლის ნაკადულები გადმოსდიოდა“ [2].

და ეს ცრემლი გიგო ღრუბელაშვილისა—ცრემლი სიყვარულისა, თანაგრძნობისა—დაჩაგრულ და დაბეჩავებულ ხალხისადმი, ხო-

---

1) სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—ჯორ-ზაქარა ტ., II გვ. 154.

2) ნიკო ლ ო მ ო ურ ი,—გიგო ღრუბელაშვილი—გვ. 152-153.

ლო სიძულვილისა და აღშფოთებისა მჩაგვრელთადმი,—დამახასიათებელი იყო ხალხის მოკეთე ხალხოსნებისათვის.

აი ამ ღრუბელაშვილებმა მეტად მტკივნეულად შეიგნეს და განიცადეს ამ ჩიხიდან ხალხის გამოყვანის აუცილებლობა. მათ წინაშე მთელი სიმწვავით და სიცხადით წამოდგა საკითხი: რ ა გ ზ ი თ უ ნ დ ა მ ო ხ დ ე ს ხ ა ლ ხ ი ს ა თ ვ ი ს ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს ქ ვ ე ყ ნ ი ს შ ე ნ ე ბ ა? რ ა გ ზ ი თ დ ა რ ო გ ო რ უ ნ დ ა შ ე ვ ი დ ე ს ხ ა ლ ხ ი ძ მ ო ბ ა-ე რ თ ო ბ ა-თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა-თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს ს ა მ ე ფ ო შ ი?

8.

ხალხოსნების დევიზი იყო, როგორც ეს მკაფიოდ გამოხატა გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ მ ა, „სვინიდისიერი და ყოველმხრივი შესწავლა ხალხის ეკონომიური ცხოვრების ყოველ მხარეთა. მხოლოდ ამ გვარ შესწავლაზე დამყარებით შეიძლება დაასკვნა ესა თუ ის დედა-აზრი, გამოიკვლიო ხელმძღვანელი პრინციპი და გზის მაჩვენებელი ნათელი ჟეშმარიტი, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქნება მოიპოვოს კაცმა ზომანი და ღონისძიებანი საჭიროებათა დასაკმაყოფალებლად, და მაშვრალ და ტანჯულ მშრომელთა გაჭირვების და უილაჯობის ცრემლების მოსაწმენდათ“ [1].

მართლაც, ხალხოსნები შეეცადნენ მისულიყვნენ ხალხის ცხოვრებასთან ახლო. ასახეს მისი ცხოვრების სენნი, დამაბრკოლებელი მიზეზები და გარემოებანი. სურათი, როგორც დავინახეთ, შემაძრწუნებელი აღმოჩნდა. მაგრამ ამასთან ერთად ხალხის ცხოვრებასთან ახლო მისულმა ხალხოსნებმა, ხალხის კულტით, მ ი ს ი ძ ა ლ ი ს ა დ ა ნ ი ჭ ი ს უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ი თ გ ა ტ ა ც ე ბ უ ლ ებ მ ა, ა ღ მ ო ა ჩ ი ნ ე ს გ ლ ე ხ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი ა ც ლ ა ფ თ ა ნ ე რ თ ა ნ ა დ მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ც.

„თუმცა საზარელია ჩვენი გლეხის ცხოვრების სურათი,—სწერს სტ. ჭრელაშვილი,—მაგრამ მისი ზნეობითი ძალა მეტად გამოსაჩენი და დიდია. გლეხის პატიოსნება, ნამუსი, სიტყვაში სიმაგრე, მოწყალეობა, სიყვარული, შებრალება და სხვა ზნეობითი ღირსებანი ბევრით მაღლა დგანან თვითონ ჩვენი განათლებული საზოგადოების თვისებებთან. ამას ურწმუნებენ „შაქროებიც, გურგენიძეებიც, მოჩხუბარიძეებიც“ [2].

---

[1]) გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი—წერილი ჩვენი საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ, —„ივერია“—1882 წ. № IX—გვ. 101-102.

[2]) სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი—ახალგაზრდურ მოხუცებულობაზედ—„იმედი, 1882 წ. № 6. გვ. 94.

და მართლაც, ხალხოსნებმა თავისებური გატაცებით და ხალ-ხის ცხოვრების საფუძვლების უპირატესობის შეგნებით მხატვრულ შემოქმედებაში განასახიერეს ჩვენი ხალხის ზნეობითი ძალა, მათი ცხოვრების და ჩვეულებათა საზოგადოებრივი ხასიათი ისე, როგორც რუსმა „ნაროდნიკებმა“ რუსი ხალხის ცხოვრებაში იპოვეს თემური წყობილება (община), რომელიც, მათი შეხედულებით, ხელს უწყობ-და გლეხთა შორის ურთი-ერთ დახმარებას, ადამიანურ და გულ-შემატკივარ დამოკიდებულებას, და ეს ასახეს, რათა გლეხ-კაცის ცხოვრების სამართლიანი და საღი საფუძვლები დაენახვებინათ.

ჩვენი ხალხოსანი მწერლების უმრავლესმა ნაწილმაც გადმოიღო ეს მიმართულება და გატაცებით დაიწყო ამოკრეფა ხალხის ცხოვ-რების წიაღიდან ასეთი მისაბაძავი და სასარგებლო ჩვეულებებისა, რომელთაც შეინახეს გლეხი.

მოძმისადმი შებრალება, მოწყალეობა და სიყვარული, მიუხედა-ვად არა-ხელსაყრელი პირობებისა, ძალუმად ანთებს და აღელვებს გლეხის გულს. გლეხი წელებზე ფეხს იდგამს, არაფერი აქვს, უწყა-ლოდ ღარიბია, შრომა თავს ზევით არ აღებინებს, მაგრამ, თუ ჰხე-დავს მოძმეს ღარიბს, ქვრივ-ობოლს, დაჩაგრულს,—ის გულცივად არ ეკიდება მათს მდგომარეობას. დავრდომილს და წაქცეულს წიხლს აღარ დაჰკრავს, ცდილობს ძმური დახმარების ხელი გაუწოდოს. მში-ერისა ტ დაჩაგრულის მას, თვით მშიერსა ტ დაჩაგრულს, უფრო ესმის.

რაფ. ერისთავი ხალხის ასეთს საზოგადოებრივ-სასარგებლო თვისებას ჰხედავს მამითადის ჩვეულებაში. დიდის ვაი-ვაგლახით, წვითა და დაგვით თინამ გამოზარდა შვილი. გააყოლა გუთანზე. ერთი დღის მიწა მოუხნეს. სათესლეც სოფელმა მისცა. დათესა თი-ნამ, „ზღვა გასკდა“, ყანები შემოვიდა. ყველა სამუშაოდ ემზადება. საწყალი თინა კი უსახსროა. მუშა არა ჰყავს. ყანა, ლამის არის, გაუფუჭდეს. ჩამოუარა თინამ სოფელს, დაუძახა მამითადს. მიუხედა-ვათ იმისა, რომ გლეხისათვის ზაფხულის განმავლობაში ყოველი წუ-თი ძვირფასია, ის აჩქარებს თავის მოსავლის აკრებას, რომ მუხთალმა ბუნებამ არ გაუფუჭოს და მშიერი არ დასტოვოს. მაინც თინას:

„დილა-ადრიან მოადგნენ კარზედ რჩეული ბიჭები,
„ჰოოპუნათი“, კიჟინით მოუდგნენ ქვრივის ყანასა,—
არ შეეხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა“ [1].

ხალხის ურთიერთი დახმარება, ადამიანის თავისუფალი და მთლიანი პიროვნების შემნახველი პირობები დარჩენილია ხალხის

[1]) რაფ. ერისთავი—თინიას მამითადი—გვ. 175.

თემურ წყობილებაში. თემური წყობილება, საუკუნოებით შენახული და გამომუშავებული ჩვეულებებით, საღი ნიადაგია საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვევათა გაფართოება-განვითარებისათვის, ხალხის ბუნების გაფაქიზებისათვის, ადამიანური სახის შემუშავებისა და შენარჩუნებისათვის. ამიტომ თემური წყობილების კულტი მძლავრად მოსჩანს რუსი-ხალხოსანი მწერლების შემოქმედებაში. ამასვე ვხედავთ ჩვენს ლიტერატურაშიაც.

თემური წყობილების სიფაქიზე, სიმძლავრე, უპირატესობა მთელი სიმძლავრით იშლება ყაზბეგის შემოქმედებაში [1]. ოდნავადაც რომ გადავხედოთ მის შემოქმედებას, აშკარად ვიგრძნობთ და მკვეთრადაც დავინახავთ ავტორის გატაცებას, მოწიწებითი პატივისცემას ხალხის მდიდარი, უშუალო ბუნებისა და ნიჭისადმი, მის ცხოვრების ქურაში გამოსული ზნე-ჩვეულებისადმი. ამ ჩვეულებებს რკინის კანონის ძალა მოუპოვებიათ ხალხის შეგნებაში, ძველსა და რბილში შესისხლხორცებია მათ. ამ ჩვეულებებით სცხოვრობს ხალხი, მათს წინააღმდეგ ვერავინ წავა.

ყაზბეგის რომელი ნაწარმოებიც უნდა ავიღოთ—„ელგუჯა", „მამის მკვლელი", „ხევის ბერი გოჩა", „მოძღვარი", აშკარად დავინახავთ ავტორის ხალხოსნურ მსოფლ-მხედველობას, მის მიერ ხალხის ზნე-ჩვეულებათა ღრმა, ზედმიწევნითს ცოდნასა და გაგებას. ყაზბეგის შემოქმედებაში მკაფიოდ გვესმის ავტორის ძლიერი სურვილი, მისი უაღრესად წრფელი რწმენა:—ხალხმა თავის ბედნიერებისათვის არ უნდა დაჰკარგოს ეს ჩვეულებანი (რასაკვირველია, რომელნიც საზოგადოებრიობას ანვითარებს და აღვივებს ხალხში), უნდა შეინახოს, როგორც უძვირფასესი, ისტორიით მიღებული განძი და მათზე ააგოს თავისი მომავალი ადამიანური ცხოვრება. „გახსოვდეთ, ხალხნო,—მიჰმართავს ხალხს სიმონ ჩოფიკაშვილი (ყოველ ეპვს გარეშეა, თვით ავტორია),—რომ თემის სიტყვა ვერ გატყდება, ვერა!.. თემის სიტყვას ყველანი ისე უნდა დამორჩილდნენ, როგორც ღვთის სიტყვას. „თემობა არის ერთობა, ერთად ჭირსაც, ლხინსაც გაახარებთ" [2]. ეს გახლავთ ქადაგება იმ „ობშჩინის" სასარგებლოდ, რომლის კულტიც დიდის გატაცებით წამოყენებული იყო რუს „ნაროდნიკების" მიერ

---

1) აქ მხედველობაში გვაქვს ის ჯგუფი ნაწარმოებთა, რომელსაც დიმიტრი ყაზბეგს ვაკუთნებთ: „ელგუჯა" „მამის მკვლელი", „მოძღვარი" „ელიკო", „ხევის ბერი გოჩა" და სხვა.

2) ყაზბეგი—ელგუჯა, გვ. 108.

და რომლის ერთ-ერთ საუკეთესო გამომხატველად ჩვენს მწერლობაში და საზოგადოებრივის აზრის ისტორიაში უნდა ჩაითვალოს ყაზბეგი [1].

ავიღოთ პატარა ნაწყვეტი „ხევის ბერის გოჩა"-დან. ეს ნაწარმოები ულამაზესი და ქეშმარიტი ეპოპეიაა ჩვენი მთიელთა ცხოვრებისა. ავტორი მშვენიერად, წარმტაცი, ცოცხალი ფერადებით გადაშლის მკითხველის თვალწინ ჩვენი მთის ხალხთა ცხოვრებას: ამ პირობებში აღმოცენებულ და განვითარებულს მის შორსმჭვრეტავს, მახვილს გონებას, მის გულს თავისი მდიდარი და მომხიბლავის თვისებებით, ფაქიზი, უანგარო, უზადო გრძნობით, სამაგალითო ვაჟკაცობით და და დარბაისლური, ბრძნული ზნე-ჩვეულებებით:

„მოხუცმა შეანძრია დროშა და ამ საერთო სიჩუმეში გაისმა პატარა ზარების წკრიალი, რომელმაც შეაკრთო მუხლ-მოყრილი ხალხი და ძარღვებში ერუანტელსავით დაურბინა.

—„ამწყალობენენ, ამწყალობენენ!—გოჩა ამწყალობებს!—ჩურჩულმა ხალხში ნიავსავით გაირბინა და შესწყდა.

„გოჩამ კიდევ შეანძრია დროშა. კვლავ გააწკრიალა ზარები და პირჯვარის გადაწერით მოჰყვა წყნარად, ტკბილად და დინჯათ ხალხის დალოცვას:..

„როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა, ხალხს გამოუცხადა ნუგზარ ერისთავის სურვილი.

„აქამდის მშვიდად და წყნარად მყოფი-ხალხი ერთბაშად შეინძრა, ერთბაშად აღელდა და უკმაყოფილობის გამო კარგახან ბორგავდა.

—„გაჩუმდით!—რამდენჯერმე გაიმეორა ხმა-მაღლა გოჩამ და ცოტა ხანს შემდეგ, დაიწყო:—ღმერთი დიდია და გულუხვი!... რაი უნდა ჩვენგან ნუგზარაის, რაისთვის გვეჭრება ოჯახში?... ჩვენც ვიცნობთ ქართველთა მეფეს ტ დღემც გაშავებია იმ მოხევეს, უკულმართადამც მოჰქცევია იმ ქართველის დედას წუთი, რომელმაც მეფის გაპირვებაში შვილი შეიბრალოს, ხალხისათვის სახლიც, ნაშობიც არ გასწიროს!... ვემსახურებით ჩვენთა მოძმეთა და აგრემც უნდა იყოს... მაშ ძმა რიისია, თუ გაპირვების დღესაც ძმას არ მიეშველების?...

—„მაგრამ ნუგზარაი კი თავს იგდებს და, დღეს გაძლიერებულს, გაუმაძღარი თვალი ჩვენკენ მოუქცევია, ორი მეზობელი ერი ერთ-ურთს უნდა წაჰკიდოს, მოხევე და მთიელი ერთ-ურთს შეახო-

[1]) დაწვრილებით ამ საკითხის გაცნობა შეიძლება ჩვენს გამოკვლევაში: „ალ. ყაზბეგის ორიგინალობა და დიმ. ყაზბეგი". გვ. 106—162.

ცოს და თავად კი გაბატონდეს... რას იტყვით, ჯამაათნო?... ნუგზართან ბრძოლა ადვილი არაა, მთიელთაც ძმობა დავიწყებიათ და ჩვენზე გამოლაშქრებას აპირებენ... დავმორჩილდეთ?

„დამშვიდებული ხალხი ისევ შეირყა და აღელდა; გრგვინვასავით გუგუნი ხალხისა გაერთებული იყო და ჰაერს მხოლოდ ერთი მედგარი სიტყვა არყევდა.

—„არა, არა, არა!—განუწყვეტლივ ისმოდა ხალხში.

„ერთბაშად მინდორზე ხალხის წინ ერთი ყმაწვილი ბიკი გამოვიდა, რომელმაც ხელით ხალხს გაჩუმება ანიშნა და დაიწყო.

—„გოჩაუ! რაისთვის გვეკითხები მაგას!... ხევმა ძმობა იცის და ღთის მადლმა მოკეთედ მყოფს მეზობლისთვის ჩვენგან ყველა თავს გადასდებს... მოკვდეს ის კაცი, ვინც მეზობელს ღალატად შეადგების!... მაგრამ ის მოხევეც დაიმარხოს, ვინც ყმად გახდომა ისურვოს!... ნუგზარაი ცხოგან გახელებულა და ჰგონია ჩვენი დამორჩილებაც ადვილი იქნების. მთიელთაც დავიწყებიათ ჩვენი კაცობა და პურ-მარილი: ჩვენზედ მოდიან... ერთხელ დაბადებულებს, ერთხელ გვინდის სიკვდილი... გავწყდეთ, ხალხო, და ცხო ხალხს კი ნუ ვიბატონებთ.

—„გავწყდეთ, გავწყდეთ!—იყო ამ სიტყვების საერთო პასუხი. მოლაპარაკეს მიუახლოვდა ვიღაცა მოხუცი, დაეყრდო ჯოხზედ და მიუბრუნდა:

—„ონისევ! ღთის მადლმა, კარგი მამის შვილი ხარ და თავადაც კარგი ვაჟობა გეტყობის... ჰაი, ჰაი, რომ ვაჟკაცს შერცხვენილს სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია, გაწბილებას—ცოცხლივ მიწაში ჩამარხვა... რაიც სთქვი, ღთის მადლმა, კარგადა სთქვი და აგრეც უნდა ყოფილიყო!... მაგრამ მთიელნი ჩვენი ძმები არიან, იმათ მაცდურად შესდგომია ნუგზარაი. ჯერ ვეცადნეთ მათთან მორიგებას და ოსების კი რაი მორიდება გვინდა...

„ამ სიტყვებზე ხალხი ორ დასად გაიყო. ერთი ითხოვდა პირდაპირ შებმას განურჩევლად, ვინც უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგე, მეორეს კი მოძმედ შეცდომისათვის მორიგების უცდელად შებმა არ უნდოდა. ხალხი კარგა ხანს მღელვარებდა და არავითარ გადაწვეტილებას არ ადგებოდა. გაისმა ისევ ზარების წკრიალი, რომელმაც ხალხში ისევ სიჩუმე ჩამოაგდო.

—„ხალხო!—დაიწყო გოჩამ,—გვიანობისა აღარაა, მტერი კარსაა. გამოვიდნენ თემის თავები... მტერსა და მოყვარეს დახვედრა უნდა... თემის კაცი!—დაიბარა იმან.

„ამ სიტყვების შემდეგ ხალხიდგან გამოვიდნენ ჯგუფ-ჯგუფად ამორჩეულები და გასწიეს წმიდის სამების სამეოში, სადაც ხევის ბერი გოჩას თაოსნობით ხევის ბუდი უნდა გადაწყვეტილიყო.

„მოთავეთ დიდხანს ლაპარაკი არ დასჭირდათ, რადგანაც ყველას წინადვე ან სიკვდილი, ან თავისუფლება ჰქონდა გადაწყვეტილი. იქნენ ამორჩეულნი ჯარის მოთავენი, ბელადნი, ქამანდარნი და შუა-კაცნი, რომელნიც მთიულებთან მოსალაპარაკებლად უნდა გაეგზავნათ.

„ყველაზე უფროსობა და განკარგულების მიცემა კი, უფლებისამებრ, გოჩამ მიიღო თავის თავზედ.

„ამ ჩვეულების მოლაპარაკებისა და გადაწყვეტის შემდეგ, რომელშიც ხალხის სურვილი ტ წადილი გამოითქმოდა, გოჩამ შუაკაცები მთიულეთს გაამგზავრა ტ ყრილობა კი დაითხოვა, რათა სამის დღის განმავლობაში მომზადებულიყვნენ, მოწყობილიყვნენ და ქუდზე კაცი სანის მინდორზე გამოსულიყო, რადგანაც მტერს ამ ადგილებში უპირებდენ გზის შეკვრას“.[1]

სწორედ ხალხოსნები შეეცადნენ ახლო მისულიყვნენ ხალხის საიდუმლო გულის ცემასთან, ასეთი სიყვარულით, ცოდნით, გაგებით გადაეხსნათ ხალხის მდიდარი გული, ამოეკრიფათ და ამოეკითხათ ასეთის სიყვარულით და სიცხადით მისი გულისნადები და, რაც ვერ მოახერხეს პუბლიცისტური სტატიების შემწეობით, ასე მომხიბლავად განესახიერებინათ მხატვრულ სახეებში.

მოვიგონოთ კიდევ შემდეგი სცენა „ხევის ბერი გოჩა“-დან:

როდესაც გოჩა მოულოდნელად გაიგებს, რომ მის შვილს, პირადი ვნებათა-ღელვით გატაცებულს, გამოეპარა მტერი, რომელმაც მათ მხრიდან მრავალი მსხვერპლი შეიწირა, ზარდაცემული მოხუცი მთლად კანკალმა აიტანა ტ კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყო. ბოლოს ძალზედ ამოიხვნეშა, მოისვა შუბლზედ ხელი და ყვედრებით წარმოსთქვა:

—„მაშ ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულებულო, დედ-მამის საფლავიდან ამომგდებო!... რა სასჯელი არის, რომ შენ გადაგიწყვიტოთ...—ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი მსაჯულებს მიუბრუნდა:—მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს; გადაწყვიტე, თემო!—კარგა მღელვარების და ჩოჩქოლის შემდეგ თემის თავნი მიუახლოვდნენ გოჩას და წყნარად წარმოსთქვეს:

[1]) ყ ა ზ ბ ე გ ი—ხევის ბერი გოჩა—გვ. 871—873.

—„გოჩაუ! შენ შვილს ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმაწვილ-კაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია...

—„მით უფრო მეტი საბუთია, რომ მკაცრად გადახდეს... კაცს ულვაში ნამუსისათვის გამოუვა... ონისე ეხლავე მკვდარია... მაგის სასჯელი—ცეცხლში დაწვა!

—„გოჩაუ,—სცადეს მოხუცის შეყენება, მაგრამ პირგამეხებული ხევის ბერი ცეცხლებსა ჰყრიდა თვალთაგან.

—„უნდა მოკვდეს, მოკვდეს შეუბრალებლად... და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ სამართლიანად მოიქცეთ... მე მიყურეთ... — მოხუცმა გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შვილისაკენ და შესძახა:

—„მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!

„ამ სიტყვებთან ერთად იელვა ხანჯალმა და ონისემ მიწაზედ ფართხალი დაიწყო; მოხუცის მახვილს შვილისათვის გული ორად გაეპო“.[1]

ვის შეეძლო ასე ღრმად და მწვავედ განეცადნა, გაეგო გოჩას ეს სულიერი განცდა და ამ განცდისათვის მიეცა ისეთი ცოცხალი, მკითხველის მთელი არსების შემბოჭავი ხატება, როგორიც „ხევის ბერი გოჩა“-შია მოცემული—„გაბრწყინებული მოხუცის სახე, ზრუნვითა და ჭმუნვარებით სავსე“—თუ არა ნამდვილ გლეხ-კაცის იდეალიზაციით გატაცებულს ხალხისანს, რომე-ლიც პირად ბედნიერებასაც-კი მხოლოდ საერთო ბედნიერებაში ხედავდა.

ხალხისანთა ასეთი განცდის ტ მისწრაფებათა კვანძს მშვენივრად ახსნის უნიჭიერესი პუბლიცისტი, კრიტიკოსი და რუს ხალხისანთა წინამორბედი—ბელინსკის წერილი: „სინამდვილემ გამოგვალვიძა,—სწერს ბელინსკი გერცენს,—თვალები აგვიხილა, მაგრამ რისთვის?.. უკეთესი იყო ამ სინამდვილეს ჩვენთვის სამუდამოდ დაეხუჭნა თვალები, რომ სიცოცხლეს მოწყურებული გულის აფორიაქებულნი მისწრაფებანი არარაობის ძალით ჩაგვეკლა... სოციალობა... აი ჩემი დევიზი. რას მარგებს ის, რომ მიწიერი ჭენიოსი სცხოვრობს ცაზედ, როდესაც ბრბოს ლაფში სული ამოსდის? რას მარგებს ის, რომ მე მესმის იდეა, რომ ჩემთვის მისაწდომია იდეათა სამყარო ხელოვნებასა, რელიგიასა და ისტორიაში, როდესაც მე არ ძალმიძს გავუზიარო ყველას, ვინც ჩემი ძმა უნდა იყოს ადამიანობის მიხედვით, ვინც უნდა იყოს ქრისტეს მიერ მოყვასი ჩემი, მაგრამ ვინც ჩემთვის უცხოა და მტერი თვისის უმეცრებითა? რას მარგებს ისა, რომ რჩეულთათვის არსებობს ნეტარება, როდესაც ამ

[1]) ყაზბეგი—ხევის ბერი გოჩა,— გვ. 206.

ადამიანთა უმეტეს ნაწილს ვერც კი წარმოუდგენია მისი შესაძლებლობა? შორს ჩემგან ნეტარება, თუ კი ეს ნეტარება ათასში მხოლოდ ერთს მე მეკუთვნის! არ მინდა მე ეს ნეტარება, თუ კი ამ ნეტარებას ვერ გავუზიარებ ჩემს უმცროსს ძმებს!"[1]

9

უაზბეგის ნაწარმოებთა ზერელე გადაკითხვაც-კი გვაცნობს ავტორის გარკვეულს შეხედულებას მაშინდელ წესწყობილებისადმი. განსაკუთრებით ადმინისტრატული მოხელეების შესახებ ყოველი ნაწარმოები ცხადად მაჩვენებელია იმისი, თუ როგორის უარყოფით უყურებს ავტორი სამსახურის პირთ. ავტორი ყველგან ხაზ-გასმით აღნიშნავს, რომ ოფიციალური კანონის წარმომადგენელნი ყველგან და ყოველთვის, განსაკუთრებით სუსტთან, სწორედ იმასთან, ვისაც ესაჭიროება მათი დახმარება და შველა, უსამართლობის, ბოროტების, საზიზღრობის, უადამიანობის, გახრწნილების და სრულ ზნეობრივ გათახსირების განსახიერებანი არიან.

ვინ არის გაგი ჩოფიკაშვილი („ელგუჯა"), გორჯასპ ღუდუშაური თავის ცოლით („ციკო"), თუ არა გონებრივად და ზნეობრივად გახრწნილნი, დაცემულნი პიროვნებანი, რომელთაც მთლად დაკარგული აქვსთ ადამიანური გრძნობა და გაგება?

ვინ არის „გამხდარი, გალეული, პატარა ტანის, პატარა ურიულის წვერით და გრძელის ცხვირით ახალი დიამბეგი, რომლის სიტყვა-პასუხი მუდამ ცმუკვა და მოკრძალვით ლაპარაკი" ამტკიცებდა, რომ ის მსახურობს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ იშოვოს რამე, მაღლებშიაც ჰქონდეს პატივი და მშველელიც ჰყავდეს", რომ როცა მოუნდება თავის ბოროტი საქციელის დაფარვა, მოახერხოს.

ვინ არის, თუ არა სინიდის-დაკარგული, პატიოსნებას, ადამიანურ გრძნობას მოკლებული, უსამართლობის ჩამდენი დიამბეგი, „მამის მკვლელში" ჯამოყვანილი; ან იქვე მთელი რიგი რუსის ყაზახებისა, მათის აღვირ-ახსხილი, გათახსირებული ოფიცრებითურთ, რომელნიც შედიან სოფელში გლეხ-კაცობაში, ვითომც წესიერების და მშვიდობიანობის დასამყარებლად, მაგრამ საშინელი, აუტანელი, გულისშემზარავ უწესოების, უსამართლობის, გარყვნილებ.ს, პიროვნების საარაკო შემბღალავის საქმის ჩამდენნი კი არიან?!

1) Письмо Белинского к Герцену от 8 сентября 1841 г.—კურსივი ჩვენია.

არა მარტო უცხოელები იქცევიან ასე საზიზღრად, არამედ მათთან სამსახურს ჩვენს ხალხზედაც დიდი გამხრწნელი გავლენა აქვს. ვინ არის გირგოლაი („მამის მკვლელი"-დან), თუ არა ამ რუსის ადმინისტრატული სამსახურით დაცემული მთიელი, რადგანაც მას აღარა აქვს აღარც დანდობა, აღარც პირი და აღარც პატივისცემა მთიელთა და მათი ზნე-ჩვეულებებისა?! ან გელა („მოძღვარიდან"), რომელიც უსირცხვილოდ გაიძახის: „მე იასაული ვარ, ხელმწიფის სამსახურში მყოფი კაცი და სხვა მოხეველთან უნდა ჩავითვალო"-ო და სრულებით ბუნებრივად სთვლის—ყოველივე პრივილეგიები უსინიდისოდ მოითხოვოს.

ეს ისეთი ძლიერი მოტივია ყაზბეგის შემოქმედებისათვის, ისე მუქად გატარებული მასში წითელი ხაზივით, რომ მთელის სიცხადით გვიხატავს ავტორის შეურიგებელ, მტრულ განწყობილებას ოფიციალური სამსახურისადმი. აშკარაა, ავტორს მთელი თავისი ფაქიზი არსებით ეზიზღება ოფიციალური თანამდებობის პირი. და ეს ხომ დამახასიათებელი იყო ხალხოსნებისათვის რუსეთში და აგრეთვე ჩვენშიაც.

თუ ყაზბეგის ნაწარმოებთ ჩავუკვირდებით, აშკარად შევამჩნევთ, რომ ავტორის შეხედულებით ისეა მოწყობილი ამ სამსახურის საქმე, რომ ყველა ბოროტად იქცევა, ირყვნება, მის გავლენის ქვეშ სინიდისსა და ადამიანურ გრძნობასა ჰკარგავს.

აი გელას („მოძღვარი"-დან) შესახებ ავტორი რას ამბობს:

„რამტენიც მეტი ხანი გადიოდა, იმდენად გელა უსამართლობას ეჩვეოდა და მეტად აწვალებდა თავის ცოლს, იძულებულს ხდიდა ათასგვარი ერთი-მეორეზე უსაფუძვლო სურვილი ხმა-ამოუღებლივ აღესრულებინა. გელა სანამ ფასანაურში ჩავიდოდა, გაიცნობდა ბატონებს, ამათს ცხოვრებასა, ქალებთან დამოკიდებულებასა და არშიყობასა ჰნახავდა,—ნამდვილი მთის კაცი იყო, მთიელის რწმუნებითა და შეხედულებით, მაშინ ქალი იმისათვის იყო პატივსაცემი ქმნილება, ცოლი—მეუღლე კაცისა, რომელიც თავის მოთაეეს გვერდში უნდა მოსდგომოდა, მასთან ერთად ეშრომნა, ემუშავნა და, მაშასადამე, ოჯახშიც იმისი თანაბარიცვე უფლება ჰქონოდა[1]. ეხლა სრულიად სხვა იყო! მან გაიგონა ბატონების ლოთობისა და ჰარიალალე-თარიალალოს დროს, რომ ქალი მხოლოდ

---

[1]) კურსივი ჩვენია.

ქაცის სასიამოვნოდ იყო გაჩენილი, ნახა, რომ ცხოვრებაში მართლა ამ მიმართულებით ხელმძღვანელობდნენ; არაყთან და ღვინოსთან ერთად საქმითაც იგემოვნა ამ გვარი ცხოვრების სიტკბობა—და ფრიად შეიცვალა, ახალს ნაგემოვნებს დაემორჩილა".[1]

ეს ნაწყვეტი საინტერესოა ხალხისნური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით ორი მხრივ: ავტორი სოფლის, თემურ წყობილებაში აღზრდის და ცხოვრების პირობებს უპირატესობას აძლევს, როგორც ადამიანის მორალური სიმაღლის დამცველს და შემნახველს. სანამ გელა ფასანაურში ჩავიდოდა და გაიცნობდა იქაურ ცხოვრებას, მინამდის ის „ნამდვილი მთიელი ·ქაცი იყო მაღალი ზნეობრივი თვი. სებებით. შემდეგ-კი ბარმა, ქალაქმა ადგილმა გარყვნა ის.

სოფლის ცხოვრების უპირატესობას, შედარებით ქალაქთან, სოფ-მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ც აღნიშნავს მოთხრობაში „გ მ ი რ ი ს ე უ ლ ი ს ქ ა ლ ი". გმირისეულის ქალმა სალომემ გ ა ს წ ყ ვ ი ტ ა ყ ო ვ ე ლ ი ვ ე კ ა ვ შ ი რ ი თ ა ვ ი ს დ ე დ ა ს თ ა ნ. გ ა დ ა ს ა ხ ლ დ ა ქ ა ლ ა ქ შ ი-იქ ბევრი გაჭირვება გამოიარა და დარწმუნდა, რომ „აქაც, ამ დიდ ქალაქში, რომელიც მას სიმდიდრის ბუდედ მიაჩნდა, სადაც მას ყველანი ერთობრივ კმაყოფილნი ეგონა, სადაც ყველა ბედნიერი უნდა ყოფილიყო, ამ ქალაქშიაც მრავლად ყოფილან გაჭირვებისა და მწუხარების შვილნი; დარწმუნდა, რომ აქ უფრო ბლომა ხარკს ჰკრებავს სიღარიბე, რომ ·ქაცს აბიწიერებს, სულს უფუჭებს, ნამუსს ართმევს; დარწმუნდა, რომ სოფლად ეს ხარკი სიღარიბისა აგრე-რიგად ·არა ჰხვდება ხალხსა. იქ მისი სული შეუმწიკვლელია და შეუბღალველი. ხოლო იქამდის ვეღარ ჩავიდა მისი გონება, რომ განესაზღვრა: რა იყო მიზეზი, რომ სიღარიბე აქ, ქალაქში, ხშირად აბიწიერებდა დაბალს მუშა-მოწაღმართე ხალხსა, და იქ, სოფლად კი, იგი ამ მხრივ ხელ-შეუხლებელი, წმინდა იყო"[2]. და თუ სალომეც არ დაიმსხვრა ქალაქში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის სოფლის პატრიარ-ქალურმა, მის ძვალსა და რბილში გამჯდარმა ატმოსფერომ, შეინახა.

სოფლის პატრიარქალური ცხოვრების, ქალაქთან შედარებით, უპირატესობა და ქალაქის დამრღვევი გაელენა სოფლის ხელ-შეუ-ხებელ ცხოვრებაზე ნიკო ლ ო მ ო უ რ ს ა ც ა აქვს აღნიშნული მო-თხრობა „ბ ე რ უ ა ქ რ ი ს ტ ე ს ი ა შ ვ ი ლ"-ში. ბერუა ქრისტესიაშვი-ლის პატრიარქალურ და ღონიერ ოჯახში რღვევა შეაქვს მის შვი-ლიშვილს დათიკოს, რომელმაც რამდენიმე წელიწადი ქალაქში იც-

[1]) ყაზბეგი—მოძღვარი, გვ. 491.

[2]) სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—გმირისეულის ქალი, ტ. I, გვ. 190.

ხოვრა და დაბრუნებისას ვეღარ ეგუება ბერუას ოჯახში გამეფებულ ტრადიციებს და ურჩობას უწევს (თხოულობს გაყრას და სხვა). ასეთი შეხედულება სოფელისა და ქალაქის ცხოვრებას შორის დამახასიათებელი იყო ხალხოსნებისათვის როგორც ჩვენში, ისე რუსეთში.

მეორეს მხრით, ზემორე მოტანილი ნაწყვეტი ყაზბეგის თხზულებიდან საინტერესოა მით, რომ ამ ნაწყვეტში ჩვენა ვხედავთ მაღალ, ადამიანურ შეხედულებას ქალზე-ცოლზე: ამ ნაწყვეტში აშკარადაა გამოხატული სურვილი—ქალში ცნობილი იქნას მისი ადამიანური უფლებები, რომ მას „თანაბარი უფლება ჰქონდეს", რაც ასე რაინდულადაა შენახული მთიელთა ცხოვრებაში. ხალხოსნებმა, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც წამოაყენეს ქალთა საკითხი, დიდი მომხრენი იყვნენ იმისა, რომ ქალიც გამოსულიყო სამოქმედო ასპარეზზე, დაეწყო შინაარსიანი და უფლებრივი ცხოვრება. აკი მამა-კაცთან ერთად ქალებმაც დაიწყეს საზოგადოებრივი-რევოლუციონური მუშაობა და ხალხში სიარული. როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც ქალის უფლებრიობის სასარგებლო პროპაგანდას დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ხალხოსნების მიერ.

ქალის მდგომარეობას, მისი როლის და უფლების საკითხის გარკვევას დიდი ყურადღება მიაქცია ჩვენს მწერლობაში ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ამ ა ც მთელ რიგ მოთხრობებში. ეკ. გაბაშვილისას ყაზბეგთან ერთად ამ საკითხის გაშლაში ჩვენს მწერლობის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს.

ვინც კი გაეცნობა მზაღოს, ელისოს, ნუნუს, მაყვალას შარავანდედით მოცულს სახეს და მათს ეკლიან ცხოვრების გზას, ნუ თუ მთელი თავისი შეგნებით არ განიმსჭვალება ქალისადმი პატივისცემით და რწმენით, რომ ქალიც ისეთივე პიროვნებაა, როგორც მამა-კაცი და მათ „თანაბარივე უფლება" უნდა ჰქონდესთ?!

და არა მარტო ქალის პიროვნება, არამედ საერთოდ ადამიანის პიროვნება მთელი თავისი სიფაქიზით, სილრმით, მთლიანობით, კომპრომისის მიუღებლობით ცოცხლად არის განსახიერებული მეორე ჯგუფის ყოველ ნაწარმოებში. ვინ არის, მაგალითად, მოხუცი პაპაი („მამის მკვლელიდან"), თუ არა ცოცხალი განსახიერება მთიელის მაღალი და თავისუფალი შეხედულება-გრძნობისა, პიროვნების უფლებისა და მათის დაცვისა?!

როდესაც გირგოლაი, ცბიერ მახიას მიერ ზურგგამაგრებული, ძალას ატანს, რომ ნუნუ მისცეს მის ძმას ცოლად, მით უმეტეს რომ მისგან ურვადი კიდეც აიღო, იქ დამსწრე მოხუცი პაპაი, რომ გაი-

გებს უარის მიზეზს ონისესაგან—„რაი ·ექნა, ქალაი თავს იკლავს! არ ნდომულობს მაგის ძმას და ძალად საიდან დავაჯერო?!!—გარკვეულად და მტკიცედ წარმოსთქვამს: „თუ ქალს არ უნდა, ეგ ცხოა. სიყვარული ძალად არ იქნების! რა ვუყოთ რომ (ურავდი) აიღეს? პირველი ხომ არაა მაგისთანა საქმე ხევში?... ბევრჯელ ყოფილა მაგისთანა საქმე ხევში!.. ბევრჯელ ყოფილა მაგისთანა საქმე ჩვენ თემობაში. ღთის მადლმა, თემს ჯვარდაწერილებიც ბევრი გაუყრია და გაუშორებიათ ერთ-ურთისაგან, თუ კი სიყვარული და გემრიელობა არ ექნებათ, რაღა ცოლ-ქმრობა იქნება?“[1]

აი როგორი მაღალი პატივისცემა და გაგება აქვთ მთიელთ პიროვნების თავისუფლებისა, გრძნობისა და ცოლ-ქმრის შეუღლებისა! პაპაი, როდესაც თავხედ გირგოლაის მუქარას გაიგონებს: „ეხლა ქრისტიანების ხელში ვართ,—უსირცხვილოთ და შესაშინებლად აცხადებს გირგოლაი,—ღმერთმა უშველოს რუსებს, ახლა სუყველა ზაკონის კანონზედ არის. მე წინანდელს ჩვეულებას კი არ მივყვები, წავალ, ერთს სიტყვას ვეტყვი დიამბეგს, ნაჩალნიკს, და ქალსაც წავიყვან და ონისესაც დავღუპავ!“—პაპა იმ იმედით, რომ მის მიერ მოსაზრებულ სიტყვებს გირგოლაიზე გავლენა ექნებოდა, ეუბნება: —„გირგოლაი, ნუ, ნუ სჩადი მაგას! ღთის გულისათვის, ნუ სჩადი: აბა ძალით ჯვარისწერა რაი ქრისტიანობაა, რა სამართალია? ან რისთვის გირდათ ან დიამბეგი, ან ნაჩალნიკი? რაისთვის გინდა იმათთან ჩივილი? შენმა მეზობელმა თუ გაწყენინა რამე, შენივე მეზობლები შეყარე, მონახე უფროსი კაცები და რაიც იმათ გითხრან, ის გაიგონე“[2]. როდესაც სახელმწიფო სამსახურის კაცობით გათავხედებული და გახრწნილი, გათახსირებული დიამბეგ-ნაჩალნიკების ზურგის გამაგრებით, გირგოლაი მაინც მკაცრად წამოიძახებს: „მე ზაკონის გზა კარგად ვიცი“,—პაპაი აღშფოთებით ეტყვის: „ზაკონის გზა ის თუა, რომ ქალს, რომელსაც არ უყვარს შენი ძმა, ძალად ჯვარი დასწეროთ იმაზედ“[3]... პაპაი, როდესაც დაინახავს შეშინებულს, სუსტ ონისეს, რომელიც მზადაა უპატრონო ობოლი ძმისწული ნუნუ მსხვერპლად გახადოს უხეშ ძალდატანებისა, იმის შიშით, რომ „ის ხელმწიფის სამსახურშია და ჩვენ მაგასთან ბრძოლის თავი ვინ მოგვცაო“, წამოხტება, გაჯავრებით და სიბრაზით მიმართავს ონისეს: „ფუი შენს ნამუსს? ქუდი არა გხურავს თავზედ? დიაცი ყო-

[1]) ყ ა ზ ბ ე გ ი—მამის მკვლელი—გვ. 237.
[2]) იქვე—გვ. 236.
[3]) იქვე—გვ. 237.

ფილხარ, ონისე, დიაცი!.. ძალამ ისე როგორ უნდა შეგაშინოს, რომ ოჯახიდან ქალი გაიყვანო და ისეთს კაცს მისცე, რომელიც თქვენ ქალს არ უყვარდეს?.. აჰუ! მშიშარაი ჰყოფილხარ, მშიშარაი. მოკვდეს შენისთანა კაცი!" და პიროვნების უფლების შემლახველ გირგოლაზე საჩხუბრად მიიწევს, უპატრონო ნუნუს უფლების დასაცავად.

აქ ცოცხლად, მშვენივრადაა გადმოცემული ის თავისუფალი, საღი ატმოსფერო, რომელიც თემურ წყობილებაში ადამიანს ყოინთავდა და ზნეობრივად ასე აფაქიზებდა. თუ გვინდა შევიყვაროთ თავისუფლება, თუ გვინდა გავიგოთ, როგორი უნდა იყოს თავისუფალი პიროვნება, თუ გვინდა შევიყვაროთ და შევითვისოთ მოძმე თავის ინტერესებით, თუ გვინდა განვამტკიცოთ ჩვენი საზოგადოებრივი ინსტიქტები და ჩვეულებანი, იქ. ხალხის წიაღში, ხანგრძლივი, გაჭირვებული ბრძოლის, ცხოვრების დუღილში გამომუშავებული ცხოვრების ფორმებში უნდა აღმოვაჩინოთ ეს, ავაღორძინოთ, შევითვისოთ და განვავითაროთ. ასე უყურებს ყაზბეგი და ეს ისმის მისი შემოქმედებიდან.

სწორედ ამ თემურმა წყობილებამ შექმნა ელგუჯა, მარტია, სიმონ ჩოფიკაშვალი, იაგო, კობა, ნუნუ, მაყვალა, გოჩა, მოძღვარი, რომელნიც თითქოს თავიანთ პიროვნებაში ატარებენ რაღაც წმინდა საიდუმლოებას და ეშინიათ ამ საიდუმლოებას არ შეეხოს და არ შებილწოს უწმინდურმა თვალმა, ყურმა, შეხებამ. ყოველ შემთხვევაში, ასე ესმის მათს შემომქმედს—ყაზბეგს.

ყაზბეგს, როგორც ნამდვილ ხალხოსანს, კარგად ესმოდა, რომ ნამდვილი ხალხოსანი, ნამდვილი ექიმი ხალხის ცხოვრებისა და მის წყლულებისა, რომელიც ნამდვილი უანგარობით, მოძმის მდგომარეობის გაგებით, მისდამი სიყვარულით გულ-დასერილი, ნამდვილის გულთამხილაობით შესძლებს გადახსნას ხალხის გული, გადაეგებას მთელი თავისი არსებით მის ბედსა და უბედობას,—უნდა გამოვიდეს თვით ხალხის წიაღიდან. აკი ხალხისათვის უანგარო თავდადებულის სულიერი განცდა და მისი ხალხისადმი სიყვარულით გამოწვეული ტკივილები არაჩვეულებრივი ოსტატობით დაგვისურათხატა მან მოძღვრის სახეში. მოძღვარი იდეალური ტიპია ხალხოსნისა, რომელმაც თავისი მე და ინტერესები ხალხის მეს და ინტერესებს მუდამ ჩააწნა.—„ონისესთან განშორების შემდეგ მოძღვარი ჩვეულებრივზედ მეტად დაფიქრდა, აშკარად დაეტყო, რომ გონებას რაღაცა განსაკუთრებითი დუმილი უმღელვარებდა... აშკა-

რად სჩანდა, რომ მაზედ ემოქმედნა ონისეს აღსარებას და მისგან აღიარებული ბევრს ზრუნვას, მოსაზრებას და გამორკვევას ითხოვდა!. უეჭველია, მთიელისაგან ნათქვამი მეტად მძიმე და ძნელი რამ უნდა ყოფილიყო და მის მისატევებლად მოხუცის გულს ლოცვა და ძალის მოპოება სჭირდებოდა.

„მოძღვარს კარგად ესმოდა, რომ ცოდვათა მისატევებლად, სულის დასამშვიდებლად და ხასიათის გასამაგრებლად მხოლოდ აღსარების თქმა და წმინდა საიდუმლოს მაღება არა კმაროდა; გამოცდილი და ნიჭიერი მცოდნე კაცის გულისა მოწაფეს მხოლოდ მაშინ ანებებდა თავსა და თავისუფალ ცხოვრების ნებას აძლევდა, როდესაც სრულიად დარწმუნდებოდა, რომ ერთხელ გრძნობას მოსულმა არამც თუ გაიგონა მაღალი სწავლა და კაცის მოვალეობა, არამედ სრულიად შთაიგონა, რწმუნებად გადაექცა და ძვალსა ტ რბილში გაუჯდა.[1] უამისოდ მას არ ესმოდა მაღალი მნიშვნელობა და სარგებლობა არცერთის საქრისტიანოს მაღალთა დებულებათა და დარწმუნებული იყო, რომ ყოველგვარი წესის აღსრულება უნაყოფოდ დარჩებოდა.

„ის იყო ექიმი სულით დავრდომილთა...

„ონოფრეს (მოძღვარს) უნდოდა ავადმყოფის სიახლოვე, რომ მის ცხოვრებისათვის თვალი არ მოეშორებინა. მშობლების მზრუნველობით და მოვლით გაემაგრებინა სხეული და მხოლოდ მაშინ დაენებებინა თავი, გაეშვა თავისუფლად, როდესაც ბრძოლისათვის სრულიად მომზადებული შეიქმნებოდა, როდესაც შესძლებდა ცხოვრების შეუბრალებელ ტალღებს მტკიცედ დახვედროდა, მასთან ბრძოლას მოახერხებდა.

„ონისემ არ იკისრა მოძღვართან ცხოვრება, უარჰყო მისი წინადადება და, ალბად, მიზეზიცა ჰქონდა რამე,—მაგრამ ამან აღაშფოთა უბედურთათვის მზრუნველი, მათს შეწუხებისათვის გულმტკივნეული. ყოველთვის ამ გვარის ფიქრების შემდეგ მტკიცეს და ბეჯითს ონოფრეს, კაცს, რომელსაც ძალა ჰქონდა და ჰგრძნობდა თავისი სიძლიერეს, რწმუნება ისევ უბრუნდებოდა და იმედი ხელ-ახლა ეძ-

[1]) კურსივი ჩვენია.

ლეოდა[1]. „არ ინებებს უფალი, რომ ერთხელ გრძნობაზედ მოსული ხელ-ახლად განიშოროს და განსაცდელში ჩააგდოს! ერთხელ გრძნობას მოსულს გზა ხელ-ახლად დააკარგვინოს და განსაცდელს მისცეს!—და იმედ-მიცემული გავიდოდა წყაროსთან, სადაც მოწაფეს მოთმინებით ელოდდა ხოლმე"[2].

ვისი იდუმალი გულია ასე თავბრუდამხვევი ხელოვნებით გადახსნილი აქ, თუ არა ნამდვილი ხალხოსანისა[3], რომლის გონებას რაღაც განსაკუთრებითი დუმილი, მღელვარება და ჭმუნვარება ავსებდა, ხალხის ტანჯული სულის აღსარების გაგებით გამოწვეული, და „ბევრს ზრუნვას, მოსაზრებას და გარკვევას ითხოვდა" მისგან; რომელსაც კარგად ესმოდა, „რომ ცოდვათა მისატევებელად, სულის დასამშვიდებლად და ხასიათის გასამაგრებლად მხოლოდ აღსარების თქმა და წმინდა საიდუმლოს მიღება არა კმარა".

ვისი არის ეს სახე -„გამოცდილი და ნიჭიერი მცოდნე კაცის გულისა", რომელიც „მოწაფეს მხოლოდ მაშინ ანებებდა თავს და თავისუფალ ცხოვრების ნებას აძლევდა, როდესაც სრულიად დარწმუნდებოდა, რომ ერთხელ გრძნობას მოსულმა არამც თუ გაიგონა მაღალი სწავლა და კაცის მოვალეობა, არამედ სრულიად შთაიგონა, რწმუნებად გადაექცა და ძვალსა და რბილში გაუჯდა", ურომლისოდაც მას არ ესმოდა მაღალი მნიშვნელობა და სარგებლობა არც ერთის მაღალის მოძღვრებისა—თუ არა ნამდვილი მოწოდების ხალხოსანისა მთელი თავისი თავდავიწყებითი პრაქტიკული მუშაობით?

ვინ არის ეს ონოფრე—ექიმი სულით დავრდომილთა, რომელსაც უნდოდა ავადმყოფის სიახლოვე, რომ მის ცხოვრებისათვის თვალი არ მოეშორებინა, მშობლიურის მზრუნველობით და მოვლით გაემაგრებინა სხეული და მხოლოდ მაშინ დაენებებინა თავი, გაეშვა თავისუფლად, როდესაც ბრძოლისათვის სრულიად მომზადებული შეიქმნებოდა,[4] როდესაც შესძლებდა—ცხოვრების შეუბრალებელ ტალღებს მტკიცედ დაჰხვედროდა, მასთან ბრძოლას მოახერხებდა—თუ არა ტიპიური ხალხოსანი თავისი უანგარო მზრუნველობით უბედურთათვის და მათდამი წრფელი გულმტკივნეულობით?

---

[1]) კურსივი ჩვენია.

[2]) ყაზბეგი—მოძღვარი—გვ. 583—584.

[3]) აქ, რასაკვირველია, მეტად მკვეთრად თვით ავტორის დ. ყაზბეგის სახეა განსახიერებული, როგორც ტიპიური ხალხოსნისა.

[4]) კურსივი ჩვენია.

ვინ არის ეს მტკიცე და ბეჯითი ონოფრე,—„კაცი, რომელსაც ძალა ჰქონდა და გრძნობდა თავის სიძლიერეს“ და ამ გვარი ფიქრების შემდეგ „რწმუნება ისევ უბრუნდებოდა და იმედი ხელ-ახლად ეძლეოდა და ივედ-მოცემული გავიდოდა წყაროსთან, სადაც მოწაფეს მოთმინებით ელოდდა ხოლმე“,—თუ არა წრფელი გატაცებით აღტყინებული და ანთებული ხალხოსანი, რომელსაც, სულიერად მართალსა და ძლიერსა, ზურგი შეექცია ყველა იმ საქმეებისათვის, რასაც საქმიანობას უწოდებდნენ, სწორედ იობის მოთმინებით და არაჩვეულებრივი სიყვარულით აღჭურვილი გადიოდა მდაბიო ხალხში კეთილი თესლის სათესავად, არაჩვეულებრივის სიმტკიცით და სულგრძელობით ებრძოდა აუარებელ დაბრკოლებებს თავის სამოციქულო ნარ-ეკლიან ასპარეზზე და არასოდეს არა ჰკარგავდა ღრმა და ურყევ რწმენას, რომ მისი მრწამსი და გზა მართალია, რომ ადრე თუ გვიან გაიმარჯვებს და დასთრგუნავს გაბატონებულ ბიუროკრატობას და უსამართლობას.

აი სწორედ ამ ონოფრეების გატაცებითდა ღრმა რწმენით ანთებულმა გულმა დასწვა და დასძლია ყველა ის დაბრკოლებანი, რომლითაც ასე უხვად იყო მათი ნარ-ეკლიანი გზა მოფენილი. და ამ ონოფრეებმა ამოიღეს ძალა და ნიჭი, სიყვარული და სამართალი თვით ხალხის გულიდან, ხალხის ცხოვრებიდან, რომელთანაც ახლო მისვლა ხალხოსნებმა მოითხოვეს, როგორც საღი ფუძე ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის.

ამისათვისაა, რომ ნიკო ხიზანაშვილი უკმაყოფილოა მთავრობის (ალექსანდრე II) რეფორმებით და იმათიც, ვინც ამ რეფორმებით კმაყოფილია და მათ „თაყვანსა სცემს“. „მკითხველი ადვილად მიჰხვდება,—სწერს ნიკო ხიზანაშვილი,—რა მიზეზის გამო ჩვენი ხალხი ახალმა სამართალმა არ დააკმაყოფილა. ეს მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ახალმა სამართალმა სახეში არ მიიღო „ხალხოსნობის პრინციპი,“—ცხოვრება. ჩვენი გლეხ-კაცისათვის ახალი სამართალი უცხო და უცნობი იყო... ხალხს არ ეპირვებოდა „სამთავიან“ სასამართლოში სიარული, საქმის გარჩევასაც დიდი ვაი-ვაგლახი და ხეტიალი არ უნდოდა... ამ „ხალხის მსაჯულთ“ კარგად ესმოდათ—ვინ მართალია, ვინ მტყუანი. კარგად იცოდა იმისათვის, რომ საქმე მათ თვალწინ ხდებოდა... თუ რომელიმე მოსამართლე, ანუ მსაჯული მიდგომას და უსინდისობას გამოიჩენდა, თუ რომელიმე საქმე სიყალბით გადასწყდებოდა, მაშინ თითონ ხალხის გაკიცხვა და მისი რისხვა იყო „აპელაციაც“ და

კასაციაც''. რასაკვირველია, მოსამართლე, მოშორებული ,,იურიდიულ ფორმალიზმს'', დამყარებული თავის სინიდისზე, სცდილობდა ხალხის რისხვა და განკიცხვა არ დაემსახურებინა და საქმე გადაეჭრა ისე, როგორც საზოგადოების სინიდისი და ხალხის ჩვეულება მოითხოვდა. იურიდიული ფორმალიზმი, რომელიც ეხლა გლეხ-კაცობას ტვინს უპნევს, ,,კანცელარული ბიუროკრატიზმი" სასამართლოებში, რომელიც გლეხ-კაცობას ასე ძვირად უჯდება, იმ დროს ხალხმა არ იცოდა''[1].

და განა მარტო ნიკო ხიზანაშვილი გამოთქვამს ასეთს აზრს? განა ყაზბეგის შემოქმედება მშვენიერი ასახვა არ არის ხალხის სამართლის და სამართლიანობის, თითქოს პრიმიტიულის, მაგრამ სწორის, მიუდგომელის, მართლა რომ სამართლიანის. სად ჩამოყალიბდა ასეთი მაღალი ზნეობით ურთიერთი დამოკიდებულების კოდექსი გოჩასი („ხევის ბერი გოჩა"), პაპასი („მამის მკვლელი"), ონოფრესი („მოძღვარი") და სხვათა, თუარა ხალხის ცხოვრების მორევში, მის მძლავრ დუღილში? საიდან შეიძინა და ამოკრიფა ხალხმა, როგორც მასამ, ცოდნა და გაგება სამართლიანობის და ღირსეული მოძღვრისა, რომელსაც თავის „რისხვაში", თუ „განკიცხვაში" ხატავდა ხოლმე („ხევის ბერი გოჩა"—ონისეს გასამართლება; „მოძღვარი"—გელას გასამართლება და სხვა), თუ არა ამავე ცხოვრების დუღილიდან!..

ჩვენს ხალხოსნურ ლიტერატურაში ხალხის სამართლის და სამართლიანობის უპირატესობა, პრიველეგიურ კლასთან შედარებით, თუმცა ხანდისხან მკაცრის, მაგრამ მუდამ სინიდისიერი და სწორის, წითელი ხაზივით არის გატარებული.

ნიმუშისათვის ვისარგებლოთ სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ს შემოქმედებით: სოფელ ძაღლის ხევას მცხოვრებნი, შეწუხებული და შეავიწროებული ფიდუა ეშმაკურიშვილისაგან, ცდილობენ მშვიდობიანის გზით მოირიგონ. მაგრამ ფიდუა არა ჰყაბულდება, შეავიწროებას განაგრძობს. სოფელს არ აძლევს საშუალებას, ჩვეულებისამებრ აირჩიოს მეველეები დ მერუეები და „იუდის კერძი ხალხისაგან დაიფარონ." მოთმინებიდან გამოსული სოფელი შეიკრიბება და აი ცეცოს პირით როგორ მსჯელობს: „დაიცა, მაგის დროც მოვა... ე მიხასი არ იყოს, ძველ ადათზე გავიაროთ, ავირჩიოთ სანდო პირები,—აქ ბევრი კაი კაცი გვყავს,—მეველეებად და მერუეებად; ემიოანა კაცებს,—უჩვენა თითით ფიდუაზე,—სახლის კარი შეეუ რათ, მეზობლად ნუ გავატა-

[1]) ნ ი კ ო ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი—ჩვენი გლეხ-კაცობა და ახალი სამართალი—„იმედი" 1882 წ. № 3, გვ. 10—11.

რებთ, გუთანში ხარს ნუ შეუბამთ; მუშად ნუ გავყვებით, შენ ხარ ჩემი ბატონი; ჭირსა და ლხინში ნუ მივხედავთ. რა არის, ვითომ ნუ ყოფილან ეგენი სოფელში, ისე ვიანგარიშოთ... ჰა, ხალხნო, რას იტყვით? კარგი იქნება?

—„აი, მე-და-ჩემმა სიყმემ, მართალი სიტყვა,—დაიძახა ხალხმა.

—„უწინ სუ ეგრე არ იყო,—სთქვა ჩვენმა ზემო ნაცნობმა ბერიკმა,—შეუკრამდით სახლსა და გაგიხარიან, მალე მოვარჯულებდით ხოლმე! ადამიანი ხო ეშმაკი არ არის, პეპელა ხომ არ არის, რო კედელს მიეკრას, უმეზობლო გლეხ-კაცს ერთი წუთის გაძლება არ შეუძლიან.

—„მაშ, ხალხნო, ე კუბოს ღვთის-მშობლის მადლმა ამოსწყვიტოს იმის ცოლ-შვილი, დედა შეერთოს ცოლათა, ვინც ეს პირობა არ დასდოს და არ შეასრულოს,—დაიძახა ცეცომა.

—„ჰანგრე იყოს, ჰანგრე;—შეჰყვირა ხალხმა ცეცოს პასუხად.

„ამოირჩიეს მარჯვე ბიჭები მეველე-მერუეებად; ამოირჩიეს ის პირნიც, რომელთაც უნდა ყური ეგდოთ, რომ იმათ, ვისაც სახლი შეუკრეს, ხელი არავინ გაუმართოს“ [1].

ასეთია ხალხის მშვიდი და უსისხლო სამართლის გზა. უფრო ღია ფერადებშია ხალხის ცხოვრების ხელისშემშლელის გასამართლება გადმოცემული სოფ. მგალობლიშვილის მიერვე მეორე მოთხრობაში „ჯორ-ზაქარა“. როდესაც თავადმა ესტატე მარუშიძემ გლეხი დალაქი ხოხელა და მოურავი სოსიკას დახმარებით გლეხი ზაქარა ჯიღაურის ოჯახს შეურაცხყოფა მიაყენა, შეიკრიფა მთელი სოფელი. ხალხი ერთმანეთს არ აცლის ლაპარაკს. ყველა აღშფოთებულია ასეთი თავხედობით. ბაგრამ თავადზე ისე არ არიან გულ-ამღვრეულები, როგორც თავის მოძმე-მოღალატე გლეხებზე—ხოხელასა და სოსიკაზე. „კანონის წინაშე გაერთიანდით,—გულის ტკენით და ბოღმით სავსე ზაქარა მიჰმართავს ხალხს,—გვეგონა, მთა და ბარი გასწორდაო, მაგრამ ფუჭი გამოდგა ჩვენი იმედი: მამული ბატონს დარჩა; უმამულოდ კი ფრთა-შეკვეცილს ქათამს ეგევართ, რომელიც, ისეც ფრენას გადაჩვეული, ღობეზედაც ველარ შეფრინდება... ჯანი გავარდეს, ამ უმამულობასაც როდისმე მოუვლით; სოფელი განიერია, მივდგებ-მოვდგებით, მაგრამ ნამუსს როგორ ‘ მოვუაროთ, როგორ დავიცვათ მყრალი მგლებისაგან, აი ეს არის საფიქრებელი!!... კანონის წინაშე ერთნი ხართო, ეგენი კი, ე ბატონ-მოურავები, თავისას არ იშლიან. სოფელმა თუ თავი არ გაიმაგრა, ნამუსი გაწყვება სოფელ-

[1]) სოფრომ მგალობლიშვილი—ღამის მეხრე ცეცო—გვ. 100.

ში, სირცხვილს ვეპამთ და ჩვენი სოფელი თითით საჩვენებელი გახდება...

—„ოღონდაც,ოღონდაც!—დაჰკრა კვერი ზაქარას სიტყვებს ხალხმა,—უნდა აელაგმოთ ეგენი, უნდა ავლაგმოთ: წამოაყენეთ ჯერ ის ჩვენი გამყიდველი დალაქი ხოხელა! მოიყვანეთ აქ, უნდა დღესვე გავასამართლოთ ჩვენის სამართლითა!—ყვიროდა ხალხი და ბობოქრობდა.

—„ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ ის შეჩვენებული ხოხელა!—ამბობდა ერთი.

—„სახლი თავზედ დავაქციოთ, სახლი!—ყვიროდა მეორე.

—„არა, საქვეყნოთ ლაფი დავასხათ, გამოვწყვიტოთ ჩვენში, ავიძულოთ, ჭირიანივით, დეე, ტყე-ტყე იაროს მგლებთან და დათვებთან. ერთხელ სიკვდილი მაგისათვის ჯილდო იქნება... იკვნესოს, გაილიოს, გაიხვეწოს ძაფივით სიკვდილის ლოდინში,—ამბობდა ძესამე.

—„მარტო დალაქს კი არა, სოსიკასაც არ აწყენს ლაფის დასხმა!—გაიხმაურეს ქალებმა...

„ხალხის მსჯავრი,—სწერს სოფ. მგალობლიშვილი,—სწრაფი და მკვეთრია: შუადღის ჟამს რუს პირას ხალხს გაეკეთებინა ლაფი, შეძდგარი სხვადასხვა უწმინდურობისაგან... ხალხს დიდი წრე გაეკეთებინა. შუა რუში იდგა წელამდე გატიტვლებული ხოხელა დალაქი, ხელები უკან ჰქონდა გაკრული, იდგა თავშიშველა, ხალხისაგან შეჩვენებული და განრისხული; ადამიანს სახე აღარ ედო, თვალები დაეხუჭა, თავი ჩაექინდრა და გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი უტრიალებდა“ [1].

ხოხელამ დაინახა და იგრძნო ხალხის განრისხება, სთხოვა პატიება დანაშაულისა, „მაგრამ ხალხი ულმობელია, როცა მის წმიდათა-წმიდას შელახავს ვინმე“.

ასეთივე შეხედულებისაა ხალხის სამართალზე ნიკო ლომოური ც.

სოფელ გორისძირას მცხოვრებთ წყალი არა აქვთ მინდვრების სარწყავად. ჭირნახული მთლად ეღუპებათ. საშინელი გაჭირვება მოელით. წყალი მთლად მიგდებული აქვს თავადი კონა ხმამაღალაშვილის მამულს. დიდი ფიქრისა და რჩევის შემდეგ სოფელმა გადასწყვიტა თავადის რუდან ნაწილი მიუგდოს თავის ბაღ-ვენახებსაც, რომ ისარგებლოს სოფელმაცა და თავადმაც. შეიკრიფნენ გლეხები,

[1] სოფ. მგალობლიშვილი—ჯორ-ზაქარა—გვ. 136 –137.

შეიარაღდნენ ბარითა და ნიჩბებითა. შეჰკრეს პირი და შეუდგნე საქმეს. თავად ხმამაღალაშვილებმა შეურაცხყოფად მიიღეს გლეხების ასეთი საქციელი და თავიანთი დამქაშებით შეებრძოლნენ სოფელს. სოფელმაც წინააღმდეგობა გაუწია. გაჩნდა დაუნდობელი ბრძოლა. ორივე მხრით მსხვერპლი შეიქმნა. ამ ბრძოლის დროს, სამი გლეხ-კაცი:—მამასახლისი, ხუმარა ნინიკა და სოსიკა გაიპარნენ და თავიანთ სიმინდს დაუწყეს რწყვა. როცა ბრძოლა თავადსა და გლეხთა შორის გათავდება, გლეხ-კაცები აღელვებით შეჰნიშნავენ სამი მოღალატე გლეხის საქციელს. ეს ფაქტი მთელ სოფელს ააღელვებს და გადასწყვეტენ—სამივე მოღალატე დასაჯონ: დაუყონებლივ დაუკლან ყოველ მათგანს ან ძროხა, ან ხარი. მიუხედავათ იმისა, რომ ეს სასჯელი ყოველი მათგანისათვის მეტად სასტიკი იყო, მაინც სოფელი თავის გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანს. მართალია, მკაცრია სოფლის გადაწყვეტილება, მაგრამ აუცილებელია, რომ ხალხის, თემის პირი სხვამაც არ გასტეხოს და ერთობა არ დაარღვიოს. სწორედ ეს პირგაუტეხლობა, ერთმანეთის გატანა—მთავარი ღერძია, რომელზედაც ტრიალებს ადამიანური ტრადიციები სოფლის და თემური წყობილებისა. და ხალხის საკეთილდღეოთ, ჩვენი ხალხოსანი მწერლების შეგნებით, ამ ჩვეულებებმა რკინის კანონის ძალა უნდა შეინახოს, რადგანაც ცხოვრება იქ უფრო სამართლიანია, ვიდრე არსებულ ოფიციალურ, ბიუროკრატულ კანონმდებლობაში.

მაგრამ, ჩვენი ხალხოსნების შეხედულებით, ეს საკმარისი არ არის. ცხოვრება წინ მიდის, მხოლოდ ამ ჩვეულებათა შენახვით ვერ დაკმაყოფილდება. საჭიროა ხალხის ცხოვრება მიჰყვეს ცხოვრების განვითარებას, საჭიროა მისი წინსვლა. საჭიროა ამ საღ ჩვეულებებზე დამყნობა ახალი ცხოვრების მონაპოვართა, ზიარება საერთო-საკაცობრიო კულტურისა.

10

ჩვენი ხალხოსნების ერთ-ერთი მთავარი საშუალება ხალხის ცხოვრების უკეთესმართ პირობებთან ბრძოლისათვის—იყო სკოლების დაარსება და სწავლა-განათლების გატანა ხალხში. აკი მთელი ჯგუფი ხალხოსნებისა წავიდა სოფლად სახალხო სკოლის და ხალხში სწავლა-განათლების საქმის საფუძვლების ჩაყრის მიზნით. აკი სკოლისა და სწავლა-განათლების საჭიროება ხალხის კეთილ-დღეობისათვის, მისი ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ჩვენს ლიტერატურაში უკვე 60-იანი წლებიდან (ჟურნალი „საქართველოს

მოამბე“, მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ და სხვა) წითელი ზოლივით მოსდევს.

აკი ჟურნალი „ი მ ე დ ი ს“ თანამშრომლებმაც უდიდესი ყურადღება მიაქციეს სკოლას და მის მნიშვნელობის ახსნა-განმარტებას. „მიეცით ხალხს საშუალება,—მქადაგებლის კილოთი სწერს გადაღმელი,—რომ ჩაიხედოს სწავლით თავის ნაკლულევანებაში, დაინახოს თავისი მდგომარეობა, სწავლა იყოს იმისიენ სარკე... ხალხი და სახელმწიფო მხოლოდ მაშინ მიაღწევენ კეთილ მდგომარეობამდის, როდესაც ყველა მცხოვრებელნი (население) თანასწორად მიიღებენ სწავლა-განათლებას, საშუალო სკოლებში თუ არა, სახალხო სკოლებში მაინც. ამიტომ, ვიმეორებთ, რომ ამ მიზნის მისაღწევად ის კი არ არის საკმაო, რომ თვითეული პირი გამოვიდეს თავისი მდგომარეობიდამ და მიაღწიოს უმაღლეს განათლებამდის, არამედ საჭიროა, რომ მთელი ხალხი (масса) იყოს თანასწორად გონება-გახსნილი და შეეძლოს თავისი სწავლის მოხმარება“[1].

ჩვენს ხალხოსნებს ძალიან კარგად და მკაფიოდ ესმით, რომ ნამდვილი სკოლა შეიძლება შეიქმნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც გაბატონდება ის აზრი და შეხედულება, „რომ სახელმწიფო უნდა იყოს მთელი ხალხისათვის და არა რომელიმე წოდებისათვის“[2]. ჩვენი ხალხოსნების შეხედულებით და გაგებით, ნამდვილი სახალხო განათლება მაშინ გატარდება ცხოვრებაში, როდესაც ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა ა მ ე ნ ე ბ უ ლ ი ი ქ მ ნ ე ბ ა ი მ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე, რ ო მ ე ლ ი ც ს წ ა ვ ლ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს ყ ვ ე ლ ა წ ო დ ე ბ ა ს მ ი ა ნ ი ჭ ებ ს. „სადაც ხალხის განათლება,—სწერს ნიკო ხიზანაშვილი,—უფრო ფართო თავისუფლებაზედ არის დაფუძნებული, იქ სახელმწიფოც და ხალხიც მთელს და საღს სხეულს წარმოადგენს“[3].

საგულისხმიერია აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი ხალხოსნებისათვის აშკარაა ჩვენი ხალხური სკოლის და მისი ბუნების სხვაობა შედარებით რუსეთის სკოლასთან, მათი შეხედულებით, ჩვენი სკოლა რუსეთში მიღებული სკოლის შაბლონზე და მიხედვით არ უნდა იყოს

---

[1]) გ ა დ ა ღ მ ე ლ ი—ჩვენი სასოფლო სკოლები—„იმედი“ 1881 წ. № 5: გვ. 60.

[2]) ნ ი კ ო ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, - საფუძვლები სახალხო განათლებისა—„იმედი“ 1882 წ. № 5, გვ. 8.

[3]) იქვე—გვ. 16.

აგებული. „ისეთი განსხვავება უნდა იყოს ჩვენებურის და რუსეთის შკოლების შუა,—სწერს გადალმელი,—როგორიც განსხვავებაა ჩვენსა და იმათ ზნე-ხასიათის, ჩვეულებასა, ენასა და თვისებას შუა“ [1].

ამ თემით „იმედი“ ხერხიანად სარგებლობს, სახალხო სკოლის პოპულარიზაციას ცდილობს და არსებულ სკოლებს საკმარისი სისწორით ⁄ გაბედულობით აკრიტიკებს. „სახალხო სკოლები,—სწერს დავით აბდუშელიშვილი,—მგონია მისთვის უფრო გახსნეს ჩვენში, რომ წარდგინებაში სასწავლებლების რიცხვი მეტად აღმოჩენილიყო და მტერს არ ეთქვა, კავკასიის განათლებაზე არა ზრუნავენო. სწავლა ჩვენებურ სკოლებში წერა-კითხვას ვერ აღემატება. ორიოდე რუსული ლექსი და სიმღერა თუ გაიზეპირა ბავშვმა, მერმედ ისიც უაზროდ, როგორმე კაკკაკივით, ის არის და ის, მით გათავდება მისი აღზრდა. თითქმის ყოველ ჩვენებურ სახალხო სკოლაში სრულებით მოუმზადებელი ოსტატი ასწავლის, რომელიც ან რომელიმე დაბალ კლასიდან გამოურიცხავთ, ან არა და ბევრი, ბევრი, თუ უეზდის სასწავლებლის კურსი მაინც შეუსრულებია. სახალხო სკოლების პროგრამაც იმ ნაირად არის შედგენილი, რომ ხეირიანი მასწავლებელიც ვერას გახდება“ [2]. შემდეგ დ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი სრულიად სამართლიანად და სწორად აკრიტიკებს ჩვენს სკოლას, რომელიც ახალგაზრდას თითქმის არაფერს არ აძლევს. კურსდამთავრებულს არც ისეთი სწავლა გამოაქვს, რომელიც იმას გამოადგება ცხოვრებაში, და „არც იმისთანა, რომ საზოგადოების ხეირიან წევრად გამოდგეს“ [3]). ჩვენი კურსდამთავრებული ყმაწვილი, უკეთესს შემთხვევაში, შეიძლება ჩინოვნიკად გამოდგეს. ეს ხდება იმიტომ, განაგრძობს აბდუშელიშვილი,—რომ პროგრამას ადგენენ ისეთი პირები, რომლებიც ცხოვრებასა და ხალხის მოთხოვნილებას არ იცნობენ. სკოლა და მისი პროგრამები ხალხის ცხოვრებისა და ინტერესის გარეშე იდგა.

ჩვენი ხალხოსნები კარგადა ჰგრძნობდნენ, რომ ს კ ო ლ ი ს მ ო წ ყ ო ბ ა შ ი თ ვ ი თ ხ ა ლ ხ ი უ ნ დ ა ჩ ა ე ბ ა ს; თ ვ ი თ ხ ა ლ ხ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ი ნ ტ ე რ ე ს ი დ ა გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა უ ნ დ ა ა ს ა ზ რ დ ო ე ბ დ ე ს ' ს კ ო ლ ა ს. „სასწავლებლების მდგომარეობა,—სწერს დ. აბდუშელიშვილი,—მათი ბედი და იღბალი მთლად საზო-

---

[1]) გ ა დ ა ლ მ ე ლ ი—ჩვენი სოფლის სკოლები—„იმედი“, 1881 წ. № 5, გვ. 58.

[2]) დ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი—ჩვენებური სასწავლებლების ეხლანდელი მდგომარეობა,—„იმედი“, 1881 წ. № 2, გვ 128-129.

[3]) იქვე—130-131.

გადოების ხელში უნდა იყოს; საზოგადოება უნდა ადგენდეს მათთვის პროგრამას, ირჩევდეს მასწავლებლებს და მართველებს და ინახავდეს სასწავლებელს თავის ხარჯით"[1].

ასეთსავე უფრო გარკვეულ და უფრო რადიკალურ აზრს გამოსთქვამს გ ა დ ა ღ მ ე ლ ი ც. „შკოლების ადმინისტრაციის ვალია, —სწერს ის,—მოიწვიოს ხალხის წარმომადგენელნი და იმათთან ერთად შეიმუშაოს სახალხო სკოლების პროგრამა"[2].

საგულისხმიეროა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჩვენი ხალხოსნები მშვენივრად და სწორედ გრძნობენ, რომ ჩ ვ ე ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს უ ს ა ბ ი რ ო ე ს ი ტ ი პ ი ს კ ო ლ ი ს ა უ ნ დ ა ი ყ ო ს ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო ს კ ო ლ ა. ასეთს სკოლებს უნდა მიეკუთნოს კარგი ფართო ნაკვეთი მიწა—სასწავლებლად და საჩენებლად ახლო-მახლო სოფლებისათვის.

„ი მ ე დ ი" კარგადა ჰგრძნობს, რომ, მართალია, სკოლას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებისათვის, მაგრამ სკოლის კარგს და სწორ ნიადაგზე დაყენებისათვის კიდევ ბევრი რამ არის საჭირო. „ჩვენ მხოლოდ ი ვ ა ზრისანი ვართ,—ეკითხულობთ „იმედში",—რომ პირველ ყოვლისა ხალხის კეთილდღეობისათვის სხვა რამ არის საჭირო და მერე რიგიანად მოწყობილი სკოლა. სკოლაზე წინა დგანან: ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური ხალხის რიგიანი განწყობილებანი და შემდეგ სასწავლებელი. სანამ კაცობრიობის ბედილბალი იმნაირ გზაზე იდგება, რომ ზოგს მეტის-მეტი სიმდიდრისაგან ჭკუა-გონება დაკარგული ექნება და უმეტესი ნაწილი კი დღიდღითი-დღე ლუკმა პურის მოპოების ფიქრში იქნება, სკოლას დიდი მნიშვნელობა არ ექნება"[3].

მაგრამ ჩვენს ხალხოსნებს მაინც კარგად ესმით, რომ სახალხო განათლების წინწაწევა ხელს შეუწყობს ხალხის კეთილ-დღეობის მოწყობას, ჩვენი ხალხის უმწეო მდგომარეობის გაუმჯობესობას. ამიტომ სახალხო სკოლის დაარსება და იქ მუშაობა ჩვენი ხალხოსნებისათვის გადაიქცა ერთს უმთავრეს ლოზუნგად და მოვალეობად.[4]

---

[1]) დ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი,—ჩვენებური სასწავლებლების ეხლანდელი მდგომარეობა—„იმედი" 1881 წ. № 2; გვ. 134.

[2]) გ ა დ ა ღ მ ე ლ ი—ჩვენი სასოფლო სკოლები—„იმედი"—1881 წ., № 5, გვ. 61.

[3]) „ი მ ე დ ი" 1881 წ. № 6—ქართ. შორის წერა-კითხვის გამ. საზ. მოქმედ. —გვ. 104.

[4]) აკი ჟურნალი „იმედის" თანამშრომელთა უმეტესი ნაწილიც ხალხში მოღვაწეობის მიზნით გაიფანტა ჩვენს პროვინციებში სოფლი სმასწავლებლებად: მაგალ. სოფ. მ გ ა ლ ობ ლ ი შ ვ ი ლ ი, გრ. ყ ი ფ შ ი ძ ე, შ ა ქ რ ო (ზაქარია გულისაშვილი), მიხ. ა ს ა თ ი ა ნ ი, მ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე და სხვანი.

აკი მხატვრულმა ლიტერატურამაც ხალხოსნების მოღვაწეობის ეს მიმართულებაც მკვეთრად ასახა.

აი როგორ ფიქრობს ახალგაზრდა, ხალხოსნური იდეებით გატაცებული გიგო ღრუბელაშვილი: „მე უნდა მივეშველო ხალხსა, ძეურად გვერდში ამოუდგე და მის ფეხზე წამოყენებას შევწირო მთელი ჩემი სიცოცხლე. ორიოდე თვის შემდეგ მაღალ სასწავლებელში შევყობ თავსა, ვემთხვევი სწავლა-მეცნიერების დიდებულ ტახტსა... მე იქ შევისწავლი სამკურნალო მეცნიერებას და თანაც გულდადებით ვიკითხავ პედაგოგიურ თხზულებათა. საჭიროა აგრეთვე ცოდნა სამართლის კანონებისა, რომ მათის დახმარებით გლეხ-კაცი აღარავის დავაჩაგვრინო. შევისწავლი ყველა ამას, მოვალ ჩვენს სოფელში, გავხსნი შკოლას და ვასწავლი დიდებსაც და პატარეებსაც“.[1]

„ქაჯანა“-ში ნიკო ლომაური უკვე გვაძლევს სოფლის მასწავლებლის ტიპს, რომელსაც გატაცებით და მუყაითობით, მტკიცედ აურჩევია ეკლიანი გზა სახალხო განათლების თესლის მთესველისა. „მე დღეს ვარ,—გატაცებით და ზნეობრივი კმაყოფილებით ეუბნება სანდრო ავტორს,—თქვენებური სკოლის მასწავლებელი. მართალია, სიღარიბე ბევრნაირად მაწუხებს, მაგრამ რაკი ჩემს მიზანს ვემსახურები, მწუხარებასთან სიტკბოებასაც ბევრსა ვგრძნობ. შენის თვალით რომ ხედავდე შენი შრომის კეთილ ნაყოფს, განა ეს ბედნიერება არ არის?! უნდა შემოხვიდე როდისმე ჩემს სკოლაში და დაინახო, როგორის მოსაზრებით და სიცოცხლით იძენენ და ამბობენ ყველა მას, რაც კი ესმით ჩემგან!.. იცი? ორმოცამდის შეგირდი მყავს; ორი განყოფილება არის: ერთი ვაჟებისა და მეორე ქალებისა... ერთმანეთის მიხედვით ისეთნაირად არიან წახალისებულნი, რომ თქმა გაგიკვირდება: რომელი რომელსა სჯობიან:—გოგოები თუ ბიჭებიო“...[2]

სანდრო იმასა სწუხს, რომ აღარ იცის, რა გააკეთოს, ან რა მოახერხოს, რომ ამ ნიჭიერი ბავშვების შემოქმედებას და ჭნარს შესაფერი გასაქანი მისცეს. „მე დარწმუნებული ვარ,—მოჯადოვებულ ჩიხში მომწყვდეულივით ეუბნება სანდრო ავტორს,—იმათ რომ სწავლა გააგრძელონ, სახელოვანი შვილები გამოუვლენ ჩვენს დაცემულ ქვეყანას... მაგრამ რითი? ამ ერთი ძველი ჩოხის მეტი არა მაბადია რა!—სთქვა და მწუხარებით დაკიდა თავი ძირსა“.[3] და ეს მწუხარება

---

[1]) ნიკო ლომოური—გიგო ღრუბელაშვილი,—გვ. 138—139.

[2]) მისივე—ქაჯანა, გვ. 76.

[3]) იქვე გვ. 77.

საერთო, დამახასიათებელი იყო ყველა სახალხო სკოლის მასწავლებლისთვის და ყოველი „ხალხის მოკეთისათვის“.

მართალია, პატარა ნიკიერ ქაჯანას გამოუჩნდა ხელმძღვანელი და გზაზე დამყენებელი. მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში! სრულიად სამართლიანად, გულის ტკივილით შენიშნავს ხალხის მოკეთე ავტორი: „ვინ იცის, რამდენი „ქაჯანები“ დარჩებიან კიდევ ჩვენ საცოდავ სოფლებში?!-ო“[1]

სკოლისა და კულტურული მოღვაწეობის აუცილებლობა თანდათან ფეხს იკიდებს თვით გლეხ-კაცობაშიაც, თუ მასებში არა, მის მოწინავე ნაწილში მაინც. ეს მშვენივრადა აქვს ასახული ნიკო ლომოურს მოთხრობაში „ბ ე დ ი - უ ბ ე დ ურ თ ა“. გლეხ-კაცები, შეეიწროვებულნი მემამულისა და მამასახლისის ჩაფრებისაგან, ჩივილით აღნიშნავენ, რომ მათ არავინ არ იბრალებს, მათთვის არავინ ზრუნავს. ათასში ერთი თუ გამოვა, თორემ სხვანი სულ მათს მტრობასა და დაჩაგვრაში არიან.

„ფიქრი არ არის,—ეუბნება მათ უბედურთა ბედის გულწრფელი თანაზიარი, რევოლუციონური ენინით გამსჭვალული ვანო,—დადგება ისეთი დრო, როდესაც თქვენ ერთი-ორად გადაუხდით თქვენს მტრებს. ჯერ-ერთი, ეს სკოლა წავიყვანოთ კარგად, მერმე შეეაგროვოთ ფული და ბანკი გავხსნათ. ბანკის სარგებლით გავხსნათ დეპო. დეპოს მოგებით ჩვენი სკოლიდან შეგირდები გავგზავნოთ ხოლმე სხვადასხვა სკოლებში“[2].

სოფლის მასწავლებლის ასეთი ტიპის ასახვა შ ა ქ რ ო ს შემოქმედებაშიც მთავარ თვისებად უნდა ჩაითვალოს. მისი ჩაღოლაძე („მეტიველიან“), რომელიც „აღზრდილი სისაწყლეში და დაბალ ხალხს შუა, მერე საკმაოდ გარდილი გონებით და სწავლით, ადვილად უახლოვდებოდა დაბალ ხალხს და სოფელში იკვლევდა იმ მიზეზებს, რომლებიც მუდამ უკუღმა აბრუნებენ ქვეყნიერების ჩარხსა... იმას მალე გადაეშალა თვალწინ უზარ-მაზარი შავის ასოებით დაწერილი ხალხთა ცხოვრების წიგნი“... მას გლეხის ცხოვრებიდან ამოკრეფილი უკუღმართი ანგარიშებით სავსე ჰქონდა ჯიბეები და ბევრჯელ ჩაუყურჭუმელაიდებოდა ხოლმე შიგ, რომ გეეგო, რათ არის ესეთი უკუღმართი ანგარიში ხალხის ცხოვრებაში და როგორ უნდა გასწორებულიყო და სწორე ანგარიში შემოსულიყო ხალხში? რ ო გ ო რ ც

---

[1]) ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი—ქაჯანა გვ. 78.

[2]) მისივე—ბედი უბედურთა—გვ. 105.

კაი ექიმი, ეს ჯერ ავადმყოფობის მიზეზებს ეძებდა, რომ მერე წამალიც მიეცა".[1]

ეს განცდაა ტიპიური, ხალხიდან გამოსული ხალხოსანისათვის, რომელიც ამ ცხოვრების კლანჭებიდან დაუძლეველი სურვილით გატაცებული უკეთესმართი მდგომარეობის ძირეულ მიზეზს ეძებდა, რათა საფუძვლიანად აღმოეფხვრა ბოროტება და ახალი ცხოვრების შენობა საძირკვლიანად დაეწყო.

ასეთივე ტკივილებითაა დასერილი შაქროს რომანი „განთიადის" მთავარი გმირი სიმნო, რომლის ჯან-ღონით სავსე ბუნება და სწავლას ხარბად დაწაფებული გონება „ბევრსა ფიქრობდა იმაზედ, თუ ვისთვის უნდა გეეწია იმას სამსახური? ან რაში უნდა მოეხმარებინა თავისი ძალღონე. ღრმა და ხანგრძლივი აწონ-დაწონვის შემდეგ მასში გაცხოველდა წადილი ხალხში გასვლისა, მისი ავან-ჩავანის გაგებისა, მისი იარების გამოკვლევისა და აქედგან ცდა იმ მალამოების ძალისა, რომლებითაც ის აღიჭურვა თეორეთიკულად".[2] ამ აზრმა სიმნოს ერთს დღეს გაშმაგებულად გადააწყვეტინა სოფლის მასწავლებლობა. „მისი აზრით,—გადმოგვცემს ავტორი,—ეს (მასწავლებლობა) უდიდეს ხელობათაგანი იყო, მეტადრე როცა ხალხის გაცნობის და მასთან დაახლოვების აზრს ზედ უმატებდა—მასწავლებელი უნდა ზნეობითაც მტკიცე, დაბალ ხალხისათვისაც თავ-გამოდებული, ტვინის ძალა ხომ საკმაო და პატივ-საცემი უნდა ჰქონოდა და ჰქონდა... ამაებში მან წვრთნა თავისი თავი წინეთაც, მაგრამ თითონ ხელობაც უნდა ზეესწავლა. იმიტომ დაიწყო კითხვა სპენსერის, რუსოსი, პესტალოცის, ამოს კომენსკისა,—დიტეხს და დისტერვეგს—სულ „ტყავი გააძრო", როგორც სემინარიელები იტყოდნენ ხოლმე"[3]

სიმნო დაუღალავად მუშაობდა სოფ. მტკვრისპირში ორი წლის განმავლობაში არა მარტო როგორც სოფლის სკოლის მასწავლებელი, არამედ როგორც მასწავლებელი და დაუღალავი მასწავლებელიც მოზრდილთათვის, სასარგებლო ცოდნის შემტანი ხალხში და წერა-კითხვის უცოდინარობის მომსპობი, როგორც შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დამაარსებელი და, როგორც ექიმი და ვექილი უპატრონოდ დარჩენილი, დაბრიყვებული ხალხისა.—და ეს წარმტაცი ნიშუში იყო ყოველი ხალხოსანისათვის და გატაცებითაც იზიდავდა არა

[1]) შაქრო—მეტივე—„იმედი" 1881 წ. № 3 გვ. 8—9—კურსივი ჩვენია.
[2]) მისივე—განთიადი—„იმედი"—1882 წ. № 6—გვ. 23.
[3]) იქვე გვ. 23—24.

ერთს და ორს პატიოსან მოაზროვნეს რამოდენიმე ათეული წლების მანძილზე როგორც რუსეთის ცხოვრებაში, ისე ჩვენს სინამდვილეშიაც.

ასეთი კეთილის მთესველის ტიპი და კულტურტრეგერის სამოღვაწეო გეგმა მძლავრად იზიდავდა და იპყრობდა ჩვენს ნიჭიერს პოეტესას ეკატ. გაბაშვილის გრძნობასა და ოცნებასაც. მის შემოქმედებაში გლეხ-კაცის ცხოვრების და მისი განცდის გადაშლა მთავარი მოტივია. ამასთან ერთად ეკ. გაბაშვილისას მძლავრი გატაცებითა აქვს დასურათ-ხატებული ხალხში გასული ინტელიგენტის სახე—„თამარის ნუგეშ-ში“ და განსაკუთრებით „გამარჯვებულ ნიკო“-ში.

„თამარის ნუგეშში“ ხალხისათვის სასარგებლო მოღვაწეობით გატაცებულია თავადი ივანე შალვაშვილის ქალი თამარი. ის სწავლის დამთავრების შემდეგ გადასახლდა სოფლად. სურს თავისი ენერგია და მომზადება მოახმაროს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას.

ეკ. გაბაშვილისა იდეალისტი მწერალია. მას სწამს, რომ ხალხის კეთილდღეობით აღგზნებული, გულწრფელი, პატიოსანი პიროვნების კეთილი მოქმედების და სიტყვის ცხოვემყოფელ გავლენას წინ ვერაფერი დაუდგება. კეთილი მისწრაფება და აზრი ჰბუგავს ყველა დაბრკოლებას, ათბობს და აცხოველებს შავს მუშაობაში, ცხოვრების უკუღმართ ტრიალში გამოსულ გლეხკაცის უნდობელ და გაციებულ გულს. ამიტომ ეკ. გაბაშვილის ხალხოსანი გმირების მოქმედებას ხალხი დიდის სიმპატიით და ნდობით ეპყრობა.

ასეთია ბედი თამარ შალვაშვილისა. სოფელ ახალ-უბანში თამარმა ხალხისათვის თავისი მზრუნველობით საერთო ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. მისი მზრუნველობის და ენერგიის შემწეობით ახალ-უბანში სკოლა გაიხსნა და ღირსეული მასწავლებელი იქმნა მოწვეული, რომელსაც თამრო ფართო მიზნებსა და მოვალეობას უსახავს.

აი როგორი სიტყვით მიჰმართავს სკოლის გახსნის მიზნით შეგროვილ გლეხ-კაცობას: „ახალ-უბნელებო! სამი წელიწადია, რაც ჩვენ ამ სოფელში თქვენთან ერთად ვცხოვრობთ. ამ სამ წელიწადში ჩვენ რაც ღონე გვქონდა, ვეცადენით, რომ რაშიმე გამოგდგომოდით. წადილი დიდი გვქონდა, საქმით კი დიდი არა გამოვიდა რა. მე ვასწავლე მხოლოდ თქვენ ქალებს წიგნი, ცოტაოდენი ხელსაქმე და გავაგებინე, თუ ოჯახის სუფთად შენახვას და მოვლას რა მნიშვნელობა აქვს ჯანის სისაღისათვის. მაგრამ ყველა ეს ძლიერ, ძლიერ

კოტაა თქვენი წარმატებისათვის. თქვენს ვაჟიშვილებსაც უნდათ სწავლა და არც თქვენთვის იქნება უსარგებლო, რომ კვირაობით მაინც მოისმინოთ ხოლმე საუბარი იმაზე, თუ თქვენთვის რა უფრო მავნებელია და რა უფრო სასარგებლო, რა გარგებთ, რითი უნდა ებრძოლოთ თქვენს მტერს და რითი უნდა გაუძღვეთ თქვენს მოყვარეს. ამისათვის მამას ღონე არ მოსდევს და მეც ჩემ თავს საკმაოდ მომზადებულად არა ვთვლი. აქამდინაც გირჩევდით და დღესაც გირჩევთ გამართოთ თქვენის შვილებისათვის სკოლა, სადაც ამათ შეეძლოთ სწავლის შეძენა და ამით ცხოვრების მძიმე ტვირთის შემსუბუქება.

„მე ჩემის მხრით ვეცადე და გიშოვნეთ თქვენთვის პატიოსანი კაცი, რომელიც არამც თუ მარტო თქვენი შვილების მასწავლებელი იქნება, არამედ თქვენი დამრიგებელი და სწორი გზის მაჩვენებელიც იქნება“ [1].

მოღვაწეობის ასეთი სურვილი, გზა და დასაწყისი ჩვეულებრივი იყო ხალხოსნისათვის, განსაკუთრებით მაღალი წოდებიდან გამოსული ხალხოსანისათვის, რომელიც მაღლიდან ეშვებოდა ხალხის ცხოვრების შორეულში დიდი სურვილით—გაეზიარებინა ხალხის ცხოვრება, დაჰხმარებოდა თავის უმცროს ძმას. თამრო შალვაშვილი სახეა ასეთი ხალხოსანისა.

რამოდენიმე წლის შემდეგ, თავისი მოღვაწეობით ბედნიერი და კმაყოფილი, თამრო გიორგი ედიშერიშვილს რომ შეჰხვდება, ყოველთვის „სხვისი ბედნიერებით კმაყოფილი“, სიხარულით აი რას ეუბნება მას: „ოს, თქვენ ახალ-უბანს ვერ იცნობთ,—გადამდები ბატაცებით ამბობს თამრო: —ჩვენი სკოლა თავისი პატარა და დიდი შოწაფეებით აღტაცებაში მოგიყვანთ, მასწავლებელი სამაგალითო გამოგვადგა. მღვდელი უფრო უკეთესი“[2]... თამრო, როგორც გაზაფხულის სასიამოვნო მცხუნვარე მზე, ყველას ათბობს და აყვავებს, როგორც მძლავრი ანდამანტი, იზიდავს თანაზიართ ხალხისათვის სასარგებლო მუშაობაში და, უნდა ითქვას, წარმატებითაც. აკი სოფლისათვის სასარგებლო და შესაფერი მასწავლებელი იშოვა; აკი ალექსი მღვდელიც შეაყენა ამ კეთილ საქმეზე. აკი თავისი მამაც ჩაება ამ საქმეში; აკი ბრწყინვალე მხედარი გიორგი ედიშერიშვილის ცხოვრებაც შეაბრუნა—ხალხისაკენ: „მე თუმცა მომზადებული არა ვარ,—ახალი გზისაკენ გამზადებული, დღემდის რაღაც დაუკმაყოფილებელი ბუნების დაკმაყოფილების მოლოდინში მყოფი გიორგი

[1]) ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა—თამარის ნუგეში—გვ. 350—351.

[2]) იქვე—გვ. 356.

ეუბნება თავის დედას,—ამ საქმისათვის, მაგრამ საზღვარ-გარეთ წავალ და იქ შევისწავლი, რაც საჭიროა ჩვენი მიწა-წყალისათვის და უკან დავბრუნდები. მაშინ, დედა, გადავსახლდეთ „შალვასეულში“ და ხელ-ახლად ავაშენოთ ის, რაც დავაქციეთ და ავაოხრეთ ჩვენი ქალაქში გადმოსახლებით.

„თუმცა ახლა გვიან არის იმის დაწყება, რაც ყმაწვილობიდ-განვე უნდა დამეწყო, მაგრამ გამოფხიზლება და საქმის დ-ა-წყება, რა დროსაც უნდა იყოს, საზარალო არ იქნება ჩემის ქვეყნ-ი-სათვის“[1].

თამრომ უახლოეს მეგობრადაც აირჩია ლევანი, რომელიც ზზ-ადაა შესდგეს თამროს სამოქმედო ასპარეზზე, გაჰყვეს მას გატაცე-ბით და უფრო გააღრმაოს მისი დაწყებული საქმე. ამ მიზნით ლევანი მიდის საფრანგეთში, სადაც უმაღლეს სასწავლებელში მეურნეობა-უნდა შეისწავლოს. სამსახურში შესვლის წინააღმდეგია. „სამსა-ხურში!—გაოცებით უპასუხებს ლევანი გიორგის და ღიმილით თავს გაიქნევს—არა! არა! ღმერთმა დამიფაროს! საუბედუროდ არც მა-მული მაქვს. მაგრამ მთელი საქართველო მე ჩემს მამულად მიმაჩნია, რომელიც ავად არის და მკურნალი ეჭირვება. რამდენიც უფრო მეტი მკურნალი ეყოლება მას, იმდენი უფრო უკეთესი იქნება“[2].

აი ეკ. გაბაშვილის შეხედულებით, როგორ დიდებ ა გუნდი ამ ხალხის მოკეთეთა. ერთს საინტერესო მოვლენას უნდა გავუსვათ გაკვრით ფაინც ხაზი. ეს გახლავთ მონანიე აზნაურის არსებობა ჩვ-ენი ცხოვრების სინამდვილეში და მისი ასახვა ჩვენს ლიტერატუ-რაში (გიორგი ედიშერიშვილი, ეჭვს გარეშეა, „მ ო ნ ა ნ ი ე ა ზ ნ ა უ-რ ი ს“ თვისების მატარებელია).

ზევით, თავის ალაგზე, როდესაც რუსეთის 60-70-იანი წლების საზოგადო აზროვნებას ვეცნობოდით, აღვნიშნეთ, რომ „მონანიე აზნაური“ რუსეთის საზოგადო ცხოვრებაში სამოლვაწეო ასპარეზზე 60-იან წლებში გამოდის. ეს ერთი დამახასიათებელი ელემენტი რუსეთის 60-70-იანი წლების საზოგადო აზ-ოვნებისა და რუსული ხალხსნობისა. ასეთსავე მოვლენას ვამჩნევთ ჩვენი ცხოვრების სი-ნამდვილეში. ჩვენმა ლიტერატურამაც ასახა ესევე მოვლენა, თუმცა რასაკვირველია, არა ისე მკვეთრად, როგორც ეს რუსულ ლიტერა-შია. რუსეთის სინამდვილეში „მონანიე აზნაურის“ როლიც და რ-ცხვიც უფრო ძლიერი და დიდი იყო.

---

[1]) ე კ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა—თამროს ნუგეში—გვ. 371.

[2]) იქვე, გვ. 377

ჩვენს ლიტერატურაში „მონანიე აზნაურის“ ტიპს გვაძლევს ეკ. გაბაშვილისა „თამარის ნუგეშში“. აქ გიორგი ედიშერიშვილი მონანიე აზნაურის თვისების მატარებელია. ილია ჭავჭავაძის არჩილი და კესოც, განსაკუთრებით პირველი, მონანიე აზნაურის ტიპებია, რასაკვირველია, ჩვენს სინამდვილეში წარმოშობილი.

ძველი ფეოდალური ნატურალური მეურნეობის რღვევამ, ამაზე აღმოცენებულმა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ, როგორც ამის შედეგმა—საზოგადოების სოციალურმა გადაჯგუფებამ, ამასთან დაკავშირებით იდეურმა მოძრაობამ, კაცისა და შრომის განთავისუფლებით გატაცებულმა, გამოიწვია ჩაგრულთა მასების დარაზმვა და მათში ბრძოლით უკეთესი მომავლის მოპოვების სურვილი გააღვივა.

ცხოვრების ეკონომიური პირობების შეცვლამ და ამაზე აღმოცენებულმა განმანათავისუფლებელმა მოძრაობამ გარკვეული გარდატეხა მოახდინა ჩვენს თავად-აზნაურთა წრეებიდან გამოსული ახალგაზრდა ინტელიგენციის აზროვნებაშიც. ახალმა მოვლენებმა ისინიც დააფიქრა და მათში მოქალაქის ერთგვარი პასუხისმგებლობა გააღვიძა. გლეხკაცთა ოფლისა და შრომით მიღებული პირადი ფუფუნება და უზრუნველი ცხოვრება ლუარსაბ თათქარიძესავით დაკმაყოფილების ეშხით და უპირატესობის სიამოვნებით ამათ აღარ ავსებს. ეპვი ასეთი ცხოვრების სისრულისა, სიამოვნებისა და სამართლიანობისა ღრღნის მათს გაღვიძებულ სინიდისს. პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე და მათთვის ზრუნვა „მონანიე აზნაურის“ ცხოვრებას თავისებურ ახალს მიმართულებას აძლევს.

ჩვენი ინტელიგენციის აზროვნებაში ამ მიმართულების დამწყებად შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი თერგდალეულები.

უნდა აღინიშნოს, რომ „მონანიე აზნაურის“ მსოფლმხედველობა ჩვენს ცხოვრებაში ა რ ანუ ვ ე რ ჩამოყალიბდა ისე, როგორც ამას რუსეთში ვხედავთ. ეს შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა არ იყო ეკონომიურად ისე მძლავრი, როგორც რუსეთში. ჩვენს თავად-აზნაურთა და გლეხობას შორის ეკონომიურად სხვადასხვაობა, მართალია, იყო, მაგრამ არც ისეთი გარდაუვალი, როგორც რუსეთში. ამიტომ მათს შორის კულტურული განსხვავებაც ასეთი დიდი არ იყო, როგორც რუსეთში.

საქართველოში რუსეთის შემოსვლით ეს განსხვავება ჩვენს თავად-აზნაურთა და გლეხებს შორის უფრო ღრმავდება. ეკონომიურად დარღვეული თავად-აზნაურობა საშინელის სიმძიმით დააწვა გლეხ-კ ?

ცობას. ახალმა ცხოვრებამ და ბიუროკრატიული წყობილების პრივილეგიებმა თავად-აზნაურობა უფრო მოაშორა გლეხს. მაგრამ ამავე მოვლენას მეორე თვისებაც აღმოაჩნდა. გადმონერგილ ბიუროკრატიულ წყობილებაში, სადაც ჩინი ყველაფრის დამძღვევი შეიქმნა, ჩვენი თავად-აზნაურობა, ეკონომიურად ნიადაგ-გამოცლილი, იძულებულია მიჰმართოს ჩინოვნიკობას. ჩინოვნიკობა-კი თხოულობდა სწავლას. სწავლის მიღების მოთხოვნილებამ ჩვენი თავად-აზნაურული ახალგაზრდობაც რუსეთში გაამგზავრა. იქ ისინი დააწაფა ახალი ცხოვრების იდეებს, რომლითაც მძლავრად იყო გაჟღენთილი რუსეთის 60—70 წლების ცხოვრება.

რუსეთის მოწინავე საზოგადოების აზროვნებამ ჩვენს თერგდალეულებს თვალი აუხილა, თანამედროვე ცხოვრების იქით მომავალი შინაარსიანი ცხოვრება დაანახვა. აგრძნობინა და აჩვენა თავისი ნაკლი, გლეხის მდგომარეობა, მისი დადებითი მხარეები, მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების საჭიროება. ამან გამოიწვია გონებრივად გამოფხიზლებული და თავისი პრივილეგიური მდგომარეობის,—ყმების, გლეხების ხარჯზე მტკივნეულად შემგრძნობელი ინტელიგენცია, რომელიც ცნობილია „მონანიე აზნაურის“ სახელწოდებით.

„მონანიე აზნაურებში“ ხალხოსნურმა იდეებმა ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა. ბევრი მათგანი ჩაება ხალხოსნურ მოღვაწეობაში. უნდა-კი აღინიშნოს, რომ ამ „მ ო ნ ა ნ ი ე ა ზ ნ ა უ რ ს“-ხ ა ლ ხ ო ს ა ნ ს ა რ ა ა ქ ვ ს ი ს ე თ ი ძ ა რ ღ ვ ი დ ა ძ ა ლ ა, რ ო გ ო რ ც ხ ა ლ ხ ი დ ა ნ გ ა მ ო ს ულ ს. „მონანიე აზნაურებში“ კიდევ ცოცხალია ნაშთი ფეოდალური წყობილებისა. გზა რევოლუციონური ბრძოლისა, ძველ ტრადიციებზე აღმოცენებული თვისებისაგან, განთავისუფლებული არ არის. პირადი ბედნიერების ძიება მათში მაინც დიდია. ასეთია გიორგი ედიშერიშვილი. ასეთია თამრო შალვაშვილი. ასეთივე მოსჩანს ლევანი.

ალხოსანი ტიპი, გამოსული თვით ხალხის წიაღიდან, უფრო ძლიერია და ჩვენ ლიტერატურაში ხალხის შვილის ხალხოსანის ასახვა უფრო მკვეთრია. თვით ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა ც უ ფ რ ო დ ა წ ვ რ ი ლ ებ ით გ ვ ი ხ ა ტ ა ვ ს „ხ ა ლ ხ ი ს მ ო კ ე თ ი ს“ ფ ი გ უ რ ა ს მ ო თ ხ რ ო ბ ა ს ი „ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ულ ი ნ ი კ ო“ ნ ი კ ო ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა ხ ი თ.

ნ ი კ ო ბ ე რ ი შ ვ ი ლ ს „ს ა კ უ თ ა რ პ ი რ ა დ ობ ის ფ ი ქ რ ი ა ი ნ უ ნ ში ა რ მ ო ს ვ ლ ო დ ა“. ის მუდამ ჟამს ზრუნავდა იმ მოვალეობაზე, რომელიც მან თავის ცხოვრების გზაზე ბირჩია და რომელიც მას უეჭვოდ, ურ-

ყველად საუკეთესო გზად მიაჩნდა. და ეს იმისთვის, რომ ნიკო „სოფლის შვილია და სიამოვნებით მიილტვოდა სოფლისკენ". მისი ოცნება „სავსე იყო მრავალის მაღალის აზრებით და იმედი ჰქონდა თავისი კეთილი აზრები დაემყნო სოფლის ნიადაგზე". რომ უფრო თვალსაჩინო გახადოს ნიკოს ასეთი ბუნება, ეკ. გაბაშვილისა ნიკოს უპირისპირებს მაღალი წოდებიდან გამოსულს, სოფელში სამასწავლებლოდ გამგზავრებულს, ლიზა კოშკაძეს. „ესეც (ნიკო ბერიშვილი) იმავე აზრით მიდიოდა კახეთში, როგორც ლიზა; ამასაც სოფლის მასწავლებლობა ჰქონდა მინდობილი, მაგრამ ეს თანამდებობა უფრო სანუგეშო და სასიამოვნო აზრებს ჰბადებდა მის გულში, ვიდრე სამწუხაროს. ლიზა იტანჯებოდა მხოლოდ პირადის უბედურებით, სწუხდა მხოლოდ თავისს მარტოობას, თავის ოცდახუთ მანათის ჯამაგირის სიმცირეს და ნიკო ბერიშვილს კი საკუთარ პირადობის ფიქრი აინუნშიარ მოსდიოდა. ჰფიქრობდა მხოლოდ იმ მოვალეობისათვის, რომელიც თავისს ცხოვრების ასპარეზად აირჩია და რომელიც თავის ქვეყანაში საუკეთესო შრომად მიაჩნდა. თვალწინ ჰყავდა მხოლოდ ის პატარა მოწაფეები, რომლებისთვისაც გონების თვალები უნდა აეხილნა, რომლებისთვისაც სინათლის გზა უნდა ესწავლებინა, რომელთა გულში სწავლა და მეცნიერება უნდა დაენერგა. სოფლის შვილი იყო, სიღარიბეში წვა-და-დაგვით გამოზრდილი. ამიტომ ძალიან კარგად იცოდა სოფლის ავი და კარგი, მისი მწვავი და წყლულნი და ჰფიქრობდა, რომ ერთად-ერთი სინათლის მომფენი სოფლის ბნელს ცხოვრებაში სკოლა იყო, და ამ სინათლის მოფენა, ამ სიბნელის გაშუქება საბედნიერო საქმედ მიაჩნდა და სხვა გვარი პირადი ბედნიერება მივიწყებული ჰქონდა"[1].

ნიკოს ცხოვრება და მდგომარეობა საკმარისად დაწვრილებით არის მოთხრობაში გადმოცემული. მისი, მართლადაც, ასეთი მოთმინებით და გულმხურვალეებით თავ-განწირული მოღვაწეობა ხალხის კეთილდღეობისათვის საკმარისად ღია ფერადებშია ასახული. თავადი იასონ ჯამბადრუკიანი დაცინვის მიზნით და ერთგვარი მძულვარებით ასე ახასიათებს ნიკო ბერიშვილს: „ჩვენი სოფლის ლეკიკა-

[1]) ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა—გამარჯვებული ნიკო.—გვ. 390—391—კურსივი ჩვენია.

რას სკოლის მასწავლებელი მთელი დღე, კვირაობითაც კი, განუყრელად გლეხებში ზის, იმათ ელაპარაკება, იმათში ერთობა; ჩვენ კი ვერას გზით ვერ შევიჩვიეთ. გასაკვირველი არის, განათლებული კაცი და განათლებულ საზოგადოებას ერიდებოდეს და გლეხებში, იმ უმეცარ, თითქმის გაპირუტყვებულ ხალხში დროს ატარებდეს და თანაც კმაყოფილებით ჰგრძნობდეს თავს!"[1].

და სწორედ თავადი ჯამბადრუკიანის დაცინვაში ნიკოსადმი და ნიკოს ასეთს თვითდაკმაყოფილებაში არის მთელი ძალა და ნიკოს ბუნების სწორი გამომქღავნება. ნიკოს მიერ ჯამბადრუკიანებთან შეგნებულად ხიდის ჩამტვრევაში და „თითქმის გაპირუტყვებულ ხალხში" კმაყოფილებით დროის ტარებაში იყო ხალხოსანთა ძალა, ორიგინალობა და ბიმზიდველობა.

თვით ნიკო ბერიშვილიც მშვენივრად ამჟღავნებს. ჯამბადრუკიანის ბუნებას და მათ შორის სხვადასხვაობას, როდესაც გამოუცდელ ლიზას აფრთხილებს: „ეგ ყმაწვილი (იასონ ჯამბადრუკიანი) იმ კრებულის კაცია,რომლის წევრნიც ყოვლად უსაქმურნი, ამაყნი, გონება-გაუხსნელნი ბრძანდებიან; ამ ვაკბატონების აზრით, ყოველი ღარიბი იმიტომ არის გაჩენილი, რომ იმათი ლუკმა გახდეს, იმათ ოქროს არ გადურჩეს შეუსყიდველი, დაუძლეველი. პირველი ხომ თქვენ არ იქნებით"[2]. და ლიზას ჯამბადრუკიანების გახრწნილ და ზნე-დაცემულ ცხოვრებას მუქ ფერადებში დაუხატავს.

ასეთმა მორიდებულმა და ამაყმა შეხედულებამ ჯამბადრუკიანებზე, ადამიანურმა, კაცურმა გრძნობამ უბედური, ნიშანში ამოღებული მსხვერპლისადმი ნიკოს დააკარგვინა საყვარელი და სანეტარო გზა მოღვაწეობისა, ბევრი ვაი-ვაგლახი და გაჭირვება დაატეხა მას და მის ღარიბ ოჯახს. ბოლოს, „ბევრის ფიქრის და ზნეობრივი ტანჯვის შემდეგ, ნიკომ გადასწყვიტა მღვდლობისათვის მოეკიდნა ხელი. თუმცა სარწმუნოებრივი გრძნობა,—ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი,—ხელს არ უწყობდა ამ დიდსა და წმინდა საქმეს შესდგომოდა, მაგრამ სრულის გულწრფელობით ნუგეშობდა მით, რომ სამაგიეროდ რელიგიურის რწმენისა ჰქონდა მადლი, ზნეობრივი ძალა, ძალა კაცთა სამსახურისა, რომ თამამად შეეძლო მოძღვრების ჯვარი აეღო ხელში და შესდგომოდა ამ მძიმე საქმეს, ფრიად ვრცელსა და სავალდებულო საქმეს"[3].

---

[1]) ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა—გამარჯვებული ნიკო,—გვ. 403.
[2]) იქვე—გვ. 433.
[3]) იქვე—გვ. 455.

ამ რიგად, ნიკო ბერიშვილმა, ერთ-გზაშეკრულმა, მეორე გზით შესძლო გაეტარებინა ცხოვრებაში დიდი მცნება—„შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი"-ოდ არა მარტო თვითონ შესძლო, არამედ გვერდში ამოიყენა გაუკულმართებული ცხოვრების ტალღებიდან უზნეო და უკულმართი ხალხის მიერ გადატყორცნილი და გათელილ ლიზა (რომელიც შემდგომ მისი ცოლი შეიქმნა), და აგრეთვეი სხვანიც. მისმა მადლიანმა და გატაცებულმა მოღვაწეობამ სოფელი ლილიფარიანი არაჩვეულებრივ, ყველაფრით რაციონალურად მოწყობილ ასოციაციად გადააქცია, სადაც ყველა შრომობს სიხარულით, ხალისით, სარგებლობის და ცხოვრების სარგებლიანობის შეგნებით. შრომობს ყველა ყოველისათვის და ყოველი ყველასათვის.

აი რასა სწერს ამ სოფლის შესახებ თავ. იასონ ჯამბადრუკიანი, რომელიც, როგორც მაზრის უფროსი, გაგზავნილი იყო—საიდუმლოდ გამოეძია ნიკო ბერიშვილის მოღვაწეობა: „არსად, გარდა საზღვარ-გარეთისა, არ შეეხვედრივარ ამისთანა სუფთა და კოპწია სოფელს; ორ-პირად ჩამომწკრივებულს სოფლის სახლებს, გზის აქეთ-იქით, წინ ორიოდ-სამი ხე უმშვენებდა ეზოს, რაც საქართველოში იშვიათია და ქართლში ხომ სანთლით არ მოიძებნება. თვით გზა გატკეცილი იყო და ორივე მხრივ ღრმად ამოჭრილ არხებში ანკარა რუები მოუდიოდა"[1].

მშვენიერი და ხალხოსნებისათვის ჩვეულებრივი გეგმაა მოცემული ომომავალი სოფლის ბედნიერი წყობილებისა, ურთი-ერთ მდგომარეობის გაგებისა და დახმარებისა, ეკონომიურად გამაგრებისა და კულტურულად წინ წაწევისა. ეს ფურიესებური ფალანგია (ამითვე გატაცებასა ვხედავთ რუს მწერლებშიაც).

გავეცნოთ უფრო ახლო ამ სოფლის ახალ სახეს:

„ბერიშვილი სდგას, დედაჩემო,—სწერს იასონ ჯამბადრუკიანი, —იმისთანა სასახლეში, რომელთანაც ჩვენი ნაქები დარბაზები თაგვის სოროებად გვეჩვენება. მაგრამ კი არ იფიქრო, რომ ის სასახლეს გაედიდკაცებინოს, სიმდიდრეს და ფუფუნებას შეეპყრას! არა! ეს ისევ ის ნიკოა და ისევ ის ტყავი ასხია. თავ-დაბალი, სადა, ზრდილი და კაცთ-მოყვარე, მხოლოდ სათნოება მოკმატებია, რადგან ყოველი თავისი აზრი შეუსრულებია და საბრძოლველად აღარა დარჩენია-რა.

„ჩვენ გავედით მოძღვრის ოთახიდან,—განაგრძობს იასონ ჯამბადრუკიანი,—გრძელ ტალანში და შევედით დიდს დარბაზში, რო-

[1]) ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი - გამარჯვებული ნიკო,—გვ. 463.

მელიც სამოსწავლო სკამებით იყო სავსე და ზედ რამდენიმე ახალგაზრდა გლეხის დედაკაცი სწერდა რვეულებზე; იმათ თავს ედგა შავებით ჩაცმული ქალი და წერას თვალ-ყურს ადევნებდა...

„აი, ბატონო,—უხსნის ნიკო ჯამბადრუკიანს,—ეს დიდი და საუკეთესო ოთახი ჩვენ დავუთმეთ სასოფლო სკოლას, აქვე გვაქვს მოთავსებული პატარა სასოფლო ბიბლიოთეკა. კვირაობით კი ჩემი მეუღლე აქ ასწავლის, როგორც თქვენ ჰხედავთ, ამ ახლად მოყვანილ პატარძლებს, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან, კვირაში ორჯელ, საღამოობით ჭრა და კერვასაც“. ჯამბადრუკიანის კითხვაზე „რატომ მარტო პატარძლებსო, ნიკო უპასუხებს: „სხვებმა ყველამ იციან წერა-კითხვა და ჭრა-კერვაც“[1].

„შემდეგ,—განაგრძობს სოფლის აღწერას იასონ ჯანბადრუკიანი, — ნიკომ გამიყვანა მეორე ოთახში, სადაც გამართული იყო ჩარხები, ქანდარები და სხვადასხვა სააბრეშუმო იარაღი და მითხრა: „აქ, ბატონო, ჩვენ ვამზადებთ აბრეშუმს და ვასწავლით მის შემუშავებას გლეხის ქალებს.

„მესამე ოთახში მაჩვენა აფთიაქი. ამ ოთახის ერთს მხარეს, შირმის უკან, ორი სუფთად გაშლილი ლოგინი იყო. მე ამან ძალიან გამაკვირვა.“—ეს საწოლები იმ შემთხვევისათვის გვაქვს,—მითხრა მოძღვარმა,—თუ დიდ ოჯახში გადამდები ავადმყოფობით გახდება ვინმე. ჩვენი სახლი სოფელზე კარგათ მოშორებით არის და ბევრჯელ ამ განცალკევებით სოფელი გადავარჩინეთ განსაცდელს. მეც და ჩემი ცოლიც ცოტაოდნად მიხვედრილი ვართ ექიმობას და, სანამ შეძლება ნებას მისცემს გლეხ-კაცობას თავისი საკუთარი ექიმი იყოლიონ, ჩვენ ვაძლევთ ცოტაოდენს შემწეობას.

„მერე მაჩვენა დიდი ქვითკირის ბეღელი, სადაც ინახებოდა საზოგადო პური, მერე მარანი, მშვენივრად მოწყობილი ყურძნის საწურავი მანქანით, საქაჯავით და სხვა.

„ყველა ეს აქაური გლეხებისა არის,—მიხსნიდა ნიკოლოზ მღვდელი. —საზოგადო ზვრიდან შემოსული ღვინო და საზოგადო მაღაზიის პური სრულიად ჰფარავს სასოფლო ხარჯებს, სახელმწიფო გადასახადს, გზების შეკეთებას და კიდევ რჩება იმდენი, რომ ვინახოთ თანხის შესაგროვებლად, რომლის სარგებლითაც შეგვეძლება ვიყოლიოთ საკუთარი ექიმი, გავიჩინოთ რიგიანი საქონელი, შევიძინოთ

---

[1]) იდეა ხალხის მასების წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა, ჩანს, ‹ხალხოსნებსაც უპირველეს და უსაპიროეს მიზნად მიაჩნდათ.

ზოგიერთი სამეურნეო იარაღი და, თუ საჭიროდ დავინახავთ, მამულებსაც შევისყიდით მეზობელ თავადებისგან.“

იასონ ჯამბადრუკიანის კითხვაზე: „საზოგადო ვენახი რას ქვიან?“-ო, ნიკო უპასუხებს, რომ მისმა ცოლმა შვიდი-რვა წლის წინად გადასცა გლეხ-კაცობას ოცდაათის დღის მიწა „იმ პირობით, რომ სოფელს შემოეღობნა და თავისი მუშით და შრომით გაეშენებინა ვენახი. რასაკვირველია, სოფელი დასთანხმდა და, აგერ ოთხი-ხუთი წელიწადია ჩინებული მოსავალი მოსდის კიდეც.“

მაგრამ ნიკოს ხელმძღვანელობით გლეხები ჩვეულებრივი მოსავლის მოყვანით აღარა კმაყოფილდებიან. მათი სურვილი და გულის ყური წარმატებისაკენ, კულტურულ წინმსვლელობისაკენაა მიმართული.

„ვენახის გაშენების სასწავლებლად ჩვენ მხოლოდ მცოდნე მებაღე მოვიწვიეთ და იმის შემწეობით ის საზოგადო ვენახი დღეს ჩინებულის ვაზით არის სავსე და სამაგალითო მევენახეობის წესით ნაგები და შემუშავებული. ავრეთვე ღვინის დაყენება პირველში გვასწავლა იმავე, მცოდნე მებაღემ და ახლა კი თითონ გლეხებიდგან არჩეული და სწავლული მებაღისაგან გაწვრთნილი მებაღეობს და აწარმოებს როგორც ვენახს, ისე ღვინის დაყენების საქმეს.

„გარდა ამისა,—განაგრძობს ნიკო,—გლეხებს აქვთ საზოგადო მინდორიც სახნავად; ისიც ოცდაათის დღისა, ისიც გადაცემულია მისი ცოლისაგან. მთელი სოფელი ჰხნავს იმას, ანოყიერებს და, როგორც მარჯვენა თვალს, ისე ულოლიებს. წელს კერძო მამულებიდგან დღიურზე საშუალო რიცხვით თორმეტი კოდი გამოვიდა და საზოგადო მინდვრიდგან კი ოცდახუთს გადააჭარბა. ეს ბეღელი სავსეა ჭერამდის და მხოლოდ მაშინ გავყიდით, როდესაც მომავლის წლის მოსავლის პირს დავინახავთ“.

რომ ლილიფარიანის ცხოვრების და წინმსვლელობის სურათი სრული იყოს, მოვიყვანთ ნიკო ბერიშვილის კიდევ ერთს ახსნას.

იასონ ჯამბადრუკიანი, გაკვირვებული ასეთი დაწყობილებით, ეკითხება ბერიშვილს: „ვინ განაგებს, ვინ ხელმძღვანელობს ყველა მაგ საქმეს?“ „რასაკვირველია,—სრულის შეგნებით და კმაყოფილებით უპასუხებს ნიკო,—ჯერ მე და ჩემი ცოლი. და შემდეგისათვის კი ვამზადებთ თვით მცხოვრებთაგან გამგებელთ. ჩვენ ყოველ წელიწადს ვგზავნით ქალაქში უკეთესის ნიჭის ყმაწვილებს და შემდეგში ისინი დაიჭერენ ჩვენ ალაგს. აი მალე მოგვიყვანენ რამდენიმე ჩინებულად მომზადებული ხელოსნები, ამ სოფლის შვილნი და იმათ

დახმარებით წავუმატებთ კიდევ ერთ საქმეს: დავაარსებთ სახელ ო-სნოს, სადაც სოფლის სკოლაში დამთავრებულები გადავლენ სახე-ლოსნოში ხელობის შესასწავლად.“[1]

აი გეგმა და იდეალი კულტურტრეგერი ხალხოსნის მოღვაწ-ეობისა: შექმნა პატარა, ფურიეს ფალანგისებური ასოციაციისა. თვით მასებია ჩაბმული საერთო კეთილდღეობის შექმნის საქმეში, თვით ისინი სჭედენ თავიანთ ბედს. და ტიპიური კულტურტრეგერი-ხალ-ხოსანი ნიკო ბერიშვილის ახალი მოღვაწეობა არ არღვევდა „საზო-გადო მშვიდობიანობას“, მაგრამ საკმარისად საფუძვლიანად ძირს უთხრიდა არსებულ წყობილებას. და ყველა ეს ხომ დღევანდელი ცხოვრების აღმშენებლობის გეგმაშიაცაა. ახლაც ხომ პირველ რიგ-შია დაყენებული მისი შესრულება!

ასეთისავე ცხოვრებისაკენ ტ ასეთისავე გატაცებით მიისწრაფვის სოფლის სკოლის მასწავლებლის ეკლიან გზაზე შემდგარი სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ს მათე ლაშხი. მან თავისი ბედი მჭიდროდ გადაბა მდაბიო ხალხის ბედს, შეიყვარა ხალხი. დაუზოგველად და გმირულად იტანდა შიმშილს, წყურვილს, სიცივეს, შევიწროებას, დევნას და ათას`ვაი-ვაგლახს. ექვსი წლის ასეთმა მოციქულებრივმა მოღვაწეობამ ლაშხი დასწვა და დაფერფლა ხალხის ბედნიერების სამსხვერპლოზე. ცოლის შერთვა, თანაზიარის და თანამგზავრის მო-ძებნაც ვერ გაბედა. მასზე ოცნებაც-კი თედოს თითქოს რაღაც ცო-დვად მიაჩნდა, „ჩემისთანა კაცისათვის ცოლშვილობა ოცნებაა სწო-რედ, ოცნება!.. ჩემისთანა კაცი ხალხისათვის უნდა ცხოვრობდეს, ის არის მისი საზრუნი, მას უნდა ეთაყვანოს... „აღიღე ჯვარი ჩემი და შემომიდეგ მეო,“ გვიმოძღვრა ქრისტემ... ეს უანდერძა ყველას, ვისაც კი გული შესტკივა კაცობრიობისათვის, მაგრამ განსაკუთრე-ბით ჩვენ, სოფლის მასწავლებლებს, გვხვდება წილად ეს მოძღვრება...“[2]

მათე ლაშხი კარგადა ჰგრძნობს, რომ მან ვერ შესძლო თავისი მისწრაფების განხორციელება. ის კარგადა ჰხედავს გარშემორტყმულ დაბრკოლებებს და მათთან ბრძოლის სირთულეს. მაგრამ ყველაზე მტკივნეულად განიცდის ხალხის გულგადაუხსნელობას მისდამი, რა-საც ზევითაც გავუსვით ხაზი. ხალხი ცხოვრების პირობებით შეწუხე-ბული გულგატეხილი იყო. არა სჯეროდა, რომ მისთვის ვინმე კე-თილს ზრუნვას გამოიჩენდა. ამაში იყო საშინელი ტრაღედია ხალ-

---

[1]) ე კ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა—გამარჯვებული ნიკო –გვ. 466 –470.

[2]) ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—სოფლავში ჩამომძახე—გვ. 5—„მოთხრო-ბანი“, გამოცემა 1926 წ.

ხოსნებისა, რომელიც თავის ცხოვრებას არ ზოგავდა ხალხისათვის, სამაგიეროდ ხალხი უნდობლობას იჩენდა მისდამი, ამას მეტად მტკივნეულად განიცდის მათე ლაშხიც: „თუ ვერ გავაკეთე, რაც ჩემს გულს სწადდა, ბრალია თვით ცხოვრების, რომლის გარდაქმნა ძნელია. ვერც გავაკეთებდი იმას, რაც მწადდა: ხალხი პატივსა მცემს, ვატყობ, ეუყვარვარ, მაგრამ გულს არ მიხსნის, არ მენდობა; ნდობა მასთან მე კი არ დამიკარგავს, დაუკარგავს ჩემს წინაპარს, ჩემს პაპას, ჩემს მამას. მე ხალხისათვის მისი შვილი არა ვარ, თავი დაუხწევია ჩემს წინაპარს იმ ჭაპანიდან, იმ უღლიდამ, რომელსაც ხალხი ეწევა, ხელი აღარ შეუშველებია მისი მძიმე ტვირთი სათვის, არ შეუმსუბუქებია იგი; ეს გარემოება ღრმად ჩასჭდევია ხალხს გულში, შვილითი-შვილად გადასაცემია და ნაყოფს მე ვიგემებ.“[1]

ასეთი სულიერი განცდა, სინიდისის ქეჯნა ხომ დამახასიათებელი იყო რუსი ხალხოსნებისათვისაც!

მათე ლაშხი კარგად იცნობს ხალხის ცხოვრების მაჯის ცემას, ხერხიანად იხედება მის გულის სიღრმეში, გლეხის საიდუმლოებრივ, დაფარულს და გამოურკვეველ სურვილებსაც-კი კითხულობს. მან კარგად იცის, რომ ამ ეკლიან გზაზე სიარული უფრო ადვილი და მიზნის მიმხწევი იქნება, როდესაც ახალი, ადამიანური ცხოვრების მოციქულად გამოვა თვით ხალხის ღვიძლი შვილი—მისი „სისხლი სისხლთაგან, და ხორცი ხორცთაგან“. ამისთანა მოციქულთა რაზმის შექმნისაკენ იყო მოქცეული მთელი ყურადღება პრაქტიკულ ცხოვრებაში ხშირად დამარცხებული ხალხოსნებისა. „აი, ჩემმა ჭკვიანმა პეტრემ, ჩემმა სანატრელმა მოწაფემ, ჩემი ადგილი რომ დაიჭიროს, მაშინ იმას ხალხი ჩაახედებს თავის გულში, თვითონაც პეტრეს გულში ჩაიხედავს, მათი გულის სიმები გადიბმის, სიყვარული და ერთობა ნდობით შეიმოსება და ხალხი აღდგომის გზას დაადგება. ჩემიც სჯერა, სწამს ჩემი თვისდამი სიკეთე, მაგრამ ცალუბივ ემორჩილება ჩემს რწმენას, ჩემს აზრებს; თვით ღვიძლი შვილი-კი სულ სხვაა, მხოლოდ იგი მოსწმენდს მას ცრემლებსა... ეს არის ჩემი ექვსი წლის დაკვირვების შედეგი“[2].

ამის გამო და ამ მიზნით თედომ შემოიკრიფა ხალხის ნიჭიერი შვილნი (პეტრე, თედო და სხვანი), რომელთაც გატაცებით ამზადებს მომავალი ბედნიერი ცხოვრების კეთილი თესლის მოთესვაღად.

---

[1]) სოფ. მგალობლიშვილი—საფლავში ჩამომძახე—გვ. 5—6.—„მოთხრობანი“—გამოცემა—1916 წ.

[2]) იქვე—გვ. 6—7.

მიუხედავად იმისა, რომ მათე ლაშხმა ყველაფერი უანგაროდ შესწირა ხალხს, სიცოცხლეც-კი, დაუზოგველმა, თავდადებულმა შრომამ და კეთილშობილურმა გამუდმებულმა წვამ მოტეხა მისი სიღარიბესა და ნაკლულებულებაში გამოზრდილი ორგანიზმი, მას მაინც მაღალი და მტკიცე რწმენა, რომ მისი ეკლიანი გზა ერთადერთი გზაა, რომელიც მისცემს ხალხს კეთილდღეობას, ბოლომდის რჩება, თვით სიკვდილიც ამას მის გულიდან ვერ ამოჰგლეჯს. „მრწამს აღდგომა ხალხისა,—სიკვდილთან ბრძოლის დროს ეუბნება მათე თეკლეს,—იგი აღდგება შენისთანა თავდადებულის მუშაკების მეოხებით... იარე ჩემებრ ეკლიანის გზით... არ არის მკვდარი, ვინც ხალხს შესწირავს თავსა... ოოჰ!... დიაღ, მ წ ა მ ს... ა ღ დ გ ე ბ ა ხ ა ლ ხ ი დ ა გ ა ნ ა ბ ნ ე ვ ს მ ტ ე რ ს ა თ ვ ი ს ს ა... მე მხოლოდ დასაწყისსა ვხედავ... ბედნიერი ხარ, ჩემო თეკლე... რომ იხილავ ხალხის წინსვლას“[1]...

აი ის ღრმა რწმენა, რომელიც ანთებდა ხალხოსნებს და წყვდიად უნუგეშო ცხოვრებაში გაუვალ და გაუთელავ გზას უნათებდა. მათე ლაშხს, ამ ტიპიურ „ხალხის მოკეთეს,“ ცხოვრებასთან გაყრის ჟამსაც-კი სატრფოსადმი სხვა თქმა და სურვილიც კი არ მოეპოვება, გარდა თხოვნისა: „საფლავში ჩამამძახე ჩემი ხალხის აღდგომა“-ო[2].

ასეთია ფართო გეგმები და გაბრწყინებული სახე სამოღვაწეოდ გასული ხალხოსანისა, რომელიც მთელ თავის დაუშრეტელ ენერგიას უანგარიშოდ სწვავდა ხალხისათვის ბედნიერების მოპოების სამსხვერპლოზე.

11.

დრო წინ მიდიოდა. მასთან დაკავშირებით 80—90 წლებში სოციალ-ეკონომიერი პირობები საშინელის სისწრაფით მიექანებოდა განვითარების გზით. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება მძლავრი ნაკადივით შემოიჭრა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში. ამ გარემოებამ პროლეტარიზაციის პროცესი შესამჩნევად ააჩქარა. მშრომელთა ბანაკი საგრძნობლად გაიზარდა, მუშაში ირკვევა კლასობრივი შეგნება. ხალხოსნური იდეოლოგია ვეღარ სწვდება ცხოვრებაში წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტას. დაიწყო ხალხოსნობის დეკადანსი. ხალხოსნური მიმართულება, როგორც მთლიანი მოვლენა, 90-იანი წლებისათვის დაირღვა. ნაწილი მარჯვნივ გადაიხარა: ლიბერალებს მიემხრო, „ივერიას“ შეაფარა თავი. ნაწილმაც მარცხნივ გადაიწია.

[1]) სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი — საფლავში ჩამომძახე — გვ. 12—13.

[2]) იქავე — გვ. 13.

ეს უკანასკნელი შემოკრილი მარქსიზმის გავლენას განიცდის, ცდილობს კლასთა შორის სხვადასხვაობის და ბრძოლის ნიადაგზე დადგეს, თუმცა-კი დემოკრატიულ ნიადაგს მაინც მჭიდროდ ებღაუჭება. ეს ჯგუფი რევოლუციონური ჟინისა და მისწრაფების გაღრმავების აუცილებლობას გრძნობს, კულტურტრეგერის როლით აღარ კმაყოფილდება.

ხალხოსნობის ეს მიმართულებაც ჩვენს ხალხოსნურ მწერლობაში მკვეთრადაა ასახული.

მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა და ორგანიზაცია, რომლისკენაც ხალხოსნები მიისწრაფოდნენ—სოციალიზმია. ხალხოსნები ცდილობდნენ ხალხის ფართო მასები გაეტაცნათ და ჩაეთრიათ სოციალისტურ მოძრაობაში. ხალხოსნების შეხედულებით, ხალხს ბედნიერებას მოუტანს საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ის ფორმა, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება. ჩვენს ხალხოსნებს უკვე კარგად ესმით (და სხვათა შორის, ამითაც განსხვავდებიან თერგდალეულებისაგან), რომ სოციალიზმის მისაღწევად საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა მტკიცე, მსხვერპლით, ბრძოლა შეერთებული, განმტკიცებული მჭიდრო კავშირით. ყველაფერი და ყველა—ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მასების კეთილდღეობისათვის. „დღეს გრძნობს ჩვენი ხალხი,—სწერს სტ. ჭრელაშვილი,—რომ მის ჭირთან ბრძოლა გაცალკეებულ პირებს არ შეუძლიანთ, რომ ყოველი ქართველი, რომელსაც თავი შესტკივა ქვეყნისათვის და გული ერჯის მის კეთილდღეობის მოსაპოებლად, უნდა გადაებას დაურღვეველი კავშირით ყოველ ოპოზიციონურ ელემენტებთან და ამით შეადგინოს ერთი მთლიანი და მაგარი ძალა, რომელიც თავის მხედველობაში მიაწევს ისეთ წერტილს, სადაც შესაძლო იქნება მართლა პირდაპირი გამოლაშქრება. ერთობას, კავშირს შეუძლიანთ დაჰბადონ ძლიერი საზოგადო აზრი, რომ ვისაც კი აქვს სათქმელი ჭკვიანი სიტყვა, სასარგებლო პლანი, გამოთქვას ეს სიტყვა და თანაც არ დარჩეს „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა“, არამედ იმ სიტყვამ გაიაროს მთელი ხალხის ჯანსაღ რბილში, იგი ამოეწოს ხალხის ტვინში ღ გასუფთავებული, უფრო გამაგრებული და გაძლიერებული, გადაიქცეს საქვეყნო აზრად, რომელსაც მხოლოდ შეუძლიან საქვეყნო საქმეების წარმოება, აზრის მიცემა ჩვენი უგემური ცხოვრებისათვის“[1].

---

[1]) სტ. ჭ რ—შ ვ ი ლ ი—ძვირფასი მხარე ჩვენი წარსული ცხოვრებისა – „იმედი“ 1882 წ. № 7—8, გვ. 47.

აი ასეთმა შეხედულებამ, ცხოვრების განვითარების ასეთმა გაგებამ ჩვენი ხალხოსნებიც გაიწვია და გაიტაცა ხალხის ცხოვრების მორევში სამოქმედოდ არა მარტო კულტურული დონის აწევის მიზნით, არამედ მასში აგრეთვე რევოლუციონური სულის კვეთების გაღვივებისათვის.

ჩვენს ხალხოსნებსაც კარგად ესმოდათ, რომ რევოლუციის მოხდენა, ძველი ცხოვრების საფუძვლების დამხობა, ახალის გამარჯვება და სოციალიზმის დამყარება არ შეიძლება ხალხს ზევიდან მოვახვიოთ. ეს რევოლუციონური სულისკვეთება საჭიროა თვით ხალხს შეგნებაში გაუჯდეს, საჭიროა ამ სულისკვეთებამ ცხოვრების ატმოსფერო გაჟღინთოს; საჭიროა არა მარტო გაღვივება ხალხის მასების ბუნებრივი რევოლუციონერობისა, რომელიც ჩამარხულია აუცილებლივ მის შეგნებაში, მისი ეკონომიური მდგომარეობის გამო, არამედ აგრეთვე საჭიროა მათი დარაზმვაცა.

თვით ხალხმა, მისმა ღვიძლმა შვილებმა, უნდა იდონ თავს ახალი ცხოვრების მოციქულობა, მასების წინამძღოლობა. მხოლოდ მაშინ და ასეთ პირობებში შეიძლება მიზნის მიღწევა, სოციალიზმის დამყარება.

აკი ამ მიზნითაც გავიდნენ ხალხოსნები სამოღვაწეოდ ხალხში და ერთმა გუნდმა 1878 წელს უკვე მიიტანა თავისი წვლილი ამ დიად საქმის სამსხვერპლოზე.

აკი ჩვენი ცხოვრებაც ამის შემდეგ ჩქარის ტემპით და ცხოველის ტემპერამენტით გაჰყვა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ძნელი, მძიმე, ეკლიანი იყო გზა ერთობის, ადამიანური ცხოვრების მქადაგებლისა. ერთობის თითო-ოროლა მქადაგებელი სოფელ-სოფელ დადიოდა, ცდილობდა ხალხში შეეტანა შეგნება იმისა, რომ სოფელს ბევრი და დიდი რამ შეუძლიან. თუ დააყენებდნენ, რჩებოდა სოფლის მასწავლებლის თანაძდებობაზე და მთელ თავის ძალ-ღონეს ხალხის კეთილდღეობას ანდომებდა. „ხალხის გული სალი კლდესავით შეხვდა ამ ერთობის მთესველებს, არ იკარებდა თვისთა მოყვასთა სიტყვებს, სდევნიდა კიდეც... ერთხელ კიდევაც სცემეს საწყლებს:—ამბობს გულნატკენად ერთი შეგნებული გლეხ-კაცი,—ხელმწიფემ ძლივს ბატონ-ყმობა გადააგდო და თქვენ კი იმის წინაალმდეგს ლაპარაკობთო“.[1] აი ხვედრი ხალხისათვის თავდადებულთა, ცოცხლად გადმოცემული გლეხ-კაცის პირით.

[1]) სოფ. მგალობლიშვილი—ჯორ-ზაქარა—გვ. 162, ტ. II

მაგრამ, როდესაც მთელ სოფელს და ხალხს კუდამდის ტყავი გასძვრა, როდესაც სიცოცხლე სიღარიბემ, შევიწროებამ და პიროვნების გათელვამ სულ გაუმწარა, მაშინ თვით სოფლად თითო-ოროლა ისეთიც გამოჩნდა, „ვის გულსაც ღრმად ჩასწვდა კეთილი სიტყვა „ერთობი“-ს მქადაგებლებისა, იპოვა ამ ზოგიერთების გულში კეთილი ნიადაგი, ღრმად გაიდგა ფესვი; იზარდა იგი, იზარდა და შტო გამოიღო. ეს შტო ერთის გულიდან მეორეზე გადაიმყნო და ნელ-ნელა ხალხის გული ერთობის ბაღად—წალკოტად გადაიქცა: იხარა, იფეთქა ხალხის გულში „ერთობის“ ძალამ; ხელი ხელს მისცეს, პირი—პირს, გული გულს შეაქედეს და თამამად შესძახეს:

—„გაუმარჯოს ერთობას, თავისუფლებას!... სოფელი რად უნდა ემორჩილებოდეს ერთსა, ერთი ათასის ბატონი რად უნდა იყოს? თავისუფლება საერთოა, ყველას უნდა ათბობდეს იმისი სხივები, სიყვარული საერთოა, ყველა თანაბრად უნდა გვიყვარდეს; მიწა ყველასია, თითო-ოროლას ჩაუგდია ხელში და მთელ ხალხს ტვინსა სწოვენო“.[1]

ეს უკვე გარკვეული ქადაგებაა სოციალისტური იდეებისა. ესეთი აზრები სოფელს ნელ-ნელა მოედო. ხალხში რევოლუციონურმა იდეებმა ფეხი მაგრად გაიდგა. ხალხმა გაიგო ახალი ცხოვრების აუცილებლობა. ხალხში უკვე სიმიტკიცეა. თვით ხალხში უკვე გამოჩნდნენ ცეცოები, მიხაები („ღამის მეხრე ცეცო“), ვანოები, სოლომანეები („ბედი უბედურთა“), ზაქარაები („ჯორ-ზაქარა“), ილიკო მშველიძეები („და შეჰფიცეს“) და მთელი გუნდი, რომელიც ხელმძღვანელობდა ხალხს, რაზმავდა მას და მედგრად, მტკიცედ მიდიოდა წინ. „დეე, დაგვხოცონ,—ამბობს „ერთობის“ ძალის შემგნები გლეხი,—დეე გვარბიონ, გვაწამონ, ერთი მაინც დარჩება სოფელში მძევლად. აი ეს მძევალი ისეთს ყლორტებს ამოიხეთქს, მძლავრ ყლორტებს სისხლით გაპოხიერებულ ნიადაგიდან, რომ იმისი მოსპობა არაფრით აღარ შეეძლებათ“...[2]

სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი „ღამის მეხრე ცეცო“-ში, „ჯორ-ზაქარა“-ში, „და შეჰფიცეს“-ში და სხვებშიაც იძლევა მშვენიერს სურათს ხალხის თანდათანი დარაზმვისა და ცოცხალ გალერეიას ხალხის ღვიძლ შვილთაგან შემდგარ რევოლუციონერთა ლეგიონისა.

რომ ამ დევის (ხალხის) დაძერა და თანდათანობით გამოფხიზლება ხდება ხალხის ეკონომიური და უფლებრივი შევიწროების

[1]) ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—ჯორ-ზაქარა—გვ. 154.

[2]) იქვე—გვ. 162.

ნიადაგზე, მკვეთრად ვრწმუნდებით ჩვენი ხალხოსანი-მწერლების, განსაკუთრებით სოფ. მგალობლიშვილის, მიერ მოცემული მხატვრული სახეების საშუალებით. გლეხს, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, როგორც ზევითაც ვრცლად აღვნიშნეთ, ავიწროვებს ტ ანადგურებს უმამულობა, და ნაბატონართან ან მის მოურავთან თითქმის ისეთივე გაუვალი ეკონომიური დამოკიდებულება, როგორც ბატონ-ყმობის დროს, სოფლის წურბელების (ჩარჩ-ვაჭრების) ნავარდობა სოფელში და ძათ მიერ გლეხ-კაცობის ყველფა. ადმინისტრაცია აგვირგვინებს გლეხის ასეთს შევიწროებას თავისი უდიერი მოპყრობით და გადასახადების შეწერა-აკრებით. ყველა ეს გლეხს კვლავინდებურად მძიმე მონობის უღელს ადგამდა. ამ მონობის უღელ ქვეშ გაჭირება და გმინვა ჰქსოვს მის გულში პროტესტს, შეურიგებლობას და რაზმავს მას ბოროტებასა და უსამართლობასთან საბრძოლველად.

გაჭირვება უხელს ადამიანს თვალს, უფხიზლებს გონებას. გლეხკაცი უკვირდება ცხოვრებას, ჰხედავს, რომ მრავალს ჰხნავს, სთესავს, მაგრამ კუჭს ვერ იძღობს. „რა გაგიძღობს(კუჭს), შვილოსა,— მკვახედ, და მწუხარებით ეუბნება ცეცო თავის ძმა-ბიჭებს,—მეოთხედი სხვას მიაქვს. შარშან ათას-ხუთასი კოდი სიმინდი და ქერი შეუვიდა ჩვენ გამგებელსა, ახლა პური ამდენივე, ხუთას კოკამდე ღვინო! ი ბელლები სულ დაილიცლიცეს: ურემი ურემზე მიდის ღალა-კულუხი“.[1]

ცეცოს სხვა გლეხკაცებიც დაეთანხმებიან. ისინიც მწუხარებით აცხადებენ, რომ ყველა ამ უსამართლობას კარგად და აშკარად ჰხედავენ, მაგრამ არჩევენ ჩუმად იყვნენ, რადგანაც უძლურნი არიან, ვინაიდან მჩაგვრელებს სიკეთის დაპირებით ზოგიერთი ავყია ხალხი მიმხრობილი ჰყავთ. ესენი უტეხავენ სოფელს პირს, არღვევენ „ერთობას“.

გულნატკენი ცეცო გლეხების ასეთს განცხადებაზე აი რას უპასუხებს:

—„ჰო და, ეგ ეგრე არ უნდა იყოს. ჩვენ, ძმაო, სამასი კომლი კაცნი ვართ ძაღლის-ხეველები, სამას კომლს კაცს თუ პირი ექნება, როგორ გადაუდგება წინ ათი და ოცი კაცი, აბა ერთი მითხარით! ჩვენ თუ მაგათ კრიჭაში ჩაუდგებით, ავლაგმავთ, თავს ვაჩვენებთ, შიში და რიდი მიეცემათ“.[2]

ხალხში აშკარად იჭრება „ერთობის“ აუცილებლობა და „ერთობის“ ძალის შეგნება. ხალხი ჰგრძნობს ბრძოლის საჭიროებას და

[1]) სოფ. მგალობლიშვილი—ღამის მეხრე ცეცო—გვ. 71.
[2]) იქვე—გვ. 72, ტ. I.

აუცილებლობას. ხალხი ირაზმება, ემზადება. ამ მოძრაობის მეთაურნი მეთოდს და ცოდნას ბრძოლისას თვით ხალხის ცხოვრებიდან და ჩვეულებიდან იღებენ. მონობის უღლის მოხსნა ყველას შეგნებას ამზადებს მოქმედებისათვის, ყველას თვალს უხელს, სითამამეს აძლევს. თანდათან ხალხი უსამართლობის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს.

—„ეგ ყველა კაი,—თავის ქნევით მიჰმართავს მიხა შეკრებილ ხალხს, როდესაც ისინი ემზადებიან „ერთობის“ შესაკრავად,—მაგრამ ჯერ, სანამ ბერობა დაგვიდგება, ე ‚უპრავლიაუჩი გვიჭირებს საქმეს.

—„ის კი არ გვიჭირებს,—ხმის თრთოლით და კბილების ღრჭენით უპასუხებს ცეცო,—თუ მკითხამ, ჩვენი მეზობელი გვიჭირებს საქმეს, ჩვენი! აძაღლებული ფიდუა ეშმაკურაშვილი ჩვენის ხელით ანწუხზეა ასაგები, ანწუხზე! ის არა-კაცი, ის ულვაშ-შერცხვენილი, ისა! უპრაველიაუჩმა რა იცის, ვის რამდენი დღისა აქეს ნახნავი, დღიური რამოდენაა, რა ალაგას და რა მიწას რა ფასი სდევს; სულ ჩვენებით ვიღუპებით, სულ და სულ! ხიდათ ეგენი ედებიან და იმასაც რა ენაღლება: „სხვისი სახრე და სხვისი კამეჩი ვისთვის რა საშურველიაო“.[1]

დიდი ბაასის და საჭირბოროტო მოვლენების გათვალისწინების შემდეგ გლეხებს ისევ ცეცო მიჰმართავს: „რა საჭიროა, კეირას ყველანი სოფელში ვიქნებით, კანცელარიასთან. ხალხი მოიყრის თავს, კაცობა იქ გამოჩნდება, აქ ლაპარაკს, იქ ვილაპარაკოთ ჩვენი დარდები... ნუ გეღუპამენ ნუ, ნუ! ხალხმა ხელში მოგვცეს ი ჩვენი დამღუპველები; თუ ჩვენები არიან დამნაშავენი, საქვეყნოდ ლაფი დავასხათ თავზე, და თუ უპრავლიაუჩია, იმასაც... ჰმ... იმასაც მოურიგდებით... დედა შეერთოს ცოლად, ვინც ერთმანეთს უღალატოს, დედა!!...

—„აგრე იყოს, აგრე იყოს!—შეჰყვირეს“.[2]

ასეთი განთავისუფლების და შეურიგებლობის სურვილი სოფელს თანდათან ედება. უწყალოდ შევიწროებული ძაღლის-ხვეელ გლეხ-კაცობაში, ცეცოს, მიხასა და სხვათა სიტყვები და საქმენი თანაზიართ პოულობენ. რჩეულთა რაზმი თანდათან დიდდებოდა. მტერთან მტრული დახვედრის საშუალება თანდათან იზრდება. მაგრამ ძნელია საუკუნოებით მონობის უღელ ქვეშ დაძინებული, დავარდნი-

[1]) სოფ. მგალობლიშვილი,—ღამის მეხრე ცეცო—გვ. 72. ტ. I.
[2]) იქვე—გვ. 73.

ლი ხალხის მასიური დარაზმვა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხ-კაცობის სიმპატია ცეცოსა და მის ამხანაგებისაკენაა, ბოლოს სოფელი მაინც ჩაჩუმდა, „დაემორჩილა ბედს", „ურჩი კამეჩივით მაინც გაჰყო უღელში თავი და ჩოქით გასწია ტვირთსა". მაგრამ რჩეული ბიჭები, ცეცოს ხელმძღვანელობით შემდგარი სოფლის პატარა რევოლუციონური რაზმი, რომელსაც მოედო „ერთობის" ცეცხლი და ვეღარ ურიგდება ძალმომრეობას, შეეცდება გაანთავისუფლოს სოფელი ამ ტანჯვებისაგან. ტერორის საჭიროება და აუცილებლობა, რომელმაც ხალხსნები გაიტაცა, სოფელშიც გადადის. ცეცოს რაზმიც ამ გზას დაადგა. მოისურვა სოფლის მტრების დასჯა.

რჩეულმა ბიჭებმა დარაჯობა დაიწყეს. დანიშნულ ალაგას ღამ-ღამობით უსაფრდებოდნენ. „დიდხანს ალარ გაუვლია,—აგვიწერს სოფ. მგალობლიშვილი,—იჯარადარმა ცხენ-და-ცხენ, თქარაოქუ რით ჩამოირბინა ორლობეში და მიიჭრა ოთარას ბიჭის ვენახში. მეკულუხეებმა კარგა ხანს შეიგვიანეს...

„ბიჭები უცდიდენ განაბულნი, ყურწაგდებულნი, გულის ცახცახით, როგორც მონადირე ნათვალევს ნადირსა, რომელსაც ხან წამს დაუცივდებოდა ხელ-ფეხი და ფრჩხილებში ოფლი წაჰხეთქდა; ხან ცხელი ალი აჰკრავდა თავ-პირში; ალი შუბლზე ცხლად გაუვლიდათ, თითქოს გახურებული რკინა გაატარეს. ერთმანეთის გულის ბაგი-ბუგი ესმოდათ; პირში ნერწყვი შრებოდა ლოდინითა. აგერ მოისმა ფეხის ხმა ცხენისა, მათრახის ტყლაშუნი... ფიდუა და ბლუნძელაშვილი გამოიქცენ ძუნძულით. ფიდუამ გზაზე სარი წაჰგლიჯა ვაზსა. ფიდუას ფეხ-და ფეხ მისდევდა ბლუნძელაშვილი, მამასახლისი და გზირი. ფიდუა შედგა ღობეზე ორლობეში გადასახტომად, ამ დროს ღობეს გარეთ მდგარმა შეთქმულთაგანმა დაჰკრა მძლავრად თავში კეტი იჯარადარს, გადმოატრიალა და ორლობეში ზღართანი მოაღებინა. შეთქმული შეხტა ღობეზე, გადახტა მერე ვენახში და—ჰაიდა!—მოეფარა.

„მამასახლისს ეგონა, რომ ფიდუა თავისით უცაბედად გადავარდაო, რადგანაც ხმა-ამოუღებლივ დაეცა; შედგა ღობეზე და უკან ბლუნძელაშვილი აჰყვა.

— „ეეჰუუ! ეს ხუმრობა ალარ არის, დაგვხოცეს. ეს სულ იმათი ბრალია,—შეჰკივლა მამასახლისმა,—იმ... მაგრამ წამოუარა მესამემ, დაჰკრა ბლუნძელაშვილს და ორნივე გადაცვივდნენ. გზირმა კი გაქცევა იკადრა. ჩაირბინა ოთარას ბიჭის ვენახამდისა, სადაც

იასაული ტკბილს მოუყენეს. გულ-ამომჯდარმა გზირმა უამბო იასაულს თავ-გადასავალი.

— „არიქა, მიეშველეთ; თავ-დამტვრეულები ჰყრიან. ეჰეი! რა დროს შეესწარით და“!..[1]

მართლიც, ხუმრობა აღარ იყო. გაღვიძებული ხალხის გულში ბოღმა და შური ვულკანისებურ ემზადებოდა ამოსახეთქად. მართლაც, ძველი დრო აღარ იყო.

ცხოვრება შეიცვალა, წინ წავიდა. მისი წინსვლა იზომება ხალხისათვის უკეთესი ცხოვრების პირობების საშუალების მოპოებით, ძალა-უფლების და მშრომელის ხელითა და ოფლით მონაგარი დოვლათის თანდათან ხალხის ხელში გადასვლით. ეს პროცესი არა ხდება უმტკივნეულოდ. სწორედ ამ ტკივილთა ინტენსიობით იზომება ცხოვრების განვითარების პროცესის მნიშვნელობა და ღირებულება.

ეს გზა განვითარებისა მკვეთრათა აქვთ ასახული ხალხოსან-მწერლებს თავიანთ შემოქმედებაში.

ხალხის ცხოვრება რყევაშია. მისი ცხოვრების ვაი-ვაგლახი ხან ძალით და ხან თავის ნებით გამოფხიზლებული თავს იყრის მის შეგნებაში. მუქად გადაეფარება ხალხის გრძნობას და გონებას, დაუწყებს თანდათან გაძლიერებით ღრღნას და წვას, სანამ სტიქიურად გაერთიანებული ხალხის გულიდან რისხვა ქარტეხილივით არ ამოჭეთქავს,და არ შეეცდება წაღეკოს და დათრგუნოს უსამართლობა, ბოროტება, ძალმომრეობა. „ჯერ ყრუ ხმა,—ჰხატავს სოფ. მგალობლიშვილი ამ მოვლენის ზრდას,—ხმა გმინვისა და კვნესისა გაისმა, შემდეგ და შემდეგ ხმა ძლიერდება. სჭექავს, ზუზუნებს, აკვნესებს სხვა და სხვა გულის მომწყლავს, სევდიანს სიმღერებს, მოთქმით უამბობს ქვეყანას თავის ჭირ-ვარამს, ამტვრევს ბორკილებს და ითავისუფლებს თავს მონობისაგან. ამ საშინელი ქარიშხალისა და მეხისტეხის დროს სისხლი ნიაღვრად მიდის. იღლიტება უდანაშაულო ხალხი. მაგრამ ეს უმანკო სისხლი, როგორც სისხლი უმანკო და მართალის აბელისა, ცადმიმართ ღაღადებს და ღმერთი სიმართლისა ანიქებს ძალას თავ-განწირულთა. ამის მოწმე ისტორიაა...“ [2]

ასეთივე ისტორია აქვს მასების-მიერ ამ ადამიანურ უფლებათა მოპოების საქმეს ჩვენშიაც. ჯერ თუ თითო-ოროლა იყო „ერთობის“ მოციქული, და თუ ისინიც წამებას მიიღებდნენ ხოლმე იმათგანაც-კი ვისთვისაც ისინი თავ-დადებულად მოღვაწეობდნენ,—თანდათან მათ

[1]) სოფ. მგალობლიშვილი,—ღამის მეცხრე ცეცო—გვ. 128—129.
[2]) მისივე ჯორ-ზაქარა,—გვ. 89—90, II

მიერ დათესილს თესლს ამინდი დაუდგა, თბილმა, მზიანმა დღემ ნაყოფი გამოაღებინა. ხალხმა იგრძნო ნაყოფი კეთილი თესლისა. იგრძნო თავისი ძალა და წინაგრძნობით განსჯვრიტა მომავალი ადამიანური ცხოვრება. თანდათან უფრო თავგადადებით და მტკიცედ დაიწყო დარაზმვა. სოფელი ტორტლა („ჯორ-ზაქარა") გადაიქცა ერთ-ერთ რევოლუციონური ქარცეცხლის ქურად. გლეხკაცობას აღარ უნდა მონურად დაემორჩილოს მებატონეს და მის სისხლისმწოვ მოურავს. ურჩობას უწევს. ტერორის გზა გლეხკაცობისათვის მისაღებ და მხსნელ გზად შეიქმნა. თავადი მარუშაძის მოურავს სოსიკას რომ ვერა მოუხერხეს რა, აკი მოჰკლეს კიდეც.

სოსიკას სიკვდილს შემდეგ თავადი ესტატე მარუშაძე სოფელში გადასახლდა. სოსიკას დაწყებული საქმეები არ უნდოდა ჩაფუშულიყო, პირიქით, მისთვის სასარგებლო იყო გაეძლიერებინა და მით თავისუფლად ენავარდნა გლეხების ზურგზე. დღე-მუდამ თავადი ესტატე სოფელს მუხრუჭს უჭერდა, მან დასახმარებლად გაიჩინა მთელელი რაზმი ჩაჩნებისა, რომელნიც თავით-ფეხამდის შეიარაღებულნი იყვნენ: „ერთი ზარბაზანი არა ჰქონდათ,—თორემ სხვა არა აკლდათ რა, ერთ სოსიკას ნაცვლად გაჩნდა ერთი დიუჟინი სოსიკა..."[1] ამ გარემოებას მოჰყვა ხალხის მხრივ ტოკვა, ურჩობა, ბატონის შეურაცყოფა. ხალხში შური და მტრობა იზრდებოდა და ბოლოს ღელვად გადაიქცა. ბატონი თავ-შეუკავებლობას იჩენს. „ჩაჩნები შეუბრალებლად ხოცდენ სოფლის პირუტყვ-საქონელსა; მუდამ გამოულეველი ჰქონდათ ხორცი; როგორც საყასპოს კარზე, ისე იმათ ბინის კარზე მუდამ ფეხშო-ფეხშო ხორცი იყო გამოკიდებული. მაგრამ რამდენსაც ბატონები მოჰკლავდენ, მეორე დღეს ბატონის რომელიმე ძვირფასი ძროხა, ან ცხენი ეგდო სადმე გამოფაშული და სამგლეედ დაგდებული."[2]

თავადმა ესტატე მარუშიძემ კარგად იცოდა, ვინ იყო მიზეზი ხალხში მისდამი წინააღმდეგობის და ურჩობის გაღვიეებისა. მოინდომა ჯორ-ზაქარას განადგურება. თავად ესტატეს ჰგონია, ზაქარა რომ მოაკვლევინოს, სოფელი დაწყნარდება და კვლავინდებურად მორჩილად გაჰყოფს თავს მონობის უღელში. მაგრამ ახლა ასეთი ადვილი აღარ იყო სოფლის ჩაჩუმება და დაწყნარება.

გლეხ-კაცობამ გამოიღვიძა. მონობის უღლიდან განთავისუფლება მოინდომა. მჩაგვრელისადმი სიძულვილმა საკმარისად გაიდგა

[1]) სოფ. მგალობლიშვილი—ჯორ-ზაქარა—გვ. 166 ტ. II.

[2]) იქვე.

ფესვი. ზაქარას ხელმძღვანელობით შესდგა გლეხთაგან ჯერ პატარა რაზმი ცხრა კაცისაგან. ეს რაზმი თავად ესტატე მარუშაძის ყოველივე საზიზღარ საქციელს ჯერ-ჯერობით მალვით უპასუხოდ არა სტოვებდა. „გაჩნდა ორსავე მხრივ დევნა. აღარ ხუმრობდნენ ჩაჩნები: ცხადლივ თუ მალვით იკლებდნენ სოფელს და შვილისადარ პირუტყვ საქონელს უხოცავდენ, ნათესში ცხენებს აბამდენ; ხშირად შიგ შუა ვენახში ჩაუბამდნენ ცხენებს, რომლებიც იქაურობას სულ ნაცარტუტას ადენდნენ.

„არ ეძინა ზაქარას რაზმსაც. ერთს საღამოს, ჩაჩნები ძილღვიძილში იყვნენ, მიიყვანა ზაქარამ რაზმი ბატონის ზვარში. გადასწყვიტეს, ერთად უნდა გავარდნილიყო ცხრა-ცხრა ტყეია და ჩაჩნების ცხენები დაეხოცნათ; ჯერ კაცის სისხლის დაქცევა არ უნდოდათ... იცოდა ზაქარამ, რომ ამას ზეკუცია მოჰყვებოდა, მაგრამ ცდა აღარ შეიძლებოდა და გამოსაშვები სისხლი უნდა გამოშვებულიყო“.[1]

შუაღამისას, როცა ჩაჩნებს ეძინათ . და ბატონი ესტატე-კი თავის სასახლის აივანზე გულგაღეღილი დადიოდა და კრიალოსანს ათამაშებდა, სოფლის რაზმმა ჩაჩნების ცხენებს თოფები დაახალა და ბრძოლით უენებლად ნელნელა უკან დაიხია. სოფელს არ გაჰკვირვებია თოფის ხმა, არავინ არ გამოსულა ხმაურობაზე. ზაქარას რაზმი დაბინავდა. ჩაჩნები და ბატონი ესტატე სიბრაზისაგან აღარ იყვნენ.

მეორე დღეს თავ. ესტატემ თავის სტუდენტ შვილს ორი ჩაჩანი გააყოლა და თავისი ეტლით გაგზავნა ქალაქში, რომ მაზრის უფროსისათვის მომხდარი ამბავი შეეტყობინებინა. მაზრის უფროსს რუსი-ყაზახები გამოსთხოვა. ჩააყენა სოფელში ეკზეკუცია, რათა მისი შემწეობით აელაგმა აღელვებული ხალხი.

მაგრამ ძნელია ამოვარდნილ სტიქიასთან ბრძოლა. რა ან ვინ შეაყენებს აბობოქრებულ ზღვის რისხვას?! ხალხის ღელვაც ხომ სტიქიურია! ხომ სავსებითა ჰგავს ზღვის ღელვას. სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი-შ ვ ი ლ ი საკმარისად მხატვრულად გვისურათებს ხალხის ღელვას, მის გაღვიძებულ სურვილს დაახწიოს თავი მონობის უღელს, მოიპოვოს უფლება ადამიანური ცხოვრებისა. „ჯ ო რ - ზ ა ქ ა რ ა“ მშვენიერი ეპოპეიაა გლეხთა განთავისუფლების სურვილის და მოპოების პროცესის შესაგრძნობლად. ამ ეპოპეიაში ალაგ-ალაგ მხატვრული ხერხიანობით ჩატანებულია აუტორის პოეტურად ასახული შეხედულებანი და განცდანი, ხალხის გამოფხიზლებით და ღელვით გამოწვეული. ეს ადგილები მკითხველის განცდას და შთაბეჭდილებას საგრ-

1) ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—ჯორ-ზაქარა, გვ. 167—169.

ძნობლად აძლიერებს: დაუნდობელია აბობოქრებული და აზვირთებული ზღვა: ანგრევს და ანადგურებს ყოველივეს, რაც-კი მას იმ დროს წინ გადაეღობება; დიდრონს გემებს ნაფოტივით ათამაშებს და შურდულის ქვასავით ისერის ნაპირისკენ და ვაი იმ გემს, რომელსაც კლდის ნაპირს მიახეთქებს! ლუკმა-ლუკმად აქცევს და ანაჭუჭებს.

ხალხის გულშიც მოგროვილია ათასი დარდი და ვარამი, ყველა უსამართლობა ეჭდევა იმის გულზე. ხშირად აბობოქრდება, იწყებს მისი გული ღელვას, სახეზე იბეჭდება; იქმუჭნება კაცის სახე, სწუხდება გულის ღელვისა გამო. აღარ ეტევა მის გულში უსამართლობა, მიყენებული ბატონისა, მღვდლისა, მოხელისა და ათასი სხვა მტარვალისაგან, რომელნიც მთავრობამ კისერში წურბელასავით დაასხა. აი ამ დროს, როგორც ზღვაში სიო, მცირე ქარი, შემდეგ ქარიშხლად ქცეული, საჭიროა მცირე რან სიტყვა, სიტყვა კეთილი, სიტყვა ერთობისა და საბოლოოო ნუგეშისა, სიტყვა, რომელიც ხალხს თვალს აუხელს, გააცნობს აწმყო ცხოვრებასა, უჩვენებს გზას მონობიდან თავის დახსნისა, გააკაფინებს ეკლიან გზას, რომ თითონ თუ უეკლოდ ვერ გაივლის, მომავალს მოდგმას მაინც შეაძლებინოს უეკლოდ სიარული.

,,ასე. დუღდა ჩვენი ქართველის გულშიც ბოღმა, უსამართლობისაგან დაგუბებული. მოაწვა იგი ხალხის გულს. აი აგრე იხრჩობოდა იგი ან უსამართლობისაგან, რომ გაუჩნდნენ ხალხს მოციქულნი ერთობისა. ამათ დაჰკრეს კვერი ხალხის გულს, გადმოსკდა ბოღმა გულიდან. იწყო ხალხმა ღელვა, ბობოქრობა, გაისმა კიდითი კიდემდე:

,, მიწა და თავისუფლება!..''

,,მიწა იმისია, ვინც მუშაობს, ვინც ოფლს აწვიმებს შიგა. ხალხმა თითონ უნდა უპატრონოს თავის თავსა; კმარა, რაც ხანი ედგა უღელი და ათასი გადიები და ძიძები, მამინაცვალ-დედინაცვლები ხედნიდნენ მას, სიცოცხლეს უმწარებდნენ, ხორცს აგლეჯდნენ ცხელის შანთებით და ცოცხლივ დღისით-მზისით სჭამდნენ იმას გაუმაძღარი სვავები.

,,ხალხმა იხრიალა სოფელ ტორტლაშიაც. გამოცხადდა აქაც სრული თავისუფლება; სოფელს განაგებდა თვით სოფელი, მისგან რჩეულნი''.[1]

---

[1]) სოფ. მგალობლიშვილი—„ჯორ-ზაქარა—გვ. 170—171; ტ. II.

ცხოვრების ეაი-ვაგლახში, მის დუხჭირში გამოსული, სინამდვილის მცოდნე ხალხი ადვილად ართმევს თავს აღელვებას, შურისძიების გრძნობას. ის კარგადა ჰგრძნობს, რომ თავისუფლების მოპოების გზა ძნელია. კარგადა ჰხედავს მოწინააღმდეგეთა ბანაკსაც, სადაც „პირი პირს მისცეს მებატონემ და მღვდელმა, ვაჭარმა და მოხელემ“, რომელთაც ზურგს უმაგრებს მთავრობა თავისი სახელმწიფოებრივი აპარატით; კარგად ჰხედავს, რომ ეს მოპირდაპირე ძალაც ძლიერია. ამიტომ ცდილობს წინააღმდეგობა აწარმოოს სიფრთხილით, ნაკლები მსხვერპლის შეწირვით. ეკზეკუციის მოლოდინმა ხალხი უფრო ააღელვა. შეიყარა ის მომავალი საფრთხის დასახვედრად, გეგმის გამოსამუშავებლად. ჯორ-ზაქარა, თუმცა მოხუცებულია, მაგრამ კვლავინდებურად სოფელს მეთაურობს. ის თავისი მოფიქრებული და სამართლიანი სიტყვით მიჰმართავს შეყრილს ხალხს. მის გაბედულ სიტყვაში სოფლელი მქადაგებლის-ხალხოსანის მოქმედების მთელი არსი და ისტორიაა: „ხალხნო,—ჩვეულებრივ სიმტკიცის მაჩვენებელი კილოთი ეუბნება ზაქარა ხალხს,—მე აგერ სიბერე მეთქმის; ჩემი დღენი თქვენთან გავატარე; მარტოდ-მარტო ვიბრძოდი ბატონთან; ბევრი მწარე დღე ვნახე; ბევრჯელ ვხეხე ციხის, სატუსაღოს კედლები. სამართალი ვერსად ვპოვე; ალერსიანი სიტყვა ვერსად გავიგონე; ყველასაგან გლეხია დაჩაგრული, ის დაბალი ღობეა და ყველა ზედ გადადის, ამტვრევს იმას, სწიხლავს. ყველას ჩვენ ვაცხოვრებთ: თავადს, მღვდელს, მოხელეს, ვაჭარს, თვით იმ ჯარს, რომელიც ჩვენს დასაწიოკებლად ჰყავთ გამოყვანილი; ჩვენ ერთის დღის ხარჯი რომ არ გავიღოთ, ამ წუწკ ქვეყანას ღერძი გამოეყრება, ჩაინგრევა ის ტახტი, რომელზედაც ტკბილად განისვენებენ ჩვენგან განებივრებული დიდკაცობა... შევინძრეთ, შევირყეთ ერთად და შევარყიოთ იმ განცხრომილების ცხოვრება, გაუმწაროთ წუთი-სოფელი... მართალია, დიდი განსაცდელი მოგველის: წვა-დაგვა, დარბევა-დაქცევა, ნამუსის შერცხვენა, ხოცვა-ჟლეტა; ეს არასდროს არა გვკლებია, მაგრამ არ გავმწყდარვართ. მძევალი მაინც დარჩენილა და კვლავ ულორტი ამოუტანია... ძალას ძალა ვუფაროთ; ხალხს რა გაუმაგრდება, თუ მთელი ხალხი გადიბმის ჯაჭვით, პირს მისცემს ერთმანეთს და ერთგულად შეებმის გაბატონებულ ბოროტებასა... შევისხათ ჩვენც იარაღი, აღვიჭურვოთ, ვისაც რითი შეგვეძლოს და მტერს მედგრად შევხვდეთ: მომყევით, ძმებო, მომყეეთ!.. დღეიდან ვსპობთ ყოველივე კავშირს ბატონთან, მღვდლებთან, მოხელეებთან; დღეიდან სოფელი ტორტლა თავისუფალი ქვეყანაა. ის თვით განა-

გებს თავის საქმეებს... ძალა ერთობაშია. თუ ერთად ვიქნებით, ერთ პირზე ვიდგებით, ისე დაიმსხვრევა ძალა მთავრობისა, როგორც კლდეზე მიხეთქებული გემი"..[1]

ხალხი მართლადაც თანდათან უფრო მეტის შეგნებით მისდევს ერთობის მოციქულთ. მათს მადლიან სიტყვას თავის გულს ტახტად უდგამს. რევოლუციონურ მოქმედებაში ებმის არა მარტო გლეხი მამა-კაცი, არამედ დედა-კაციც. ჩვენი დედაკაციც ცდილობს გამოვიდეს სამოქმედო ასპარეზზე საერთო საქმის გასაკეთებლად, ამოუდგეს მამაკაცს მხარში, გაამაგროს ხალხის საკეთილდღეოდ გამოსულ მოღვაწეთა რიგები, შეიგნოს თავისი უფლებანი და შეეცადოს მათს მოპოვებას ძალით.

ქალთა მოძრაობას ჩვენში არა აქვს ისეთი დიდი და ძლიერი ისტორია, როგორც რუსეთში. ამიტომ ეს მოვლენა მძლავრად არ არის ასახული ჩვენს ლიტერატურაში. მაგრამ მაინც ქალთა გაღვიძების, სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლის და უფლებების მოპოვების სურვილის გამოხატულებამ შესაფერი გამოძახილი ჰპოვა ჩვენს მწერლობაში და ყველაზე უფრო ხალხოსან-მწერალთა შემოქმედებაში. სხვათა შორის, ყველაზე მკვეთრად ქალის ასეთს განცდას და სურვილს სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი გვიხატავს. სოფლის ყრილობაზე ერთობის მოციქულად ქალებიც გამოდიან ტ ხალხის რევოლუციონურ ,სულისკვეთებას თავიანთსას უერთებენ, აძლიერებენ, ამახვილებენ: „ყველაზე საშიში,—დაიწყო სოფლის ყრილობაზე ერთობის მოციქულმა ქალმა,—ქალთა მდგომარეობაა. ყაზახობა ნამუსს ხდის დედაკაცებსა... ამიტომ ყველა ქალმა, ყველა ოჯახის დედამ უნდა მამაკაცებს მივბაძოთ. დროებით უნდა გადავდვათ თითისტარი და ნემსი; აკვანიც მივდგათ გვერდზე, მოვიკრიფოთ სულის ძალა; თუ იარაღით ვერა, ბასრი ფრჩხილებით შევებრძოლოთ უსამართლობას, ბოროტებას. სისხლი სისხლით უნდა მოიბანოს, სისხლს სისხლი მოსდევს, მსხვერპლს მსხვერპლი. გარდავაქციოთ სახლი, კარი, ბაღ-ვენახი და თვით ეს ჩვენი გულის-ფიცარი ციხე-სიმაგრედ, სალ კლდეთა. დეე, მოვიდნენ ჩვენზე ბნელი ძალები იერიშითა, ნუ შევუდრკებით: ბნელს სინათლისა ეშინიან; ქურდი, ავაზაკი, ყველანაირი მტარვალი სინათლეს გაურბის. მივიტანოთ ჩვენც იერიში, ვიდინოთ მკერდიდან სისხლი თავისუფლებისათვის. მტარვალი მხდალია, ხალხი კი მძლავრი, სავსე ზნეობით, სათნოებით და ქვეყნი-

---

1) სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—ჯორ-ზაქარა—გვ. 173—174, ტ. II.

სადმი სიკეთითა. ხალხი ცხრა-თავიანი მდევია. რა გაუმაგრდება იმას, თუ მოინდომა, თუ გაიწია და დაამტვრია უღელ-ტაბიკი მონობისა!..“ [1]

ეს ნაწყვეტი ორნაირად არის საგულისხმიერო: ჯერ ერთი, ქალი ლამობს გადალახოს ოჯახური საზღვრები, გადავიდეს საერთო საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე, მხარში ამოუდგეს მამაკაცებს, მათთან სრულუფლებიანი გახდეს. ქალისავე სულისკვეთებას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, თუმცა ისეთი სიმკვეთრით არა, როგორც სოფ. მგალობლიშვილი, ასახავენ ხალხოსანი-მწერლებიც—ე.კ. გაბაშვილისა, ყაბეგი (ამაზედაც ზემოდ გვქონდა საუბარი). მეორე მხრით, ამ ნაწყვეტში მკვეთრად ისმის ქალის რევოლუციონური განწყობილება. ქალი ებმის არა მარტო კულტურულ მოღვაწეობის საქმეში ხალხის საკეთილდღეოდ, არამედ რევოლუციონურ მოძრაობაშიაც. „სისხლი სისხლით უნდა მოიბანოს, სისხლს სისხლი მოსდევს, მსხვერპლს მსხვერპლი. გარდავაქციოთ სახლი, კარი, ბაღ-ვენახი და თვით ეს ჩვენი გულის ფიცარი ციხე-სიმაგრედ“-ო.

ასეთი შეხედულება ქალზე ხომ ხალხოსნების შეხედულების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო!

ამას გარდა, ეს ნაწყვეტი მკერმეტყველურად ღაღადებს, რომ რევოლუციონური მოძრაობის ძლიერი ტალღა ხალხის ცხოვრების სილრმეს ჩასწვდა. მან ხალხის ცხოვრება აამოქმედა, აღელვა, აზვირთა, აქოთა. „ადგა ქარიშხალი,—განმარტავს თვით ავტორი ხალხის რისხვას,—და დაუწყო მტვრევა აქა-იქ შეყუჟულ გემებსა. მოიკუნტნენ გემთა პატრონნი, აღძრეს ტკბილად ბაგენი, იწყეს ღიღინი „ახალ მოდაზე“. მაგრამ ნემსკავმა თევზი ვეღარ დაიჭირა: ტკბილ სიტყვებში რამდენი ბალღამი ერია, „ახალ მოდაზე“ ღიღინში რა გესლი იყო ჩართული, — სოფელი მიხვდა და აღარ მოტყუვდა“.[2]

ცხოვრების უდიერმა პირობებმა წაუკიდა ხალხს ცეცხლი, მძლავრად აანთო მასთან საბრძოლველად მისი გული და გონება და აარჩევინა ახალი ცხოვრებისათვის ახალი გარკვეული გზა. მან დაამყარა თავისი სამეფო. დაამყარა სოფელში სასუფეველი სიმართლისა, სიყვარულისა, ძმობისა, ერთობისა და სათნოებისა. „აღარ იყო,— აგვიწერს სოფ. მგალობლიშვილი,—სოფლად ქურდობა, ავაზაკობა, ცილისწამება, მრუშება, ერთმანეთზე საჩივარი, ყიცხვა-დაცინვა,

[1]) სოფ. მგალობლიშვილი—ჯორ-ზაქარა, გვ. 174—175.

[2]) იქვე—გვ. 175. II

გაუკითხაობა ურთიერთისა; აღარ აწუხებდა ამ სოფლებს მამასახლისი და გზირი, მღვდელი და ბერი, მთავარი და მედავითნე, იასაული და ყაზახი, ბატონი და მისი მოურავი.

„მთელ ამ სოფელს თავისუფლების სხივი დაადგა თავზე შარავანდედად, გულს სიყვარულისა და ძმობა-ერთობის სხივი სვეტად ჩაადგა. ყველა წყნარად და მშვიდათ მუშაობდა. შემოვიდა, დამწიფდა ჰინდვრის და ბაღ-ვენახის მოსავალი. სოფლად რთვლობაა“.[2]

თავადი მარუშაძე და მისი სტუდენტი შვილი-კი კბილებს ილესავენ, უკმაყოფილონი არიან. სოფლისადმი შურითა და მტრობით იჟღინთებიან. დასახმარებლად მათ გამოიწვიეს ყაზახები და მათი ვეთაური გაბრიელ ევტევიჩი, რომელსაც გლეხებისა და მუშების ალაგმვა დაუსახავს მიზნად. გაბრიელ ევტევიჩი ცდილობს სოფელი გააშაგროს მით, რომ დაიპიროს მოთავე კაცები, როგორც ქორმა, ისე ამარცვლოს სოფლიდან ყველა „ბუნტოვჩიკი“, რომელიც სოფელს რევს, და ცივ ქვეყნებში ამოუყოს თავი, ციხეებში ჩაამწყვდიოს. გაბრიელ ევტევიჩის შეხედულობით, რასაც ვერ შეასრულებს კანონის ძალით, იმას მათრახი შეაესებს.

თავადი მარუშაძეები ახტაცებაში არიან მოსულნი გაბრიელ ევტევიჩის განცხადებით. ამ ყაზახ-ოფიცერს ისე უყურებენ, როგორც დაუძლეველ ძალას, ცდილობენ ყველაფრით ასიამოვნონ და გლეხ-კაცებს უფრო მძლავრად მიუსიონ და გული ერთი კარგად მოიფხანონ. თავადი ესტატეს სახლში გამუდმებული ნხიარულება და ქეიფი იყო. სოფელი კი ამ დროს მინდვრად იყო გასული. ის თავის საქმეს ჩუმად, წყნარად აკეთებდა,

რომ ბატონსა და გლეხს, მუქთახორასა და მშრომელთა შორის განსხვავება დაგვიხატოს, სოფ. მგალობლიშვილი ასეთს შედარებას გვაძლევს:

„სოფელი შრომობდა. ქვეყნის პატრონნი ქეიფობდნენ.

„სოფელს შრომის ოფლი ჩამოსდიოდა გულმკერდზე; შუბლიდან წურწურით ჩადიოდა ოფლის წვიმა ყანაში, ხნულში.

„ესტატეს სახლში კი ხარხარი იყო. ღვინით შეხურებულს და შეოფლიანებულს შუბლს სტუმრები ნელსაცხებელში დასველებულის ხაიათის ხელსახოცებით იწმენდნენ.“[2]

თავადი ესტატე გამარჯვების დღესასწაულის მოლოდინში აღარაფერს ზოგავდა. ყაზახებსა და გაბრიელ ევტევიჩის გარდა მაზრის

[1]) სოფ. მგალობლიშვილი—„ჯორ-ზაქარა“—გვ. 176; ტ II.
[2]) იქვე—გვ. 183, ტ. II.

უფოსსაც არ აკლებდა პატივისცემას. მადლიერი სტუმრებიც გულსმოდგინებით ასრულებდნენ თავადი ესტატეს სურვილებს.

„შუაგული კალოობაა!..—ჰშლის სოფ. მგალობლიშვილი სოფელი ტორტლას სურათს,—დათარეშობენ, როგორც მტრის ბანაკში, ყაზახები, დაათრევენ თან ისაკა მამასახლისს და აგროვებენ ღალას. ავსებით აიესო თავადი ესტატეს პურის ბეღლები, კვლავ გაიპიმა იმის საბძელ-კალოს პირზე ბჯები. ესტატე ცას ეწევა სიხარულითა, ნიშნს უგებს სოფელსა. სოფელი კი გაყრუმუნჯებულია, თითქო მთელს ტორტლას სოფლის საზოგადოებაში ხალხის მაჯის ცემა შესდგაო; ძალას აღმართი ახვნევინა თავადმა ესტატემ: ყაზახები ცემა-ტყეპით ართმევენდნენ ღალას; არ ინახებოდა სოფელში არც ერთი ადამიანის სული, რომ დასახიჩრებული არ ყოფილიყოს ყაზახის მათრახისაგან. განსაკუთრებული იერიში მიჰკონდათ ზაქარა ჯიღაურის და მთლად ჯიღაურების ოჯახებზე. ზაქარას დარბაზის ბანი მთლად მოუნგრიეს, ბოსელი ჩაუქციეს, ვენახი აუოხრეს ყაზახის ცხენების შიგ ჩაბმითა. ქალები ხომ ვერა ჩნდებოდნენ; ბოლოს ეს ხერხი იხმარეს: ყმაწვილი ქალები გახიზნეს მეზობელ სოფლებში ნათესავებთან, ნათელძირონებთან, კეთილ-მეზობლებთან; დარჩნენ ხნიერი დედაკაცები და ისინიც ღამე ჯიხურებში იმალებოდნენ და დღე, დილაადრიან, ქმარ-შვილებს მისდევდნენ მინდორ-ველზედ, კალოზე ერთად მუშაობდნენ“[1].

ხალხის ასეთს მდგომარეობას თავადი ესტატე სიამოვნების აღტაცებაში მოჰყავს და ცინიკურის კმაყოფილებით გაიძახის: „მე დღეიდან ხალხის აღარ მეშინიან!.. მემრისიდან სულ პატარ-პატარა „კაზაკები“ მოედებიან სოფლად. იმათი შერეული სისხლი გასწმენდს გლეხების ღვარძლსა და ტორტლა თავის დროზე აიესება ყაზახის ჩამომავალთა სისხლითა. სრულიად გადავქმნი მე ტორტლელებსა-“ო.

ასეთი თავბრუდამხვევი შევიწროვების, დარბევის და შეურაცყოფისაგან შევიწროვებული ხალხი გამოურკვეველ მძიმე მწუხარების ბურანს მიეცა, თითქოს სოფელმა თავისი მდგომარეობის შეგრძნობის და გაგების უნარიც კი დაჰკარგაო. მაგრამ ზოგიერთს, რომელიც თავისუფლების და ერთობის გზაზე შესდგა მთელი თავისი არსებით, გადაობა თავისი გული და აზრი ხალხის მომავალ ბედს, არ შეეპუა, არ გატყდა. მათ ზურგს და თვალს ბევრჯელ უნახავს ამისთანა გაჭირვება. ასეთებს გაჭირვება უფრო აკაჟებს, შეურაცყოფა უფრო აღელვებს, აღშფოთებს და შურისძიების ბოლმით უვსებს გულს.

არც სოფელ ტორტლაში დადგნენ ეს მოთავე პირნი.

---

1) სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—ჯორ-ზაქარა--გვ. 185-166.

შუალამეა. სოფლის ბოლოს, სამების ეკლესიის ეზოში ხალხი მოზღვავებულია. „მოთმინების ფიალა აივსო, ამხანაგებო,—დაიწყო აწ მოხუცებულმა ჯორ-ზაქარამ,—წელში გაგვწყვიტეს,მამულ-დედული გაგვიოხრეს, ნაშრომ-ნაჭირნახულევი წაგვართვეს. კვლავ ივსება ესტატეს ოჯახი ჩვენის ნაშრომ-ნაჭირნახულევით და ჩვენი, ისეც დაცარიელებული ოჯახი, მთლად გამოიფიტა, გამოიფშუტა. ხომ გინახავთ ობობისაგან გამოფშუტებული ბუზი!... რომ ნახავ, ბუზია, როგორც ბუზი. მაგრამ თითები რომ გაუსვა, ბურნუთივით გახდება. ჩვენც ესე გამოგვფიტეს ყაზახებმა ესტატეს წყალობითა. ჩვენ გავძვალ-ტყავდით... თითქო ერთობა ჩაქრა ჩვენში, მისი ძალა აღარ გვასულდგმულებს. ნუთუ ყაზახთა ძალამ ჩააქრო ჩვენში ერთობის ძალა! ძალას ძალა უნდა ვუფაროთ, ნუ დავქალაჩუნდებით... ბარემ ერთს დღეს დავიხოცნეთ, უცბად მოვისპოთ სიცოცხლე, ასე წვეთ-წვეთად დაწრეტას სისხლიდან...

— „გასწიე, ბერო მინდიავ, მუხლი მოიბი მგლისაო, გაიყოლიე უნცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო“,—შესძახეს ჯორ-ზაქარასა ახალგაზრდა გლეხებმა.

—„შენ წინ გაგვიძეხ, შენი გამოცდილებით გვასულდგმულე და ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთ.

— „უნდა თავზედ დაეანგრიოთ სახლ-კარი... სულ ერთიანად გადაებუგოთ მისი ძნები: ნურც ჩვენ და ნურც იმას!—აყვირდა ხალხი.

— „წყნარად, ამხანაგებო, წყნარად, ნუ ახმაურდებით!... უნდა მოესპოთ, ძირიანად ამოვაგდოთ ესტატეს სახლ-კარი. ჩვენ იმის წინაშე დანაშაულნი არა ვართ, ჩვენ ვსთხოვეთ მორიგება, შეთანხმება ღალა-კულუხზე, იმან არ ინება და ძველი გზით დაიწყო სიარული, უფრო ტყავი გაგვაძრო. ეს არაფერი: ნამუსი შეგვიგინა, კვეხულობს, რომ ჩვენს ქალებს ნამუსს ახდის და „პატარა ყაზახებს“ გაამრავლებს...

—„სიკვდილი, სიკვდილი!... ცეცხლი, ცეცხლი!..—გაისმა ერთხმად მთელ კრებაში და არემარემ ხმა გამოსცა, ყოველივემ ირგვლივ გაიმეორა: სიკვდილი, ცეცხლი“...

„გადაწყდა!.. სიკვდილს და ცეცხლს თხოულობდა ხალხი!—სიკვდილს და ცეცხლს თხოულობდა მთელი არე-მარე, ბანს აძლევდა ხალხის გულს, ტაშს უკრავდა და ამხნევებდა...

„ტკბილია სისხლით ნაშოვნი თავისუფლება!“[1] აი როგორი რ ე ვ ო ლ უ ც ი ნ ურ ი ძ ა ხ ი ლ ი თ ა თ ა ვ ე ბ ს სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ა წ ი ო კ ე ბ უ ლ ი დ ა ა ქ ო თ ე ბ უ ლ ი ს ო ფ ლ ი ს ა ს ა ხ ვ ა ს.

---

[1]) სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—ჯორ-ზაქარა –გვ. 187—188.

გრძელია და მდიდარი თავისი მრავალფეროვანებით ხალხის მიერ თავისუფლების მოპოვების გზა, ბევრჯელ დამარცხდა ასე შეკრებილი და შეფიცული ხალხი. ბევრჯელ შესწირა თავისუფლების მიღების გრძნობას, ადამიანური უფლებების მოპოვებას ხალხმა უდიდესი და უძვირფასესი მსხვერპლი. ბევრჯელ, ძალიან ბევრჯელ ძვირად დაუჯდა ხალხს შუალამისას, მალვით, ზარის ხმაზე შეკრება და ბოლმის გადმონთხევა და სხვებზეც ამ ბოლმის გადადება. მეტად სასტიკად და უადამიანუროდ ექცეოდნენ მას მტარვალები. მაგრამ ვერა და ვერ ჩააქრეს ხალხის გულში ერთხელ მძლავრად ამონთებული თავისუფლების მოპოვების ლამპარი, განსაკუთრებით, როდესაც თვით ხალხის შვილების ხელში გადავიდა თავისუფლების გზის მაჩვენებელი ჩირაღდანი. ეს ხალხის შვილები მეტის ენერგიით, ხალხისა და ცხოვრების ზუსტად ცოდნით, გამძლე ბუნებით შეუდგნენ ერთობის სამოციქულო გზას, ახალი ცხოვრების აუცილებლობის და მოახლოვების ქადაგებას და საჭიროებას.

ხალხმა უფრო ადვილად იგრძნო აღთქმის ქვეყნის მიმზიდველობა და მოახლოვება. უფრო მტკიცედ შეითვისა და შეიყვარა თავისი მოკეთე, თითონაც მასიურად დაირაზმა და გატაცებით გაჰყვა მას.

ასეთს მოღვაწეობას ერთობის მქადაგებელობისას უფრო გარკვეულს, ვიდრე ჯორ-ზაქარაშია მოცემული, სოფ. მგალობლიშვილი გვაძლევს თავის პატარა მოთხრობაში „და შეჰფიცეს", რომელიც შინაარსით, იდეურის მისწრაფებით მეტად დიადია და არაჩვეულებრივ საგულისხმიერო.

ეს პატარა მოთხრობა მშვენიერი სოციოლოგიური ტრაქტატია. აქ უკვე მკვეთრად მოსჩანს კლასობრივი თვალსაზრისი ავტორისა. მტკიცედაა მთელს ნაწარმოებში გატარებული განსხვავება და დაპირისპირება ორი მოქმედი კლასისა—მშიერისა და მაძღრისა, რომელთა შორის არსებული ბრძოლა ჰქმნის ცხოვრებას. გამარჯვება, ავტორის რწმენით, მშიერს, დაჩაგრულს მოელის. მქადაგებელი —გლეხის შვილი ილიკო შველიძეა. სოფლიდან სოფელში დადის და ამზადებს ხალხს ახალი ცხოვრებისათვის. ხალხმა შეიყვარა და ნდობით აღჭურვა ის. ილიკო მიდის სოფ. ნაკედლარში საქადაგებლად. სოფელმა თავი

მოიყარა ერთს ეზოში და სულგაკმედილი ყურის საგდებლად მოემზადა. გაისმა რიხიანი, თამამი და მტკიცე ხმა ილიკოსი.

„დღეს მე იესოს სიტყვებით დავიწყებ ბაასსა,—მიჰმართა ილიკომ ხალხს.

— „ნეტარ ხართ თქვენ, რომელთა გშიათ აწ, რამეთუ განსძღეთ; ნეტარ ხართ, რომელნი სტირით აწ, რამეთუ იცინოდეთ“...[1] აი ფორმულა და მრწამსი, რომელიც ამოძრავებს ილიკოს (და თვით ავტორსაც, როგორც ხალხოსანს). მაგრამ საინტერესოა ის მკაფიო, მარტივი და დამარწმუნებელი სწორი განმარტება ამ მოტანილი თქმისა, რომელსაც ილიკო აძლევს ხალხს ტ რევოლუციონურ ალს უკიდებს მათს გულს. „ამხანაგებო,—უხსნის ხალხს ნათქვამის შინაარსს ილიკო,—დღეს გვშიან ჩვენ, ვტირით და ვვაებთ იმიტომა, რომ ყოველივე წართმეული გვაქვს. ჩვენ ვმუშაობთ, ოფლს და სისხლს მიწას ვაწვიმებთ, სხვა კი ჩვენს ნამუშავარს იმკის, სხვას მიაქვს; აბა მიიხედ-მოიხედეთ—რას არ ვამზადებთ, ყველაფერი ჩვენგან არის გამზადებული, სხვა კი ძღება, სუქდება. მადლობისა და შეწყალების მაგივრად, გვლანძღავენ, გვაგინებენ, ცხვირში ძმარს გვადენენ. ყოველივე ეს ჩვენი ქალაჩუნობის ბრალია. გამოცდილებით ვიცით, რომ ყველა პირუტყვი, ყველა მწერი, სულ პაწაწინა ჭიანჭველაც კი, ამხედრდება იმის წინააღმდეგ, ვინც იმას ხელს შეუშლის.... ჩვენ კი, როცა გვაწამებენ, როცა პირში გვაგინებენ, როცა ცხვირში ძმარს გვადენენ, ფეხ-ქვეშ ვუცვივით ჩვენს მტარვალებს, ხელფეხს ვულოკავთ, რა არის, არ ჩამოგვართოს მიწა, ის მიწა, რომელიც ჩვენია, ხალხისაა და არა რომელიმე კაცისა“.[2]

ახლა ხალხი და თვით ავტორიც ჰგრძნობს, რომ მარტო წყნარი, კულტურული მოღვაწეობით არ შეიძლება არც მიწისა და არც თავისუფლების მოპოვება. საჭიროა ძალას ძალა დაახვედრონ. უძალოდ და უმსხვერპლოდ მშრომელი ჩაგვრის უღლიდან ვერ გამოვა, ერთობა ვერ დამყარდება. ამიტომ ილიკო ასე მიჰმართავს ხალხს: „მივბაძოთ პირუტყვებს, ხელი შეეუბრუნოთ მტარვალებს, გვეყო შიმშილი, ახლა განვსძღეთ სულითაც და გული-

[1])სოფ. მგალობლიშვილი—და შეჰფიცეს—გვ. 20„მოთხრობანი“1926 წ. სოფ. მგალობლიშვილის და ზოგიერთა სხვა ხალხოსნის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით ციტატებს და ფრაზებს, სახარებიდან ნასესხს. ეს აიხსნება არა მათი რელიგიური რწმენით (ისინი წინააღმდეგნი არიან ეკლესიისა. ეს გარკვეულად ჩანს მათს შემოქმედებაში), არამედ იმით, რომ ისინი სემინარიაში არიან ნასწავლნი. შემდეგ შეიძლება ეს მათთვის ერთგვარი ნიღაბიც იყოს.

[2]) სოფ. მგალობლიშვილი—და შეჰფიცეს,—გვ. 20-21.

თაც; გვეყო ტირილი, ახლა ვიშვათ, ვიხაროთ სულითა და ხორცითა, შიმშილს გაძღომა მოსდევს, ტირილს მხიარულობა, ორთაეეს, შიმშილსა და ტირილსაც, ჩვენვე უნდა ვუწამლოთ... უნდა ჩვენ ყველანი, მთლად ყველა სოფლები გადავებათ ერთმანეთს ჯაკვითა, მაშინ ვერაფერი ვერ დაგვძლევს. მართალია, არ დაგიმალავთ, ეს ერთობა ბევრს ჩვენგანს შეიწირავს, ბევრისაგან ბევრი უმანკო სისხლი დაიღვრება, მაგრამ გამარჯვება ჩვენია, ბრძოლის ველისგან ბევრისგან ბევრს გავიტანთ.“ [1]

იმედი და გამარჯვების აუცილებლობა მტკიცეთ ჩაიკვედა ხალხის შეგნებაში. და ეს გამარჯვების მოლოდინი ახლა მარტო გრძნობის აღგზნებით და მონობის უღლის სიმძიმისგან თავის დახწევის სურვილით-კი არ აიხსნება, არამედ მისი ლოღიკური დასაბუთებაც უკვე ხალხისათვის აშკარა და გასაგები გახდა, ბრძოლა გლეხობისა სტიქიური ფაზიდან გადადის მწყობრ, გარკვეულ, გეგმიან ბრძოლაზე. „ამხანაგებო!—უხსნის ილიკო ხალხს,—ღმერთს არ გაუჩენია არც ბატონი, არც ყმა, არც მონა, არც მდიდარი და არც ღარიბი. ყველა ეს ჩვენი გაჩენილია, ყველა ეს ჩვენი უგუნურობის ნაშობია... მიწა, აი ეს დედამიწა, ჩვენი სისხლითა და ოფლით მორწყული, არავის საკუთრებად არ გაჩენილა, ამას ერთი ვინმე ბატონ-პატრონად არ ჰყოლია; იგი ჩვენისავე უგუნურობით რამდენისამე ხელში ჩავარდნილა. მიწა იმისია, ვინც ხმას ამუშავებს, ვისაც იმაში ოფლი და სისხლი უწვიმებია და ასე უნაყოფიერებია იგი... მაშ მიწა ხალხისაა, საერთოა!...“ [2]

გლეხობაც და მათი მოკეთე ხალხსნებიც კარგა დიდი პერიოდის ბრძოლის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ბრძოლა მიწის მიღებისათვის, ბრძოლა ეკონომიური კეთილდღეობისათვის შეუძლებელია ხალხმა აწარმოოს, თუ ის პოლიტიკურადაც არ განთავისუფლდება. ხალხის ეკონომიურად თანასწორი და უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის საჭიროა არსებული ბიუროკრატიული წყობილების დამხობაც. ამისათვის სოციალ-ეკონომიურ ბრძოლასთან ერთად ბრძოლა პოლიტიკურიც! აი ლოზუნგი, რომელმაც გაეღინთა ატმოსფერო ცხოვრებისა და მძლავრად ასუნთქა თავისუფლების მაძიებელი ხალხის მასები. ხალხის ასეთი სულისკვეთება მშვენივრადაა ასახული სოფ. მგალობლიშვილის მიერ მოთხრობაში „და შეჰფიცეს“. „მაგრამ რას ვაქნევთ, ამხანაგებო, ცარიელ-ტარიელ ჰიწას, თუ

[1]) სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—და შეჰფიცეს—გვ. 21—22.

[2]) იქვე—გვ. 22—23.

ბატონის ჩიბუხი კვლავ კბილებს ჩაგვამტვრევს, თუ კვლავ ჩვენი სული და გული მარწუხებში იქნება გათანგული!... მაშ მიწასთან თავისუფლებაც უნდა, რომ ხალხმა ფრთა გაშალოს... მაშ, ამხანაგებო, მ ი წ ა დ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა!... მოვიპოვებთ მიწას და თავისუფლებას,—განაგრძო კვლავ ილიკომ,—მოვიპოვებთ შვებას, სიცოცხლეს, სიხარულსა, მოვრჩებით ტირილსა და ვაი-უშველებელსა... მაშ „ნ ე ტ ა რ ხ ა რ თ თ ქ ვ ე ნ, რ ო მ ე ლ თ ა გ შ ი ი ს ა წ, რ ა მ ე თ უ გ ა ნ ს ძ ლ ე თ, ნ ე ტ ა რ ხ ა რ თ, რ ო მ ე ლ ნ ი ს ტ ი რ ი თ ა წ რ ა მ ე თ უ ი ც ი ნ ო დ ე თ“!..[1]

თუ ასეთია მომავალი ჩაგრულთა და მშიერთა, თუ მომავალში გამარჯვება და სიხარული იმათ მხარესაა, სამაგიეროდ მძიმეა და სავალალო აწ მაძღართა, მჩაგვრელთა და ჩაგვრით ბედნიერების და სიამოვნების მომხვეჭთა. ჩასუქებულ ისაკას (სოფლის წურბელას) და მისთანებს ილიკო ასე მიჰმართავს: „ვ ა ი თ ქ ვ ე ნ დ ა, გ ა ძ ღ ა რ ნ ო ა წ, რ ა მ ე თ უ გ შ ი ო დ ე ს; ვ ა ი თ ქ ვ ე ნ დ ა, რ ო მ ე ლ ნ ი ი ც ი ნ ი თ ა წ, რ ა მ ე თ უ ი გ ლ ო ვ დ ე თ დ ა ს ტ ი რ ო დ ე თ.“ აი თქვენზეა ეს ნათქვამი. მდიდარნო და ფუფუნებაში აღზრდილნო, თქვენ ნებით არ დაემორჩილებით ერთობის ძალას, ამიერიდან დადგა დრო თქვენის სიმშილისა, თქვენის გლოვისა და ტირილისა; იგემეთ, როგორია სიმშილი, როგორია შრომა, როგორია სისხლის ცრემლით ტირილი“.[2]

სოფ. მგალობლიშვილი, თითქოს რაღაც მისნობით ჰშლიდეს სურათს დიდი რევოლუციის ხანისას, რომლის მოწმენიც ჩვენ შეეიქმენით. თითქოს მშრომელის მძლავრი გამარჯვების მძლავრი წინაგრძნობა შეუცნობელს აცნობიერებს, ფანტაზიას რეალობად აქცევს!

და ეს ახალი მოძღვრება მძაფრად მოედო სოფლებს, „მიძინებულმა დევმა გაიღვიძა, შეკრულ-შებოჭილმა ამირანმა ხელები აითითა დი აი თავისს ახსნას ითხოვს“...[3] ათავებს სოფ. მგალობლიშვილი.

მართალია, ილიკოს თან იუდაც სდევდა. მართალია, ილიკოს იდეების წინააღმდეგ დარაზმულთ იერიშები მიჰქონდთ; მარალია, ილიკოსა ჰკლავენ, მის სახლ-კარს ცეცხლს აძლევენ, მტარვალები ილიკოს და მის ოჯახის გაუბედურების დროს, გამარჯვების კმაყოფილებით დამთვრალნი, ტაშს უკრავდნენ და ვაშას დასძახოდნენ.

---

[1]) სოფ. მგალობლიშვილი,—„და შეჰფიცეს“—გვ. 23.

[2]) იქვე—„და შეჰფიცეს“. გვ.—24—25.

[3]) იქვე.

მაგრამ ხალხის გული, ილიკოს იდეებით ანთებული, ვეებერ თელა ცეცხლად იქცევა, შეარყევს მთელს სამყაროს, ვით მძლავრი ვულკანი, ამოჰხეთქს მის გულიდან საუკუნოებით დაგროვილ ვაი-ვაგლახსა, შურსა, გაბოროტებასა და წალეკავს მაძღართა სამეფოს თავისი ნებივრობითა და ფუყფუნებით, უზრუნველობით და ძალმომრეობით; ააფრიალებს დროშას ნამდვილი ძმობისას, ერთობისას, თავისუფლებისას; დაანგრევს და გადაჰბუგავს საუკუნოებით დაწნულ ზღუდეს აღთქმის ქვეყნისკენ და შეიყვანს იქ ტანჯულ ხალხს ჭეშმარიტი ცხოვრების აშენებისათვის.

აი ეს მთავარი მისწრაფებაა, ხალხოსნების მოღვაწეობას რომ აღფრთოვანებს და აალებს; ძალასა, ვასაქანს და შინაარსს აძლევს, მკითხველსაც რომ ასე იტაცებს. ამით აიხსნება, რომ მე-XIX-ე საუკუნის მანძილზე ჩვენს ლიტერატურაში იშვიათი მწერალი გადარჩა, რომ ხალხოსნური მიმართულების გაელენა არ განეცადა.

მართალია, მხატვრულობის მხრივ ესევე მისწრაფებაა ხალხოსან მწერლებს პოეტური ინტუიციის მოქმედების უშუალობას რომ უბორკავდა; მართალია, ხალხოსან-მწერალთ, მათს მხატვრულ აღმაფრენას ცხოვრების ნდომა და ძახილი ფრთას რომ უკვეცავდა.

გამოკვლევა გვინდა დავამთავროთ გამოჩენილი რუსი კრიტიკოსი-პუბლიცისტი და დიდი მოაზროვნე გიორგი პლეხანოვიდან გადმოკეთებული აზრით. ხალხოსნური მიმართულება ჩვენს ლიტერატურაში რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გამომხატველი იყო ქართველ საზოგადოების საუკეთესო ნაწილის მოწინავე შეხედულებათა და მისწრაფებათა [1]. ამაშია მისი მთავარი ისტორიული დამსახურება და, თუ გნებავთ, დანიშნულებაც.

შეიცვლება ქართული საზოგადოებრივი დამოკიდებულება (ის უკვე შეიცვალა), გამოჩნდება საქართველოს ისტორიულ სცენაზე უფრო მოწინავე ფენები ან კლასები (ასეთი ხანა უკვე დადგა) და მაშინ ხალხოსნური ლიტერატურაც უკანა ხაზზე გადაინაცვლებს, ადგილს ახალ მიმართულებას დაუთმობს (ეს ასეც მოხდა: 90-იან წლებში ხალხოსნები ადგილს უთმობენ „მესამე დასს"). მისი გაელენა ძალას დაჰკარგავს. მაგრამ მის წარმომადგენელთ ყოველთვის უფლება ექნებათ სთქვან, რომ ისინიც ტყუილად არ სწერდნენ, რომ იმათაც თავის დროს შესძლეს ქართული საზოგადოებრიობის განვითარების საქმისათვის სამსახური გაეწიათ.[2] და უნდა ითქვას, რომ

[1]) ესევე შეიძლება ითქვას თერგდალეულებზედაც, რასაკვირველია, თავისი დროისათვის.

[2]) Г. Плеханов—„Народники беллетристы"—т. X—ст. 15.

ხალხოსნებმა მართლაც ქართული საზოგადოებრიობის საქმეს დიდი სამსახური გაუწიეს.

როცა კი ჩვენი ლიტერატურის მატიანეში მკვლევარი ჩაიხედავს, ჩვენი ხალხოსნების სალიტერატურო მოღვაწეობა (აგრეთვე თერგდალეულებისაც), როგორც მისი ერთი საუკეთესო ფურცელთათაგანი, მძლავრი ანდამატივით მიიზიდავს მის გულისყურს. და თუ მას წარსული ცხოვრების მაჯისცემის გაგების უნარი აქვს, უდაოდ ძალუმად განიცდის მის დიდ ძალას და მნიშვნელობას; სიამოვნებით და კმაყოფილებით აღივსება მისი არსება, ჩაუწვდება იმ მიზეზს, რომელიც ხშირად ხალხოსანი (და თერგდალეულისაც) მწერლის დიდს ნიჭს მხატვრობის მხრივ გასაქანს არ აძლევდა.

საკუთარ სახელთა საძიებელი *)

აბდუშელიშვილი დავ. 194, 195, 271.
„ავადმყოფი''—112.
ბზერბეიჯანი—13.
ალექსანდრე II—22, 265.
ალექსანდრე III—39, 205.
ალექსი-მესხიშვილი სარდ. — 76, 77, 78, 88, 89.
„ალი''—227, 228.
ამიერ-კავკასია—10, 11, 12, 13, 18.
ამირინდო („დავა'')—54.
ანდრეევიჩი 24, 25, 35.
ანდრია („ყოველი მხრიდან")—236, 237.
ანდუყაფარ („გაყრა'')—54.
ანტონ კათალიკოზი—73, 76, 78.
არადელი („იმედი''-ს თანამშრომ,)—207.
არაშენდაანი („ალი'')—228, 229, 231, 235, 236.
არდაზიანი ლ.—195.
არსენა („კაკო ყაჩაღი'')—129, 130, 131.
არუთინა („ყოველი მხრიდან)—236.
არჩილი („ოთარ. ქერეიდან'')—279.
ასათიანი მიხ. 187, 209, 211.
ასკილაძე დემეტრე („დემეტრეს სახლობა") 237.
„აღმართ, აღმართ''...—112, 215
„აჩრდილი''—63, 65, 117, 137, 151, 152.
„ახალი გზა''—161.
„ახირებული ფურცელი''—87.

ბათომი—167.
ბაირონი გ. გ.—69.
ბარათაშვილი გ.—74, 77, 79.
ბარათაშვილი ნ.—8, 71.
ბაკუნინი მ.—29, 35, 36.
ბაქრაძე დ.—175.
„ბატონყმობა ძველ დროს საქართველოში''—52.
„ბედი უბედურთა"—279.
„ბედნიერი კუნქული''—223, 242, 245.
ბელინსკი ვ.—23, 256.
ბერიშვილი ნიკო („გამარჯვებული ნიკო'')—280, 281, 282, 283, 284, 285, 286.
ბერუა („ბერუას ჩაფიქრება'')—224, 235.
„ბერუა ქრისტესიაშვილი''—260.
ბეროა („ბერ. ქრისტ'')—260.
ბლუდოვი—14.

გაბაშვილი (გაბაევი) გიგო—191.

*) შენიშვნებში მოხსენებული სახელები საძიებელში შეტანილი არ არის.

გაბაშვილისა ეკ.—159, 210, 260, 276, 278, 279, 280, 281, 301.
გაბიჩვაძე ვარ.—191.
გაბუნია კესო—191.
გაბუნია ნატო—191.
გაბრიელ ევტეევიჩი („ჯორ-ზაქარა")—302.
გაბრო („გლახის ნაამბობი") — 132, 133, 134, 135, 136, 138, 139, 151, 154.
გადალმელი („იმედის" თანამშრომელი) –270, 271, 272.
„გავსწორდეთ, ბედო!"—62.
„გამარჯვებული ნიკო" —276, 280.
„განდეგილი"—214.
„განთიადი"—275.
„გაყრა"—19.
გელა („მოძღვარი")—258.
გერცენი ა.—22, 23, 26, 30, 256.
გერმანია—102.
გეტე ი.-ვ.—69.
„გიგო ღრუბელაშვილი"—211,225, 247, 248.
გირგოლაი („მამის მკვლელი")—258, 260, 261, 262.
გიტო („გლახ. ნაამბ.")—133.
„გლახის ნაამბობი"—97, 125, 127, 132, 134, 136, 144, 151, 154, 270.
გლახუკა („გლახ. ნაამბობი") –151, 154.
„გმირისეულის ქალი"—259.
გოლოვინი ა. ვ.—10.
გორი—190, 191, 192.
გოჩა („ხევ. ბერი გოჩა")—253, 254, 255, 256, 262.
„გუთნის დედა"—65.
„გუთნის დედა" (გაზ.)—173, 214.
გურგენიძე მიხ.—186, 205, 216, 234, 250.

დავითაშვილი ი.—224, 225.
დავითაშვილი შ.—190, 191, 192.
დათიკო („გლახ. ნაამბ.")—122, 133, 145.
დათუა („ალი")—231, 232, 237, 238.
დარეჯანი („ქაცია ადამიანი")—140, 141, 144.
დარეჯანი („დედა მაია")—283.
დაღისტანი—82.
„დახლიდარის ანგარიში"—117.
„და შეჰფიცეს"—291, 305, 307.
დებაგორი მოკრიევიჩი—38.
„დედა-ენა"—115.
„დედა და შვილი"—106, 108, 109, 110.
„დედა-მაია"—220, 232.
დეკანოზიშვილი ვასო—191, 192.
დიდო—82.
„დიმიტრი თავდადებული"—110.
დისტერვეგი—275.
დობროლუბოვი ნიკ.—26.
„დროება"—166, 170, 172, 17 " 174, 175, 177, 180, 181, 182, 186, 189, 208.
დურმიშხანი („სურამის ციხე")—56, 57.

ედიშერიშვილი გიორგი („თამარის ნუგეში")—277, 278, 280.
ევდოშვილი ირ.—219.

ევროპა 6, 11, 21, 29, 70, 76, 110, 102, 167, 192, 193.
ეკალაძე („იმედის" თანამშრ.)—189.
„ელგუჯა"—252, 262.
ელისო („ელისო")—260.
ერისთავი ლუარ.—191.
ერისთავი მიხ.—191.
ერისთავი რაფ.—104, 113, 114, 115, 150, 223, 235, 251.
ერისთავი რევ.—71, 77, 78, 79.
ეშმაკურაშვილი ფიდუა („ღამის მეხ. ცეცო")—246, 247, 266, 293, 294.
ერმოლოვი ა. პ.—10.
„Эстетические отношения искусства к действительности"—25.
ვარდო („სურამ. ციხე")—57.
ვორონცოვი მ. ს.—9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 18, 19, 166.
ვანო („ბედი უბედურთა")—274, 291.

ზალიკა („სურ. ციხე")—56.
ზაქარია დიაკვანი („ალი")—229, 231.
ზაქრო („კაკო ყაჩაღი")--127, 128, 130, 139.
ზასულიჩი ვერა—38.
„Земля и Воля"—38.
ზერტელი მკითხავი („დედა მაია")—233.
ზლატოვრატსკი ნ. ნ.—39.

თადეოზი („სფირ. და თადეოზ. გაბაასება")—68, 103, 104.
თათქარიძე ლუარსაბ („კაცია ადამიანი?!")—139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 279.
თამარი („თამარის ნუგეში")—276, 277, 278, 280.
„თამარის ნუგეში"—276.
„თაო ჩემო"—215.
თარხან-მოურავი გრ.—175, 180.
თედო („სოფლაში ჩამომძახე")—287.
თეკლე („სოფ. ჩამომძ.")—288.
„თერთმეტი მებუკე"—51.
თინა („თინიას მამითადი")—251.
თულაშვილი ვახტ.—17.
იაგო („მამის მკვლელი")—262.
ივანენკო ვ. ნ.—11.
ივანოვ-რაზუმნიკ—23, 36, 31, 32, 36.
„ივერია"—182, 186, 189, 205, 208, 217, 21², 288.
„ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ"—80.
ილიკო („და შეჰფიცეს")—291, 305, 306, 308.
„იმედი"—186, 189, 193, 194, 195, 201. 203, 204, 207, 208, 209, 210, 216, 217. 234, 270, 271, 272.
იმედაშვილი მ. (მ. ასათიანის ფსევდ.)—188.
„იმერული ნანინა"—159.
ინაშვილი ნ.—179, 183, 184.
ინგლისი—27, 28, 102.
იოსელიანი ეგნატე—191, 192.
ირლანდია—102.
ისაკა („და შეჰფიცეს")—308.
„Исторические письма"—34.
იტალია—102.

კავკასია—11.
კოზლოვი ი. ი.—78.
კაკო („კაკო ყაჩაღი“)—127, 128, 130, 131, 139.
„კაკო ყაჩაღი“—97, 125, 127.
კალანდაძე არს.—191.
კარაკოზოვი—22.
კარამზინი ნ. მ.—78, 79.
„კაცია ადამიანი?!“—97, 125, 127, 138, 144, 145, 147, 214.
კერესელაძე ივ.—49, 50, 124.
კერესელიძე მათე—190.
კვიცარიძე პოლიევკტე—191.
კიკოლა („ქაჯანა“)—230, 232.
კისელიოვი ი. დ.—14.
კობა („ მამ. მკვლ.“)—262.
„Колокол“—22.
კომენსკი ამ.—275.
კორინთელი ბაბო—191.
კოშკაძე ლიზა („გამარჯ. ნიკო“)—281, 282, 283, 285.
„კრებული“—170, 172, 175, 177, 180, 181, 183.
კროპოტკინი პ. ა.—41.
კუდიგორის მთა—128.

ლავროვი პ. ლ.—32, 34,36,37, 39.
ლამაზისეული („კაცია ადამიანი?!“)—138, 139, 144.
ლაშხი მათე („საფლ. ჩამომძ.“)—286, 287, 289.
ლევანი („თამარ. ნუგეში“)—278, 280.
ლეკიკარი—281.
ლილიფარიანი—283, 285.
ლენინგრადი—13, 45, 62, 84.
ლენინი—102.
ლექსიშვილი ზურაბა („ქრისტ.-ლეკ.“)—240, 241, 242.
ლომონოსოვი მ.—77.
ლომოური ნიკ.—159, 206, 210, 211, 212, 225, 227, 228, 230, 232, 235, 239, 242, 247, 249, 259, 268, 273, 274.
ლორთქიფანიძე კირ.—46.
ლუკაშვილი სიმონა („ქრისტ.-ლეკ.“) 239.

მაია („ალი“)—229, 230.
მაია („დედა-მაია“)—221, 222, 232, 233.
მაიაშვილი გ. (ზდანოვიჩი გ.)—2, 181, 184, 185, 193, 216, 217, 250.
„მამის მკვლელი“—252, 257, 258, 266.
„მამულის საერთო მფლობელობა“—173—174.
მარქსი კარ.—102, 103.
მაჭავარიანი თომა—88.
მაჭავარიანი ილიკო—191.
მაყვალა („მოძღვარი“)—260, 262.
მარტია („ელგუჯა“)—262.
„მარტიაანთ პაპა“—223.
მახია („მამ. მკვლ.“)—260.
მარუშაძე ესტ. („ჯორ-ზაქ.“)—244, 267, 296, 297, 302, 303.
მგალობლიშვილი სოფ.—159, 191, 197, 198, 206, 209, 211, 220, 232, 239, 244, 246, 259, 266, 267, 268, 286, 291, 292, 294, 296, 300, 305, 307, 308.

„მგზავრის წერილები“—44, 47, 68, 110, 149, 171, 214.
„მერცხალი“—116.
მესხი სერგი—166, 175, 180, 181, 182.
„მეტივე“—223, 242.
„მეჯღანუაშვილი ს. ი.“—19.
მეჯღანუაშვილი („მეჯ.ღ. ს. ი.“) —195.
მიკირტუმოვი ყაზარა („დემეტრ. სახლობა“)—237.
მილი რობერტი—28.
მირზოევი--173.
მიხა („ლამ. მეხრე ცეცო“)—291, 293.
მზაღო („ელგუჯა“)—260.
მიხაილოვსკი ნ. კ.—24, 30, 31, 32, 33, 38, 39.
მიხაილოვი მ. ილ.—27.
„მნათობი“--165, 170, 182, 183, 184.
„მოგონება“-- 115, 116.
„მოგონებანი სამოციან წლებზე“ —45, 46, 93.
მოლაყბე - 49.
„მონანიე აზნაური“—29, 31, 32, 278, 279, 280.
მოსკოვი—13, 205.
„მოძღვარი“—252, 258, 262, 266.
„მუშური“ - 161, 162.
„მუშის ნატვრა“—161.
„მუშა“—171.
მღვდელი („გლახის ნაამბობი“)— 154, 157, 158, 159.

„ნათელა“—182.
„Народная Воля“—38.
ნატო („სურამ. ციხე“) - 57, 58.
ნაუმოვი ნ. ი.—39.
ნეიდჰარტი—10.
ნიკოლოზ I—12, 13, 15.
ნიკოლაძე ნ.—45, 46, 63, 169, 170, 175, 179, 180.
ნინიკა („ბედ. უბედ.“)—269.
ნინუა („სნეული ოჯახი“)—224.
ნოდარი („სურ. ციხე“)—55, 57, 58.
ნუგზარი („ხევ. ბერ. გოჩა“)—253, 254.
ნუნუ („მამ. მკელ.“)—260, 262.

„ოთარაანთ ქვრივი“—214.
ონისე („ხევ. ბერ. გოჩა“)—254, 256.
ონისე („მამ. მკელ.“)--261.
ონისე („მოძღვ.“)—262, 263.
ონოფრე („მოძღვარი“)—263, 264, 265, 266.
ორბელიანი ალ.—49, 50, 52, 53, 54, 57.
ორბელიანი გრ.—71, 119.
„ორიოდე სიტყვა“ (თერგდ. წერ. პავლოვსკიდან)—89.
„ორიოდე სიტყვა თ. რევ. შალ. ერისთავის კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზე“—71.
ოსმალეთი--11.
ოსმან-აღა („სურ. ციხე“)—56, 58.

პავლე („გაყრა“)—54.
პავლოვსკი—89.
პანინი ვ. ნ—14.
პაპა („მარტიაანთ პაპა“)—223.

პაპაი („მამ. მკვლ.“)—260, 261.
„პარიზი“—177, 178.
„პასუხის პასუხი“—73, 119, 120.
„პასუხი“—75, 81.
„პასუხი მეორე თერგდალეულის პასუხისა“—88.
„პასუხი შვილთა“—119.
„პასუხი ჭავჭავაძის კრიტიკაზე“—78.
პეპია („გლახ. ნაამბ.“)—134, 135, 136, 137.
პესტალოცი იოგ.-გენრ.—275.
პეტრე („გლახ. ნაამბ.“)—154.
პეტრე („საფლ. ჩამომძ.“)—287.
პეტერბურგი—11, 13, 45, 62, 63, 78, 84, 124.
პეტრიაშვილი—175.
პისარევი ა. ი.—24, 26, 95.
პლეხანოვი გ.—40, 101, 309.
„პოემიდან—„რუსეთუმე“—85, 88.
„პოეტი“ (ილ. ჭავჭ.)—97, 98.
„პოეტი“ (აკ. წერ.)—98.
პოლონეთი—102.
„პროდონისტები“—102.
„პროპაგანდისტები“—37.
პუშკინი ა. ს.—25, 85.

ჟილიაბოვ—38.

„რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერელის გორისელის სიტყვებზედ“—85.
რაუ კ. გ.—28.
როზენი—10.
როშერი ვილგ.—28.
რუსეთი 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 15, 17, 20, 21, 22, 26, 27, 29, 41, 43, 84, 104, 105.

„სალაყბო ფურცელი“—49.
საბუე—82.
სალომე („გმირისეულის ქალი“)—259.
სამადოვი (სამადაშვილი) ვ.—191.
„სამშობლო ხევსურისა“—114.
სანდალა („დედა მაია“)—220, 221, 222, 232, 233.
სანდრო („ქაჯანა“)—273.
„საქართველოს მოამბე“—89, 91, 95, 96, 121, 122, 123, 125, 126, 131, 132, 138.
საქსონია—28.
სესია („სესიას ფიქრები“)—224.
„სიზმარი,—ანუ სატანიდან საჩუქარი“—117.
სიმონ („განთიადი“)—275.
სიმონა („ალი“)—228, 229, 235, 238.
„სიმღერა“—61.
„სიმღერა გადახვეწილისა“—116.
„სნეული ოჯახი“—223.
სოლომანი („ბედ-უბედურ.“)—220, 221.
სომხეთი—13.
სოსიკა („ჯორ-ზაქარა“)—224, 245, 267, 268, 296.
სპარსეთი—13.
სპენსერი ჰერბ.—275.
„სურამის ციხე“—54, 55, 57, 58, 59, 123, 124.

„სულიკო“—112, 215.
„სხვა და სხვა ამბავი“—124.

ტატალა („იმედის“ თანამშრ.)—201, 202, 204, 206.
ტოლსტოი ლ.—30, 37.
ტორტლა—296, 298, 303.
ტროცკი ლ.—101.
ტყვიავი · 190, 191.
ტყიბული—167.
ტფილისი—75, 91, 167.

უმიკაშვილი პ.—63, 180.
უსპენსკი გლ.—39.
„უსტარი ანტიკრიტიკული“—76, 82.

ფავლენიშვილი კოლა—191.
ფავლენიშვილი რომანი—191, 192.
„ფაცხა“—163.
ფოთი—167.
ფურიე შ.—283, 286.
ფურცელაძე ანტ.—173, 175, 183, 191.
ფურცელაძე დავ.—191.

„ქართველი სტუდენტების სიმღერა“—104.
„ქართვლის დედა“—8, 118.
„ქაჯანა“—228, 230, 232, 273.
„ქება შრომას“—163.
ქვიშხეთი—191.
ქიქოძე მ.—183.
„ქრისტეანი ლეკები“—239, 240, 241, 242.
ქუთაისი—84, 191.

„ღამის მეხრე ცეცო“—246, 291.
ღეჟიაშვილი („წითელი სარჩ.“)—197.
ღოლობერიძე ნ. ბ.—46.
ღოლობერიძე ბ. ლ.—46.
ღრუბელაშვილი გიგო („გიგო ღრუბელაშვ.“)—211, 212, 225, 247, 248, 249, 273.
ღუდუშაური გორჯასპ. („ციკო“) 257.

ყაზბეგი—210, 239, 252, 258, 260, 262, 301.
„ყვარელის მთებს“—44, 60.
ყიფიანი დავ.—124.
ყიფიანი მიხ.—191, 192.
ყიფშიძე გრ.—194.
„ყოველი მხრიდან“—236, 244.
შამუელი („ყოველი მხრიდან“)—236, 244.
შაქრო (ზ. გულისაშვილი)—206, 211, 223, 239, 242, 245, 250, 274, 275.
შალვაშვილი ივანე („თამარის ნუგეში“)—276.
„შემოდგომა“—224.
„შრომა“—189.
შჩერდინი მ. ე.—30.
„ჩანგური“—98.
ჩაღოლაძე („მეტივე“)—213, 242,
ჩერნიშევსკი ნ. გ. — 22, 23, 25, 26, 27, 39, 95.
„ჩემო კარგო ქვეყანავ“—113.
„Черный Передел“—38.
ჩიტორელიძე სფ. („საქ. მოამბ.“ თანამშრ.) —67, 95, 103, 104, 117.
ჩოფიკაშვილი გაგი („ელგუჯა“)—257.

ჩოფიკაშვილი სიმონ („ელგუჯა“)— 252, 267.

ცეცო („ღამის მეხრე ცეცო“)— 266, 291, 292, 293, 294.

„ცისკარი“—17, 48, 49, 50, 52, 54, 71, 74, 82, 84, 85, 86, 87, 88, 89, 91.

„ცისკარს“ რა აკაკანებდა“—97.

„ძუნწი“ – 117.

წერეთელი აკაკი—63, 85, 88, 104, 107, 108, 111, 112, 123, 150, 159, 160, 164, 165, 186, 213, 215.

წერეთელი გ.—63, 97, 98, 168, 180.

წერეთელი ექვთიმე—83, 84, 85, 86.

„წერილი რედაქციასთან შესახებ ილია ჭავჭავაძის კრიტიკასა“—74.

„წერილი ჩვენი საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“—185, 216, 217.

„წიგნი მოწერილი რედაქტორთან ეფთიმე წერეთლისა“—85.

„წითელი სარჩული“—197, 198.

ჭავჭავაძე ალ.—71.

ჭავჭავაძე ილია—8, 19, 44, 45, 47, 50, 59, 60, 62, 63, 66, 67, 69, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 81, 82, 83, 84, 85, 86, 88, 89, 91, 97, 104, 106, 107, 108, 109, 110, 120, 121, 123, 124, 225, 126, 127, 131, 139, 144, 149, 150, 151, 164, 165, 171, 172, 180, 213, 214, 279.

ჭალადიდელი გ.—104, 115, 117, 150, 162.

ჭონქაძე დან.—54, 57, 58, 59, 100, 123, 147.

ჭრელაშვილი გ.—209.

ჭრელაშვილი სტ.—186, 189, 193, 195, 196, 198, 199, 200, 205, 206, 216, 250, 289.

ხახამ გაბრიელა („ალი“) —236, 237, 238.

„ხევის ბერი გოჩა“—252, 253, 255, 256, 266.

ხიზანაშვილი ნ.—5, 6, 200, 207, 208, 265, 266, 270.

ხიმშიაშვილ იოვანე—190, 191,192.

ხოხელა („ჯორ-ზაქარა“)—267, 268.

ჯავახიშვილი ივ.—18.

ჯამბადრუკიანი იასონ („გამარჯვ-ნიკო“)—281, 282, 283, 284, 285.

„ჯორ-ზაქარა“—244, 267, 268, 291, 296, 297, 299, 303, 304, 305.

ჯორჯაძე არჩ.—9, 10, 48.

ჯორჯაძისა ბარბ.—76, 77, 79, 82, 83.

ჭანი— 10.

შემჩნეული კორექტურული შეცთომების გასწორება:

გვ.	სტრ.		დაბეჭდილია:	უნდა იყოს.
3	7	ქვ.	თვი თავისი	თავი თვისი.
3	1	„	ლიტერატურის	ლიტერატურას.
8	20	ზევ.	ბარათაშვილი	ბარათაშვილის
22	5	ქვ.	დდეს	დღეს.
31	5	ქვ.	მოსწრაფებებით	მისწრაფებებით.
32	13	ზევ.	აქვს	აქვსთ.
38	10	ქვ.	პრძოლისაკენ	ბრძოლისაკენ
51	15	ზევ.	არმოვსთქოთ	წარმოვსთქოთ.
51	2	ქვ.	ცხრა	თერთმეტ
67	1	ზევ.	დროიდან	დაბრუნებიდან
70	9	ქვ.	დავქეითება	დაქვეითება
71	16	ქვ.	ერთისთვის	ერისთავის
72	10	ქვ.	მოყვარ-	მოყვარე
75	1	ზევ.	ვერა	ვერ
83	6	ქვ.	შემქმედების	შემოქმედების
84	4	ქვ.	ზემოერი	ზემოური
87	4	ზევ.	„მოამბეს“	„მამებს“
89	10	ზევ.	1882	1862
93	18	ზევ.	ვკითხულობრ	ვკითხულობთ.
115	13	ქვ.	მ. ჭალადიდელი	გ. ჭალადიდელი.
184	12	ზევ.	გარკ-ეულ	გარკვეულ
255	2	ზევ.	სამჭოში	საბჭოში
286	14	ქვ.	თედოს	მათეს
293	15	ზევ.	აქეს	აქვს